იოანე ბატონიშვილი

კომასობა

ტომი პირველი

კ. კილოიძისა

და

ალ. ბარამიძის

რედაქციით

სახელგამი. 1936. ტფილისი

ა — 1

799.962.1
ბ. 29—კ.

რედაქტორი—შ. რადიანი
ტექრედაქტორი—ვ. გორგაძე
კორექტორები { ვ. გორგაძე
ს. ყუბანეიშვილი
ჩ. გაბესკირია
გამომშვები— ალ. სიგუა

გადაეცა წარმ. 17/IV—35 წ.
ხელმოწერა დასაბ. 15/XII—35 წ.
მთავლიტის რწმეინ. № ა-2267
ზომა 6 × 10, შეკვეთა № 146
ტირაჟი 4.000.

სახელგამის მე-2 სტამბა, ორჯონიკიძის, 50.

იოანე ბატონიშვილი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თხზულება, რომლის გამოცემას ამ წიგნით ვიწყებთ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია „კალმასობის“ სახელით. კ ა ლ მ ა ს ო ბ ა მონასტრისათვის მორწმუნეთა შორის პურისა და ღვინის შეგროვებას ნიშნავს. განსვენებულს პროფ. ა ლ ე ქ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ეს ტერმინი გამოჰყავს სიტყვისაგან კ ა ლ ო[1], ალბათ იმიტომ, რომ, ჩვენი ლექსიკოგრაფების (საბა, ჩუბინაშვილი) ჩვენებით, ასეთს შეკრებას თითქოს კალოზე ჰქონდა ადგილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ წინამდებარე თხზულებიდან არ ჩანს, რომ პურის შეკრებას ყოველთვის კალოზე, კალოობისას ჰქონდეს ადგილი, თან „კალო“-საგან „კალმასობა“-ს წარმოება არც შესაძლებელია. ამიტომ უფრო სწორი უნდა იყოს ს ა ბ ა, რომელსაც ეს ტერმინი გამოჰყავს სიტყვისაგან „კალმასი“, რაცო, ამბობს ის, „სომხურად კალოზე პურის მოშოებას“ ეწოდებაო; ქართულადო, შენიშნავს ერთერთი რედაქცია მისი ლექსიკონისა, „მუჩირობა ჰქვიანო“, „მუჩირობა“ კი, საბას განმარტებით, „ტყბილის“ ან ყურძნის ტკბილის „მოშოვებაა“ (ასევე განმარტავს ამ ტერმინს დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ც, მხოლოდ მის ლექსიკონში წერია, ალბათ შეცთომით, „კალმახი“, „კალმახობა“).

ასეა თუ ისე, თხზულებიდანაც ჩანს, რომ რეალურად „კალმასობა“ მართლაც პურისა და ღვინის შეგროვებაა მონასტრის სასარგებლოდ. ლიტერატურულად ეს მოვლენა დამოწმებულია გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს „ცხოვრებაში“, რ ო ჟ ი კ ი ს სახელით[2], სახელდობრ

---

[1] Очерки по истории грузин. словесности III, 342.

[2] საყურადღებოა, რომ იონა ხელაშვილი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთერთს თავის წერილში თავის თავს „მეროჟიკეს“ უწოდებს.

იმ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია, რომ გრიგოლის მოწაფე „ეპიფანე ოდესმე მივიდა წინაშე დიდისა აბულასადისა ჟამსა მკისასაროპიკისა თხოვად ხანძთისათვის“ (ნ. მ ა რ ი ს გამოცემა-გვ. ნ ა - ნ ბ).

სახელწოდება „კალმასობა“ ამ თხზულებას დაუმკვიდრდა, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მხოლოდ ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ იმიტომ, რომ მის პირველს ნაწილში იონა ხელაშვილი მართლაც ჰკრეფს მონასტრის სასარგებლოდ პურსა და ღვინოს. არსებითად ასეთი სახელი თხზულებისათვის ზუსტი და ამომწურავი არაა, რადგანაც თხზულების სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით მესამეში, იონა საკალმასოდ უკვე აღარ დადის. ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელი ავტორს არ მიუცია თავის ნაწარმოებისათვის, ის მას უწოდებს „ხუმარსწავლას“, როგორც ეს ჩანს თვით მისივე შენიშვნიდან თხზულების ბოლოში: „დასრულდა წიგნი ესე ხ უ მ ა რ ს წ ა ვ ლ ა“. ასეთი სახელი უფრო შეეფერება თხზულებას, ვინაიდან ის წარმოადგენს ხუმრობის და გასართობის კილოთი და წერილ შრომას: იონა ხელაშვილი ხუმრობის კილოთი გადასცემს სხვადასხვა პირთ, რომელნიც მას ხვდებიან მოგზაურობისას, მათთვის საინტერესო სწავლასა და ცოდნას. თხზულებაში შიგადაშიგ ხუმრობის ჩართვით ავტორი მკითხველს ინტერესს უცხოველებს. რთული მსჯელობით („სწავლით“) დაღლილ მკითხველს სახუმარო ამბებით, თუ შენიშვნებით ავტორი კვლავ იპყრობს, იზიდავს და ახალი „სწავლისათვის“ ამზადებს. ერთი სიტყვით, ხუმრობის საშუალებით „კალმასობის“ ავტორი ცდილობს მკითხველს გაუადვილოს მეცნიერული სწავლის ათვისება. „ხუმარსწავლა“ თავისებური ლიტერატურული ჟანრია, რომელიც XVII-XVIII საუკ. უნდა გაჩენილიყოს ჩვენს მწერლობაში, ყოველ შემთხვევაში ტერმინი „ხუმარსწავლობა“ აღნიშნულ საუკუნეებიდან გვხვდება. მკვეთრი გამოხატულება ასეთს ჟანრს სწორედ ამ ნაშრომში მიუღია.

მიუხედავად ნათქვამისა, ჩვენ მაინც ვიცავთ იმ სახელწოდებას, რომელიც ტრადიციამ დაუმკვიდრა ამ ნაშრომს, და ვბეჭდავთ მას არა „ხუმარსწავლის“, არამედ „კალმასობის“ სახელით.

თხზულება დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის პირველს მესამედში. მღვდელმონაზონი ი ო ნ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი 1825 წლის 4 სეკტემბერს სწერს თავისიანებს, რომ „თორმეტი წელიწადია“, რაც ავტორი ამ თხზულებისა სწერს თავის შრომასო; მაშასადამე, თხზულების წერა დაწყებულა 1813 წელს. დამთავრებულა ის 1828 წელს, როგორც აღუნიშნავს ეს ბოლოში თვით ავტორს: „დასრულდა წიგნი ესე

ხუმარსწავლა წელსა 1828-სა, თვესა ივნისსა 30-სა, სანკპეტრებურ-ლსა შინა". ამრიგად, ამ თხზულების წერა 15 წლის მანძილზე გრძელდებოდა.

გასაკვირველი არაფერია. ეს არის უზარმაზარი, „დაბადების ოდენა", როგორც იონა ხელაშვილი ამბობს, წიგნი, რომელიც ნამდვილს ენციკლოპედიას წარმოადგენს თავის დროისას. ავტორი მისი შეგნებულად გამოიყვანს სცენაზე სწავლა-განათლებითა და ცოდნით აღჭურვილ ადამიანს, თავის დროს კარგად ცნობილს მოღვაწესა და მწერალს, მღვდელმონაზონს იონა (ერისკაცობაში—იოანე) ხელაშვილს, რომელმაც უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო[1], შემოატარებს მას საქართველოსა და სომხითს, ბოლოს კი რუსეთში გადაიყვანს. ამ მგზავრობისას, რომელიც მემუარულად, დღიურის სახითაა აღწერილი, იონას შეხვდებიან სხვადასხვა პირები, რომელნიც მას, როგორც განათლებულ კაცს, გამოელაპარაკებიან იმ საკითხების შესახებ, რაც თვითეულ მათგანს აინტერესებს; იონაც უპასუხებს მათ ადვილ-გასაგები, მარტივი ენით და გასართობი კილოთი. ეს საკითხები შეეხება პირველ ყოვლისა საქართველოს; იონა ხელაშვილის პირით ავტორი გვითვალისწინებს ყველა მხარეს ჩვენი ქვეყნისას, სადაც კი მოხვდება ის, აგვიწერს იქაურ ბუნებას, ზნე-ჩვეულებას, ლაპარაკის კილოს, გვიხატავს მე-18 საუკუნის გასულის და მე-19 საუკ. დამდეგის საქართველოს მდგომარეობას: პოლიტიკურს, სოციალურს, ეკონომიურს და კულტურულს. ამასთან ერთად ის გვაწვდის, თუ მთელს სისტემას არა, აუცილებელ ცნობებს მაინც მეცნიერების თითქმის ყოველი დარგიდან, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოღიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა (ქართული), ისტორია (საქართველოსი და მსოფლიო), ტექნიკური ქრონოლოგია, არქიტექტურა, გეოგრაფია მსოფლიოსი, ანტროპოლოგია, მეტალურგია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და კოსმოგრაფია, კლიმატოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, მედიცინა (პატალოგია, თერაპია, აკუშორობა), სამხედრო საქმე (სტრატეგია, ფორტიფიკაცია, ტაქტიკა) და აგრეთვე თეოლოგია.

ასეთი ენციკლოპედიური ხასიათი თხზულებისა გასაგებია. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, გადაწყდა „ბედი ქართლისა": მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატარებელი ქვეყანა

---

[1] ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, 434—440.

თვითმპყრობელურ ბიუროკრატიულ რუსეთის კოლონიად იქცა. ქვეყნის მესვეურები გრძნობენ, რომ თვითმპყრობელურ რუსეთის ბატონობის პირობებში შესაძლებელია მათი გათქვება და გადნობა იმ უსაზღვრო ოკეანეში, რომელსაც „რუსეთის დიდი იმპერია“ ეწოდებოდა, რომ მოსალოდნელია მათი დაჩრდილვა ცხოვრების ახალ მდგომარეობაში. ამის ასაცილებლად საჭირო შეიქნა ეროვნული ფიზიონომიისა და რაობის გარკვევა: აქედან წარმოიშვა საქართველოს წარსულის გათვალისწინების აუცილებლობის შეგნება. მეორე მხრით, წარმოიშვა შეგნება იმისა, რომ, შექმნილ პოლიტიკურ პირობებში, შესაძლებელია ახლო მისვლა ევროპის ცხოვრებასა და კულტურასთან (რასაც ასე ეტრფოდენ ჩვენში განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან), რისთვისაც საჭიროა ევროპული ცოდნა—მეცნიერებისა და განათლების შეთვისება. „კალმასობა“[1] მთელი თავისი შინაარსით პასუხია აღნიშნულ მოთხოვნილებებზე: ის გვითვალისწინებს საქართველოს წარსულის ყოველ მხარეს, ამავე დროს ეროვნულ შკოლასა და საგანმანათლებლო ცენტრებს მოკლებულ მკითხველს ის აძლევს საჭირო ცნობებს ევროპული მეცნიერების ყველა დარგიდან.

* * *

ვინ არის ავტორი კალმასობისა? ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს. დიმ. ბაქრაძე, პირველი აღმომჩენელი და გამომცემელი ამ თხზულების ერთი ნაწილისა, თავდაპირველად მას მიაკუთვნებდა ბატონიშვილ იოანეს, შემდეგ კი, როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, მას შეუცვლია თავისი აზრი იონა ხელაშვილის სასარგებლოდ, რომლის მხარეზე იხრება თვით ზ. ჭიჭინაძეც აღნიშნული თხზულების 1895 წლის გამოცემაში. ისტორიკოსი თ. ჟორდანია, როგორც ჩანს იონა ხელაშვილის თხზულებათა ერთი ხელნაწერის (სიძველ. მუზ. № 1145) მინაწერიდან, თხზულების ავტორად იონა ხელაშვილს სთვლიდა. პროფ. ა. ცაგარელი თხზულებას იოანე ბატონიშვილს აკუთვნებდა; ალ. ხახანაშვილი კი—როგორც იოანე ბატონიშვილს, ისე იონა ხელაშვილს; შესაძლებელიაო, ამბობდა ის, იონა ხელაშვილს შეევსოს ზოგიერთი

---

[1] Сведения о памятниках грузин. письменности, I, стр. IX.

ცნობებით იოანე ბატონიშვილის ნაშრომიო[1]. ნ. ბ ა რ ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ერთერთი ბიოგრაფი იონა ხელაშვილისა, „კალმასობის“ ავტორად იონას აღიარებს („სახალხო გაზეთი“ 1911 წ. №№ 347-348). 1923 წელს პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ც „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (I, 434-440) იმ შეხედულებას მიემხრო, რომელიც „კალმასობის“ ავტორად იონა ხელაშვილს აღიარებდა. 1927 წელს გამოქვეყნდა წერილი დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ს ა, რომელიც სპეციალურად „კალმასობის“ ავტორს ეხება („საქართველოს არქივი II, 29-47); „საკმაო დროისა და ენერგიის დახარჯვამ“, როგორც თვითონ ამბობს, ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „კ ა ლ მ ა ს ო ბ ა“ ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ა. ასეთი დასკვნა დღეს შეიძლება საბოლოოდ მიღებული იქნეს, იმდენად არა იმ მოსაზრების ძალით, რომელიც დ. კარიჭაშვილს მოჰყავს დასახელებულ წერილში, რამდენად იმ ფაქტური ცნობის მიხედვით, რომელიც მანვე აღმოაჩინა ექვსი თვის შემდეგ იონა ხელაშვილის ერთერთ კერძო წერილში და იმავე 1927 წელს გამოაქვეყნა (საქართვ. არქივი II, 187). 1825 წლის 4 სექტემბერს იონა ხელაშვილი სწერს წერილს თავის ძმებსა და რძლებს, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს: „მე თუ ისევ მეროჭიკე ვყოფილიყავ, ჩემი სახელი აქვე მკვდარი იქრებოდა. თვითცა მრავალი წიგნები შევსთხზე ჩემით საქართველოსთვის, და დაბადების ოდენი წიგნი დაწერა, თორმეტი წელიწადია ჰწერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ესე იგი მ-ლაპარაკებს ყოველსავე ჰსწავლასა სულიერსა და ხორციელსა“ (ხელნაწ. წერა-კითხვ. საზოგად. № 1532). ცხადია, ეს „დაბადების ოდენა წიგნი“, რომელსაც იოანე ბატონიშვილი იონა ხელაშვილის სახელით სწერს და შიგ ათავსებს „ყოველსავე სულიერსა და ხორციელსა სწავლასა,“ არის ჩვენი კ ა ლ მ ა ს ო ბ ა. საინტერესოა იონას დამოკიდებულება ამ თხზულებისადმი მისი წერილის ზემომოყვანილი ადგილის მიხედვით: მე თვითონაც მრავალი წიგნი დავწერე და იოანე ბატონიშვილსაც მივეცი მასალა „დაბადების ოდენა წიგნის“ დასაწერად, რავდენადაც მე მალაპარაკებს ყოველსავე სწავლასა სულიერსა და ხორციელსაო. ამ მედიდური განცხადებით მას კინალამ იოანე ბატონიშვილის თანაავტორად გამოუცხადებია თავისი თავი.

---

[1] Очерки по истории грузин. словесности, III, 344-345.

* * *

იოანე, შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგისა, დაიბადა 1772 წელს. მან ჯერ კიდევ საქართველოში მიიღო ის განათლება, რომლის მიღება მაშინ შესაძლებელი იყო ჩვენში სამეფო ოჯახის წევრისათვის. რომ ის განათლებული, პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანი იყო, ჩანს, სხვათაშორის, იმიდანადაც, რომ 1799 წელს მან თავის მამას, გიორგი მეფეს, მიართვა მოხსენება სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმების შესახებ, სადაც, სხვათაშორის, შკოლის შესახებაც იყო ლაპარაკი: მისი პროექტით ტფილისსა, გორსა და თელავში უნდა გახსნილიყო უმაღლესი ტიპის საერო სასწავლებლები, რომლებშიდაც უნდა ესწავლებინათ კლასიკური (ბერძნულ-ლათინური), აღმოსავლური (სომხური, თათრული) და რუსული ენები. უმაღლესი ტიპის სასწავლებლებთან ერთად უნდა მოწყობილიყო დაბალი ტიპის სასწავლებლებიც. იოანეს პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე გაზეთის ბეჭდვას „თვეში ორჯერ", ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსებას, რათა „ვისაც ენებოს, მოვიდოდნენ და თავისი ხარჯით იქ [ე. ი. ბიბლიოთეკა-მუზეუმში] გარდიწერდნენ და გარდაიღებდენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს" (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2155). თურქებთან, ლეკებთან და ირანელებთან განუწყვეტელი ომიანობის პირობებში იოანემ საქართველოში გამოიჩინა გამბედავი და წინდახედული სტრატეგის ნიჭი. მამის გარდაცვალებისა და საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ იოანე გადასახლდა რუსეთში, პეტერბურღს; სადაც ავსებს და აღრმავებს მის მიერ ჯერ სამშობლოში მიღებულ სწავლა-განათლებას. ამასთან ერთად ის სცდილობს, ცოდნა, რომლითაც აღჭურვილი იყო თვითონ, ხელმისაწვდენი გაეხადა ქართველებისათვისაც. ამ მიზანსა და განზრახვას მოკლებული არაა, სხვათა შორის, კალმასობაც. გარდა კალმასობისა, იოანე სხვა ლიტერატურული შრომებითაცაა ცნობილი; მას ლექსად დაუწერია 1807 წ. „მიბაძვა იოანე სინელის კიბისა", 1791 წელს ირანულიდან უთარგმნია „სეილანიანი" (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 196-197), ხოლო 1806 წელს რუსულიდან — ლოღიკა აბბატ კონდილიაკისა (წერ.-კითხ. ხელნ. № 1151), აგრეთვე „სამიჯნურო მიწერ-მოწერა იულიასთან"[1]. იოანეს კალამს ეკუთვნის ერთგვარი ენციკლოპედია, ანუ „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი". ეს ენციკლოპედია განზრახული ყოფილა „სასწავლებლად ყრმებთათვის".

[1] А. Хаханов, очерки III, 345.

ჩვენამდის მოღწეულია ავტოგრაფი, პეტერბურღს გადაწერილი 1829 წელს (ს. ს. ს. № 2196). იოანე ავტორია ამასთანავე ცალკე საბუნებისმეტყველო მეცნიერების ენციკლოპედიისა (წ. კ. № 3986). საბუნებისმეტყველო ცნებები ავტორს დაულაგებია ანბანის რიგზე. ძირითადი ტერმინები მოყვანილია რუსულსა და ლათინურ ენებზე, ხოლო ქართულად ამ ტერმინების ვრცელი განმარტებაა. თხზულება შედგენილია 1814 წელში. იოანეს ეკუთვნის ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი (ს. ს. ს. № 2328), რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და თანამედროვე ლექსიკოგრაფებთათვისაც კი სასარგებლო გამხდარა (შდრ. გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, ტფ. წინასიტყვაობა). უნდა ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ არა თუ შესწავლილია, აღრიცხულიც კი არაა. გარდაიცვალა იოანე 1839 წელს, მისი უმდიდრესი წიგნთსაცავი მისმა შვილის-შვილმა იოანემ პეტერბურღის საჯარო წიგნთსაცავს გადასცა.

* * *

„კალმასობის“ გამოცემას თავისი ისტორია აქვს. ერთი ნაწილი ამ თხზულებისა აღმოუჩენია პირველად ნესტორ წერეთლის სახლში ისტორიკოსს დიმ. ბაქრაძეს, რომელსაც გადაუკითხავს ის და თავისი შეხედულება ამ ნაშრომის შესახებ სპეციალური წერილის სახით მოუთავსებია 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“. ამ წერილის გავლენით საზოგადოებაში დაბადებულა აზრი ხელნაწერის დაბეჭდვისა. მართლაც, 1862 წელს „ცისკრის“ რედაქციამ, „ქართველთ-იმერთ საზოგადოების“ მინდობილობით დაბეჭდა ერთი ნაწილი აღმოჩენილი ხელნაწერისა დ. ბაქრაძის ზემოდასახელებული წერილის თანდართვით; გაგრძელება მისი, იმავე ხელნაწერით, დაიბეჭდა, როგორც მეორე ნაწილი კალმასობისა, 1867 წელს. შემდეგ, 1895 წელს, ზ. ჭიჭინაძემ გადაბეჭდა 1862 და 1867 წელს გამოცემული ნაწილები ერთ წიგნად დ. ბაქრაძის წერილის დართვით. იმ ხანებში შინაარსი კალმასობისა ამოიწურებოდა დაბეჭდილი ნაწილით, არავინ არ იცოდა, რომ არსებობდა თურმე გაგრძელება ამ თხზულებისა, არ იცოდა იმიტომ, რომ ეს გაგრძელება ინახებოდა არა საქართველოში, არამედ პეტერბურღს. მხოლოდ 1911 წელს „სახალხო გაზეთის“ საშუალებით (№ 228) იმდროინდელმა პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტმა

ს. ცომაიამ ამცნო საზოგადოებას, რომ პეტერბურღის საჯარო წიგნთსაცავში მოიპოვება გაგრძელება კალმასობისა. როგორც დღეს ირკვევა, ს. ცომაიას მიეგნო არა მთელი გაგრძელება კალმასობისა, რომელიც რამდენიმე წიგნს შეიცავდა, არამედ ერთი მხოლოდ წიგნი მისი.

დღეს ჩვენ განვიზრახეთ მივსცეთ საბჭოთა მკითხველ საზოგადოებას ახალი გამოცემა ამ თხზულებისა, რომელშიაც შევა როგორც დაბეჭდილი უკვე ნაწილი, ისე ჯერ გამოუქვეყნებელი. წინამდებარე პირველი ტომი ამ წამოწყებისა შეიცავს წინათ ორჯერ დაბეჭდილ ნაწილს და ნაწილს გაგრძელებისას, რომელიც შემდეგ იქმნა აღმოჩენილი. ასე რომ ნაწილი ამ ტომისა წარმოადგენს მესამე გამოცემას, ნაწილი პირველს. ხელახალი გამოცემა უკვე გამოქვეყნებული ნაწილისა გამოწვეულია იმით, რომ 1) ის ბაზარზე დიდი ხანია აღარ იშოვება, 2) თავის დროს ის დაბეჭდილი იყო ყოველმხრივ უხეიროდ, 3) გამომცემლებს გამოუგდიათ ბეჭდვისას ისეთი ადგილები, რომელთაც უშუალო მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულისათვის.

ორიოდე სიტყვა ჩვენი გამოცემის შესახებ. ჩვენ შეგნებულად აუხვიეთ გვერდი ძველი ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნების იმ პრინციპს, რომლის მიხედვით სასურველადაა ცნობილი ამათუიმ თხზულების მთლიანად დაბეჭდვა, მის შესახებ მთლიანი წარმოდგენის შესადგენად; გვერდი აუარეთ იმიტომ, რომ ყველაფრის იმის დაბეჭდვა, რასაც შეიცავს ეს უზარმაზარი კრებული, საჭირო არ არის. სხვადასხვა სამეცნიერო დარგები, რომელთა სისტემა მოცემულია თხზულებაში, წარმოადგენს უშუალო თარგმანს თუ კომპილაციას იმ დროს რუსულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოებისას. ეს ნათლადა ჩანს იმ უამრავი რუსიციზმებიდან, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ამ სისტემებში. დამახასიათებელია ამ მხრივ ხმარება ზედშესრული სახელის რუსული სუფიქსისა „ჩესკი" (—ческий), უამრავი რუსული სიტყვებისა, როგორიცაა „თავადინა", მთელი სამხედრო ტერმინოლოგია (შდ. ჩვენი გამოცემის ტ. I გვ. 56-57), „ბოლინა", სათამაშოები (არილი, დურაკი, სვოი კოზირი, სემლისტოკ, კოროლი, რუჩნოი ბანკი, ოტკუპი, ბეზენღ, ვმოსკოვსკუიუ) და სხვ. მრავალი. ეს სისტემები და მათი თარგმანები, დამახასიათებელნი მაშინდელი რუსული მეცნიერების დონისა, არავითარ ინტერესს არ შეიცავენ დღეს ჩვენთვის, ვინაიდან: 1) ოდნავადაც არ შეესაბამებიან ამ მეცნიერებათა განვითარების დღევანდელ დონეს, 2) ვერ გვაჩვენებენ იმას,

თუ რაგვარი ცნობები ვრცელდებოდა ამ თხზულების საშუალებით ჩვენში, რადგანაც. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს თხზულება ერთადერთ ცალად იყო დამზადებული და ის არ გამოსულა ავტორისა და მისი მემკვიდრეების ოჯახიდან მასაში; 3) ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც კი არ შეიცავენ ისინი არაფერს საყურადღებოს, რადგანაც აქ ხმარებული ტექნიკური სიტყვები და გამოთქმანი უხეიროა და დღევანდელი სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის გამოუყენებელი. ცხადია, ასეთი სისტემის დაბეჭდვა დღეს ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია (განსაკუთრებით თეოლოგიისა) და ამიტომ ჩვენ ასეთი ადგილები შეგნებულად ამოვიღეთ ჩვენი გამოცემიდან. დავტოვეთ მხოლოდ ის, რასაც მხატვრული ლიტერატურული ინტერესი აქვს და რაც უშუალოდ საქართველოს ეხება, თუმცა აქაც გამონაკლისი დავუშვით ქართული ენის გრამატიკის კურსისა (რომლის ნაწილი თავიდანვე დაკარგული ყოფილა ხელნაწერში და რომელიც მთლიანად პირველ გამოცემებშიაც არ შესულა) და საქართველოს ისტორიის იმ ნაწილებისათვის, რომელნიც წარმოადგენენ ქართველ წმიდათა „ცხოვრების“ შინაარსის შემოკლებულ გადმოცემას.

თხზულების დაბეჭდვა დამთავრდება მეორე ტომში, რომელსაც დართული ექნება საჭირო კომენტარიები, საძიებლები და ლექსიკონი.

* * *

ეხლა იმ ხელნაწერთა შესახებ, რომელთაც შემოუნახავს ეს თხზულება.

კალმასობა დაწერილი ყოფილა ერთადერთ ცალად და ორ წიგნად: სამი უზარმაზარი ტომია, მეოთხე—პატარა რვეული, შეიცავს წინა ნაწილებში ალაგ-ალაგ ჩასამატებელ ტექსტს. დაწერილია ეს ერთადერთი ცალი თვით იოანე ბატონიშვილის ხელით თავიდან ბოლომდე კითხულობთ ამ უზარმაზარ ფოლიანტებს და გაკვირვებული რჩებით ფონეტიკური, გრამატიკული და ორთოგრაფიული იმ სხვადასხვაობით, რომელსაც ჰპოულობთ შიგ. ამ მხრივ დიდი სიჭრელე გვაქვს ტექსტში; წინასწარ რომ არ იცოდეთ, რომ ხელნაწერი თავიდან ბოლომდე იოანეს ხელითაა გადაწერილი, ერთ ადამიანს ვერც მიაწერდით მას. ავტორი-გადამწერი არ მისდევს ერთს რომელიმე გარკვეულს გრამატიკულ-ფონეტიკურ-ორთოგრა-

ფიულ წესს, ხან ამ ფორმას ხმარობს, ხან იმას. განსაკუთრებით აპრელებულია ზმნებში სუბიექტ-ობიექტის (2 და 3 პირისა) მაჩვენებელ პრეფიქსების ხმარების წესი, ყურადღებას იქცევს მრავლობითს რიცხვში კომპლექსური ხმარება „ნი-ებ“ და „ებ-თა“-სი, მაგალითად: სახლებნი, სახლებთა და მსგავსნი.

აღნიშნული ოთხი წიგნი ინახებოდა ავტორის, იოანე ბატონიშვილის, სახლში პეტერბურღს. პირველი წიგნი, რომელიც 1-47 რვეულს შეიცავდა, წამოღებია იოანეს ოჯახიდან მის ცოლის ძმას, გრიგოლ ზურაბისძე წერეთელს, და უკანასკნელის შვილის ალექსანდრესაგან გადასულა მისი ძმისშვილის და მემკვიდრის, ნესტორ წერეთლის, ოჯახში, სადაც 1861 წელს ის უნახავს ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს. დანარჩენი სამი წიგნი იოანე ბატონიშვილის შვილიშვილმა, იოანე გრუზინსკიმ, თავისი პაპის სხვა წიგნებთან ერთად, გადასცა პეტერბურღის საჯარო წიგნთსაცავს, სადაც ისინი ინახებოდენ. 1923 წელს ეს სამი წიგნი დაბრუნდა საქართველოში და შევიდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში №№ 2170 (მეორე წიგნი), 2134 (მესამე), 2153 (მეოთხე).

რაც შეეხება პირველს წიგნს, რომელიც ნესტორ წერეთლის ოჯახში ინახებოდა, ის საკმაოდ დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოხწეული. ამ წიგნს თავიდან ბოლომდე იოანე ბატონიშვილის ხელით გაკეთებული ჰქონია ჩვეულებრივი ნუმერაცია არაბული ციფრით და ქართული ასოებით; სულ ის შედგებოდა 47 რვეულის და 387 ფურცლისაგან. დაწერილი ყოფილა ის ორნაირ ქაღალდზე: ლურჯსა და თეთრზე. ლურჯზე დაწერილი, რომელიც შემდეგ ვიღაცას გვერდობრივ დაუნომრია (სულ 166 გვერდია), შეიცავს 83 ფურცელს, რომელიც 9 რვეულადაა გაყოფილი (პირველი ორი-23 ფურცელს, 3, 4, 7, 9—რვარვა ფურცელს, მე-5—6 ფურც., მე-6—12 ფურც., მე-8—10 ფურც.). თეთრ ქაღალდზე დაწერილს გაკეთებული აქვს არა გვერდობრივი, არამედ ფურცლობრივი ნუმერაცია; ის შეიცავდა 304 ფურცელს, რომელიც მოთავსებული ყოფილა 10-47 რვეულებზე. 1861 წელს, როდესაც კალმასობის დაბეჭდვა განუზრახავთ, ეს წიგნი ორად გაუპრიათ. პირველი ნაჭერი მისი, $29^1/_2$ რვეულის მოცულობით, დაუბეჭდიათ (ეს შეიძლება დადგენილ იქნეს ჩვეულებრივი ნუმერაციით: დაბეჭდილი ტექსტის ოთხი მომდევნო ფურცლით ხელნაწერში თავდება მე-30 რვეული); მას შემდეგ ეს ნაწილი აღარსადა ჩანდა და დაკარგულად ითვლებოდა, მხოლოდ 1934 წელს ის მოიტანა წერეთლიანთ ოჯახიდან პაპუნა წერეთელმა „რუსთველის სახელობის ინსტიტუტში“, სადაც ის დღესაც ინახება. გაჭ-

რისა და დაბეჭდვის შემდეგ ამ ნაწილიდან დაკარგულა მთელი რიგი ფურცლებისა, სახელდობრ, ლურჯ ქაღალდზე ნაწერიდან:

| ხელნაწერით: | | |

მოულწევიათ ჩვენამდი, ინახება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში (№№ 2170, 2134, 2153).

ჩვენს განოცეჰაში შევიდა ის მასალა, რომელიც მოთავსებულია პირველს, ეხლა მთლიანად თითქმის აღდგენილსა, და მეორე წიგნში. გამოცემა ემყარება უშუალოდ ხელნაწერებს, გარდა იმ ადგილებისა, რომელთა აღდგენა, დაკარგვის გამო, მოგვიხდა წინანდელი გამოცემის მიხედვით. ის ფონეტიკური, ორთოგრაფიული და გრამატიკული უხამსოებანი, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ ხელნაწერში, ჩვენ მიერ შესწორებულია, თუ ისინი სისტემად არ არიან ქცეულნი ავტორის მიერ. ამითვეა გამოწვეული ხშირი პარალელური ფორმების ხმარებაც.

ქუჩრ. ძეძელიძე
ალ. ბარამიძე

კ ა ლ მ ა ს ო ბ ა

იოანე ხელაშვილისა, იპოდიაკვანისა, რომელი იყო ქიზიყის სოფლით ვაქირიდამ მოსული მონასტერსა შინა ქვაბთახევს, წინამძღვრობასა ქვეშე ფიცხელაურის დოსითეოსისასა. ესე დროსა ლეწვისასა წარგზავნილ იქმნა ქართლის სოფლებსა შინა ხ ა კ ა ლ მ ა ს ო დ, რომელსა შეჰხვდა გზასა ზედან ზურაბა ღამბარაშვილი და შეამხანაგდენ ერთად მოსარეწველად ბურისა.

ოდეს გაემგზავრა ბერი იოანე, იხილა მდოესისა და ხიდისთავის საშუალ გზასა ზედან მომავალი ცხენით ვინმე და სთქვა: ესე მტერ ჩვენდა ანუ ჩვენ კერძო? და დაუწყო გულსმოდგინედ ყურება; ოდეს მოახლოვდა იგი, მყისვე იცნო იოანემან და ჰრქვა: მშვიდობა შენდა, ღამბარაშვილო!

ზ უ რ ა ბ ა: და სულისაცა შენისა თანა, ხელაშვილო!

ი ო ა ნ ე: საით გიძღვის უფალი?

ზ უ რ ა ბ ა: მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზარდო შვილები ჩემი.

ი ო ა ნ ე: მაშასადამე, ჰგავს საკალმასოდ რონინებ!

ზ უ რ ა ბ ა: ახ! მალე მიწევნილ ხარ დაფარულმცნობელობაში, ანუ თუ წინამძღვარმან თქვენმან შთაგბერათ წინასწარმცნობელობის სული.

ი ო ა ნ ე: რად გიკვირს, თუ ტერ-საკას მოწაფე ეგგვარ მეტყველებ, მე ვით ვერ მივსწვდებოდი განზრახვასა შენსა, დოსითეოსთან გაზრდილი?

ზ უ რ ა ბ ა: აწ სცან—მეც თქვენი მოწაფე ვარ!

ი ო ა ნ ე: ვითარ?

ზ ურ ა ბ ა: მართლაადიდებელი შევიქენ.

ი ო ა ნ ე: მართლ და ჰეშმარიტ არს სიტყვა შენი?

ზ ურ ა ბ ა: ჰე, ირწმუნე!

ი ო ა ნ ე: ჯი სულიერო შვილო! ქრისტე იყოს შენთანა, მოვედ გეამბორო, უფალმან წარგიმართოს ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთანი!

შემდგომად ამბორებისა შეითქვნენ გაამხანაგებად და ერთად საკალმასოდ დაამტკიცეს წასვლა; პირველად მივიდნენ ხიდისთავსა. ნახეს მუნ კოშორიძე მღვდელი. დიაკვანმა ჰკითხა ზურაბს: ეს ვინ არისო?

ზ ურ ა ბ მ ა: ესე ახალჯვარის დეკანოზიაო!

ი ო ა ნ ე მივიდა და ჰრქვა: გვაკურთხენ, ახალჯვარის მამაო!

კ ო შ ო რ ი ძ ე: კურთხეული იყავ, რომ არა იცი რა!

ი ო ა ნ ე: ვითარ?

კ ო შ ო რ ი ძ ე: მე დეკანოზი ვარ, და არა მამა.

ი ო ა ნ ე: ჯვარის მამაც არის ამ ქვეყანაში, და ახალჯვარის მამაც რომ იყოს. რა იქნება?

კ ო შ ო რ ი ძ ე: ჯერ მთავარეფისკოპოზს არ უბოძებია ეგ სახელი.

ი ო ა ნ ე: მთავარეფისკოპოზი რად გინდა, მე გაგირიგებ კათოლიკოზთანა!

კ ო შ ო რ ი ძ ე: იპოდიაკვანს ეგ ადგილი არ ექნება.

ი ო ა ნ ე: ჩვენ წინამძღვარს დიაღ სწყალობს მათი უწმინდესობა.

კ ო შ ო რ ი ძ ე: მაშა შენ რატომ ვერა გაგირიგა რა?

ზ ურ ა ბ ა: მეკალმასედ დააყენეს, მეტი რა უნდა?

კ ო შ ო რ ი ძ ე: მეტი არღა უნდა რა, თუ ქსნის-ხეველთავით იკალმასა.

ზ ურ ა ბ ა: ჩვენს საქმეს რომ ვჰხედავ, მაგის მეტი ღონე არა გვაქვს.

კ ო შ ო რ ი ძ ე: ჯერ ეგოდენ შიმშილობა არ არის, რომ საქმემ იქამდის მიაწიოს.

ზ ურ ა ბ ა: თუ ამ საბრალო ბერს შეიბრალებ, შენთვის მადლია.

კ ო შ ო რ ი ძ ე: მოდით, შვილნო, ჩემთან ისადილეთ, მეც დაბრკოლებას არ მოგცემთ, რადგან მგზავრი ხართ.

ზ ურ ა ბ ა: დია ადრე დაგვითხოვეთო,—და წავიდნენ სადილად.

ოდეს დასხდენ ესენი და მოიღეს სუფრა და დააგეს საჭმელი, რა ხელი მიჰყვეს, ამ ჟამად ანდრია მოვიდა, გიორგი მღვდელს ეამბორა და იოანეს სალამი მისცა; იოანემ იკითხა ვინაობა ამისი, და ჰრქვეს: ესე ანდრიაა, იონა იღუმენის მოწაფეო! და ჰრქვა ი ო ა ნ ე მ: მშვიდობა შენდა, ანდრია სალოსო!

ა ნ დ რ ი ა: სულისაცა შენისა თანა, იოანე კლემაქსო!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! რად შეურაცხმყოფ?

ა ნ დ რ ი ა: და შენ რაღათ მე?

ი ო ა ნ ე: მე მასმია იღუმენისაგან შენთვის მრავალი კარგი.

ა ნ დ რ ი ა: და არა იონასებრ სალოსობა.

ი ო ა ნ ე: ღმერთმა მაშოროს!

ა ნ დ რ ი ა: ქრისტესთვის სალოსობა დია სანატრელია, შენ რათ უარ ჰყოფ?

ი ო ა ნ ე: მე არ მინდა შეგეცილო მაგ სათნოებას.

ა ნ დ რ ი ა: თუმცა სათნოება ერის-კაცისათვის დიდებაა, მაგრამ მონაზონთ უფრო ჰშვენის.

ი ო ა ნ ე: და რისთვის იღუმენს არ ურჩევ?

ა ნ დ რ ი ა: სწორეთ მონაზონია, ნეტავი შენც იმისთანა შეიქმნა!

ი ო ა ნ ე: სხვა რამ გენატრა, ის მერჩიენა, შავი ტანისამოსით და თავმოკვდინებით ბერობა არ იქნება.

ა ნ დ რ ი ა: თუ არა მენახა რა, არ დავემოწაფებოდი.

ი ო ა ნ ე: ეგ იმასა ჰგავს, რომ მელა ლილით შეიღება, ბერობა მოიგონა, და მამალი დაემოწაფა; სოფელში ამგვარი ხელოვნება მრავალი რამ არის.

ა ნ დ რ ი ა: რაჲ ნახე მისგან ეგგვარი ხელოვნება?

ი ო ა ნ ე: ორი უდაბნო ერთმანერთს გადაჰკიდაო.

ა ნ დ რ ი ა: ვგონებ, გული გეწვით, რომ მონასტრის მამული არ დაგანებათ.

ი ო ა ნ ე: აჲ შენ როგორ დაურწმუნებიხარ, ხელოვნება ეგ არისო, მაგრამ ამილახვარი კი ვერ დაარწმუნა; ნახე, დიდების სურვილმან რა შეურაცხება მიაყენა! აკი გითხარ, სოფელში ბევრი რამ იქნება!

ა ნ დ რ ი ა განრისხდა და ჰრქვა: შენის თავისა რომ არა იცი რა, სოფლისა რა გეცოდინება?

ი ო ა ნ ე: ნუ ჯავრობ! თუ თავს დაიმდაბლებ და მკითხავ, ადვილად გაცნობებ სოფელსა.

[ამას მიჰყვება ტრაქტატი ღვთის მიერ ქვეყნისა და ადამიანის შექმნის შესახებ].

წარსულნი მუნით, მივიდნენ მწუხრის ჟამს სკრასა და აცნობეს ნაზირსა გლახას მისვლა თვისი და სთხოვეს სადგური. ხოლო მან ცივისა გულითა მიიღო იგინი და ჰრქვა: მე აწ ნაზირი არღა ვარ და გლახადაც ვარ დაშთომილიო, თქვენ იზრუნეთ თქვენთვის! გამგზა-

მან ამისმან იოანემ სთქვა: ჭეშმარიტად გლახა ყოფილხარ, შეწ-ყალება არ გცოდნია და მოწყალება! და განეშორა. მაშინ მუნ მცხოვრებმან მოხუცმან ვინმე გლეხთაგანმა აწვია თვისადა, და, რა შევიდა იოანე სახლსა მისსა, ჰრქვა: მშვიდობა სახლსა ამას და მშვი-დობა თქვენცა. სახლის პატრონნო! მოხუცსა იამა და სთქვა: ჯერ ამ სახით არვინ შემოსულ არს სახლსა ჩემსა, ესე სახარების სიტყვისამებრ იქცევის. მითხარ, ზურაბ, ვინ არს ეს?

ზ უ რ ა ბ ა: ესე არს ქვეყნით ქიზიყით, აღზრდილი სკოლასა შინა თელავის ქალაქისასა, აწ ცხოვრებს ქვაბთახევის მონასტერსა შინა და იღვწის იმა მონასტრისათვის, რათა მუნებურნი კრებულნი გამო-ზარდოს.

მ ო ხ უ ც ი: ჯი, რა ბედნიერი ვარ, რომელ ესეგვარ ბრძენ—განათ-ლებული გონებითა მოვიდა სახლად ჩემდა! რაოდენ ძალედვა, ეგო-დენ განუმზადა ვახშამი და აწვია საკოთარსა საჯალაბოსა სახლსა თვისსა. მაშინ მის მოხუცისა ცოლშვილნი მოვიდნენ, იოანეს ესალ-მნენ და მან მოხუცმან აცნობა ყოველნივე. იოანემ მოიკითხა იგინი და იწვიეს ვახშმად. რა მცირედ შეექცნენ, იოანემ აიღო ყანწი ღვინითა სავსე, და ჰრქვა მოხუცსა: უფალმან არა მოგაკლოს შენ არცა ფქვილი, არცა ზეთი და არცა ღვინო; აღგავსოს შენ ყოველთა კეთილთაგან და გაკურთხოს შენ თესლითი თესლადმდე! მა-შინ ზურაბმან ხმა ჰყო: კურთხეულ იყავით ამის წყევლისაგან!

ი ო ა ნ ე: ჯი შენ უკეთურო, რას უბნობ? უი ჩემს თავს!

ზ უ რ ა ბ ა: აბრაამც ესრედ ლოცვიდა. და მუნ მსხდომარეთა ყოველ-თა განიცინეს. და ესრედ დასრულდა ვახშამი, და წარვიდნენ საძილოდ.

დ ღ ე მ ე ო რ ე

ხოლო ხვალისა დღეს, მადლობელი იმა მოხუცისა, იოანე განეშგზავრა ხვედურეთისაკენ; და ამა სვლასა შინა იხილეს ციციშვილი მომავალი. მაშინ იოანემ ჰრქვა ზურაბს: ვინ არიან ესენი?

ზ უ რ ა ბ ა : ვოლტერის მოწაფეო!

ი ო ა ნ ე : რას ნიშნავს ეგე?

ზ უ რ ა ბ ა : ღვთის უსიყვარულობას და კაცთ დაუნდობლობასა.

ი ო ა ნ ე : პირველი გაგონებაა; მაშ მე მივსცემ მცნებას მაგისთვის, ერთადა ვართ აღზრდილი რეკტორისაგან თელავს.

ზ უ რ ა ბ ა : მაშა ორნივ დიდი წმინდანი იქნებითო! და ამა ჟამში მოვიდა ციციშვილი და, რა იცნა იოანე, ჰრქვა: გვაკურთხენ მამაო!

ი ო ა ნ ე : კურთხეულ იყავ საქმეთაებრ შენთა!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი : რაჲ საქმე მიქმნია?

ი ო ა ნ ე : ვოლტერის შედგომა!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი : ვითარის სახით?

ი ო ა ნ ე : ურწმუნოებით, ნათესავის არ დანდობით, თვისთა და მოყვარეთა და მეზობელთა მტრობითა.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი : ვინ ანბობს მაგას?

ი ო ა ნ ე : ყვავნი ასრე იძახიან!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი : სასწაული ხომ ვერა ჰქენ რა, და ახლა მისნობა დაიწყე?

ი ო ა ნ ე : ირწმუნე, შენთვის კეთილი მსურს, რადგან ერთადა ვართ აღზრდილი.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი : ვიცი—კეთილი გსურს ჩემთვის და მოგონებაც ბევრი იციან,—საზოგადოდ ეს სენია ჩვენში.

ი ო ა ნ ე: მაგ სენის წამალი სიყვარულია და ის სიყვარული უნდა იყოს ჭეშმარიტება, და უტყუელის გულით შედგომილი.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი: თუ მაგას მოიძიებ, ვგონებ, ვერავინ ჰპოვო მაგგვარი სრული მოსიყვარულე.

ი ო ა ნ ე: და მაშა რა გვარსა?

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი: პოლეტიკა როგორც ითხოვს.

ი ო ა ნ ე: თვით ფილოსოფოსი იტყვის: პოლეტიკა განმარტებს კანონთა კეთილგონიერებისათა და არა თუ ზაკვითისა და მაცთურ-ყოფისა ცნობა არს.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი: და რა არს სიყვარული?

ი ო ა ნ ე: ღმერთი; ღმერთი სიყვარული არს, და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა მისსა, ღმერთი მისთანა ჰგიებს და იგი ღვთი-სა თანა!

[ამას მოჰყვება ტრაქტატი ღვთის შესახებ და განმარტება ათი მცნე-ბისა და ცხრა ნეტარებისა].

ი ო ა ნ ე: მე ათის მცნების და ცხრა ნეტარების განმარტებასაც გეტყოდი, მაგრამ ორნივე მგზავრნი ვართ, „სამნაწილედში“ იხილე ამათი განმარტება და ისეც მოიქეც. მშვიდობით! და გაიყარნენ ამ სახით. წარსული იოანე მივიდა ხვედურეთს და ჰრქვა ზურაბს: იზრუნე რამე სადილადაო!

ზ ურ ა ბ ა: აქ საკათალიკოზო კაცი დგას!

ი ო ა ნ ე: მაშ იმასთან მივიდეთ, ჩვენს წინამძღვარს მათი უწმინ-დესობა დია სწყალობს.

ზ ურ ა ბ ა: იქნება ეს კაცი თქვენს წინამძღვარს ვერც კი იცნობ-დეს და ჩვენ არა დაგვდიოს რაო!

ი ო ა ნ ე: ასე უთხარი: დოსითეოსის დიაკვანიაო!

ზ ურ ა ბ ა: იქნება ვერ იცნობდეს დოსითეოსს!

ი ო ა ნ ე: მაშ ასრე ჰრქვი: იოანე იპოდიაკვანია ქვაბთახევისა; იქნება იქ ოდესმე სალოცავად ყოფილიყოს.

ზ ურ ა ბ ა: ჯერ გაახლებაცარ იცის იმ მონასტრისა და რად იქ-ნებოდა იქა?

ი ო ა ნ ე: უთუოდ იქნებოდა; იქით რომ წყაროა, ვინც დალევს, შვილი მიეცემა.

ზ ურ ა ბ ა: ეგ წყარო ახლა აღმოუცენებია თქვენს წინამძღვარსა, ამას მე ვიცნობ, ჩემზედ უფროსი შვილები ჰყვანან.

ი ო ა ნ ე: მაშ ღონე რამ მოიხმარე! და მერმეთ ზურაბმან აცნობა იოანეს ვითარება და მიიწვიეს სადილად. იოანემ ჩვეულებისამებრ მოიკითხა და აკურთხა იგინი. მოიღეს სადილი; რა ხელი მიჰყვეს,

მოვიდა მაშინ ერთი დაბებკულით მოსილი მღვდელი და აწვია სახლის პატრონმან, და ცხად უყო იოანეს მღვდლობაჲ მისი, მაშინ იოანე ეამბორა ზურაბითურთ და დასხდენ.

იოანემ ჰკითხა სადაურობა თვისი, ხოლო მან აცნობა რაჟველობაჲ თვისი, მაშინ

ზ ურ ა ბ ა: მღვდელო! რაჟველი ხარ თუ ქრისტიანე?

მ ღ ვ დ ე ლ ი: ორივე.

ი ო ა ნ ე: კარგა მოგიგოო! იამა მღვდელსა და ჰრქვა იოანეს: თქვენ ვინ ბრძანდებითო?

ი ო ა ნ ე: ხელაშვილი, იპოდიაკვანი.

მაშინ აღდგა ესე მღვდელი: უკაცრავად, რომ თქვენს ყოველად სამღვდელოესობას ამ სამუშაოს ტანისამოსით ვიახელ!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! მე ყოვლად-სამღვდელო რად ვიქნები!

მ ღ ვ დ ე ლ ი: მაშა მეტი ვინმე ბრძანდებით თქვენ?

ი ო ა ნ ე: არა, მამაო! მე ნახევარ-დიაკვანი ვარ.

მ ღ ვ დ ე ლ ი: მართალს უბნობთ, ჩემი დიაკვანი ბარე ორი თქვენ სიგრძე იქნება.

ი ო ა ნ ე: არა, მამაო; ეს სახელი ხარისხების მნიშვნელია: იპოდიაკვნობა, დიაკვნობა და მთავარ-დიაკვნობა, მერე მღვდლობა, მას უკან არქიმანდრიტობა და მერე მღვდელთ-მთავრობა; და შენც ხომ ამ სახით დიაკვანი იქნებოდიო.

მ ღ ვ დ ე ლ ი: კი ბატონო! ერისთვებს რომ ვახლდი, მღვდელს მიმაბარეს, წიგნი ვისწავლე და „ჟამ—დავითნს“ რომ ვიტყოდი და ბიჭად ვიყავ, დიაკვანს მეძახდენ. და მერე რომ დამაკურთხეს, მთავარ-დიაკვანი შევიქენი და ახლა ნიქოზელმა ბარე მღვდლად მაკურთხა.

ი ო ა ნ ე: ახლა ხომ მიხვდი?

მ ღ ვ დ ე ლ ი: კი, ბატონო!

ი ო ა ნ ე მ წიგნში გამოსცადა. შეეძლო წარკითხვა. უთხრა მღვდელს: წიგნი გცოდნიაო!

მ ღ ვ დ ე ლ ი: ბატონო ნახევარ-დიაკვანო! მეცნიერს გიხმობენ, და მეც მასწავლეთ რამე.

ი ო ა ნ ე: ასე მალე რა გასწავლო?

მ ღ ვ დ ე ლ ი: ქვე რაც იყოს!

ი ო ა ნ ე: სიმვოლო იცით?

მ ღ ვ დ ე ლ ი: სიმვოლო რა არის, საჭმელია, თუ სასმელი?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს, მღვდელო! მრწამსი ხომ იცი?

მ ღ ვ დ ე ლ ი: ეგ მრწამსიც ვიცი და „მამაო ჩვენოც“.

ი ო ა ნ ე: მრწამსი სიმვოლო არს, რომ სარწმუნოების აღსარებას ნიშნავსო. და ესე მრწამსი ნიკიის კრებისა და სხვათაგან დამტკიცებული გვაქვს ჩვენ მოცემული, რომ მართლ-მადიდებელნი ასე უნდა აღვიარებდეთ ღმერთსა და უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესაო.

მ ღ ვ დ ე ლ ი: „მამაო ჩვენო“ რაღას ნიშნავს?

ი ო ა ნ ე: მაგისი განმარტება გრძელია, და ეგ ლოცვა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ ასწავა თვისთა მოწაფეთა, რომელსაც ჩვენ საუფლო ლოცვად უწოდთ.

მ ღ ვ დ ე ლ ი: ამას კარგა მიეხვდი.

ი ო ა ნ ე: 'მვიდი საიდუმლო იცი?

მ ღ ვ დ ე ლ ი: საიდუმლო ბარე ბევრი ვიცი, მაგრამ ვერავის გავამხელ, ნამუსს კარგა შევინახამ.

ი ო ა ნ ე: მე მაგას არ გკითხავ?

მ ღ ვ დ ე ლ ი: მაშ მიბრძანეთ. რომელსა?

ი ო ა ნ ე: შვიდნი საიდუმლონი წმინდისა აღმოსავლეთის ეკკლესიისა არიან შემდგომნი ესე:

1. ნათლისღება.
2. მირონის ცხება.
3. საღმრთო ლიტურღია.
4. კურთხევა მღვდლისა.
5. აღსარება.
6. კურთხევა გვირგვინისა.
7. ზეთის კურთხევა.

მ ღ ვ დ ე ლ ი: ბატონო! სადანა სწერია ეგენი?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! მომიტანე კურთხეკანი და კონდაკი!

მღვდელმა მოართვა იგინი იოანეს და იოანემ ყოველივე თავები და სარჩევი შეუნიშნა, აგრეთვე აიაზმის კურთხევა და ამცნო: ყოველს სამღვდელოს მართებს, რომ ეს შვიდი საიდუმლო, მკვდრის ანდერძის აგება და აიაზმის კურთხევა კარგად იცოდესო, რომ გაუჭირებლივ აღასრულოსო; და სხვა მეცნიერება თუ გინდ არ იცოდეს, იმით არა უშავს რა; და თუ ესენი არ იცის, ვალ ქვეშ იქმნება და თავის სულს ავნებსო. მისცა მცნება და გაემართნენ ქარელისაკენ იმ სოფლიდამ კმაყოფილნი.

რა ქარელსა შინა მივიდნენ, ცხად უყვეს ციციშვილს დივანბეგსა იოანეს ვინაობა; მან მყისვე მისცა სახლი და აგრეთვე სხვა საჭიროება და შესთვალა, ვითარ „ამაღამ განისვენეთო და ხვალე ჩემისა შობისა დღე არის და ინებეთ ჩემთვის პარაკლისი და ისადილეთცა ჩემთანაო!“

იოანემ მმადლობელმან ხელყო ხვალისათვის შესხმასა წერად ნიკოლაოზისათვის და ესრეთ განემზადა. ხოლო ხვალისა დღეს, შემდგომად წირვის დასრულებისა, მივიდნენ ყოველნი მუნებურნი აზნაურ-მსახურნი და იოანეცა ზურაბითურთ ნიკოლაოზმა შეიტკბო ესენი ფრიად, აწვია თავის თანა, მოიკითხა და მათი მგზავრობის შიზეზი ყოველივე გამოსცნო; და მერე მოიღეს სადილი. რა გახშირდა ღვინის სმა, მუნებურთა დალიეს სადღეგრძელო ციციშვილისა და იოანესაც მოართვეს თასი შესმად სადღეგრძელოსა. მაშინ იოანე აღსდგა და იწყო შესხმისა ამისი თქმა:

„ბრწყინვალეო კნიაზო და მდივანბეგო ციციშვილო ნაკოლაოზ, მოწყალეო ხელმწიფევ!

დღეს თუმცა მოხარულ არნ ერნი საციციანოსანი შობასა ზედა თქვენისა ბრწყინვალებისასა, გარნა ქარელი ესე უსაკუთრესად ადიდებს შემომქმედსა ქვეყანისასა შენთვის, და მეცა ამათთანა უგალობ გალობასა დიდებისასა, რომელმანცა მოსცა თავი შენი ყმათა ამათ შენთა სამსავე დროსა შინა კეთილ-მზრუნველი და არცა აწ სიღრმესა შინა მოხუცებულობისასა არა დამტევებელი კეთილ-მზრუნველობისა შენისა ყმათა ამათ შენდამი; და ესე ადიდებს სახელსა შენსა, ესე აჩვენებს სიმტკიცესა სულისა შენისასა, ესე ცხად ჰყოფს მშვიდობის მოყვარებასა შენსა და მოგვითხრობს მხნეობასა შენსა. ღირსო ქებისაო, ღირსო გალობისაო, რომელმან განატარე კეთილად ცხოვრება შენი ვიდრე სამეოცდაათისა წლისამ, არა ებრძოლე მხეცებრთა გვამთა, არავინ ჰკალ, არც მოიკალ, არც დააქციე სისხლი მართალი, განაგრძე სიცოცხლე შენი ბედნიერებით, და გვსურისცა ესგვარვე განტარებად დანაშთთა დღეთა შენთა. ნეტარ ხარ შენ, კაცო! ვსთხოვ მე ცოდვილი ზენასა, რათამცა შვილნიცა შენნი იყვნენ მომბაძველ კეთილისა მამისა და შედგომილ კვალთა შენთა. სცოცხლებდი მოხუცო, და მე გიგალობ ესრეთ: „მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!"

და ესრეთ დაასრულა იოანემ და შესვა ღვინო.

მაშინ მდაბლად მმადლობელმან ცხად-უყო მირთმევად ხუთის კოდისა პურისა, ხოლო იოანე დუმნა. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: ბატონო მდივანბეგო! ნადირშაიმაც ეგდენი გასცა მათ ზედა, ოდესცა ინდოეთიდამ გამარჯვებული მობრუნდა, ვინც რომ შესხმა მოახსენეს. გამგონთა ყოველთა გაეცინათ.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ნადირშაჰათ დამსვით, და მე ოქროში ჩაგსვამთ!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! რად გინდა თათრობა?

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: თეთრი რომ მექნებოდა, მალე გამხსნიდი მე ცოდვისაგან!

ი ო ა ნ ე: არ წარგიკითხავთ: „სჯობს მცირედი მართლისა მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა?“

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: არა ყოველნი ურჩიან მაგ ქადაგებასა.

ი ო ა ნ ე: ვინც არ ურჩის, მარცხნივ იქმნებიან. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: შენ ხომ მარჯვნივ იქმნები! და მაგით კი მაგდენს ვერას ვიკალმასებთ, თუ, საცა მიხვალ, ყველგან იქადაგე.

ი ო ა ნ ე: რომელნი სოფლისაგანნი არიან, სოფლისასა ეძიებენ.

ზ უ რ ა ბ ა: ყოველსა თავისი ჟამი აქვს.

და ამ სიტყვამან დაატეებინა უბნობაჲ მათი. გამოეთხოვნენ და მუნცა მიიღეს კმაყოფილება, და გაემართნენ ჭალას აბაშიძისაკენ.

ᲓᲦᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

მწუხრის ჟამს მივიდნენ იგინი მუნ და გარდახდეს კოშკისა გვერ-
დით და ჰკითხეს მუნეგურთა აბაშიძეების მუნ ყოფნა; ხოლო აცნო-
ბეს მას ქიზიყის მოურავის ქალის ანნასი ყოფნა. გამგონე ამისი იო-
ანე მხიარულ იქმნა და ჰრქვა ზურაბს:

მივედ და აცნობე ჩემი ქიზიყის ქვეყანით მოსვლა მონასტერს და-
არქვ ლოცვა-ჯურთხევაცა, იგი კარგა მიგვიღებს!

წარსული ზურაბ მუნით მივიდა თავადინასთან, აცნობა იოანეს
ვითარება, და მან მყისვე მიუწოდა. იოანეს, მუნ მდგომსა, ამა კოშ-
კიდამ ესმა ხმა რაჲმე მწუხარებისა; განკვირვებული იოანე მიმო-
იხედებოდა და უკანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკის კარისა-
მდგომარე და ჰრქვა: ძმაო! რაჲ არს ხმა ესე მწუხარებისა? ხოლო მან
ჰრქვა: მამაო, ტყვეები არიანო! ი ო ა ნ ე მ: სადაურნიო?

მ ა ნ: ოსთაგანნი.

ი ო ა ნ ე: რაჲსა შეცოდებისათვისაო?

მ ა ნ ჰრქვა: გასაყიდლად.

ი ო ა ნ ე: ჯი ღმერთო!

და ამ ჟამში ზურაბმა მიუწოდა სახლსა აბაშიძისასა. ოდეს მივიდა-
იოანე და იხილა ანნაჲ, ჰრქვა: მშვიდობა შენდა, ჩვენის მოურავის
ასულო! დღეს ვრაცხ თავსი ჩემსა ბედნიერად, რომ ბრწყინვალებასა-
თქვენსა ვიახელ, გარნა რომელიმე მწუხარებაჲ მიიღო გულმან ჩემმან.

ა ნ ნ ა: ვინ რა შეგცოდა?

ი ო ა ნ ე: საბრალო ტყვეებმან.

ა ნ ნ ა: ნუ იზრუნებ, მაგის საქმეს ლ. აბაშიძე განაგებს.

ი ო ა ნ ე: თუ დიდი ლ. აბაშიძესავით განაგებს, ღმერთმან შენს-
მტერს მისცეს!

მაშინ ამილახვრის ქალმან გააშვებინა სიტყვა და უთხრა: აქეთაც შოიხედე, ეგ თუ მოურავის ქალია, მე ამილახვრისა ვარო!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ვერ დაგინახეთ, მე სხვა სჯაში ვიყავი და არა ხარისხის შესწორებაში.

ა ნ ნ ა: ვითარს სჯაში?

ი ო ა ნ ე: ცოდვისა და მადლისაში.

ა ნ ნ ა: მე, თქვენმა მზეკ, ცოდვილი არა ვარ.

ი ო ა ნ ე: არავის გწამობ.

ა ნ ნ ა: არა, შენ რა ჩვენი მოძღვარი ხარ?

ი ო ა ნ ე: თქვენი მოძღვარი, ვგონებ, კეთილს გამცნებდეს.

ა ნ ნ ა: ეს ბოროტი მცნება არ არის, რომ ჩვენ ოსებისაგან ვისარ-გებლოთ, და იმათაც დიდკაცობასა და სიმდიდრესა შინა მიაწიონ.

ი ო ა ნ ე: კარგი მიზეზია,—გარნა არ კმარა ეგე!

ა ნ ნ ა: დაბრძანდით, დაღალული ხართ. ჩვენი მოძღვარი მოვა და ის მოგცემსთ ნაგისთვის პასუხსა. ამა უბნობასა შინა ლ. მოვიდა თავის აზნაურებითა. თავის რძალთ მიიწვიეს და მათ აცნობეს იოანე. ლ. პატივით მოიკითხა და დასხდენ. მაშინ ანამ ხუნრობით იოანეს აჩვენა პაპუა ორჯონიკიძე და უთხრა: აჰა, ჩვენი მოძღვარი! იოანე ზე ადგა და ეანბორა; მან ხელი გარდასწერა, გარნა არ მისცა სამ-თხეევლად; მაშინ ყოველთა გაიცინეს. რა იოანემ გამოსცნო მისი ერისკაცობა, თქვა: როგორც ერი, იმგვარი ბერიო! მაშინ მოიღეს ვახშამი და, რა კარგა ლხინს გაერთვნენ, თქვა:

ი ო ა ნ ე: ჯი ჩვენს თავს! ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვეები მწუხარებაშია.

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე: იმათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე: მისირში (ეგვიპტეს) მთლად ბეგებად ქართველნი არიან.

ი ო ა ნ ე : იგინი ლეკთაგან მოტაცებულია და გაყიდული და არა ქართველთაგან.

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე: სულ ერთია კაცი ვისგანაც ბედნიერებას მო-იპოვებს.

ი ო ა ნ ე: მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წარწყმდეს და ხორცით თავის მშობელის მამულითგან დაიკარგნენ.

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე: რომ არ გათათრდენ, ხომ ცხონდებიან, ხოლო თავის მამულის მოშორვება ერთი არა არის რა, ყველგან ადგილია კაცისათვის.

ი ო ა ნ ე: მაგ საბრალოებს სათუოში რაკ აძლევთ? ეგება ვერ შოითმინოს სატანჯველი!

ორჯონიკიძე: თუ ვერ მოითმენენ, ფაშობას მზად მიიღებენ.

იოანე: და რაღა ვთქვა? სახელოც დაგინიშნავს!

ორჯონიკიძე: თუ გნებავს, შენც მალე გიშოვი სახელოსა, მაინც მეათე გვაკლია, რომ ხალვრათ შესრულდეს.

იოანე: ჯი თქვენ სვინდისს! კოდს ბრ სჯერდებით და ხალვრათ უნდა გახადოთ.

ლ—ე: იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც ეპირებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არლა გათათრდებიან.

იოანე: ეგ თქვენი ჰაზრი ყოვლითურთ სჯულის წინააღმდეგია.

ლ—ე: რომლისა?

იოანე: სამისავე სჯულისა.

ლ—ე: ვითარ და რომლის სახედ?

იოანე: პირველად ბუნებითის სჯულისა, რომ რაც ჩვენთვის არ გვინდოდეს, იგი არც სხვას უყოთ. მეორე—საღმრთო სჯულიც ამასვე ამტკიცებს: ესრეთ შეყვარებად მოყვასისა თვისისა, ვითარცა თავისა თვისისა; ხოლო მესამე—სახელმწიფო დასამ ოქალაქო სჯულდებაც გვაყენებს ესგვარისა უწესოს საქმისაგან, რომელიც არა ჰშვენის კაცსა.

ლ—ე: ამგვარი შური პირუტყვთაცა აქვსთ, და კაცთაც იქიდამ აქვთ მიღებული, რადგან პირუტყვის მსგავსებაცა გვაქვს, და რასათვის მათ არა აქვთ კანონი?

იოანე: უი ჩემს თავს! კაცნი თუმცა სმითა, ჭამითა და ძილითა და სხვებრ მსგავსობენ პირუტყვთა, გარნა სიტყვიერებითა და უკვდავითა სულითა მსგავს არიან ანგელოზთა, და ვითარ უსწორებ კაცსა პირუტყვთა?

ლ—ე: და რაჲ არს კაცი? სწორედ მაცნობე!

კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს

იოანე: კაცი არს გულისხმიერი და მიმომქცეველი დაბადებული, შედგმული მოკვდავისა სხეულისაგან და სულისა უკვდავისა.

ლ—ე: რაჲსათვის დაბადა ღმერთმან კაცი?

იოანე: დამარხვისათვის სჯულისა და სიმართლისა, და სწავლისათვის სოფელსა შინა კეთილის საქმისა, და დიდებისათვის სახელისა მისისა.

ლ—ე: რაჲსაგან შედგმულ არს სხეული კაცისა?

იოანე: ცეცხლისა, წყლისა, ჰაერისა და მიწისაგან.

ლ — ე: რაჲ არს სული?

ი ო ა ნ ე: სული არს პსიხი, რომელიცა ჟამიერად კაცთა შორის შეწერტელობს ყოველსავე შემემცნებასა, ჰაზრსა, მსაჯულებასა და წინასწარმიღებასა, თვინიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულისათა.

ლ — ე: ვითარნი უკვე არიან თვისებანი სულისანი?

ი ო ა ნ ე: გულისხმისყოფა, ნება და მეხსიერება.

ლ — ე: რასა შინა ჰმსახურებს კაცსა გულისხმისყოფაჲ?

ი ო ა ნ ე: ცნობისათვის ჭეშმარიტებისა.

ლ — ე: რაჲსათვის ჰმსახურებს კაცსა ნებაჲ?

ი ო ა ნ ე: რათა იგი ისწრაფდეს კეთილისადმი და გარეიქცეოდეს ბოროტისაგან.

ლ — ე: რაჲ არს კეთილი და რაჲ არს ბოროტი?

ი ო ა ნ ე: კეთილი არს ყოველი იგი, რაჲცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ-შემთხვეულებასა; ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიცა გვყოფს ჩვენ უბედურად.

ლ — ე: რაჲსადმი შემძლებელ არს მსახურებად მეხსიერება?

ი ო ა ნ ე: განახლებისათვის ჰაზრთა ნამყოთა ნივთთათვის.

ლ — ე: არა აქვს რა სულსა ჩვენსა კვალად სხვანი ვითარნიმე თვისებანი?

ი ო ა ნ ე: უეჭველად მას აქვნ კვალად ხუთნი უკვე გრძნობანი, ესე იგი: ხედვა, ყნოსვა, სმენა, შეხება და გემება.

ლ — ე: რაჲსადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე?

ი ო ა ნ ე: საშუალებითა უკვე ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი შიმღებლობს მცნობელობასა არა თუ ოდეს მისთვის, რაჲცა სხეულსა შინა მისსა, არამედ მისთვისცა, რაჲცაღა გარეშე მისსა იმოქმედებიან.

ლ — ე: ვითარითა უკვე ხატითა მიმღებლობს სული ჩვენი მცნობელობასა მყოფთათვის გარეშე მისსა საგანთა?

ი ო ა ნ ე: შეწევნითა მხედველობისათა განარჩევს დიდსა მცირისაგან; მყნოსველობითა სცნობს უკვე კეთილ-სუნოვნებასა და საზიზღელთა სუნთა; სმენითა უკვე განარჩევს მაღალთა და მდაბალთა ხმიანობათა; შეხებისა გამო სცნობს უთანასწორობასა სხეულისასა, ამოვნებასა და უსიამოვნებასა, ეგრეთვე სითბოსა და სიცივესა; ხოლო გემებისა გამო ჰგრძნობს ტკბილსა და მწარესა, მჟავესა და მლაშესა და ესე ვითართა.

ლ — ე: ვითარითა უკვე ხატითა სული ჩვენი მიმღებლობს ესევითართა შემეცნებათა და ანუ სად არს ადგილი მისი?

ი ო ა ნ ე: საშუალობითა ნერვებთათა (ანუ მგრძნობელთა ძარღვებთაგან), რომელნიცა უკვე არიან თანაზიარნი კერძოთადმი გრძნო-

ბისა შემადგენელთა, რომელნიცა მიართმევენ მოქმედებათა თვისთა გონებასა, რომელიცა მდგმოებს, ფილოსოფოსთამებრ, უმეტეს ტვინსა შინა, ხოლო ტვინსა მას შინა არს უწყებული უკვე ადგილი, სადაცა ყოველნი უკვე წევრნი შეერთდებიან. და ესე არს ადგილი იგი, სადაცა ხელმწიფებს უკვე სული და ამა მოქმედებათა ძლით მომპოვნელობს იგი ყოველთა მცნობელობათა ნივთთათვის, მყოფთა გარეშე მისსა, და მიიღებს უპირველესსა შემემცნებასა, რომლისა შემსგავსებული ჰყოფს უკვე გამსჯელობასა, შეცვასა, დამტკიცებასა და ყოველსა მას, რაჲცაღა მოისწრაფვის სიხარულისადმი მცნობელობისა მისისა.

და ესეგვარითა სხვა და სხვა უბნობითა დაასრულეს ვახშამი. და იოანეც აღდგა, მთქმელი ძილის ამოვნებისა, და წარვიდა სადაცა განემზადათ მისთვის სადგური. იოანე, ფიქრისა გამო მოცული, არა მცირესა გულისმსიტყველობდა სახითა ამით: ნუ-უმე მეცა რიცხვთა შინა ტყვეთათა მითვალულ ვიქმნე! და ეძებდა ღონესა რასამე და განიზრახა გაპარვა მუნით; გარნა არა ცხად-უყო ღამბარაშვილსა, ამისთვის რომელ ნუ თუ სიღარიბემან სძლოს მას და მისცენ მას რამდენიმე ოქროჲ და თანხმა ექმნას განვაპრებასაცა ჩემსა. დამტკიცებელმან ამისამან შემდგომად შუაღამისა შეკმაზა უნი თვისი და, იდუმალ განსრული სოფლით, აღმხედრდა მას ზედა და დაიწყო ჭალასა მას შინა სიარული, და არა უწყოდა—თუ სად მიკალს. და უკანასკნელ იძულებული განვიდა მინდვრის კერძოდ და მიმოიხედებოდა, ნუთუ მახლობელ მისა იხილოს დაბა რაჲმე შესაყრდნობელად თავისა თვისასა; გარნა სიღამისა ძალით ვერა განერჩია მას. და ოდეს მოიწია განთიადი, აღსდგა ზურაბ, იხილა იოანე მუნ არღა მყოფი და აგრეთვე ცხენიცა მისი, და უკანასკნელ მაღლისა ხმითა დიაწყო ზახილი. და ოდეს ვერა მიიღო პასუხი, მაშინ გამოსცნო მან გაპარვა მისი და მსწრაფლ აღკაზმა ცხენი თვისი, ცხადუყო აბაშიძესაც. ანნა არამცირეს მწუხარებასა მიეცა და მსწრაფლ უბრძანა მსახურსა თვისთაგანსა, რათა ამხედრდეს იგი და ზურაბითურთ განუდგნენ კვალსა მისსა და უკუმოაქციონ იოანე; უკეთუ არა ინებებს იგი, მისცენ მას ხუთი ოქროჲ ბაჯაღლუსა და ცხადუყონმცა სანდურაეი კნეინასაგან, ვინადგან ეპვითა განივლტო იგი. და მსწრაფლ წარვიდნენ ესენი მინდვრისა კერძო და იქმნა რაჟრაჟ ოდენ. მაშინ მომხედველმან იოანემ იხილა ორნი უკვე ცხენოსანნი მსწრაფლ მიმავალნი თვის კერძოდ და თქვა: აჰა მოიწია ჟამი აღსრულებისა ჩემისა, მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა, და მიხსენ მე საბრხისა

ამის მონადირეთაგან! და ამ სიტყვასა შინა იხილა შორით კოშკი მაღალი ხაშურისა და მყის დაჰკრა ცხენსა მათრახი თვისი და ჭენებითა წარემართა მუნ. გარნა არა უწყოდა, თუ ვისდა მივალს იგი. ჟამსა ამასა შინა რა იცნეს მათ იოანე, ესენიცა რბევითა ცხენთათა შეუდგნენ მას. და ოდეს მიესმა იოანეს ძლიერი ბგერაჲ ცხენთა ფეხისა, მიიწია მყის სოფელსა მას შინა და იხილა ერთის გლეხისა სახლისა კარი განღებული და მსწრაფულ გარდახტა ცხენიდან და შევარდა სახლსა მას შინა; ხოლო სხვა კაცთაგანი არვინ იხილა, გარდა მოხუცისა ბებრისა და ჰრქვა: დედაო! შეიწყალე ჭაბუკობა ჩემი, მიხსენ და დამიფარე ხელთაგან უცხოთესლთასა, რომელთა ზედა ენებათ განვაჭრებაჲ ჩემი! ბებერი მყისვე მიჰხვდა სიტყვასა მისსა და ჰრქვა: მოვედ, შვილო, და დაგმალო ამა ქვეშაგებსა ჩემსა! იოანე მსწრაფულ დაწვა მუნ, და მან ბოხუცამ წააფარა დაბაბკული საბანი თვისი, და ზედან დააჯდა მას. მცირესა ჟამსა შინა მოიწივნენ იგინიცა და იხილეს ცხენი იოანესი მდგომარე კარსა ზედა მუნ ბებრისასა. და მყის შეიდა მსახური იგი აბაშიძისა და ჰრქვა: დედაო, სად არს იოანე დიაკვანი?

დედაბერმა ჰრქვა მას: არა მიხილავს შვილო!

მ ს ა ხ ურ მ ა ნ: ცხენი იმისი კარსა ამას სახლისასა დგას. გარნა იგი უარს ყოფდა, და განაგრძეს უბნობა; მაშინ იოანემ: . . . . .

[აქ დედანს აკლია]

უკეთესია—ცხად უყო ჩემი თავი; უკეთუ განმავაჭრებენ მე ვაჭართა ზედა მადიამისათა და ითხოვენ იგინი ჩემგან დატევებასა სჯულისასა, წინააღუდგები ნებასა მათსა. და უკეთუ მაიძულებენ ტანჯვითა, და შეუძლებ ტვირთად, და აღვსრულდები, მეცა მოწამეთა გუნდთა შინა აღვირიცხები. ხოლო უკეთუ ვერა ვიტვირთებ ტანჯვათა მათგან, მაშინ არა გულითა ჭეშმარიტითა აღვიარო სჯული მათი და, მიმწევმან დიდკაცობასა შინა, ვქმნა უმეტესი კეთილობანი ქრისტიანთა ზედა. და ესრეთ წარმოჯდა ქვეშაგებისაგან იოანე და ჰრქვა: რაცა გეგულვებოდეს, ადრე ყავ! ხოლო მან ჰრქვა მას: არა, უფალო, მე მოვივლინე თქვენდა ანნასაგან, რათა ცხად გიყო წყინება მისი და ამასთანა საჩუქარიცა მოგართვათ.

ი ო ა ნ ე: მითხარ, რაჲ ეწყინათ?

მ ს ა ხ ურ ი: თქვენი მაგსახით წამოსვლა, მას ენება თქვენთვის მოემადლებინა ტყვეები, და პატივით გასტუმრება თქვენი.

ი ო ა ნ ე: ვაჲ თუ ეგ არ მომხდარიყო! მე თავადისაგან სარწმუნო ვარ, მაგრამ მოძღვარ-მოწაფისაგან შევშინდი, მამა-შვილობას,

შენდობა მომითხოვე და მადლობაც მოახსენე! მაშინ მოართვა მსახურმან ხუთი იგი ოქრო. და გაშინჯა რა იოანემ, სთქვა: ესე არა ჰგავს მისირის ოქროს, ბაჯაღლუა; ეს ტყვის ნავაჭრი არ არის. ამისა გამგონემ ზურაბ ჰრქვა ბერსა: შენ ნუ მომიკვდე, თუ ხონთქარს ბაჯაღლუ ოქრო ჰქონდეს; რაზედ დამიკარგე ერთი ურემი პური?

ი ო ა ნ ე: ჩემი სულის და ხორცის დაცვა ვირჩიე ერთს კოდს უკვე ხორბალსა! და ამას სიტყვასა შინა წარვიდა მსახური იგი.

იოანემან მოიღო ოქრო და ჰრქვა: ჯი ოქროო, თუ რაოდენ შემძლებელ ხარ შენ! შენგან აღიღებიან უძლეველნი ციხენი, შენგან იძლევიან მხედრობანი, შენ გყვარობენ ხელმწიფენი, შენი ძალით დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთაცა, შენ ხარ მხიარულება ყოველთა კაცთა; მხიარულებით შეგიტკბობენ მღვდელთმთავარნი და სხვანი სამღვდელონი, მრავალგზის გააადვილებ კანონთა, მრავალგზის გაამტყუნებ მართალთა. შენ მიიზიდავ გულთა მსაჯულთა და კარის კაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგაარებისასა; შენ ხარ კეთილი და აგრეთვე ბოროტი, ვინადგან ორივე ძალგიძს. მოვიდ, განგიწიაღო! შენ დააწყნარე მძრწოლარე გული ჩემი; შენ მიეც სიმტკიცე გულსა ჩემსა; აჰა შთაგიდებ უბესა, მახლობლად გულისა, განმხიარულდი გულო! აჰა წამალი ყოვლის მწუხარებისა! და ესრეთ განხნობილი იოანე აღსდგა, ბებერი დალოცა და გამოვიდა გარე.

ოდეს იხილა საშუალ სოფლისა კოშკი და სახლნი, იკითხა: ვინ ცხოვრობს აქა? და ჰრქვეს: ხიდირბეგისშვილიო!

მაშინ იოანემ ჰრქვა ზურაბს: მივედ და აცნობე თავი ჩემი; მიგვიღებს იგი, ვინადგან ადრითვე მიხილავს მონასტერსა შინა.

მისრული მისდა, ზურაბ ცხადუყოფს იოანეს მიერ ლოცვა-კურთხევასა, და მამუკა მიიწვევს მყისვე.

იოანე, მისრული მისდა, ეტყვის მას: მონაზონობის სახით მოგიკითხო ანუ ერის-კაცობით?

მ ა მ უ კ ა: როგორც ხედავ სახესა ჩემსა!

მაშინ იოანე: მშვიდობა შენდა ნაბერალო, რად განიძარცვე, მონოზანთა სახეჲ დროს მაძიებელი ყოფილხარ და არა სულისა!

მ ა მ უ კ ა: მაგით არ წავწყმდები! და შეიწვია სახლად. შესრულნი სახლად, დასხდენ და დაიწყეს სხვადასხვაგვარი უბნობა, მოიღეს სადილი და რა განაგრძეს . . . . . .

[აქ დედანს აკლია].

დაასრულეს სადილი და კმაყოფილნი განემართნენ სურამისაკენ.

იოანემ მიმავლობასა შინა იხილა გზასა ზედან მრავალნი ძროხა და ხარნი, და ჰკითხა მწყემსთა მათ: ვისი არის ნახირი ესე? და მათ ჰრქვეს: მოურავისა.

ი ო ა ნ ე: საიდამ შეკრიბნა ესენი?

მ წ ყ ე მ ს ნ ი: ნარბევიდგან.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

მ წ ყ ე მ ს ნ ი: მდევრის კაცნი, რომელნიც დააკლდნენ მდევარს, მათი ნარბევია.

ი ო ა ნ ე: წაიღეს რამე ლეკებმან?

მ წ ყ ე მ ს ნ ი: ნახირი მოიტაცეს.

ი ო ა ნ ე: მაშ რაც ლეკებს გადარჩომია, მოურავს სისრულე მიუცია.

მ წ ყ ე მ ს ნ ი: მართლად, რაც გადავარჩინეთ, მოურავმან მიგვიღო.

ი ო ა ნ ე: ეს სჯულდება ქიზიყსაც არის, მაგრამ თუ სხვაგან სადმე გლეხი-კაცი და ხელ-მარტოა, არ დაარბევენო.

მ წ ყ ე მ ს ნ ი: ტფილისსაც რომ იყოს ჩვენგანი ხელ-მარტო კაცი და აქ მდევრობა მოხდეს, ჩვენი მოურავი მაინც დაგვარბევსო.

ი ო ა ნ ე: ვინ გიარს მოურავი?

მ წ ყ ე მ ს ი: არა უწყი, მე ახლა მოველ ჯავახეთით.

ი ო ა ნ ე: ტყუვილსა სწამებ, თავის დღეში მაგგვარი არა უქნია რა მას!.

მ წ ყ ე მ ს ნ ი: საკუთარი ყმები თვისიც ამას უჩივიან.

ი ო ა ნ ე: ვიცი, შვილო; აქ არის მოურავი?

მ წ ყ ე მ ს ნ ი: არა, შინ წავიდა.

იოანე განეშორა და წარვიდა. გზასა ზედან ზურაბსა ჰრქვა იოანემ: ესე ძნელი სჯულდებაა საბრალოს გლეხთ-კაცთა ზედა,—ასე ადვილად და თითქმის შეუძლებელად დარბევა; ეს უმჯობესია, რომელ ამ სახით იყოს: ვინც გლეხთაგანი დააკლდეს ვინმე მდევარსა, ან ცხვრით, ან ღორით, ან ღვინით, შეძლებისამებრ, გამოერთვას და იმ მდევრის კაცთ უკუმოქცევის დროს ან ვახშამი, ან სადილი გაუკეთდეს და იმათ მიიღონ; უფრო გაახალისებს ხალხსა და არც გაღარიბდებიან, რომ მკის დროს და ლეწვის დროს ხარები ერთმეორეთ და წვრილის შვილების გამომზრდელი ძროხები.

ზ ურ ა ბ ა: უცხო რჩევაა ეგე, თუ მოხელეებიც თანახმა გვეყოფიან.

ი ო ა ნ ე: სულ ცუდის მოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლულოვანებაში.

და ამა უბნობით მივიდნენ სურამს; მაშინ იოანემ გაგზავნა ზურაბ მოურავის ნაიბთან და თავისი ვინაობა ცხად უყო და სთხოვა სახლი სადგური. მან უპასუხა ზურაბს: მე ვერ მივიღებ, თვით იზრუნოს! რა ზურაბმან ესე პასუხი მოართო, იოანეს ეწყინა და სთქვა: ზურაბ, ზურაბ! მამა-შვილობამ, მოკლე ჟამის მოურავ-ნაიბი არიან! და აქა-იქ სიარული დაიწყო და სახლის ძებნა. ამ სიარულსა შინა იხილა ქაიხოსრომ მურვანისშვილმა და მიუწოდა იოანეს; მყის იოანე ცხენი-დამ გარდახდა, კურთხევით მოიკითხა, და ქაიხოსრომან წარიყვანა სახლად თვისა; მრავალნი სხვადასხვა გვარნი უბნობანი მოიუბნეს და უკანასკნელ ვახშმის ჟამს მოიღეს ვახშამი. იოანეს მოართვეს მარხ-ვის სანოვაგე, ხოლო ქაიხოსროს სახსნილო. რა ხელი ჰყვეს,

ი ო ა ნ ე: დღეს ოთხშაბათია.

ქ ა ი ხ ო ს რ ო: ვიცი.

ი ო ა ნ ე: და რად სჭამ?

ქ ა ი ხ ო ს რ ო: თათრებში დავეჩვიე.

ი ო ა ნ ე: ახლა ხომ ქრისტიანებში ხარ?

ქ ა ი ხ ო ს რ ო: ჩვეულება სჯულს უმტკიცესია.

ი ო ა ნ ე: ვიცი, ფილასოფოსნი ჩვეულებას მეორე ბუნებას ეძახიან, მაგრამ კაცმა კეთილი საქმე უნდა გაიბუნებაოს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო: მე მეფე ირაკლის ორმოცდა-თუთხმეტი წელიწადი ვემსახურე და ჩემის მსახურებისათვის ყაზახის თათრებში განმაწესა, და იმათი თავაზით შევეჩვიე მარხვის ჭამას, რომ იმათ არ ვაძლევ-დი დაბრკოლებას, და ამ სახით უფრო გაუერთგულე ის ერი მათ სიმაღლეს.

ი ო ა ნ ე: ჰგავს, ისე მოქცეულხარ, ვითარცა სწერია: „ჭამეთ წინადაგებული თქვენი და ნურარას განიკითხავთ იქვისათვის, რამე-თუ უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი“. მიბრძანე, მათ უმაღლე-სობას სადა და სად მსახურეთ?

ქ ა ი ხ ო ს რ ო: რომ ცოტა ვთქვა, მათ უმაღლესობასთან და სხვა-გან ორმოცდაათი ომი მეტი მიხილავს, მაგრამ სახელოვანს ომებში ყველგან ვხლებივარ მათ სიმაღლეს: აზათხანის ომში, რომ სამი ათასის ქართველით თვრამეტი ათასი კაცი დაამარცხა უზარბაზნოთ ბატონმან, და იმისი ურდო მთლად დაგვრჩა, რომ განვმდიდრდით. და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ ერევანს. ოთხი ათასის კაცით აჯიჩალაფის შვილი თორმეტი ათასის კაცით მოსული ბორ-ჩალოს დაამარცხა, და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ. ავა-რიის ხანი რვაათასი კაცით მჭადის-ჯვარს ადგა, დავამარცხეთ დია მცირეს ჯარით და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ. დან-

ლიზში ქიზიყის ბოლოს ვძლიეთ ლეკთა და მრავალი აღვხოცეთ: დაიმ ღამეს, დედოფლის წყაროზედ მდგომთა, დაგვესხა სხვა უდიდესი ჯარი თავსა მას გაქცეულს ლეკთან შეერთებული, და იგინიცა დავამარცხეთ, დავწყვიტეთ. ხერთვისი ავიღეთ და მრავალი ოსმალი დავხოცეთ. აბდულა-ხანი ბაგრატოანი, თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირათ და სოლალაკზედ დავამარცხეთ ღა ავწყვიტეთ. ასპინძას ოსმალოსა და ლეკის ჯარზედ გავიმარჯვეთ, რომ რუსები დაგვიბრუნდნენ, არღა გვიშველეს, და სულ ის თათრის ჯარი მთლათ ფარაოსავით მტკვარში დავღუპეთ, და მეფემან მოკლა თავისის ხელით კოხტა ბელადი. ერევნის დიდ ომში იქ ვახლდი და რვა ათასი კაცი დავამარცხეთ მეფის გიორგის მიზეზით და გარჯილობით. ავარის ხანი ოცდა ოთხი ათასის კაცით ყვარელის ციხეს შემომდგარი იყო, სამასი კაცი წავედით დაუთალაბათ და შევედით ციხეში და გავაქციეთ ეგეოდენი ჯარი. მცხეთას მიმავალს ღამე დაგვხვდა ლეკისა ჯარი, სძლო მუნ ბატონმან, თავისის ხელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ ძმათა დავხოცეთ ლეკები, სამთავ მივართვით თავები. და მაშინ მიბოძა ჯილდოდ ჯაბადართ უხუცესობა და სხვა წყალობა. ატოცის გამარჯვება ხომ შენც იცი. ქრცხინვალს, სვითებში და სხვაგან რაღა მოგახსენო! იორზედ, ყოველგან დავსწრებივარ მის სიმაღლესთან, ყოველგან სახელი მიქნია, აგრეთვე საკუთრად ყაზახში და სხვაგან. და განჯის ომშიც და აღამამათხანის ომშიც თან ვახლდი და მთიულეთსაც განუშორებლად ვიყავ; და ამისთანა გამზდელს ბატონს მოვშორდი, რატომ არა მწყევ? მაგრამ მეფის გიორგისაც მადლობელი ვარ, რომ იმავე ხარისხში ვყვანდი, და მემკვიდრეს დავითსაცა, და აწ ახლა, რადგან შვილი არა მყავს, ეს ჩემი ძმები და ძმისწულები მინდა ჩემსავე სიცოცხლეში განვყარო, ჩემი ქონება გაუყო და მშვიდობაში დაუტეო; ამისათვის მოველ აქ, და შემენდობა ამისთანა მოსამსახურე კაცს, თუ არა?

ზ ურ ა ბ ა: ვიცი, შენ მხვნელ-მთესველი კაცი არა ხარ, რომ პურით შეგვეწიო და ეგ შენდობა ერთს ხალიჩაზედ არის დამოკიდებული.

ქაიხოსრომ მყისვე მიართო იოანეს ხალიჩა და მონასტრისათვის ძროხა.

ი ო ა ნ ე: ღმერთმა შეგინდოს ეგ ცოდვაცა და სხვებიცა.

ზ ურ ა ბ ა: აკი მოგახსენეთ ქაიხოსრო, რომ შენდობას მალე მიიღებდით!

და ამა უბნობაში შემოვიდა მუნეური ტერტერა და სწავლაშიაც იყო გამოცდილი. ქაიხოსრომ უთავაზა, მიიწვია და იოანეც აცნობა,

ურთიერთი მოიკითხეს და აჭვიეს სადილს. ტერტერასი ის კვირა ხსნილი იყო და ამანაც დაუწყო ხორცს ჭამა. მაშინ—

ი ო ა ნ ე: ქაიხოსრო, აჰა, ამხანაგიც იშოვეთ, კარგად შეექეცით!

ტ ე რ ტ ე რ ა: ჩვენი ხსნილია.

ი ო ა ნ ე: გინდა თავი იმართლო, მაშინც მუცელ-ღმერთს გიწოდენ სომეხთ.

ტ ე რ ტ ე რ ა: ბერძენთაგან ბევრ მაგგვარებს გაიგონებ, თორემ თვით საღმრთო პირი სახარებასა შინა იტყვის: „პირით შემავალი არ შეაგინებს კაცსა“.

ი ო ა ნ ე: ისიც გვიბრძანებს: „თქვენისთანა ნათესავი არარაჲთ გამოვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“.

ტ ე რ ტ ე რ ა: უდაბნოს ბერები გამოცდილი იქნებით ამგვარის ნათესავითა, და თქვენმან წინამძღვარმან რაოდენი ლეგიონი განსდევნა?

ი ო ა ნ ე: წადი და თქვენს მონასტერში შეიტყობთ თუ რაოდენი განუდევნია, და აქაც ერთს მათგანს ვხედავთ, რომ სახარების სიტყვით მარხვის ჭამას აადვილებ.

ტ ე რ ტ ე რ ა: ბერძენთ მრავალი სათევზე წყალი ჰქონდათ და იმ თევზების განვაჭრების გულისთვის დასდვეს ესეოდენი მარხვა.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ღმერთმან ოდესცა შექმნა ადამ და ევა, მაშინვე მისცა მათ მცნება მარხვისა—არაჭამად ნაყოფი ხისაგან, რომელიცა იდგა საშუალ სამოთხისა. და ესესახედვე მოსე და ილია წინასწარმეტყველმან იმარხეს ორმეოცი დღე, და უკანასკნელ თვით უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან იმარხა ორმეოცი დღე, და ეგრეთვე მოციქულნი შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა იყვნენ ლოცვასა და მარხვასა ტაძარსა შინა, ვიდრე მოვიდოდა მათზედა სული წმინდა. და შემდგომცა, ოდეს მოციქულნი წარვიდეს და ქადაგებდეს, იმარხვიდეს და ილოცვიდეს, ვითარცა წერილ არს საღმრთოსა წიგნსა შინა: „მაშინ იმარხვიდეს და ილოცვიდეს და დასხნეს მათ ზედა ხელნი მათნი და განუტევნეს“ (საქმე 13,3).

ტ ე რ ტ ე რ ა: იყავნ სიტყვისაებრ შენისა! და რაჲ არს ესე, რომელ მარხვა თქვენი ესრეთ გრძელი არს, ვითარცა ჭლექის სნეულება?

ი ო ა ნ ე: მაშასადამე, თქვენი მარხვებიც მსგავს არს დღეგამოშვების ცევებასა! და მაშინ ყოველთა გაიცინეს. და რქვა ტერტერამ: მიბრძანე მე, თუ ვითარ გვარად არს დაწყება მაგა თქვენთა მარხვათა?

ი ო ა ნ ე: მე განვაგრძობ ამისთვის, გარნა მოკლისა სიტყვითა გაცნობო.

[ამას მიყვება ჩამოთვლა მართლმადიდებელთა მარხვებისა, მათი დროისა და მნიშვნელობისა და თავდება ასე:]

და ესე კმაგეყავენ, და თუ თქვენ არა განყროდით ჩვენს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, თქვენც ესრეთ გექნებოდათ კანონი.

ტ ე რ ტ ე რ ა: რომ გაგეყვენით, რა დავაშავეთ? ქრისტე ორთავე გვრწამს.

ი ო ა ნ ე: არა ჩვენსავით!

ტ ე რ ტ ე რ ა: ვითარ?

ი ო ა ნ ე: თქვენ ევტუქისა და დიოსკორეს წვალებისაგანი ხართ, რომელნიც მესამეს კრებასა შინა ეფესოისასა განგვიდეგით, ხოლო მეოთხესა შინა კრებასა ხალკიდონისასა სრულიად განგვეშორენით.

[ამას მიყვება დამტკიცება იმისა, რომ სომხები მწვალებლები არიან, რომ ქრისტეს ორი ბუნება აქვს, დიალოგი თავდემა ასე:]

მე კვალად დამასკელისას და სხვათაცა მოწმობას მრავალს გეტ-ყოდი, მაგრამ შენ რადგან არ გწამს დამასკელი, მე იმითივე დაგი-მტკიცე, რომელნიცა გრწამან.

ტ ე რ ტ ე რ ა: არც თქვენა გრწამთ ჩვენი წმინდანი ოჰანუწნელი და სხვანი!

ი ო ა ნ ე: რა საწამებელია ოჰანუწნელი, რომ მრავალნი ქრის-ტიანენი შეაწუხა?

ტ ე რ ტ ე რ ა: ვეჰობ, გული გეწვის, რომ ბერძნები დახარშა და დამდულრა.

ი ო ა ნ ე: აჰა, შენ ამტკიცებ და კაცის მკვლელი ვითა წმინდა იქნება?

ტ ე რ ტ ე რ ა: თუ წმინდა არ ყოფილიყო, ჩვენი ეკლესია არ აღიარებდა.

ი ო ა ნ ე: ომარის შვილობით რომ იყო, იმისთვის მიეწერება სიწ-მინდე.

ტ ე რ ტ ე რ ა: ის ისე მოიქცა, ვითარცა მაშინ პოლეტიკა ით-ხოვდა.

ი ო ა ნ ე: დიაღ, მაგრამ ახლა თათარნი რასაც ხარაჯას ართმე-ვენ ქრისტიანეთა, იმის ბრალია.

ტ ე რ ტ ე რ ა: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ოჰანუწნელმან სამი პირობა დაუდო ომარს; პირველი—ქრისტიანებზედ ხარაჯის აღება, მეორე—ეკლესიის მეჩითივით მო-ფენა, მესამე—საკურთხის ტერტერისა სენანის ქმნა. და ამა მიზეზით მისცა შეწევნა ომარამ და სამი ათასამდინ ბერძენნი დაამდულვრინა და დახარშა; მაგრამ ბერძენთაც ნაცვალი აგეს, არა თუ ქრისტიანების დახოცით, არამედ თქვენს სამღვდელოთ ესე უგვანის აღთქმისათვის სამასთა პირი ფინთითა გამოუტენეს.

ტ ე რ ტ ე რ ა განწყრა და სთქვა: სხვა, რაცა თქვი, რომ ჭეშმარიტი იყოს, ტერტერას სენანი კი არ არის.

ი ო ა ნ ე: დია მართალია, შემდგომად კურთხევისა ორმოც დღეს ეკლესიის კელარში შეგინახვენ, ვიდრე არ გაგიმთელდებათ სენათ ნაქნარი ადგილი. და ამაზედ განაგრძეს უბნობა, მაშინ

ზ ურ ა ბ ა: მე გაგაშველებთ მაგა ბაასისაგან!

ქ ა ი ხ ო ს რ ო: ვითა გააშველებ?

ზ ურ ა ბ ა: ტერტერამ ამოიგდოს და გვაჩვენოს და მაშინ ვცნობთ მართალსა!

ამისი მსმენელი ტერტერა ადგა და განრისხებული წავიდა შინათკენ.

[ამას მიჰყვება ტრაქტატი მარხვის შესახებ].

ქაიხოსრომ იოანეს აკოცა და უთხრა: მიხარის, რომ კარგად გისწავლია გვარი ბაასისა და წერილშიაც დაღალულხარ. გთხოვ, რომ საკუთარი მეგობარი შეიქნა ჩემი: და ამანაც, მადლობისა მთქმელმან, დალოცა, და ესრეთ დაასრულეს სადილი. და იმ დღეს მუნ განისვენა და დაიარა სურამი, გაშინჯა ყოველივე და სახვალიოდ განემზადა ძაღინისაკენ წასასვლელად.

დ ღ ე მ ე ო თ ხ ე

იოანე კმაყოფილი განემართა ძაღინისაკენ და მწუხრის ჟამს მიიწია მუნ, და იოანემ რქვა ზურაბს: იზრუნე ჩვენთვის სადგური! ზურაბ, მისრული ფალავანდიანთთან, მოიკითხამს იოანეს მიერ, და მაშინ ელიაზარ მიიწვევს მას. მისრული იოანე წინა წარდგების და ეტყვის: მშვიდობა შენდა ბრწყინვალეო მდივანო!

ელიაზარ: მე მდივანი არღა ვარ.

იოანე: ადრევ უნდა გეფიქრა.

ელიაზარ: მე პასლენიკობა აღვირჩიე.

იოანე: მე ეგ ლექსი არ უწყი.

ელიაზარ: დესპანობა, ანუ ელჩობა.

იოანე: საით?

ელიაზარ: შენის ქვეყნის კაცის ამხანაგად.

იოანე: ილისოსაკენ აპირებთ დესპანობას?

ელიაზარ: არა.

იოანე: მაშა საით?

ელიაზარ: ევროპიისკენ.

იოანე: ჰო!

ელიაზარ: და რად გიკვირს?

იოანე: ამისათვის, რომელ იცია იქაური ყოფა-ქცევა ანუ ენები ანუ ღეოღრაფია?

ელიაზარ: თვალიც დაგვიდგება! სხვამ ვინ იცის ჩვენში, რომ მე ვიცოდე? და თუ მაგას მიხედა ჩვენმა ბატონმა, ელჩს ვეღარსად გაგზავნის.

იოანე: უი ჩემს თავს! მართლად ბრძანებთ, მაგრამ ილისოს სულთანთან ელჩობასა და ევროპიაში დია დიდი დანახეთქი უძევს.

ელიაზარ: მე ვისაც მივსდევ, ამით მესამედ ყოფილა.

იოანე: სამი დიდი მტერიც გვიშოვა.

ელიაზარ: ვინა?

იოანე: ხონთქარი, ყეენი და დაღესტანი.

ელიაზარ: რა ქნეს იმათ ღირსი ხსოვნისა?

იოანე: ტფილისი დახატეს და ახტალა ვახანითურთ.

ელიაზარ: ახლა ჩემი დესპანობა იქნება ბედნიერი მაგათთვის.

იოანე: ნეტამც ეგრეთ იყოს!

ელიაზარ: შენ ილოცე ჩემთვის, უდაბნოს ბერი ხარ, და ყოველივე იქმნების კეთილი.

იოანე: სარწმუნოებისა შენისამებრ გეყავნ.

ელიაზარ: მე ურწმუნო არა ვარ!

იოანე: ღმერთმან გაშოროს ურწმუნოება, გარნა დესპანსა თანა-აძს სარწმუნო-ყოფა.

ელიაზარ: დესპანი ვითარ უნდა იყოს სარწმუნო და როგორი?

იოანე: პირველად უნდა იყოს მტკიცე თვისსა სარწმუნოებასა ზედა და ფიცსა; მეორე—უნდა იყოს ერდგული მამულისა და მეპატრონისა თვისისა; მესამე—არ იყოს ანგაარი და ქრთამის მოყვარე, ხოლო მეოთხე—სწავლული და ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის ხელს არ შესთხოვდეს.

ელიაზარ: ნამდვილ ეგრეთ, გარნა მითხარ მე: რაჲ არს სარწმუნოება?

[ამას მისდევს თავი სარწმუნოებისათვის].

ელიაზარ: მახმადიანნი რაოდენ გვარნი არიან ანუ მახმად ვინ იყო, ან რა სჯულდება გამოსცა?

იოანე: საუკუნოსა მეშვიდესა გამოჩნდა მაჰმად, ძე დავრდომილისა კაცისა, სახელით აბდალას წარმართისა, ხოლო დიდისა ემინისა იუდიანისა არაბიასა შინა ქალაქსა მაქასა, შობილი ქრ. აქ. 613. ესე ყრმობასა შინა განიზარდა სასწავლებელსა შინა იუდიანთასა და ქრისტიანობისა სჯულისა სწავლასა მიიღებს მონოზონისა სერგისაგან, უფრორე არიოზიანულსა და ნესტორიანულსა სწავლასა, უკანასკნელ მუნებურ ვისამე დიდვაჭრისა აქლემთა მხილავ იქმნა და რამოდენსამე წელს უკან მივიდა ეგვიპტეს შინა გლახაკად მცხოვრები; გარნა სახითა იყო არა დუხჭირი, და ამას ეტრფიალა მდიდარი ვინმე დედაკაცი ეგვიპტელი და შეირთო მან ქმრად ესე მაჰმადი და იქმნა მერე ვაჭარ. შემდგომად ამან რა იხილა მრავალი განხეთ-

ქილება ქრისტიანეთა შორის და მრავალ სჯულად განწვალება და
შწვალებელთაგან განყენება ერთა და აღრეულობა, ამანაც იწყო
მოქმედება ამა წარმართთა შორის, და უქადაგა, რომელ მისდა
მოივლინების მარადის ღვთისაგან ანგელოსი გაბრიელ და მიიღოცა
მან წინასწარმეტყველებისა მადლი, და რომლისაცა გონება აღორ-
ძინდა და უქადაგებდა ერთა უფრორე ხორცთა ამოვნებისა საქმეთა
და ამასთანაცა იხმარა ადრითგან მანქანება, რომელ აღზარდა მან
ხუნდი ტრედისა და აქმევდის მას ფეტვსა ყურთა შინა თვისთა
შთათესილსა. და ოდეს ჯდის იგი ერთა შორის, იცნის მან ტრედ-
მან და მოფრინდებოდის, შეაჯდებოდის მხართა ზედან და ყურთა
შინა ჰკორტნიდის, და ოდეს განფრინდის ტრედი იგი, იტყოდის,
რომელ „სული წმინდა მოვიდა ჩემდა და მამცნო მე ქადაგებად
ერთა შორის". და ესრეთ დაჯერებულ ჰყო მან ერნი მრავალნი.
და უკანასკნელ მოუწოდა თვისთანა მეგობარსა თვისსა, სერგის
მონოზონსა, ნესტორიანსა, და ვარრის, სპარსსა ევტუქიანსა და
ვიეთთამე იუდიანთა, და ამათ ძველთა და ახალთა სჯულთაგან და
სხვათა არიოზიანულთა წვალებათაგანცა და თვითცა დართვეს და
შეკრიბეს და შეაწყვეს წიგნი ალყურანად წოდებული სხვადასხვა
გვარითა სიცრუითა და ამას შინაცა მოიხსენეს, რომელ აბრამ იყო
ნამა ლაზარესი, და მღვთისმშობელი მარიამ დაჲ მოსესი! და მო-
იხსენა წიგნსა მას შინა შედგომილთა თვისთათვის ესგვარისა სა-
მოთხისა ყოფა, რომელსა შინა დაემკიდრებიან შემდგომად სიკვდი-
ლისა შედგომილნი მისნი, რომელსა შინა სდის ოთხი უკვე მდინა-
რენი, ესე იგი: რძისა, თაფლისა, ღვინისა და წყლისა, და ამას
შინა არიან პალატნი ფრთასაგან აღშენებულნი, ოქროთაგან დავარ-
ყებულნი, ყოველთა გვართა ფრინველთაგან უტკბილესნი ხორცნი
საქმელად მათდა, და უმეტეს ფარშავანგებთა, ხილნი ყოველნი გვარ-
ნი, დიდროანთა ხეთა ქვეშე დაჩრდილულნი, შვენიერთა ქალებთა
თანა განცხრომილნი, თვისსად საკუთრად ცოლებად წოდებულნი,
და მათთანა ხორციელისა გულისთქმისა დამაცხრობელნი და
ესეგვართა საქმელთა, რომელნიცა აღძვრენ გულისთქმად. და ამა
სოფელსა შინა ოთხი ცოლისა ყოლა და ხარჟთა, რაოდენთაცა შე-
ეძლოთ შენახვა; და ამასთანავე დაუდო ათისა მცნებისა ნაცვლად
შემდგომნი ესე:

ა/ერთისა ღვთისა პატივისცემა.

ბ/მშობელთა ღირსეულთა პატივისცემა.

გ/რაჲცა შენ არა გინდეს, სხვათა შენისა სჯულისა კაცთა ნუ უყოფ-
დ/დათქმულსა ჟამსა მეჩითსა შინა მიხვიდოდეთ.

ე/ყოველ წლივ წელიწადში ორჯელ იმარხევდეთ; ერთს თვეს ორჯერა, რომელსა შინა დღე ნუ სვამთ წყალსა, ნუ მოსწევთ ყალიონსა და ნურარას სჭამთ, ხოლო ღამე ყოველსავე საჭმელს იხმევდეთ სახსნილოსა და ვის რა გნებავთ; აგრეთვე ათსა დღესა რამაზანს შეინახავდეთ და ორჯერ მსხვერპლს შესწირავდეთ.

ვ/მოწყალებასა მისცემდეთ, ვინვ3დის გთხოვდეს გლახაკი.

ზ/ცოლი გიყვარდეს ქორწილსა შინა და არა სხვის შეუღლებული.

ც/არავინ მოკლათ უსამართლოთ.

თ/გრწამდეთ მოსეს ხუთი წიგნი, დავითნი, სახარება და ალყურანი უმეტეს მათზედ.

ღვთაებასა შინა იტყვიან ერთსა პირსა ღვთისა მამისასა, შემოქმედს სოფლისასა, ქრისტესა სულად ღვთისა იტყვიან და პირველ წინასწარმეტყველად და არა ღვთად, არცა ვნებულად და არცა აღდგომილად, არამედ ამაღლებულად. ხოლო სულსა წმინდასა განუყოფენ ოთხთა გვამთა, ღვთაებით გამზრახველსა მოსესადმი, დავით წინასწარმეტყველისადმი, ქრისტესადმი და მამადისადმი. ღვთის მშობელი სწამთ ქალწულად.

სწამთ, რომელ ღმერთმან ამცნო მაშადას, რათა მახვილითა მოაქციოს თვისად ერნი.

ლოცვასა დღესა შინა ხუთგზის ილოცვენ: პირველ ილოცვენ «მამაო ჩვენოს», სოლო ან იტყვიან „სალავათსა“, გარნა ყოველთვის დაიბანენ ხელთა და სასირცხოთა ასოთა ლოცვისა წინა.

ნათლისღებისა მაგიერ წინადასცვეთენ ჩვილთა, ზიარების წილ დალევენ წყლითა მიწასა ქაბისასა საფლავისაგან მამადას მოღებულისა და აგრეთვე სჭამენ მსხვერპლსა შეწირულსა.

მკვდრის დამარხვაზედ გასჭრიან მკვდარსა, გარეცხენ, და ეგრეთ ყურანის მკითხველნი მოლანი მიიტანენ საფლავად, პირს უზმენ საჭხრეთისაკენ და, ვინც მთლათ წარუკითხავს ყურანსა მკვდარსა, იქვი აღარა აქვთ წარწყმედისა.

მოლათ კურთხევა არა აქვთ, ვინც ყურანს მთლათ გარდიკითხავს, მათში ნაკურთხი იქნება.

უკეთუ იძულებული იქნას ვინმე მამადიანი დატევებისათვის სჯულისა, შენდობა აქვს დაუტევოს სჯული. ცოდვასა რასაცა იქმონენ ანუ არაწმინდებასა, ანუ სხვებ განიცდებიან, ანუ განიბანნენ წყლითა ესრეთ, რომელ ორსავე ყურში თითები ჩაირჭონ, შევიდენ წყალში, მარჯვენე ფეხი სამხრეთისაკენ გაიშვირონ და წყალში ჩაიყურყუმელაონ, მაშინ განიბანებიან ცოდვისაგან.

შეირთვენ მეორე ნათესავსა, ესე იგი ბიძაშვილსა, რძალსა, ოდეს ძმა მოუკვდეთ, სამნი ძმანი სამთა დათა, თვითო-თვითოდ შეირთვენ.

ქაბას წავლენ სალოცავად, უნდა პირველად ილოცონ იერუსალიმს, აგრეთვე სოლომონ ბრძნის საფლავზედ და მერე ქაბას მამადას საფლავზედ ილოცონ. გარნა პირველად კაცმან უნდა იხმაროს დედაკაცი და დედაკაცმა იშოვოს კაცი, და ისე ილოცონ, თორემ არარაჲ მადლი ექნებათ. და თუ ვერ იშოვეს, მაშინ კაცნი დედალს პირუტყვზედ გაიჭრიან ქებინსა და დედაკაცნი მამალზედ რაზედმე და ესრეთ ქორწინებულნი, ილოცვენ და მერეთ იწოდებიან აჯაბად. ქრისტიანეთა მოტყუება ფიცით არ არის მათთვის ცოდვა, არცა სხვისა სარწმუნოებისა; ქრისტიანეთა და სხვათა აკლება და დატყვევება მადლია მათთვის და ალალია ნაქონები მათი და ცოლშვილი რომელ თითონ შეირთონ, რომელ ამითი უცხო მრავალი ჯარი მოინადირა მახმადმან.

სწამთ აჯალი (რომელ არის წერა) და იტყვიან თუ წერა არ არის კაცისაო, განსაცდელი და სიკვდილი ვერ უფლებს მას ზედაო,—და ამითაცა მრავალი ხალხი მოინადირა მაჰმადმან.

ელიაზარ: ამ თათრებშიაც არის განყოფილება, ვითარცა ჩვენ და სომეხთა შორის?

იოანე: არის. აღმოსავლეთისა მხრის თათარნი, ესე იგი სპარსნი, არიან მახმადიანნი, ყურანიცა სწამთ და შემდგომად მაჰმადისა მოადგილედ ალია; ამათა თუმცა სწამთ აჯალი, გარნა ბოროტი არა სწამთ. რომ ღვთისა მიერ იყოს. ესენი უარყოფენ ოსმანსა, ომარსა, აბუბაქარს და სხვათა, რომელიცა სწამთ ოსმალთა. შემდგომ მამადისა წმინდად სპარსთა სწამთ კვალად ქალბალა, ჯაფარ, ასეინ, უსეინ, რომელ ამა ორთა დღესასწაულსაც გარდიხდიან რამდენსამე დღეს და მოწამედ რაცხვენ, ვითამ თავის მამამან დახოცა მამულის გულისათვის უსამართლოდ, და ამის გულისათვის თავებსაც დაისერვენ სამართებლით და მრავალს სისხლს იდენენ, იგლოვენ და იტირებენ. და ესენი იწოდებიან შეიდად, და მისთვის სძაგთ ერთმანეთი ოსმალთა და ყიზილბაშთა, და არც დამოყვრდებიან ერთმანეთში და მწვალებელს ეძახიან ერთი მეორესა.

აგრეთვე ოსმალნი შემდგომად მამადისა იტყვიან მემკვიდრედ და წმინდათ ოსმანს, სწამთ ომარ, აბუბაქარ მეეთი და სხვანი. სწამთ ავიცა და კარგიცა ღვთისა მიერ იქნებოდეს, და თუმც არ ნებავდეს, არ შეეძლოს კაცს ავის ქმნა; ესენი გმობენ ალიასა და ზემოხსენებულთა სპარსთა წმინდათა და ამისათვის არს მათ შორის განხეთქილება და იწოდებიან სუნად.

არიან კვალად თათარნი, რომელთაცა სწამთ მამადა, გარნა ჩვეულება აქვთ სხვადასხვა. და ამათ შორის ხირაათანად წოდებულნი, რომელთა ჩვეულება მოუღიესთ, რომელ წელიწადში ერთხელ

მოუათ ესე დღეობა. საღამოს დროს სოფელში მცხოვრებნი ანუ ქალაქში შეკრბებიან, კაცნი ერთს სახლში, ხოლო დედაკაცნი მეორე სახლში; და ღამე განიხდიან დედაკაცნი მიფხავთა და შთაყრიან საადაცა არიან მამაკაცნი შეყრილნი, ბნელაში, და მაშინ ყოველი კაცი აღიღებს თითოსა მიფხავსა დედაკაცისასა და ვისიც მიფხავია, იგი უნდა იხმაროს მან კაცმან. იმ ღამეს მრავალჯერ მოხდება წყეულთაგან თვისთა მშობელთა და დათა და შვილთა თანა ამა მიზეზითა აღრევა და სხვათა ცოლებთა თანა. მაშინ

ზ უ რ ა ბ მ ა ნ: იოანე! რატომ ერთხელ არ დაესწრები მაგ დღეობაში, ეგების შენც გერგოს ვინმე! და განიცინეს ყოველთა.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს, შე ავო კაცო რას ამბობ?

ე ლ ი ა ზ ა რ: დია განუსვენე აზრსა ჩემსა. და კერპთმსახურნიც მრავალგვარნი არიან?

ი ო ა ნ ე: მრავალგვარნი, და უფრო ინდოეთსა და კიტაიასა შინა; ინდოეთს ცეცხლის თაყვანისმცემელნი, აგრეთვე წყლისა, რომელნიც ყოველ დღე შეელენ წელამდინ წყალში და დგანან განთიადიდამ მზის ამოსვლამდინ, და ეეედრებიან; ოდეს მზე აღმოვა, გამოვლენ ხმელად.

არიან კვალად ჩამოსხმულთა სპილენძთაგან, კაცთა სახითა, მაიმუნთა, თხათა და ესვითართა ზედან ილოცვენ, აგრეთვე ამერიკასა შინაცა.

ქურთნი მზეს თაყვანისცემენ ყოველ დღე და ესენიც მზგავსნი არიან კერპთაყვანისმცემელთა.

[მერე მიჰყვება ტრაქტაქტი სხვადასხვა სარწმუნოებათა შესახებ].

ზ უ რ ა ბ ა: ეგეცა კმარა ქადაგებად, თუ დაგიჯერა ვინმე, და ახლა ვახშამი ვჭამოთ!

ი ო ა ნ ე: ზურაბ, ნასომხარი ხარ და მუცელი გძლევს ისევ! და გაეცინათ ყოველთა და მოიღეს ვახშამი. ამ დროს ერთი მორთული მანდილოსანი შემოვიდა, ყოველნი სხვანი ფალავანდისშვილები აღსდგნენ და სალამი მიართვეს. მაშინ ელიაზარმან აცნობა მეუღლეობა თვისი; იოანე წარდგა, სალამი მიართო და ჰრქვა: მშვიდობა თქვენდა ბრწყინვალავ თავადინავ! მან მადლი უბრძანა და დასხდენ. რა მცირეს საჭმელსა ხელჰყვეს, მაშინ იოანემ თქვა: ბრწყინვალავ თავადინავ! თქვენც მიბრძანდებით ევროპიასა შინა?

თ ა ვ ა დ ი ნ ა: არა, მამაო!

ი ო ა ნ ე: ევროპიაში რადგან ჩვეულება არს დესპანთაგან თვისთა მეუღლეთა თანა წარყვანა, ამისათვის ვიკადნიერე.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: ამისათვისაც ვწუხვარ, არათუ მეც წავიდე.

ი ო ა ნ ე: ურთიერთარს სიმძიმე უნდა იტვირთოთ.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: უჩემობას დაითმენს.

ი ო ა ნ ე: მაშასადამე ჩანს სარწმუნო ბრძანდებით თქვენის მეუღლისა.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: უეჭველად.

ი ო ა ნ ე: ესე დიაღ კეთილი საქმეა და სჯულის დაცვაა.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: აქ ასე ვიცნობ.

ი ო ა ნ ე: ვაჲ თუ ეგ მცნება დაავიწყდეს; იქ დიაღ გრილი ქვეყანაა!

თ ა ვ ა დ ი ნ ა: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ასეთი ჰაერია მუნ, რომ გულს მალე გაუგრილებს კაცს.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: კაცისაგან ყოველივე შესაძლებელ არს, მაგრამ ვსასოებ, კარგნი ამხანაგნი მიზდევენ და მცნებას არ დააკლებენ.

ი ო ა ნ ე: გლეხური ანდაზაა: „ცხენი ცხენთან დააბით, ან ზნეს გამოიცვლის ან ფერსაო“.

თ ა ვ ა დ ი ნ ა: ფერისა რა მოგახსენო და ზნეობაში კი არა უპირსთ რა, ვიცნობ მათ.

ი ო ა ნ ე: ზნეობითის ფილასოფიიდამ კი იციან ესე: „ჰქმენ იგი, რაჲცალა სრულ გყოფს შენ და მდგომარეობასა შენსა“, ამ სიტყვის ჰაზრისა და განმარტებისა კი რა მოგახსენო!

თ ა ვ ა დ ი ნ ა: მაშა ესე უნდა იცოდნენ; ნუ იქმ მას, რაიცალა შენ და მდგომარეობასა შენსა არა სრულ ჰყოფდეს.

ი ო ა ნ ე: ჭეშმარიტად მოგიგე, ვაქებ გონიერებასა თქვენსა ამა მცნებისათვის მეუღლისა თქვენისა დასამარხველად. და მერეთ შესვა ღვინო იოანემ სადღეგრძელო მათი, და ესრეთ უბნობითა ამით დაასრულეს ვახშამი; და წარვიდა იოანე თვისსა გამზადებულსა სადგომსა შინა.

დ ღ ე მ ე ხ უ თ ე

ხოლო ხვალისა დღეს იოანე განემზადა რუისისაკენ, გამოესალმა მდივანს და წარემართა საჩუქრიანი. იოანემ უთხრა ზურაბს: სად ვისადილოთ? ზურაბმან: საღოლაშენს მინბაშ ამირეჯიბთანაო. და წარემართნენ მუნით· რა მიიწივნენ სოფელსა შინა, იოანემ გაგზავნა ზურაბ მინბაშთან და შესთვალაცა ლოცვა-კურთხევა. ზურაბ, მისრული მოიკითხამს მათ, და იგინი აჩვენებენ საჯინიბოსა, რომელსა შინა იყო ოთახი სტუმართ-სადგურად. შესრული მუნ, იოანე უწყებს ცხენთა შინჯვასა და იხილავს, რომელ თითოსა ცხენსა თითო კაცი ჰყავთ მიჩენილნი, რომელნიცა სწმენდენ ცხენებთა და ქვეშე უგვიან და უმშრალებენ მიწათა და უცხოდ სუფთათ ინახვენ. ესე განკარგულება მოეწონა იოანეს. და უკანასკნელ იხილა ორნი ყმაწვილნი, ნეხვსა ზედა მსხდომარენი, ტალახით შესვრილნი, ნაგავ-გარდაყრილნი, გარნა სახითა კარგნი, უკაცოდ მოთამაშენი ურთიერთისადმი და თქვა: ვინა არიან ესე ყრმანი? მაშინ მუნ მდგომარეთაგანმა ვინმე ჰრქვა: ძენი ამირეჯიბისანიო!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ამ ქვეყანაში პირუტყვთ უფრო პატივი სდებიათ პირმეტყველზედ, და უკუნიქცა. ამ ჟამად მინბაშიც მოვიდა, იოანემ მშვიდობით მოიკითხა და მანცა შეიტკბო და დასხდენ. მაშინ მინბაშმან ჰკითხა თვისი მგზავრობის მიზეზი, და ყოველივე მიუგო იოანემ. და უკანასკნელ მინბაშმან ჰკითხა იოანეს: როგორ მოგწონსთ ჩემი ცხენები? რადგან ხიზიყელი ხარ, ისინიც კაი ცხენებს ეწყობიანო?

ი ო ა ნ ე: ცხენებიც უცხოდ მომწონს და მოვლაცა, მაგრამ ყმაწვილებისა კი რა მოგახსენო!

მ ი ნ ბ ა შ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: თითო ცხენს ოროლი მომვლელი ჰყავს და ორს თქვენს შვილებს არცა ერთიო.

მ ი ნ ბ ა შ ი: ჩვენც მაგ სახით ვყვანდით მშობელთა ჩვენთა.

ი ო ა ნ ე: ცუდი მაგალითი გისწავლიათ.

მ ი ნ ბ ა შ ი: ცხენები ჩვენნი მაცოცხლებელნი და სახელის მომპოვებელნი არიანო.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

მ ი ნ ბ ა შ ი: ჩვენ მრავალნი მტერნი გვებრძვიან და ომში თუ დავმარცხდებით, სიკვდილისაგან მოგვარჩენენ; და თუ გავიმარჯვებთ, ჩვენ მტერს მიგვწევენ, მოვკლამთ და შევიპყრობთო.

ი ო ა ნ ე: შვილები, რომ კარგად დაზარდოთ ღა ასწავლოთ, უფრო ბევრს კარგს სახელსა იქმთ; და მაშინ ჯოგსაც გაიჩენთ.

მ ი ნ ბ ა შ ი: ჭეშმარიტს ბძანებთ, მაგრამ ურჩნი არიან შვილნი ჩვენნი. აჰა ეს უფროსი შვილები, არც არას ესენი მიჯერებენ.

ი ო ა ნ ე: დია მართებთ მორჩილება შვილთა მშობელთა თვისთა.

მაშინ მინბაშის შვილთა თავი იმართლეს და თქვეს: რა ვყოთ, არავინ არ გვასწავლის და არცა თქვენისთანა ვინმე მოსცა აქა, და რასაც მცნებას მოგვცემ, ვეცდებით დამარხვასა. ეგრეთვე მინბაშმან სთხოვა, რომ მცირე რამ ზნეობისა უბრძანეთ რამეო, ვინადგან მესმის თქვენი ეგე მეცნიერება! მაშინ იოანემ მოიღო საწერელ ქაღალდი და დაუწერა შემდგომნი ესე შემოკლებით ზნეობის სწავლა:

ა) იყავ კეთილმსახურ და მართლმადიდებელ.

ბ) სასოებდე ღვთისა ზედა და გიყვარდეს ყოვლითა გულითა შენითა.

გ) იყავ ერთგულ წინაშე ეკკლესიისა და ყოველი განწესება მისი წმინდად დაიცევ და წმინდათა მამათა განწესება კეთილად შერაცხე.

დ) გიყვარდეს მშობელნი შენნი, მორჩილ ექმენ მათ, და პატივეც შეძლებისაებრ შენისა, და დღეგრძელ იქმნე.

ე) შეუდეგ კეთილმოქმედებასა და ივლტოდე ბოროტისაგან.

ვ) იყავ ერთგულ მეფისა შენისა, მამულისა და სჯულისა.

ზ) იყავ კეთილგონიერ, სჭვრეტდე დასასრულსა საქმისასა, განსჩხრიკე საშვალი მისი და ნუ უტევებ პატიოსანთა საქმეთა შინა დროსა.

Თ) იყავ პატივისმცემელ და მორჩილ მოძღვრისა შენისა და მღვდელმთავრისა შენისა.

თ) ნურარასა ჰყოფ განუსჯელად და, ოდეს განსაჯო კეთილად, ნუ იქმნები მას შინა დაყოვნებული.

ი) გიყვარდეთ ძმებთა ერთმანერთი, ვინადგან ერთის მამისაგან წარმოებულნი ხართ, და ერთის დედისა მუცლიდგან გამოსულნი;

გიყვარდენ კეთილისმყოფელნი თქვენნი და მოძულეთა თქვენთა ულოცევდით.

ია) რაოდენ ძალ-გედვათ, ილოცევდით და მაშინც ყოველ დღივ იტყოდეთ საუფლო ლოცვასა „მამაო ჩვენოსა“.

იბ) ნუ ყოველსა იტყვი, რაჲცა იცი, ანუ გაგეგონოს, არამედ თვისსა დროსა და ჟამსა ზედა.

იგ) ნუ მოუმატებ დაბარებულსა საქმესა ზედან, სიტყვასა ნურცა გარდაცვლი და ნურცა გაგონილსა ზედან სხვასა რასამე მეტსა შესძინებ.

იე) ნუ ყოველსა სიტყვასა ზედა ერწმუნები.

ივ) ნუ ყოველი გსურინ, რაჲცა იხილო.

იზ) ნუ ყოველსა იქმ, რაჲცა ძალგიძს, არამედ ქმენ იგი, რაიცა ჯერ იყოს.

იᲗ) ნუ შეებმი ესგუარ საქმესა, რომლისა აღსრულება არ ძალგედვას.

ით) რაჲცა არა იცოდე, ნუ დაამტკიცებ და ნუცა უარ-ჰყოფ, და უფრორე მაშინ, ოდეს კითხვა იყოს შენდამი, რომლითა იქმნე კეთილგონიერი.

კ) იყავ მომთმინე, კრძალულ და დამპყრობელ თავისა თვისისა, და ამისა ძლით სცნობ თავსა თვისსა.

კა) ნუ იქმნები მეშურნე და ნურცარა ვისიმე შეგშურდების.

კბ) ცილსა ნურავის შესწამებ და ნურცა ვისმე შენს უფროსთან დააბეზღებ, გარდა სჯულისა, მამულისა და მეფისა მუხანათისა კიდე.

კგ) უჯეროდ ნურასა სჭამ და ბევრს სამთვრალოს სასმელს ერიდე, ვითარცა საწამლავსა.

კდ) თუ არ გშიოდეს, ძალად ნუ სჭამ.

კე) თუ არ გწყუროდეს, ბევრს წყალს ნუ დალევ.

კვ) გაუფრთხილებლობისა გამო და ცუდის ყოფაქცევისა მიზეზით წარმოდგებიან სხვადასხვა გვარნი სნეულობანი და ამასთან სიკვდილი.

კზ) დამპყრობნი თავისა თვისისა და წადილისა თვისისანი ცოცხლობენ კეთილად და ხანგრძელად.

კᲗ) იყავ მშვიდ და ნუ იქმნები კადნიერ.

კთ) იყავ მდუმარ, ვიდრე მოუბარ; ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, მაშინ შენ სდუმენ.

ლ) ოდეს შენდამი უბნობდენ, გონიერად უსმენდე.

ლა) ოდეს გიბრძანებდენ მთავარნი შენნი, მორჩილ ექმენ.

ლბ) ნუ იქმნები მოქადულ.

ლგ) ნუ იქმნები ზვავ და ამპარტავან.

ლდ) ყოველთადმი იყავ ალერსით და ნუ პირმოთნეობით.

ლე) იყავ მართალ და სარწმუნო.

ლვ) ნურარაი გსურინ სხვისა და უფრორე ნუ იპარავ.

ლზ) რასაცა შინა გაქვნდეს საჭიროება, მოირეწე იგი შრომითა.

ლᲗ) უკეთუ დაგლახაკდე, ნუ გრცხვენის, ითხოვდე და ვინც რაჲ მოგცეს, მიიღე მადლობით.

ლთ) რაჲცა ივასხო, ანუ ისესხო, კვალადვე მიეც აღნათქვამსა დროსა, რათა საჭიროებისა დროს სხვათაგანცა მიიღო შეწევნა.

მ) ვისიც რამ გემართოს, ნუ გალანძღამ, რათა სხვანი არ დააფთხო.

მა) უკეთუ არა ძალ-გედვას, ნუ აღუთქვამ.

მბ) რაჲთცა აღსთქვა, აღასრულე.

მგ) იქმენ მხნე და შრომის მოყვარე; ხოლო მცონარობა უტევე უქმთა, ვინადგან მცონარება არს დასაბამი ყოვლისა უბედურებისა.

მდ) გიყვარდეს სწავლა და, უკეთუ არას ისწავლი, დიდის კაცის შვილს უსწავლელს ფილასოფოსნი ოქროს ვირს უძახიან.

მე) უკეთუ გენებოს რაისამე წყება, პირველად გამოიცადე ძალი შენი და მერე განაგრძე იგი, და ნუ მომედგრდები მას შინა.

მვ) უბედურობასა შინა ნუ შესწუხდები, ბედნიერებასა შინა ნუ მოუძლურდები.

მზ) ბედნიერებასა შინა ნუ დაივიწყებ კაცობრიობასა, რამეთუ კაცნი ქვემდებარე არიან ბედნიერებისა და უბედურებისაცა; და კვალად ვინადგან ბედნიერება არს დაუდგრომელი, რომელი ამიზეზებს სხვადასხვას შემთხვევასა და ხშირად მწუხარებასა.

მᲗ) რასაცა სულგრძელებით მოითმენ, მისთვის სულმოკლენი ოხვრენ, სტირიან და ვაებენ.

მთ) იყავ კეთილმიდრეკილ და მოწყალე.

ნ) მთხოველთა მიეც, რაოდენ ძალგედვას, და უკეთუ არა გაქვნდეს, კარგისა სიტყვით გაისტუმრე.

ნა) დავრდომილთა შეეწიე, უკეთუ შეგეძლოს.

ნბ) თუ შეგაწუხოს ვინმე, მიუტევე მას.

ნგ) თუ შეაწუხო ვინმე, მშვიდობა ჰყავ მისთანა.

ნდ) საქებელ არს დაპყრობა რისხვისა და მიტევება შეცოდებისა.

ნე) ყმათა შენთა უდიერსა ნურარას დასდებ ხარკსა.

ნვ) ყმანი შენნი შეძლებისამებრ იმსახურე და უსამართლოდ ნურას წაართმევ.

ნზ) ყმათა შენთა მსახურებისამებრ მათისა უწყალობე და დანაშაულსა შინა იყავ მოწყალე, გარნა ყოველთვის ნუ მიუტევებ, რათა არა განირყვნენ.

ნშ) ოდეს იქმნე კაცთმოყვარე, იქმნეცა შეყვარებულ ყოველთაგან.

ნთ) იყავ უმაღლესთა შენთა მორჩილ, თანასწორთა კეთილადმქცევ და უმდაბლესთადმი თავაზიანი.

ჲ) ვინც მოგეგებოს, მოიკითხე, და ვინც მოგიკითხოს, ნაკვალი აგე.

ჲა) ვინცა დაგპატიჟოს, მადლობა ჰკადრე და შენც მიიწვიე.

ჲბ) მკითხველთა მიუგე.

ჲგ) უმეცართა ასწავე.

ჲდ) შეწუხებულთა ნუგეში ეც.

ჲე) უკეთუ შეძლება არა აქვნდეს მკვდრის პატრონს, დამარხვად შეეწიე.

ჲვ) ნუ ვინმე გძულს, არამედ ყოველთადმი კეთილ-მსურველ იყავ.

ჲზ) გიყვარდენ მეზობელნი შენნი და უსამართლოდ ნუ ებრძვი მამულთათვის.

ჲშ) მსახურე, ვისიცა თანაგაძს, რაოდენ შეგეძლოს, რომლითა ათნებდე ყოველთა.

ჲთ) მოყვარეთა იქმენ საყვარელ და მაშინ მტერთაცა არღა ძალუძსთ მოძულება.

ო) იტყოდე მარადის სიმართლესა და ნურაოდეს იუბნებ ცრუდ.

ოა) ნუ იქმ უსამართლოებასა.

ობ) ქვრივთა და ობოლთა ნუგეში ეც.

ოგ) სნეულთა მოუარე.

ოდ) უცხო შეიწყნარე.

ოე) საპყრობილეთა მყოფთა მოიკითხამდე და ნახევდე.

ესე დაიცევ და იქმნე კეთილ-მიმთხვეულ და ესრეთ წარუკითხა იოანემ. მინბაშმან მადლობა მოახსენა, ესე წიგნი ჩამოართო და მოიღეს სადილი. მაშინ მინბაშმან იწყო მატაკარანობა (სუფრაჯობა), და რადგან სუფრაჯის რიგია ქართლში,—პირველად გარიგების დროს საპმელსა თვითონ დაისხამს და მერე სხვათა მიართმევს. მინბაში დია სწყალობდა საპმელსა და უყვარდა, და თავისთვის ეგეოდენი დაისხა, რომელ თითქმის ზურაბს დია მცირე ერგო და მაშინ ზურაბმან ჰრქვა: ბატონო მინბაშო, რადღა არიგებთ შაგ საპმელთ, ბარემ სულ თქვენ მიირთვით!

მ ი ნ ბ ა შ ი: არ გაგიგონია: „ჯერ თავო და თავო, მერეთ ცოლო და შვილო".

ზ უ რ ა ბ ა: არც ეგრეთ უნდა.

და მაშინ იოანემ შერისხა ზურაბს და დააჩუმა.

მაშინ მინბაშმან იოანეს უთხრა: არა სცოდნია თქვენს მოწაფეს, რომელ საზრდელი არს მაახლი კაცთა ძალისა ცხოველობისა.

ი ო ა ნ ე: კეთილად ბრძანებთ, გარნა ნაყროვნება უჯერო არს და ცოდვა.

მ ი ნ ბ ა შ ი: რაჲ არს ნაყროვნება?

ი ო ა ნ ე: ნაყროვნება არს ერთი შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათაგანი, კაცთა ძალისა ცხოველობისა დამკლებელი და უკანასკნელ სულისა წარმწყმენდელი. ხოლო ნაყროვნება ნიშნავს უწესოდ სიმაძღრესა.

მ ი ნ ბ ა შ ი: რაჲ ვჰყო, არც მე მინდა, მაგრამ ჩემს აღსარებას გეტყვი: თითქმის ვერ გავძღები, და თუ გავძეღ, კიდე მალე მომინდება საჭმელი.

ი ო ა ნ ე: ეგე კუჭის სიკეთე არის, რომ მალე ხარშავს საჭმელსა და ინელებს; აგრეთვე ექიმობის გვარით, თქვენ გვარს ეგრეთ მჭამელისას იტყვიან, ვითამც მგლის გვარად აქვნდეს კუჭი, და იმ ხასიათისა, და ამის გამო არ მოეკიდოს გაძღომა.

მ ი ნ ბ ა შ ი: მაშა ვითა ჯერ არს, რომ კაცი სასმელ-საჭმელში იქცეოდეს?

ი ო ა ნ ე: რაც ჩვენს ცხოელობას შეეწიოს, ეგოდენი უნდა მიიღოს, და არა მეტი. აჰა მე მოგახსენებ: თუ კაცმან უჯეროდ და ურიგოდ ჭარბობით მორწყოს ბოსტანი, ბაღი, ვენახი ან სხვა მოსავალი და მალმალ, როცა არ ეჭირება, ხომ წაუხდება იგი მოსავალი და არღა რიგიან გამოსცემს ნაყოფსა? ეგრეთვე კაცნიც მოზრდობით მსგავსნი მათნი ვართ და, თუ დამეტებით მივიღებთ სასმელსა, საჭმელსა და უჯეროდ, მაშინ დაამძიმებს კუჭსა, შეუქმს ინთილასა, შემოიტანს მრეკვალსა, მუცლის ჩხვერასა, ცივებასა, სნებასა, თავის ტკივილსა და სხვათა მრავალთა სნეულებათა. და ურიგო სმითა და ჭამითა და უკრძალველობითა ყმაწვილობის გამო უკანასკნელ სიბერეში სიჭაბუკის ურიგო ცხოვრებისა გესლი მოასწრობს მას, და ესრეთ სნეულობით განატარებს ცხოვრებასს თვისსა.

მ ი ნ ბ ა შ ი: ყოვლითურთ კმაყოფილ ვიქმენ თქვენგან და გთხოვთ მიბრძანოთ, ამირეჯიბობა რასა ნიშნავს, ან რა გვარია?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! სხვაგან არსად ბძანოთ, დიდი სირცხვილია, რომ თქვენ მე მკითხავთ თქვენს სახელოს!

მ ი ნ ბ ა შ ი; ვითარ?

ი ო ა ნ ე: ეჯიბი ხომ ქორწილებშიაც გაგიგონიათ, რომ პირველ ღვინოს ვინც შესვამს, დაუძახებს: „ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს“, და ის სიტყვას მიუგებს და მადლობას ეტყვის.

მ ი ნ ბ ა შ ი: ეგ ჩემს ქორწილში (. . . . .) მაცნობეთ.

ი ო ა ნ ე: ეჯიბი ძველად მეფეთა შორის საქართველოსათა იყო სახელი ანუ ხარისხი ესგვარი, რომელ ამ ეჯიბის ხელთ იყვნენ ყოველ-

ნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა შინა იგივე მიუგებდა მეფისა წინ დარბაისელთა, და მას ეტყოდენ დარბაზის-ერნი რაჲ ენებათ მეფისა მოხსენებად; და ამის მიერ მიეცემოდათ პასუხი, და მისა წინა პირველ ვერვინ შევიდის თვინიერ მისა. ხოლო ამირეჯიბობა ნიშნავს უპირველესსა ეჯიბსა და ამის მიხედვით ვინც ქორწილსა იქმს, მამაკაცს სამ-დღეს მეფეს ეძახიან, და მის მაგიერ მოლაპარაკეს— ეჯიბს. გარნა თქვენ ამა მიზეზით გაგიკვირდათ, ვინაიდგან იყვნენ მეფეთა ეჯიბნი წინაპარნი თქვენნი, თორე ხართ ძველათ ფალავანდიანთ გვარი.

და ამ სიტყვით დაასრულეს სადილი. იოანეს კვალად მადლი უთხრეს ესოდენ სწავლებისათვის და ყვეს კმაყოფილი. იოანე გამოესალმა და წავიდა რუისისაკენ.

საღამო ხანს მიიწივნენ რუისს.

ი ო ა ნ ე მ—ზურაბს: იღვაწე ჩვენთვის სადგური, მივედ ყოვლად-სამღვდელოს მიტროპოლიტთან, ჩემ კერძო ეამბორე და უმდაბლესად სთხოე სადგური. ზურაბს მისრულს მროველთან შეიწყნარებს, უბრძანებს სადგურის მიცემას და ვახშმად თვისთან მიიწვევს. იოანე, მცნობი ამისა, მივალს მისთვის გამზადებულსა სახლსა შინა, განიხდის საგზაოსა ტანისამოსსა, შთაიცვამს სხვასა და ესრეთ წარვალს მიტროპოლიტთან.

ოდეს მივალს მიტროპოლიტთან, იოანე უყოფს მეტანიას და კრძალვით მოსთხოვს ხელსა და იტყვის: გვაკურთხე ყოვლად-სამღვდელო მეუფეო! მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: კურთხეულ იყავ!

და იოანე ეამბორა ხელსა. მაშინ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი უბრძანებს: საიდამ გიძღვის უფალი?

ი ო ა ნ ე: კავთის ქვაბთახევის მონასტრიდამ, და ან ძაღინით.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: მოგიგლიეს ცასა ქვეშე.

ი ო ა ნ ე: არა ეგრეთ, გარნა ესა ვარ, უფალო.

გაეცინა მიტროპოლიტს და უბრძანა დაჯდომა, და მერეთ ჰკითხა თვისი ვინაობა, და ყოველივე ცხად უყო იოანემ. და უბრძანა მიტროპოლიტმან: თარხნიანთაც შეეძლოთ თქვენი გამოზრდა, რომ ესოდენი შრომა არ მოეცათ თქვენთვის. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: ყოვლად-სამღვდელოო! ნეტარ იმათ არა წაართონ რა, თორემ მაგდენს არას მიართმევენ.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: მამაშვილობამ, მამაცაანიც მაგგვარ შვრებიან!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! თქვენც გყოლიათ მაწუხებელი.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: იგი წყეულ-შეჩვენებულები, რასაკვირველია.

ი ო ა ნ ე: ნუ სწყევთ, უფალო! მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: მართალია ჯერეთ უცხონი არიან წყევა-შეჩვენებისა.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

ზ უ რ ა ბ ა: ამათ ყოვლად-სამღვდელოესობას გარდა, ვგონებ, პირველ გარდაცვალებულთა მიტროპოლიტთა ხუთთა და ექვსთაგანცა იყვნენ დაწყევლილი და შეჩვენებული.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: დია მართალს ამბობს!

ი ო ა ნ ე: და არა მოიქცნენ იგინი.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: ვითამც არც კი სმენიათ.

ი ო ა ნ ე: მაშასადამე, შესჩვევიან ყოველსა წყევასა და შეჩვენებასა ის უკეთურნი.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: ავაზაკნი არიან.

ი ო ა ნ ე: როგორც იყოს, მოთმინება უნდა იხმაროთ და მოაქციოთ.

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: აჰა შენ უქადაგე, მეცნიერს გეძახიან და, თუ მოაქცევ, ერთს ურემს პურს გაჩუქებ.

იოანემ მადლობა მოახსენა. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: ახა ვაგლახთა, უჩუქარი დავრჩით!

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: ვითარ?

ზ უ რ ა ბ ა: თქვენ რომ ამას გიჯერებენ, ყმანიც არიან და სამწყსონიც, ქიზიყელს დიაკვანს რას დაუჯერებენ?

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი: შე გიჟო, ნუ იქნები უსასოო!

ზ უ რ ა ბ ა მ მადლობა მოახსენა და მოიღეს ვახშამი.

[ამას მიჰყვება ტრაქტატი საეერარქიო ხარისხთა შესახებ].

და ამა უბნობით დაასრულეს ვახშამი და წავიდნეს თვის თვისსა სადგურსა.

მეორე დღეს იოანე აღდგა და წარვიდა ეკლესიად; რა კარგა გაშინჯა, თქვა ესრეთ მწუხარედ: სამიტროპოლიტოს ეკლესიას არა შვენის ესგვარ განწყობილობაო! მაშინ მამაცაშვილი გამოეცნაურა და ჰრქვა: აჰა მამაო, ჩვენ მაგისთვისა გვწყევს, რომ შემოსავალი აქვს და არას ახმარებენ.

ი ო ა ნ ე: არა, შვილო, უნდა მოუთმინოთ თქვენს ნწყემს-მთავარს და არა სთქვათ ძვირი, ვითარცა წერილ არს: „არ სთქვა მთავართა შენისათვის ძვირი“.

მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი: მაგაზედ დანაშაული გვაქვს, გულფიცხელობით გვეპირს ეგე.

ი ო ა ნ ე: კათალიკოზი გყავთ და, თუ უსამართლო მოგადგეთ რამ, მას უნდა მოახსენოთ.

მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი: ეგეც ბევრჯელ ვქენით.

ი ო ა ნ ე: თქვენ გუჯრები არა გაქვთ? ვითარ გიწერიათ სარგებლობა მუნ,—მაჩვენეთ მე.

მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი: მოგართმევ.

იოანე წარვიდა მროველთან და ყოველივე მამაცაანთ დარიგება მოახსენა და გუჯართა გაშინჯვის ნება სთხოვა. მან ინება და მოიღო მამაცაშვილმა. ეწერა მუნ ათის-თავისა აღება, რადგან სახლთხუცესი იყო, ხოლო სხვებრ არ იყო გარჩეულ, თუ რომლის შემოსავლიდამ აეღოთ. და ამაზედ აქვნდათ სამდურავი, და აგრეთვე უჯეროდ თავის სამოურაოს ხალხს ამუშავებდენ.

იოანემ გაშინჯა ეს ყოველი და მოახსენა ყოვლად-სამღვდელოს: ამა გუჯრითა ყოველთვის გექმნებათ სანდურავიო ამისთვის, რომ რომელიმე კი უნდა ერგოს ამ სახლთხუცეს და რომელიმე კი არაო.

მ რ ო ე ლ მ ა ნ: მსაჯულობა მომიცია და შენ გაგვიკვლიეო.

ი ო ა ნ ე: მამაცაშვილო! აჰა სწორე სამართალი: რაც ახვნევინო, ათესინო, ბაღი, ვენახი აკეთებინო მროელისათვის, რაც შემოსავალი მოვიდეს, ან ღალა ან კულუხი და გლეხთ დებულება, აქედამ გერგებათ ათისთავი, აგრეთვე მუშა ეკლესიის ყმისა, რადგან მოურავი ხარ. ერთ დღეს გიხნან, ერთ დღეს გიმკონ და ერთ დღეს ვენახი გიმუშაონ, ესეც ინებოს მროველმან. სხვებრ ნუ შეაწუხებ. თავის ნებით ვინც ძღვენს მოგიტანს, ამას არც ყოვლად-სამღვდელო დაუშლის.

სხვებ რაც კონდაკით მოიგებს ამათი ყოვლად-სამღვდელოება ან აწირვინებს ვინმე, ან ისე მოართმევს ვინმე რასმე, ამაში საქმე არა გაქვს. აგრეთვე თავადს, ვისაც დამარხავს ამათი ყოვლად-სამღვდელოება, საიმტვერიოს და საწირავს ეს მიიღებს, ხოლო ნიშანი რაც იქნება და საფლავის ფასი, უნდა გაიყიდოს და ეკლესიას შეენახოს და სადაც რა წახდეს გააკეთოთ. აგრეთვე რაც შემოსავალია იქიდამ შენი ათისთავი, ვითარცა ზეით დავწერეთ, დეკანოზის ულუფა, კანდელაკისა და სხვათა ეკლესიისა მსახურთა უნდა გარდაიდოს, აგრეთვე მროელისათვის, სადილ-ვახშმისა თვისთა მოსამსახურეთა და სტუმართათვისცა იკონომია. ხოლო სხვა რაც დაშთეს, პურიცა, ღვინოცა და სხვა ნივთნი, უნდა ყველა გაიყიდოს და ეკკლესიას მოხმარდეს შესამოსლად თუ სხვებ. აგრეთვე შენი შეწევნა უნდა აჩვენო ამათ სამღვდელოესობას სტუმარზედაც, ჯარში, მუშაობაში, აქეთ-იქით საქმეზე გაგზავნით და ესრეც მშვიდობა მოიგევით. მე ამაზედ მეტი არღა ძალმიძს, რომ ვიკადნიერო.

მაშინ ყოველთა მოეწონათ ეს განკარგულება და დააზავნა მამაცაანი მროველს, და მუნით მმადლობელი იოანე წავიდა გორისაკენ.

იოანე მივალს გორს და ზურაბა მიიწვევს თვისსა სადგომსა. მცირე ხანს უკან იოანე დაივლის ამა გორის ქალაქსა, ციხესა, და მდებარეობა მისი დია მოეწონება. და უკანასკნელ მივალს ამილახვართანა და აცნობებს თვისსა ვითარებასა. ამილახვარი მიიღებს მას კარგად და სადილათცა არლა უტევებს, და მერეთ ჰკითხავს თვისსა ვითარებასა; და იოანე ცხად უყოფს ყოველსავე, და ეტყვის ამილახვარი: გიჟი ზურაბა რათ გაიამხანაგეთო? მაშინ

ზ ურ ა ბ ა: ესე მეცნიერი კაცია და, თუ გიჟი არა ხლებოდა ეს ვით გამოჩნდებოდა ჭკვიანათაო?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: თავის წინამძღვართან როგორლა ჩანს?

ზ ურ ა ბ ა: რაგვარადცა ჩემთანა.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ჩემი წინამძღვარი გიჟი გგონიათ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ერნი ასე უბნობენ.

ი ო ა ნ ე: იმათ კი დაეჯერებათ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ასე სწერია: ორისა და სამისა მოწამითა დაემტკიცოს ყოველიო.

ი ო ა ნ ე: მდივანბეგიც ბრძანდებით, მაგრამ მოწმეები, მტერნი და მეშურნენი არ უნდა იყვნენ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: თარხნიანიც ასე ამბობენ.

ი ო ა ნ ე: გიჟთ ყოველი ჭკვიანი გიჟათ ეჩვენებათ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ზურაბა, თქვენ როგორ გგონიათ?

ი ო ა ნ ე: მე ხომ გიჟი არა ვარ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: მაშასადამე ზურაბა გიჟი ყოფილა.—და გაეცინათ ამაზე და მერე უთხრა ამილახვარმან იოანესა: გორი ვითარ მოგეწონათო?

ი ო ა ნ ე: უცხო მდებარეობა აქვს და შემკობილია ადგილით. შენობებიც ქვითკირით ბევრია, მაგრამ ხუროთ-მოძღრულად ვერ არის ნაშენი და განკარგული და არც სასწავლებელის და ხელოვნების მასწავლელნი ყოფილან აქ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და ხელოვნება, რომ აქ იყოს?

ი ო ა ნ ე: რომ არ ყოფილა, კიდეც ეტყობა!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ასეა თქმული: ცოდნამ დააქცია ქვეყანაო.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! მაგას ნუ ბძანებთ. ნარი აღიღევით ცოდნიდამ და ვინი დართევით, მაშინ სცნობთ, თუ რომელს დაუქცევია.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ვერ მივხვდი მაგას!

ი ო ა ნ ე: როდესაც ნარს მოუსპობთ და დავრთავთ ვინსა, მაშინ ცოდნა ცოდვად გამოვა. და ამან დაგვაქციაო. და თუ გვეცოდინება რამე, ცოდვასაც მოვშორდებითო.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ბევრი მეცნიერია, რომ ცოდვაშიაც იყოს და ავსაც ასწავლიდეს კაცსა.

ი ო ა ნ ე: მაგისთანა კაცსა ფილასოფოსნი მყრალს ჭურჭელს ეძახიან, რომ მას შინა იდგეს მირონი სურნელი, ცუდს სუნს მიიღებს მისგან. ეგსახედ მეცნიერებისაცა ცუდად მხმარებელი განრყვნის თავსა თვისსაცა და სხუათაცა. მართალსა ბძანებთ!

სწავლისა და ხელოვნებისათვის

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: დია მათნე და მითხარ: რაჲ არს სწავლა და ხელოვნება?

ი ო ა ნ ე: სწავლა არს ცხადი მცნობელობა ჭეშმარიტებისა, განმანათლებელი გულისხმისყოფისა, უბიწო მხიარულება ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუკისა და შესაყრდნობელი მოხუცებულისა, ნუგეშინისმცემელი უბედობასა, ხოლო ბედნიერებასა შინა განმაშვენებელი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: რაოდენნი არიან უპირველესნი სწავლანი?

ი ო ა ნ ე: რვანი, ესე იგი: ღვთის-მეტყველება, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, მედიცინა, რიტორიკა, პოეზია ანუ ლექსთ-მთხზველობა, ფიზიკა და მათემატიკა.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: ვითარ სახე არიან ეგე სწავლანი, ანუ რას შემეცნებას მოგვცემენ ჩვენ?

ი ო ა ნ ე: 1. ღვთის-მეტყველება არის სწავლა ღვთისათვის და საღმრთოთა ნივთებთათვის.

2. იურისპრუდენცია არს სწავლა სიმართლისა და მართლიადობისა ჩვეულებათა, და სჯულთა შესახებელთა ვიდრე მართლმსაჯულობისადმი.

3. ფილოსოფია არს სიბრძნის-მოყვარება, რომლისა ძალით შეეემცნებით საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა.

4. მედიცინა ანუ მკურნალობა არს სახმარი დაცვისათვის კაცობრივისა სიმრთელისა.

5. რიტორიკა არს სწავლა, რომელიცა ასწავებს გვარზედ უბნობასა და წერასა, ქებასა და დიდებასა, შეთანასწორებასა, ვითარცა წერილთა ეგრეთვე სიტყვათაცა მიდრეკადად და სხვათა თვისდამი კერძოისა.

6. პოეზია ანუ მელექსეობა არს ხელოვნება გამოთქმად ენითა ვნებათა თვისთა, აგრეთვე საქებრად ანუ საკიცხველად, შეწყობა კანონიერად ხმოვანთა და უხმოთა მარცვალთაგან ლექსისა და განწყობით დაბოლოებად სიტყვათა და გამოხატვა საგანთა ცხოვლად, რათამცა მის ძლით აღძრულ ჰყოს გული და სული.

7. ფიზიკა არის სწავლა, რომელიცა ცხად-გვიყოფს ჩვენ ბუნებითთა გამოცხადებათა, გვასწავებს მცნობელობასა თვისებათა სხეულთასა, თუ ვითარ იგინი მოქმედებენ ნაცვალგებობით და სხვებრ; ამას შორის იგი განსხვავდების ბუნებითისა ისტორიისაგან, რომელიცა მხოლოდ გვასწავებს ჩვენ მცნობელობასა ბუნებისა წარმოებისასა და გვაჩვენებსცა მაგალითთა მათ, რომელთაგანცა იგინი განსხვავდებიან.

8. მათემატიკა არს სწავლა, რომლისა ძალით განერთვის მცნობელობითა რაოდენობათა და განზომათა სხეულთა შორის. და იგი არს პირველი და უმთავრესი სწავლა ყოველთაგან სწავლათა მით, რამეთუ იგი მდგომარეობს მხოლოდ ერთისა ოდენ დამტკიცებასა შინა. ხოლო ესე შეიცავს თვის შორის არითმეტიკასა, ღეომეტრიასა, შტერეომეტრიასა, ტრიღონომეტრიასა და ალღებრასა, რომელსაც მე თვისსა ჟამსა შინა ყოველსავე ნათლად განცხადებულ ვჰყოფ; და მაშინ სცნობთ სახელებით, თუ რაი სარგებლობა აქვს ამა ზემოხსენებულთა სწავლათა.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი: დია კარგა მაცნობეთ, ხელოვნებაცა მიბძანეთ.

ი ო ა ნ ე: ხელოვნება ორგვარია: საქმითი და ხედვითი. ხედვითი უკვე ხელოვნება არის ღვთის-მეტყველება, ფილოსოფოსობა, ვარ-

სკვლავთ-მრიცხველობა და სხვანი. ხოლო საქმითი არის, გამოცდილებითი და მეხსიერებითი; სწავლა ხელით-მოქმედებითი, ესე იგი მესაკრაობა, მხაზველობა, მხატვრობა, ოქრომჭედლობა, მესაათობა, შაბაქათ-მომჭრელი, გამოქანდაკება, მქსოველობა ფარჩათა და სხვათა, მოთამაშობა ანუ მროკველობა. და ამათვე სცნობთ გარჩევით თვისთა დროთა შინა.

და ამა უბნობით დაასრულეს სადილი. იოანე კმაყოფილი გამოეთხოვა ამილახვარს და წარვიდა სადგურსა თვისსა. იმ ღამეს მუნ განისვენეს.

დ ღ ე მ ე ზ ვ ი დ ე

. ხოლო ხვალისა დღეს წარვიდენ ქრცხინვალსა. მისრული იოანე და ზურაბ ეძებდენ სადგურსა დასავანებლად მუნ, და მაშინ იხილა მაჩაბელმან პორტიშვილმან და იცნა ზურაბა და ჰრქვა: ზურაბ! ვინა არს ეგე შენთან მყოფი ბერი?.

ზ უ რ ა ბ მ ა ნ: ესე არს ქვაბთახევის მონასტრიდამ სწავლული კაცი და ვრონინებთ საკალმასოდ.

მაშინ მ ა ჩ ა ბ ე ლ მ ა ნ: მწერალს ვეძებდი და უკეთეს ვის ვიშოვნი? გთხოვთ ჩემთან წარმოხვიდეთ და მე ვიზრუნვებ თქვენთვისა.

ამათ ნება სცეს და უბრძანა მსახურსა თვისსა წარყვანება მათი სადგურსა თვისსა. წარვიდენ ესენი, მიიღეს უცხოდ, და მოვიდა მაჩაბელი და იოანე მოიკითხა ალერსით და იოანემაც მადლობა ჰკადრა. და უკანასკნელ დია შეატყო მაჩაბელსა სახეზედან მწუხარება.

ი ო ა ნ ე მ ა ნ ჰრქვა: ბრწყინვალეო თავადო! ვგრძნობ სახესა ზედან თქვენსა მწუხარებასა.

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი: მართალს ბრძანებთ.

ი ო ა ნ ე: შეიძლება მიბძანოთ.

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი: მეც ამისთვის მოგიწვიეთ.

ი ო ა ნ ე: მიბძანეთ!

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი: ჩემი უფროსი შვილი ჩემ უნებურად გლეხის ქალს ერთავს. და ეს არის, კაცი მომივიდა, რომ თუ არას უშველით, ამ კვირას ჯვარს დაიწერსო. და ამ სიბერის დროს ამ სირცხვილში მაგდებს.

ი ო ა ნ ე: რატომ თავადის ქალზედ არავისზედ რთავთ?

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი: რამდენი გამოურჩიე, მაგრამ ის გლეხის ქალი შეჰყვარებია.

ი ო ა ნ ე: სიყვარულს ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ შვილს კი არ უჯობს თავის დედმამის ურჩება, ამისთვის—სულითაც მავნებელ ექმნების და ხორცითაც.

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი: გთხოვ, ასეგვარად მიმიწეროთ წიგნი, რომ საკადრებელი იყოს მისთვის, ეგების თავისი უგუნურებითი ფიქრი განაგდოს.

ი ო ა ნ ე: დია, უფალო, მიბოძეთ ქაღალდი და საწერელი!—მსწრაფლ მიართვეს იოანეს და იოანემ ხელჰყო შემდგომითა სახითა ამით მიწერა:

„საყვარელო ძეო, გარნა ურჩო მამადედისაო! ძრწოდე განუსჯელობისათვის შენისა, ძრწოდე წყევისაგან მშობელთა შენთა, გეშინოდეს ღვთისა, და უკანასკნელ გენიისა, რომელსაცა სირცხვილეულნი საქმენი შენნი გიმზადებენ შენ.—შენ მიგიღებიეს გონება, ოდესცა უგუნურებითსა სურვილსა აღუტყინებიეს შენ შორის ქორწინებისა ყოფად, და გწადნოის მდაბიოსა და არც რაჲსამე ქალისა თანა შეუღლება, რომელიცა, თვინიერ გმობისა და კიცხვისა კიდე, არა რაჲსამე შემძლებელ არს მორთმევად შენდა და გვარისადმი ჩვენისა.—გწერ მამაშვილურად, უკეთუ სრულჰყოფ საძაგელსა განზრახვასა შენსა, მაშინ არღა იწოდები ძედ ჩემდა; წყევა ჩემი ყოველგან შეგიდგების შენ, და იწოდები ვითარცა ურჩი და განრყვნილი ძე, ვითარცა უძღები შვილი, მორონინე უდაბურთა ადგილთა შინა მშიერი და შიშველი. ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვამდე შენდა არა გეკნების შენ შესაყრდნობელად არცა სახლი მამისა შენისა, არცა გვარეულთა შენთა და არცა სახლი ყმათა შენთა, არამედ ციხე საპყრობილოდ და კოშკში ბნელი საუკუნოდ სამყოფად, თხოვნითა მისისა სიმაღლისადმი. და ესრედ შევედ თავსა შორის თვისსა, მოიგე გონება, განსაჯე და ნუ იყოფი ულირს მამისა შენისა, რომელიცა მოგელის შენ დამორჩილებულად“.

ოდეს მიუვიდა წიგნი ესე, მყის ყმაწვილი მოეგო გონებასა და მოვიდა მამისა თვისისა თანა. მაშინ მაჩაბელმან იოანეს მადლი უბძანა და კარგად მოიმადრიალა; იოანემაც კარგად დააზავნა იგინი და ის დღე და ღამე მუნ გაათივა, ყოველგან მოიარა, მოიწონა ადგილი, და ხვალისა დღე გაემართა მეჯვრის-ხევისაკენ.

ᲛᲔᲠᲕᲔ

მისრული მუნ, იოანე და ზურაბ მივლენ ერთისა ქვრივისა დედაკაცისა სახლად და სთხოვენ სადგურსა; ხოლო იგი მიიღებს მათ. და იოანე, რა შეევალს სახლსა მას შინა, იტყვის: მშვიდობა სახლის პატრონავ! იგი უჩვენებს ერთსა ძველსა ნაბადსა, დაგებულსა ცეცხლის პირად, და ეტყვის: დაბძანდით, მამაო! იოანე დაჯდება, განიხდის ფერხთა, და ჰკითხავს დედაკაცსა: ეს შვიდი ყრმანი ვისნი არიან? იგი ეტყვის: ჩემი.

ი ო ა ნ ე: ქმარი გივის?

დ ე დ ა კ ა ც ი: არა, მამაო! არც ქმარი, არც მაზლი. არც დედამთილი, მხოლოდ მე ვზრდი ამა ჩემთა ობოლთა.

ი ო ა ნ ე: გაქვს რაიმე ქონება?

დ ე დ ა კ ა ც ი: მხოლოდ ესე სახლი და მცირე საბოსტნე ადგილი, და უფრო მოწყალებით ვიზრდები.

ი ო ა ნ ე: ვინ არის შენი მებატონე?

დ ე დ ა კ ა ც ი: აქამდინ ბატონის-შვილისა ვიყავით, ახლა საერისთაოდ დაგვდეს.

ი ო ა ნ ე: მაინც ვის ეკუთვნით?

დ ე დ ა კ ა ც ი: ჯერ არა ვართ მიჩემებით ვისდამე, საერთოდ ვყეევართ.

ი ო ა ნ ე: მაშა ხარაჯი ერთი გექმნებათ აქაურთ გლეხთა?

დ ე დ ა კ ა ც ი: ოღონდაც!

ამჟამად ერთი მსახური შემოვიდა და უთხრა: ერისთვის სახლთხუცესმა და ნაზირმაო—ძღვენი გააკეთე და გამოგზავნეო.

ი ო ა ნ ე: ქვრივი დედაკაცია და ობლების პატრონი, ამას ძღვენს როგორა სთხოვო? და ამგვარი ბევრი რამ სიტყვები სთქვა ერისთა-

ვიანთზედა და იმათ მოხელეებზედა, რომელიც ერისთვიანთა და იმათ მოხელეებს უსიამოვნოდ შეექმნებოდათ. იმ კაცმა იოანეს ვინაობა იკითხა.

ზ ურ ა ბ ა: დოსითეოს არქიმანდრიტის დიაკვანია, იმისგან გამოგზავნილი სათხოვრად.

კაცმან მიუგო: მაშ ერისთვიანთ მტრისაგან ყოფილა გამოგზავნილი და ერისთვიანთზედ მაგისთანას ლანძღვას უბნობს ფიცხელაურების გულისათვის!

წავიდა კაცი იგი და უამბო თავის ბატონებს ერისთვიანთა. ამჟამად მუნებურმან მღვდელთაგანმა სცნო იოანეს მუნ ყოფა, მსწრაფლ მოვიდა იოანესთან, ვინადგან იცნობდა წინამძღვარსა; იოანემ უთავაზა, ერთმანეთს ეამბორნენ და სიყვარულით მოიკითხეს ურთიერთი, და თავის ვინაობაც აცნობა იოანემ და მიზეზი თვისის სიარულისა. რა მცირე იმუსაიბეს, მღვდელმან იოანე მიიპატიჟა სახლად თვისსა, საბრალო ქვრივ-ობლები ვერ გიმასპინძლებენო. წარვიდნენ მღვდლის სადგომისაკენ. იმ დროს ერთი ერისთვის-შვილი შემოხვდა და უთხრა იოანეს: ფიცხელაური ბერი ჩვენის მტრობისაგან არ დაცხრა და ახლა ჩვენს მამულში შენ, დიაკვანი, ჩვენ სალანძღავათ გამოუგზავნიხართო! უთხრა და სცა კობალი კუნკულსა, კუნკული გააგდებინა. შიშნეული იოანე განივლტო ბარბაცით, თავ-სისხლიანი. და მისძახა: ახლავ დაიკარგე შენ, ფიცხელაურის დიაკვანოო, აქ მოსულხარ და ჩვენ გელანძღაო!

იოანემ დაუძახა ზურაბს, ცხენი მოიყვანეო, შეჯდა და თქვა: განვეშორნეთ ამ ბარბაროზთა! და წარვიდნენ ჭალისაკენ. გარნა დიდად შეაწუხა თავისგატეხილობამა იოანე, და მაშინ ზურაბმა შეუხვია თვისითა სარტყლითა თავი, და ესრეთ მიიწივნენ მწუხრის დროს ჭალასა და ეძიებდნენ სადგურს. ამ ძებნაში იხილა ერასტიმ ამილახვრის შვილმან ზურაბ და დაუძახა თვისთანა, და იოანეც მიიპატიჟა. ერასტის ადრევე შეეტყო მუნ დასწრებულისა მსახურისაგან, რომელსაცა ეანბო იოანე ბერის გალახვა. და რა იოანე მიახლოვდა და ერასტიმ იხილა ბორბლად თავშეხვეული, მაშინ

ე რ ა ს ტ ი: ვინ მოგართვათ ეს მიტრაო, რომელმა ერისთავმა?

ი ო ა ნ ე: ვმადლობ ღმერთსა, რომ ამ საჩუქრით განვერე ხელთაგან მათთა!

და ერასტიმ შეიწვივა სახლსა შინა, მოიკითხეს ურთიერთი და მერე ყოველივე თვისი ვითარება უანბო იოანემ. და ამჟამად შემოვიდა გიორგი ამილახვარი, შვილი ქაიხოსროსი, და, რა თავშეხვეული იოანე იხილა, ჰრქვა ერასტის: ვის ბიურთმევია თეთრი ბარტყულა ამ ბერისათვის?

ე რ ა ს ტ ი: ერისთვიანთა.

გ ი ო რ გ ი მ ი ო ა ნ ე ს: რომელმან გცა ყვრიმალსა?

ი ო ა ნ ე: არა უწყი; მაგრამ ვინ დასხა იგინი ერისთავად?

გ ი ო რ გ ი: მემკვიდრემ.

ი ო ა ნ ე: არა სცოდნია ეს, თუ სამღვდელოთ კაცთ ასე შეურაცხ-ჰყოფდენ, ვითა მე; და ჩემი არქიმანდრიტიც ბევრი ლანძღეს.

ე რ ა ს ტ ი: კარგა მორჩომილხარ, რომ ფეხებიც არ შემოგამტ-ვრიეს.

ამჟამად მოიღეს ვახშამი; სხვანიცა ამილახვრის-შვილები მოვიდნენ და დასხდნენ ვახშმათ. ამჟამად შემოვიდა გიორგი, რომელსა უწო-დებდენ გოდად, და უთავაზეს სხვათა და უთხრეს: მობრძანდი ძმაო გოდაო!

ი ო ა ნ ე: ვის დაურქმევია ავაზაკის კაცის სახელი? ასე მსმენია რომ გოდა იყო ოსი, ავაზაკი, კაცის და ტყვის მყიდავი, რომელიც მეფე ირაკლიმ გარდააგდებინა ავაზაკობისაგანო.

ე რ ა ს ტ ი: მართალს ბძანებთ, და ამასაც ავაზაკობით უწოდეს ასე.

ი ო ა ნ ე: რა უქნია ღირსი მაგისი წოდებისა?

ე რ ა ს ტ ი: ყოველნი თვისნი სახლისკაცნი მომდურავნი, ნაჩხუ-ბარნი და დალახულნი, ამასთან მღვდელმთავარი ჩვენი სამთავნელი, აგრეთვე გლეხნი უკანასკნელ განწირულებაში, და სხვა რაღა მო-გახსენოთ?

ი ო ა ნ ე: ბატონო გიორგი, გოდად წოდებულო! თუმცა ყმაწვილი კაცი ბძანდებით, მაგრამ აღარც ისე ყმაწვილი ხართ, რომ ავისა და კარგის გარჩევა არ გქონდეს,—ჰხედავ ამათ? შენზე ხნით უფ-როსნი არიან, ნამსახურნი მეფეთა და ომსა შინა დაჭრილნი, და გარჯილნი მამულისათვის; და ამათ, ვითარცა მშობელსა შენსა, ისე პატივს უნდა უყოფდე. აგრეთვე თქვენ მღვდელმთავარს ვითარ უნდა ჰკადრო რამე, რადგან ქრისტეს სახე არის. იფიქრე, თუ რო-გორი ხელმწიფება აქვთ განხსნისა და შეკვრისა მიცემული და ამისთვის ხომ არ არის თქვენთვის დადგინებული, რომ შეურაცხ ჰყოთ? მაშინ

გ ი ო რ გ ი მ უთხრა: სწორეთ მაცნობეთ, ვითარის სახით არის ჩვენი მღვდელმთავარი სამთავნელი?

ი ო ა ნ ე: ამ სახით, მე გეტყვი: ჯერ არც ამილახვრობა იყო თქვენ გვარში და არც ეს საამილახვრო გეჭირათ, რომ ათცამეტნი მამანი, რომელნიც მოვიდნენ ასურასტნიდამ საქადაგებლად ქრისტესა დროსა მეფისა ფარსმანისასა, ქრისტეს აქეთ 566, მაშინ ამა ათცა-მეტთაგანი მამა ისიდორე დასვეს სამთავნელად, ეკლესიასა ამას შინა, სამთავისად წოდებულსა, რომელიცა აღაშენა ვახტანგ გორ-

გასლან მეფემან. და მუნიდგან იწოდებიან ამა ეკლესიისა მოსაყდრენი სამთავნელად.

გ ი ო რ გ ი: სამთავისი რასთვის უწოდეს ამ ეკლესიას?

ი ო ა ნ ე: ვახტანგ გორგასლან, მეფემან საქართველოსამან, აღაშენნა ოთხნი ეკლესიანი: წილკანისა, სამთავისისა, მეტეხისა, გალმამხარსა და რუისისა. და ოდეს გაშინჯეს ეს ეკლესიები, მაშინ ხუროთ-მოძღვრებით და აღშენებულობით უფრო აქეს სამთავისი. და უწოდა ესრეთ სამთავ ეკკლესიათა, ესე სამთავესი უმჯობესიაო, და მუნიდგან ეწოდება სამთავისი.

გ ი ო რ გ ი: ვითარ არის ჩვენი ეკკლესია ახლა?

ი ო ა ნ ე: ოდეს იორამ ზედგინიძემ, თქვენმან დიდმან პაპამან, განარინა მოღალატეთაგან მეფე გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, სიკვდილისაგან, და მან დასდო სული თვისი მეფისათვის, მაშინ მეფემან მიუბოძა მათს შვილებს ამილახვრობა, ქართლს სპასპეტობა, გორის მოურაობა, ვორიჯვარი, ციხე, და სამთავისის ეკკლესია სასაფლაოდ, ქრისტეს აქეთ 1465, და მუნიდგან თქვენნი შთამომავლობანი მუნ ესაფლავებიან.

გ ი ო რ გ ი: მღვიმე ვითარ არის ჩვენი?

ი ო ა ნ ე: მღვიმე მონასტერია და არა საყმო. ხოლო მღვიმის ეკლესიასა შინა მეფემან სვიმონ ინება თქვენის გვარისა დასაფლავება, რომელნიცა მძეგვს მეფის წინაშე დაიხოცნენ, ოსმალოს ომში, ექვსი თქვენგანნი და სამნი ტუსიანნი, რომელნიც ზედგინიძეობდენ ძველად; და ბძანა სვიმონ მეფემან პატივით მათი დამარხვა დიდსა ეკკლესიასა შინა, შიო მღვიმელის მონასტრისასა. და მუნ-ჟამიდგან ჰფლობთ მას დროსამებრ.

გ ი ო რ გ ი: დია კარგათ გვაცნობეთო, რაც გვიბრძანეთ. და გორისჯვარს ვერცხლის ნაწილებით ჯვარი ვისგან არს ქმნული?

ი ო ა ნ ე: ოთხი ჯვარიც კიდევ ვახტანგ გორგასლან მეფემან გააკეთებინა თავის ტანის სიგრძე, რაც სიგრძე თვით ვახტანგ იყო, იმ სიმაღლით, და თითოს თავის აღშენებულს ზემოხსენებულს ეკკლესიებში დაასვენა, და დღესასწაულობაც განუწესა, ვითარცა აწ არს გორის-ჯვარში ხალხის მისვლა. გარნა სამი იგი ჯვარი აღარსადა ჩანს და ერთი იგი, აწ რომელიც გორის ჯვარს ასვენია, იგი არს. იტყვიან, ოდეს დიდი ლაშქრობა იქნებოდა და ძლიერი მტერი მოვიდოდა, ამ ოთხს ჯვარს გაასვენებდენ, ჯვარის მტვირთველნი ლაშქარნი ამას შეუდგებოდნენ. ერთს იმერეთ-აფხაზითურთ გაუძღვანებდენ, მეორეს ქართველთ, მესამეს სამცხე-საათაბაგოს, მეოთხეს კახელთ, და ამის სასოებით ძლევას შეიმოსდენ ყოველთვის.

გ ი ო რ გ ი: ისიც გაგვიმარტე, ავი კაცის სახელი რომ სხვას ერქვას, მაგით ავი კაცი რად იქნება?

ი ო ა ნ ე: მე მაგგვარი არ მომხსენებია. იუდა განმცემელსაც ერქვა და ძმასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, გარნა პირველი იყო უსჯულო, ხოლო მეორე წმინდა; და ახლა ვინც იმ განმცემლის იუდასავით მოიქცევა, და იმ კაცს რომ დაუძახონ იუდა, უნდა სცნო, რომ იუდას განმცემელი სახელი მიაწერეს, ვითარცა თქვენ, ვინადგან იგიცა მისი მობაძავი იქმნა. და ამისთვის, რადგან ეს გიორგი ავაზაკობს, ამისთვის გოდა უწოდეს. და ესრეთ მართებს კაცს, რომ კარგის კაცის სახელი თვით მიიწეროს, კარგის ყოფა-ქცევით. ვითარცა სწერს წმინდა პავლე „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესი“.

გ ი ო რ გ ი: განუსვენე ჰაზრსა ჩემსა და მიბძანეთ ესეცა, თუ თვისნი მებატონენი ვითარ უნდა ექცეოდნენ თვისთა ყმათა, ანუ ყმანი თვისთა მებატონეთა?

მ ო ნ ა თ ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: 1) რადგან ნებითა ღვთისათა მიეცა კაცთა მონება უფლისა თვისისა, მართებს მას მონასა, რათა არღა ოხვრიდეს მისთვის. და არცა განწესებულისა მისისა უღლისათვის, და გულსმოდგინებით აღასრულდეს განწესებულსა თვისსა.

2) პატიოსანთა მსახურთა თანა-აძსთ ერთგულება ცხადი, სიმდაბლე, მორჩილება და მოთმინება, ოდესაც აძხილებდეს უფალი მათ სიტყვით; და რისხვასა შინა არა ნაცვალი სიტყვისგებით, არამედ მდუმარებით ყოფა, რომელიც უკანასკნელ სარგებელ ექმნების მათ. ეგრეთვე ჭირთა შინა და დევნულებათა და ნაკლულევანებათა შინა თვისთა მებატონეთა თანა ტვირთვა და დათმენა და გულსმოდგინეთ მსახურება.

3) ესეცა თანააძს მსახურსა და მონასა, რათა ფრთხილ იყოს და მოცალე სარგებლობისათვის უფლისა თვისისა, იყოს ერთგულ და გულსმოდგინე მისგან რწმუნებულსა საქმესა შინა, და ეგრეთვე დაცემულებასა შინა შეწევნა ყმათაგან უფლისა თვისისა, რაოდენ ძალედვას.

4. დროსა მუშაკობისასა თვისისა უფლისა სამუშაოსა უნდა გულსმოდგინედ უმუშავებდეს და არცა ცრუოდეს საქმესა შინა. და ამის ძლით მიიღებს უფლისა თვისისაგან მადლობასა და წყალობასა კეთილად-მსახურებისათვის.

უ ფ ლ ი ს ა თ ვ ი ს

1) უფალთა თანააძთ, თვისთა ყმათა ზედა, რათა იყვნენ მყვარე-ბელ, და ბრძანება მათი იყოს მრთელითა განმსჯელობითა და სამართლიანის საქმითა, რომლისა ძლით უფროორე ადვილად მოიყვანს მორჩილებასა შინა.

2) არა შესაბამ არს, რათა ფიცხელად ექცეოდეს უფალი ქვეშევრდომთა თვისთა, არცა უჯეროდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავებდეს, ვინაიდგან იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისაცა, რათა არა ამის ძლით შთაიგდოს გულსა თვისსა შიში და სიძულვილი, რომლისა გამო არღა ექმნების შთანერგულ თვის შორის ჭეშმარიტისა სიყვარულისა და ერთგულებისა.

3) ოდესცა ამხილო სიტყვით ანუ საქმით სხვათა შენთა, მერეთ მასთანვე შეაერთე მოწყალებაცა, და სიმართლე იხმარე ხელმწიფებასა შინა, და ესევითარითა ხატითა სიტყვა შენი ამხილებს გულსა მისსა და თანამდებობასა თვისსა ჰყოფს მხიარულებით.

4) ოდეს ნაკლულევან იქმნენ მოსავლითა ანუ ჰაერისა გამო, ანუ სხვებ, შეეწიე ნაკლულევანებასა მათსა, და მის ძლით გაიერთგულებ გულსა მათსა.

5) აგრეთვე, თუ ნაკლულევანებასა ზედა საქონელთა ანუ ხართა, ანუ ძროხათა ზედა იხილო ვინმე მონათა შენთგანი და ძალგედვას, შეეწიე მათ მიცემითა მათთა, რათა მის ძლით შეიძლონ მუშაობა, გამოზრდა თავთა თვისთა და მსახურებაცა შენი; ერთგულად მსახურებისათვის მათსა გაქვნდეს ნაცვლად წყალობა, რომლისა ძლით უმეტეს მასცა და სხვათაცა განაღვიძებ ერთგულობისათვის შენისა, მორჩილებისა და მსახურებისათვის.

6) ნუ გექმნების შური, ნურცა თვალღება, რაიცა აქვნდეს ანუ ჰყვანდეს, რათამცა აგრძნობინო მას სურვილი მისი და მწადვნელობა ნივთისა მის.

7) მეძღვნეთა და შემომწირველთა აჰმევდე შენთანა პურსა და მადლობით გაისტუმრებდე.

8) მუშაკთა ნუ დაუტევებ მშიერთ.

9) გარდა დებულებისა ნუ წაართმევ მსახურს.

10) ნუ გულ...-გითქვამს ცოლსა ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა, რომლისა ძლით უმეტეს გაიმუხანათებ.

11) დებულებასა კიდე, სხვასა ნურას წაართმევ მეტსა და, უკეთუ დაგჭირდეს რამე, სიტკბოებით სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოგართმევს.

12) ყოველნი მოსამსახურენი შენნი გაშინჯენ და, ვის რა ძალ-
ედვას, მას საქმესა შინა განაწესენ, და სხვათა ნურღა აცილებ, და
იგი ერთგულად მოუვლის რწმუნებულსა თვისსა. და ოდეს იხილო,
რომელ კეთილად მართებს, მაშინ შენცა ნაცვლად მიანიჭე მას
წყალობა და ესრეთ ყოველნი იქმნებიან გულსმოდგინე.

13) ესეცა საზოგადოს მტერთა ზედა და მდევარსა შინა ყოვე-
ლივე განამხნენ და ნუ უტევებ მომედგრებად; და ყოველთა აქო-
ნიე საჭურველი, ტყვია და წამალი და, ვისაცა არა ძალედვას,
შეეწიე.

14) ავადმყოფს მოუარე, მკვდრის პატრონს ნუგეშ-ეც.

15) ვაჭრობასა და საკუთარსა მუშაკობასა შინა თვისთა ნუ და-
ამცონარებ, რათა მის ძლით მოიპოვონ მცირე რამ სიმდიდრე; და
უკანასკნელ—ესრეთ გიყვარდენ ყმანი შენნი, ვითარცა ძენი შენნი.

გ ი ო რ გ ი მ ჰრქვა: იოანე, ვაქებ სიბრძნესა შენსა და სწავლასა.
—და შესო სადღეგრძელო, და აგრეთვე იოანემ დალოცა. და
ესრეთ დაასრულეს ვახშამი და წარვიდნენ თვის-თვისსა სადგურსა.
იმ ღამეს მუნ განისვენა იოანემ, მეორე დღეს გამოესალმა ამილახ-
ვრიანთ და წასასვლელად განემზადა.

დ ღ ე მ ე ც ხ რ ე

მადლობელი იოანე ამილახვრიანთი, წარვიდა მუხრანისაკენ; რა ოკმისა მინდორს მივიდა, იხილა რაოდენიმე ცხენოსანი მომავალი; რა ახლოს მიიწივა, იცნა იოანემ გიორგი ერისთვის-შვილი, ენება იოანეს გზის აქცევა, გარნა გიორგის ადრეევე ეცნო იოანეს შემთხვეულნი საქმენი და თვით მოვიდა იოანესთან და ჰრქვა: დიაკვანო იოანე, ჩემგან რათ ივლტვი? მე არა რას შემცოდე ვარ!

ი ო ა ნ ე : არა, უფალო, გარნა მეშინის, თქვენც მათი ძმა ბრძანდებით!

გ ი ო რ გ ი : გლეხური ანდაზაა: „ერთის ხისა ბარიც გაპოვა და ნიჩაბიცაო“.

ი ო ა ნ ე : რუსთაველი სწერს: „კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდება“.

გ ი ო რ გ ი : ბერო, რა შენი საქმეა საარშიყო წიგნების სწავლა, ნუთუ თქვენმან წინამძღვარმან გასწავათ?

ი ო ა ნ ე : არა, „ვეფხვის-ტყაოსანი“ სწორედ ზნეთსწავლულება არს და, ვინც როგორ იხმარებს, იმ ნაყოფს გამოიღებს, როგორც თქვენ ხმარობთ საერისთოს.

გ ი ო რ გ ი : არ მოგწონს ჩვენი მართებლობა?

ი ო ა ნ ე : ეგ ასეთი მართებლობა არს, თუ ხანი გაგრძელდა, სამართებლო მაგდენი არღარა დაშთება რა.

გ ი ო რ გ ი : მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, ის იმგვარი ხალხია, თუ ისე არ უყო კაცმან, ძალა არ უჩვენა, არ დამორჩილდებიან.

ი ო ა ნ ე : ბატონისშვილი იოანე როგორ იმორჩილებდა?

გ ი ო რ გ ი : ის მეფის შვილია და შეეძლო.

ი ო ა ნ ე : თქვენ მეფის ძე ხართ და თქვენც შეიძლეთ.

გ ი ო რ გ ი: ვითარ, მასწავლე!

ი ო ა ნ ე: მოგახსენებ.

გ ი ო რ გ ი: თქვი!

ი ო ა ნ ე: თქვენი ერისთობა დაცემული იყო, მაგრამ იოანე ბატონისშვილის თანხმობით დავით მეფემ, მემკვიდრემ, მოგცათ ერისთობა, გარნა თვისსა ძმასა უბძანა სჯულდება, თუ ვითარ უნდა მოქცეოდით თქვენ ხელქვეშეთთა და საკუთართა ყმებთა.

გ ი ო რ გ ი: ჩვენ ბატონისშვილის მადლობელნი ვართ, ბრძანება და დარიგება იმისი აღგვისრულებია.

ი ო ა ნ ე: მაშ აზნაურნი რად გიჩივიან?

გ ი ო რ გ ი: თქვენი არქიმანდრიტი გვრევს.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

გ ი ო რ გ ი: მოგახსენებ.

ი ო ა ნ ე: მიბრძანე.

გ ი ო რ გ ი: თავისის ძმების ჩვენი ყმობა სათაკილოდ სჩანს.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ბერს ეგ ამპარტავნება ვითარ ექნება?

გ ი ო რ გ ი: ეგ თქვენ განსაჯეთ!

ი ო ა ნ ე: სხვანი აზნაურნი რაღად გიჩივიან?

გ ი ო რ გ ი: აზნაური გლეხ-კაცებს უსამართლოდ ექცევოდნენ, ჩვენ ნება არ მივეცით, ამისთვის გვიჩივიან.

ი ო ა ნ ე: მაშ წინამძღვარს რად აბრალებთ?

გ ი ო რ გ ი: მეც მაგას ვამბობ, დოსითეოზმა გააბედვინა სხვათა აზნაურთაც, თორემ აზნაურნი ვერ გაბედავდნენ საჩივარს.

ი ო ა ნ ე: თუ უსამართლოს უზამდით, გიჩივლებდენ.

გ ი ო რ გ ი: გლეხ-კაცნი, ჩვენი ყმანი, არ ავაკლებინეთ და ეს რა უსამართლოება არის?

ი ო ა ნ ე: მაშ საჩივარში არიან?

გ ი ო რ გ ი: დიახ, არიან ზოგნი, რომელნიც დოსითეოზმა აიყოლია.

ი ო ა ნ ე: ჯერ გარდაწყდა საქმე, თუ ისევ სამართალში არიან?

გ ი ო რ გ ი: ჯერ არ გადაწყვეტილა, თქვენი წინამძღვარი ცდილობს, რომ დაგვიანდეს საქმე. შემინდე, გრძლად ვეღარ მოვიცდი. მადლობელი ვარ ბატონისშვილისა, რომ კეთილი ნებავს ჩვენთვის და აგრეთვე შენიც.—აჩუქა რამდენიმე ოქრო და გაიყარნენ.

ი ო ა ნ ე: ზურაბ! აი გიორგი სვინდისიანი კაცი ყოფილა; მეცნიერებამ ეს იცის.

ზ უ რ ა ბ ა: რასაკვირველია აქებ, ქიზიყელი არა ხარ? თავიც რომ მოეჭრათ, ორის ოქროსათვის—არას ინაღვლიდი.

ი ო ა ნ ე: შე გიჟო! ოქროები რაღას მარგებდა, თუ კი მომკლავდენ?

ზ უ რ ა ბ ა: თავის მოჭრაზედ უარესია, რომ თქვენის დიაკვნობის და მონაზონების პატივი ორ ოქროზედ განყიდეთ.

ი ო ა ნ ე: უი, ჩემს თავს, არა გსმენია — „მიუტევეთ და მოგეტევნენო“?

ზ უ რ ა ბ ა: თუ ოქროები არ გენახა, მე ვიცი რასაც მიუტევებდი.

მაშინ იოანე განრისხდა და აღმოიღო ოქროები იგი და ენება გარდაყრა, გარნა რა დახედა, ვეღარ გაბედა, და მსწრაფულ ზურაბმა დაუძახა: რასა იქმ, მართლა ძალიან საშოვრით გამოგისტუმრეს და ეგეც დააბნიე? მუხრანში ბევრს იშოვნიო!

ი ო ა ნ ე: ვითარ? სტუმართმოყვარენი არ არიან მუნებელნი თუ?

ზ უ რ ა ბ ა: მცხეთელების სულს გალოცვინებენო!

ი ო ა ნ ე: მართალ არს სიტყვა შენი?

ზ უ რ ა ბ ა: აჰა, მიბძანდებით და ნახამთო!

და ამ უბნობით მივიდნენ მუხრანს; მრავალს სახლს მივიდნენ, მაგრამ არვინ შეიწყნარა. უკანასკნელ ენება იოანეს წარსვლა მუნიდან და ამ ჟამში ერმია შეხვდა, მუხრან-ბატონისშვილი, იცნო ზურაბა და ჰრქვა: ვინ არის ეგ ბერი?

ზ უ რ ა ბ ა: ქვაბთისხეველი!

ერმიამ მიიწვია თვისთანა სადილად ბაღსა შინა. იოანე კურთხევით მოიკითხა და მანცა მადლობა უთხრა. და მცირე რომ იუბნეს, მერე მოიღეს სადილი. პირველად, რადგან სამღვდელოთ წესი იყო, ერმიამ იოანეს უთავაზა საჭმელ-სასმელი, გარნა იოანემ არა ხელ ჰყო და უყურებდა ერმის.

ე რ მ ი ა: რად არ მიირთმევ, დიაკვანო?

ი ო ა ნ ე: პირველად თქვენგან არის რიგი, აზიელთ ჩვეულებით.

ე რ მ ი ა მიხვდა და უთხრა: შენ არც ჩემი ბატონი ხარ, და არც მე შენი ყმაო. და ეგ აზიელთა მებატონეთ იციან, რომ პირველ თვისსა მოხელეს ანუ მსახურს აჭმევს და ასმევს ეჭვის გულისათვის.

ი ო ა ნ ე: თქვენვე აღიარეთ.

ე რ მ ი ა: შენ ჩემი ბატონი არ ბძანდები, არც სახლის კაცი.

ი ო ა ნ ე: სიკვდილი თანასწორია მებატონისაცა და ყმისათვისცა.

ე რ მ ი ა: რას იჭვნეულობ?

ი ო ა ნ ე: კავკასიელნი ასე უბნობენ.

ე რ მ ი ა: ეგ ერისთვიანთგან გამოხდა.

ი ო ა ნ ე: მაშა მართებს კაცსა, რომ ასეთი ურიგო საქმე არა ქმნას, რომ თვისსა ოჯახსა საკიცხევარი საქმე დაუგდოს.

ერმიამ ჰრქვა: საღმრთო პირი ბრძანებს: უკეთუ სასიკვდინე რაიმე სვათ, არარაი გევნოსთო!

იოანე: დია, ჭეშმარიტია, ვინც ქრისტესთვის მიიღებს ჭეშმარიტის გულით, და მე რა მგამა შენის გულისთვის შევსო უწინ?

მაშინ ერმია განრისხდა და ჰრქვა: შენ ვითარ კადნიერებ, არ იცი პოლკოვნიკი ვარ?

იოანე: პოლკოვნიკი რასა ნიშნავს?

ერმია: ათასის თავი ანუ მინბაში.

იოანე: სადაური პოლკოვნიკი ხართ?

ერმია: აქაური.

იოანე: მუხრანში ერთი პოლკი კაცი ვერ გამოვა.

ერმია: ორი პოლკიც გამოვა.

ერმია: პოლკი—რამდენის კაცით უნდა შედგეს, და ან მოხელენი და სხვა სამსახურის კაცნი, და ანუ სხვა სახმარობანი რა უნდა აქვდეს?

იოანე: თუ კი არ იცით, ვერც პოლკოვნიკობასა იქმთ.

ერმია: მაშ თქვენ განმიმარტეთ.

იოანე: დიაღ!

ერმია: ბრძანეთ!

პოლკისათვის

იოანე: ერთი პოლკი სამი ბატალიონია, ხოლო თითო ბატალიონი ათას-ათასი კაცია.

ოდესაც ფრუნტში დადგებიან (დასტათ რომ დადგებიან), მაშინ თითო ბატალიონში შვიდას ორმოცდა-ათი კაცი დადგება. ხოლო სხვანი დანაშთნი მუზიკანტნი (მოსაკრავენი), ხელოსანნი, მეჯინიბენი და მეურმენი არიან.

თითო ბატალიონი ოთხ-ოთხი როტა არის (გუნდია).

თითო ორ-ოროლი ზვოდია (მწყობრი), თითო ზვოდი ოთხმოცდაათი კაცია, რომელიც სამკეც მწკრივად დადგება, ანუ სამპირად, თითო მწკრივი—ოცდაათათი.

თითო როტას ჰყავს ოთხი აფიცარი, (ანუ ჯარის მოხელე), კაპიტანი (ასის თავი), პორუჩიკი (ერგასის თავი), პოტპორუთჩიკი (ოცდახუთის კაცის უფროსი ანუ შემდეგი პორუთჩიკისა), პრაპორშიკი (მცირე ხარისხოვანი).

თითო ბატალიონს ჰყავს ორ-ოლი შტაბ-აფიცარი, რომელნიც ან პოლკოვნიკნი იქმნებიან, ან პოტპოლკოვნიკნი (ხუთასის თავი),

ანუ მაიორნი (ასერგასის თავნი და ვიდრე ორას ორმოცდა ათამ-
დის კაცისაც უფროსნი).

პოლკის კამანდირი ანუ იარანალი ერთი, რომელიც იწოდება პოლკოვოი კამანდირად (სარდალი ანუ სპასპეტი).

თითო ბატალიონში მუნდერაფიცარი ორმოცდა ცხრა (ათის თავი ან დალბაში).

თითო როტას ჰყავთ თითო ფერთფებელი (რომელიც უფროსია მუნდერაფიცრებზედ, ათის თავთ ზედამდეგი).

თითო ბატალიონს სამ-სამი ლეკარი ჰყავს (მკურნალი ანუ ექიმი).

თითო ბატალიონს ოც-ოცი ცირულნიკი (დალაქი).

თითო ბატალიონს ათ-ათი მჭედელი და ნალბანდი.

ხუთი დურგალი.

ხუთ-ხუთი მეკარეტე (ანუ მეეტლე).

ხუთ-ხუთი მეთოფე.

ხუთ-ხუთი მკერვალი.

ხუთ-ხუთი ჩილინდარი.

მღვდელი ერთი.

კვარტერმეისტრი ერთი, ასისთავზედ ნაკლები, გინა კაპიტანზედ, სახელოთი.

სამი ატუტენტი (ეშკააღაში).

კაზნაჩეი ერთი (ხაზინადარი).

მწერალი თითო როტას.

ბატალიონის კამენდარს ორ-ოლი მწერალი.

იარანალის სამწერლო სხვა არის;

ინჟენარი, რომელ არს კოლონვაჟატი ერთი (მხაზველი). თითო როტას აქვს თითო იაშჩიკი (ყუთი) ტყვია წამლითა და პატრონითა (მასრებით) სამყოფად ანუ საკმაოდ.

თითო სალდათს სამოც სამოცი სროლა ტყვია წამალი აქვს ომის დროს. და ისეც სამ-სამი ტალი მეტი, და თითო შაშალი და ტყვიის ამოსაღები.

თითო როტას თითო დიდი ურეგი აქვს პურისათვის, მსუბუქად ტარების დროს ეყოლებათ ბარგისთვის და ისე ას ორმოცდა ათ ცხენამდის მთლად პოლკს; ზარბაზნები პოლკს როგორც დასჭირდება, ისე მისცემენ ომის დროს, რიცხვით არ არის გარდაჭრილი; და თუ არ შეხვდა, ბატალიონზედ ორზედ ნაკლებს ზარბაზანს თავის გაწ-ყობილობით მაინც არ მისცემენ. მძიმეს ბარგისთვის სხვა მეტი თა-დარიკი აქვთ.

ეს განწყობილობა, ვგონებ, არა გქონდეს მაგ თქვენს ჯარში!

ერმია: ეს მთელს სამეხრანოსაც არ შეუძლია, არა თუ ეეხრანს-ასე წვრილად არ ვიცოდი.

იოანე: უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა და მერე შეხვიდე საქმეში.

ერმია: არცარა ჩვენთ წინაპართა იცოდნენ რამე.

იოანე: ამ ქვეყანას რაც გაეწყობოდა, ისინივე გვჯობდნენ ჩვენ საქმითაც და ვაჟკაცობითაც.

ერმია: ვითარ?

იოანე: მე გეტყვი. გარდაცვალებული მამა თქვენი, სვიმონ ნასახ-ჩიბაში, დია ნამსახური იყო მათის სიმაღლის მეფის ირაკლისა; ოდეს ასპინძას ბრძანდებოდა ბატონი ჯარით, მაშინ მამა შენი, ბორჩალუს აღალარი და სახელოვანი ვაჟკაცი სუდია, და სხვანი ოცდაათამდინ კაცნი წავიდნენ დაუთალაბად; ასპინძის მტკვარზედ ხიდი ჩაუქციეს ოსმალოს ჯარს, სასიკვდილოს ადგილს მისცეს თავი და ჩვენი ჯარი იმ განსაცდელისაგან დაიხსნეს, რომ გალმიდან დიდი ჯარი ოსმალისა ვერღა გამოუვიდა მტკვარს. და გამოღმა რაც ჯარი დაშთა, ეკვეთა მეფე ირაკლი, სძლო, და, რა ხიდისა მოიმედენთა მიმართეს განსარინებლად, სულ წყალსა შინა მოიშვთნენ, რომელ ვერცა თუ ერთი განერა ხილთაგან ჩვენთა მხედრობათასა, და ესრეთ სახელი მიიწერა მამაშენმა; შენც ასე უნდა იყო. მომეჭირნე მამულისა და შენის მებატონისა და მონათესავეესათვის.

ერმია: გმადლობ მაგა მცნებაებისა მოცემისათვის.—და იოანე მოიმადრიელა და გაიყარნენ ამ სახით. იოანე გამოესალმა და წარვიდა მცხეთისაკენ. რა მიიწევნენ მუნ, იოანემ ჰკითხა ერთსა გლეხთაგანსა: ძმაო ვინ არის აქა უფროსად?

გლეხი: ძუნძგლი.

იოანე: უი, ჩემს თავს! ძაღლი გყოლიათ მოურავად!

გლეხი: არა, ბატონო, გედევანიშვილი ბეცია.

იოანე: და რასთვის გამალანძღვინე პატიოსანი კაცი?

გლეხი: ჩემი დანაშაული არ არის, ხალხნი ასე ეძახიან.

იოანე: ბერად ხომ არ შემდგარა, რომ სახელი გამოუცვლია?

გლეხი: თქვენც ბერი ბრძანდებით და რა დაგარქვეს?

იოანე: უი ჩემს თავს! აკი გამლანძღა ამ კაცმა!

გლეხი: არა ბატონო, სიტყვამ მოიტანა.

იოანე: ზურაბ, აქაური ხალხი განათლებული ყოფილა.

ზურაბა: რასაკვირველია, ძველი ნაქალაქევია ეს ადგილი.

იოანე: ჰგავს, რომ ძველად დარჩომიათ აქ ზნეობა!

და იოანე წარვიდა გალავნისაკენ. რა კარებთან მივიდა, იხილა რაოდენიმე კაცნი და მათ შორის იცნა ბეცია. გარდახდა იოანე

ცხენიდამ, მივიდა ბეციასთან და ჰრქვა: მშვიდობა შენდა, მოურავთ-მოურაო!

ბ ე ც ი ა: და სულისაცა შენისათანა, წინამძღვართ წინამძღვარო!

ი ო ა ნ ე: მე ჯერეთ იპოდიაკვანი ვარ, და რად მკიცხავთ?

ბ ე ც ი ა: მაშ როგორათაც თქვენ არა ხართ წინამძღვარი, არც მე მოურავთ-მოურავი ვარ, და შენ რად გამკიცხე?

ი ო ა ნ ე: რადგან ეს მცხეთა პირველი დედა-ქალაქი იყო უწინდელსა დროსა შინა, ამა ქალაქის მოურავნი სხვათა მოურავებთა ზედან უფროსნი იყვნენ, და მე იმავე ტიტლით მოგიკითხეთ და არა კიცხვით.

ბ ე ც ი ა: გმადლობ, მაგრამ ახლა ერთი სოფლის ამხანაგიც ძლივ. ლა არის ეს ადგილი.

ი ო ა ნ ე: მაგას თავისი პატივი მაინც არ მიეხდება.

ბ ე ც ი ა: ვითარ?

ი ო ა ნ ე: რადგან ეს წმინდა ეკლესია სვეტის-ცხოველისა, წმინდა პეტრეს მოციქულის და პავ" ეს მოციქულის სახელზედ აღშენებული აქა დგას, იმას ეს პატივი აქვს, რომ ვერც მეფე საქართველოსა სხვას ეკლესიაში ეკურთხება და ვერცა მღვდელთმთავარნი, რომ ამით უმეტეს პატივცემულია ეკლესია ძველადვე. და აგრეთვე სასაფლაოც მეფეთა და კათალიკოსთა არს, ამისთვის სხვა სოფლებს არ შეესწორება.

ბ ე ც ი ა: რად არის ეს ეკლესია სხვათა ზედან უმეტეს პატივცემული?

ი ო ა ნ ე: ამისთვის რომელ, პირველად აქ მიიღო მირიან მეფემან ქრისტიანობა წმინდის ნინოსაგან, და ეკლესიაც აქ აღშენდა უწინარეს სხვათა ზედა, გარდა მანგლისისა; აქედან მიეფინა ყოველთა მართლმადიდებლობა საქართველოს ერთა და აქ გამოჩნდა კვართი იესო ქრისტესი, ისევ თქვენის გვართაგან მოტანილი; წმინდა სვეტი აქ აღიმართა საღმრთო განგებითა და წმინდა ბირონი აქ აღმოსცენდა და სასწაულნი და ნიშნი აქ იქმნეს პირველ.

ბ ე ც ი ა: დია, კარგად მაცნობე, და მითხარ: ეს სვეტის ცხოველი რომლის ხისა იყო?

ს ვ ე ტ ი ს ც ხ ო ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: ეგე სწორედ საღმრთო წერილებშიაც რომ ჰსწერია სარო, რომელსა კიპაროზს უწოდებენ, ის ხეა საღმრთო განგებით აღმოსრული აქა, ნიშნად საღმრთოს კვართისა, ვინადგან ქრისტე ურიათა საროსა, ნაძვსა და ფიჭვსა ზედან ჯვარს აცვეს; ეს ხეც

მის საღმრთოს კვართის მოპოვების მიზეზი იყო და მოქცევისა ჩვენისა ნიშანი, რომელიცა იქმოდა სასწაულებსა, ესრეთ, რომელ ოდესაც დაჭრილი ნადირი შეეხებოდა ამა ხესა, განიკურნებოდა. აგრეთვე ავადმყოფნი, ანუ ფრინველნი მტკივნეულნი განიკურნებოდნენ. და ოდეს მოაქცია წმინდა ნინომან აქაურობა და ენებათ ეკლესიისა აღშენება, აჰა ხის ადგილს აღაშენეს ეკლესია, და ეს ხე რომ მოჰკვეთეს, ვერღა უძლეს აღმართვად; მაშინ წმინდას ნინოს ლოცვით ანგელოზთაკან აღიმართა და ჰაერსა ზედა იყო აღმართულ რაოდენსამე ხანსა, და მერე თვითვე დაეყრდნო ძირსა ზედან თვისსა, აღმოსცენდა მირონი ძირსა მისგან და მრავალსა სასწაულსა იქმოდა, ვითარცა სწერია ვრცელსა „ცხოვრებასა" შინა, და ამის გამო მუნიდგან ეწოდა სვეტიცხოველი; მირიან მეფეც აქ ეკურთხა მეფედ, კათალიკოზნიც, სხვა სამღვდელონიც, და ამის გამო მუნიდგან შეიქმნა უპირველესი ეკლესია.

ბეციას დია იამა ამისი უბნობა და მუნებურს ხალხსაც, ბინა მისცა იოანეს და ვახშმად თვისთან მიიწვია.

იოანემ მადლობა ჰკადრა. წარვიდა ბინაზედ და მერე მოილოცა ეკლესია და ვახშმად მივიდა ბეციასთან; რა ვახშმად დასხდენ, ბეციამ ჰკითხა იოანეს: იმ სვეტიცხოველის ხის ნარჩომები რაღა უღვესო?

ი ო ა ნ ე : იმ ხიდგან სამი დიდრონი ჯვარი შექმნეს: ერთი დასდგეს გალმა ამ ჯაჭვის ეკლესიის ადგილს, რომელსაც ზედა ყოველთვის ნათელი იხილვებოდა და მრავალს სასწაულს იქმოდა; მეორე დასდგეს თოხთის მთაზედ, რომელ აწ უღელტეხილად იწოდება, სადაც რომ მირიან მეფეს დღე დაუბნელდა და შიშით აღუთქვა გაქრისტიანება და კიდეც მოაქცა, იმის მოსახსენებლად დადგეს იმ მთაზედ. ხოლო მესამე დასდგეს უჯარმის მთაზედ, და ისიც ამ სახით სასწაულს იქმოდა.

ბ ე ც ი ა : მაგ ჯვარებს რომელნი ხალხნი ესვიდენ?

ი ო ა ნ ე : ამ ჯაჭვის საყდარზედ რომ ჯვარი ესვენა და თოხთის მთაზედ. მთლად ქართლი, გალმა მხარი და გამოღმა მხარი, სასოვხეთო და მთები, არაგვი და ქსანი, და სხვანი აქ მოვიდოდენ სალოცავად, და სნეულნი აქ განიკურნებოდენ. უჯარმას – ერწო თიანეთითურთ, ფშავით, ახმეტით, მარტყოფით და გვერდის-ძირით, ესე იგი, ვიდრე ჯიმითადმდე, აქ მოვიდოდნენ და ილოცევდენ. ხიზიყიც მთლად კახეთი შიგნითი და გალმა მხარი, და ჯიმითს აქეთ მოსახლე მუნ ილოცევდენ, და ასე იყო განწესებული. ხოლო ხიზიყი მთლად ნინომ მოაქცია და მუნვე გარდიცვალა, და მას აქეთაც მუნ დღესასწაულობენ.

ბ ე ც ი ა: რა იქნა ის ჯვრები?

ი ო ა ნ ე: იტყვიან რომელნიმე, ვითამც ბოპორმის ჯვარი ჩოლაყაანთ ჰქონდეთ; ასეც იტყვიან, იმ ხისა იყოს და ის, რომელიც უჯარმას იყო. მეორე. რომელიც აქ ჯაჟვის იყო, ამ მცხეთას დარჩა. იტყვიან, სამეფო სამად რომ გაიყო, იმერეთის მეფეს მისცეს წმინდის გიორგის ნაწილით ჯვარი, რომელიც ახლა არგვეთში, ჩხარის ეკლესიაში, ასვენია; კვალად იმ ხის ნარჩომიდან შექმნეს სამნი წვრილი ჯვრები: ერთი ახლა თელავს ჯვარპატიოსანში ასვენია და სხვანი კი არა ჩანს. გორის ჯვარსაც იყო ამ ხიდამ ერთი ბომცრო ჯვარი.

ბ ე ც ი ა: მე ასე გარჩევით ვერეისაგანა ვცანი; გმადლობ, იოანე! და ესეც მიბრძანე, ამ მცხეთის ბაჟს აღარ მანებებენ და რა მიზეზია?

ი ო ა ნ ე: რადგან მოურავი ბრძანდებით ამ ადგილისა, თქვენგან უფრო რიგი იყო ამგვარები ჩვენ გვესწავა, მაგრამ, რადგან მიბრძანეთ, მოგახსენებ.

ბ ე ც ი ა: სად უნდა მესწავლა ამგვარები?

ი ო ა ნ ე: ორთა კათალიკოზთა მოურავი ბრძანდებოდით დახართ, და ამაზედ უკეთესი მეცნიერნი ჩვენსა ქვეყანასა შინა არავინ იპოებიან, და იქ უნდა გესწავათ, მაშინ

ზ ურ ა ბ ა: ბერო, რაოდენიც კაცი კათალიკოზებს ახლდა, თუ ყოველს მეცნიერება ესწავლა, ვგონებ, ნახევარი ქართლი მეცნიერი იქმნებოდა.

ი ო ა ნ ე: ზურაბ! ეგ კი არ იქმნებოდა, მაგრამ ეს რადგანაც ა ზ ნაურიც არის და მოხელეც, იმას კი უნდა ესწავლა რამე.

ზ ურ ა ბ ა: ათის-თავის აღება კი უსწავლია და სხვა მეტი რა უნდა? ახლა ბაჟის საქმე შენ ასწავლეო! მაშინ

ი ო ა ნ ე: აჰა, ვეტყვი ბაჟის საქმესაც! ძველად, ოდეს ქალაქი იყო ეს მცხეთა, ბაჟიც, იჯარებიც, ზვერიც და სხვა შემოსავლები აქ იყო განწესებული ასაღებად და ოდეს გარდიტანეს ტფილისს, ახლა იქ არის; ამ ხიდის ბაჟისა ასე მოიხსენეთ: მეფე ერეკლემ რა მეფობა მიიღო, დიდი ლეკიანობა და აღრეულობა იყო ქართლსა და კახეთსა შინა, ასე რომ დაღისტნიდამ ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს თუ ყარაიაზედ ამოიცლიდა. მტკვარს თუ ვერ გავიდოდნენ, არაგვს გამოვიდოდნენ, ამ მცხეთას თავს გარდივლიდნენ და ამ ხიდზედ გავიდოდიან. ზოგნი ახალციხეს აღვიდოდენ, ზოგნი არმაზიწყალს და ძეგვისაკენ შეკრავდენ და ზოგნი მუხათ-გვერდსა, და ესრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემან ირაკლიმ ეს ღონე იხმარა, რომ ამ ხიდის გაღმა და გამოღმა კოშკები გაახლებინა, შიგ კარგი ვაჟი-კაცნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც სცვიდენ, მგზავრთაც

მშვიდობიანათ ატარებდენ და ველარც ამ ხიდზედ ლეკნი გადიოდ-ნენ; და ამათთვის მეფემან ურემზედ შაური განუწესა და ფქვილი ერთი ჩანახი, და ამ ყარაულებს ეძლეოდათ. და ოდეს მეფემან სიმხნითა თვისითა მრავალს ადგილს სძლო ლეკთა და შიშსა შინა მოიყვანა, დამშვიდდა ქვეყანა, ეს ხიდის ბაჟი არ მოიშალა, მაინც რამდენიმე კაცნი განაწესნა და ქარავანსა და ვაჭარსა ზედან იღებ-დენ ორ შაურს, და ამ ეკლესიის გასაახლებლად იღებდენ, და ესრეთ ნელნელა აახლებდენ, რომელიც თითქმის ორს თუმნამდინ შემოსა-ვალი დგებოდა. და აჰა მიხედეთ, რომელს მოურავს აქვს ამდენი ბაჟის ადგილი, რომ ესეოდენი ფული შემოუვიდეს? და მე რადგან მკითხეთ, ეცადეთ, ისევ ათისთავი გაირიგოთ, და არა სრულიად იდაოთ, რომ ეგ ათისთავიც არ დაგეკარგოთ.

გამგონე ამისი ბეცია შეწუხდა და თქვა: აღიღე, ბიჭო, ვახშამი! და თითონ აღდგა და გავიდა სხვა სახლში; იოანეც მშიერი შინათკენ წამოვიდა. მაშინ

ზ ურ ა ბ ა: ბერო, რა მოანგარიშე იყავ, რაზედ დაგვაგდე უვახშმო?

ი ო ა ნ ე: გაძღომისათვის სიცრუეს ხომ ვერ ვიტყოდი?

ზ ურ ა ბ ა: არ იცი, ეს ასეთი ქვეყანაა, თუ არ პირმოთნეობით, მჭადსაც არავინ გაჭმევს! მაშინ იოანე დუმნა და დაწვნენ მშიერნი; იქ ღამეს დაღალულობამ და შიმშილმან ვერ მისცა კარგი ძილი და დილას ადრე აღსდგნენ და ცდილობდენ საუზმის რასმე გაკეთებასა. ამ ჟამში ერთი კავთისხეველი კაცი მოვიდა, იოანე იკითხა, აჩვენეს სადგური. რა სახლსა შინა შემოვიდა, სახლის პატრონმა იცნა, რომ თავისი სიძე იყო, წინ მიეგება, აკოცა და იოანეს უთხრა: ეს კაცი ჩემი სიძეა! იმ კაცმან წიგნი ამოიღო წინამძღვრისა და იოანეს მიართო; იოანემ მოიკითხა კაცი იგი და გახსნა წიგნი და იწყო კითხვად, რომელსა შინა ეწერა ესრეთ ყოველი: „წინამძღვა-რი ქვაბთახევის მონასტრისა საყვარელსა შვილსა ჩემსა იოანეს ქრის-ტეს მიერ მოგიკითხავ! მესმის შენი ეგრე შრომა და სულიერი ღვაწვა, რომელიც იქმნები გვირგვინებულ ჩვენ-მიერისა მადლობითა. გთხოვ ამასთანა თავს იდვა ესეცა, მიიღო შრომა, — წარვედ კახეთ-სა და, რადგან მუნ არს ჟამი მოწევნილი სთლობისა, მუნცა მოირე-წო ღვინო ვინაიდგან უფრო საჭირო არს მონასტრისათვის ჩვენისა, რადგან ახლად ვაშენებთ ვენახებს, მანდ ნაშოვარის ღვინითა წარვ-მართოთ კეთილად საქმე ჩვენი. და ამასთან მომიკითხე საყვარელი თანაძმა შენი ზურაბ და სთხოვე მაგას, რათამცა მიიღოს შრომა შენ თანა მონასტრისათვის. იყავით მშვიდობით, უფალი თქვენთანა“!. (დოსითეოზ).

წარმკითხველი წიგნისა ამის იოანე არამცირესა მხიარულებასა მიეცა, და თქვა: ვმადლობ წინამძღვარსა ჩემსა ამა კეთილისა ჰაზრისათვის და ამისთვისცა, რადგან ვიხილავ მშობელსა მამულსა ჩემსა.— და დასწერაცა პასუხი.

სახლის პატრონმან იოანესმან რა იხილა სიძე თვისი, მყისვე დაკლა ქათამი და ამასთანავე გოჭი, მიყო ხელი და უცხო საუზმე განუმზადა, და იოანესაც სთხოვა საუზმედ. იოანე ამაზედ გამხიარულდა და სთქვა: ზურაბ, ძმაო! აჰა ღმერთმან მოგვივლინა კაცი ესე, რომელ განვსძღებით მომყმარნი, იხილე, მოთმინება ასე კარგია!

ზ ურ ა ბ ა: ბერო, თუ სიძე არ მოსლოდა ამ სახლის პატრონს, მე ვიცი როგორც გამაძღარი წახვიდოდი.

მაშინ დასხდნენ საუზმედ და ამ სახლის პატრონმა უთხრა თავის შვილს: შვილო, კარი დაუმცხეთურე! იოანეს დია ეუცხოვა ეს ლექსი და ჰრქვა: სახლის პატრონო, რასა ნიშნავს ეგ ლექსი? მითხარი!

ს ა ხ ლ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი: ასე გაგვიგონია, ძველად რომელსამე კათალიკოზის დროს ყველიერში კონს თევზი არლა მოხვედრია და ის კვირა თითქმის უთევზოდ დაშთომილან. და ამაზედ კრებულნიც და აქაურნი ხალხნიც მოწყენით ყოფილან; აღების ღამეს გათენების დროს ორშაბათის კონში რაოდენიმე ორაგული მოხვედრია და მოურთმევიათ კათალიკოზისათვის. მაშინ უბრძანებია იმათი მოხარშვა. დიდს პალატში შეუყრია ხალხი, ფანჯრები დაუხურავთ, დაუბნელებიათ და ისე უჭამიათ ის თევზი, რომ სხვა უცხო არვინ შესწრებოდათ და მერე ცისკარი ულოცავთ მარხვისა. და მას აქეთ დადებულა ეს სიტყვა, და ახლა, როცა არვის მიღება გვინდა, კარებს დაუგდებთ და ვიტყვით: «დაუმცხეთურეთო».

ი ო ა ნ ე: მაგ საქმისათვის სტუმართ-მოყვარეობაზედ ხელი არ უნდა აგეღოთ, კათალიკოზს ხალხის ნუგეშისათვის უქმნია ეგე და არა სტუმართმიუღებლობისათვის!

ს ა ხ ლ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი: ჩვენ ახლა ასე ვიქცევით.

ი ო ა ნ ე: ნუ, მამაო, რაც შეგეძლოთ, სტუმართ-მოყვარე იყავით!

ზ ურ ა ბ ა: იოანე! შენ ხომ კარგა გამოძეღ, და რას დასდევ, ვინც უნდა მიიღოს, ვინც უნდა არა! და ესრეთ დაასრულეს საუზმე. იოანე მადლობელი გამოესალმა სახლის პატრონს, წიგნი მისცა წინამძღვრისა მას კაცსა და თითონ გაემართა მარტყოფისაკენ.

ღ ღ ე მ ე ა თ ე

სადილის დროს მიიწვევენ მარტყოფს, იოანემ აცნობა მოურავს თვისი ვინაობა, მსწრაფლ მოურავმან მიუწოდა თვისთანა.

ი ო ა ნ ე: მშვიდობა შენდა, მხნეო მოურაო!

მ ო უ რ ა ვ ი: მე რა მხნეობა მიქნია?

ი ო ა ნ ე: სხეულსა ზედან გაქვთ გამოწერილი.

მ ო უ რ ა ვ ი: მე ღირსი სახსოვრისა არა მიქნია რა.

ი ო ა ნ ე: უკეთუ თქვენ დაიდუმოთ, ქვანიცა ღაღადებენ.

მ ო უ რ ა ვ ი: ერთი მამულისშვილობით მაქებთ, თორემ მე ღირსი არა ვარ.

ი ო ა ნ ე: ჭეშმარიტს ვიტყვი, სწორედ პატიოსანი მუშაკობა მოგეწერებათ.

მ ო უ რ ა ვ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ასოც ომში დასწრებიხართ თითქმის, და ას ლეკზედ და თათარზედ მეტი მოგიკლავთ, და ეგ დაჭრილობაც აბდულაბეგის ომში შეგემთხვათ, და ესდენ ნამსახურს ქვეყნის კაცს, გვმართებს, რომ ვაქებდეთ.

ზაალ ზურაბის შვილს, მოურავს, არ უყვარდა თავისი ქება და უთხრა: წავიდეთ რუსთველთან, სადილად იქა ვარ. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა მ უთხრა: ბატონო მოურაო! ამ ბერის ლაქლაქს მართლა სადილი სჯობია! და ამა სიტყვასა ზედან გაეცინათ და მივიდნენ რუსთველთან.

ი ო ა ნ ე — რა რუსთველი იხილა, წინ წარდგა და მეტანია უყო და ჰრქვა: გვაკურთხენ ყოვლად-სამღვდელოო!

მან ხელი უბოძა და მოიკითხა, და უკანასკნელ დასხდენ. მაშინ

რ უ ს თ ვ ე ლ ი: ვინა ბრძანდებით თქვენ?

ი ო ა ნ ე: ყოვლად-სამღვდელოო, ვერღა მიცნობთა ხელაშვილს იოანეს, დიაკვანს ქვაბთახევის მონასტერსა შინა მცხოვრებსა?

რ უ ს თ ვ ე ლ ი: ახ, ვერღა გიცან; ცალის თვალით ვერღარას ვხედავ თითქმის.

ი ო ა ნ ე: რაჲ მოგეცათ მიზეზი?

რ უ ს თ ვ ე ლ ი: სამსახურს ზედა წარსრულსა ცხენმან მიბრკა.

ი ო ა ნ ე: სამეფოსა სამსახურსა ზედან ანუ კათოლიკოზისასა, ანუ თქვენისა სამწყსოსა ან ეკკლესიის გულისათვის?

რ უ ს თ ვ ე ლ ი: არა, ახტალელისათვის.

ზ ურ ა ბ ა: მაშინ მაგ მსახურებისათვის მადანჩიბაში ბევრს ვერცხლს მოგართმევსთ.

რ უ ს თ ვ ე ლ ი: ღმერთმანი, ვერცხლი ვერ გამოაქვსთ!

ზ ურ ა ბ ა: გამოდნობა კარგად იცი?

რ უ ს თ ვ ე ლ ი: ოღონდაც!

ი ო ა ნ ე: ეგეც მამულის მსახურებისათვის შეგმთხვევიათ, მიიღეთ რამე ჯილდო?

რ უ ს თ ვ ე ლ ი: ვგონებ, ჩემი ეპარხიაც გამომართონ!

ი ო ა ნ ე; ამა სოფელში ყველა გჯეროდეთ.—და ამასობაში მოიღეს სადილი, და ესეგვარისა უბნობითა განატარეს. და ოდეს დაასრულეს სადილი, იოანე გამოეთხოვა ხაშმისაკენ, თავისი ვინაობა ცხადუყო და კმაყოფილი გაისტუმრეს იოანე.

წარსულნი მუნით, მივიდნენ ხაშმზედ.

ი ო ა ნ ე: ზურაბ! იახელ მათ მაღალღირსებას წინამძღვარს და ჩემ მაგიერ თაყვანება მოახსენე და სადგური სთხოე!

ზურაბ რა მივალს წინამძღვართან, მყისვე იცნობს წინამძღვარი და ეტყვის: ქრისტეს ვენახისა ნასხლევო, საიდამ მოხვალ?

ზ ურ ა ბ ა: მე ნასხლევი ვარ ასეთი, რომ ვაზად შევიქმენ და ნაყოფიც კეთილი გამოვიღე.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: ვითარ?

ზ ურ ა ბ ა: აწ მართმადიდებელი ვარ მეც.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი აღსდგა, პირს აკოცა, დალოცა და უთხრა: აწ ხარ საკუთარი შვილი ჩემი, რა გნებავს?

ზ ურ ა ბ ა: იოანე ხელაშვილმან გაახლოთ ამაზედ თავი ჩემი, რომელ კახეთს მიდის წინამძღვრის საქმეზედ და ამალამისათვის სადგური გთხოვათ.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: ლოცვა მაკლია, შევისრულებ, მომიცადე და მოგცემ სახლსა.

ზ ურ ა ბ ა: შე დალოცვილო, ეხლა რომ ლოცვას მოყვეთ, ოცდაოთხი საათი კარში დავრჩებით; მე თქვენი ანბავი კარგად ვიცი.

ჯერ სახლი გვიბოძე და ვახშამი და მერე გინდ გათენებამდინ ილოცე.

წინამძღვარს გაეცინა და უთხრა: რადგან მართმადიდებელი შეიქმენ, მუცელ-ღმერთობაზე ხელი უნდა აიღო!

ზ ურ ა ბ ა: შე დალოცვილო, სულ მუცლის გასაძღომად დავდივართ, ქართლი მოვირბინეთ და ახლა კახეთში მივალთ.

წინამძღვარს გაეცინა, უბოძა სახლი და უბრძანა: იოანეც და შენც ჩემთან მოდით ვახშმად და ერთად შევექცეთ. ზურაბ მადლობელი წარვიდა, იოანე დაბინავდა და ვახშმის დროს მოვიდნენ წინამძღვართან. წინამძღვარს ეანბორა იოანე, მან მშვიდობით მოიკითხა, და ამისი ვინაობა გამოიკითხა. ამან ყოველივე ცხად უყო, და უკანასკნელ მოიღეს ვახშამი. რა მცირეს შეექცნენ, წინამძღვარმან გამოსცადა იოანე საღმრთო წერილებში და მონოზონთ ყოფაქცევისა საქმენიც გამოჰკითხა. ყოველივე კარგად მიუგო.

[ამას მიჰყვება ტრაქტატი ანგელოზთათვის].

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: მიხარის შენთვის, იოანე, კარგა მიგიღია სწავლა! და უბრძანა მემარნეს: მოართვი იოანეს ჭაშნიკი პირჯვარის ქვევრიდამ, ღირსია—დალიოს იმ ღვინიდან.

რა მოართვეს იოანეს, მყის აღდგა და შესო სადღეგრძელო წინამძღვრისა, დიდად მოეწონა და ჰრქვა: სამართლად გიწოდებიათ სახელი ესე!

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: გამოსცან, თუ რაისათვის უწოდეთ სახელი ესე?

ი ო ა ნ ე: ვგონებ, სათნოდ მეფეთა და დიდებულთათვის.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ვინადგან მეფენი ჩვენნი და დიდებულნი მათნი დიდად მორწმუნენი ჰრიან და გიცნობენ ღირს კაცად, თქვენგან მირთმეულს ამ ქვევრის სახელით ღვინოს უფროს სიამოვნით მიიღებენ, ვიდრე სხვათა ღვინოთა.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: არა შორს ხარ!

ი ო ა ნ ე: ამ გვარი ყოფაქცევა უფრო მძიმე არ არს მონოზონთათვის.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: სხვანიც ბევრს რასმე მწამობენ, მაგრამ, თუ ასე არა ვქენ, მონასტერი ნაკლულევანებაში მოვა. და ამ საქმით ეს სოფელი აღვუშენე, წისქვილი, ზვარი და სხვა მამულები ბევრი შევმატე ჩემს მონასტერს.

ი ო ა ნ ე: კადნიერება ნუ იქნება, ოჯახების წახდენით და აქაიქ მოხვეპით, უკანონოდ რა სარგებელ არს?

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: მე უწინ არ მინდოდა მსოფლიურს საქმეში გარევა და, რადგან გავერიე და არ მომეშვნენ, მცირე რამ მსოფლიურიც უნდა ვიხმარო, თორემ მე ერთი გლეხის შვილი ვარ, რა პატივი მექნება, თუ ამ სახით არ ვიყო?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ეგე მონოზონთ არა შვენის, თვით თავისი ღირსება არ დაუკარგავს პატივსა, ვისიც შვილი გინდ იყოს.

მაშინ ზ ურ ა ბ ა მ: უფალო წინამძღვარო, მეც მაჩვენეთ პირჯვარის ქვევრის ღვინო. — მისცეს ჯამი სამსე; რა შესვა ზურაბმან, აღდგა და მეტანია უყო წინამძღვარს, და თქვა: ეს არათუ პირჯვარის სახელის ღირსია, არამედ მეტანიის წოდების ღირსიც ყოფილაო. რას ანბობს ეს ბერი, რატომ თავის წინამძღვარს არ აძლევს მცნებას? თვითო კიდევ გვიბოძე ამ ღვინისა და შენდობას მოგცემთ. თქვენ როგორც გეწიროთ, ისე სწირეთ.

წინამძღვარმან გაიცინა, და ამა სიტყვიი, დაასრულეს ვახშამი. იოანე აღსდგა, მადლობა მოახსენა და ხვალისათვის თელავს წასასვლელად გამოეთხოვა. წინამძღვარმან აღუთქვა ჩუქება ღვინისა და იოანე მადლობელი წარვიდა სადგურსა თვისსა. იმ ღამეს მუნ განისვენა და ხვალისა დღე ადრე აღდგნენ, საგზალი მოიმზადეს და თელავისაკენ გარემგზავრნენ; სადილი გომბორის მთაზედ მიიღეს და ვახშმისათვის თელავს დაამტკიცეს მისვლა.

ᲛᲔᲐᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ

წარსული მუნით, მივიდნენ თელავს. იოანეს ჰყვანდა მუნ მცნობი მოსახლე, მასთან მივიდა, მშვიდობით მოიკითხა, მათ მაშინვე მიიღეს იოანე; მცირე ხანს განისვენა მუნ იოანემ, საგზაო ტანისამოსი გამოიცვალა, ზურაბას უთხრა: მე წავალ რეკტორს დავითთან და შენ აქ მომიცადე.—და ესრეთ წავიდა იოანე. რა მივალს სკოლად, სკოლისა კარსა ზედა მდგომარეს იხილავს ერთსა მოწაფეთა მისთაგანსა და ეტყვის იოანე: ძმაო! რეკტორი შინ ბრძანდება და ანუ რასა იქმს? ინახება?—მან მიუგო შევედ და იხილავ!

იოანემ მსწრაფულ კარი გააღო და შევიდა სახლსა მას შინა, სადაცა რეკტორი მყოფობდა, იხილა ზურგით კერძო მჯდომარე, ძაძით და ამასთან კატა ერთი, თაბალა შეყრილი ფეხებში და უწყალოცემული, რომელიცა საწყლად ჩხაოდა; და ესმოდა ხმა ამასთან: „კვალად იქმ ქურდობას?“ გარნა რეკტორმან ვერა სცნო იოანეს მუნ მისვლა; რა იოანემ კატა ესგვარსა მდგომარეობასა შინა იხილა, თქვა: გმადლობ შენ უფალო, ჩვენი ფეხები, მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყვნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გამოვსცნა, თუ რაისა სწავლისათვის ასე უწყალოდ სტანჯავს? და მაშინ შემბრალე იოანე წინ წარდგა და ჰრქვა: მოძღვარო! რა შეცოდება აქვს მაგ საბრალოს, მაპატიეთ! რა რეკტორი იხილავს იოანეს, დაუტევებს ცემას და ეტყვის: ბიჭო, დიაკვანო, სადით მოხვალ, და ანუ ამა კართა ხშულში ვით შემოხველ? თუ ხმა არ გაგეცა, სული რაიმე მეგონებოდი!

ი ო ა ნ ე: ბოროტი თუ კეთილი?

რ ე კ ტ ო რ ი: ეგ შენს ყოფაქცევაზედ არის დამოკიდებული.

ი ო ა ნ ე: მე თქვენი აღზრდილი ვარ.

რ ე კ ტ ო რ ი: კარგი, მერე ვიუბნათ აძგვარებისთვის. მითხარ, ხაიდამ მოხვალ?

ი ო ა ნ ე: წინამძღვარმან გამომგზავნა სთლობის დროს ღვინოს სათხოვნელად ქვაბთახევის მონასტრისათვის, და აქ გიახელ თქვენის პატივისსაცემლად. და დარიგებაც უნდა მომცეთ, თუ ვითარ მოვიქცე!

რ ე კ ტ ო რ ი: კარგი, დაჯექ ბიჭო!

იოანე დაჯდა: რა მცირე იმუსაიბეს, იოანემ ჰრქვა: კადნიერება ნუ იქნება, უფალო მოძღვარო, კატას რათა სცემდით და ანუ რას ასწავლიდით?

რ ე კ ტ ო რ ი: თევზი მომპარა და შეჭამა, და ამისთვის ვცემდი, ქურდობა მოვაშლევინო.

ი ო ა ნ ე: მშიერს რატომ ინახავ? მაგის მიზეზით შესჭამდა იმ თევზს.

რ ე კ ტ ო რ ი: ამისი ვალია—თაგვი უნდა ინადიროს და იმით დარჩეს.

ი ო ა ნ ე: კატის თვისება არის, რაგინდ მაძღარიც იყოს, ერთი ანტიპატია აქვს თაგვზედ, რომ მაინც ინადირებს და შეუტევს.

რ ე კ ტ ო რ ი: იცი, ბიჭო, ანტიპატია თუ რა არს?

ი ო ა ნ ე: ვიცი!

რ ე კ ტ ო რ ი: თქვი!

ა ნ ტ ი პ ა ტ ი ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: ანტიპატია არს ბერძნული ლექსი, რომელიცა ნიშნავს სიძულვილსა ერთის ნივთისას მეორისადმი, წინააღმდეგ; და ითქმის გონებით, რა გვარიცა ბუნებითად, ეგრეთვე ზნეობითად. პირველად იგი არს ესეგვარი თვისება სხეულევანისა, რომლისაცა იგი ბუნებისამებრ სხვათა წინააღმდეგ და მოძულე არს ესრეთ, რომელ ერთი მეორესა ვერაოდეს მოუთმენს, ვითარცა სხვადასხვა გვარი გამოცდილებაცა გვაჩვენებს: მაგალითისამებრ, მგელსა არ ძალუძს დათმენად, უკეთუ იხილოს სადმე განმარტებით ცხოვარი, რომელმანც არა მიმართოს განსარყვნელად. ესსახედვე ძაღლსა კურდღელისადმი, კატას თაგვისადმი. ესსახედვე მოიღების კაცზედაც, რომელ სძულდეს რამე ნივთი ანუ საჭმელი, ანუ სხვა რაიმე ცხოველი ესრეთ ბუნებით, რომელ არ შეეძლოს მისი მიახლოება. ეგსახედვე, ოდეს-

ცა აყვავდების ასკილი და აქვს ვისმე შენახული ვარდის წყალი, მაშინ სუნსა დაჰკარგავს იმ აყვავების დროს; ეგრეთვე ღვინო ქვეგრ-სა შინა და ლუდის წყალი ქერის აყვავების დროს აიმღვრევის. ხოლო ზნეობითი ანტიპატია არს გონებით წინააღმდეგ ბუნებისა ჩვეულებითა ესრეთ, რომელ ოდესცა ვინმე ერთსა უკვე ნივთსა მოიწონებს, შესაძლებელია მეორემ დაუწუნოს. ესსახედვე, ერთმან ვინმე კეთილად სცეს მცნება მეორესა, ხოლო მან არ შეიწყნაროს. ერთს უნდოდეს მშვიდობა, ხოლო მეორეს შფოთი, და ამის გამო ერთსა მეორის დათმენა არ შეეძლოს, და ესრეთ უშორეს.

რეკტორმან მოუწონა. კვალად იოანემ ჰკითხა: ძაძა რასათვის გაცვიათ, ვინ გარდაგცვალებიათ?

მაშინ რეკტორმან ღვიძლითაგან აღმოიოხრა, და თქვა: არ გებრალები, ჩემი საყვარელი მეუღლე, ჩემი დამტირებელი ახუა ხმალაძეს ასული, კეთილშობილი, უწყალოს სიკვდილის ნამგლით განამგლულ იქმნა და დავიწყებისა სამარეს შეეყენა.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ვწუხ, რომ ამ მდგომარეობაში გხედავ, და უკაცრავადაც დაგრჩით, რომ სამძიმარი ვერ მოგახსენეთ.

რეკტორმან მადლი უთხრა და ამოიღო სამძიმარის წიგნი, რომელიც მიეწერა თავის ცოლის ძმისათვის და უთხრა: აჰა, იოანე, უური მოუგდე ამ წიგნს, ამით სცნობ ჩემგან იმ გარდაცვალებულის სიყვარულს. და იწყო კითხვად, რომელსა შინა ეწერა შემდგომითა ხატითა ესრეთ:

„კეთილშობილს ხმალაძე გოგიას!

გასაწყლებული, გაძაღლებული, გაცუდებული ცხოვრება-გასამსალებული, მყეფარი, გაბეზრებული, პირველად ჩემის თავის ჩემის ხელით მკვლელი, მეორედ ჩემის მშვენიერის უცხოს უამხანაგოს, უცხოსზრდილის, ჩემის სასურველის, ჩემის თვალის სინათლის, ჩემის გულის ლხინების, ჩემის ამ სოფლის დიდების, ჩემის სიცოცხლის ცხოვრების, ჩემის უცხოდ მოცინარის, ახუას მკვლელი, მესამედ ჩემის დამმარხველად გამოსალოდებელი ძმა მყვანდი, შენი მკვლელი, ვაიმე, ვაიმე, რატომ არ მომკლავ, რატომ ქვით არ ჩამქოლავ, მე გონება ქვაქმნილი და ასურასტნელი მოუქცეველი, ვაიმე ბაბილოვნელი უკურნებული!“ და ვეღარ მოითმინა, თვალი ცრემლით აევსო და დაიწყო ტირილი და თავის თავის ლანძღვა.

მაშინ იოანე ნუგეშსა სცემდა და ეუბნებოდა: თქვენ მეცნიერი ბრძანდებით, და ეგგვარი ლანძღვა და შეურაცხყოფა თავისა თქვენისა არა გშვენისთ. სჯულის კანონი ხო კარგად იცით, ორი ცოლი კიდევ გერგებათ, და ამ მწუხარებით რომ მოიკლა თავი, ხომ კიდეც წარწყმდებით!

და ამ ლაპარაკში სვიმონ მდივანიც შემოვიდა და დაატევებინეს დაჟითს წიგნის წაკითხვა და ტირილი, და უთხრა მდივანმან: ჯერ არ გაგვიგონია, ახალია მაგ წიგნის წარკითხვა, რა არის, ვინც მოვა შენს სანახავად, მაშინვე მაგას წაუკითხავ, ვინ უნდა მოატყუო? თუ გყვარებოდა შენი მეუღლე, შენთან გეყოლებოდა!

გამგონე ამისი რეკტორი წამოხტა, ძაძის ტოლომა იქ გააგდო და მეორე სახლში გაიქრა, და ავის ლანძღვით დაუწყო გინება მდივანს. უკანასკნელ, რითაც ღონით იყო, დაამშვიდა რეკტორი იოანემ, და ვახშმის დრომაც მოაწია. მდივანმან მოაღებინა თვისი ვახშამი, აგრეთვე რეკტორმან და დასხდნენ ვახშმად. მცირე ხანს შემდგომ მდივანმან იოანეს თავისი ვინაობის ამბავი გამოჰკითხა, მერე ჰრქვა: ბატონს რეკტორს რომ ებარენით, ვიცი—მაშინ ზოგი რამ ისწავლეთ და დანაშთი სწავლაცა შეისრულეთ თუ არა? იოანემ: ჰე, ძალითა ღვთისათა!

მ დ ი ვ ა ნ ი : ვისთან?

ი ო ა ნ ე : იასტოსთან და სხვათაგან!

მ დ ი ვ ა ნ ი : რაჲ არს ფილოსოფია?

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე : ფილოსოფია არს მცნობელობა ბუნებისა და თვისებისა, დამაფუძნებელი მცნობელობათა ზედა გამოცდილებათა და განზრახულობათა ჩვენთა.

მ დ ი ვ ა ნ ი: რასა ნიშნავს ლექსი ფილოსოფია?

ი ო ა ნ ე : ბერძულებ ნიშნავს სიბრძნისმოყვარებასა.

მ დ ი ვ ა ნ ი : რაოდენ ნაწილად განიყოფების ფილოსოფია?

ი ო ა ნ ე : ოთხად, ესე იგი: ლოღიკა, ზნეთსწავლულება ანუ ითიკა, ფიზიკა და მეტაფიზიკა.

მ დ ი ვ ა ნ ი: რაჲ არს საზღვარი ფილოსოფიისა?

ი ო ა ნ ე: ფილოსოფია არს ცნობა საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა და მიზეზთა მათთა; გინდ ესრეთ ვსთქვათ: ფილოსოფია არს მსგავსება ღვთისა, რაოდენ ძალუძს კაცსა.

მ დ ი ვ ა ნ ი : კარგად მომიგე. მითხარ, რაჲ არს ლოღიკა?

ი ო ა ნ ე : ლოღიკა არს სწავლა, მაჩვენებელი კანონისა, რომლისა ძლით გონებაჲ ჩვენი მოქმედებად თანამდებ არს მცნობელობათა შინა ნივთთასა, ვითარცა საკუთარისა მოძღვრებისათვის თავისა თვისისა, ეგსახედ სხვათა მოძღვრებათათვისცა. ეგრეთვე იგი მოგვცემს ჩვენ ნამდვილთა კანონთა განსაზღვრებად, ყოვლისა უკვე საგნისა განწვალებად, განსჯად და აღმოჩენად კანონიერთა შედგინებათა.

მ დ ი ვ ა ნ ი : რასა შინა მდგომარეობს სწავლა ესე?

ი ო ა ნ ე : იგი მდგომარეობს განხილვასა შინა ოთხთა მოქმედებათა კაცისა გონებისათა, სახელდობ: შემემცნებასა, განმსჯელობასა, გონების შემცველობასა და მეტოდისასა.

მ დ ი ვ ა ნ ი : რაოდენ ჰგვარობს ზედმიწევნილება კაცისა?

ი ო ა ნ ე : სამგვარობას: ცნობა ისტორიებ, ანუ ლიტონი ცნობა. 2. ფილოსოფოსებრი. ხოლო 3. მათემათიკებრი.

მ დ ი ვ ა ნ ი ; მითხარ თუ ვითარ სახედ?

ი ო ა ნ ე : ოდესაც ნასროლის ზარბაზნის ხმა მოგვესმის, ესე საზოგადო ცნობა არს, და ესე არს ლიტონი. და ოდეს ვსცნობთ, თუ რაისა ნიზეზისათვის ესრეთ ძლიერ განვარდა და ხმამან მისმან შესძრა ადგილი, ესე ცნობა ფილოსოფოსებრია. ხოლო ოდეს გამოვსცნობთ, თუ რაოდენმან თოფის წამალმა რაოდენი ტყვია, რაოდენს საზომზე განტყორცა, მაშინ ესგვარი ცნობა მათემატიკებრია.

მ დ ი ვ ა ნ ი : რაჲ არს შესმენილი?

ი ო ა ნ ე : შესმენილება არს მისისა ქვემდებარისადმი მოღება, ანუ დართვა სიტყვათა, ანუ საქმეთა, ესე იგი, ანუ ნათესავი არს, ანუ სხვაობა სახეთა, ანუ სახე არს განუკვეთელთა, ანუ შემთხვევითნი არიან შესმენილნი მის არსებისანი, რომელსაცა შინა მდგომარეობენ, და შეისმინებიან ქვემდებარისადმი მათისა. მაგალითი: კაცი არს ცხოველი, აჰა ნათესავი შესმენილი სახისა მივართ თვისისა ანუ ქვემდებარისადმი თვისისა. კაცი არს გულისხმისყოფით ნიჭებული, აჰა სხვაობა სახისა, შესმენილი ქვემდებარისადმი თვისისა, ესე იგი სახისა. კაცი არს შეუწყნარებელი ზედმიწევნილებისა და ხელოვნებისა, აჰა თვისება არსებისა. ხოლო განუკვეთელთა შემთხვევითნი შესმენილნი არიან ესრეთ: პეტრე არის მოციქული, ციცერონ რიტორი კეთილ, ევგენიოს კეთილ მხედარმძღვანი, არმან მშვენიერი, იოანე საყვარელი მოწაფე, იუდა გამცემელი და სხვანი მსგავსნი

ამისნი; აჰა შემთხვევითნი შესმენილნი ქვემდებარისადმი თვისისა მის არსებისანი, რომელსაც შორის, ანუ რომელსაცა ზედა მდგომარეობენ. კვალად იქმნების არსებითივე თვისება მას რომელსამე სახესა შინა და განუკვეთელთა მისთა, რომელიცა შესმენილებაცა არსებისადმი თვისისა და ქვემდებარისაცა გარემოქცევისამებრ შეესმინების; მაგალ.: ყოველი კაცი არს მოცინარ; აჰა მოცინარობა შესმენილი თვისსა არსებასა ზედა. კვალად ყოველი მოცინარი არს კაცი; აჰა ქვემდებარეობა არსებითისა თვისებისა, და არსებისა შესმენილება.

ამჟამად შემოვიდა ზურაბა და სალამი მიართო დავითს ალექსის ძესა, და სვიმონ მდივანსა; მათ დიდად იამათ, მოიკითხეს და მიიწვიეს ვახშმად და მერე ჰკითხეს თუ საიდამ მოვალს. მან მოახსენა იოანესთან მოგზაურობა და აჰასთან ესეცა, რომელ: მე წინამძღვარმან დოსითეოზ ლალად დამადგინა ამა ბერისა, და, რა დრო გადავიდა და აღარ მოვიდა სადგურსა ჩვენსა, შემეშინდა, ნუ უმე ქალებთან განერთო სადმე და, მძებნელმან აქა-იქ, ეპოე თქვენთანა.

ამაზედ დიდად განეცინათ.

და მაშინ ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! შე უკეთურო, რომ გაგვიგონოს ვინმე, რას იტყვიან?

ზ უ რ ა ბ ა: ამას,—დიაკვანი ქალს მიჰპარვიაო!

ი ო ა ნ ე: დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან.

დავით რეკტორმანც შესძინა ესე: „და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა“, და ამასთან სხვებ ხუმრობა განგრძელდა, და იწყეს სიცილი, მაშინ—

ზ უ რ ა ბ ა: უფალო რეკტორო! არა ჰგევხართ იმ ერთს დადიანს ვლოვაში! *

მ დ ი ვ ა ნ ი: ოღონდაც! მაშინ გაწყრა რეკტორი, ზურაბ კარში გამოაგდო, მდივანი გალანძღა და იოანეს უთხრა: არ იცი, გიჟის ამხანგი გიჟი იქნებაო, და რათ გაუამხანაგდი?

ი ო ა ნ ე: ჩემი დანაშაული არ არის, წინამძღვარმან ინება მისი ჩემთან ყოფნა.

რ ე კ ტ ო რ ი: ის რა დიდი ჭკვიანი გგონია?

და უკანასკნელ დაასრულეს ვახშამი.

---

* იტყვიან, რომელსამე დადიანისათვის, რომელსაც ცოლი მოუკვდა, და რომელმაც ესრეთ გრძლად იგლოვა, რომელ შემდგომად მესამისა წლისა ძლივ მიაღებინეს საჭმელად ცერცვის სირსვალი, და ერთი მათ მარცვალთაგანი გაუგორდა პირშია, და სთქვა: რა ბურთაობისა რიგია ჩემგან? და მაშინ იწყო ტირილი და გლოვა კვალად (ა ვ ტ ო რ ი).

რეკტორმან უთხრა იოანეს: ხვალე მოდი მეცხრე საათსა, აქ ჩვენის მოწაფეების ეგზამინია (გამოცდა) და უნდა შენ გებაასნენ და იმათ სიტყვა მიუგო.—იოანე აღდგა, გამოესალმა და თავის სახლისაკენ წარმოვიდა. იმ ღამეს იოანემ კარგად განისვენა და ხვალისათვისა ადრიან აღდგა და მოემზადა სკოლად წასვლისათვის. რა მეცხრე საათი შეიქმნა, იოანე მივიდა სკოლად და ნახა მუნ შეკრებულნი თავადნი და სამღვდელონი, და ცალკერძო მოწაფენი რეკტორისნი, და რეკტორი შუა ადგილს თავსმჯდომელი. რა ეს განკარგულება იოანემ იხილა, მოიწონა და პირველ დაიწერა პირჯვარი და ოაყვანისცა ხატსა, უკანასკნელ. მიართო სალამი რეკტორსა, მერე სამღვდელოთა და მერეთ თავადთა, აგრეთვე მოწაფეთა. იოანეს აჩვენეს მარჯვენით სკამი მდგომელი და მიიწვიეს მუნ, წინ დაუდგეს სტოლი და დაუწყვეს სამეცნიერო წიგნები. რა ყოველი შემოკრბენ სკოლად, მაშინ რეკტორმან მცირე ზარი დააწკარუნა, და მაშან წინ წარმოდგა ნიკოლაოს ხელაშვილი, თაყვანი სცა ხატსა, წართქვა ლოცვა, რომელსაც მოწაფენი იტყვიან, და მერეთ დაუკრა რეკტორს თავი, და აქეთ-იქით, აგრეთვე იოანეს, და მერე დაიწყო კითხვად იოანესა და რქვა:

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: იოანე! ვითარ გრწამს მართლმადიდებელთა სარწმუნოება?

ი ო ა ნ ე მ მრწამსი თქვა ზეპირ.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაოდენის მუხლით შესდგება ეგე?

ი ო ა ნ ე: ათორმეტის მუხლით.

და სხვანიც მრავალი იუბნეს და ყოველივე კარგა მიუგო იოანემ.

და მერე ჰრქვა ნიკოლაოსმან: ყოველ დაწყებასა ღრამატიკისასა, რაჲ სახმარ არს ცნობად?

ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: ოთხნი იგი გვარნი მოძღვრებითნი, რომელნიცა შეუდგებიან, დაემდევრებიან ღრამმატიკასა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაჲ არს სახელები მათი?

ი ო ა ნ ე: განსაზღვრება, განწვალება, აღმოჩენა და აღლევა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: კვალად რაჲ სახმარ არს ცნობად?

ი ო ა ნ ე: ესე, ვითარმედ ყოველი რამ არსობითი მკითხველი საზღვარს ეძიებს.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: მესამედ რაჲ სახმარ არს ცნობად?

ი ო ა ნ ე : საზღვარსა შინა უნდა სჩნდენ სამნი რაიმენი, ესე იგი: სახე, ნათესავი და განყოფილება.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაჲ არს ღრამმატიკა და ანუ საზღვარი მისი?

ი ო ა ნ ე: ღრამმატიკა ბერძული ლექსია, ნიშნავს მწიგნობრობასა. არისტოტელი საზღვრავს ესრეთ: ღრამმატიკა არს ცნობა, ვითარცა წერისა, ეგსახედ უწყება წარკითხულისა, და იგი არს ყოველთა ხელოვნებათა საფუძველი.

ვირღილია საზღვრავს ესსახედ: ღრამმატიკა არს უძვირფასესი თითქმის სხვათა ყოველთა თავისუფლებითთა ხელოვნებათა მცნობელობათა ზედა.

ხოლო ჩვენ ესაზღვრავთ ესგვარ: ღრამმატიკა არს შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერ წერად.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაჲ არს უბნობა?

ი ო ა ნ ე : უბნობა არს ჰაზრისა თვისისა ხმითა ცხადყოფა, დაწერვა, მისივე ჰაზრისა ასოებითა გამოხატვა; ხოლო კითხვა ანუ წაკითხვა არს ასოთა გამოხატულისა მის ჰაზრისა აღმოცნობა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ : უმთავრესნი შემადგენელნი ნაწილნი ღრამმატიკისანი რაოდენნი არიან?

ი ო ა ნ ე : ოთხნი, ესე იგი; წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაჲ არს წიგნი?

წ ი გ ნ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე : წიგნი არს წერილი რაიმე, მნიშვნელი ასოისა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: რაჲ არს ასო?

ი ო ა ნ ე : ასო არს ოხვრა რაიმე ნაწევრობითი, რამეთუ შეკვრისცა და ენების სხვისათანა ასოსა და სრულსა ხმასა გამოიღებს.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ : ასონი ქართულისა ენისანი რაოდენნი არიან?

ი ო ა ნ ე : ორმოცი, რომელთაცა უწოდთ ჩვენ ანბანად, რომელთაცა სახენი და სახელნი არიან შემდგომნი ესე: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჴ, ჵ, ჶ.

[შემდეგ მოყვანილია ვრცელი ტრაქტატი გრამატიკის შესახებ].

ნიკოლაოზ: წიგნი რაოდენად განიყოფებიან?

იოანე: წიგნი ნიადაგ განიყოფებიან ნაწილებად, თავებად, პარაღრაფებად და მუხლებად.

ნაწილნი არიან უმთავრესნი განყოფილებანი წიგნისანი, რომელთაცა შინა იპყრობიან თავნი, პარაღრაფნი და მუხლნი.

თავნი განჰყოფენ ნაწილთა და იპყრობენ თვის შორის უმთავრესთა ჰაზრთა მის ნაწილისათა, რომელნიცა შედგებიან პარაღრაფთაგან და მუხლთა.

პარაღრაფნი იპყრობენ თვის შორის სრულთა ჰაზრთა თავთასა მოკლედ განყოფით უმეტესისა ბრწყინვალებისა და შემემცნებისა ჰაზრთასა და ხშირად დასვენებისათვის მკითხველთასა და განსვენებისათვის ჰაზრისა კითხვასა შინა, რომელსაცა ნიშანი § არს ესე.

მუხლი არს მოკლე წევრი თავთა, რომლისაცა მაგალითად კმა არს სალმრთო წერილი (ვსთქვათ პარაკლისის მუხლები) და სხვანი.

შაირთა შინა მუხლთა მაგიერ ითქმის ტაეპნი, შემდგარნი რიცხვებითა მარცვალთათა, ხოლო შაირნი არიან ორ-ტაეპოვანნი, სამ-ტაეპოვანნი, ოთხ-ტაეპოვანნი და ესრეთ უშორეს. ხოლო იამბიკონი არიან საშვალ შაირთა და წერილობითთა ჰაზრთა შინა, შემდგარნი მარცვალთაგან ხუთ ტაეპად.

ხოლო საზიგადოებისამებრ წოდებულ არს წიგნი სხვადასხვა გვარად, რომელ ერთსა მრთელსა ყოვლადსა ისტორიასა თუ მოთხრობასა უწოდებენ წიგნად; აგრეთვე სიგელთა წყალობის წიგნად, მეფისაგან მინაწერთა იერლაყად ანუ ოქმად, ტომართა დავთარად, ბარათთა ყამზად, ურთიერთსა შორის მინაწერთა—წიგნთა; უკეთუ იპყრობოდეს თვის შორეს ჰაზრსა სწავლისა ანუ მხილებისასა ანუ მოკითხვისასა, უწოდებენ ეპისტოლედ; მეფესთან მირთმეულს წიგნსა—არზად; ურთიერთსა შორის მინაწერთა—უწოდებენ უსტარად, ეკკლესიისა მამულთა, ადგილთა და შეწირულებათა წიგნთა უწოდებენ გუჯარად; თეთრი თუ ვისმე აუღია ვისგანმე ანუ გაუსესხებია თეთრი — თამასუქსა. მამული თუ უყიდნია ვისმე — ნასყიდობის წიგნსა; თუ მოწმობის წერილი ვისმე აქვს — მოწმობის წერილსა; და თუ თავდებად დასდგომია ვინმე ვის—თავდებობის წიგნსა; და თუ პირობა შეუკრავთ ვისმე—პირობის წიგნსა. და თუ სამართლით გადაჭრილი გამოსულა—განაჩენსა და სხვანი. ხოლო მე ესე ამისთვის ბოვიხსენე აქა, რომელ ყოველნი ესე წერილობითნი სახელნი იპყ-

რობენ თვის შორის თვისისა გვარისამებრ სრულსა ჰაზრსა, და ესენიცა ამისთვის არიან რიცხვთა შინა წიგნთასა. ხოლო პირობის წიგნთა მიეწერების თითო ჰაზრისა არტიკულნი.* ხოლო სხვა წერილთა — პუნქტები.

[აქ ხელნაწერში პირველი გამოცემის დროსაც დაკარგული ყოფილა მთელი მე-15 რვეული].

---

* არტიკული არს, რომელ თითო აზრი პირობისა ანუ იყოს ერთის მუხლის ოდენი, ანუ უმეტესი, ამას არტიკული ეწოდება. ხოლო პუნქტი,—ანუ იცვამდეს თვის შორის ერთსა ჰაზრსა, ანუ ორსა და სამსა (ა ვ ტ ო რ ი).

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი

წარსული იოანე რა მივიდა ალაზნის პირსა, წყალის სიდიდისა გაშო ალაზნისა, ვინადგან ავდარსა განედიდებინა, ვერღა განხდა წყალსა მას; და დაბრუნდენ და მივიდენ ახმეტასა, სახლსა სალთხუცისასა. ჩოლაყაშვილმან ქაიხოსრო კარგად მიიღო ბერი იგი, და მისცეს სადგური. რა მცირე განისვენა იოანემ, ვახშმად მიიპატიჟა სალთხუცესმან და, რა ხელჰყვეს ვახშამს, მაშინ სალთხუცესმან ჰრქვა იოანეს: დღეს შენ ძლევა შეიმოსეო.

ი ო ა ნ ე : ვითარ?

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი : დიდი ხანუმი და დიდი მოძღვარი ორივ იძლივნენ შენის ჭეშმარიტის მხილებითო.

ზ უ რ ა ბ ა : რასაკვირველია, ეს მოერეოდა იმათ, რასელა ნალბანდთან გაზრდილიაო!

ი ო ა ნ ე : უი, შე გიჟო! ხომ არ შევჭიდებულვართ?

ზ უ რ ა ბ ა : ელევთერმაც კარგად იცის ლინგის ბდება, თუ კი ხელში ჩაგიგდო, ბევრი შენისთანა დაუყენებია ყირაზედო.

მაშინ ყოველთა გაიცინეს, და სალთხუცესმან ჰკითხა იოანეს: ასე არა სჯობდა, რომ აქ მოხველ, აქედამ მატანს მიხვალ და იქიდამ ლალისყურს.

ი ო ა ნ ე : თუშთ მოურავმან მიბრძანა და იმის გულისათვის იქით წაველ, მაგრამ ვერც ის და ვერც მე გავედით წყალსა სიდიდის გამო.

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი : რატომ ანაფორა არ გაფინე წყალზედ და იმით არ გახველ?

ი ო ა ნ ე : ჯერ ჩემს ილიას თავისი ხალენი არ მოუციაო.

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი : ჯერ არც ცეცხლის ეტლით ამაღლებულაო ის თქვენი ილია.

ზ ურ ა ბ ა: ამაღლება მეტი იქნება, ბრუდ-საბძელს ასცილდა და სხვათა კავკასიის მთებს თავს მოექცაო.

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი: ვაჲ თუ იქიდამ გადმოხტესო!

ზ ურ ა ბ ა: იმის ჭკუისაგან ნუ გიკვირს, მინდორსაც იშოვნის, რომ თავი იქ შეიმაგროსო.

და მერეთ სალთხუცესმან უთხრა იოანეს: მე მოსკოვს სკოლებში უყურე, რომ მოწაფეთ ასწავებდენ ფიზიკას და ეგზამინიც უყვეს, და ამასთან წყალის ადიდების მიზეზიც გამოჰკითხეს, და როგორც განმარტეს, მახსოვს ზოგი რამ, და შენ ეითარ ჰგონებ, რა მიზეზია წყალის ადიდებისა ანუ დაკლებისა?

წ ყ ლ ი ს მ ო მ ა ტ ე ბ ი ს ა ა ნ დ ა კ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: მომატება და დაკლება წყალისა არა სხვა რაჲმე არს, ვითარცა ჟამიერი და ცვალებადი მოძრაობა ზღვისა, რომელიცა ოცდა ოთხს საათში და ორმეოცდა ცხრა წამში ორგზის მიისწრაფვის აღმოსავლეთიდგან დასავლეთისადმი და დასავლეთიდგან აღმოსავლეთისადმი.

დროსა აღელვებისასა ზღვა აღიწევის შემდგომ ექვსთა ჟამთასა, მიმსწრაფებელი დაუყოვნებლად კიდეთადმი, და შემდგომ დასცხრებისცა და შესივდების და ვიდრე ნახევარ ჟამამდე დაშრების, ვითარცა დამოკიდებული სიმაღლესა ზედან, რომელსა ზედაცა აღვიდა იგი. ესგვარი მდებარეობაჲ ზღვისა იწოდების ღელვისა (ანუ ადიდებისა) სიმაღლედ.

დროსა დამყუდროებისასა ანუ დაკლებისასა ზღვა დაეშვების ქვემორე ექვსსა ჟამსა შინა, განშორებული კიდეთაგან; უკანასკნელ დაცხრების და შთავარდების თვისსა ყალიბსა შინა და დაჯდების დაშოუკიდებელად; და ამა გვარსა მდებარეობასა ზღვისასა ეწოდების დაკლება, გინა დაცხრომა. ზღვა უფროს დიდითარე სიჩქარითა შესივდების ზე, ვიდრე ქვე დაეშვების, ხოლო აღელვებანი, მომატებანი იყოფიან ოდესმე უმცირეს და ოდესმე უდიდეს.

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი: ვითარ აღმოაჩენ ამას?

ი ო ა ნ ე: ესე საკვირველი უკვე მოძრაობაჲ ზღვისა მექონ არს მარადის შემსგავსებისა მდინარეობისა თანა მთოვარისა, და არცა საიჭო არს, რომელ წარმოება იგი ზიარებისა გამო ამა ღამისა მნათობისა არა იყოს. მთოვარე უკვე მიმზიდველობს თვისად წყალთა და სძრავსცა მათ აღმოსავლეთით დასავლეთსა ზედა, შემსგავსებით

მოძრაობისამებრ თვისისა, რომელსაცა თვით იგი სრულ ჰყოფს მოძრაობასა თვისსა ხოლო ყოველნი უკვე ესე ზღვათა მოძრაობანი აღრიცხულ არიან დიდითარე ნამდვილობითა და შემსგავსებულნიცა მდინარეობისათვის მთოვარისა, თანასწორ სხვადასხვა გვართა ნავთსაყუდელთაცა, რომლისა განხილვა შესაძლებელ არს კალენდარსა ანუ წელთაღრიცხვათა წერილთა შინა. და უფრო დამტკიცებულ ჰყოფს მთოვარის გამო მიმზიდველობასა ტალღაჲ წყალისა, რომელიცა ხშირადრე გამოვალს ნაპირ და უკუნიქცევის. სხვებრ განდიდება მდინარეთა, ხევებთა იქნების ოდესმე დიდის ნიაღვრისა გამო, დიდის თოვლთა გადნობისა გამო, და ესე იკმაეთ.

სალთხუცესმა მოუწონა, აჩუქა რაოდენიმე საპალნე ღვინო და ოიანე მადლობელი გამოეთხოვა და მოვიდა სადგურსა თვისსა.

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი

ხოლო ხვალისა დღეს განემართნენ მატანისაკენ და მისრულმან მუნ, იოანემ გაგზავნა ჯიმშერისშვილთან ზურაბა და შეუთვალა ლოცვა-კურთხევა; მან მაშინვე მიიწვია. რა იოანე მივიდა, იცნო იოანე ჯიმშერისშვილთან და. მოიკითხა იოანე. და იოანემაც მადლობა ჰკადრა, და მერეთ იოანეს გამოჰკითხა მგზავრობის მიზეზი. ყოველივე ცხად უყო იოანემ, და ჰრქვა ჯიმშერისშვილმან: ღვინოს კი ვერ შეგაწევ, წლეულ დავისეტყვენით, და სხვებ გემსახურებით.

მაშინ ზ ურ ა ბ მ ა ნ: რასაც გვიბოძებ, ჩვენ კალთას მოგიშვერთ.

გაიცინა იოანემ და მერე მოიღეს სადილი.

რა მცირედ შეექცნენ, ჯიმშერისშვილმან ჰკითხა იოანეს: რადგან ფიზიკაც გისწავლიათ, სეტყვა ვითარის სახით იშობების?

ს ე ტ ყ ვ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე: სეტყვა სხვა არა რაჲმე არს, როგორადაც წვიმისა ცვარნი, რომელნიცა დროსა ქვედაცემისასა მიწასა ზედა შემოეყრებიან ესოდენ ციეს ჰაერსა, რომელ მის მიერ მაგრად განიყინვიან და ქვე ჩამოცვივიან გაყინულთა წვეთთა სახედ, რომელიცა მალიად გადნების მხურვალებისა გამო მიწისა; და ოდესმე ჰაერისაგან ჩამოცვივიან გაყინულნი წვრილნი ნაჭრებნი ყინულისანი, მსგავსად ქათმის კვერცხის ოდენნი, და ესე არიან სეტყვანი, რომლისა კვეთებით წახდება ყოველი მოსავალი.

შემდგომად ამა უბნობისა აღიღეს სადილი. იოანე გამოეთხოვა და მუნიდამაც კმაყოფილი წარვიდა ლალის-ყურისაკენ.

მიმავლობასა შინა იხილა ორნი ფშაველნი, მიმავალნი ბახტრიონისაკენ; და მათ იცნეს იოანე, რომელიც ენახათ ალავერდს, და მოვიდნენ იოანესთან და შენდობა მოითხოვეს. მაშინ

ერთმან მათგანმა უთხრა იოანეს: მე შენისთანა ალავერდელი არა მიხილავსო, უცხოდ აამე გულსა ჩემსა და ჩვენი დედოფალი კარგად აქეო; მე ასე არ ვიცოდი, თუ ამდენის სატანჯველით იმ წყეულმან შაჰბასმან სტანჯა ჩვენი დედოფალიო. ის დედოფალი ლაშარის ჯვრის მოსავიც იყო თუ არაო,—მითხარიო!

იოანე: ლაშარის ჯვრის მოსავი იქმნებოდა, რასაკვირველია, რომ ლაშა გიორგის ქალობა ეთქმოდაო, და იმან მოგაქცივათ თქვენ, რომელიც ახლა იქ ფშავში მარხია, და თავის უნჯ ყმად გამოგელოდათ. ეს დედოფალიც ქეთევან თქვენის გულისათვის ეწამა და სისხლი დააქცია; წყეულმან შააბას რომ კახეთი მოაოხრა, მერეთ თქვენზედ გამოგზავნა ჯარი. პირველად ბაჩალზედ წამოვიდნენ და თქვენ იმ ფშავის გადასავალში დახვდით და გამოაბრუნეთო, და მერე გაჯავრებულმან კიდე ფშავის არაგვის წყალზედ ასი ათასი კაცი გამოგზავნა თქვენ წასახდენად, და ის ჯარი მოვიდნენ, შუაფხორს ქვევით რომ წყალის პირზედ დიდი კლდის ქვაბია, იქამდის მოაწივა იმათმან მხედრობამან და თქვენ, წმინდის ლაშარის ჯვრის და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით, სძლიეთ და გაქციეთ იქიდამ ის მტერი, და ესეოდენი კაცი გაწყვიტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ასე შეღება, რომ აღარ დაილეოდა, და სულ ხოცით მოჰყევით ჟინვალის ხიდამდისინა, და მას აქეთ თქვენთვის ვეღარავის შემოუბედნიაო; ეს სულ იმათის მადლით არის და უნდა ძლიერ გიყვარდეთ ბაგრატიონები, რომ თქვენთვინ ყოველთვის ასე თავდადებით ყოფილანო და თქვენ ჰყვარებიხართო!

მაშინ უთხრა მან ფშაველმან: მეც მათი დასმული მოქადაგე ვარ ფშავში, ყაყიდა მეწოდება, მეც ყოველთვის ვამწყალობლებ ბაგრატიონთ თავის მოწამეზედ და ლაშარის ჯვარზედ, და ყოველ წლივ ვიდღესასწაულებთ ლაშარის ჯვრობას.

იოანე: ვიცი, ლომისობის სწორზედ მოვა იმისი დღეობა, და ასე უნჯნი ყმანი ხართ, რომ იმის მწევრების გულისათვის საკლავსაც დაჰკლავთო ყოველ წლივ.

ყაყიდა: და შენ უფრო შეგიყვარდი სხვა ბერებზედ, რომ, როგორც ჩვენ წინაპართ უანბიათ ეგ ანბავი, შენც ისე გვიამბეო, შენ ხომ არ ყოფილხარ ჩვენში და ასე წვრილად სად შეიტყეო ყოველი ჩვენი წესიო? შენ სადა ცხოვრებ, გვითხარ, გემსახურებით ერბოთი და ყველითაო.

ი ო ა ნ ე: მე ქვაბთახევს ვცხოვრებ და იქიდამ აქ ღვინის საშოვნელად წამოველი.

ყ ა ყ ი დ ა: კარგი, ჩვენ ვიცით ის ადგილი და იქ მოგართმევეთ ორ ჯორს აკიდებულს ერბოსა და ყველსა.

იოანემ დალოცა და გაიყარნენ. იოანე წარვიდა ალვანისაკენ.

რა ალვანს მიუახლოვდა, ნახა მრავალნი თუშნი მუნ და მრავალნი ცხვარნი; და, რა თუშებთან მივიდა, იცნო ცისკარაშვილმან და სხვათა თუშთა იოანე, მიიპატიჟეს, სიყვარულით მოიკითხეს და უთხრეს: შენ ის ბერი არა ხარ, რომელმაც ალავერდს იქადაგეო?

ი ო ა ნ ე: მე ვარო!

თ უ შ ე ბ მ ა ნ უთხრეს: ნეტამც შენ იყო ჩვენი ხარჭაშნელიო, ჩვენს გულს დია აამე იმ კარგის ლაპარაკითო! მაშინ ზ უ რ ა ბ ა მ უთხრა: ღმერთმანი, უარს გეტყვით მაგისასაო!

თ უ შ ე ბ მ ა ნ: ჭეშმარიტად—ბატონს ვსთხოვთ ამის თავსაო!

ი ო ა ნ ე: არა ბატონო, მე რასა ღირს ვარ, თუ რომ სამსახური შემიძლიან, ისე გემსახურებით, მეც ქიზიყელი კაცი ვარო!

ეს უფრო იამათ თუშებსა, რომ სცნეს მისი კახელობა, და სთხოეს: სამხარი აქ მიირთვი და გვიანბე წმინდის დედოფლის ქეთევანის ანბავიო.

იოანე დაჯდა მათთან და ყოველივე წვრილად უანბო მათ ქეთევან დედოფლისა ცხოვრება.

და მერე ჰკითხეს: შაბაზმან რომ ეს კახეთი წაახდინა, სად მორჩა ხალხიო?

ი ო ა ნ ე: რაოდენიც დაეტეოდნენ, კალაურის მთაში დაიხიზნენ, სხვანი პანკისის ხეობაში და ლოპოტაში და აგრეთვე მთებში, და ამ ადგილებში ყველგან ბრძო შაბაზმან; და პანკისშიაც რომ თორღოს ციხემდინ მოვიდა იმათი ჯარი და თქვენ და კახთა დაამარცხეთ და ამ ალვანამდინ ხოცით მოჰყევითო, და ეს სულ წმინდის ქეთევან დედოფლის მეოხებით ჰქმენით და ღმერთი შეგეწიათო.

თ უ შ თ ა: მერე რა დაემართა იმ წყეულს შაბაზსაო?

ი ო ა ნ ე: რა იმ წყეულმან წმინდა დედოფალი აწამა და ესეოდენი ქრისტიანენი შეაწუხაო, ღმერთმან ასეთი რისხვა მიუვლინა იმ შაბაზს, რომ ხუთს წლამდინ სნეულობით იტანჯებოდა, და მერე მუცლის სენი დაემართა, და ნაწლავები უკან განსავალიდამ დაჰყარა და ისე ამოხდა ის მყრალი სული. და სამოცი წელიწადი ვერცა იხელმწიფა იმისმან სახლმან, მარტო ოთხმოცი ვაჟი კაცი იყო იმათი გვარისა, ქალებს გარდა, და ასე გაწყვიტეს ერთმანერთი და სხვათაცა, რომ იმათი გვარისა ერთი აღარავინ მოიპოება; და ნახეთ,

ღმერთი ასე სწყალობს ბაგრატიონთა ოჯახსა, რომ ამათ გვარში ხუთი თუ ექვსი მოწამეა, ისე, რაც მტერს შეხოციათ, იმას გარდა, და თქვენც ამისთვის უნჯ ყმას გეძახიან: როცა გასჭირებიათ ამათ ოჯახს, თქვენ შეგინახავთ და შესწევიხართ ყოველთვის გაჭირებისა დღეს.

თუშებს დიაღ იამა ეს იოანეს უბნობა და უთხრეს: ესე კარგად ჩვენთვის არავის უანბია, როგორათაც თქვენ გვაცნობეთო; მეფე ერეკლესაც ბევრი ჭინახული აქვს ჩვენზედაო და თითქმის სულ იმან დაგვაქრისტიანაო.

ი ო ა ნ ე: ბ:რაქალათ, რომ გახსოვთ და მაგრე ერდგული უნდა იყვნეთო!

მერე ცისკარაშვილმან ერთი თავისი შვილი წარმოაყენა: აი, ესეც ბატონმან გამიზრდევინა სამღვდელოდ და კიდევ სწავლობსო; მითხარ—ეს როგორი რამ მღვდელი გამოვაო?

იოანემ ზოგი რამ ჰკითხა, მან ყმაწვილმა კარგა მოუგო პასუხი. და უთხრა იოანემ: კარგად უსწავლია, რაც რიგი ეჭირებაო.

მან, ცისკარაშვილმან: მაინც მიბრძანე, როგორი რამ გამოვაო?

ი ო ა ნ ე: ცოდნა კარგი აქვს, მაგრამ მე ასე ვატყობ სახეზედ, რომ ეს მღვდლად არ იკურთხება და არც თქვენში ენდომება ცხოვრება, და ვერც თქვენსავით ერთგული იქნება ბაგრატიონთი.

მაშინ თუშებმან: „ეს ბერი ანგელოზი ყოფილა, ყველას სწორეს გვეუბნება, შეტადრე ჩვენში გული არ უდგების და არც მღვდლობა ეხალისების“. მოვიდნენ და იოანეს ხელსა და ფეხზედ მთხვევნა დაიწყეს.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! რასა იქთ? მე ერთი გლახაკი მწირი ბერი ვარო!

მერეთ ასამხრეს იოანეს, აჩუქეს თეთრი რამოდენიმე. იოანემ მადლობა უთხრა მათ, გამოესალმა და განემართა ლალის-ყურს.

რა ლალის-ყურს მივიდა იოანე, მოურავს ადრევე განემზადებინა მისთვის სახლი და მიიყვანეს მუნ; იოანემ მცირე ხანს განისვენა და მერე წავიდა ლოცვაზედ ეკკლესიასა შინა. იხილა მუნ მოურავმან, მოიკითხა, და იწყეს მწუხრისა ლოცვა. მაშინ მუნ ერთი დიაკვანთაგანი, რომელიც ჟამს ანბობდა, დია ხლტებოდა და ბევრს უშვებდა სიტყვებსა; მცირე მოითმინა იოანემ და მერე უთხრა: უფალო დიაკვანო! ღვთის ქურდი რად გინდა იყო და ღმერთს ჰპარავდეო? დიაკვანმან ვერა გამოსცნო რა და მერე მღვდელი მოჰყვა ჟამნობას; და, რა დაასრულა ლოცვა, მოურავმან თვის თანა წამოიყვანა იოანე, და მცირესა ხანს უკან მოიღეს ვახშამი. რა მცირე

ჩანი გამოხდა, მოურავმან უთხრა იოანეს: ის დიაკვანი ჩემი შვილია, რომელსაც ვაზდევინებ ბერად, და ის რა უთხარი, როგორ იქნება ღვთის ქურდი?

ი ო ა ნ ე: უკაცრავად, ვერ ვიცან თქვენ შვილად, და ღვთის ქურდს ძველად ქართველნი სამღვდელონი ეძახდენ ესგვარ ჟამნისა და საღმრთო წიგნის მკითხველთა. ვინცა რომ სიტყვებს დააგდებდენ და სრულებით არ წაიკითხამდენ, იმას უწოდდენ ღვთის ქურდად, რადგან საღმრთოს ლოცვაში დააკლებდენ სიტყვებს.

მ ო უ რ ა ვ ი: გაიგონე შვილო ფლორე, მეც ბევრჯერ დაგიშალე და არ დაიჯერე; აი როგორ განმარტა მამა იოანემ, ახლა მაინც გახსოვდეს.

ი ო ა ნ ე: უფალო ფლორე! რადგან ბერობის სახე შეგიმოსავს, მორჩილება სხვათაც თანა-გაძს, არათუ მამისა შენისა!

ფ ლ ო რ ე: ქართული მასალაა: ძალად გამღერებენ „ჭალას ვარდანაო“.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! სჩანს, რომ ბერობა არ გინდა.

ფ ლ ო რ ე: მე ცოლი მირჩევნია რომ შევირთო! მამას არ უქნია ბერობა და პაპასაო, რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო?

ი ო ა ნ ე: უი, ჩემს თავს! თუ გინდა ბერიც არ იყო, ცოდნა რას გაწყენს თავადისშვილსა?

ფ ლ ო რ ე: აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო.—და ააესო ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვინით, დალია და მიართო ბერსა. იოანე შეწუხდა და არ ენება გამორთმევა.

ფ ლ ო რ ე: თუ არ დალევ, მერწმუნე კისერში ჩაგასხამო! მაშინ მოურავმან უთხრა: ღვინოში ცოტა ჭირვეულია ეგ ჩემი შვილი, ჩხუბიც უყვარს, და ჩამოართვი ეგ ყანწი! იძულებულმან გამოართო და რის ყოფით დალივა ის ღვინო. და მაშინ ზ უ რ ა ბ ა მ უთხრა: ბატონო მოურავო, ამისთანა მემარხულე უნდა ბერებიო!

მ ო უ რ ა ვ ი: ოღონდაც!

ი ო ა ნ ე: ბატონო მოურაო! თავის თავის დასაცველად იძულებით ბევრს რასმე იქმს კაცი.—და მერე დასრულდა ვახშამი და ყოველნი წარვიდნენ თვის-თვისად.

რა გათენდა, მოურავმან მიუწოდა იოანეს თავისთან და აჩვენა თვისგან გაკეთებული სახლები, და სარაჯდარიც (ხუროთმოძღვარი), რომელსაც აეშენებინა ის სახლები ზედამდეგობითა თვისითა; რა იოანემან კარგად გაშინჯა, იხილა ეს სახლები, რომე ქვეშე ხის ბოძები ედგა ერთის კაცის სიმაღლედ, და თავხეები გაწყობით, და

ზედ ქვითკირის შენობა; დია ეუცხოვა იოანეს და სთქო: მე ამგვარი საფუძველი სახლისა არ მინახავსო, ესე ახალი ხუროთმოძღვრება არის.

მ ო ურ ა ვ ი : ეგ იკონომიისათვის ვქმენით, რომ ბევრი ქვა და კირი არლა მოუნდებოდა.

ი ო ა ნ ე : ბატონო მოურაო! დია კარგი, მაგრამ მტერმან რომ ეს ბოძები მოგიჭრას, ხომ სულ ძირს დაეცემა ეს სახლი და კიდეც დაიქცევა, და თქვენც ვნებას მოგცემთ.

მაშინ ზურაბამ: ეს სასახლე სასწაულით დგას ჰაერში, ვის შეუძლიან ვნება მისცეს რამეჲ?—მაშინ ყოველთა გაიცინეს.

მ ო ურ ა ვ ი : სარაჲდარმან ასე მირჩივა.

ი ო ა ნ ე : კარგად რომ სცოდნია ხუროთმოძღვრება, იმისთვის დაუდვია კარგი ფუნდამეტი (საფუძველი).

ამჟამად მოვიდა გიორგი ავალისშვილი სანიორედამ, მოურავი და სხვანი წინ მოეგებნენ, პატივით მიიღეს, იოანე მოიკითხა და ჰრქვა: რას სინჯამ ამ სახლებსაო?

ი ო ა ნ ე : ამ სახლის ხუროთმოძღვრებასაო!

გ ი ო რ გ ი: ვიცი, ბოძები არ მოგეწონებოდათ.

ი ო ა ნ ე : სწორედ მიხვდით.

გ ი ო რ გ ი : ჩე თქვენი მეცნიერება მესმის, მე რუსეთს ნამყოფი ვარ და მინდა გკითხოთ: რაჲ არს არხიტეკტურობაჲ ანუ ხუროთმოძღვრება?

ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ა ა ნ უ ა რ ხ ი ტ ე კ ტ უ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ა ნ ე : არხიტეკტურა გვასწავებს განკარგვასა შენებულებისასა წესიერად და სიმეტრიულად და ესრეთ, რომელ იგინი იყვნენ სახმარნი მის ხმარებულებისათვის, რომლისათვისცა დანიშნულ არიან.

გ ი ო რ გ ი : რაოდენ გვარნი არიან ხელოვნებანი ხუროთმოძღვრებისანი?

ი ო ა ნ ე : სამნი გვარნი: სამოქალაქო, სამხედრო და სახომალდო.

გ ი ო რ გ ი : რასა შინა მდგომარეობს სამოქალაქო ხუროთმოძღვრებაჲ?

ი ო ა ნ ე : განშვენებათა და ზომიერებათა და თანხმობათა შინა ვითარისამე გარეგანთა და შინაგანთა შენებულებათათვის.

გ ი ო რ გ ი : რაოდენნი ორდენნი ანუ ხარისხნი ირიცხებიან სამოქალაქოს არხიტეკტურობასა შინა?

ი ო ა ნ ე : ხუთნი უკვე ხარისხნი, ესე იგი: ტოსკანიური, დორიჩესკიული, იუნიჩესკიული და შერევნილი. და ეგრეთვე ამათდამი შეერთებულ ჰყოფენ ლოტიანურსა, ანუ ძველსა ლონისძიებათა აღგებისათვის შენებულებათა, რომლისა გამო აღშენებულ არიან ესენი ყოველნი შესაკრებელთა ეკკლესიანი და ესგვარნი დიდ შენებულებანი ხოლო ორდენთა ამათ მიიღეს წოდება თვისი ერთა მათგან, რომელთა შორს იყვნენ იგინი მომპოვნელნი.

გ ი ო რ გ ი : ვითართა თვისებათა თანამდებ არს ქონად კარგი უკვე ხუროთმოძღვარი?

ი ო ა ნ ე : იგი თანამდებ არს ცოდნათ მხაზველობისა ხელოვნებისა, ღეომეტრიისა, ოპტიკისა, ისტორიისა, ზღაპართსიტყვაობისა, მრავალგან სხვათა და სხვათა შენობათა ნახელობისა, თვით აღშენებასაცა შინა გამოცდილებასა და ესე ვითართა.

გ ი ო რ გ ი : რასა შინა მდგომარეობს სამხედრო არხიტეკტურა?

ი ო ა ნ ე : ცოდნა ციხის განკარგულებისა, აგრეთვე მინდრულთა სიმაგრეთა და საფრებთა განკეთებისა მდებარეობისამებრ ადგილისა. ესსახედ, რათამცა იგი შემძლებელ იყოს ესგვარ აღშენებად სიმაგრისა, რომელ შეუძლოს მცირეს რიცხვითა მხედრობითა წინაგანწყობად, ოდესცა მტერი შემოადგეს უდიდესითა მხედრობითა.

გ ი ო რ გ ი : რაჲ არს სახომალდე არხიტეკტურა?

ი ო ა ნ ე : ხელოვნებით გაჰოცდილებაჲ აღშენებად ხომალდთა, რაგვარადაც სამხედროთა, ესსახედ სავაჭროთაცა, ხოლო ესეცა უნდა იყოს სწავლულ ზემოხსენებულთა ხელოვნებათა.

მაშინ ზურაბამ მოახსენა გიორგის: ბატონო ივალისშვილო! თუ მაგ ბერს ავყივით, სულ უსახლოდ დავრჩებით—ქართლი, კახეთი, სად უნდა ისწავლონ რაც მაგან ილაპარაკა?—მაშინ ყოველთა გაიცინეს და მოიღეს სადილი, კარგად შეექცნენ. რა აიღეს სადილი, იოანე გამოეთხოვა მოურავს, მოურავმან აჩუქა კარგად ღვინო, გიორგისაც გამოესალმა და უთხრა იოანემ: მინდა გწვეოდი და აქ გნახეთო! მანცა აღუთქვა საჩუქარი.

და მერეთ დაიბარა მოურავის ქალმან სოფიომ იოანე, მოურავმან მიიყვანა სოფიოსთან. სოფიო მოიკითხა ლოცვით იოანემ და სოფიომ უთხრა: ბეჩავ, რაზედ შეაწუხე ალავერდს ქალები და ან ელევთერ?

ი ო ა ნ ე : ბატონავ, ქადაგებაში ბევრი რამ ითქმის და რად უნა შეწუხდენ, და, თუ სვინიდისით იქმონენ, დია კეთილია!

ს ო ფ ი ო : ნუ დამემდურები, აჰა ერთი წყვილი წინდა და პაჭიკი

მომირთმევია, ისე მიიღეთ, ვითარცა მწვლილი.

ი ო ა ნ ე: თქვენ იმისთანა ქვრივი არ ბრძანდებით, უფრო მდიდარი ხართ.—სოფიომ თეთრიც აჩუქა.

ი ო ა ნ ე: ღმერთმან გაცხონოთ, მადლობელი ვარ!

ს ო ფ ი ო: თქვენმა მზემ, არ გახლავარ ბებერი!

ი ო ა ნ ე: ცხონება ყმაწვილისა და ბებრისათვის დია სანატრელია!

ს ო ფ ი ო: ბერო! ასე იცოდე, რომ მინდოდეს, დია მალე გავთხოვდები.

ი ო ა ნ ე: უი, მდომა გქონიათ!

მაშინ მოურავმან გაიცინა და უთხრა: ბერო! კარგად შეატყეო.

ი ო ა ნ ე: არა, ბატონო, დიალ პატიოსანად ნაცნობია ხალხში, მეტადრე სხვათა ქვრიებთა ზედა.

და ამა უბნობით გაიყარნენ.

რა იოანე ამხედრდა, გიორგიმ უთხრა: გახსოვდე, ბერო, ლოცვაში!

ი ო ა ნ ე: სარწმუნოებისა შენისამებრ მეხსოვნები.

გ ი ო რ გ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ვითარცა ელიაზარ.

და გააქენა ცხენი და წარვიდა ენისელისაკენ.

ᲓᲦᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ

რა ენისელს მიუახლოვდენ, იოანემ უთხრა ზურაბას: წადი და სახლი იშოვე სადმე სადგური! ზურაბა მივიდა მოურავთან, იოანეს მაგიერ ლოცვა-კურთხევა ჰკადრა და სთხოვა სადგური; მოურავმანც მისცა; და ოდეს იოანე მივიდა, აჩვენეს თვისი სადგომი. იოანემ განისვენა მცირედ და მერე წარვიდა მოურავთან; რა დიმიტრი მოურავი იხილა, იოანეს დია ეუცხოვა იმისი სახე, ყოფაქცევა და დაკვლაშნულება, რომელიც სვლაში ხლათევდა ფეხებს. და თქვა მამასახლისისადმი: ესე არს თქვენი მოურავი და გაღმა მხრის სარდალი?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი: დიაღ!

ი ო ა ნ ე: ეს რომ თითონ ყოფილა მოსაველელი, ამან ვის უნდა მოუაროს, რომ მოურაობა მეურნობას ანუ მომლელს ნიშნავს?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი: რადგან შთამომავლობით ყოფილა მოურავი ამათი გვარი, ბატონმან არც ამას გამოართო.

ი ო ა ნ ე: დია კარგი, მაგრამ რატომ ამის შვილს არ მისცეს, რომელიც დია კარგი ვაჟკაცია, ერდგულია თვისის მებატონისა და მამულისა?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი: უფროსი-ერთს ისი მართავს საქმეს.—მერეთ დიმიტრიმ მიიღო იოანე კარგად და უბრძანა მამასახლისს, რომ კარგად დახვდიო, მე სხვაგან მივალ, და აღუთქვა ღვინოც საჩუქრად იოანეს; და წარმოიყვანა მამასახლისმან. მაშინ ზაქარია მღვდელმან ლალისხანისშვილმან სცნო იოანეს მუნ ყოფა და წარმოვიდა იოანესთან. რა ურთიერთი იხილეს, მიესალმნენ და სიყვარულით მოიკითხეს ურთიერთი, და ზაქარიამ გამოჰკითხა იოანეს თვისი ვითარება. იოანემაც უანბო თვისი მგზავრობის მიზეზი, და მერე დასხდენ

ვახშმად. რა კარგად შეექცნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: მე ვაპირებ სკოლის გამართვას დუშეთს და, თუ შენც განწესდები, ხალიფობას მოგცემ შეგირდებისას და ჯამაგირსაც გაგიჩენ!

ი ო ა ნ ე: ვაჲ თუ ეგ სკოლის გაკეთება ჰგავდეს მამლის და ძაღლისაგან აშენებულს სოფელსა!

ზ ა ქ ა რ ი ა: რასათვის შეურაცხმყოფ, მე არაგვის ერისთვის შვილი ვარ და როგორ ვერ შევიძლებ?

ი ო ა ნ ე: ვჰგონებ, გაგეგონოთ ქართული მასალა: „სტუმარს სახლში არ უშვებდენო და იძახდა, ხმალ-ფარი თაროსთან დამიკიდეთო“.

ზ ა ქ ა რ ი ა: ვის შეუძლიან ეგე ქმნასო?

ი ო ა ნ ე: სწორედ არაგვის ერისთვებს.

ზ ა ქ ა რ ი ა: მე ბრუდედ ვარ ნაშობი?

ი ო ა ნ ე: ასე სწერს მოციქული: „არა დაიმკვიდროს შვილმან მხევლისამან ძისა თანა აზნაურისა“.

მაშინ განრისხდა ზაქარია და თქვა: ნახეთ ეს ქიზიყელი მუტრუკი როგორ გაამპარტავნდა, სხვანიც რამდენი შეურაცხჰყო და მეც ძაღლად და ბუშად გამხადა! მივარდა იოანეს, სტაცა წვერში ხელი და დაუწყო თმასა და წვერსა გლეჯა. იოანეც გამწოვდა და ამანაც მიჰყო ხელი და ერთმანერთი დაქოჩრეს. მაშინ მამასახლისი და სხვანი მუნებურნი მღვდელნი შთაუცვიდნენ შუაში და რის ყოფით გაამშველეს.

მაშინ ზურაბამ: ახ, დიაღ მალე წაიკიდენით მოძღვარ-ხალიფა, და ამ ყოფით სკოლა არ გაიმართებაო.

ზაქარია განრისხებული წავიდა შინა და იოანემაც ის ღამე მწუხარებით გაატარა. ხოლო ხვალისა დღე ადგა ადრიან და წავიდა ნოდარიანთან საბუეს.

დ. ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი

რა მივიდა სახლსა სალთხუცისასა ნოდარისშვილთან, სადილს აპირებდენ, და იოანეს გულისათვის უბრძანა თვისსა მსახურსა ფლავისა მოხარშვა, და იოანე წაიყვანა მარანსა შინა; მცირეს ხანს იმუსაიფეს და მერე მოვიდნენ სხვანიცა სახლის კაცნი მათნი, დასხდენ და მოიღეს სადილი. ოდეს ფლავის მოტანის დრო შეიქმნა, მოიღეს ფლავიცა და ჩამოარიგეს, მაგრამ ძლიერად მძაღე და მყრალი ერბო მოსლოდათ, რომ იოანემ ვერ უძლო ჭამად. გარნა სალთხუცესი თავდალუნვილი სჭამდა ფლავსა მას ესრეთ, რომელ მთლად მიიღო იგი თეფში სამსე, ხოლო სხვათა ვერცა თუ ერთი ლუკმა მიიღეს. ოდეს დაასრულა ფლავის ჭამა სალთხუცესმან, იხილა: იოანეს ისევ სავსე უდგას თეფში და სხვათაცა. იოანეს უთხრა სალთხუცესმან: რატომ არ მიირთმევთო?

ი ო ა ნ ე: სიმძაღემ ყელი ჩამხახა და სუნმან საუნოსელი შემხუთა.

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი: მძაღე და მყრალი ხომ არ იყო ერბოო?

ი ო ა ნ ე: დია ბატონო!

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი: ვაჟო, როგორი ბერი ხარ, არ შემატყობინე თუ მძაღე ერბო ჰქონდა, რომ მეც არ მეჭამა!

ი ო ა ნ ე: არ ვიცოდი, თუ გემება არა გქონდათ.

მაშინ ზ უ რ ა ბ ა მ: ბატონო სალთხუცესო, დიდოს მოურავი ბრძანდებით და იქ იქნებით დაჩვეული დუმისა, ქონისა, ხინკალის ჭამას, და თქვენ ამისთვის ვერ გამოსცანით, მაგრამ ჯარიმაში ერთი ურემი ღვინო უნდა გვაჩუქოთ.

მაშინ ყოველთა იცინეს და აღუთქვეს ღვინო იოანეს. რა დასრულდა სადილი, იოანე გამოეთხოვა და მადლობელი წარვიდა შილდისაკენ.

მისრული იოანე მივალს ყოვლად-სამღვდელოს ნეკრესელის ზაქარიას სადგურსა და გარდახდების ცხენიდამ და შევალს გალავანის ბჭესა შინა. იხილავს მუნ ერთსა დიაკვანთაგანსა და ეტყვის: ყოვლად-სამღვდელო აქ ბრძანდება?

დ ი ა კ ვ ა ნ ი: აქა!

იოანემ სთხოვა დიაკვანს და ცხად-უყო ვითარებაცა თვისი და უთხრა: მივედ, ყოვლად-სამღვდელოს ჩემს მიერ ანბორება მოახსენე და სადგურიცა გვითხოე!

დიაკვანი მივალს და ყოველსავე მოახსენებს არქიერს, და მანცა ინება და მისცეს სადგომი იოანეს; და რა მცირე განისვენა, საგზაო ტანისამოსი გამოიცვალა და ანაფორით მოსილი ელოდა მიწოდებასა თვისსა. ამა ჟამსა შინა მოვიდა იგივე დიაკვანი და მიუწოდა იოანეს. რა მივალს იოანე და იხილავს არქიერს, იქმს მეტანიასა და ეანბორება მარჯვენეს; არქიერი მოიკითხავს და მერეთ დასომს იოანეს და ეტყვის: საიდამ მოგიძღვის უფალი?

ი ო ა ნ ე ქვაბთახევის მონასტრით.

ა რ ქ ი ე რ ი: ღვინის სათხოვრად?

ი ო ა ნ ე: სულმან გაცნობათ.

ა რ ქ ი ე რ ი: ბოროტმან თუ კეთილმან?

ი ო ა ნ ე: სულმა წმინდამან!

არქიერს იამა იოანეს ლაპარაკი და უბრძანა: შეისრულე სწავლა?

ი ო ა ნ ე: ჰე, მადლითა თქვენითა!

ა რ ქ ი ე რ ი: ვინემდის ვახშამი დამზადდებოდეს, მცირე რამ ვიუბნოთ კატიღორიისათვის.

ი ო ა ნ ე: იყავნ ნება თქვენი!

[ამას მოჰყვება ტრაქტატი: დიალიკტიკისა ანუ კატიღორიისათვის].

მაშინ ზ უ რ ა ბ ა მ: ყოვლად - სამღვდელოო! აჰა მამალმან იყივლა, ოთხშაბათი გვითენდება, ხარჯი წაგიხდებათ ვახშმისა.

ა რ ქ ი ე რ ი: კიდევ მუცელ-ღმერთობას არ იშლი, ზურაბ?

ზ უ რ ა ბ ა: ამ ბერთან მაგის მეტს რას ვისწავლიდი, სულ საკმელისა და სასმელისათვის არ დარბის ეს ბერი?! არქიერმან გაიცინა და ბრძანა მოღება ვახშმისა. მოიღეს და, რა კარგათ შეექცნენ, არქიერმან უბრძანა იოანეს: ვერ იცნობ კიკოს? იოანე დაყოყმდა; და კვალად განუახლა იოანეს: ჩემს კიკოს გკითხავთ!

ი ო ა ნ ე: კიკო კენტსა ნიშნავს, და რომელს კიკოს მკითხავთ?

ა რ ქ ი ე რ ი: სწორედ კენტს კიკოს გკითხავ.

ი ო ა ნ ე: ბანქოს კიკოს თუ სხვა კიკოს?

ა რ ქ ი ე რ ი: „არა, ჩემს კიკოს!“ და იოანე გაშტერდა. მაშინ ზ უ-
რ ა ბ ა მ: ყოვლად-სამღვდელოო! ცხრა-წვენას?

ა რ ქ ი ე რ ი: სწორედ ჭეშმარიტად, ცხრა-წვენას! მაშინ

ი ო ა ნ ე: ყოვლად სამღვდელო, ცხრა-წვენას ვეძახით,—ცხრა გვარს-
სამარხოს აურევთ ერთად და შეჭამადად შევაგბობთ მონასტრებში
შობისა და ნათლის-ღებისა წინადღეს, და იმას მივიღებთ.

ა რ ქ ი ე რ ი: მაგას არა გკითხავ, ჩემს ცხრა-წვენას გკითხავ.

იოანე დარჩა კიდევ უთქმელი, მაშინ ზურაბამ უთხრა იოანეს:
ცისა და ქვეყნისას ყოველსა ტყობულობ და ამას კი ვერ მიხვდი?
ყოვლად-სამღვდელო თავის შვილიშვილს კიკოს გკითხავს.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ეგ რა სახელია?

ზ ურ ა ბ ა: ცხრა გვარი გამოიცვალა და ამისთვის დაარქვეს
ცხრა-წვენა.

ი ო ა ნ ე: ყოველი სოფელში მყოფი კაცი უნდა მეცადინეობდეს
თავის გვარის განდიდებასა და რა საწუნელია?

ა რ ქ ი ე რ ი: არა, ყოველივე ზომიერებით უნდა, მაგრამ ახლან-
დელი შვილნი არ არიან მორჩილ თვისთა ბშობელთა.

ი ო ა ნ ე: ეგე ჭეშმარიტია, მაგრამ უკანასკნელი ჟამია, მოციქუ-
ლიც ასე ბრძანებს უკანასკნელთა ჟამთა ურჩობასა შვილთაგან თვის-
და მშობელთასა.—და ამა უბნობით დაასრულეს ვახშამი. მერე აღდგა
იოანეცა, ეანბორა არქიერს და წარვიდა სადგურსა თვისსა.

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი

ხოლო ხვალისა დღე იოანე იახლა არქიერს, გამოესალმა და კმაყოფილი წარვიდა ყვარელისაკენ; რა ყვარელსა შინა შივიდა, ელევთერმან სცნო მისი მუნ მისვლა, მყის კაცი გაგზავა და თვისთან მიაყვანინა. რა იოანემ იხილა ელევთერ, არ იყო, რომ არ შეშინდა და თქვა გულსა შინა თვისსა: ვაჲ თუ ამანაც გამლახოს! და მსწრაფლ მივიდა, უყო მეტანია და სთხოვა ხელი. ელევთერმან მსწრაფლ აღადგინა და უთხრა: ნუ გეშინიან, მე არას გერჩი, გარნა გკითხავ მიზეზთა ყველრებისათვის; უბრძანა იოანეს დაჯდომა. დაჯდა იოანე, მოიკითხა ელევთერმან და მიმოსვლის მიზეზიც ჰკითხა; იოანემ ყოველივე აცნობა; და მერე უთხრა ელევთერმან: შენ და ეშკაალაში რად დამდურდითო?

ი ო ა ნ ე: ჭეშმარიტებისათვის!

ე ლ ე ვ თ ე რ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: აი, ეს საბრალო ზურაბა, ერთის წისქვილის მქონებელი უსამართლოდ ისჯება და ერთმევა, რომლითაც თავისი ცოლშვილი უნდა გამოზარდოს; მდივანს სულხანს აქვს მეფეთაგან ჯამაგირი, სამდივნო ათის თავი, სოფელი; და ამ საბრალოს კი ეუსამართლობა. და ამისთვის ვაწყენინე ალექსანდრეს, რომ მდივნის მხარე ეჭირა, და რაც მკითხა, ის განუმარტე და ამისთვის გამიწყრა.

ე ლ ე ვ თ ე რ ი: ასე იქნება მოხელეების საქმე, ზოგი ერთს კერძოდ იქნება და ზოგი მეორეს კერძოდ; და ჯერ ხომ არ გარდაწყვეტილა საქმე?

ი ო ა ნ ე: მართალია ეგე, მაგრამ თუ მოხელე თავის სულს გარდუდგება, შემძლებელი ყოველთვის განმართლდება, თუ გინდ ტყუოდეს, და ამაში თავის მებატონესაც დაუმძიმებს და უსამართლობაში შეიყვანს, თორემ მე კი პატივისმცემელი ვარ ჩემ კერძო ეშკაალაშისა.

ელევთერი: ჩემი ისე იმ სახით შემოსვლა ეკკლესიაში რად იუცხოე და ან რად აპირებდი ქადაგებაში ჩემს შეურაცხებას, და ან კნეინას რად ამხილე თავდაუბურველობა?

იოანე: რადგან მონოზონების სახე გმოსიათ, მეუცხოვა თქვენი იმ სახით შემოსვლა ეკკლესიასა შინა, რომელ მეფეთათვისცა მაღალი საქმე იყო, კნეინასიც თავშიშველობა და მარაოს ქნევა ეკკლესიაში. პირველი ნახვა იყო, რომ ქართველთ დედანი დია კრძალულნი არიან ლოცვა-წირვაზედ, რომ ჩადრით იბურვენ სახეთა და სულ მეტანიით და გულში ცემით დაასრულებენ თვისსა ლოცვასა, და ამისთვის ვიკადნიერე, რომე სხვანიც არ შეუდგნენ იმ კვალსა და არ განუგრილდეთ გული ლოცვა-წირვისათვის; ხოლო თქვენ მერწმუნეთ, რონ მე მინდოდა წმინდა ჯვარზედა სიტყვის თქმა და შეევედრება ხალხისა, და თქვენ დაგვაბრკოლეთ და თვისად მიიღეთ აზრი მხილებისა რისამე; და ეგეც კარგი სვინიდისია, თუ გამხილებდათ რასმე.

ელევთერი: ახლა მჯერა და მე გეტყვი ჩემს ასე ქცევის მიზეზსა; თუ ასე არ მოვიქეც, რადგან მეფესთან მიჩნეული ვარ და ხალხში წილი მიძევს სახელოსი, ზედ არავინ შემომხედავს ამისთვის, რომ საზოგადოდ აზიელთზედ არს თქმული, რომელ „თვალში აქვთ ქკუა და არა თავშიო“.

იოანე: დია მართალია, მაგრამ მცირე რამ განყოფილება მაინც უნდა ჰქონდეს ბერსა და ერსა ყოფაქცევაში!

ელევთერი: მე ჯერ არც ჩოხა მაქვს ნაკურთხიო. მაშინ

ზურაბა: ბატონო, კუნკული ხომ გხურამთ, სხვა რა გინდაო?

და გაეცინათ ყოველთა; და ამა უბნობაში შეიქმნა მიწის ძვრა ისეთი, რომ სრულებით შეიძრა სახლი კედლებით და ჭერითურთ; და მსწრაფულ გამოვიდნენ გარე და იწყეს ვედრებად ღვთისა. რა დამყუდროვდა, მოიღეს საღილი და დასხდნენ. მაშინ ელევთერმან უთხრა იოანეს: უნდა გკითხო რამე, რადგან მეცნიერი ხარ.

იოანე: მიბრძანეთ!

ელევთერი: რაჲსა გამო და ანუ რისაგან იშობების მიწისძვრაჲ?

იოანე: მიწის ძვრა უფრორე იქმნების მსწრაფლისა აღზნებისა გამო გოგირდისა და სხვათა აღმგზნებელთა ნივთებთაგან, მყოფთა ხვრელთა შინა ქვეშე მიწისათა, რომელიცა უფრო ხშირადრე აწარმოებს ძვრასა სამხრეთის კერძოდ, ვინაჲდგან მუნებურთა ადგილთა შინა უფრორე მრავალ არიან ესეგვარნი უკვე ნივთებნი.

ხოლო რომელნიმე ბუნების გამომძიებელნი სდებენ უკვე ჰაერსა და წყალსა მიზეზად მიწისა ძვრისად, და ესეცა შესაძლებელ არს.

ხოლო უკეთუ გსურისთ უმეტეს შემემცნება ამისი, სათანადო არს, რათა წარმოიდგინოთ თვის შორის ზემო-პირი ქვეყანისა, რაგვარადაც ქერქი ხისა, იმსახედ თხელად, რომლისა ქვეშე არიან ურიცხვად დახრამულნი და განჭმულნი ადგილნი, რუისა სახედ, და ესენი სავსენი წყლითა ანუ ჰაერითა მდგომარენი; და ოდეს ესე ორნი უკვე ნივთნი აღგზნებისა გამო ნივთთასა განტფებიან, მაშინ მიისწრაფიან იგინი ცარიელთა მათ ადგილთადმი დიდითარე ძალითა მეძიებელნი თვისად განსავალთა ადგილთა; და მაშინ ამა კვეთებისა გამო განხეთქვენ სხვათა ადგილთა და შესძვრენ უზომოდ ზემო პირსა მას თხელსა მიწისასა ანუ ქვეყანისასა.

ელევთერ: რომელსა ქვეყანასა უფრორე არიან ცეცხლმფშვეველნი მთანი და ადგილნი, სქელითარე კომლითა აღმომსვლელნი?

იოანე: თუმცა მრავალ ადგილსა არიან ესგვარნი ადგილნი ცეცხლ-მფშვეველნი, გარნა ესენი უფრორე ირიცხებიან უჩინებულესად, ვითარცა მთა ეტნაჲ სიცილიასა შინა, ვეზუსი მთა ნიაპოლის საკოროლსა შინა, მახლობელ იტალიისა, და ლეკლაჲ ისლანდიასა შინა. ესე ცეცხლ-მფშვეველნი უკვე მთანი კვალად იწოდებიან სახელით ვულკანებად.

აგრეთვე ჩვენის ქვეყნის ნაწილსა შინა ბაქოს არს ცეცხლიერი მინდორი, სადაცა ცხოვრობენ მილთონნი; ოდეს მოსთხრიან მიწათა, აღმოვალს მუნით ცეცხლის ალი, და მოხარშვენ მასზედა საჭმელთა, რომელიც თქვენც კარგათ უწყით.

რა სადილისაგან აღდგნენ, იოანე გამოეთხოვა ელევთერს, ელევთერმან კმაყოფილ ყო იოანე და მშვიდობით გაიყარნენ.

იოანე წარვიდა ციხისაკენ და თან გაჰყვა ალავერდის სალთხუცესი. რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა გალავანი შემორტყმული და გალავანს გარე არხი. იოანეს დია მოეწონა ეს სიმაგრე და ჰკითხა სალთხუცესს: ეს სიმაგრე ვინ გაგიკეთათო? მან უთხრა: იოანე ბატონის-შვილმან, რომ მეფე ირაკლიმ აქ უბრძანა ყოფნაო, ოდეს ომარხან მოვიდოდა ოც-და ხუთი ათასის კაცით ამ ყვარელზედ, მაშინ ეს სიმაგრე გაგვიკეთა ბატონის-შვილმან, შიგნით გალავანში დედაკაცნი და ყმაწვილნი დააყენა და ბურჯებში თოფაჩნი და მეთოფენი და თვითონ ჯარით და ჩვენ აქ ვიდექით. და ესრედ მაგრად ვიყავით, რომ მოვიდნენ მტრის ჯარნი, ბურსას ვერლა გასცილდნენ, და ორჯელ აქ დაგვესწრო ჩვენს გაჭირების დღეს, და ღმერთს გარდა იმან დაგვიხსნა იმ მტერთ ტყვეობისაგან. და ახლა ქიზიყს ბრძანდება კიდევ ომარხანის პირდაპირ.

ი ო ა ნ ე: ღმერთმან აკურთხოს, დია კარგად ცდილა და კარგი სამკვიდრო თქვენთვის სიმაგრე გაუკეთებია. ესე თქვა, გასინჯა ციხე და განემართა ფაშაანისაკენ, დავით ჯიმშერისშვილთან. რა მცირე იარა, საღამოს დრო იყო. თითქმის ბინდმან მოაწივა, იოანემ უთხრა ზურაბას: დავით ჯიმშერისშვილთან რომ მივიდეთ, ასე უთხრათ: ღვთის სტუმარი შეგვიწყნარეთ და სახლი გვიბოძეთო! თორემ უღვთო კაცს ამბობენ და უწყალოს, ვაჲ თუ არ დაგვაყენოს! ზურაბამაც ოუწონა.

რა მივიდნენ დავითის სახლის ახლო, გარდახდენ ცხენიდამ, დიაღ ციოდა, მივიდნენ და ფანჯრიდამ შესძახეს: მდივანბეგო, დღეგრძელდი, ღვთის სტუმარი შეგვიწყნარეთ, სახლი გვიბოძეთ, სიცივეს დია ძალა გვიყო! დავითმან ფანჯრიდამ გამოსძახა: მე თქვენი დალოცვა არ მინდა, მე დიაღ დღეგრძელი ვარ, სამოცდა ხუთის წლისა ვარ, და აჰა იანგარიშეთ-რამდენის დღისა ვიქნები, და სახლს კი მოგცემთ! მაშინ თავის მსახურს უბრძანა ჩუმად: წაიყვანე და, ამ სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვანე და ასე უთხარ: რადგან ღვთის სტუმარი ხართ, აჰა ღვთის სახლი, და შენ კი წამოდიო. მან მსახურმან ესენი წარიყვანა, და ეგონა იოანეს —კარგს თბილს სადგომს მიმიყვანსო, და უკანასკნელ იმ ხრაბა საყდარში მიიყვანა და უთხრა იოანეს: მდივანბეგმან გიბრძანათ, რადგან ღვთის სტუმარი ხართ, აჰა ღვთის სახლიო! რა იოანემ ესე ხრაბა საყდარი იხილა, დია შეწუხდა და სთქვა: უი იმ უწყალომ რა გვიყო ესე?—რა მსახური გამობრუნდა, დაუძახა იოანემ: მდივანბეგს ასე მოახსენე: ოხერს საყდარს ეშმაკი უნდა ეპატრონებოდეს, და თქვენ უფრო გფერობდათ აქ დგომაო! მოვიდა ყულუხჩი და ყოველივე მოახსენა დავითს. მდივანბეგმან ბევრი იცინა და გაგზავნა მაშინვე კაცი, სახლი მიაცემინა და ვახშმად თვისთან დაიბარა იოანე. ვახშმის დროს წარვიდა იოანე და შევიდა მდივანბეგთან. მოახსენა იოანემ: მშვიდობა თქვენდა, ბრწყინვალეო თავადო!

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი: და სულისაცა შენისა თანა, უფალო ტირაცუვ!

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს, სომეხი ხომ არა ვარ?

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი: მაგ ზურაბას ამხანაგი რომ ხარ, მაშ სომეხი არ იქნები?

ი ო ა ნ ე; ესეცა ახლა ჩვენი სარწმუნოებისა არის!

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი: თქვენი მასპინძელი როგორ დაგხვდათ?

ი ო ა ნ ე: რომელს ბრძანებთ?

დ ა ვ ი თ ი: რადგან ღვთის სტუმარი იყავით!

ი ო ა ნ ე: ყოველივე იმის მოწყალება არს, ასე რომ იმან მოაქცია ჩვენზედა თქვენი გული და თქვენგან მივიღებთ კმაყოფილებასა.

დ ა ვ ი თ ი: შემინდეთ, გამოგცადე, რადგან ბერობა მიგიღია, როგორი მოთმინება გექნებოდათ, და ახლა ვხედავ კარგი მონოზონი იქნები.

და ბრძანა ვახშმის მოღება. მოიღეს ვახშამი; ამჟამად ერთი ღვდელი შემოვიდა, უთხრა მდივანბეგმან დაჯდომა, გააცნო იოანეს და უთხრა: ესე ჩემი მოძღვარ-ყოფილი არს; იოანე მიეამბორა, მოიკითხეს ერთმანერთი, და მერეთ იოანემ ჰკითხა მდივანბეგს: თუ თქვენი მოძღვარი იყო უწინ, ახლა რად გამოგიცვლიათ?

დ ა ვ ი თ ი: მე ამას აღსარებაში უთხარ ერთი ცოდვა, და ასე მითხრა, რომ მაგ ცოდვის პატრონი შეა ჯოჯოხეთში ხართო! მე ვსთხოე: საკანონო დამდეევით, ეგების განვთავისუფლდეო! და შორს დამიჭირა. მერეთ უთხარ: მოდი. ერთს კიდევ ვიქმ იმ ცოდვასა, ეგება ნაპირზედ გამომაგდოსო. და ამაზედ გამიწყრა და არღა მათქმევინა აღსარება.

ი ო ა ნ ე: დიაღ რიგიან უქნია, რადგან თქვენ გარეწარად შეგირაცხავთ, და ამასაც ავად უქნია, რომ სასოწარკვეთილებაში მიუციხართ. ახლა ვინა გყავთ მოძღვარი?

დ ა ვ ი თ ი: ეფთვიმე წინამძღვარი.

ი ო ა ნ ე: ის უფრო შორს დაგგიჭერს მაგგვარს ცოდვებს და ვგონებ, მალე გაუშოთ ერთმანერთი.

დ ა ვ ი თ ი: არა, როდის ვეტყვი, მე ჩემს თავს დია მართალ კაცად ვაჩვენებ, რომ ბატონისა კარგი ყმა არს და ჩემსას კარგს მოახსენებს, და დაუჯერებენ, რადგან ჩემი მოძღვარია.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს და ეგ რა აღსარება არს, ეს არა სჯობს, რომ სულ ყოველთვის კარგათ იქცეოდეთ და არ ვერაგობდეთ და არც იმ საბრალო ბერს ატყუებდეთ?

დ ა ვ ი თ ი: ხანდისხან სადიამბეგოს წილსაც დაუდებ ხოლმე და ამითაც ავიღებ შენდობას.

ი ო ა ნ ე: სწორე სამართლისას, თუ მრუდისას?

დ ა ვ ი თ ი: ქართლში სად არის სწორე სამართალი? როგორც იყოს უნდა გავაჩანჩალოთ საქმე!

ი ო ა ნ ე: და რადგან ამგვარი მოსამართლობაც დაგიწყვიათ და იმ ცოდვაშიაც ბრძანდებით, რაღა ხორცით ახვალთ სასუფეველში?

დ ა ვ ი თ ი: ბერო, მე ცხონება და წაწყმედა არა მწამს.

ი ო ა ნ ე: მაშ პირუტყვი ყოფილხართ.

დ ა ვ ი თ ი: პირუტყვთანაც აქვს კაცს ზიარება.

ი ო ა ნ ე: სხვასთან ვილასთან? ისიც ბძანეთ!

დ ა ვ ი თ ი: ანგელოზთან და ორძილთანაც.

ი ო ა ნ ე: კარგი, ანგელოზნი ხომ სულნი არიან უკვდავნი და სიტყვიერნი?

დ ა ვ ი თ ი: დიაღ, და აჰა მითხარ, ვითარის სახით ვართ მასთან ზიარნი?

ი ო ა ნ ე: ანგელოზთან სულის უკვდავებით და სიტყვიერებით და გონებით ვართ ზიარნი, პირუტყვთან მშვინვიერობით, ხორცით, სმით, ჭამით, ძილით და სხვებ. ორძილთა მოზარდობით ზიარნი, რომელ ხეც იზრდება და ბალახიცა და, თუ გინდა, საღმრთო წერილთაგანაც დაგიმტკიცებ.

დ ა ვ ი თ ი: მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევი, მე მეტოლოღია მისწავლია, და მე გამოგცდი; თუ კარგად განმიმარტავ, მერე სხვა ძოძღვრებასაც შემოგიდგები.

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ!—რა დავითს ენება კითხვა მეტოლოღიაზედ, ამჟამად ერთი იასაული შემოვიდა, მდივანბეგს სალამი მიართო და ერთი წიგნიც. დავითმან მოიკითხა ის იასაული. წიგნი გახსნა და წაიკითხა, რომ გარსევან ეშკააღაში სწერდა ბატონის ბრძანებასა, რომ ქალაქს უნდა ორნივ წასულიყვნენ საჩქაროდ, და ესეც მოეწერა: ხვალე ველის-ციხეს მოვალ სადილად და თქვენც იქ დამხვდითო! დავითმან უთხრა იოანეს: თუ ხვალე ჩემთან წამოხვალ, გზაზედ ვიუბნოთო, ამაღამ კი უნდა მოვემზადო საქალაქოდ! იოანეს დია იამა და აღუთქვა თანხლება; ვახშამი აღიღეს და სახვალიოდ მზადება იწყეს. იოანეც მოვიდა თავის სადგურსა, მცირე განისვენა და ესეცა განემზადა წასასვლელად.

ხოლო ხვალისა დღეს იოანე მივიდა მდივანბეგთან, მოიკითხეს ერთმანერთი; მდივანბეგმან აჩუქა იოანეს რაოდენიმე ოქრო. და ამხედრდენ ცხენსა და წარვიდნენ ველის-ციხისაკენ. ამა მიმავლობასა შინა უთხრა დავითმან: აწ ვიუბნოთ მეტოლოღიისათვის და გზა იმა უბნობით შევამოკლოთ.

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ! მაშინ—

დ ა ვ ი თ მ ა ნ: რაჲ არს მეტოლოღია?

ი ო ა ნ ე: მეტოლოღია (მითოლოღია) არს ხელოვნება, ანუ აღმოჩინება ზღაპარსიტყვაობათა ღმერთთათვის და სარწმუნოებათა ძველთა ბერძენთა და რომაელთასა.

დ ა ვ ი თ ი: რაოდენად ანუ ვითარად განიყოფებიან ძველნი უკვე ღმერთნი?

ი ო ა ნ ე: ღმერთებად, ნახევარ ღმერთებად ანუ გმირებად, და ეგრეთვე ალლეგორიის ღვთაებად.

დ ა ვ ი თ ი: ვინ უფრო უძველეს არს ამა ღმერთებთა შორის?

ი ო ა ნ ე: დროჲ, რომელსაც ბერძენნი რაცხდენ სახელით ხრონოჲსათა, ხოლო რომაელნი სახელით სატურნისაჲთ.

დ ა ვ ი თ ი: ვითარსა სახესა მიაწერდენ მას, ანუ ვითარ გამოხატვიდენ?

ი ო ა ნ ე: მსგავსად მოხუცისად მოჴმუხვილსა, რომელსაც უპყრიეს ერთის ხელით ცელი, ხოლო მეორეთი საჟამო (საათი), და აგრეთვე გარემოს მისა, რომლითა არს მოცულ, იხილვების დარღვეულება და ხრწნილებაჲ, ხოლო ოდესმე წარმოადგენენცა მას მფრინავად ფრთებითა და მჭნეველად საშინელის ცელისა თვისისად.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ განიზრახეს მისთვის მოლექსეთა?

ი ო ა ნ ე: ესე, რომელ ვითამც იგი სჭამდა შვილთა თვისთა.

დ ა ვ ი თ ი: რასა ნიშნავს ზღაპარი ესე?

ი ო ა ნ ე: ნიშნავს, რომელ დროჲ ყოველსავე აღხოცს და ყოველსავე დარღვეულ ჰყოფს.

დ ა ვ ი თ ი: რადგან სატურნა ესე შვილთა თვისთა იყო მჭამელ, არავინ დაშთა მას შეუჭმელ შვილთაგან თვისთა?

ი ო ა ნ ე: დაშთნენ იუპიტერ, ნეპტონ, პლუტონ, იუნონა და ცერერა.

დ ა ვ ი თ ი: ვინ განარინა იგინი ხელთაგან მისთა?

ი ო ა ნ ე: რეიამ, ცოლმა სატურნასამან.

დ ა ვ ი თ ი: ვითარისა სახით?

ი ო ა ნ ე: სახითა ამით, რომელ ჟამსა ყრმისა შობისასა განახვია ქვაჲ, მსგავსივე ყრმისა, ტილოსა შინა და მისცა ქმარსა თვისსა შთასანთქმელად, ნაცვლად ახლად-შობილისა ყრმისა, ხოლო იუპიტერ დამალა კუნძულსა შინა კრიტიისასა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ შემთხვევა იწარმოა მერეთ?

ი ო ა ნ ე: იუპიტერ რა აღიზარდა და მოვიდა ჰასაკსა შინა, შთამოდევნა ზეცით მამაჲ მისი, და მერეთ განუყო ძმათა თვისთა მსოფლიო სამეფო.

დ ა ვ ი თ ი: სადა განივლტო სატურნა?

ი ო ა ნ ე: იტალიასა შინა, მეფისა ლათინთასა იანიასადმი, რომელმანც შეიწყნარა ფრიად და დიადაც სარგებლობდა ზრახვითა სატურნაჲსათა და მეცადინეობდაცა მეფე ესე დაწესებასა თვისთა ქვეშევრდომთასა ბედნირებისათვის მათისა; და ესრეთ მომზრახეობენ, რომელ მეფობასა შინა მისსა იყო ოქროვანი საუკუნე, ესე იგი, საუკუნე ნეტარი და უბიწო.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ ჯერარს შენიშვნად იანიასათვის?

ი ო ა ნ ე: იგიც ირიცხებოდა მსოფლიო ღმერთად, ხოლო სახელისა ჟამო მისისა წოდებულ არს პირველი უკვე თვე წლისა იანვარად.

დ ა ვ ი თ ი: მეფესა მას ვითარითა სახითა წარმოადგენდენ?

ი ო ა ნ ე: მას წარმოადგენდენ ორისა უკვე სახის მექონედ; ორსახედ ხატვიდენ მიზეზითა ამით, რომელ სატურნამ ინება თეთრზედ სიქას დაკვრა ანუ ბეჭედი, ერთის კაცის თავი ორსახედ, აჰისთვის რომელ თვისთა გამზრახთადმი აქვნდა მართებლობა სახელმწიფოჲსა; ხოლო მეორედ მარტვენ, რომელ ვითომც რაცხდენ სატურნას მზედ და მისთვის ორთავად, ანუ ორსახედ იხატებოდა, რომელ მოასწავებდა აღმოსვლასა და დასვლასა მზისასა.

დ ა ვ ი თ ი: იუპიტერ ვითარ იყო ძველადგან შერაცხილ ღმერთებთა შორის?

ი ო ა ნ ე: უწოდდენ მამად ღმერთთა და კაცთა ნათესავისა, გამგესა და მმართებელსა სოფლისასა და სხვათა ყოველთა ღმერთებთა ზედან უზენაესსა.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ძე იყო იგი?

ი ო ა ნ ე: სატურნასი და რეისა.

დ ა ვ ი თ ი: რასა ნიშნავს ლათინურებრ სახელი ესე იუპიტერ?

ი ო ა ნ ე: სიტყვისა გამო „იუვანს და პატერ“, რომელიცა ნიშნავს მამა-შემწესა, ხოლო ბერძენნი უწოდებენ მას ზევსად.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ იყო იგი აღზრდილი?

ი ო ა ნ ე: იგი იყო უფრორე დამყვირებელ საყვირისა ხშირადრე, რომლისა ბგერისა გამო არა სმენოდა მამასა მისსა ღაღადებაჲ მისი. და ესრეთ აღიზარდა იგი თხისა ამალფეიასგან წოებითა რძისათა.

დ ა ვ ი თ ი: სადა შობა იგი დედამან მისმან?

ი ო ა ნ ე: რომელნიმე უბნობენ შობასა მისსა არკადიასა შინა, ხოლო სხვანი კრიტიას.

დ ა ვ ი თ ი: ოდეს აღიზარდა იგი, რაჲ ჰყო მან საქმენი?

ი ო ა ნ ე: მან განაძო ტახტიდამ მამაი თვისი სატურნა, რომელიც ეძიებდა წარწყმედასა მისსა და მერე სრულიად სოფელი განყო სამ კერძოდ; უფროსსა ხვდა ცაჲ ანუ ოლიმპია, ნეპტონსა ხვდა ზღვაჲ, ხოლო პლუტონსა ხვდა სოფელი ქვეშე ქვეყანისა, და სხვათა მისცა ქვეყანა საზოგადოდ.

დ ა ვ ი თ ი: ვითართა მიაწერენ მას კვალად ჩინებულთ საქმეთა?

ი ო ა ნ ე: მან უკვე სძლო ტიტანთა, ანუ ღიღანტთა, ესე იგი შვილთა ქვეყანისათა, და ეგრეთვე საშინელთა და საკვირველთა დრაკონის ანუ ურჩხულის კუდის მქონებელთაცა, და მერეთ დასაჯნა წარღვნითა ნათესავნი კაცთანი, შეცვივნულნი უსჯულოებათა შინა,

ხოლო გამოიხსნა ორნი უკვე სულნი ცოლ-ქმარნი წარღვნისაგან, ესე იგი—დევკალონი და პირრი:

დ ა ვ ი თ ი: ვითარითა სახითა გამოხატულ ჰყოფენ მას?

ი ო ა ნ ე: მჯდომარედ ტახტსა ზედა, რომელსაცა უპყრიეს მარცხენით ხელით სკიპტრაჲ, ხოლო მარჯვენითა ელვაჲ ანუ მეხი, და ფერხთა ქვეშე მისთა სამეფო არწივი, სამეფოჲსა ნიშნებისა ფრჩხილთა შორის მპყრობელი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარი სახით შესწირვიდენ მას უკვე მსხვერპლს?

ი ო ა ნ ე: ასთა უბრყვილო ხართა, და ესეგვარი უკვე მსხვერპლი იწოდებოდა ღეკატომბად.

დ ა ვ ი თ ი: სადა იყვნენ ტაძარნი მისნი?

ი ო ა ნ ე: უპირველესი ტაძარი მისი იყო დიდონისა ტყესა შინა, ეპირეასა შინა, გარნა უჩინებულესი ტაძარი მისი მახლობელ იყო ოლიმპიასა ელადიასა ქალაქისათა, და ეგრეთვე სხვათაცა ადგილთა შინა.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო მეუღლე მისი?

ი ო ა ნ ე: იუნონა, რომელიცა იყო დაჲ მისივე.

დ ა ვ ი თ ი: რასა მოუთხრობენ მისთვის?

ი ო ა ნ ე: ძველიდგან რაცხდენ მას სხვათა ღმერთებთა ზედა დედოფლად და ღმერთად სამეფოთა და სიმდიდრეთა ზედა, ასულად სატურნაჲსა და რეისად, მეუღლედ და დად იუპიტერისად; გარნა იქვნეულობისა გამო თვისისა იგი ხშირადრე განრისხებულ ჰყოფდა მაღალსა მეუღლესა თვისსა.

დ ა ვ ი თ ი: სად იშვა იგი?

ი ო ა ნ ე: რომელიმე მომზრახეობენ, ვითამც იშვა იგი არღორსა შინა. სხვანი უბნობენ სამოსეს შინა, რომლისაცა დიდ-შვენიერნი ტაძარნი მისნი იყვნენ მათ ადგილთა შინა შენებულნი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ გამოხატვიდენ მას?

ი ო ა ნ ე: გამოხატვიდენ მას დია დიდებულ სახედ და ეგრეთვე დიადიმათი ანუ გვირგვინითა თავსა ზედან დახურვით და ხელითაცა მპყრობელად სკიპტრისა, ხოლო ოდესმე ეტლსა ზედან მჯდომელადცა, რომელსა შინა ება ფარშავანგი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარითა სახითა შეიცვლებოდა იუპიტერ და ეჩვენებოდა საყვარელთა თვისთა?

ი ო ა ნ ე: იგი შეიცვლებოდა მსგავსად აკაურისა (ყუისა) ლედიასთვის, ცოლისა ტინდარიისა, ხარად ევროპიასთვის და კადმოს, დისა აღენორიასთვის, ასულისა მეფისა ფინიკიისათა, ოქროს წვიმად დანაისათვის, ასულისა აკრიზიასა, მეფისა არღოლოიელთასა,

ხოლო მწყემსად მნემოსინისათვის, ანუ სახსოვრად ბოღინათათვის ანუ ღმერთებთა.

დ ა ვ ი თ ი: რაოდენნი შვილნი ესხნენ მას?

ი ო ა ნ ე: იუნონასაგან ესხნეს ორნი უკვე ძენი: მარს და ვულკან, და ასული ღება, რომლისაცა თანამდებობა იყო მემღვინეობა ანუ მეწდეობა ოლიმპიასა შინა; გარნა იუპიტერ იყო სხვათა მრავალთა უკვე შვილთა მეყოლ, სხვათა ცოლებთა თანა თვისთა, ესე იგი; ლედიასაგან ესხნეს კასტორა და პოლლუკსა, ყოვლად მშვენიერნი მამაცნი, ევროპიასაგან—მინოსა და რადამანტა, რომელნიცა დიდისა სიმართლისამებრ თვისთა შერაცხილ იყვნენ ტიტლოებად მოსამართლედ სოფელსა შინა ქვეშე ქვეყანისა; დანაისაგან ესვა პერსეია, უჩინებულესი გმირი, რომელმანც განგმირა მედუზაჲ, ხოლო უკანასკნელ მნემოსინისაგან ესხნეს ცხრანი უკვე მუზნი ანუ ასულნი.

დ ა ვ ი თ ი: რაი ჯერ არს შენიშვნად მათ ყოველთათვის, რომელნიცა ირიცხებოდიან იუპიტერის შვილებად?

ი ო ა ნ ე: არა ჯერ არს გულის-ხმებად ჰაზრისამებრ ასოებთასა, არამედ ესე, რომელ ძენი იუპიტერისანი თქმითა ამით ძველთა მცხოვრებთა შორის მნიშვნელობდენ დიდ გმირებად, და ამაღლებულად სხვათა ყოველთა კაცთა ზედან. ესსახედვე ქალნიცა მისნი ირიცხებოდენ სხვათა დედათა ზედა დედებად, გარნა ჟამსა გარდახდომილებისა თვისისასა დასდებდნენ ბრალსა იუპიტერსა ზედა და ამით დაჰფარვიდენ შეცდომილებათა თვისთა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ რაცხდენ ნეპტუნს?

ი ო ა ნ ე: ზღვის ღმერთად და ბრძანებლად წყალთა, აღმფურთვნელად ზღვისა და დამაწყნარებლად ღელვათა.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ძე იყო იგი?

ი ო ა ნ ე: სატურნისა და რეისა, ხოლო მამა დიდისა იუპიტერისა, მეუღლე მისი იწოდებოდა ამფიტრიტად, ასულად ოკიანისად.

დ ა ვ ი თ ი: ვითარისა სახითა გამოხატვიდენ ამას?

ი ო ა ნ ე: სადაფისა ეტლსა ზედან მჯდომარედ, რომელსა შინა ებნენ ზღვისა ცხენები, რომელთაცა ნახევარი ტანი უკან კერძოდ აქვნდა თევზისა; მარჯვენითა ხელითა ეპყრა ფიწალი სამთითიანი სკიპტრისა წილ და სამეფო სკიპტრაცა, რომლითაცა უბრძანებდის იგი ზღვათა ღელვასა; სახესა ზედან მისსა გამოწერილ იყო სიმკვახე დიდებულებისა, ანუ შეეშუხვნა დიდებულებისა. წინაშე ეტლისა მისისა სცურავს ტრიტონი ანუ ზღვისა ადამიანი, ტანით თევზივით ქიცვიანი, რომელიც აყვირებს საყვირსა, მოხრილსა ზროხისა რქისასა, მსგავსად სხვისა საყვირისა. ესე ტიტრონი იყო ძე ნეპტუნი-

სავე და ამფიტრიტიასი, მეორე კერძო ამისი იყო ადამიანისა და ქვემორე თევზისა, დაფარებული ქიცვით.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ აქვნდა ნეპტუნს თვისად დამორჩილებულ და ანუ რაჲ ერჩდენ მას?

ი ო ა ნ ე: ყოველნი უკვე მდინარენი და წყარონი; თვითეულსა უკვე მდინარჱსა ეხსნენ თვისნი საკუთარნი ღმერთნი, და ესე ღმერთი მდინარეთა გამოიხატებოდა მოხუცის სახედ, მდგომარედ შორის ლერწმოვანთა და მიმყრდნობელად ხელთა სათავისადმი მდინარეთა, რომლისაგან გამოსდიან წყალნი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარნი ღმერთნი იყვნენ და ანუ ჰგიებდენ წყალთა მათ შინა?

ი ო ა ნ ე: ნაიადნი (ზღვის ურლანდნი), ნერეიდნი (ზღვის ნინფნი ანუ ზღვის ფერიანი), სირინოზნი (ქალ-თევზნი).

დ ა ვ ი თ ი: ვითარისა სახითა წარმოიდგინებოდნენ ესე წყალთა ღმერთნი?

ი ო ა ნ ე: ახალგაზრდად მშვენიერთა ქალთა სახედ თავიდამ სარტყლამდისინ, ხოლო წელს ქვევით თევზთ სახედ. ესენი იყვნენ მხლებელნი ანუ მოსამსახურენი დედოფლისა თვისისა და ესენი აღწერდენ ტომართა ანუ დავთართა ყხვათა მისთა მსახურთათა. ხოლო ოდეს სეირნობდა იგი ზემოპირსა ზედან ზღვისასა ეტლსა შინა მჯდომარე, მაშინ შებმულ იყვნენ ეტლსა მას შინა ორნი უკვე დელფინნი ანუ ზღვის ღორნი, რომელთაც დაჰყვანდათ იგი.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ სათანადო არს შენიშვნად სირინოზთათვის?

ი ო ა ნ ე: იგინი იყვნენ მშვენიერნი ქალნი, რომელნიც სასიამოვნოსა ხმისა სიმღერითა თვისითა მოაცთუნებდენ ზღვაში მცურვალთა ანუ მოსიარულეთა, და მით მიიზიდვიდენ თვისად უფსკრულსა შინა ზღვისასა ანუ წყალთასა.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ღმერთი ქვესკნელისა სოფლისა?

ი ო ა ნ ე: პლუტონ, ძე სატურნასი და რეისა, ძმა იუპიტერისა, რომლისაგანცა მიიღო თვისად სამფლობელოდ სამეფო ქვესკნელისა, ხოლო ღმერთი ესე იყო ესეოდენ შავი სახითა და სხეულითა, რომელ შესახედავისა და საშინელებისა გამო მისისა არცა ერთი სხვანი ბოღინანი ანუ ღმერთნი არა მოწადე იყვნენ, რათამცა აქვნდათ მონაწილეობაჲ მასთანა ტახტისა და თანამეინახეობისა. ესე პლუტონ იძულებულ იქმნა ტრფიალებისა გამო პროზერპინაჲსა მოტაცებად, რომელიცა ასული იყო ცერერინიასი, და კარგისა დროისა დამცველმან სრულჰყო საწადელი თვისი და მოიტაცა, ოდესცა იგი როკვიდა ნინფებთა (ანუ შინამურთა) თვისთა თანა, და ჰკრებდა

ყვავილთა სხვადასხვა სახეთა. ესე პლუტონ ჩვეულებისამებრ წარ-
მოიდგინების ეტლსა ზედან მჯდომარე. რომელსა შინა აბიან ოთხნი
უნენი, მარცხენისა ხელითა უპყრიეს ორთითი, მსგავსი სკიპტრისა,
და თავსა ზედან ადგას გვირგვინი რვალისა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ არს სამეფო ქვესკნელისა?

ი ო ა ნ ე: ესე გვარი უკვე ადგილი, სადაცა სულნი მომკვდართ
კაცთანი მიმღებლობენ ანუ ჯილდოსა კეთილსა კეთილისა საქმისა-
თვის, ანუ ჯილდოსა დასჯისასა ბოროტისა საქმისათვის, ხოლო კე-
თილისმოქმედთათვის იყო ველი ელისეისა სავანედ და ბოროტთა-
თვის სამყოფლად ტარტაროზი, და მუნ იტანჯებოდნენ.

დ ა ვ ი თ ი: ვინ უკვე ხმილავდა ქვესკნელისა სოფელსა?

ი ო ა ნ ე: ცერბერი, დიდი სამთავიანი ძაღლი, რომელიცა შვი-
ლი იყო ტიფონ ღიღანტისა და იქედნესი. ესე დაბმული იყო ბჭესა
ტარტაროზისასა ჯაჭვითა. ესე საშინელი უკვე ძაღლი მიელაქუცე-
ბოდა შემავალთა ყოველთა, ვინც ვინ სწადნოოდიან შესვლად და
სანახავად ქვესკნელის ქვეყანისა, და ესეცა უტევებდა მათ. ხოლო
ოდეს ენებათ უკუნქცევაჲ, მაშინ არავინ უტევებდა გარე მათგანსა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარისა სახელით იწოდებიან ოთხნი უკვე მდინა-
რენი ჯოჯოხეთისანი?

ი ო ა ნ ე: ოთხნი ესე მდინარენი იწოდებიან სახელითა ამით: 1)
სტიკსად 2) ახერონად, რომელ ესე მდინარენი ფრიად მწარე არიან
გემოთი. 3) კოციტად და 4) ლეტადანედ—მდინარედ დავიწყებისად,
რომლითაცა შემსმელნი მიეცემიან მეხსიერებისა დაკარგულებასა
ანუ აღხოცილებასა ყოველსა ნამყოისა საქმეთასა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ სათანადო არს შენიშვნად მდინარისა სტიკ-
სისათვის?

ი ო ა ნ ე: მდინარესა ამას ფუცვიდნენ ღმერთნი და, ოდეს და-
იფიციან, მაშინ ფიცი ესე იყო დაურღვეველ.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ იწოდებიან მსაჯულნი ქვესკნელის ქვე-
ყანისანი?

ი ო ა ნ ე: მინოსად, ნიაკადად და რადამანტად.

დ ა ვ ი თ ი: ვისდამი რწმუნებულ იყო ტანჯვად ბოროტთა
კაცთა?

ი ო ა ნ ე: ფურიათა ანუ ევმენიდამთა; ხოლო იგინი იყვნენ
სამნი, ესე იგი: ტიზიფონა, მეღერა და ალიკტო; ამათ რაცხვიდენ
ასულებად ღამისად და სიყვარულისად, გამოხატვიდენ ამათ აღგზ-
ნებულთა ალებითა, და თავთა ზედან ხვეულითა გველებითა ნაცვ-
ლად თმათა მქონებელად.

დ ა ვ ი თ ი : ვინ იყო აპოლონ?

ი ო ა ნ ე ; ღმერთი მოლექსეობისა და საზოგადოდ ყოვლისა განათლებისა და მოშაირობისა, და მფლობელი ათთა მუზთა ანუ საკრავთა.

დ ა ვ ი თ ი : ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

ი ო ა ნ ე : ესრეთ, რომელ ხელთა შინა უპყრიეს მას ჩანგი, და დამღერის მას საღმრთოთა გალობათა, ხოლო განთიადისა ცისკრისა შარავანდედოვანსა მსგავსად თავსა ზედა ადგას გვირგვინი დაფნისა; ფერხთა ქვეშე მისა სხვადასხვა გვარნი უკვე იარაღნი მწყობარედ, რომელნიც თავს ესევიან სხვადასხვა გვართა სწავლათა. ოდესმე წარმოადგენენ მას მჯდომარედ ეტლსა ზედა შარავანდით მოსილსა, რომელსა შინა აბიან ოთხნი უნენი ცეცხლმფშვეველნი, განმლველად ზეციურთა ზოდიაქთა და მიმფენელად კეთილმაწარმოებელისა ნათლისა თვისისა ყოველსა სოფელსა ზედა; და აგრეთვე გამოხატულ ჰყოფენ მას მზის სახედ.

დ ა ვ ი თ ი : ვისი შვილი იყო აპოლონ?

ი ო ა ნ ე : იუპიტერისა და ლატონასი.

დ ა ვ ი თ ი : სადა იშვა იგი?

ი ო ა ნ ე : კუნძულსა შინა დელოსსა ეღეისა ზღვასა შინა, ერთბამად დისა თვისისა დიანასასა.

დ ა ვ ი თ ი : . ვითარნი მთანი იყვნენ საკუთრად შეწირულნი აპოლონისადმი?

ი ო ა ნ ე ; პარნასისა და ღელიკონისა მთანი. ხშირე ჯდებოდის იგი წვერსა ზედან პარნასისა გუნდთა შორის მუზთასა, მროკველთა და მოთამაშეთასა; რომლისა გამო მთაჲ პარნასისა შერაცხილ იქმნა მთად მოლექსეთა.

დ ა ვ ი თ ი : ვითარნი წყარონი გამომდინარეობდენ მთათა ამათგან?

ი ო ა ნ ე : ამა მთათა ქვეშე გამომდინარეობდენ წყარონი ორნი: პარნასის ქვეშე წყარო წოდებულია პერმესკისად; ხოლო ღელიკონის ქვეშე წყარო იწოდებოდა იპპოკრენიად; წყაროთა ამათ მოლექსენი მიაწერდენ დიდსა ქებასა და სხვადასხვა ხასიათთა. ხოლო ორნივე ესე მთანი არიან ქვეყანასა შინა ფესალიისასა.

დ ა ვ ი.თ ი : სადა იყვნენ ჩინებულნი ტაძარნი აპოლონისნი?

ი ო ა ნ ე : უჩინებულესი უკვე ტაძარი მისი იყო მახლობელს დელფიისა, და ამა ტაძრიდამ მისცემდა იგი ქურუმთა და ორაკულთა წინასწარმეტყველებისა სულსა ყოველსა სოფელსა შინა, ხოლო შორის ამისსა იყო ნაპრალი, რომლისაგანც აღმოდიოდა ბნელი უკვე

კვამლი. და ნაპრალსა ამას ზედა იდგა სამფეხიანი საკერძელი, რომელსა ზედა მჯდომარე იყო მღვდელი აპოლონისა პიფია, რომ-ლისა პირითა მეტყველებდა აპოლონ.

დ ა ვ ი თ ი : რაოდენნი იყვნენ მუზნი?

ი ო ა ნ ე : ცხრანი, ესე იგი—

1) კალლიოპა
2) კლიო
3) ერატო
4) თალია, ანუ ტალია
5) მელპომენა
6) ტერპსიხორა
7) ევტერპა
8) პოლიღიმნია
9) ურანია

ყოველნი ესე ღმერთნი მთავრობდიან სწავლა და ხელოვნებათა ზედა, ესენი იყვნენ ასულნი იუპიტერისა და მონემოსინიისა.

დ ა ვ ი თ ი : თვითეულნი ამა მუზთაგანი საკუთრად თვისად რასა უფრო განერთოდენ?

ი ო ა ნ ე : კალლიოპა იყო მუზა გმირობის მოთხრობისა.

კლიო—მუზა ისტორიისა.

ერატო—მუზა მეჩანგეობის სიმღერისა.

ტალია—მუზა კომედიისა.

მელპომენა—მუზა ტრაღედიისა.

ტერპსიხორა—მუზა ტანციობისა ანუ როკვისა.

ევტერპა—მუზა საკრავისა.

პოლიღიმნია—მუზა იამბიკოთა.

ურანია—მუზა ასტრონომიისა.

დ ა ვ ი თ ი : უწყით თქვენ უკვე ფრანციცულნი შაირნი უფლისა პეროლტისანი, მუზთა პატივისთვის შეეხზულნი?

ი ო ა ნ ე : ვუწყი მე, რომელ დიდებული კალლიოპა* ჩინებულითა

---

* 1) კ ა ლ ლ ი ო პ ა ელინურებრ ნიშნავს სამ ხმასა.
2) კ ლ ი ო, ესე იგი დიდება.
3) ე რ ა ტ ა, ესე იგი მიყვარს.
4) ტ ა ლ ი ა, ესე იგი ვაყვავებ.
5) მ ე ლ ა ს მ ე ნ ა, ესე იგი ვგალობ.
6) ტ ე რ პ ს ი ხ ო რ ა, ესე იგი ვმხიარულობ.
7) ე ვ ტ ე რ პ ა, ესე იგი განმხიარულება-.
8) პ ო ლ ი ღ ი მ ნ ი ა, ესე იგი საქებელი სიმღერა.
9) ურ ა ნ ი ა, ესე იგი ზეციერი ანუ ციური. (ა ვ ტ ო რ ი .

შოლექსეობითა თვისითა განთქმულ ჰყოფს საკვირველთა უკვე ღვაწლთა მამაცთა გმირებთასა და ამას ზედა არს დამოკიდებულ გმირთა პოეზია.

მართალი კლიო, ჩინებული ისტორიკოსი, განასაუკუნოებს დიდებასა ჩინებულთა მოკვდავთა.

ყოვლად შვენიერი უკვე ერატა მარტივთა გალობათა შინა გალობს სიყვარულსა ჰასაკობისასა და ჰყვარობს სიმღერათა აშიკობათასა. მხიარული და ცელქი ტალია მხიარულ ჰყოფს მაყურებელთა თიატროსა შინა განმრთველითა თამაშობითა თვისითა; აგრეთვე ჰფლობს კომედიასა, სამხიარულოს სიმღერასა და როკვასა. ჩინებული მელპომენა წარმოაყენებს წინაშე ერთა ხელმწიფეთა, გამომცდელთა შემძლებელობისა სიკვდილისათა, და ტრაღედიასა ანუ მგლოვიარობასა. ლტოლვილი ტერპსიხორა, ფრიად მოყვარული როკვისა, მისცემს განკარგულებასა როკვისასა და ზომიერებასა ტანციობისასა.

განშორვებული ევტერპა, აჩრდილთა ქვეშე ბუჩქოვანთასა მჯდომარე, აღავსებს ხეივანთა საამურითა დაკვრითა სალამურისა ბგერისათა, და აგრეთვე ამას ზედა არს დამოკიდებულ მუზიკა.

სულმთქმელი პოლიღიმნია, აღგზნებული საღმრთოთა აღტყინებითა, ბგერისავე თანა დიდხმოვანისა ჩანგისათა, ჰგალობს ღირსისა ხსოვნისა საქმეთა წარმოებულთა და საქებელთა ლექსთა; ხოლო ყოვლადბრძენი ურანია ალმაღლდების ცათა შინა კადნიერითა მიმოფრინვითა აზრთა თვისთათა.

დ ა ვ ი თ ი: დიანა ვითარ ირიცხებოდა ძველად?

ი ო ა ნ ე: ირიცხებოდა ღმერთად ნადირობისა და მთოვარისად.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ასული იყო იგი?

ი ო ა ნ ე: იუპიტერისა და ლატონისა, დაჲ იყო აპოლლონისა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ გამოხატვიდენ მას?

ი ო ა ნ ე: ოდესმე ორის ირმით შებმულსა ეტლსა ზედა მჯდომარედ, რომელსა ეფარა გრძელი უკვე პირბადე, შემკული სრულიად ვარსკვლავებითა და ნახევარმთოვარე ნაცვლად გვირგვინისა თავსა ზედა მდგომარე, და ამისთვის იწოდებოდა ღმერთად მთოვარისა და ღამისად; ხოლო ოდესმე გამოხატვიდენ მოკლისა ტანსაცმელითა მოსილსა, და ხელთა შინა მპყრობელად მშვილდისრისა და ქარქაშხილიფით მორტყმულად წელთა ზედა და თანადმყოლელად ასისა ძაღლისა, ტყეთა შინა მდევნელად ნადირთა. და ესრეთ იწოდებოდა ღმერთად ნადირობისა.

დ ა ვ ი თ ი: ძველადგან ვითარ რაცხდენ მინერვას?

ი ო ა ნ ე: ბოღინად სიბრძნისა და ბრძოლისად.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ასული იყო იგი?

ი ო ა ნ ე: იუპიტერისა. მოლექსენი მიაწერენ მას, რომელ იგი იუპიტერის თავიდგან იყოს წარმოებული; და ესე ნიშნავს, რომელ ყოველი უკვე სიბრძნე წარმომდინარეობს ზეგარდამო ღვთისა მიერ ღმერთებთასა, ყოვლად-ბრძნისა და ყოვლად-სრულისაგან.

დ ა ვ ი თ ი: ვითარითა სახითა წარმოიდგინების მინერვა?

ი ო ა ნ ე: სრულითა აღჟურვილებითა ესეგვარ, ვითარცა ღმერთი ბრძოლისა, რომელსა ხურავს თავსა ზედან ჩაფხუტი (ჩაჩქანი), უპყრიეს მარცხენითა ხელითა ფარი, რომელზედა გამოხატულ არს მედუზინისა თავი გველებითურთ მოსისინეთი; მკერდსა ზედან აკრავს ბექთარი და მას ზედაცა არს მედუზინისავე თავი გამოხატული; ხოლო ოდესმე ესე მედუზინის გამოხატულის თავით ფარი ბექთარითურთ იწოდებოდა ჰელიდიის საჟურველად, რომლისა გამო სრულიად მხედრობანი მოვიდოდიან შიშსა და ძრწოლასა შინა შეხედვითა ამა საჟურველ თათა.

დ ა ვ ი თ ი: მარსი რად იწოდებოდა საშინელ ღმერთად ბრძოლისა და ანუ ვისი ძე იყო?

ი ო ა ნ ე: მარსი იყო ძე იუპიტერისა და იუნონასი, ამას წარმოადგენდენ სრულისა საჟურველითა ჟურვილსა, ესე იგი: შუბითა, ფარითა, ჩაჩქანითა, ბექთარითა საზაროდ აღჟურვილს. ხშირადრე სდგა იგი ფეხზედა, ეტლსა თვისსა ზედან, და მიისწრაფვიდა ომისადმი, რომელსა ებნეს ორნი უნენი ანუ ცხენნი მალნი; წინაშე მისა მიურბოდა გაშმაგებული ბელლონა, კაცი თმა-გაშლილი, აღჟურვილი იარაღითა და პირსისხლიანი, მარჯვენესა ხელსა შინა ეპყრა შუბი და მარცხენესა ფარი, რომელიცა ირიცხებოდა ბრძოლისა და მკვლელობისა ღმერთად.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ვენერა?

ი ო ა ნ ე: ყოვლად შვენიერი ღმერთებთაგანი, ღმერთი სიყვარულისა და შვენიერებისა; მომთხრობელობენ, რომელ იგი შობილ იყოს ზღვისა ქაფისაგან. ოდესცა იშვა იგი, მყისვე მიიღეს მთათა და გრაციათა, რომელიცა დიდებულისა სახითა მიიყვანეს იგი მთასა ზედა ოლიმპიისასა; ყოველნი უკვე ღმერთნი აღტაცებულ იყვნენ შვენიერებითა მისითა და ყოველნი თვითეულნი მათგანნი მოსურნე იყვნენ, რათამცა ესვათ მათ იგი ცოლად. გარნა იუპიტერმან მისცა იგი ცოლად ყოვლად-დუხჭირსა სხვათა ღმერთებთა ზედან ვულკანსა, ჯილდოდ მისა, რომელ იგი, ვულკან, უკეთებდა მარადის იუპიტერს მეხისა ისრებსა მტერთა ზედა მოსახმარებლად.

დ ა ვ ი თ ი: ვენერა ეგო სარწმუნოდ მეუღლესა თვისსა თანა?

ი ო ა ნ ე: არა, იმას უყვარდა მრავალნი ღმერთნი, ესე იგი: აპოლონ, მარსი და ბახუს, და აგრეთვე მრავალნი სხვანი მოკვდავთაგანნი, ესე იგი: ანხიზია, ადონისა და სხვანი.

დ ა ვ ი თ ი: ესხნეს მას უკვე შვილნი?

ი ო ა ნ ე: იტყვიან, რომელ ვითომც გრაციანნი იყვნენ ასულნი მისნი. ხოლო ანხიზასაგან ჰყვანდა მას შვილი ენეია, რომელმანცა დააფუძნა რომის მეფობაჲ, გარნა ყოველთაგან უფრორე ცნობილი შვილი მისი იყო კუპიდონ, რომელიცა შვა მან ბახუსისაგან.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ გამოხატულ ჰყოფენ კუპიდონს?

ი ო ა ნ ე: შიშველ ყრმად, თვალებაკრულად, ხელსა შინა მჭერელად ცეცხლის მათრახისა, შვილდითა და ხილოფითა მხარ-იღლივ გარდამკიდებელად, რომელიცა ირიცხებოდა იგი სიყვარულისა ღმერთად.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ გამოხატულ ჰყოფენ ვენერას?

ი ო ა ნ ე: ყოვლად-შვენიერის სახით, მომაცდუნებელ ქალად ანუ დედაკაცად, და მდინარისა ეტლსა ზედა მჯდომარედ, რომელსაცა შინა აბიან ორნი თეთრნი უკვე ტრედნი; და ოდესმე უბიან ორნი აკაურნი ანუ ყუნი, თეთრნი და წმინდები. სარტყელითა არს მორტყმულ სამისნოსითა, რომელსა ზედა არს გამოხატულთამაშობანი, სიცილნი და ნუგეშინის-ცემანი. ხოლო ოდესმე უპყრიეს ხელითა ოქროჲსა ვაშლი, რომელიცა მიიღო მან ნიშნად შვენიერებისა სხვათა ყოველთა ღმერთაებთა ზედან პარისისაგან.

დ ა ვ ი თ ი: ვინ უკვე შეადგენდენ მსახურებასა მისსა?

ი ო ა ნ ე: კუპიდონ, გრაციაები და მთები.

დ ა ვ ი თ ი: რაოდენნი იყვნენ გრაციაები?

ი ო ა ნ ე: გრაციაებნი იყვნენ სამნი, ესე იგი: აღლაია, ტალია და ევფროსინა; იგინი გამოიხატებიან შიშვლად, საამურისა სახითა, ურთიერთისა მპყრობელად ხელთა. ოდესმე იჩვენებიან მროკველად გარემოს შესაწირავისა; ხოლო გრაციანი უკვე ირიცხებოდიან ნუგეშინისცემის ღმერთებად.

დ ა ვ ი თ ი: რაოდენნი იყვნენ მთანი მათნი?

ი ო ა ნ ე: ესსახედვე სამნი; იგინი ირიცხებოდიან გაზაფხულისა და სიჭაბუკისა ღმერთებად; ხშირადრე ერთად გრაციაებნი ესე როკვიდიან გუნდთა შორის ბგერისა თანა მოთამაშეთა და მომღერელთა მუზებთასა და შეკრებულებათა შორის ღმერთებთასა, მთასა ზედა ოლიმპიისასა.

დ ა ვ ი თ ი: სადა აქვნდა ტაძარი ვენერას?

ი ო ა ნ ე: სრულიად საბერძნეთსა შინა, გარნა უჩინებულესი ტაძარნი მისნი იყვნენ კუნძულსა და ჰალაკსა შინა კიპრიისა და ციცე-

რაჲსასა, რომლისა გამო იწოდებოდა იგი კიპრიდად.

დ ა ვ ი თ ი: რასა შესწირვიდენ მას?

ი ო ა ნ ე: ვარდსა, მურტსა და ტრედთა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ რაცხდენ ძველად სახელით ვულკანსა?

ი ო ა ნ ე: ვულკანს რაცხდენ ღმერთად ცეცხლისა და მჭედელთა. იგი იყო ძე იუპიტერისა და იუნონასი, გარნა უშვერებისა გამო სახისა მისისა, ოდეს იშვა იგი, მაშინ მამამან მისმან, ვითარცა იხილა ესსახედ ძე თვისი, გარდმოაგდო იგი ზეცით, რომელიცა გარდმოგდებისა გამო მისისა მოსტყდა მას, ვულკანს, ფეხი, და ამის გამო დაშთა მკელობლად.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

ი ო ა ნ ე: მას წარმოადგენენ სამჭედლოსა შინა გამომხატველნი ესრეთ, რომელ ერთისა ხელითა უპყრიეს კვერი და მეორითა მარწუხი; წინარე უდგას ზინდი და მას ზედან გამოკვერავს რკინათა, და ოდესმე დამწკარუნებელი ანუ დამაკაკუნებელი ზინდსა მას ზედან, ნიშანი იყო განსაღვიძებლად ციკლოპთა, მოსამსახურეთა თვისთა. აგრეთვე იგი ჰკვერავდა მეხისა ისრებთა იუპიტერისათვის, ხოლო საჭურველებთა სხვადასხვა გვართა ღმერთებთა და გმირებთათვის. ხოლო ყოველნი უკვე მოქმედებანი მისნი არიან საკვირველ საღმრთონი.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყვნენ ციკლოპნი?

ი ო ა ნ ე: იგინი იყვნენ საშინელნი გმირებნი, რომელთაცა აქვნდათ მხოლოდ ერთი ოდენ თვალი შუბლთა ზედა და მით მხედველობდენ.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ეოლა (ანუ ჰეოლა)?

ი ო ა ნ ე: იგი იყო ღმერთი ქართა, რომელიცა დახშვიდა ქართა მღვიმეთა და კლდისა ქვაბებთა შინა, და მუნიდგან, ოდეს ენება, გამოუშვებდის.

დ ა ვ ი თ ი: რაოდენნი არიან უპირველესნი ქარნი?

ი ნ ა ნ ე: ოთხნი, ესე იგი: აკვილონ, ბორეი, ზეფირი და ჰევრი.

დ ა ვ ი თ ი; ვითარ ქარად სდებდენ აკვილონს?

ი ო ა ნ ე: მძვინვარედ და ფრიად ცივად; მოლექსენი მიაწერდენ, რომელ იგი იყო ძე ჰეოლასი და ავრორისა, რომელნიცა მიაწერდენ მას გველის კუდიანობასა და თმათეთრობასა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარი იყო ბორეი?

ი ო ა ნ ე: ესე იყო ჩრდილოეთისა ქარი, ხოლო ყოველთა საქმეთა თვისთა ზედა შეუდგა მას, ოდესცა აღიზარდა ესე, რათამცა მოეტაცნა ორფია, ასული ერიკტევიისა.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ზეფირი?

ი ო ა ნ ე: დასავლეთის ქარი. ხოლო ზეფირად სდებენ წყნარსა დღესა, და გრილსა ნიავსა ზაფხულისასა; მეუღლე მისი არის ფლორა, ღმერთი ყვავილებთა.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ჰევრი?

ი ო ა ნ ე: ესე იყო აღმოსავლეთის ქარი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ ღმერთად რაცხდნენ ცერერას?

ი ო ა ნ ე: ღმერთად პურისა და მიწის მუშაკობისად. ხოლო მას გამოხატულ ჰყოფდენ ერთის ხელითა მპყრობელად ძნისა და მეორითა მანგლისა (ნამგალისა), თავსა ზედა ყანისა თავ-თავით მოკრულად. ხოლო იგი იყო ასული სატურნასი და რეისა, და იუპიტერისა, რომლისაგანცა ჰყვანდა ასული პროზერპინისა, მიტაცებული პლუტონის მიერ.

დ ა ვ ი თ ი: რასა ხელოვნებასა მიაწერენ მას?

ი ო ა ნ ე: მან ასწავა კაცთა ხვნა და თესვა და მიწათა მუშაკობა, და მოიყვანნა მოქალაქობათა შინა კაცნი ლიტონნი და განუნათლებელნი.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ძე იყო ბახუს?

ი ო ა ნ ე: ბახუს იყო ძე იუპიტერისა და სემელიასი. გარნა იუნონაჲ დიდად მეშურნე იყო სემელიასი და მზაკვარობისა სახითა შეაცთუნა იგი და ასწავა, რათამცა ეთხოვნა მას მეუღლისა თვისისათვის იუპიტერისა, რათა აჩვენოს მან მეხის მპყრობელობის სახე, თუ ვითარ იგი იქნებოდა მეხის სახედ სახილველი; და მან უსმინა ვედრი მისი და ცხად-უყო მოქმედებაჲ თვისი, რომლის ალისა ძლით და გამოკრთომისა გამო ელვისა აღსპობილ იქმნა მოკვდავი ესე სემელია; ჩჩვილი ბახუს განარინა მსწრაფლად იუპიტერმან წარწყმედისაგან.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ ღმერთად რაცხდენ ბახუსს?

ი ო ა ნ ე: ღმერთად ბაღისა; ვინაჲდგან მან ასწავა დასხმა ვენახისა და გაკეთება ღვინისა. მას წარმოადგენენ ეტლსა ზედან მჯდომარედ, რომელსა შინა უბია ერთი ლომი და მეორე ვეფხვი; თავსა ზედან ადგას ვაზის გვირგვინი და ხელთა უპყრიეს კვერთხი ვაზისა რქითა შეხვეული. ხოლო მსახურსა მისსა სილენს წარმოადგენენ მთვრალსა, მჯდომარესა და მიმავალსა კარაულითა, რომელსა წინა უძღვიან მროკველად ფავანნი და ბაკხანკნი გაწეწილითა თმებითა, რომელნიცა არიან ესენიცა მთვრალნი.

დ ა ვ ი თ ი: ვისი ძე იყო მერკური?

ი ო ა ნ ე: ძე იუპიტერისა და მაისა, ასულისა ატლასვოიისა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ იყო თანამდებობაჲ მისი?

ი ო ა ნ ე: იგი იყო ეჯიბი ანუ მაუწყებელი იუპიტერისა და სხვათაცა ღმერთებთა, რომელთა ნებასა და ბრძანებასა აუწყებდა იგი მოკუდავთა; და ეგრეთვე წარიყვანდა სულთა ხორცთაგან განსრულთა სასუფეველსა შინა პლუტონისასა, ხოლო უკანასკნელ ირიცხებოდა მჭევრ-მეთქვეობის და სწავლათა ღმერთდაცა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ წარმოადგენენ მას?

ი ო ა ნ ე: სახესა შინა ყმაწვილკაცობისა და მკვირცხლობისასა, ხოლო ფერხთა ზედან ფრთების მქონებელად, და ფრთისავე ქუდითა; ხელთა შინა მპყრობელად ღეროლდულისა კვერთხისა, რომელსა ზედა შეხვეულ იყო ორი უკვე გველი.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყო ვესტა?

ი ო ა ნ ე: ასული სატურნაჲსა და რეისა, დაჲ დიდისა იუპიტერისა, ღმერთა ცეცხლისა, უ'იწოებისა და ქალწულების მოყვარებისა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ წარმოადგენენ მას?

ი ო ა ნ ე: გრძელითა უკვე სამოსლითა მოსილსა და პირბადითა ჩამოფარებულსა, ხოლო ხელსა შინა მპყრობელსა ცეცხლისასა.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ იწოდებოდიან შემწირველნი მისნი?

ი ო ა ნ ე: ვესტალკებად, რომელთაც საქმე მსახურებისა მათისა იყო, რათამცა ცეცხლი სამსხვერპლოსა ზედა ღვთისასა არაოდეს დაშრეტილიყო, და თვითცა მარადის დაეცვათ უბიწოებაჲ თვისი.

დ ა ვ ი თ ი: ვითარ რაცხდენ ძველად ციბელიას?

ი ო ა ნ ე: მას რაცხდენ ღმერთად ქვეყანისად; იგი წარმოიდგინებოდა ეტლსა ზედა მჯდომარედ, რომელსა შინა ებნენ ორნი უკვე ლომნი, ხოლო ოდესმე ერთი ლომი და მეორე ბაბრი ერთითა ხელითა დაყრდნობილ არს ქვეყანისა სფერასა ზედა, ხოლო მეორითა უპყრიეს რქაჲ ყანწის სახედ ნაყოფიერებითა სავსე, ანუ უხვებითა სავსე, და თავსა ზედან ადგას საქალაქო გვირგვინი გოდოლებრი.

დ ა ვ ი თ ი: მსოფლიონი ღმერთებნი ვითარ იგულისხმებოდიან?

ი ო ა ნ ე: ძველადგან ყოველსა უკვე ბუნებასა აღმრთობდიან და ყოვლნიცა კერძონი მისნი დაშენებულ ჰყვეს ღმერთებითა. მთათა ზედან მიმორბოდიან ველურნი უკვე ორიადნი, ანუ მთათა ნიმფნი თუ ფერიანი და მხიარულებდიან ნადირობითა, და შექცევითა განატარებდიან დღეთა თვისთა ღმერთასა თვისისა ქალწულების მყვარებელისა დიანასთანა. აგრეთვე წყალთა შინა წმინდისა და ანკარაჲსა წყაროსასა მკვიდრობდიან ნაიადნი ანუ წყალთა ნიმფნი,

რომელნიცა ხელთა იტყუელვიდიან ნაკადთა შინა წყაროთასა და ხშირად-რეცა გამოვიდოდიან იგინი კიდესა ზედა წყლისასა და დასხდებოდიან ქვათა ზედა, იწყიან თავისა ბრწყინვალეთა თმათა ვარცხნაჲ.

დაბებთა შინა მკვიდრობდიან დრიადნი ანუ დაბათა და სოფელთა ნიმფნი, ხოლო თვითეულთა ხეთა შინა სცხოვრებდიან ნიმფნი ღამადრიადად წოდებულნი, რომელთა არსებობა დამოკიდებულ იყო არსებობასა ზედა მათვე ხეებთასა. იგინი იშობებოდიან, აღორძინდებოდიან ანუ აღიზრდებოდიან და აღსრულდებოდიანცა, ანუ მოისპებოდიან ერთბაშად მათვე ხეებთა თანა.

დ ა ვ ი თ ი : ვისა რაცხდენ ძველად მწყემსთა ღმერთად?

ი ო ა ნ ე : რაცხდენ უკვე პანას, რომელსაც წარმოადგენდენ თხისა ფეხების მქონესა ნაცვლად ფეხებისა, აგრეთვე კუდითა და მოკლეს რქებითა. ამას უყვარდა ნიმფა სირინღაჲ, განა იგი განივლტოდა მისგან და ესე შეუდგა მას და ოდეს მისწვდა მას პანაჲ და მიყო ხელი და შეახო ნები ხელისა მისაყრდნობელად ნიმფასა მის, მყისვე ნიმფაი ესე შეიცვალა წყაროდ. მხილველი ამისი პანა, დიდად მწუხარე, ხშირადრე ჯდებოდის ნაპირსა ზედა ამა წყლისასა, რომლისა გამო ვერღა ხედვიდა საყვარელსა თვისსა, მწუხარე მიმოიყურებოდა ლერწმოვანსა ადგილსა მას შინა; და ოდეს მოესმა ხმაჲ ქარისა გამო ლერწამთა მათგან, მაშინ პანმან განიზრახა ლერწამთა მათგან სალამურისა გაკეთება და სრულცა-ყო ჰაზრი თვისი, რომელიცა საყვარლისა თვისისა გამო უბედურებასა თვისსა ხმასა ხშირადრე უკვრიდა და დამღეროდაცა.

დ ა ვ ი თ ი : სხვანი ვითარნი ღმერთნი მკვიდრობდენ კვალად ტყეთა შორის?

ი ო ა ნ ე : ახალ მორჩნი, ფავნი და სატირნი, იგინი წარმოიდგინებოდიან ესსახედვე, ვითარცა პანაჲ, გარნა სახეჲ ჰაბუკობისა და მხიარულებისაჲ კრთოდენ პირთა მათთა ზედა, რომელნიცა განატარებდენ დროთა თვისთა გაწრთვილებითა როკვათა და სიყვარულთა შინა.

დ ა ვ ი თ ი : ალლიგორიელთა ღმერთებთა ვითარ სახედღა რაცხდენ ძველადგან?

ი ო ა ნ ე : ბერძენნი თითქმის აღმრთობდიან ყოველთა უკვე ქველის-მოქმედებათა და გონიერებათა, ვნებათა და საზოგადოდ განყენებულთა შემემცნებათა. და ესეგვარნი ღთაებანი იწოდებოდიან ალლიგორიულად.

დ ა ვ ი თ ი : ვინ იყვნენ მათ შორის უჩინებულესნი?

ი ო ა ნ ე: პირველი იყო ძილის ღმერთი, რომელსა ეწოდა მორ-ფეა; მას წარმოადგენდენ ტყვივისა ანუ პრპენისა სკიპტრის მექონსა, შემკობილსა ხაშხაშითა, მწოლელსა ლბილსა საწოლსა ზედა; გარემოსს მისსა იქცეოდიან სხვადასხვაგვარნი უკვე სიზმარნი ანუ მოჩვენებანი თვითო სახედ.

აგრეთვე სიკვდილისა ღმერთი წარმოიდგინებოდა მძინარედვე, ხელთა შინა მპყრობელად მთებარისა კელაპტარისა, რომელსაცა ეპყრა იგი თავქვემოქცევით ღვენთვისა გამო მქრობელად. ღამისა ღმერთი წარმოიდგინებოდის დიდითარე და გრძელითა ზეწარითა მოსილად (ანუ ჩადრითა), რომელიცა აღჭრელებულ იყო ურიცხვითა ვარსკვლავებითა და რომელიცა ყოველგან მიმოჰფენდა ხაშხაშთა (ანუ ყაყაჩოთა).

ხოლო უკანასკნელ შერაცხილ იყვნენ ყოველნი ქველისა საქმენი და ბიწიერებანი, ვნებანი და მგრძნობელობანი კაცობრიობითნი, რომელნიცა წარმოდგენილ არიან მოლექსეთაგან სალმრთო სახეებად, ესე იგი: მართლმსაჯულებაჲ, მტერობაჲ, შური, სიძულილი, მტანჯველობაჲ ანუ ტირანობაჲ, სვინდისის ანუ ფურიისი ბრძოლაჲ, შიში, სნეულება, სიმრთელე, სიყმილი, წყევა, ცილისწამება და სხვანი მსგავსნი ამისნი. ესე ყოველნი იყვნენ შერაცხილ ღთაებად, ანუ ღმერთებად.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იწოდებოდნენ ძველადგან გმირებად?

ი ო ა ნ ე: გმირობისა ტიტლოთა ბერძენნი მიაწერდენ მათ, რომელნიცა დიდითარე შრომითა თვისითა განითქვნენ და მოიგესცა შემდგომად სიკვდილისა შერაცხილყოფად წოდებაჲ ნახევარ-ღმერთობისა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ არს ნახევარ-ღმერთი?

ი ო ა ნ ე: კაცი, შობილი რომელისამე გინდ ღმერთისა და მოკვდავისა ღმერთასაგან მოკვდავისავე, რომელნიცა ესე გვარნი ღმერთები იყვენ ფრიად უმრავლესნი.

დ ა ვ ი თ ი: რომელნი არიან მათგანნი უჩინებულესნი?

ი ო ა ნ ე: პერსეჲ, ბელლერფონ, ღერკულეს, კასტორ და პოლლუკს, თეზეი და იაზონ.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ მე ისტორია პერსეისა!

ი ო ა ნ ე: აკრიზიისადმი მეფისა აღროსიანელთასა წინასწარ მოგვთა მიერ მოთხრობილ იყო, რომელ იგი მოკვდების შვილისშვილისაგან თვისისა. შეშინებულმან ამა მოთხრობისა შეიპყრა მხოლოდშობილი ასული თვისი დანაია და დამარხულ ყო იგი თითბრისაგან ქმნილსა მაგარსა გოდოლსა შინა. გარნა იუპიტერ, ტრფიალი

შვენიერებისა გამო მისისა, გარდამოვიდა მისდამი ოქროისა წვიმისა სახედ. მიუდგა დანაიას, რომლისაგან იშვა პერსეი. მცნობელმან ამის მამამან მისმან განრისხებულმან შთასხნა ცუდსა ნავსა შინა ასული თვისი დანაია ახლად-შობილის ძითურთ თვისით და მისცნა იგინი ზღვასა. მიმოტაცებული ზღვისა გამო ნავი იგი მიიწია ჭალაკსა სერიფუისასა, წოდებულსა ჰეღეისა ზღვისასა; და მეფემან მის ჭალაკისამან მიიყვანა პატივით დანაია და ჩჩვილი ძეიცა მისი პერსეი, აღზარდა მანვე. რა აღიზარდა ყრმა ესე და მოვიდა სრულსა ასაკსა შინა ჭაბუკობისასა, აღრჩეულ ყვეს იგი ღმერთთა გმირებთა შორის აღსასპობელად მედუზიისა საკვირველებათა. ესე მედუზია იყო ყოვლად შვენიერი უკვე ქალი, გარნა ნაცვლად თმათა თვისისათა აქვნდნენ დალალად გველნი მოსისინენი გარემოს თხემისა თვისისა და ამასთანავე შემხედველნი მისნი ერთითა ოდენ დანახვითა იცვლებოდიან ქვებად. ხოლო პერსეიმ, მყოფმან მფარველობასა ქვეშე მინევრასასა, მოჰკვეთა მას მედუზიას თავი და განწმინდაცა ქვეყანა საკვირველისა საძაგელებათა მისთაგან. შემდგომად სიკვდილისა მედუზიას სისხლისაგან იშობა ფრთოვანი უკვე ცხენი პეღასიად წოდებული, რომლითაცა შეჯდომით გაფრინდა პერსეი დევნილებისა გამო დათაგან მედუზიისათა ღორღონთიისა კერძოდ. და მიიწივა ატლასის მეფისადმი ღესპერიისა, ხოლო მან არა შეიწყნარა იგი და არცა მისცა ადგილი შესავედრებლად თავისა თვისისა. მაშინ განრისხებულმან პერსეი წარუდგინა მას პირისპირ თავი მედუზინასი, და მხილველი მეფე იგი მყისვე შეიცვალა კლდისა უკვე მთად, რომელიცა აწ არს აფრიკასა შინა, სახელით ატლასად წოდებული მთა იგი, კიდესა ზედა ფინიკიისასა. აგრეთვე იხილა მან ყოვლად-შვენიერი ქალი ანდრომედაჲ დაბმული ჯაჭვითა კლდესა ზედა, და მახლობელ მისსა საშინელი ზღვისა ცხოველი, გამზადებული შთანთქმად მისა. მაშინ პერსეიმ ესე საშინელი უკვე ცხოველი შესცვალა კლდის სახედ და იგი შვენიერიცა ქალი განათავისუფლა და წარიყვანა ცოლად თვისად. ხოლო უკანასკნელ მოიქცავე მაშვლად თვისსა და მიიღო პაპამან მისმან; გარნა ოდეს სუროდა ჩვენებად პაპისადმი თვისისა აკრიზიისად ხელოვნებისა თვისისა და უბრძანაცა განტყორცად შურდულითა ქვათა, თუ ვითარ იყო იგი გამოცდილ მას შინა. მაშინ ბოროტმან სტყორცნა პაპასავე თვისსა მეფესა აკრიზიას, რომელისა კვეთებისა გამო დაეცა უსულო მიწასა ზედან მკვდარი. და ესრეთ აღუსრულდა წინასწარ მოთხრობილი ქურუმთაგან სიკვდილი შვილის-შვილისაგან თვისისა.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ აწ ისტორია ბელლერფონისა!

ი ო ა ნ ე: ბელლერფონ იყო ძე ღლავკიისა, მეფისა კორინთიისა; შეემთხვა მას რომლისამე მკვლელობაჲ და იძულებული მიზეზითა ამით განივლტო მამულისაგან თვისისა და მივიდა პრეტიისა, მეფისადმი არღოიისა, რომელმანცა შეიწყნარა იგი. მხილველი ანტეია, მეუღლე ამა ხელმწიფისა, ეტრფიალა შვენიერებასა ამა ჭაბუკისასა და უგულითადესითა სიყვარულითა შემსჭვალულ ექმნა და სთხოვდა ხშირადრე, რათამცა თანხმა ექმნას წადილსა მისსა. გარნა ჭაბუკი ესე არა რომლისამე ლიქვნითა თანხმა ეყო მას. მაშინ განრისხებულმან ანტენიამ შეასმისა იგი მეუღლესა თვისსა სახითა ამით, რომელ ვითამც ჭაბუკი იგი ეტრფის და ეძიებს მას, რათამცა შეაგინოს იგი, რომელიცა მეფისა მეუღლეობასა საწოლსა იცავს იგი შეუგინებლად. მსმენელი ამისა მეფე პრეტიი, არა თანხმა ექმნა მეუღლესა თვისსა, რათამცა წარეწყმინდა ჭაბუკი იგი თავით თვისით მუნ; არამედ წარავლინა ბელლერფონ სიმამრისადმი თვისისა იოვატისად, ხელმწიფისა ლიკიისისად წოდებულისა, და წარატანაცა წერილი ვითამცა საქმისა რისამე, გარნა მას შინა იყო დაწერილ, რაჲთამცა მოკლას მან ჭაბუკი ესე. იოვატიმ მიიღო ესე პატივით და უკანასკნელ სთხოვა ბელლერფონს, რათამცა წარვიდეს ბრძოლად პირისპირ ხიმერიისა. ამა საკვირველსა ცხოველსა აქვნდა სამი უკვე თავი, ესე იგი: თხისა, ლომისა და ურჩხულისა, და ება კუდიცა ურჩხულისა. წარსული ბელლერფონ ებრძოდა მხეცსა მას თვისითა ფრთოვანითა ცხენითა პეღასიათი და უკანასკნელ მოკლაცა იგი.

ხოლო უკანქცეულმან ბელლერფონ რა ცნა დრკუება ლივიელთა თავს ზედა, მაშინ მიჰყო ხელი მხედრობათა მათთა და აღწყვიტნა თითქმის ყოველნივე; მაშინ იოვატმან რა იხილა ესეგვარი უბედურობა, მისრული თავისზედა, მაშინ ზავყო ბელლერფონიისადმი და აღიარა იგი ღვთად სიყვარულისად, და მისცა მას ცოლად ასული თვისი და ნახევარი სამეფოიცა თვისი. გარნა ამპარტავან-ქმნილი ბელლერფონ საქმეთა თვისთა გამო ჰფრინვიდა ოდესმე ფრთოვანსა პეღასსა ზედა მჯდომარე ჰაერთა ზედა და სურდაცა აღფრენა ცათა შინა. მხილველთა ღმერთთა ცისათა დაამდაბლეს მსწრაფლიად ამპარტავანებაჲ ამისი, და ოვადმან განგმირა საწერტელითა ცხენი მისი და პეღასმანცა გარდმოაგდო იგი ჰაერით, და ესრეთ დაეცა ქვეყანასა ზედა.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ მე ისტორია ღერკულესისა!

ი ო ა ნ ე: ღერკულეს იყო ძე იუპიტერისა და ალკემენისა, ასულისა ამფიტრიონოვისა. ესე ღერკულეს იყო ყოვლად უდიდესი და საკვირველი სხვათა ყოველთა გმირებთაგან. შურითა აღვსილმან იუ-

ნონამ განუმზადა მას ათასნი გვარნი შიშვნეულებანი. გარნა გმირმან ამან ყოველნივე ბედნიერებით წარმართთა შემთხვევანი ესე დადაასრულნა სიმხნითა თვისითა, რომლისა გამო ღირსი შეიქმნა უკვდავებისა; ყოველთა სხვათა შემძლებელობათა მისთა ზედა უფრორე აღნიშნულ არიან ათორმეტნი მორბედობანი ანუ ღვაწლნი ღერკულესისანი:

1) ღერკულესმან განგლიჯა შვაზედ ნემეისკიური ლომი, რომლისაცა ვერა რომელითამე საჭურველითა შესაძლებელ იყო დაკოდვად ტყავისა მისისა. ხოლო მან ოდეს მოკლა ლომი ესე, ნაცვლად ჯაჭვისა ქმნა ტყავი მისი და ემოსა იგი ნიშნად ძლევისა.

2) მოაკვდინა მან მრავალთავიანი უკვე ლიდრი, რომელიცა იმალებოდა ჭანჭრობასა შინა ლერნეისასა. გარნა რაოდენგზისცა მოჰკვეთდის მას უკვე თავსა, ყოველთვის ახალნი იშობებოდიან.

3) მთასა ზედა ჰერიმანტისასა არკადიასა შინა შეიპყრა მან საშინელი უკვე ეშვი (ტახი), რომელიცა აოხრებდა მოსავალთა გარემოს მის ქვეყანისათა და შეიდო ტახი იგი მხარსა ზედა და ესრეთ მოიტანა წინაშე ეკრისტეისადმი; ხოლო მეფე ესრეთ მიწეულ იქმნა მის ძლით, რომელ დაიმალა იგი ჭურსა შინა რვალისასა.

4) შეიპყრა მან შვენიერი ხარაბუზი (აქლემ-ვეუხვი) ოქრორქოვანი, რომელიცა რბიოდა თითქმის დაურწმუნებელისა სიმსწრაფლითა.

5) ისრებით განგმირნა საშინელნი ფრინველნი სტიმფალიის ტბისანი, რომელნიცა სჭამდიან ყოველთა უკვე ნაყოფთა მახლობელ მის ადგილთასა.

6) განსწმინდნა თავლანი მეფისა ავღიასანი და გამოიყვანა მას ზედა მდინარე პენეი.

7) დაიმორჩილა ანუ დაამშვიდა მძვინვარე უკვე ხარი, აღმაოხრებელი კრიტიის კუნძულისა.

8) წაართვა ცხენნი დიოდიმს, მეფესა ფრაკიისასა, რომელთაცა ესე ულმრთო და განუსჯელი ხელმწიფე ზრდიდა ცხენთა თვისთა ხორცითა უბედურთა კაცებთა მწირთათა. მხილველმან ამისმან ღერკულეს შეიპყრა მეფე იგი მტარვალი და მიუგდო იგი შეჭმად ცხენთავე მისთა.

9) შემდგომად ებრძანა მას მოღებად სარტყლისა ანუ ზოსტერისა ამაზონიის დედოფლისა იპპოლიტისა, რომელიცა იბრძოდა ამაზონთა თანა, რომელმანცა ყო საშინელი ბრძოლაჲ და განგმირვაჲ და უკანასკნელ მიიღოცა სასურველი იგი სარტყელი.

10) წარასხნა ღერიონიისა არვენი და ყოვლად შვენიერნი ძროხანი ლიშპანიელთანი, ხოლო მოგზაურობასა ამას შინა ბრძოლა ყო

ანტეემისთანა, საშინელისა გმირისა, რომლისათვისცა უბნობდიან ესრეთ, რომელ ოდეს შეეხებოდის იგი მშობელსა მიწასა თვისსა, ძალხი უფრორე მოემატებოდიან; ხოლო მცნობმან ამისმან ღერკულეს აღზიდა და აღიღო იგი ქვეყანით და ესრეთ მოაშთო იგი ჰაერსა შინა.

11) გამოიყვანა ქვეყანად ჯოჯოხეთისა ძაღლი სამთავიანი ცერბერა, დაბმული მისისავე ჯაქვითურთ.

12) ხოლო უკანასკნელი ღვაწლი უკვე მისი იყო ესე, რომელ მოიტანა მან ღესპერკიისა ოქროისა ვაშლნი, რომელსაცა სცვევდა საშინელი ცეცხლისა მფრქვეველი ურჩხული; და ესეცა მოკლა ღერკულესმან და დაკრიფნაცა ვაშლნი იგი და ამავე მგზავრობასა შინა განყარნა ურთიერთობისაგან ორნი უკვე მთანი, ესე იგი კალიპუი და აბილუი, და ესსახედ შეაერთა დასავლეთისა ოკიანე საშვალქვეყნისა ზღვასა, საშვალობითა ტოტისა ზღვისათა, ღიბრალიტარისად წოდებულისა. მუნ დადგნა ორნი უკვე სვეტნი, უწყებულნი სახელით ღერკულესისად, რომელთაცა უწოდებდენ ღერკულესის სვეტებად, და ნიშნად მისა, რომელ მიიწივა იგი ვიდრე კიდედმდე ქვეყანისა. და ესრეთ დაასრულა მან ათორმეტნი ღვაწლნი თვისნი და მოიგოცა სახელი, ღირსი უკვდავებისა.

დ ა ვ ი თ ი: რაჲ უწყებულ არს ატლასისათვის?

ი ო ა ნ ე: ატლას იყო ძე ურანისა და დიდი ასტრონომოსი მაშინდელისა საუკუნისა. მან უკვე წარმოადგინა სრულიად სოფელი სფერის სახედ, და ამის გამო მოლექსეთა განიზრახეს, რომელ ვითამც იუპიტერმან დასდო მას მხარსა ზედა ცაჲ დასაპყრობლად.

დ ა ვ ი თ ი: ვინ იყვნენ კასტორ და პოლლუკს?

ი ო ა ნ ე: ძენი იუპიტერისა და ლედისანი; ორნივე ვითა ძმანი, ეგრეთცა მეგობარნი და ნაზად მყვარებელნი ურთიერთისა. ხოლო კასტორ მცოდნე იყო გამოცდილებით მხედარი ცხენოსნობასა შინა, და პოლლუკს ხმარებასა და სიმარჯვესა შინა კისტენით ბრძოლისასა *). ხოლო მათ წარმოადგინებდენ ორთა ურმათა სახედ, მპყრობელთა ხელითა სადაევეთა ცხენთათა და თავეთა ზედან მდგომარედ

*) კისტენი არს ქვაჲ მგრგვალი, ზარბაზნის ტყვივის სახე განხვრეტილი, რომელსა შიგანა გაყრილ აქვს თოკი გძელად, და ესე თოკი აბია მათრახის ტარივით გათლილსა ხესა. და ამას თავს შემოივლე'დენ და ყვირ'ოდენ ხადირთა. თუ მტერთა, და ესრეთ შემოკვრით მოაკვდინებდენ. აწ ამერიკაში კვალად ხმარობენ ამას ბრძოლისა და ნადირობისათვის, ველურნი ხალხნი რომელნიმე თოფის ნაცვლად დაგრეხილ ტყავს მოაბმენ (ავტორი).

მცირეთა ვარსკვლავებითა. ხოლო ზღვათა შინა ხომალდით მავალნი მოუწოდებდიან შეწევნად ჟამსა აღელვებისა ზღვისასა და ქროლასა სასტიკისა ქარისასა.

დ ა ვ ი თ ი : მითხარ მე ისტორია იაზონისაცა!

ი ო ა ნ ე : იაზონ იყო ძე ჰეზონისა და ალკიმედიასი. ხოლო მამა იაზონისა გარდაგდებულ იყო ტახტისაგან თვისისა პელიასის მიერ, არა ღვიძლისა ძმისაგან თვისისა. და ესე პელიას ეძიებდა წარწყმედასა იაზონისასა, გარნა ჭაბუკი ესე გმირი აღიზარდა საიდუმლოდ ბრძენის ტირონისაგან; ოდესცა მოიწივა სრულსა ჰასაკსა შინა, მაშინ შეჰკრიბნა მის დროისა ჩინებულნი უკვე გმირნი და წარვიდა ერთბამად კოლხიდასა შინა* შოვნისათვის ოქროს-მატყლოანის კრავისა; ლაშქრობასა ამას ეწოდების ლაშქრობა არღონავტთა.

მისრული კოლხიდასა შინა, ხელმწიფე მუნებური მიიღებს მას და აღუთქვამსცა მიცემად მისა ოქროს-მატყლოვანის კრავისა, უკეთუ აღასრულებს იგი სამსა უკვე მისდა შეკვეთილსა საქმესა, ესე იგი: 1) რათა იგი შეებას გუთანსა შინა ორთა ცეცხლისა მფშვეველთა ხარებთა თანა და მოხნას ერთად რაოდენისამე დღისა მიწაჲ, და დასთესოს მას შინა ურჩხულისა უკვე კბილები. 2) რომელ ამა ურჩხულისა დათესილთა კბილებთაგან აღმოცენდებიან მხედრობანი და ამათიცა თანააძს, რათა აღწყვიტოს სრულებით. ხოლო 3) რათა მოკლას მან ცეცხლ-მფშვეველი საშინელი ურჩხული, რომელიცა სცვიდა ოქროსმატყლოვანს ცხოვარსა.

იაზონც ეთანხმა ამ პირობასა ზედან და ეძიებდა ღონესა რასამე, თუ ვითარის სახით აღასრულოს აღთქმა ესე.

მაშინ ამ გარემოებით გარემოცული იაზონ იხილა რა ასულმან მეფისამან მედეამ, რომელიცა ტყვე-ქმნილ იყო შვენიერებისა გამო ამა იაზონისა, ესე ქალი უკვე იყო ფრიად მსახვრელი; და მიუწოდა გმირსა მას თვისთან იდუმალ და ჰრქვა მას: მეწყალვის მე ჭაბუკობაჲ შენი, და მე გიხსნა შენ ხელთაგან მათთა.—და მისცა მას ტანსა ზედა წასასმელი წამალი, საკვირველი ქვა და დასაძინებელიც წამალი შეზავებული და ჰრქვა: წაისვი წამალი ესე ტანსა ზედა და მივედ ხართა მათთანა და მოხან და დასთესე კბილნი იგი და არა რაჲმე გევნების; ოდესცა აღდგენ მხედრობანი, სტყორცენ ქვა ესე, რომელნიცა ურთიერთს აღხოცენ, და ოდეს მიხვიდე ურჩხულთან, მიეც

---

* კოლხიდა არს მენგრელია ანუ ოდიში (ავტორი).

ესე დასაძინებელი წამალი, რომელიც ვეღარას გავნებსა; და ესრეთ სრულ ყავ აღნათქვამი შენი. იაზონ მადლობელი წავიდა და წარიღო წამალი ამა მანქანისა; წამალი იგი, ქალისაგან მიცემული, წარისო ტანსა ზედა, და მივიდა კართა მათ, ცეცხლისა ალთა მფრქვეველთადმი; მან შეაბნა გუთანსა შინა, მოხნა ადგილი იგი დანიშნული, ხოლო ხართა მათ ვერარაჲმე ავნეს, და მერე დათესნა კბილნი იგი ურჩხულისანი; მყისვე აღდგნენ მხედარნი შეჭურვილნი და მოისწრაფდიან იაზონისადმი ყოველის გვარის საჭურველებითა, ესე იგი: შუბით, ხმლით, ისრებით და ხსვათა იარაღებითა. ოდეს დაუახლოვდენ იაზონს, მაშინ სტყორცნა მან ქვა იგი, მიცემული მეფისა ასულისაგან, და მყისვე დაიწყეს მხედრობათა მათ ურთიერთისა ხოცაჲ და აღისპნენმცა სრულიად. უკანასკნელ განემართა იაზონ ურჩხულისადმი და, ოდეს მიუახლოვდა ურჩხულსა მას, მისცა მას დასაძინებელი იგი წამალი, და შთანთქმისავე წამსა დაეცა ურჩხული ესე მკვდარი მიწასა ზედა; და მერეთ აღიღო ჯილდოდ ღვაწლისა თვისისა ოქროს-მატყლოვანი ცხოვარი იგი და მოვიდა თვისთა თანა მხიარულნი, და მიულოცეს ყოველთა. და მერეთ მოვიდა თვისისა საყვარელისა მეფისა ასულისა მედეიასადმი, და სიყვარულით შეიტკბეს ურთიერთ, და მასვე ღამესა შინა დაუტოვეს კოლხიდა, და ორნივე საყვარელნი ლაშქრითურთ თვისით განემართნენ იაზონისა ქვეყანისადმი. იაზონმან შეირთო მედეია, რომელმანც უშვნა ორნი ძენი. და შემდგომად რაოდენისამე დროჲსა მოიძულა იაზონმან მეუღლე თვისი და სუროდა სხვასა ზედა ქორწინება. მაშინ მედეიამ წარუგზავნა სასძლოსა მისსა ძვირფასნი უკვე შესამოსელნი; მან სიხარულითა მიიღო იგი და, ოდეს შთაიცვა ტანისამოსი იგი, მყისვე აღეგზნო იგი ცეცხლითა, იწვებოდა, და ესრეთ საბრალო სრულიად დამწვარი იქმნა. რა ამა საქმისათვის იხილა მედეიამ განრისხებული ქმარი თვისი, მყისვე მანც განრისხებულმან დახოცნა ორნივე ძენი თვისნი. მხილველი მისი იაზონ მეცადინეობდა შურის გებასა მედეიასსა, გარნა მედეია გაფრინდა ეტლითა, ორითა ურჩხულითა შებმულითა, და განეოა ხელთაგან მისთა.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ მე ისტორია თეზეისიცა!

ი ო ა ნ ე: თეზეჲ იყო ძე ათინის, მეფის ჰეღეის და ჰესფრიასი; და ესე იყო აღზრდილ ტრეცენიასა შინა დროსა კარისადმი პაპისა თვისისა, რომელისაცა დედა თეზეისა იყო ასული ტრეცენისა მეფისა. ჟამსა ორსულობისასა ჰეღეიმ უბრძანა დაშთობა ჰევრისა, მამისადმი თვისისა, მიზეზითა ამით, უკეთუ იგი შობს ვაჟსა, რათა აღზარდოს პაპამან თვისმან; და იყო იგი მუნ დრომდე, ვიდრემდის შე-

მძლებელ იქმნეს აღებად დიდისა უკვე ქვისა მის, რომელსაცა ქვეშე ჰელეიმ დაფლა უკვე თვისი ხმალი და ჩექმები; შემდგომად, რა მოიწია ჟამი ყრმისა შობისა, ჰევრამან შვა თეზეი, და ოდეს აღიზარდა ყრმა ესე და მოვიდა სრულსა ჰასაკსა შინა, მაშინ გმირმან ამან, მოყვანებულმან დედისაგან თვისისა დიდისადმი მის ქვისა, ასწია ქვასა მას და აღიღო იგი, და აღმოიღო ხმალი მამისა თვისისა და ხამლნი; შეიბა ხმალი იგი და შთაიცო ხამლნი იგი და ესრეთ წარემართა შემდგომად ათინასა შინა.

მგზავრობასა ამას შინა მოსრნა მრავალნი მეკობრენი, რომელნიცა ხვდებოდიან მოგზაურთა და მრავალთა ხოცდიან და სტანჯევდიან. და ოდეს იხილა ჰელეიმ ძე თვისი, იცნა თვისისა ხმლისა გამო.

თეზეიმ აღასრულნა მრავალნი სხვადასხვა უკვე სახელოვანნი და ჩინებულნი საქმენი, გარნა სხვათა ყოველთა საქმეთა ზედა ესე უფრორე უდიდებულეს იყო, რომელ მოკლა მან საკვირველი ესე ცხოველი, სახელით მინოტავრად წოდებული, რომელსაცა აქვნდა ნახევარი სხეული კაცისა და ნახევარი ხარისა. ხოლო ცხოველი ესე იყო შემწყვდეულ კრიტიის ლაბირინტსა შინა, რომელიც იზრდებოდა მუნ შესრულთა კაცისა ხორცითა. ხოლო ოდეს შევიდა მას შინა თეზია ენება მხეცსა მას შეჭმაცა ამისი, რომელმანცა ბრძო მას რაოდენსამე ხანს და უკანასკნელ მოკლა საკვირველი ესე ცხოველი.

და ოდეს განემართა თეზეი საბრძოლად ამა მხეცისა, აღუთქვა მამასა თვისსა ესრეთ, რომელ, უკეთუ იგი ბედნიერად დაასრულებს შრომასა თვისსა და უკმოიქცევის, მაშინ ნიშნად იგი განშლის თეთრსა უკვე ბავრაყსა ხომალდსა მას შინა, და ესე იყო ნიშანი მძლეველობის; და უკეთუ ვერ სრულ-ყოფს ღვაწლსა თვისსა და მოკვდების, მაშინ აღმართვენ შავსა ბავრაყსა. გარნა შემდგომად ძლევაშემოსვლისა, ოდეს უკუნიქცა ხომალდით, დაავიწყდა მას ნიშანი მიცემული მამისადმი თვისისა, და ნაცვლად თეთრის ბავრაყისა აღმართეს შავი ბავრაყი; მაშინ მხილველმან უბედურმან ჰელეიმან, მგონებელმან წარწყმედისა ძისა თვისისამან, სიყვარულისა გამო წარმკვეთელმან სასოებისაჰან, გარდაიგდო თავი თვისი ზღვასა მას შინა და მოიშთო იგი. ხოლო მიზეზითა ამით იწოდების ზღვა ესე დღესაც ჰელესიის ზღვად.

და უკანასკნელ თეზეი იქმნა მეფედ ათინისა შემდგომად მამისა თვისისა, რომელიც მეფობდა ბედნიერად, და მოიყვანაცა ბედნიერებასა ქვეშე ყოველნი ქვეშევრდომნი თვისნი. ხოლო შემდგომად სიკვდილისა ამისა სახსოვრად აღუშენეს მას შვენიერნი უკვე საკურთხეველნი.

დ ა ვ ი თ ი: კვალად ვინ იყვნენ შემდგომად მათსა ჩინებულნი უკვე გმირნი?

ი ო ა ნ ე: თუმცა მრავალნი იყვნენ სხვადასხვა უკვე გმირნი, გარნა ჩინებულნი უკვე უკანასკნელთა დროთა შინა იყვნენ ახილეს და ღეკტორ.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ მე ახილესისა!

ი ო ა ნ ე: ახილეს იყო ძე პელეი მეფისა ფესალიისა, და ღმერთაის ფეტიდასი; ხოლო იშვა რა ახილეს, მყისვე დაალტო იგი დედამან მისმან მდინარესა შინა, სტიკს წოდებულსა; თუმცა სრულიად ტანი მისი აღმოავლო წყალსა მას შინა, გარნა ქუსლნი ახილესისნი დაშთენ მშრალად; და მიზეზი მისისა დალტობისა ესე იყო, რომელ დედამან მისმან წინასწარვე ცნო მოკვლაჲ მისი ტროადსა შინა და ამის გამო დაალტო იგი, რომელ მას იარაღი არღა მოეკიდებოდა. და ამას თანა არცა აწოვა მას ძუძუჲ თვისი და არც სხვათა, არამედ აღზარდა იგი ტვინითა ირმისა და სხვათა ცხოველთათა, რომლისა გამო აქაჲლევ სახელ ედვა მას, რომელიცა ნიშნავს ჲლევ საზრდელსა. და ოდეს მოიზარდა მცირედ, მიიყვანა იგი ქვაბთა ფეტალისათა და მუნ აქაილმან შემოისვა ცხენისა გავასა ზედან და ესრეთ ასწავა მას მოთხრობა და ცხენოსნობა და სამხედროთა საქმეთა შინა გამოცდა. და მერეთ დედამან მისმან წარგზავნა იგი მეფასა ლაომედისადმი, შემოსილი საცმელითა ქალისათა, მიზეზითა ამით, რომელ ვერავის ეცნა იგი, რათამცა არა წარიყვანონ იგი საბრძოლად ტროიანელთა და არა მოკვდეს იგი მუნ. ხოლო ოდეს მიიწია მუნ, შეყვარებულ იქმნა იგი მეფასა ლაომედისაგან და შვა ძეჲ მისგან პირეს. ხოლო უკანასკნელ ულისემ იპოვა იგი მანქანებითა თვისითა და წარიყვანა იგი ტროადსა ზედა, რომელმანცა მუნ ღალატით მოკლა ღეკტორი, ჩინებული გმირი, და მერეთ შურითა ამით მოაცთუნეს ახილესცა შვენიერებითა პოლიქსეონისა, დისა ღეკტორისათა, რომელიცა ეტრფიალა მას და რომელიცა მოტყუებითა ქალისათა შევიდა იგი ტაძარსა შინა აპპოლონისასა ქორწინებისათვის; და მუნ დამალულმან ფარიზ, ძმამან ღეკტორისამან, ჩინებულმან მემშვილდემან, სტყორცა ისარი და ორნივე ქუსლნი ახილესისანი შეუმუსრა და ესრეთ აღიღო სისხლი ძმისა თვისისა და მოკლა ჩინებული ესე მხედარი, რომლისა სხვადასხვა საქმენი უვრცელეს არიან აღწერილ მეტოლოღიათა შინა.

დ ა ვ ი თ ი: მითხარ მე ღეკტორისაცა!

ი ო ა ნ ე: ღეკტორ იყო ძეჲ პრიამის და ღეკკუბასი, მეფისა ტროიანელთასა. ოდეს გარემოადგა ქალაქსა ამას ტროადს მეფე აღამემნონ სრულიად სხვათა მეფეებითა ბერიელთათა, ესე ღეკტორ იყო

ზარის დამცემი ბერძენთა მხედრობისა, რომლისა წინაგანწყობა ვერარომელმანმე გმირმან თავს იდო, და მის მიერ მოიკლნენ ათასნი ჩინებულნი გმირებნი. და მერეთ ებრძოლა ჩინებული გმირი უკვე პატროკლე და ესეცა მოიკლა ღეკტორისაგან, რომელსაც მერეთ უწოდებდენ ბერძენნი ოდესმე სასტიკსა და ძლიერსა მფრინველსა და ოდესმე მყუდროსა ყუსა; გარნა უკანასკნელ ღალატით მოკლა იგი ახილესმან ბრძოლასა შინა, რომელსა შიშველსა იღლიასა მიპარვით შესცა უკვე შუბი და მით განგმირულ ყო საკვირველი ესე გმირი ღეკტორი.

დ ა ვ ი თ ი: იყვნენ სხვანიცა ღმერთნი გარდა ამათსა?

ი ო ა ნ ე: რომ აღვრიცხოთ, თითქის დიდს სიმრავლეს შეადგენს მრავალ-ღმერთობა და ყოველსა ქვეყანასა ზედა თვითეულსა სახელმწიფოსა, თვითეულსა სამეფოსა და თვითეულთა სამთავროთა თითქმის ოროლნი, სამ-სამნი და უმეტესნი ყვანდენ ღმერთებად და ესვიდენ მათ, რომელთა სახელი თვითეულად თქმად შეუძლებელ არს, და უვრცელესად იხილე ძველთა ბერძენთა და ინდოელთა წერილთა შინა მეტოლოღიისათა.

მაშინ დავითმან აქო იოანე და უთხრა: ახლა კი ვირწმუნებ ქადაგებასა შენსა, თუ ჩემი მოძღვარი დასტურს მომცემს!

ი ო ა ნ ე: რომელს მოძღვარს ბრძანებთ, ეფვთიმეს თუ სხვაცა გყავთ ვინმე?

დ ა ვ ი თ ი: არსენი თბილელი!

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! რამდენი მოძღვარი გყოლიათ?

დ ა ვ ი თ ი: მე რადგან ბევრის ცოდვის მოქმედი ვარ, სამი მოძღვარი მყავს: ერთი მღვდელი, მეორე არქიმანდრიტი, მესამე ეპისკოპოსი; რომ ეს სამნი ძლივ მოერევიან ჩემ ცოდვას, რომ ზიდონ; და მეოთხე შენ იქნები, როდესაც მთავარდიაკვნად ეკურთხები, და დანაშთენს ცოდვას შენ აგკიდებ.

მაშინ ზურაბამ მოახსენა: ბატონო დივანბეგო, მართლა კარგი სახედარი იშოვეთ, თქვენს ბარგს, თუ არ ესე, ვერავინ ატარებს!

დ ა ვ ი თ ი: თუ ჯერ გახედნილია, მართლად შეიძლებს.

ზ უ რ ა ბ ა: გაუხედნელი რად იქნება რეკტორის ხელში გაზრდილი და ახლა ფიცხელაურს ბერთან მყოფი? ვგონებ, ზურგიც ჰქონდეს წამხდარი.

დ ა ვ ი თ ი: უეჭველად განსწავლილი იქნება!

ზ უ რ ა ბ ა: მაგისთვის ეჭვი არღა უნდა! მაშინ

ი ო ა ნ ე: უი შე უკეთურო, რას ამბობ ზურაბ?

და ამა ხუმრობით მიიწივნენ ველისციხეს. მდივანბეგი მივიდა გარსევანთან, გარდახდა და ესენიცა ჩამოხდენ ერთის გლეხისას.

რა გარსევანმან მდივანბეგი იხილა, უთავაზა, ერთმანერთი მოიკითხეს, და სადილობის დროც იყო; გარსევანმან უთხრა მდივანბეგს: სადილი მივიღოთ და მერე განვემართოთ ქალაქისაკენ! რა სადილი მოიღეს, დავითმან იოანე დიაკვანი მოიკითხა და უთხრა ეშკააღაშს: თუ ინებებთ, ქვაბთახევის მონასტრის დიაკვანი თან მომყვა, და მოუწოდეთ მასცა სადილად!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მოქადაგე დიაკვანია თუ სხვა ვინმე?

დ ა ვ ი თ ი: მოქადაგე!

მაშინ გარსევანმან უბრძანა თვისსა მსახურსა და მოუწოდეს იოანეს ზურაბითურთ.

ი ო ა ნ ე მოსრული გარსევანთან, ეტყვის: შვიდობა თქვენდა, პასლენიკ-მოურავ-ეშკააღაშო!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: სულისაცა შენისა თანა, ალავერდელ-ბოდბელ-ნეკრესელო!

ი ო ა ნ ე: გმადლობ მაგ ტიტლოების ბოძებისთვის!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: თქვენ გშვენით ეს ტიტლოები, რადგან ყოველთა დედა-ეკკლესიებთა შინა, ვითარცა გნებავს, ქადაგებთ!

ი ო ა ნ ე: ცუდი ხომ არ მითქვამს რა?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მეტი რაღა უნდა სთქო, მდედრნი აღარ გაუშვი და მამრნი გაულანძღველნი!

ი ო ა ნ ე: ვითარ აღმოაჩენთ?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: კანეინობით.

ი ო ა ნ ე: მაგით არ დავისჯები, მე ჯერ რუსული ენა არ ვიცი და, სიტყვა რომ გამრუდდეს თქმაში, რადგან სხვანიცა კანეინობით ეძახდენ მას.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: კანეინა კაენის ცოლს ნიშნავს და კნეინა თავადის ცოლსა.

ი ო ა ნ ე: მაშა ცუდად არ მიწოდებია სახელი!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: როგორ ცუდად არ გიწოდებია? ძმის მკვლელის ცოლად აღმოაჩინეთ, და მე ძმა სულ არა მყოლია.

ი ო ა ნ ე: ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ერთმანერთის ძმანი ვართ. და კაენს რამდენი ძმა ჰყვანდა?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ერთი, რომელსა ეწოდა აბელ.

ი ო ა ნ ე: კაენმან ერთი ძმა მოჰკლა და თქვენ ათასი!

მაშინ განრისხდა გარსევან და ენება გალახვა ამა დიაკვანისა, გარნა ჯიმშერისშვილმან არ უტევა გასალახავად. და უთხრა გარსევანმან: უნდა დამიმტკიცო, თუ ვითარის სახით დავხოცენ ესეოდენნი ძმანი ჩემნი!

ი ო ა ნ ე: მოთმინება იხმარეთ, მოგახსენებ.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: თქვი!

ი ო ა ნ ე: შენს პასლენიკობაში არ მოიქეც იმ სახედ, რაგვარადაც მეფეთაგან იყავ ინსტრუქციებით წარვლენილი, და მეტადრე ამა მეფის დროს.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: შენ რა იცი, თუ რა ინსტრუქციები მქონდა რწმუნებული და ან ვინ შეგატყობინებდა?

ი ო ა ნ ე: მე იქ ვიყავ, ოდესცა მეფემ სრულიად ქართველთ თავადნი შეკრიბნა და წარგიკითხათ თვისნი აზრები, რომელიც თვით თავადთაც მოიწონეს და დაამტკიცეს. მერე თქვენ სამნივ ძელს ცხოველზედ დაგაფიცესთ და ისე იმ წერილით გაგისტუმრეს.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ვინ შეგიშვებდა შენ იმ შეკრებულებაში?

ი ო ა ნ ე: მერწმუნე, თუ მომისმენ, სულ ზეპირ გეტყვი რაჯაცა წერილი მოგცეს.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: თქვი!

ი ო ა ნ ე: მეფემან თავისი მამის დადებული ტრაკტატიც დაამტკიცა, რომელიც ესე ყოველთა უწყიან, და ესრეთვე თავისიც შესძინა რაოდენიმე პუნკტნი.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მითხარ, რომელი?

ი ო ა ნ ე: **პ ი რ ვ ე ლ ი**: ესე მემკვიდრითი მემკვიდრე სახლისაგან სამეფოსა არ მოიშალოს, და იყოს მეფე და მორჩილ, ვითარცა სხვათა ხელმწიფეთა ქვეშევრდომ ყოფილან.

მ ე ო რ ე: მეფის ძენი იცვებდენ ისევ მამულთა თვისთა.

მ ე ს ა მ ე: თავადთა, აზნაურთა, ვაჭართა და სამღვდელოთა ესგვარი პატივისცემა აქვნდეს, როგორადაც მათსა ქვეყანასა შინა არს.

მ ე ო თ ხ ე: სამართალი და სჯული იყოს ისევე ქართველთა.

მ ე ხ უ თ ე: რადგან სპარსეთის ხელმწიფე მიუღებს ერევანს და განჯას, ნაცვლად ამისა მიეცეს ოცდაოთხიათასი სული გლეხი*.

მ ე ე ქ ვ ს ე: ათს წელიწადს სახელმწიფო ხარჯი არ ეთხოვებოდეს მეფისა და თავადთა ყმასა, რადგან ყეენების დროსაც აძლევდენ ხარჯსა იმ სახედ.

მ ე შ ვ ი დ ე: ექვსიათასი ჯარისკაცი ყოველთვის იყოფოდეს მეფესთან, რომ მტერნი მოიგერონ საქართველოსნი, ვინემ მეფეც გააწყობდეს საკუთარსა ჯარსა თვისსა.

---

* დედანი უმატებს: „რუსეთში"; შემდეგ ეს სიტყვა ავტორს თვითვე გადაუხაზავს. რ ე დ.

მ ე რ ვ ე: მადანნი ამუშაონ და მით ისარგებლონ და იქიდამ ათის თავი ეძლიოს მეფეს.

მ ე ც ხ რ ე: ოციათასის თუმნით შეწევნა მისცენ მეფეს დაქცეულის ქალაქის ასაშენებლად.

ესე იყო პირველი სათხოვარი, ხოლო სხვანი, რაჲცა სხვათა წერილ-მანთა საქმეთა შეეხებოდა, იგი იყო მოსვენებულ. იხილე აწ, მცოდნია თუ არა! აჰა მდივანბეგიც იქ იყო და ამანვე გარდათარგმნა. მაშინ

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ მ ა ნ: დია ჭეშმარიტად! ხოლო გარსევან სდუმნა.

რა მცირედ შეექცნენ სადილს და საკმაოდ იხმიეს ღვინო, გარ-სევანმან უთხრა დიაკვანს: შენ რომ ელჩობას ბიწუნებ, ვის გაგზავ-ნიდენ ჩეძზედ უკეთეს ელჩს მეფენი?

ი ო ა ნ ე: თუ ჩემთვის ეკითხათ ვისმე, მე იმისთანა ელჩს მოვნა-ხამდი, როგორიც ბაბაში იყო.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: რომელს ბაბაშს ანბობ?

ი ო ა ნ ე: ვეზირის ძეს, თავადს ბაბაშს, რომელიც მოსრულ არს სპარსეთიდამ და სახლობდა ტფილისს კარისკაცად.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მე კარგად ვიცნობდი იმას, რა ქნა მაგისთანა საქმე, რომ გაუკვირვებიხარ?

ი ო ა ნ ე: ოდეს სრულიად ადრიბეჟანის ხანებმან ქარემხანთან უჩივლეს მეფე ერეკლეს და ენება ქარემხანს ჯარის გამოსევა საქარ-თველოზედ, მაშინ ვითარ გაისარჯა ბაბაში, იცი შენ ხომ?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: აღარ მახსოვს, მითხარი, თუ რომელთა ხანებთა უჩივლეს?

ი ო ა ნ ე: ისმინეთ: დარუბანდის ხანმან, სალიანის ხანმან, ბაქოს ხანმან, შამახიის ხანმან, ნუხის ხანმან, განჯის ხანმან, ყარაბაღის ხანმან, ყარადაღის ხანმან, ერევნის ხანმან, ნახჩევნის ხანმან, ხოის ხანმან, თავრიზის ხანმან, ურმიის ხანმან და მარაღის ხანმან,—ამა ყოველთა შეასმინეს მეფე ჩვენი. მცნობმან ამისმან მეფემან ირაკლი, გაგზავნა ბაბაში ქარემხანის წინაშე თავის მართლების წერილებითა; გარნა ოდეს მივიდა ბაბაში, ამა ზემოხსენებულთა ხანებთა ელჩებსა სრულიად დაუყო პირი წინაშე საშინელისა მის ხელმწიფისა და ყოველნი თავის სჯულის კაცნი ცრუდ აღმოაჩინა ერდგულობისა გამო მეფისა, და საქართველოზედ მომავალი სპარსთა მხედრობა სამოცი ათასი კაცი, ადრიბეჟანელთ გარდა, უკუნაქცევინა. და აგრეთვე ჟამსა ამის ელჩობისაცა მოვიდა ხონთქრისა ელჩი წერილებითა, რომელსა შინა ეწერა ქარემხანთან, რომ შენი აშვებული ლომი და-აბი და ნუ ახდენინებ მამულსა ჩემსა, თორე ბრძოლა იქმნების ურთიერთისა შორისო, რომელ მეფე ირაკლი ჩვენთა მეზობელთა

ფაშებთა დაებეზღებინათ ხონთქართან; და ამა ელჩსაცა პირი დაუ-
ყო და ყოველნი ჰაზრნი მათნი შთაშალნა, და ქარემხანიდამ ჯილ-
დოდ სამეფო ნიშნები, ფარვანი და სხვა საჩუქარნიც გაარიგნა. და
ესრეთ წყალობიანის ელჩით მეფესთან პირნათლად უკმობრუნდა,
და ესე ყოველნი მოართო და აღუსრულნა. ნახე მისი პატიოსნება!
მითომ იგი თათარი იყო და თქვენ, სამნი დესპანნი ქრისტიანენი,
თუ ვითარ მოიქეცით მართლმადიდებელს კარზედა, ესეცა ცხადია.

მაშინ ამისი მსმენელი გარსევან წამოხტა და თავისის ჩიბუხითა
ენება გალახვა და უთხრა: ნაწე ამ ქიზიყელსა, რომ თათრის ამხანა-
გადაც არღა მაგდებს!* მაგრამ კიდე დიანბეგმან დაამშვიდა გარ-
სევან.

მაშინ იოანეს უთხრა გარსევანმან: მე ჩემს უამხანაგოდ საქმე არა
დამიჭერიაო!

ი ო ა ნ ე: რომელს ამხანაგებთან?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: გიორგი ავალიშვილთან და ელიაზარ ფალავან-
დისშვილთან.

ი ო ა ნ ე: სხვა თქვენი წინამძღოლი ვიღა იყოო?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ლაშქაროვი, სერგი ლაზარიჩი.

ი ო ა ნ ე: ოფრეთელი სომხის გვარი, შულავრელი გლეხი?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: დია.

ი ო ა ნ ე: მან თარგმნა წიგნები?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ჰე.

ი ო ა ნ ე: რაღა თარგმანი ეპირებოდა ამ დივანბეგის ნათარგმნ-
სა, რომ ორივე ენა უკეთ იცის: ქართულიც და რუსულიც, და თვით
მემკვიდრემ და სხვათაც მოიწონეს ის თარგმნული?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ლაშქაროვმან არ იყაბულა.

ი ო ა ნ ე: ქრთამი არა მიეცით რა თარგმნისა?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: არა.

ი ო ა ნ ე: მაშ ის სწორედ თარგმნიდა!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ეგ კი არ ვიცი.

ი ო ა ნ ე: პასლენიკმან ყველა უნდა იცოდეს, მარტოკა თეთრის
გროება არ ეყოფა, რატომ აბითერაბასაც არა ჰკითხე რა?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ლაშქაროვმან არ გარია საქმეში, რადგან მეფე
ერეკლესაგან გაზდილი იყო.

---

* ნაცვლად „თავისის ჩიბუხითა..... არღა მაგდებს" თავდაპირველად ყოფი-
ლა: „და გამოაგდო გარე სადილიდამ. მაშინ იოანემ შესძახა: ნეტარ ვარ, რომ
ქრისტეს გამცემელს მოვსცილდი და მასთან არღა ვსეერობ!" (ეხლა ეს სიტყვები
გადაბაზულია). რ ე დ.

ი ო ა ნ ე: მაუ, ჰგავს, მეფის პურ-მარილი ხსოვნებია, და რატომ შენ არ გარიე საქმეში?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მე რასაც ლაშქაროვი მეტყოდა, ის უნდა მექნა.

ი ო ა ნ ე: მაშ, ჰგავს, რომ იმის სიტყვით დაივიწყეთ მეფის პურ-მარილი.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მემკვიდრის ბრალია.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ჩემი და არ შეირთო ცოლად და სხვაში გამცვალა.

ი ო ა ნ ე: ევროპიაში გაზდილი ხარ, ხომ იცი ცოლქმრობა ერთმანერთის ნებაზედ არის დამოკიდებული!

გ ა რ ს ე ვ ა ნ: დიაღ, ხომ წარგიკითხავს „ქართლის ცხოვრება“, თუ გიორგი სააკაძემ რა უყო ლუარსაბ მეფეს თავის ქალის გაშვებაზედ?

ი ო ა ნ ე: რა კარგად ქნა ან იმან. მაგრამ ჯვარდაწერილის და ისე ნალაპარაკევის ცოლქმრობაში დია განყოფილება არს.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ვიცი, მაგრამ არ მოვინდომებ კეთილს დავითისა და ალექსანდრესთვის.

ი ო ა ნ ე: ჰგავს, ალექსანდრეს ყაზახის და დავითს მოყრობის გულისთვის დევნი.

გ ა რ ს ე ვ ა ნ: დია მართალს ანბობ.

ი ო ა ნ ე: შენ ყაზახის მოურავი ხარ და ალექსანდრე მათი ბატონისშვილი, და, თუ თქვენ და ენდრონიკეს-შვილები დაზავდით, რომ პაპა-შენს ერთის საბალახის ღორის წაგვრის გულისთვის მარჯვენე ძხარე ამოსჭრეს ბეჭიანად, ამ შენის ბატონის-შვილებს როგორ ვერ დაზავდი მცირეს წყინებისათვის?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ენდრონიკაანთ სისხლი მომცეს.

ი ო ა ნ ე: რა მოგცეს სისხლში?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: ერთი სავენახე ადგილი და ოთხი კომლი კაცი.

ი ო ა ნ ე: მეფე ირაკლიმ და მეფე გიორგიმ კახეთში ორი პირველი სოფელი გიბოძეს ნაფარეული და მუღალნო, რომ ორასი კომლი კაციც იქმნება და მეტი რა გინდოდა?

გ ა რ ს ე ვ ა ნ: მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტროპა ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვა.

ი ო ა ნ ე: რაღა მოწაენი გვიხმს, თქვენის პირით აღიარეთ, და ამისთვის მოგახსენე, რომ ბაბაში უფრო სარწმუნო კაცი ყოფილა თქვენზედ.— გამგონე ამისი გარსევან განრისხდა, წამოხტა და თავის გძელი ჩიბუხი დაჰკრა თავში, კუნკული გააგდებინა, ანაფორა

ჩამოახიეს და პაღურით კარში გამოაგდეს, და უთხრა: შე ქიზიყელო ჩოჩინავ, შენგან ვის ეკადრება ესდენი შეურაცხებაო? ხოლო იოანე თავშიშველი მოვიდა თავის ცხენებთან და შემოეხვივნენ სოფლელები და ჰკითხვიდენ შემთხვევასა ამას. იოანემ სხვაჲ არა რა უთხრა მათ, მხოლოდ ესე, რომელ ჭეშმარიტებისთვის ვიდევნებიო. და ამჟამად ზურაბაც მოვიდა, დახურა კუნკული, ანაფორა გამოუცვალა, და განემართნენ ქიზიყისაკენ; ხოლო გარსევან და დიამბეგი წარვიდენ ქალაქისაკენ.

* * *

იოანე საღამოხანს მივიდა გურჯაანს და ერთსა მუნებურსა კაცსა ჰკითხა: ქიზიყის მოურავის შვილები არიან ვინმე აქაო? მან უთხრა: „მოურავი ზაქარიაც აქ არის და სხვანიცა მისი სახლის კაცნი“. იოანეს დია იამა და უთხრა ზურაბას: „მიდი, მოურავს ჩემმაგიერ ლოცვა-კურთხევა მოახსენე და სახლი მითხოვე“. ზურაბა იახლა მოურავს და იოანეს მაგიერ თაყვანის-ცემა ჰკადრა და სახლი სთხოვა. მოურავმან უბოძა სახლი და შეუთვალა, ვახშმად ჩვენთან ისერეთო. იოანე დაბინავდა და მოემზადა ვახშმის დროს მოურავთან წასასვლელად. რა ვახშმის დრო მოვიდა, მოურავის კაცი მოუვიდა იოანეს და წაიყვანეს. იოანე, მისრული მოურავთან, თავს დაუკრავს და ეტყვის: „მშვიდობა თქვენდა, ბრწყინვალეო მოურაო ჩვენო“.

ზ ა ქ ა რ ი ა: სულისაცა შენისა თანა, ჭავჭავაძის მოძღვარო!

ი ო ა ნ ე: ღმერთმან მაშოროს იმისთანა მოწაფე!

ზ ა ქ ა რ ი ა: რა დასაწუნარია იმისთანა მოწაფე?

ი ო ა ნ ე: ღმერთმანი გვიან გამცემს და, რასაკვირველია, გულით მოვინდომებ იმის მოწაფობას.

ზ ა ქ ა რ ი ა: რადგან სალმრთო კაცი ხარ, მაინც უნდა კიდე ასწავლო და მცნება მისცე. მაშინ

ზ ურ ა ბ ა: ბატონო მოურაო, თუ ეს თქვენი სახელო კაცი მოძღვრებას არ დაიშლის, ვგონებ აღარც წელი შერჩეს ცემით და აღარც წვერი გლეჯით.

ზ ა ქ ა რ ი ა: რადგან ბერობა შეუმოსავს, ყოველივე უნდა მოითმინოს ჭეშმარიტებისათვის.

ზ ურ ა ბ ა: ახლანდელს ჭეშმარიტებაზე ახლანდელი ტყუილი უმჯობესია!

ზ ა ქ ა რ ი ა: ვითარ?

ზ ურ ა ბ ა: ამისთანა დრო არის, თუ ამ ბერს ჭავჭავაძის საქნე

მოეწონებინა, ერთს ურემს ღვინოს იშოვნიდა, მაგრამ ჭეშმარიტის თქმისათვის წელი მოსტეხა ცემით.

ზ ა ქ ა რ ი ა: სჯირთ რომელთამე, რომელ ხალხში მხილებას იწყენენ, თუ უნდა ჭეშმარიტი იყოს და უნდა გვამისამებრ მოექცეს კაცსა.

ზ უ რ ა ბ ა: ჭეშმარიტი ბრძანება არს, გარნა თუგინდც ამას დაედუმებინა, ქვანიც ღაღადებენ.

ზ ა ქ ა რ ი ა: არცარავინ სხვანი არიან მდუმარედ; მე ვმადლობ ამ ჩემს სახელო კაცს, როგორც ქიზიყელს შვენის, ისე მოქცეულა. ღვინოს ჩვენც გიშოვნით საჩუქრად, ნურაზედ შეწუხდებით... და უბრძანა დასხდომა, და მერეთ მოიკითხა იოანე და გამოჰკითხა მგზავრობის მიზეზი. დიაკვანმან ყოველივე მოახსენა, და მერეთ მოიღეს ვახშამი და სხვანიც მოვიდნენ ენდრონიკეს-შვილები მოურავთან და ყოველივე აცნობა იოანეს. ამათაც მოიკითხეს იოანე და ამანაც მადლობა მოახსენა, და მიჰყვეს ხელი საჭმელს. რა კარგა შეექცნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: შენ და ჯიმშერის-შვილმა როგორის შექცევით იმოგზაურეთ ველის-ციხემდი?

ი ო ა ნ ე: ბატონო მოურაო, სალმრთო სიტყვა არ მიიკარა რა ჩვენგან, მხოლოდ მისი კითხვა იყო ძველთა ღმერთებთა ზედა, მეტოლოლიურის წერილთაგან.

ზ ა ქ ა რ ი ა: ჩვენში ძვირად იცის ვინმე მეტოლოლია, და მე დიდად მიამა, რომ გისწავლია ისიც. დია სახმარია წერასა შინა, მოლექსეობისა და ისტორიისასა და სხვათაცა შინა მაგალითად მოსაღებელად; მითხარ, ტროადის ანბავიც უანბე თუ არა?

ი ო ა ნ ე: არღა დაგვცალდა მაგაზედ უბნობა.

ზ ა ქ ა რ ი ა: დია დაგიმადლებ, თუ მიამბობ ბრძოლასა ტროადისასა.

ი ო ა ნ ე: ვიცი გიამებათ ტროადის ანბავი, რადგან კეისრის გვარისა ხართ, ბერძენთა ომი.

ზ ა ქ ა რ ი ა: ეგ თუმცა დიდი ხნის ანბავია, მაგრამ კაცს კიდე იამება თავის ქვეყნის ანბავი, ბუნება ისე აწვევს.

ი ო ა ნ ე: დია ჭეშმარიტია, და ახლა მოგახსენებ, თუ რა მიზეზით შექმნა ბერძენთ მეფემან ბრძოლა ტროადელთა მიმართ.

მოშაირეთა მოულიათ თვისთა შაირსიტყვაობათა შინა, რომელ ვითამც იუპიტერს რომელსამე დიდსა განცხრომასა შინა მოუწოდებია ყოველთა ღმერთთათვის და ესრეთ მოხარულთა ურთიერთისათანა განცხრომით დამტკბართა, არა მოუწვევიეს ღმერთი ჰედერაი (ანუ მტერობა). მცნობი ამისი ჰედერა, აღვსილი შურითა და ბორო-

ტებით, გულის-მსიტყველობდა, თუ ვითარისა სახითა დარღვეულ-ჰყოს მან კრება ესე ღმერთთა, და დააბრკოლოს განცხრომაჲ მათი შემდგომად მოიპოვა მან ღონე ესე, რათა გარდაუგდოს მათ უხილავისა ხელითა ტაბლასა ზედა ვაშლი ოქროჲსა დევიზაითურთ ყოვლად მშვენიერისა სხვათა ყოველთა ღმერთებთაგან უმჯობესისა; და აღასრულა მან ჰაზრი თვისი და გარდაუგდო მათ ტაბლასა ზედა ვაშლი იგი ოქროჲსა; და ესმა მათ ხმაჲ ღრუბლით გამო: ესე ვაშლი მისდა იქმნების, რომელიცა უმჯობეს იქმნების მშვენიერებით ურთიერთთაგან. მყისვე გაგონებითა ამით იშვა მათ შორის ბრძოლაჲ, და უმეტეს სამნი იგი ღმერთანი, რომელნიც ერთი მეორეს უმჯობეს იყვნენ, ესე იგი: მინერვა, იუნონა და ვენერა, თვითეული ამათგანნი ითხოვდენ ვაშლსა ამას ჯილდოდ მშვენიერებისათვის, გარნა ვერ მიიღეს მათ კმაყოფაჲ. ხოლო უკანასკნელ იუპიტერმან არა ინება, რათა აღარჩიოს მან მათ შორის უმჯობესი მშვენიერებითა და ნიჭებულ ჰყოს იგი ვაშლითა მით, რომელიც სხვათა წყენასა ერიდებოდა; და ამის გამო წარავლინა იგინი ყრმისა მწყემსისა, ყოვლად მშვენიერისა პარისისადმი, ძისა პრიამის ტროადის მეფისათა, რომელიც იყო პირუთნებელი ყოველსა გვარსა სამართალსა შინა, რათა მან უსაჯოს მათ, და მისცეს უმჯობესსა ვაშლი იგი.

მისრულნი მისდა სამნივე ესე თვითეულად ნახვენ მას, და აღუთქმენცა მრავალსა მომაცთუნებელსა ჯილდოსა; პირველ იხილა იგი იუნონამ და აღუთქვა მას მიცემად დიდისა სამეფოჲსა და სიმდიდრისა, უკეთუ იგი მისცემს მას ვაშლსა მას. და მერე მინერვა მივალს მისდა და აღუთქვამს მას მიცემად დიდისა სიბრძნისა და მეცნიერებისასა. ხოლო უკანასკნელ მივალს მისდა ვენერა და აღუთქვაშს მას სრულიად ქვეყანასა ზედა უმშვენიერესსა ქალისასა მიცემასა ცოლად, რომელმანცა მიიღო ვაშლი იგი ოქროჲსა ჯილდოდ ვენერამ.

აღთქმისამებრ თვისისა ვენერამ მისცა მცნებაჲ პარისს და წარავლინა ლაკედომონიასა შინა შოვნისათვის ყოვლად მშვენიერისა ქალისა ელენასი, რომლისაცა მეუღლე იყო თვით მეფე ლაკედემონიასი მენელა. პარისმან წაგვარა მთლად ყოველსა სოფელსა შინა ყოველთა ზედა უმშვენიერესი ქალი ესე დარიგებითა ვენერასითა; და ამა მიზეზით და ფიცის მტეხელობისა გამო, აღეგზნო გული თვით მეფისა და სხვათაცა მპყრობელთა მეფეთა სამტეროდ ტროადელთა ზედა, რომელნიცა შეუდგნენ ნაცვალისგებასა მათსა.

დროსა ამას მეფობდა აღამემნონ მეფე მიკენიისა, და ესე იყო სხვათ ყოველთა მეფეთა ზედა უწარჩინებულესი, და ერჩდენ მას სხვადასხვა სახელოვანნი გმირები. ძაჲ ამა მეფისა მენელაი მისრული

მისდა და ცხადმყოფელი შეურაცხებისა თვისისა, მიტაცებისათვის ყოვლად მშვენიერისა და უჩინებულესისა მეუღლისა თვისისა ელენასი, ეევდრებოდა ძვირის ყოფად ტროიანელთა ზედა. მსმენმან ამისმან მეფემან მოუწოდა სხვათაცა მეფეთა ბერძენთასა და შემოიკრიბნა მხედრობანი ურიცხვნი და მის საუკუნოჲსა გმირნი, რომელნიცა იყვნენ შემდგომნი ესე: ახილლეს, ულისე, დიომიდი, აიაკს, მენელაი, იდომენი. ესე ყოველნი შენოკობენ აღამემნონისა წინაშე, და ფუცეს ყოველთა ერთბამად აღსპობად ამაყისა ტროადისა. აგრეთვე შემოკრბენ მთლად ბერძენთა მეფენი ვიდრე ოცდაცამეტამდის, მხედრობითა თვისით. და ფუცეს მათცა წინაშე აღამემნონისა აღსასპობელად ტროადისა. და მერეთ აღრიცხნა აღამემნონმან ყოველნი უკვე მხედრობანი, რომელნიც იყვნენ სრულიად რიცხვით მხედარნი 880, 000 კაცი გამზადებულნი საბრძოლველად ტროადელთა ზედა. და წარემართნენ მხედრობითა ამით ტროადის კერძოდ.

ქალაქი ესე ტროადი იყო აღშენებულ კიდესადა ფრიღიისასა, მცირესა აზიასა შინა. რომელიცა იყო ესრეთ დიდი ქალაქი, რომელ სიგრძესა მიაწერდენ ვიდრე ოთხმეოცდაათსა ვერსსა, ანუ თვრამეტის საათის საველესა, თავისის შესაფერის სიგანითა. ესე მშვენიერი ქალაქი ჰყვაოდა უმეტეს სხვათა ქალაქებთა ზედა და ადრიდგანვე განაღვიძებდა შურსა ბერძენთა მეფეთა შორის შემძლებელობისა და ვაჭრობისა გამო თვისითა. მისრულნი მტერნი ესე დადგნენ გარემო ტროადისა.

ხოლო ტროადელნიცა მცნობნი მიმავალთ მტერისა თვის ზედა, განემზადნენ ესენიცა და შეჰკრიბნა მხედრობანი მეფემან ტროადისამან პრიამ პირისპირს ბერძენთა, მხედრობანი რომელნიც იყვნენ რიცხვით 686, 000 კაცი. ხოლო მხედრობათა ამათ წინამძღომნი იყვნენ პრიამ მეფისავე ძენი: ღეკტორ უჩინებულესი მხედარი და გმირი ყოველთაზედ; პარის, მიმტაცებელი ელენესი, ძევე მეფისა პრიამისა; ენეი, სარპედონი და სხვანიცა ჩინებულნი გვამნი და მამაცნი მთავრობასა ქვეშე გულოვანისა ღეკტორისასა, უხუცესისა ძისა პრიამისასა.

და რაოდენისამე დღისა შემდგომად შეიქმნა ორთავე კერძოდ ბრძოლაჲ, და თითქმის ყოველთვის სძლევდიან ტროადელნი შემწეობითა ღეკტორისათა. ესე საშინელი მხედრობაჲ ორისავე კერძოდ, რომელიცა შეადგენდა რიცხვით მეომართა მხედართა 1, 566, 000 კაცთა. ამათ განაგრძეს ბრძოლაჲ თვისი, ვიდრე ათსა უკვე წელსა მოუწყვეტელად, და მოსწყდენ ორისავე კერძოდ უმრავლესნი კაცნი. გარდა ჩინებულთა გმირებთა, რომელნიცა დაიხოცნენ ღეკტორისა ხელთაგან ვიდრე ათასნი გმირნი, და ამათ შორის ჩინებული უკვე პატროკლე.

ესეცა განგმირულ იქმნა ასპარესსა ზედან ღეკტორისაგან. ხოლო უკანასკნელ ღალატით მოკლა სახელოვანი გმირი ესე ღეკტორ ახილესმან, რომელმანცა სცა იღლიასა ტიტველსა შინა შუბი თვისი და მით განგმირულ ჰყო ჩინებული ესე მხედარი. მხილველმან ამისმან პარის, ძმამან ღეკტორისამან, იძია შური ახილესზედა, და შეაცთუნა იგი მიცემითა მშვენიერისა დისა თვისისა პოლიქსენოსისათა, და აღუთქვა მას ქორწინებად ტაძარსა შინა აპოლონისასა. მოსრული შუნ ახილეს ტრფიალებისა გამო ქალისა მის, და ოდეს შევიდა იგი ტაძარსა მას შინა, მუნ დამალულმან პარის სტყორცნა მას ისარი და ორნივე ფეხისა ქუსლნი განმსჭვალვა მით. და ესრეთ მოკლა გმირი ახილეს და აღიღო სისხლი ძმისა თვისისა. და იყვნენ კვალად ბრძოლასა შინა, გარნა ტროადი და ამაღნი ტროადელნი იყვნენ შეუძვრელად. მხილველთა ამის ბერძენთა ზრახვა ჰყვეს ურთიერთისად თუ რაჲ ჰყონ, ვინაჲდგან უიმედონი შეიქმნენ აღებისათვის ტროადისა. მაშინ ბრძენმან ულისემ მისცა მათ ჰაზრი თვისი და ჰქმნეს ცხენი დიდი ხისაგან ესეთი, რომელიც ხომალდსა ესწორებოდა. და შთასხნეს მას შინა ურიცხვნი ჩინებულნი მხედრობანი და ჩინებულნი გმირებნი, და დაუხშეს მათ კარნი. გარნა კარი იგი იყო უცნობელ, და შიგნით მყოფნი გააღებდენ მას. და დასდგეს პირისპირ ტროადისა. ხოლო თვით მეფე მხედრობითურთ თვისით აიყარა და განშორდა მათ. რა ესე იხილეს ტროადელთა, განიხარეს ფრიად და ჰგონებდეს, რომელ შეშინებულნი მათგან ივლტვიან ბერძენნი, და ჰგონებდენ ცხენისა მის შემოწირვასა მათდა. მაშინ ცუდმორწმუნენი ესე ტროადელნი განვიდნენ და შეათრიეს ქალაქსა შინა ცხენი იგი, და დასდგეს იგი მაღალსა ადგილსა ზედა ძეგლის სახედ, ნიშნად შეუმუსვრელობისათვის ქალაქისა, რომელნიცა არარაიმესა მფიქვრელობდენ საფრთხესა ბერძენთა მიერ მოგონებულსა. და მიეცნენ განსვენებასა და შვებასა ტროადელნი. ხოლო ღამესავე მას შინა უკუნიქცნენ ბერძენთ მხედრობანი, და დანიშნულსა დროსა შინა განაღეს კარი ცხენისა მის, და გამოვიდნენ დამალული მხედარნი იგი, განუხვნეს კარნი ქალაქისა გარეშეთა მხედრობათა თვისთა და შემოესივნენ ქალაქსა მას შინა, და აღსპეს სრულიად მცხოვრებნი ქალაქსა მას შინა და დაწვნეს სრულიად ცეცხლით ქალაქი იგი. და ესსახედ დაეცა და შეიმუსრა ამაყი ტროადისა ქალაქი.

შემდგომად ამა დასრულებისა ანბისა იოანემ აღიღო თასი და შესვა ღვინო სადღეგრძელო მოურავისა და რქვა: დღეგრძელდი მოურაო, და მესმას მე ხმა გამარჯვებისა თქვენის მეფის, ძითურთ თქვენით, ომარხანსა ზედა, ვითარცა თქვენ მოგახსენეთ აწ ტროადისა ამბავი.

მოურავმან მადლი უთხრა, და აჩუქეს ერთი ურემი ღვინო. დიაკვანი მხიარული აღდგა მადლობელი, და გამორეთხოვა მოურავს სადგურად თვისა; მოურავიც გამოესალმა და უთხრა იოანეს: მე ხვალე უკანა მხარს წავალ, მცირე რამ საქმე მაქვს და შენ ჩემ კერძო ბატონისშვილს იოანეს მოკითხვა მოახსენე, და მეც ვიახლები ორ დღეს უკან ქიზიყს. და ამ სახით გაიყარნენ ესენი.

დ ღ ე მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე

ხოლო ხვალისა დღე იოანე განემართა ქიზიყისაკენ, გარნა ზურაბამ ურჩივა: გზაც ის არის და მცირე რამ ვისაუზმოთ ერასტიანთან გირკოკს. და იმედი მაქვს, რომ იქ ვიშოვოთ ღვინოჲ.—იოანემ მოუწონა ესე რჩევა და მივიდნენ გირკოკს. იოანემ გაგზავნა ზურაბა და მოიკითხა ერასტიანი. მაშინ ნინია ერასტის-შვილი, ეშკააღასი მემკვიდრისა მუნ იყო და რა ზურაბამ ცხად უყო იოანეს მისვლა, მყისვე მიუწოდა იოანეს, და ნახვისავეთანა იცნა, მოიკითხა იოანე და თავისი ვინაობა გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე ცხად უყო. და მერე უთხრა ნინიამ: მცირეს ხანს ბაღში შევექცეთ, ვინემ სადილიც მოგვესწრობაო.

იოანე გაჰყვა ბაღსა შინა. და მივიდნენ ერთს მშვენიერს ხესა ქვეშე და დასხდნენ. მაშინ ნინიამ აღმოიღო უბიდამ ერთი წიგნი და მისცა იოანეს,—ესე ჭარმიკითხე, ეს არის ჩემის მეუღლიდამ მომივიდა, რომელიც თავის სამშობლოდამ მწერს, სამაჩაბლოდამ; და რა სწერია, მიბძანე, რომ პასუხი თქვენვე მიგაწერინო. უცხო დროს გნახე, აქ ბწერალი არავინ იპოებოდა.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! დავით ბატონიშვილის ეშკააღაშმან წიგნი როგორ არ იცითო?

ნ ი ნ ი ა: ყმაწვილობაში კი არვინ მასწავლაო და ახლა კი ვერ ვისწავლიო. — მაშინ იოანემ წარუკითხა წიგნი იგი, რომელსა შინა იწერებოდა ავადმყოფობასა თვისსა და ექიმის შოვნასა, ანუ წამლების გაგზავნასა. რა ესე წიგნი წარუკითხა იოანემ, შეწუხდა ნინია და სთქვა: არც ექიმი მყავს, არც წამლები მაქვს. მაშინ

ი ო ა ნ ე მ: ქალაქში ვერვის იცნობთ ექიმსა?

ნ ი ნ ი ა: თათულას ვიცნობო.

ი ო ა ნ ე: მაშ იმას მისწერეთ წიგნი და, თუ ვერ წავა, წამლებს გაუგზავნის. — ნინიამ დია დაუმადლა ეს რჩევა და უთხრა იოანეს

„ამა წიგნისა პასუხი მიმიწერეთ, როგორც შენგან ვიცოდე, კარგი საამური წიგნი“. იოანეს მოართვეს ქაღალდი და საწერელი, და მიჰყო ხელი იოანემ მიწერას ესგვარ:

ბრწყინვალეო თავადინავ, მოწყალეო ხელმწიფეე! შენ, საყვარელო, მშვიდო, შენ მხოლოჲსგან ვალდებულ ვარ მე ბედნიერობითა თვისითა. ანგელოსისა ნაზმან სულმან შენმან შვა გულსა შინა ჩემსა ალი საუკუნოჲსა მწუხარებისა, შვენებაო ჩემო და სიცოცხლისა ჩემისა მიზეზო. ოდეს წარვიკითხე წერილი შენი და ვსცან ნარნარისა მაგის მტკივნეულებაჲ, მყის შევიქენ უცნობო და მეცა მივიღე ხვედრი შენთანა მტკივნეულებისა; ადრითვე სული ჩემი იყო მიმოძვრიობილ შეჭირვებით და გამწარებით; ადრითვე მაყურებელ ვიყავ მოგზაურთა, ნუთუ მსმენოდა რაჲმე განმამხიარულებელისა ჩემისა ანბავი. აწ ვსცან ნამდვილად უძლებობაჲ თქვენი. ესე მყოფს მე განუსვენებელ და ეს მექმნების მე საწერტელად, ვინემდის ვცნობდე მე სიმრთელესა თქვენსა.

საყვარელო და სიხარულო ცხოვრებისა ჩემისაო, შენ წარმომიდეგ მე სახითა ნუგეშინისმცემელის ანგელოსისათა და დაფინეცა ყვავილებითა გზანი ცხოვრებისა ჩემისანი და ამით განამხიარულე გული შენთვის ტყვექმნილი. გებრალოდე გარემოებისა გამო, რომელ ვერა მოვასწრაფე თქვენდა, ვინაჲგან მიმელის მეცა ასპარეზი რბენად ბრძოლისათვის საზოგადოჲსა მტერისა. ირწმუნე, თუ ვითარითა ერდგულებითა სარწმუნოებითა და მეგობრობითა შეკრულ ვარ შენდა; და ამით მოიმედოვნე, ვფუცავ წინაშე შენსა, მიყვარდე შენ, და მიყვარდე ვიდრე სიკვდიდმდე ჩემსა. განმახარე მე მშვიდობიანის წერილით თქვენით და ესრეთ დაატკბეთ გამწარებული სული ჩემი.

სხვებ ვჰგიე თქვენისა ბრწყინვალებისა უკულითადესი მეგობარი იოანე.

ოდეს წარუკითხა წერილი ესე იოანემ ნინიას, მყის ღაღადყო: ბერო, ეგე წიგნი სხვისაგან ევონების მიწერილი, რომელიც არშიყობის სახით არს მიწერილი, თუ ნინიაობით არ დამწერ.

ი ო ა ნ ე: ბატონო ეშკააღაშო, ნინია ყმაწვილური სახელია და იოანე ნათლობის და ესე უმჯობესი არ არის?

ნ ი ნ ი ა; არა, ნინიაობით დამწერე, და ეშკააღაშობით და ერასტისშვილობით.

ი ო ა ნ ე: ბატონო, მეგობრობა რომ დავსწერე სხვა ვერვინ მისწერს უცხო, თუ არ თავის მეუღლეს, ამსახედ.

ნ ი ნ ი ა: არა, ამოფხიკე, ნინია დაწერე! მაშინ

ი ო ა ნ ე მ: „უი ჩემს თავს! ამისთანა მეცნიერი ეშკააღაში ჰყოლია მემკვიდრეს და, რასაკვირველია, საქმეს კარგად განუკარგავს“. ამოფხიკა იოანემ და შთაწერა „ნინია“. მაშინ აქამეს სადილი, იოანეს მადლი უთხრა და ერთი საპალნე ღვინო აჩუქა, და გაემართა იოანე ქიზიყისაკენ.

საღამოს დროს მიიწვევენ კარდენახს. იოანემ უთხრა ზურაბას: ამაღამ აქ ვიყოთ, ხვალე საბაწმინდის ეკლესია მოვილოცოთ და მერე ქიზიყს მივიდეთ.

ზურაბამ მოუწონა და, რა შევიდნენ იმ სოფელში, დაუწყეს სახლს ძებნა, მაგრამ ვერ იშოვეს სადგომად, რადგან ყველგან ჯარისკაცი იდგა. იოანე იმა სიარულსა შინა შეხვდა ბებურისშვილს, ანჯიქოდ წოდებულს. რა მან მწუხარება შეატყო იოანეს, ჰკითხა: ვის ეძებთ? იოანემ: ამაღამ სადგომად სახლსა. — ანჯიქომ უთხრა: ჩემთან წამოდი, მე გიშოვი სადგომსაო. იოანემ მადლი მოახსენა და წარვიდნენ ერთად. ანჯიქომ მისცა ერთი სადგომი და უთხრა: მცირე განისვენეთ და ვახშამი ერთად მივიღოთ. — იოანეს სამზარეულოს გვერდით მისცეს სახლი, და მივიდა მუნ. მცირე ხანს უკან მოიყვანეს ერთი მამალი დიდი ცხვარი, დაჰკლეს და დაუწყეს კეთება, აგრეთვე ხუთი თუ ექვსი ქათამი, გოჭი. ესენიც მოამზადეს. მაშინ იოანემ უთხრა ზურაბას: ესე მართლად თავადიშვილურად გვიპირებს მასპინძლობასა.

ზ უ რ ა ბ ა: რასაკურველია, თქვენზედ დიდი კაცის შვილი ვიღა ეწვევა!

ი ო ა ნ ე: არ იცი, ხელაანი აზნაურნი არიან?

ზ უ რ ა ბ ა: რატომ არ მითხარ აქამდი, უკეთ გემსახურებოდი.

ი ო ა ნ ე: არ იყო საჭირო, და ახლა გაცნობე ჩემი გვარი.

ზ უ რ ა ბ ა: ქიზიყს რომ მოუახლოვდით მით მოგეცა დიდი გული?

ი ო ა ნ ე: მე ამით არ გავამპარტავნდები, მინდა მეცნობა ჩემი თავი.

ამჟამად მოვიდნენ სხვანიც ბებურისშვილები, ვახშამიც მომზადდა და იოანესაც მიუწოდეს. მისრული იოანე მოიკითხამს მათ ლოცვით, ბებურიანნიც უთავაზებენ და გამოკითხვენ ვინაობასა მისსა. იოანემ ყოველივე აცნობა მათ და მასთან თავისი ხელაშვილობაც. ბებურიანთ ეამათ და უთხრეს: ჩვენი მეზობელი ყოფილხარ, აქ ბერულად ნუღარ მოიქცევი, ისე მოიქეც, ვითარცა ქიზიყელი მოყაზახეო.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! დია ცუდად მიქადაგებთო.

ა ნ ჯ ი ქ ო: შენც უნდა დაგგეშოთ, მოიცადეო. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა მ: ბატონო ბებურისშვილო, ძალი ხომ არ არის, რომ დაგეშოთ?

ა ნ ჯ ი ქ ო : მე უშოვნი იმას მღვდელს, რომ იმან დაგეშოს.

გაგზავნა კაცი და ბებურისშვილი მღვდელი იოსებ დაიბარა. მღვდელი მყისვე წამოვიდა. რა შინა შემოვიდა მღვდელი, სთქვა: „გამარჯვება შენი, ანჯიქო და ბებურიანო". მათთაც უთხრეს: „გაგიმარჯოს". და მერე აჩვენეს იოანე. მიესალმნენ ესენი ურთიერთას და მოიკითხეს და ღასხდენ; გარნა იოანე ფიქრობდა, რომ ანჯიქო რა სახელია? მე არ მახსოვს, რომ წმინდას ერქვას რომელსამე და არ ვიცი ეგების სომხების წმინდა იყოს ვინმე. იმა ფიქრსა შინა რომ იყო იოანე, ჰკითხა მღვდელმან: რას ფიქრობ იოანე?

ი ო ა ნ ე : ანჯიქოს, თუ რომლის წმინდის სახელია.

მ ღ ვ დ ე ლ ი : ეს როგორ არ იცი, რომ ბებურისშვილს წმინდის სახელს ძნელად უწოდებენ!

ი ო ა ნ ე : მაშა ვის სახელს?

მ ღ ვ დ ე ლ ი : ან ლეკისასა, ანუ თათრისასა.

ი ო ა ნ ე : რა საჭიროებისათვის?

მ ღ ვ დ ე ლ ი : განსხვავებისათვის, რომ ყოველთ იცნან ვაჟკაცად და ყაზახად.

ი ო ა ნ ე : მაშ თქვენ რას გეძახიან?

მ ღ ვ დ ე ლ ი : იოსებს, მაგრამ უფრო ნაბიჭვრის-შვილს, რომ უფრო ნაბიჭვარი ცქვიტი და ყაზახი იქნება.

ი ო ა ნ ე : მაშ კარგი მოძღვარი ჰყოლიხართ!

მ ღ ვ დ ე ლ ი : მართლა, აჰა, ჩემი მოწაფენი: აიდემურ, ანჯიქო, ქაცახა, ჭუბონი, ვაჩა. და ამათ ვასწავლი ყოველთვის ქურდობას, ყაზახობას და არც ლეკების ხოცვას უშლი.

ი ო ა ნ ე : ეგ ერთი კარგი, მაგრამ სხვებისა კი რა მოგახსენო.

მ ღ ვ დ ე ლ ი : შენც ჩვენი მოწაფე უნდა შეიქმნა და ასე გასწავო.

ი ო ა ნ ე : მე მოძღვარი მყავს.

მ ღ ვ დ ე ლ ი : ვინა?

ი ო ა ნ ე : დიმიტრი არქიმანდრიტი.

მ ღ ვ დ ე ლ ი : ვიცი, ის უფრო ყაზახი არის ჩემზედ, მე ალარ გეჭირები.

და მაზედ იცინეს ყოველთა. მოიღეს ვახშამი, გაიმართა ლხინი, დაიწყეს სიმღერა, ჩონგურის კვრა, ქოროღლის ლექსების თქმა და სიმღერა. და ასე შეაქციეს იოანე, რომ კიდეც ათამაშეს. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა : ბატონო ბებურიანო, დიაღ მალე გაწრთვენით ეს ბერი-

ბ ე ბ ე ბ ი ს შ ვ ი ლ ი : ჩვენ ასე ვიცით: ამასამ ორ დღეზედ ასე გავწვრთნით, რომ საქურდლადაც წავიყვანთ.—და ამ შექცევით დაასრულეს ვახშამი. იოანეც გამოეთხოვა და წავიდა თვისსა სადგომსა.

დ ღ ე მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

ხოლო ხვალისა დღე ანჯიქო მივიდა იოანეს ბინაზე, უთხრა: წავიდეთ, ბატონისშვილი ბაგრატ ვნახოთო. იოანეს იამა და უთხრა: აქ ბრძანდება?

ა ნ ჯ ი ქ ო : ბაგრატ აქ არის, ამ ჯარის უფროსად.

იოანე მოემზადა და წარვიდენ ბაგრატისაკენ. რა იოანე იახლო ბაგრატს, ეშკააღაშმან ცხად უყო იოანეს ხელაშვილის მისვლა. ინება ბაგრატმან. და რა შევიდა სახლსა შინა და იხილა ბაგრატ, წინ წადგა იოანე და მოახსენა: დღეგრძელდი მეფის ძევ, სარდალ-თელავის-ქალაქმთავარო!

ბ ა გ რ ა ტ : გმადლობ იოანე, რომ მეც არ დამაგდე უსახელოდ, რადგან ამ გზობით მრავალგან გაგიცია სახელო და შენც გიშოვნია ნაცვალი.

ი ო ა ნ ე : ზოგიერთმან სახელოს მიცემა დია იწყინეს.

ბ ა გ რ ა ტ : მართლა ეტყობა შენს ანაფორას.

ი ო ა ნ ე : უი ჩემს თავს, ვინ მოგახსენათ?

ბ ა გ რ ა ტ : სულმან მაუწყა.

ი ო ა ნ ე : წინასწარმეტყველთ ტომი ხართ, მცნობელობის მადლი თქვენც გექნებათ.

ბ ა გ რ ა ტ : ნუ-ნუ გვატყუებდე და ახალი ანაფორა გინდოდეს?

ი ო ა ნ ე : ჩემი სიმართლე ამით ჩანს, რომ ერთმან ვინმე რომ შეიძლოს და მთელი სამი სამეფო დახიოს, ანაფორის დახევაზედ რაღა ეჭვი უნდა.

ბ ა გ რ ა ტ : დროს ყველა შეუძლიანო.

ი ო ა ნ ე : ჭეშმარიტია, ახლანდელი საუკუნო ასე იჩვენება.

ბ ა გ რ ა ტ : მითხარ რაჲ არს საუკუნო?

ი ო ა ნ ე : საუკუნო არს განგრძობა დროთა და შემცველი თვის შორის ასისა უკვე წელიწადისა.

ბ ა გ რ ა ტ : რაჲ არს წელიწიდი?

ი ო ა ნ ე : წელიწადი არს განგრძელება დროისა და შემცველი თვის შორის ათორმეტთა თვეთა.

ბ ა გ რ ა ტ : რაჲ არს თვე?

ი ო ა ნ ე : თვე არს შედგომილი ოთხთა კვირიაკეთაგან და რაოდენსამე დღეებთა.

ბ ა გ რ ა ტ : აღმირიცხე წესისამებრ ათორმეტნი უკვე თვენი.

ი ო ა ნ ე : იანვარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი ანუ თიბათვე, ივლისი ანუ მკათათვე, აგვისტო გინა მარიამობისთვე, სეკდემბერი გინა ენკენისთვე, ოკდონბერი გინა ღვინობისთვე, ნოემბერი გინა გიორგობისთვე, დეკემბერი ანუ ქრისტისშობისთვე.

ბ ა გ რ ა ტ : რაოდენ დღედ ირიცხებიან თვითეულნი უკვე თვენი?

ი ო ა ნ ე : შვიდნი უკვე თვენი ირიცხებიან ოცდათერთმეტ დღედ თვითეულნი, ესე იგი იანვარი, მარტი, მაისი, ივნისი, აგვისტო, ოკდონბერი და დეკემბერი. ხოლო ოთხთა უკვე თვეთა ოცდაათათი დღე, ესე იგი—აპრილი, ივნისი, სეკდენბერი და ნოემბერი. ხოლო მარტო ფებერვალი შედგების ოცდარვა დღითა ყოველწელ. გარნა ყოველსა მეოთხესა წელსა შინა მოემატება ერთი დღე, რომ იქნება ოცდაცხრა, რომელსა უწოდთ ნაკადი იმ წელსა.

ბ ა გ რ ა ტ : რაოდენნი კვირანი ჰქონან წელიწადსა?

ი ო ა ნ ე : ორმოცდათორმეტნი.

ბ ა გ რ ა ტ : რაოდენნი დღენი ჰქონან კვირასა?

ი ო ა ნ ე : თვითეულსა კვირასა შვიდ-შვიდი დღენი.

ბ ა გ რ ა ტ : აღმირიცხე მე სახელდობ.

ი ო ა ნ ე : კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი.

ბ ა გ რ ა ტ : ვითა ჩვენ ქრისტიანენი აღვრიცხამთ კვირიდამ შაბათამდინ ესგვარ აღრიცხვენ სხვანი სჯულის კაცნი?

ი ო ა ნ ე : არა. საზოგადოდ ქრისტიანენი იწყებენ აღრიცხვას კვირიდამ, ურიანი შაბათიდამ, ხოლო მაჰმადიანნი პარასკევიდამ.

ბ ა გ რ ა ტ : რაჲ არს დღე ანუ ერთი დღე და ღამე?

ი ო ა ნ ე : დღე ანუ ერთი დღე და ღამე არს განგრძობა დროისა, შემცველი თვის შორის ოცდაოთხისა ჟამისა (ანუ საათისა), რომელ არს დღე და ღამე, და ესე იწოდების ნანდვილ დღედ.

ბ ა გ რ ა ტ: რაოდენ ნაწილად განიყოფების ესე ნანდვილი დღე?

ი ო ა ნ ე: ორად, ესე იგი დღედ და ღამედ, რომელიცა შეადგენს ყოვლადსა დღესა.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარ სათანადო არს განწვალებად ყოვლადის დღისა ანუ ერთის დღისა და ღამისა?

ი ო ა ნ ე: ოთხ ნაწილად სათანადო არს განყოფა ყოვლადისა დღისა, ესე იგი დილად, შვადღედ, მწუხრად ანუ საღამოდ და შვაღამედ.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ ეწოდების საკუთრად დღესა ანუ ღამესა?

ი ო ა ნ ე: დღედ საკუთრად უწოდთ დროსა მას, ოდესცა მზე მოეფინების ქვეყანასა აღმოსავლიდამ და განგრძელდების ვიდრე დასვლამდინ მზისა. ხოლო ღამედ უწოდთ მას, ოდესცა გაგრძელდების დროჲ დასავლითგან მზისა ვიდრე აღმოსვლადმდე.

ბ ა გ რ ა ტ: რაოდენთა ჟამთა იპყრობს თვის შორის დღეჲ და ღამეჲ საკუთრად თვისად?

ი ო ა ნ ე: დღეჲ საკუთრად ესრეთ წოდებული შეიცავს თვის შორის ათორმეტსა ჟამსა. ესსახედვე ღამეჲ.

ბ ა გ რ ა ტ: ყოველთვის ერთგვარად იპყრობს დღე და ღამე ჟამსა ათორმეტთა, ანუ იცვალებიან?

ი ო ა ნ ე: არა ყოველთვის ერთგვარად არიან, არამედ იცვალებიან სხვათა და სხვათა გვართა და დროთა შინა წელიწადისათა მით, რამეთუ ოდესმე დღეჲ იყოფის უდიდეს და უგრძელეს, ხოლო ოდესმე უმცირეს და მოკლე, ესე სახედვე ღამეც, ვითარცა ზაფხულ და ზამთარ.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ჟამი, ანუ საათი, ანუ რაოდენად განიყოფების ერთი უკვე ჟამი?

ი ო ა ნ ე: ჟამი ანუ საჟამო, გინა საათი, არს ხელოვნებით ქმნილი რაჲმე, რომელიც განმართვისა ძალით მოძრაობს იგი შეწევნითა ზამბარაკისა და სხვათა ჩარხთათა. და რომელიც იჩვენების ზემო პირსა ზედა დანიშნულითა ციფრებითა ათორმეტსა რიცხვსა ჟამისასა და მას ზედან მოარულითა წამითა გვაჩვენებს ჩვენ რიცხვსა შემემცნებისათვის თუ რაოდენი ჟამი დღისა ანუ ღამისა განსრულ არს, და რაოდენი დაშთომილ არს. ხოლო ერთი ჟამი უკვე განიყოფების ოთხ რუბად, ნახევარ საათად და სამ რუბად; აგრეთვე ერთი ჟამი განიყოფების სამეოც მინუტად ანუ წამად. ერთი მინუტი ანუ წამი—სამოც წუთად, და ერთი წუთი—სამოც წუთის-წუთად. ხოლო ერთი რუბი საათისა იპყრობს თვის შორის ათთუთხმეტსა წამსა, ნახევარი საათი ანუ ორი რუბი—ოცდაათსა, სამი რუბი—ორმოცდახუთსა, ოთხი რუბი ანუ საათი—სამეოცსა უკვე წუთსა.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ესე გვარი უკვე დროჲ წელიწადისა?

ი ო ა ნ ე: ესე არიან ცვლილებანი იგი, რომელნიცა წარმოებენ ბუნებით ჩვეულებისამებრ ოთხგზის ერთსა წელიწადსა შინა.

ბ ა გ რ ა ტ: აღმირიცხეთ მე ესე ოთხნი უკვე დრონი წელიწადისანი.

ი ო ა ნ ე: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ბ ა გ რ ა ტ: რაოდენ ხანგრძლობს თვითეული ამათგანნი.

ი ო ა ნ ე: თვითეული დრონი ესე წელიწადისანი არიან სამ-სამ თვე.

ბ ა გ რ ა ტ: ოდეს დაიწყება გაზაფხული, ზაფხული, ეგრეთვე შემოდგომა და ზამთარი და რომელ'ს თვეებში?

ი ო ა ნ ე: გაზაფხულად რაცხვენ: მარტსა, აპრილსა და მაისის თვესა. ხოლო თბილთა მხარეთა შინა აზიისათა იწყებენ გაზაფხულს თერთმეტის მარტიდამ, ვიდრე თერთმეტის თიბათვემდინ. რუსეთს შინა ცხრიდამ, ანუ რვის რიცხვიდამ მარტის, ვიდრე ცხრამდის ივნისისა. სხვანი ევროპიულნი იწყებენ მასვე თვიდამ ოცდგან ანუ ოცდაერთიდამ გაზაფხულს ვიდრე ოცდაერთს ანუ ოცდაორს ივნისამდე. ზაფხულად რიცხვენ: ივნისსა ანუ თიბათვეს, ივლისსა ანუ მკათათვეს, აგვისტოს ანუ მარიამობისთვეს. აზიელნი სდებენ თიბათვის თერთმეტიდამ სეკტემბრის თერთმეტამდის ზაფხულს. რუსნი რვის ივნისიდამ ვიდრე ცხრა სეკტემბრამდის. სხვანი უცხონი მხარენი ივნისის ოცდაერთიდგან სეკტემბრის ოცდასამდე. შემოდგომას აზიელნი—ათერთმეტის სეკტემბრიდამ თორმეტს ქრისტისშობისთვემდე. სდებენ შემოდგომად ამ სამ თვეთა: სეკტემბერს, ოქტომბერს და ნოემბერს, ანუ ენკენისთვეს, ღვინობისთვეს და გიორგობისთვეს. ესგვარვე რუსნიცა, სხვანი უცხო მხრისანი სდებენ სეკტემბრის ოცდაორიდამ დეკემბრის ოცდაათამდე.

ზამთაოს სდებენ დეკემბერს ანუ ქრისტისშობისთვეს, და იანვარს და ფებერვალს. აზიელნი იწყებენ თორმეტის დეკემბრიდამ, ვიდრე ათს მარტამდინ, ანუ თვრამეტს მარტამდინ, რუსეთი ათს დეკემბრიდამ ვიდრე ოცდაორს მარტამდინ.

ბ ა გ რ ა ტ: რომელ თვესა და დროსა შინა იწყებს თანასწორობას დღე და ღამე?

ი ო ა ნ ე: ესე შემთხვევა იქნების წელიწადსა შინა ორგზის, ესე იგი: პირველგზის იქნების ოცდაერთსა ანუ ოცდაორს მარტის დღეს რიცხვსა ამავე თვისასა, მეორე გზის იქნების ოცდაორსა ანუ ოცდასამსა რიცხვსა შინა სეკტემბრისასა, სხვათა მხარეთა შინა ათერთმეტსა რიცხვსა ამავე თვისასა და ამის გამო ორნივე დრონი ესე იწოდებიან თანასწორობად დღისა და ღამისად.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარ იწოდების განთიადის სუსტი იგი სინათლე ანუ რიჟრაჟი, რომელიც იხილვების ვიდრე სრულიად აღმოსვლადმდე მზისა და შემდგომ დასვლისა მზისა?

ი ო ა ნ ე: ნათელი იგი, რომელიც იხილვების უწინარეს აღმოსვლისა მზისა, იწოდების დილისა ცისკრად, აგრეთვე განთიადად, ანუ ავრორად. ოდეს ვხედავთ ჩვენ მზის დასვლის დროს ნათელს, იწოდების იგი მიმწუხრად, აგრეთვე ბინდ-ბუნდად, ანუ დაბინდებად.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს არდადეგი, რომელსა ლათინნი უწოდებენ კანიკულად?

ი ო ა ნ ე: არდადეგად ანუ პაპანად იწოდებიან თვით უცხელესნი დღენი წელიწადსა შინა ზაფხულისასა ნახევარ ივლისიდგან, ანუ მკათათვიდგან, ნახევარს აგვისტომდი ანუ მარიამობისთვემდე; დღენი ესე ვიდრე ერთი თვე განგრძელების, ყოველთვის იწოდების კანიკულად, ამისთვის რომელ ლათინურებ ძალსა ვარსკვლავსა ეწოდების კანიკულა. ყოველსა ამა დროს შინა აღმოვალს ვარსკვლავი ესე და დადის ესრეთ მახლობელ მზისაგან, რომელ იფარვის შარავანდედითა მისითა.

ბ ა გ რ ა ტ: ოდეს იყოფიან თვით უგრძელესი და უდიდესი დღენი?

ი ო ა ნ ე: ვარსკვლავთმრიცხველთამებრ, რომელსაც საღმრთო წერილიც ემოწმება, მზე მიიქცევა ზამთრიდამ ზაფხულისადმი დეკემბრის ანუ ქრისტისშობისთვის თორმეტიდამ; და წავა დღე მატებაში წვრილ-წვრილად, ვიდრე ივნისის ანუ თიბათვის თორმეტამდის, რომ ამა რიცხვებსა იქმნება აზიაშიც დღე ვიდრე თექვსმეტ საათამდინ, მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა ვიდრე თვრამეტსა და ცხრამეტს საათამდის.

ბ ა გ რ ა ტ: ოდეს იქმნების თვით უმოკლესი დღე და მივალს მზე ზამთრისაკენ?

ი ო ა ნ ე: თიბათვის თორმეტიდამ დაიწყებს დღე წვლილ-წვლილად კლებასა ვიდრე ქრისტისშობის თორმეტამდის და უკანასკნელს რიცხვებში იქნების განგრძელებულ ღამე აზიასა შინა ვიდრე თუთხმეტიდამ თექვსმეტ საათამდის, მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა თერთმეტიდამ ვიდრე ცხრამეტამდის საათისა, და უმეტეს პეტერბურღსა შინა, რომელსაც რაცხვენ შვიდის დეკემბრიდამ ათორმეტსა რიცხვამდინ ამა თვისა, დღესა ხუთ საათად და ოცდაათ წამად. და ამსახედვე ღამის სიდიდეს თიბათვის რვიდამ, ვიდრე ამავე თვის ათორმეტამდე.

ბ ა გ რ ა ტ: ცვლილება ესე ერთსახედ არს სხვათაც შინა ქვეყნებთა?

ი ო ა ნ ე: არა, მუნ არს განსხვავება მდებარეობისამებრ ადგილისა, თუ რომელი ქვეყანა რომელს ხარისხზედ დგას და მით, თუ ვითარ მახლობელობს მზეჲ. მდებარენი ადგილნი ეკვატორისა ქვეშე და მხარენი მის ქვეყანისანი თითქმის ყოველთვის თანასწორებენ მუნ ადგილს შინა დღე და ღამე; და არიან ესგვარნი ქვეყნებიც, რომელსა შინა ზაფხულ უფრო ერთის საათისა მეტობს ღამეჲ; აგრეთვე არიან ქვეყანანი ესგვარნი, რომელთ შორის არს ექვსი უკვე თვე ღამე. და ესსახედვე ექვსი უკვე თვე დღეჲ*. და დასამტკიცებელად ამისა იხილეთ ქვეყნისა სიმრგვლისა ღლობუსად წოდებული სახეჲ.

ბ ა გ რ ა ტ: რაოდენი ჰქონან დღენი ერთსა წელიწადსა?

ი ო ა ნ ე: სამასსამეოცდახუთი.

ბ ა გ რ ა ტ: ყოველ წლივ ამ რიცხვით შედგება წელიწადი?

ი ო ა ნ ე: არა ყოველთვის, სამ წელიწადის შემდგომად მეოთხესა წელსა მოემატების კვალად ერთი დღე, და ამის გამო იწოდების ნაკის წელიწადი იგი, სხვანი წელნი—მარტივად.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲსა გამო წარმოებს ესე ცვლილება?

ი ო ა ნ ე: ამის გამო, რომ მთლად ყოველსა წელსა მარტოდ არა აქვს სამასსამოცდახუთი დღე, არამედ რაოდენიმე ჟამი ანუ საათიც აქვს მითვლილი; და ოდეს აღვრიცხავთ დამეტებულთა ჟამთა ამათ, მაშინ ოთხსა წელიწადს შეადგენს იგი ოცდაოთხსა საათსა. და ესე იქნების მეოთხე წელსა ერთი დღე მეტი, რომელ არს სამასსამეოცდაექვსი დღე, და მაშინ ფებერვლის თვე იქნების ოცდაცხრის დღისა მექონ.

ბ ა გ რ ა ტ: რომაელნი ძველად ესრეთ თვლიდიან თვეებთა ვითარცა აწ ჩვენ?

ი ო ა ნ ე: არა, იგინი მხოლოდ ათს თვედ სთვლიდიან, შემოდგომას შესძინეს ორი უკვე თვეცა და ამასთანავე იწყებდენ პირველს წელს ანუ ახალსა წელსა მარტის თვიდგან.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარ იწოდებიან იგინი, რომელთაც განმართეს კალენდარი ანუ წელთა აღრიცხვა, ანუ ვინ განმართა ესე წელთა რიცხვა?

---

* ექვსი თვე ღამე და ექვსი თვე (დღეჲ) არის არხანღელიის ქვეყანასა შინა ციბირის ხეარეს; აგრეთვე სამხრეთის კერძოცა არის ესვგარი უკვე ადგილი. იტყვიან. რომელ ზამთრით რომ არხანღელიაში არის ექვსი თვე ღამე, სამხრეთის ადგილს დღე არის ექვსი თვე. და ოდეს ზაფხულში არხანღელიაში არის ექვსი თვე დღეჲ, მუნ სამხრეთში არის მაშინ ექვსი თვე ღამე. და ესე არის მიზეზი მზის მიწვეისა და მოწვეისა გამო.

(ავტორი).

ი ო ა ნ ე: პირველად განმართა იულიოს კეისარმან, უწინარეს ქრისტეს შობისა ორმეოცდაექვსის წლის წინიდ; შემდგომად მეათცამეტე გრიგოლი პაპამან შემდგომად შობისა ქრისტესისა ათასექვსასოთხმოცდამეორესა წელსა, რომელიც პირველად იწოდებოდა იულიოსის კალენდრად, შემდგომად გრიგორის კალენდრად.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარ განმართა კალენდარი იულიოს კეისარმან?

ი ო ა ნ ე: მან განზრახვითა მათემათიკოსის სოსიღენისათა ბრძანა აღრიცხვად მზის წლისა სამასსამეოცდახუთ დღედ და ექვს საათად.

ბ ა გ რ ა ტ: გრიგოლი რომთა პაპმან რაიღა შესძინა?

ი ო ა ნ ე: ხოლო მან აღრიცხა ესგვარ, რომელ მეასე უკვე წელიწადი სამკზის ერთბამად იქნების მარტივი, მეოთხასედი მარადის ოდენ ნაკიანი წელიწადი.

ბ ა გ რ ა ტ: რუსნი ვითარ ხმარობენ კალენდარს?

ი ო ა ნ ე: ძველ იულიოსის კეისარისასა, ხოლო სხვანი ევროპიელნი გრიგოლ რომთა პაპისას.

ბ ა გ რ ა ტ: არის ცვლილება ამა კალენდრებთა შორის დროსა აღრიცხვისასა?

ი ო ა ნ ე: არის, ვინცა ხმარობს იულიოს კეისრის კალენდარსა, თვეთა დღეებთა შინა არის ყოველთვის რიცხვი წინ და უკან, მაგალითი: ოდეს ჩვენში, ანუ რუსეთსა შინა, იყოს რომელიმე თვის დღის რიცხვი ვითარცა ვთქვათ ოკდონბრის ათერთმეტი, ევროპიელთა შინა იქმნების ოცდაექვსი რიცხვი მასვე თვისა და მით სხვაობს გრიგოლის კალენდარი.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ოლიმპიადა?

ი ო ა ნ ე: თვითეული უკვე ოლიმპია იპყრობს თვის შორის ოთხსა წელიწადსა და ამის გამო ბერძენნი სთვლიდენ დროს ოლიმპიადებითა, ამად რომელ იგინი თვითეულსა ოთხსა წელსა შინა დღესასწაულობდიან ოლიმპიის მროკველობათა (ანუ თამაშობათა, გინა მღერათა) მახლობლად ოლიმპიის ქალაქისა პელეპონიასა შინა; და ამის მიზეზისა გამო წოდებულ არიან როკვანი ოლიმპიისად, ხოლო რომელნიმე მეისტორიენი სწერენ, რომელ ესე განაწესა ღერკულესმან პატივისათვის იუპიტერისა.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ეპოხა?

ი ო ა ნ ე: ეპოხა ეგრეთვე მსახურებს აღრიცხვისათვის თვეთა დროჲსა. გარნა მარტოდ იგი არა განსაზღვრავს განგრძობასა მათსა, არამედ დანიშნულ ჰყოფს განგრძობასა დროჲსასა ერთისა ღირსისა ხსოვნისა შემთხვეულებისასა, ვიდრე მეორისადმი ღირსისა სახსოვ-

რისადმდე, მაგალითისამებრ: ეპოხა შექმნიდამ სოფლისა, ვიდრე წარღვნადმდე. ესსახედვე ეპოხა ნიშნავს შემთხვეულებათაცა, ესე იგი: შობასა ქრისტესსა, დარღვევასა ტაძრისა და ქალაქისა იერუსალიმისასა და სხვანი.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ლუსტრაჲ?

ი ო ა ნ ე: ლუსტრაჲ არს აღრიცხვა წელთა, რომელიცა იპყრობს თვის შორის ხუთსა უკვე წელსა.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს იუბილეჲ?

ი ო ა ნ ე: იუბილიად იწოდების ნაჰყოჲსა რომლისამე დიდისა საქმისა, ანუ საჭიროჲსა შემთხვეულებისა აღხსენებისათვის დღესასწაულობითი გარდახდა და დღესასწაულობა რომელთამე შემთხვეულთა საქმეთა, შემდგომად ერთისა საუკუნოჲსა, ანუ ნახევარ-საუკუნოჲსა, ანუ შემდგომ ოთხისა საუკუნოჲსაცა.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ინდიკტიონი?

ი ო ა ნ ე: ინდიკტიონი არს საეკკლესიო წელთააღრიცხულებაჲ მპყრობელი თვის შორის ათუთხმეტისა წელიწადისა. ხოლო სიტყვაჲ ესე იხმარების მხოლოდ ესეგვარსა შემთხვევასა შინა, ოდესცა ითქმის რაჲმე რომის კალენდარისთვის.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ჰეღირა?

ი ო ა ნ ე: ჰეღირა არს ოსმალთა წელთააღრიცხულებაჲ მუნ დროჲდგან, ოდეს მამადა მივიდა მედინასა შინა.

ბ ა გ რ ა ტ: რაჲ არს ქორონიკონი?

ი ო ა ნ ე: ქორონიკონი ძველი ლექსია, ისევ ქართული წლის ანგარიშს ეწოდება. ესე ანგარიში შემდგომად ქართველთ მოქცევისა, რომ მიიღეს ქრისტიანობითი სჯული რაოდენისამე დროჲსა შემდგომად წმინდათა მთარგმნელთაგან, ბერძენთა ანგარიშისა გვარისამებრ გააკეთეს ესე ქორონიკონი და იწყეს პასექიდამ ანგარიში, თუ რომელს თვეს და თვის დღის რიცხვში მოვალს პასექი. და დასდევს ამისი განგრძობა, ვიდრე ხუთასოცდაათორმეტს წლამდის, რომელიც იქკევის რიგსა ზედა. ხოლო ოდეს შესრულდების რიცხვი ესე, კვალად თავიდამე იწყების აღრიცხვა პასექისა და მოვალს ისევ იმავე სწორის ანგარიშით. ხოლო უკანასკნელ ესე ხუთასიანი ქორონიკონი უფრო ნათლად აღმოაჩინა საქართველოს მეფემან ვახტანგ ლეონის ძემან, რომელიც ცხად არს „შესაქმისა წიგნსა“ შინა (დაბადებაში). ესსახედვე ხელთა ცხრამეტეული, ათცამეტური, ზედნადები, ზედნადების მთვარის მოქცევა, მარტის დადეგ თვითო წელი, სადაც ნაკი აქვს წელიწადსა, ოცდარვეული. და ესრეთ აღმოაჩინა ამა კინკლოსისა სწავლა და მუნ გონება გავ-

ლით ყოველსავე შეემცნებით და ისწავებთ „დაბადებაში“ და „ჟამ-ნის“ ბოლოსაც შეემცნებით ესსახედვე.

ბ ა გ რ ა ტ: ქართველნი ხმარობენ სხვასაცა ანგარიშსა წლისასა?

ი ო ა ნ ე: ხმარობენ რიცხვებსა სამ გვარად: ესე იგი, შექმნიდამ ანუ დასაბამიდგან სოფლისა; მეორეს—ქრისტეს შობიდგან; მესამეს—ქრონიკონსა.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარის ასოებით ხმარობენ მაგას და ნიშნენ?

ი ო ა ნ ე: ქართულის ხუცურის ასომთავრულის ასოებითა, აგრეთ-ვე მხედრულის ასოებითა უფრო საეროს წიგნებსა და სამეცნი-ეროში. ხოლო არა დიდიხანია, რომ ციფრებითაცა სმენ რიც-ხვებსა.

ბ ა გ რ ა ტ: ვითარ უნდა გამოვცნოთ, თუ მთვარე რაოდენის დღისა არს?

ი ო ა ნ ე: ამის შეტყობა თუ გინდათ, ყოველთვის იანვრის თვი-დამ უნდა იწყებდეთ, ესრეთ: თუ იანვარში გინდათ შეტყობა, ასე უნდა დათვალოთ: იანვარი, იანვარი, იანვარი. ნიადაგი და თვის თავი, ზედნადები რამდენიც იყოს, ისიც მიათვალოთ; აგრეთვე იმავე თვის დღის რიცხვი რაოდენიც იყოს, ისიც ზედ მიათვალოთ; თუ ოცდაათს რიცხვს ქვევით გამოვიდა, იმდენი დღისა იქნება მთვარე: და თუ ოცდაათს გასცილდა, ოცდაათი უნდა გარდადოთ, და რაც მეტი დღე დაშთება, ის აღრიცხოთ და ეგეოდენის დღისა იქნება მთოვარე. ხოლო სხვათა თვეთა შინა უნდა ამ სახეთ დათვლიდეთ: უკეთუ ფებერვლის თვეში დასთვლით, მაშინ უნდა ბრძანოთ: იან-ვარი, იანვარი, ფებერვალი, და ისევ ისე მოიქცეთ, ვითარცა ზეით დავსწერეთ. ხოლო სხვათა შემდეგთა თვეებში, ვითარცა მარტ-სა, აპრილსა და სხვათა თვეთა შინა, ბრძანოთ: იანვარი, ფებერ-ვალი, მარტი, აპრილი და ესრეთ უშორეს და აღრიცხოდ ამსახედ.

ბ ა გ რ ა ტ: ზედნადები როგორ უნდა შევიტყოთ, როცა წელიწა-დი გავა, თუ რაოდენისა იქნება სხვა წელიწადს?

ი ო ა ნ ე: ვსთქვათ, წლეულს არის ზედნადები ოცდასამი. ამ ოცდასამს უნდა დავათვალოთ თერთმეტი რიცხვი მომავალს წელს, და ოცდაათს რაც გადარჩება, იმდენი რიცხვი იქნება ზედნადები. რომ იქნება მომავალი წელიწადის ზედნადები ოთხ რიცხვიანი, და სხვანიცა, ასე სცან, რომ ყოველს წელს თერთმეტს რიცხვს უნდა ძოუმატებდე, რაც ოცდაათს გადარჩება რიცხვი, იმდენი იქნება ზედნადები. და თუ ვერ შეასრულებს ოცდაათს ის თერთმეტი რიცხვი, რაც ოცდაათს ქვევით დარჩება, იმოდენი იქნება რიცხვი ზედნადებისა.

ბ ა გ რ ა ტ : რაჲ არს ნიადაგი და თვის-თავი?

ი ო ა ნ ე : ნიადაგი სამარადისოს ანგარიშს ნიშნავს, ხოლო თვის-თავი, რადგან იანვრიდგან ვიწყებთ მთოვარის ანგარიშსა და სხვას რიცხვისაცა, ამ იანვრისათჳის მიუჩემებიათ თვის-თავობა, რომ ეწოდება თვის-თავი.

მაშინ ზურაბამ დაიძახა: ბერო, ვირსამც შენი.....თავი, ჩვენ მშივრები დავიხოცენით, და რა არს ესდენი ანგარიში? მაშინ მდგომარეთა ყოველთა იწყეს სიცილი. ბაგრატმან მრავალი იცინა და ზურაბა მოიკითხა. მოიღეს სადილი და ლხინითა და შექცევითა დაასრულეს ნადიმი.

იოანე გამოეთხოვა ბაგრატს მმადლობელი, წარვიდა, საბაწმინდაც მოილოცა და მერე ისევ მოვიდა თვისსა ბინასა ზედა. რა ვახშმობის დრო მოვიდა, იოანეს კიდე მიუწოდეს თვისთან ბებურიანთა და ისევ იმ სახით დახვდენ, ვითარცა პირველ, და ეს ღამეცა ესრეთ განატარეს.

ხოლო ხვალისა დღე იოანე ემზადებოდა ქიზიყს წასასვლელად. ანჯიქომ არ გაუშო, უთხრა: სადილიც აქ მიიღე და ვახშმათ შენს სახლში მიდი, ახლო არს ვაქირი.

კვალად მოიყვანეს ცხვარი და დაკლეს და აგრეთვე სხვაცა სანოვაგენი შეაგბეს და უკვირდა იოანეს ყოველთვის ოროლისა და სამსამისა ცხვარისა დაკლვა მათგან. რა სადილობის დრო მოვიდა, შეკრბენ კვალად ბებურიანი და იოანესაც მიუწოდეს. რა მცირედ შექეიფიანდნენ, იოანეს გულმან ვერღა გაუძლო და უთხრა: უფალო ანჯიქო, ასე მსმენია, თქვენ არც ერთი ცხვარი გყვანდეთ და ეს მიკვირს, დღეში სამსა და ოთხს ცხვარს არ სჯერდებით და ეს ვითარ არის? მაშინ

მ ღ ვ დ ე ლ ი: ბერო, გიჟი ყოფილხარ, როგორ არ იცი, ვისაც ცხვრები ჰყავს, ჩვენია; დღეში ათიც რომ დავჰკლათ, მაშინაც არ გამოგველევა.

ი ო ა ნ ე: ჰგავს, საბალახეს, ბევრს იღებთ?

მ ღ ვ დ ე ლ ი: ჩვენი მამული სახნავადაც ძლივ გვეყოფა, სად უნდა ავიღოთ საბალახე!

ი ო ა ნ ე: მაშა, ჰგავს, თეთრით ყიდულობთ?

მ ღ ვ დ ე ლ ი: ვის შეუძლია ჩვენში ყოველ დღივ სამი ცხვარი თეთრით იყიდოსო?

ი ო ა ნ ე: მაშ როგორ არის ეგ საქმე?

მ ღ ვ დ ე ლ ი: თქვენ ბერებს ცოლი ხომ არა გყავთ?

ი ო ა ნ ე: განა შენ არ იცი ეგე?

მ ღ ვ დ ე ლ ი: მე ვიცი: ვისაც თქვენს ყმაში დედაკაცები ჰყავთ, სულ თქვენი არ არის? აგრეთვე ჩვენი უნდა შეგეტყოთ, რომ ვისაც ცხოვარი ჰყავთ, ან ძროხა, ანუ ღორი, სულ ჩვენი არის.

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! ნაქურდალით გიცხოვრიათ?

მ ღ ვ დ ე ლ ი: და რათ გეგონა ყოველ დღივ სამ-სამს ცხვარს დაგიკვლევდით თუ არ ნაქურდალს?

ი ო ა ნ ე: ვაი! აკი ნაკერპავითა და ნაქურდალითა მეც შემსვარეს ამათ!

მ ღ ვ დ ე ლ ი: წადი, შვილო, და ახლა, სადაც გინდა. იქადაგე.

ი ო ა ნ ე: რადგან მაგგვარი მოძღვარი გიშოვეთ, რასაკურველია, კარგს მცნებას მოგვცემ.

მაშინ აიდემურ ეშკაღა'მმან, რადგან მათ შორის მოხუცებული იყო, ჰკითხა იოანეს: ქურდობა ვითარი ცოდვა არის და ანუ რაოდენ გვარად განიყოფება ქურდობა, გვაცნობე ნათლად!

. ი ო ა ნ ე: მპარაობა არს ღონისძიება რაჲძე ცუდი და ამაო, და შრომა აწმყოსა და მყოობადისა მდგომარეობისა ცხოვრებისათვის თავისა თვისისა. ოდესცა განვალს იგი საზღვრისაგან, მაშინ დაშრეტს კაცთმოყვარეობასა და მოყვანებულ ჰყოფს ერთა მოტყუებისა ბტაცებლობისა და ბოროტმოქმედებისადმი; და ამასთანავე განლვიძებულ ჰყოფს კაცსა მოკვლადცა კაცისა. — მპარაობა, ანუ ქურდობა თუმცაღა განიყოფის მრავალსახედ, გარნა აქა მოვიხსენებ ორსა უკვე გვარსა. ქურდნი რომელნიმე არიან შინადვე მპარავნი და რომელნიმე გარეთ მპარავნი *. გარეშეთა მპარავთა უმეტეს მიეწერების მამაცობა მით, რამეთუ იგინი ყოველთვის სვლასა შინა არიან დღე და ღამე, და ოდესმე ხშირადცა შესცვივიან განსაცდელსა შინა **. ხოლო შინად ქურდნი უფრორე არიან მხდალ, და ვერცა გარეთ გამსჯელნი. გარნა ღონეჲ ქურდობისა უფრორე აქვთ ამათ მოხელოვნებული. ქურდნი ანუ მპარავნი არიან უკვე ორგვარ: რომელნიმე არიან განმაბნეველ თვისთა ნაპარავთა, და რომელნიმე ძუნწ და დამმალველ. განმაბნეველნი იქმნებიან ჩვეულებისამებრ თვით მტაცებელ, და მყოფნი აღტაცებულითა სურვილითა, და გემოს მოყვარებისა დატკბობითა. ხოლო ძუნწნი უკვე იქმნებიან ფრთხილ, და მყოფნი აღვირასხმითა შიშითა მოუკლებელობისათვის.

ხოლო მპარაობასა თვით ღმერთი აყენებს, ვითარცა მისცა ათი მცნებაჲ მოსეს, მერვე ცოდვამ მპარაობა დაუდო. და მისთვის არა ჯერარს, ვის რომლისგანმე ქმნად უსამართლოებისა და არცა უწესოს საქმის პყრობა, რამეთუ ესე ყოველნი პარვად ითქმიან, რომელ

* გარეშე მპარავნი, გარეშე მოხელენიც დაინიშნებიან და მოყაზახენიც (ავტორი).

** შინაგანნი ქურდნი მოხელენიც დაინიშნებიან, შინაგანნი მსახურნიც და ჭალაქში სხვანიც მპარავნიც, ანუ შიგ სოფლებშიდ (ავტორი).

ვისმე წარტაცებით მიუღოს რაიმე ანუ უგრძნობელად წარიღოს, ანუ სამართალი უცხო რამ იპყრას და გაამრუდოს სამართალი თეთრისათვის ანუ პატიოსანს ვისმე პატივი მიუღოს, ანუ მოხარკეს ხარკი მეტი გამოართოს, ანუ სხვა ვინმე თვისად მძლავრობით მონად ჰყოს, რომელიც მას არა თვის ეყოდეს. ესე გვარნიც ქურდობად შერაცხილ არიან, რომლისათვის მოციქულიცა სწერს: „არცა მპარავთა, არც მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ". და ამისთვის უნდა ვიყვნეთ ფრთხილ და მართლმსაჯულ, რომელ ერთმან მეორეს უსამართლოებით არარაჲ მიუღოთ რა. მაშინ

ა ი დ ე მ უ რ: მღვდელო, რაც ამ ბერმან გვითხრა, შენგან არც ერთხელ გვსმენია და არცა რა გისწავლებია.

მ ღ ვ დ ე ლ: მე რა ვქნა, რასაც სწავლობდით და მასწავლიდით, მეც იმასვე გასწავლიდით.

იოანეს ქება შეასხეს, მადლობა უთხრეს, აჩუქეს რაოდენიმე საპალნე ღვინო. და ესრეთ დასრულდა სადილი. იოანეც მადლობელი გაჰოესალმა და განემგზავრა ქიზიყისაკენ. მწუხრის დროს მიიწია ორლობეთა შინა ვაქირისათა და მუნ ნახა ყრმამან ვინმე ხელაშვილთაგანმა ზურაბა, რომელიც წინ მოშორვებით მიუძღოდა იოანეს. და ჰკითხა ყრმამან: ვისთან მიხვალთ ამა სოფელსა შინა, ანუ ეგ ბერი ვინ არის? ზურაბმან: ხელაანთას მივალთ, და ეს ბერიც ხელაშვილია. ამ ყმარწვილს დიაღ იამა, გაიქცა და შეატყობინა იოანეს სახლს, რომელ ჩვენი იოანე, ბერობის სახით შემოსილი, აჰა, აქ მოვალს. მაშინვე იმა იოანეს ბიძები და ძმა წარმოხლტნენ და სარბილით წინა მოეგებნენ, იოანესთან მივიდნენ, ქუდები მოიხადეს ხელმთხვევნას უპირებდნენ. იოანე ცხენიდამ გარდახდა, მიეამბოლავა მათ და სიყვარულით მოიკითხნა. და ესრეთ უბნობით მოვიდა სახლად თვისა. მაშინ დედა-წულნი ყოველნივე გამოეგებნენ და იოანეს ეხვეოდნენ, ზოგნი თავზედ ჰკოცნიდენ, ზოგი პირზედ და ზოგნი ხელებზედ. და ესრეთ განაგრძეს კოცნა. მაშინ იოანემ: ბატონა ქალებო, თუ ასე განაგრძობთ ამ ალერსს, ვაჲ თუ შემჭამოთ! და ამა ყოფით შეიყვანეს სახლად, გახადეს ფეხთ და ფეხთ დაბანეს და კარგად განუსვენეს. აგრეთვე ზურაბას მისცეს პატივი და ყოველნივე შეჰხაროდეს. მაშინ იოანეს ბიძა მინდვრიდამ მოვიდა; რა იოანეს მისვლა სცნო, მყისვე იოანესთან წარმოვიდა, რა სახლსა შინა შეგოვიდა, იოანეს აცნობეს: ესეც ბიძა შენია! იოანეზე აღდგა და წინა მიეგება. რა მან იოანე იხილა, მიესალმა და ხელი დაუჭირა და უთხრა: ჰე, ჰე! რა პატარა მუტრუკი იყავ, და რამ სიდიდე

ვირი გაზრდილხარო. იოანემ: უი ჩემ თავს! ბატონო ბიძავ, ქიზიყურის ალერსით ნუ მლანძღაო. ბიძამ უთხრა: ქიზიყელთ ასე იციან ალერსი, და მე რა ვქნაო, ახლა თქვენ როგორც გვასწავლი, ისე მოგიკითხავთო. და მერე რა ალერსისაგან მოიცალეს, ვახშმის თადარიქს შეუდგნენ; და რა ვახშმის დრო მოვიდა, ყოველნი მუნ შემოკრბენ ხელაანი, ყოველთა მოიღეს ძღვენი, დასხდენ და დაიწყეს ვახშმის ჭამა. რა მცირე გამოხდა, იმღერეს და მოჰყვნენ იოანეს სადღეგრძელოსა სმასა, იოანეც მადლობას ეუბნებოდა და ლოცევდის. მერე იოანემ აღიღო თასი ღვინით სავსე და სთქვა: საყვარელნო ჩემნო ძმანო, დანო, დედანო, ბიძანო და სძალნო! მე დიდად ვმადლობ ზენასა, მე დიდად ბედნიერად ვრაცხ თავსა ჩემსა და მე ყოველთა სიმდიდრეთა ზედა უმჯობეს მიჩნს ესე, რომელ თქვენ ყოველთა ჩემთა მონათესავეთა ერთბამად შემოკრებულთა სერსა ამას ზედან გეკვრეტ თქვენ. მე ვერა რასა მსოფლიურსა ამოვნებასა ამას ზედან უნეტეს ვგრძნობ და ვერც რას შევამსგავსებ სხვასა რასამე განსახარებელსა ჩემსა, მხოლოდ მას, რომელსაცა მოციქული იტყვის: „რომელი თვალმან არა იხილა, ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“, რომელ ესე ყოვლისა მსოფლიურისა ამოვნებისაგან სხვაობს; და ამის გარდა მე სხვათა ყოველთა ზედა დიდებად შემირაცხიეს ესე, რომელ დღეს თქვენის ჭვრეტით დატკბობილ ვიქმენ; და ესრეთ დავამტკიცებ სიყვარულსა თქვენსა, დღეგრძელდით, გამრავლდით შვილთ სხმისგან, აღგავსოთ უფალმან ქვეყნიერისა ნაყოფთაგან, არა მოგაკლდეთ ღვინო და ჰური, არცა ზეთი და არცა საცხებელი, სცოცხლებდით კეთილად, მრავალჟამიერ! და დაუკრა აქეთ-იქით თავი და შესო ღვინო იგი. მაშინ მუნ ერთი სხვა გლეხიკაცი იჯდა და დია მოეწონა ეს იოანეს ლაპარაკი და სთქო: ჩემმა მუხლმან-ყე, მე ბოდბელსაც ბევრჯელ ვხლებივარ და იმის ბერებისაგან ამგვარი სიტყვები არ გამიგონია. ეს ასეთი ნასწავლი შექმნილა, რომ სწორეთ გაფრანგებულა, თორემ სად მოიგონა ამდენი? თუ ეს ბოდბელმან ხახა, მგონია იმან ოსტატათ დაიჭიროს. მაშინ სხვანიც დაემოწმნენ და ესრეთ დაასრულეს ვახშამი.

იოანემ ორი დღე მუნ განისვენა და მერეთ გამოეთხოვა ნათესავთა თვისთა. იგინი დიდად შეწუხდნენ, გარნა იოანემ ამცნო: მე მონასტრისთვის ვიღვწვი და ეს ღვაწლი თქვენთვის არ იქნება ცუდად, ნურაზედ შეწუხდებით. და ამ სახით გამოეთხოვა იოანე, ახუქეს იოანეს აბრეშუმი, წინდა-პაჭიჭი, აგრეთვე ზურაბას, და გაემართნენ სილნაღისაკენ ბატონის-შვილს იოანესთან.

ამა მიმავლობასა შინა რა ანაგას მიუახლოვდა, ნახა მუნ ერთი კაცი, რომე ერთის კალათით ლეღვი მიჰქონდა, ჰკითხა იოანემ: რაჲ არს კალათსა მაგას შინა? მან უთხრა: ლეღვი. იოანემ: მწიფე არის? მან კაცმან: ასეთი მწიფეა, როგორაც ქიქია. იოანემ: უი ჩემ თავს! და მაგ მაგალითით რომ არ დაგემტკიცებინა, ან ქაშას ვიტყოდი, ან მაწონს. იმ კაცმან: ბატონო, ჩვენ ასე ვიცით ლაპარაკი, ახლა ხომ ვერ გავფრანგდებითო. და მიართო ლეღვი იგი და განშორდნენ ერთმანერთს. მაშინ იოანემ უთხრა ზურაბას: თუ ვინმე რიგიანად იტყვის რასმე, ფრანგს ეძახიან ჩვენში, და რა ჩვეულება არს ესე?

ზ ურ ა ბ ა: ამისთვის, რადგან საფრანგეთში მეცნიერება ბევრია, და მეცნიერნიც მოდიან იქიდამ პატრნი თუ სხვანი, ამის გამო ვისაც მცოდინარეს ნახვენ, ფრანგს ეძახიან. და ესეგვარის უბნობით მივიდნენ სიღნაღს. და ეძიებდენ სადგომს. ამჟამად ფიცხელაურის ბერის მსახური იხილა იოანემ და დაუძახა: დემეტრე კავთისხეველო! — რა ამ ბიჭს მიესმა ეს ხმა და უკმოიხედა, იცნა იოანე, მსწრაფლ მოვიდა და ეანბორა. უთხრა იოანემ: ძმაო, დიმიტრი, რას აკეთებ აქა? მან ჰრქვა: ჩვენი წინამძღვარი აქ ახლავს ბატონისშვილსა. გაუძღვა და წინაშძღვრის სადგომს მიიყვანა. წინამძღვარს ეთაყვანა იოანე, ანბორს უყო. წინამძღვარს დიდად იამა, გარჯილობის მადლობა უთხრა და მცირეს ხანს უკან ბატონის-შვილს იოანესთან წაიყვანა. წინამძღვარმან ცხად უყო იოანეს დიაკვნის ქვაბთახევს მკვიდრობა და აგრეთვე ხიზიყელობაც. ბატონის-შვილმან მოიკითხა იოანე, მანცა მადლობა მოახსენა და ჰკითხა ბატონის-შვილმან: მამაო იოანე, შეისრულეთ ფილოსოფია?

ი ო ა ნ ე: ჰე, ძალითა ღვთისათა.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: ჯერ გიქადაგნია სადმე?

ი ო ა ნ ე: ალავერდს.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: მეც გავიგონე, სულ სწორე გიქადაგნია.

ი ო ა ნ ე: სწორეს თქმისათვის კინაღამ ქვა დამკრიბეს.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: ნეტარება მოგეწერება ქრისტეს ბძანებისამებრ.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

და მერე წინამძღვარს უბძანა: შეიძლება ხვალე, რადგან წმინდა ნინოს უნდა ხალხი შეიყაროს, ამ შეხმან იპოდიაკვანმან თქვას რამე სიტყვა ერთა შორის და ასწიოს მამულის ერდგულება და გა-

ნამხნოს, რადგან მტერი პირისპირ გვიდგას, და ყოველ დღე მოველით ომსა?

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი: ვგონებ შეიძლოს.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: მე ვჰკითხავ ქადაგების გვარებს და, თუ რიგზედ თქვა, უთუოდ იქადაგებს, და მერე უბრძანა იოანეს:

რაჲ არს ქადაგება?

ი ო ა ნ ე: ქადაგება არს განცხადებულად ანუ მაღლიად სწავება ერთა.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: რაოდენთა აზრთა მიერ ჯერარს შეთხზვად ქადაგებისა?

ი ო ა ნ ე: შვიდთა აზრთა მიერ: ესე იგი, პირველად სათანადო არს, წინადადებად საღმრთოთა წერილთაგან ერთისა აზრისა რისამე, რომელსა უწოდთ საფუძველად; მეორე—მიზეზი იმა აზრისა; მესამე—განრემზომი; მეოთხე—შემსგავსება; მეხუთე—მაგალითი; მეექვსე—მოწმობის მოღება; მეშვიდე—მტკიცე დამტკიცება, ანუ აღმოჩინება.

ბ ა ტ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი: მაშ, სახეალიოდ უნდა მოემზადო, წმინდანინოს იქადაგო; და ჯილდოსაც მიიღებ, თუ კარგად იქადაგებ. იოანემ თავი დაუკრა და წამოვიდა სადგომს, დაუწყო წერა ქადაგებას, და იმ დღეს და ღამეს გაემზადა.

ᲓᲦᲔ ᲛᲔᲝᲪᲔ

ხოლო ხვალისადღე დილით ადრე წავიდნენ წმინდა-ნინოს. წირვა მოისმინეს, პარაკლისი იხადეს და მერეთ ბოდბელს სთხოეს, რომ იოანეს ექადაგნა ხალხისათვის. ბოდბელმან ნება სცა. იოანეს მაზარა მოასხეს და კარში გამოიყვანეს. ჭანდრებთან დააყენეს და ხალხი სულ იმრგვლივ იმა მოედნის გარეშემო დადგნენ, ვინადგან საყდარში ესეოდენი ხალხი ვერ დაეტეოდა. და რა დარიგდენ ხალხნი და დასხდენ, მაშინ იოანემ აქეთ-იქით თავი დაუკრა, მივიდა, ბოდბელს ხელს აკოცა, და აღვიდა იმა ჭანდრების ქვეშე მაღალს ტახტზედ. პირველად სთქვა „სახელითა მამისათა“ და მერე მოითხოვა შენდობა და სთქვა:

მე თუმცა ყმაწვილი კაცი ვარ ჯერეთ, დ, ჩემის ხარისხის მიხედვით, არა თავსმეყვის ესეოდენსა ერთა შეკრებულებათა წინაშე წარმოდგომად და სიტყვის თქმად, გარნა ბრძანებასა ყოვლად სამღვდელოსასა და მეფის ძისასა ვერ ურჩ ვექმენ, რადგან მონოზონთა უფროორე მორჩილება თანააძთ თვისისა უფროსისა. იმა მიხედვით წინადაგიდებ თქვენ, ძალისამებრ ჩემისა, რაოდენსამე სწავლისა სიტყვათა... და მერეთ მოჰყვა შემდგომსა სიტყვასა. პირველად აღმოიოხრა და მწუხარებით სთქვა: ვაჲ! სადა ვარ მე და რასა ვხედავ მე! ვხედავ მე ადგილთა იმა წმინდათ მხეცთა განსასვენებელად, სირინოსთა და ეშმაკთა საროკველად, ხოლო ვირკენტავროსთა დასამკვიდრებელად, შვილთა თქვენთა განსახეთქელად, ცოლთა წარსატაცებლად და სახლებთა თქვენთა წარსატყვენველად.

ქართველნო, კახნო და იმერნო, დაივიწყეთ თქვენ კეთილმოქმედებაჲ წინაპართა თქვენთა, სული ძველისა პატიოსნებისა, ძმათა ერთსულობისა, მორჩილება მეფისა და ამასთანავე სული მამაცობი-

საცა განდრეკილ იქმნა თქვენგან, ნაცვლად მისა დამკვიდრებულ იქმნა უპატიოვებაჲ, განცხრომა და ფუფუნებაჲ და იმათ ჰქმნეს შესაძლებელი წინასწარმისაღებელად მეზობლისად, რომელიცა თვინიერ ამისა შეუძლებელ იყო. საქმემან ამან კადნიერ ჰყო მტერი, შემოხდა იგი მამულად ჩვენდა, და დასთესა მტერობაჲ ძმათა შორის, სძლივა, დაიმონავა, და მიგვიღო ქონება და განიყვეს ალაფი; თავისუფალნი ძმანი ჩვენნი სვრეტთ ყოველსა ამას, მიუშვებთ თვისზედა დადებად ტვირთისა და ქედსა ზედა სახივთა, ვითარცა მონანი და ტყვენი. ესგვარვე, ქართველნო, დაივიწყენით კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი და მიეცენით რულვასა კიდედგან კიდედმდე ქვეყანისა თქვენისანი.

უთანხმოებამან თქვენმან სამგზის ადგილსცა ავარიის მთავარსა ომარხანს, და შემოხდა მამულად ჩვენდა, დააქცივნა ციხენი, დასწვნა სოფლები, იავარჰყო, დაატყვევა და უკუნიქცა: აჰა, აწცა პირისპირ ჩვენდა დგას, ვითარცა სახლსა შინა თვისსა, უშიშრად; უთანხმოებამან თქვენმან გააბედვინა საჴურისს აღამამათხანს, შემოხდა მამულად ჩვენდა, აღიღო სატახტო ქალაქი, წარტყვენვა, დასწო, აღივსო ალაფითა და წარვიდა მშვიდობით; დაკვალად იქადდა უკუმოქცევასა და აოხრებასა ჩვენსა, მხედველი უძლურისა სულისა ჩვენისა და თვინიერ მდევარისა ლტოლვილთა, რომელთაცა დაუტევენით სახლნი თვისნი და მიმოძრწოდით მთათა და ტყეთა შინა, არა მექონნი მიდრეკად თავთა თვისთა. ესეგვართა შემთხვეულებათა შინა არ გიტევათ ღმერთმან დაცემად და მოგივლინათ თქვენ შემწედ ჩრდილოჲთ კერძოდ მხედარნი, და მათ ძლით შემოკრბით კვალადვე თქვენსა; გარნა მსწრაფლ შემთხვეულთა საქმეთა უკანვე აქცივნეს მხედრობანი თვისნი; და მიზეზითა ამით უფრორე განმხნდა მტერი ჩვენი, და მოვიდა რანსა შინა (ყარაბაღს) უმეტესითა ძალითა განძვინებული აღსაოხრებელად ჩვენდა; ყოველთა ამა განწირულებათა შინა და დაცემულებათა არა გვიტევა ჩვენ ღმერთმან დაცემად რომელიცა შემდგომად დაცემისა, ღმერთი კვალად არს უხილავად შემწე და აღმმართებელი. იგი არს ნათელი და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწივა. მყის განზრახვაჲ უღთოჲსა მის ცუდ იქმნა, და მეყვსეულად სცა მას ანგელოსმან უფლისამან, და სული წარხდა და იქმნა მატლთაგან შესაჭმელ.

ქართველნო! უკეთუ გექმნებისთ სასოება ღმერთსა ზედა, ესე ავარიის ხანი შეიმუსრება ხელთაგან თქვენთა: ესე ეგეოდენ არა არს საშიშ მტერ თქვენდა, უკეთუ იქმნებით თანხმაჲ, გარნა ურჩება

თქვენი კვალადცა არა გიტევებსთ განსვენებად. ქართველნო! დაიეიწ-
ყეთ თქვენ კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი, იგინი იყვ-
ნენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ,
ესე იგი, ვსთქვათ ძველადგანვე, მაკედონელთაგან, რომაელთაგან,
ბერძენთაგან, მეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვიტელთაგან, ოსმალ-
თაგან და ჩინგიზთაგან, გარნა სიყვარული მეფისა, მამულისა და
სიმხნე სულისა ვერა დაატევებინეს, იძლივნენ და სძლეს, იდევნენ
და განდევნეს და ესრეთ მოიგეს ვიდრე აქამომდე უკვდავებისა სახე-
ლი. მე ვსჴრეტ აწმყოსა დროსა შინა სახეთა ზედან თქვენსა სხვათა
და სხვათა გამოწერილობათა, რომელთამესა მცბიერობასა, რომელ-
თამესა მლიქვნელობასა, რომელთამესა მოტყუებასა, რომელთამესა
დაუნდობელობასა, რომელთამესა ანგარებასა და სხვანი. ესე ყოველნი
არიან მტერ საშიშ თქვენდა, ესე ყოველნი მოგაუძლურებენ თქვენ,
ესე ყოველნი განხრწნიან სიმტკიცესა თქვენსა და უკანასკნელ შე-
გიქმსთ თქვენ ტკივნეულებასა, ოხვრასა და ვალალებასა. და შემდგომ
იტყვით, რომელ ზეცა გვრისხამს ჩვენ. ჩვენ არაოდეს შეგვრის-
ხამს ღმერთი, უკეთუ ჩვენ არა ვამიზეზებთ მას რისხვად ერთგზის,
ათგზის, ასგზის და ათასგზის. გარნა მაშინცა მოწყალე არს იგი,
და ვინაიდგან მან შექმნა კაცი მიწისაგან, შთაბერა საღმრთო სული,
ჰყო მსგავს თვისა პირველი მამა ჩვენი ადამ; და რომელმანცა არა
დაიცვა შცნებაჲ მისი, სცთა და წარწყმდა, გარნა მაშინვე შეიწყალა
იგი, და განათავისუფლა საკვრელთაგან წყვდიადისგან; ჩვენცა შვილ-
ნი მისნი თუმცა ქვეყანასა ამას ზედა მოსილვართ ხორცითა და ძვა-
ლითა, არამედ ჩვენ არა ვართ ხორც და არცაღა ძვალ; კაცი
არს უკდავ, კაცი არს არსება უხრწნელისა ბუნებისა, შენიშნულებაჲ
მისი არს დიდ და საღმრთო! იგი წინადვე განსაზღვრებულ არს
მმუფლებელად ხრწნადისა ქვეყანისა მყოფად ხატად ღვთისა და წარ-
მომაჩინებელად მისა ქვეყანასა ზედა. ესრეთ იყო იგი დასაბამით
და შემძლებელცა არს კვალად ესე ვითარ ყოფად, შემძლებელ არს
მოქცევაჲ პირველ დაწყებასავე შინა დიდებისა თვისისა, გარნა
მიწდომისათვის ამა უმაღლესისა საგანისა, არა კმა იქნებიან ძალ-
ნი ხრწნადისა ბუნებისანი. არს არსება პირველ საუკუნოჲსა, რომ-
ლისაცა სახეჲ გვმოსიეს ჩვენ; სული ყოველგან არს და ყოველსავე
აღავსებს, საუნჯე ყოველთა კეთილთა, წყარო ძლიერებისა, რომელსა
შინა იგი ყოველნი შეერთებულ და განუყოფელ არიან. ამა არსებისა
და მის მხოლოჲსაგან შემძლებელ ვართ ჩვენ მოლოდებად შემწეობისა
და შეპემცნებისა; ესე კაცთაგან შეუძლებელ არს, ხოლო ღვთისა
მიერ ყოველივე შესაძლებელ, ვინადგან ღმერთი კაცისათვის შემდ-

ვომად დაცემისა მისისა არს ღმერთი უხილავად და დაფარულად, და ნათელსა მყოფ არს მიუწთომელსა. ამის გამო ჰრქვეს მოსეს ძეთა ისრაილისათა: „მეტყოდე შენ ჩვენთანა, და ნუ მეტყვინ ჩვენ ღმერთი, ნუ უკვე მოვსწყდეთ“. „ღმერთი არავინ სადა იხილა, გარნა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქვა“. მხოლოდ შობილი ძე ესე მოსაყდრე მამისა, იგი არს მეოხ ჩვენდა, რომელსა შინა ნათელი ღვთაებისა ლმობიერ არს თვალთათვის მოკვდავთა; იგი არს ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალი სოფლად; იგი არს წყარო საღმრთოთა კეთილობათა; უფალი და მეუფე ყოველთა არსთა, რომლისაგან ყოველივე შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. მის მიერ გამოვალს ძალი, მიმნიჭებელი ყოველთა ქმნულთა სიმრთელისა და ცხოვრებისა, და არცაღა არს სახელი სხვაჲ ცასა ქვეშე მოცემული კაცთა, რომლითაცა ჯერ იყო ცხოვრება ჩვენდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღვთისა და კაცთა. გვიღირს ჩვენ მხოლოდ ცხადითა და დაუბნელებელითა თვალითა აღხილვად ხილულსა ზედან ბუნებასა, რათამცა ვიხილეთ იგი და გვრწმენეს მისა. ცანი და ქვეყანანი კეთილ მოთხრობლობენ მისთვის და ყოველნი განცხადებანი ხილულისა სოფლისანი არიან ბრწყინვალებისაგან დიდებისა მისისა, მაჩვენებელნი გზისა მისისანი. იესო ქრისტე გუშინ და ღღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე. ვითარცა შეიყვარა მან კაცი დასაბამიდგან სოფლისა, ეგრეთვე ჰყვარობს მას დასასრულადმდე ქვეყანისა. და კეთილსა გვიყოფს თვითეულსა ჩვენგანსა თანასწორ, ვითარცა პირველ ყოველთა კეთილთა უყოფდა, ესრეთ იქმს იგი დღეინდელად დღედმდე და ვიდრე დასასრულადმდე ქვეყანისა, იგი ჩვენ ყოველთათვის აღთქმულ არს, და დროჲცა მოსვლისა მისისა მოახლებულ არს ყოველთათვის; ვინმცა უკვე გამზადებულ არს მიღებად მისსა, ვინმცა ისურვის მოსვლასა მისსა და დასდებს სასოებას მას ზედა და ყოვლითა გულითა სწადნოჲს მას, ვინმცა შეიყვარებს მას, და მცნებათა მისთა დაიმარხაეს, მისთანა დაემკვიდრების, მისთანა იწყების, მისთანა იშობების, მოკვდების და აღსდგების მისთანა უხრწნელებითა და მიიღებს ხელმწიფებასა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და მას უწოდს საღმრთო წერილი საიდუმლოდ. ქრისტე ჩვენ შორის, გარნა რაოდენ შეუძლებელ არს სურვად კეთილისა მის, რომელიცა ჩვენ არა უწყით. და ვინაჲ-დგან საიდუმლოობითი სიტყვა, მეტყველი მისთვის გულსა შინა თვითეულისა კაცისათა, არა საკმაოდ ცხად არს და ყურად საღებელ ყოველთვის; მაშასადამე სრულიად საჭირო

არს, რათამცა სხვანი კეთილმოთხრობლობდენ მისთვის და ქადაგებდენცა მას. შემძლებელ ვინმე არსა რწმენად მისთვის, რომლისათვისცა მას არაოდეს სმენიეს? ესე უწყოდინ ყოველთა მეცნავთა ბუნებისა და მბურებელთა ღვთისათა და ამისთვის მეცადინეობდიან სხვითა და სხვითა სახითა უწყებად და კეთილ-მოთხრობად მისთვის. ამისთვის შვილნი ადამისნი შესწირვიდიან მსხვერპლებთა და დროსაცა ენუქისა იწყეს მოწოდებად სახელსა უფლისა ღვთისასა, ამისთვის აბრაჰამ და ისაკ მოუწოდიან სახელსა უფლისასა; ამისთვისეე მოსემ ჰქმნა საკურთხეველი ზემო კიდობნისა ოქროჲსაგან წმინდისა, და განაწესა ღვთისმსახურებაჲ, რათა ერნი მით ადვილადვე შემძლებელ იყვნენ წარმოდგენად თვის შორის მარადის თანად-ყოფად მისა, რომლისაგანცა მადლი და ჴეშმარიტებაჲ სოფელსა შინა იქმნა და რომლისათვისცა იკურთხებოდიან ყოველნი ტომნი ქვეყნისანი. ამისთვის სოლომონ აღუშენა უფალსა ტაძარი, ამისთვის წინასწარმეტყველნი ქადაგებდიან, ამისთვის ქადაგებდა იოანე უდაბნოსა შინა იუდიანთასა, ამისთვის თვით ქრისტემანცა მოვლო სრულიად ურიასტანი, ქადაგებდა უბნებთა და მთათა ზედა, ხომალდთა, ტაძრებთა და სასწავლებლებთა შინა, იქმოდა სასწაულებთა და საკვირველებათა მრავალთა, რათა იხილონ და ისმინონ, რამეთუ იგი არს, რომელსაცა მამანი მათნი ესვიდეს; ამისთვის მოციქულთაცა მოვლეს ყოველი უკვე ქვეყანა და ასწავებდიან ყოველთა უკვე წარმართთა. შევრდომილ იქმნებოდიან ყვედრებათა ქვეშე, და არცადათუ შიშობდიან სიკვდილისაგან. ესსახედვე სხვათაცა უკვე წმინდათა სახელნი. ესსახედვე წმინდამან დავით აღმაშენებელმან სამნი როინნი (sic!) მოსახლენი სამთა მდინარეთა ზედა, ას-ასიათასის კომლის კაცით, ქართლს, სურამიდამ ვიდრე განჯამდე მპყრობელი, მტკვრის პირზედ მოკიდებით მოსახლეობდენ. მეორე, თიანეთიდამ ვიდრე განჯადმდე, ივრისა პირსა ზედან მოსახლეობდენ. მესამე პანკისიდამ ვიდრე განჯამდე, ალაზანს ზედან მოსახლეობდენ. ისინი ყოველ დღე არბევდენ მამულთა ჩვენთა, აღაოხრეს სრულიად ქვეყანა ესე და ცალიერ ყვეს. გარნა ღმერთი, რომელიც მარად მწე იყო ჩვენ ყოველთა, ამ წმინდამ მეფემ დავით შემუსრნა იგინი და განაბნივნა და კვალად მოგიყვანნა თქვენ სადიდებლად თვისად. უკანასკნელ მეფემან მეორემ ირაკლი განსდევნა ოსმალნი და თავისუფალ გვყვნა, გარნა, ქართველნო, დაივიწყეთ კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი, არამედ არა ყოველთა. ესრეთ არა ყოველი თესლი გამოსცემს ნაყოფს. აჰა ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად, და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა; მოვიდეს მფრინ-

ველნი ცისანი, და შეპამეს იგი. და სხვა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად და მეყვსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა, მზე რა აღმოვიდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განხმა. სხვა იგი დავარდა ეკალთ შორის, აღმოცენდეს ეკალნი, შეაშთვეს იგი. რომელნიმე დავარდა ქვეყანასა კეთილსა, მოსცემდა ნაყოფსა, რომელნიმე ასსა, რომელნიმე სამეოცსა, რონელნიმე ოცდაათს. ხოლო თესლი იგი გამოიღებს ნაყოფს კეთილს, რომელიც დაეცა კეთილსა ზედა ქვეყანასა. პირველ იმითა ჩვენც ვიყვენით ქვეყანა კეთილ, გამომცემელი კეთილის ნაყოფისა, ხოლო აწ ვართ ჩვენ დამაბრკოლებელ გამოღებად კეთილისა ნაყოფისა მით, რამეთუ დაუტევეთ ჩვენ კეთილი და შეუდეგით ბოროტს, შეურაცხვყვენით სიყვარული ღვთისა, შევიყვარეთ ამაოება, სოფლიური განცხრომა, დავსტკბით გემოთ-მოყვარებასა შინა; გულნი ჩვენნი აღივსნეს ანგარებით, თვალნი ჩვენნი დაიწუხნეს კეთილისთვის, სასმენელნი ჩვენნი არღა მივაქციეთ საღმრთოთა თხრობათა ზედა, და მსგავს ვიქმნენით პირუტყვთა უგუნურთა. წმინდათ აღწერეს საღმრთო წერილნი, გვასწავეს ნათლად მსახურება ღვთისა, მეფის და მამულისა, მორჩილება დედ-მამის, მწყემსთ-მთავართა, ეგრეთვე სიყვარული მეზობელთ, მოყვასთა ჩვენთა, თანხმობა ურთიერთის კეთილთა ზედა. მათ მიიღეს სიბრძნე და ძალი მეცნიერებისა, სიწმინდე, ნეტარება სულისა წმინდისა მიერ; მათ გვიქადაგეს, გვასწავეს ჩვენ, რათა დაადგინონ კაცნი გზას ზედა ნეტარებისა. ესსახედვე მამულსაც ჩვენსა მოვიდნენ ნებითა ღვთისა წმინდანი, გვაცნობეს ძალი საიდუმლოებისა ღვთისა. გზა ჭეშმარიტებისა გვიჩვენეს ჩვენ. მოგვაქცივნა კერპთმსახურებისაგან წმინდამან მოციქულმან ღვთისმშობლისამან, მერეთ გვასწავეს, გვიქადაგეს ათორმეტთა მამათა, ასურეთიდამ ღვთის-მშობლისგანვე მოვლინებულთა; ეგრეთვე გვასწავეს და გვითარგმნეს საღმრთო წერილნი ძველის და ახლის სჯულისა წმინდათა მამათა ჩვენთა ქართველთა, წმინდამან ილარიონ კახელმან, გიორგი მთაწმინდელმან ქართველმან, ევთიმე ქართველმან, და სხვათა ფილოსოფოსთა ჩვენთა ელინთ ენისაგან. ეგრეთვე მეცადინეობდენ მეფენი ჩვენნი და მოიყვანეს ქრისტიანობაში დაშთომილნი ერნი საქართველოსნი, ესე იგი, მთის კაცნი, ძურძუკნი, მთიულნი, ფშაველნი, ხევსურნი და თუშნი. განეწყვნენ მტერს და მოძულეს ქრისტიანობისას დიდთა ხელმწიფეთა სპარსისა და ოსმალისა, იტანჯნენ ქრისტესთვის, იგვემნენ, მოიკლნენ: არჩილ მეფე, ლუარსაბ მეფე, ქეთევან დედოფალი, დიმიტრი თავდადებული, მეფე ვახტანგ მოწამე და სხვანიც,

რომელნიმე გვემით, რომელნიმე პყრობილებით შესცვივდენ პირადპირადსა განსაცდელსა. ეგრეთვე ქართველთ თავადნი ეწამნენ თქვენისათვის არგვეთისა: ქსნის-ერისთავი, ჩოლაყაშვილი, რანის-მთავარნი, ველის-ციხის მთავარნი, ეგრითის მთავარნი და სხვანი, რომელნიც მოხსენებულ არიან სვინაქსარს. მიმხედნი მისნი, ვსულ-ეთქუამთ თავისუფლებისთვის და მივისწრაფით მისდამი, არაშედ ვშთებით ჩვენ ტყვეობასა და მონებასა შინა ცოდვისასა. თუმცა ეშეცადინეობთ ჩვენ ურთიერთისადმი თანხმობასა, გარნა შური და სიძულილი და ცუდ-დიდებობაჲ, რომელიცა დამკვიდრებულ არს ჩვენთანა, არა გვიტევებს ჩვენდა სიტყვასა, რომელსა ვიტყვით, არა დაადგრების ჩვენ შორის; და ესე არს მიზეზი დაბრკოლებისა, ვითარცა მოციქულიცა იტყვის: რამეთუ ხორცთა გული უთქვამს სულისათვის და სულსა ხორცთათვის, და ესენი მხდომ არიან ურთიერთარს; უკეთუ ხორცი მოკვდების კეთილისა საქმისთვის, სული განცხოელდების, და უკეთუ სული მოკვდების ბოროტისთეის, ხორცი იტანჯების, და ესრეთ ორნივე მონაწილეობენ მისაგებელთა შინა კეთილისა და ბოროტისა. თქვენ, ერთის დედის შვილნო, (ესე იგი, ერთის ქვეყნის შვილნო) ნუ მიჰბაძავთ მათ, რომელნი არ შეიწყნარებენ სულსა ღვთისასა. უზომოჲთა თვითმოყვარებითა, თვითრჩულობითა, მომაცთუნებლობითა, დიდებისმოყვარებითა, თავხედობითა, ანგაარებითა, შურითა, სიძულვილითა, ცრუ-ბეჱლობითა. ესე ვითართა ბოროტთაგან ივლტოდეთ, რათა არა იგმოს ქადაგებაჲ იგი სახარებისა, და გაქვნდინ სასოებაჲ ღვთისა ზედა, და ნისგან მიიღეთ სასყიდელი. ერჩდით ხორციელთა უფალთა თქვენთა, ნუ ეძიებთ ორთა უფალთაგან მიღებად სასყიდლისა, რამეთუ არვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა მის თავს იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ ხელეწიფების ღვთისა მონებად და მამონასა. ესრეთვე ჩვენ თავით თვისით მოკლებულ ვჰყოთ უქვირფასესსა საუნჯესა და ნეტარებასა ჩვენსა თვით ვჰყოფთ თავთა თვისთა უბედურად. ნუ ვსცთებით, ძმანო ჩემნო, რამეთუ სოფელი ესე ყოვლითურთ შვენიერებითა თვისითა წარხდების და ჩვენცა გარდვიცვალებით. ყოველივე მსოფლიური დიდება და ქონებაჲ აქა დაშთების, ხოლო კეთილისა საქმე თანა წარგვყვების. ვსდგეთ კეთილად, მოვიგოთ სიყვარული ურთიერთისადმი, შეუდგეთ კვალსა წინაპართა ჩვენთასა, მორჩილ და ერდგულ ვექმნეთ მეფეთა ჩვენთა! აჰა მეფის ძე, რომელიც აწ მზა არს ერდგულობისთვის მამულისა დანთხევად სისხლისა თვისისა. ეგრეთცა თქვენ თანაგაძთ ქმნად ამი-

სა; ოდესცა ველი განმზადებულ არს, მაშინ დროჲ მოწევნილ იქმ-ნების დათესვად, რათა გამოვიდეს მთესველი და არა ყოვნოს.

გარნა საჭირო არს ესეცა, რათა ამის ძლით მოუგოთ თავთა ჩვენ-თა ბედნიერებაჲ, მივიღოთ სახეჲ ნინეველთა და ესრეთ სინანუ-ლით მოუწოდოთ ღმერთსა და ერთობით ვევედრნეთ და ვსთქვათ: ვსცოდეთ და უსჯულო-ვიქმენით და სიცრუე ვყავთ წინაშე შენსა, და არა დავიმარხეთ აწ, არცა ვყავთ, მეუფეო, ვითარ იგი შენ ვვამცენ ჩვენ, გარნა ნუ მიმცემ ჩვენ ხელთა უცხო თესლთასა სრულიად. მაღალო ღმერთო მამათა ჩვენთაო! და მერე მტკიცედ უკვე სდეგით, მოირტყენით წელნი თქვენნი ჭეშმარიტებითა და შეი-ბოსეთ ჯაჭვი იგი სიბრძნისა, და შეისხენით ფერხთა თქვენთა განმზადებულებაჲ სახარებისა მის მშვიდობისა ყოველსა შინა; აღი-ღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად, და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგთ, და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყვა ღვთისა, ესრეთ განვედით წყობად მტრისა, მეოხებითა წმინდისა ღვთის-მშობელისა და ქართველთ-განმანათლებელისა ნინოსითა, და მთავარმოწამისა წმინდისა გიორგისათა და წმინდათა მეფეთა ჩვენ-თათა ვედრებითა შეგიწყალნეს ღმერთმან, დაგიცვნეს და განგა-რინნეს ხელთაგან დევთა. და ვირკენტავროსთასა, აწ და უკუნისამ-დე. ამინ.—

მაშინ ყოველთა ერთბამად ღაღადყვეს: ცხონდი, მამაო იოანე, ცხონდი! ოა ესრეთ დასრულდა კრება.

შემდგომად მოვიდა იოანე, ბოდბელს ხელს ემთხვია, ბოდბელმან მადლობა უბძანა, აგრეთვე ბატონისშვილმან მადლობა, ქება უბ-ძანა და წარვიდნენ სადილად. შეკრბენ მუნ ყოველნი მოხელენი და თავადნი, მოვიდა ბოდბელიც, ეგრეთვე წინამძღვარი. იოანეც მოიყვანეს. მაგრამ არ ჯდებოდა მუნ სერზედ, რადგან ბოდბელი იქ იყო, და იმის წინამძღვარი, გარნა უბრძანეს მათ: დღეს ღირსი ხართ ჯდომისა, რომ ვითარცა ამ დროს შვენოდა, ისე იქადაგეთ. იოანეც დაჯდა თავის ადგილსა, მაშინ ზურაბამ: ყოვლად-სამღვდელოო, ჩემს შეგირდს კი სვამთ სუფრაზედ და მე ოსტატს კი არ მიწვევთ, რა სამართალია? მაშინ ყოველთა გაიცინეს და ზურაბაკ შეიყვანეს.

ბ ო დ ბ ე ლ ი: ვინ მოგაბარა?

ზ უ რ ა ბ ა: ქვაბთახევის წინამძღვარმა მომაბარა და ვასწავლ-კალმასობა, ღვინის თხოვნა, ოქროების კარგა შენახვა; ახლა თათ-ოებში რომ წავიყვანო, ჩხარსაც, იქ ვასწავლი ცხერის და ძროხის შოვნას.

ბ ო დ ბ ე ლ ი: ცუდი მასწავლებელი ჰყოლიხარ ამ ბერს, მისთ-ვის რომ ვერცხლის-მოყვარებას და სიხარბეს დააჩვევ.

ზ უ რ ა ბ ა: მე ძნელად სადმე ვიპოვნი სამღვდელოს, რომ თეთ-რი არ უყვარდეს.

ბ ო დ ბ ე ლ ი: როგორ?

ზ უ რ ა ბ ა: ასე, რომ მონათვლენ ვისმე, იმ ყმარწვილის ნათლიას-ან დედ-მამას გამოართმევენ მოსანათლავსა; დააქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ, ვინემ არას მისცემენ, და ჯვარის-სა-წერსაც გადაახდევინებენ; იმასაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და-ფარჩაც უნდა ქვეშ გაუშალონ მექორწინეთ, რათა ისიც იმათ წაი-ღონ; მოკვდება ვინმე, სასაფლაოს ფასს, საიმტვერიოს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს და პანაშვიდისას გამოართმევენ, სახ-ლის გასანათლავს, საშობაოს, იმასაც გამოართმევენ. აგრეთვე ნი-შანს ეძახიან, კარგი ცხენი ჰყავს ან კარგი თოფ-იარაღი აქვთ, მას-ცა წაიღებენ და ტაბლას ხომ, ასიც მივიდეს სასაფლაოზედ, ერთს-ლუკმას გლახაკსაც არ დაუდებენ წილს. ამასთან ქვეშაგებს, ტა-ნისამოსსაც მკვდრისას მთლად წაიღებენ. ესრეთ დაანელებენ ერთს-ოჯახს და სხვა საკანონოები რაღა მოგახსენო საზოგადოდ.

ბ ო დ ბ ე ლ ი: ასე სწერს მოციქული სამღვდელოსათვის: უკე-თუ ჩვენ სულიერი დავთესეთ, თქვენ დიდ რა არს თქვენგან, თუ-ხორციელი მოვიმკოთ ჩვენ!

ზ უ რ ა ბ ა: ჭეშმარიტად ბძანებთ, მაგრამ ამ საბრალო ბერმა-სადაც რა ქადაგება ანუ სწავლა დათესა, მომკის მაგიერ ჯოხი, მუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახევის მეტი ვერა მოიმკო-რა, არ ვიცი ამ კარგი ქადაგებისთვის რას მოიმკის.

ბატონისშვილმან უბძანა ზურაბას: ანაფორის მაგიერ ფილონს მი-იღებს. — იოანე ზე ადგა, მადლობა მოახსენა და ესრეთ დასრულდა-სადილი.

ზ უ რ ა ბ ა: შენი ჭირიმე, ეს რომ ფილონს მიიღებს, მე კაბა მერგებაო, რომ ასე გავზარდე ეს ბერი.—იცინეს და მასცა ებოძა კაბაი. მერეთ-წარვიდენ სადგურსა თვისსა. საღამო დროს დაიბარა ბატონისშვილმა-იოანე დიაკვანი, უბძანა: ვინემ ვახშამს მივიღებდეთ, მცირე რამე მოვიუბნოთ მეტადრე ფიზიკისათვის. იოანემ: იყავ ნება თქვენი!

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: რასა გულისხმას-ჰყოფთ სახელსა ქვეშე მეტა-ფიზიკისასა?

[ამას მოჰყვება მსჯელობა მეტაფიზიკის შესახებ].

შემდგომად ამისა დასრულდა უბნობა, ვახშამიც მუნ მიიღო იოანემ; და ოდეს აღდგნენ, იოანე გამოეთხოვა ბატონისშვილს, დალოცა და-

სახვალიოდ წარსვლა მოახსენა ქალაქისკენ. ბატონისშვილმანც უბძანა მშვიდობა და ესრეთ განიყარნენ, იოანე მივიდა წინამძღვართან; წინამძღვარმან მოამზადა წიგნები, მისცა თვისთა მეგობრებთან მიწერილი, და სახვალიოდ განემზადა წასასვლელად იოანე.

ხოლო ხვალისადღე იოანე გამოეთხოვა წინამძღვარს. წინამძღვარმან დარიგება მისცა იოანეს და [უბძანა] სიარული სომხითსა შინა, რათა ეღვაწა ბრინჯით, საფენით (sic) მოგროებით. და მერე ხელს აკოცა იოანემ, აგრეთვე ზურაბამანც. ამხედრდენ და წარვიდენ ქალაქისკენ. რა მცირე გაიარეს, იოანემ უთხრა: „სადილად მანავს უნდა მივიდეთ და ვახშმად ნინოწმინდას, ტფილისელს მიხაილთან, რომ ახლა ნინოწმინდლად ის არის“. ზურაბამ მოუწონა და შევიდნენ გულდაგულ მანავს. სადილობის დროს მივიდნენ მანავის სოფელში და მუნ ერთის ხის ქვეშე ჩამოხდნენ. მაშინ ერთი მენახირე კაციც მოვიდა მათთან, ჰკითხა მან ვინაობა მათი. ზურაბამ ყოველივე უანბო. მან კაცმან უთხრა: „ჩვენი მოურავი ნინია აქ არის, და ამ სოფელსაც ჰყრის ომარხანის მიზეზით და იმასთან მიბძანდით, სადილს აპირებს“. მაშინვე იოანე და ზურაბ წავიდნენ. რა მოურავმან იხილა ესენი მიმავალნი, მყისვე თავისთან მიაყვანინა. მისრულმან იოანემ უთხრა: „მშვიდობა თქვენდა ურტყუჭის მოურავ-მებატონევ!“ მან უთხრა: „გაცხოვნოს ურტყუჭის წინამძღვარო!“

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! ცუდის ადგილის სახელოს მაძლევ!

მ ო უ რ ა ვ ი: მე მეგონა დამიმადლებდით ამგვარის სახელოს მოცემას.

ი ო ა ნ ე: მე თავი არ მივის, სხვა უშოვეთ ვინმე.

მ ო უ რ ა ვ ი: ქვეყანა მისთვის სწყვეტს ერთი მეორეს, და უკეთესი რა გინდა?

ი ო ა ნ ე: მე კი არავის შევაკვდები და თქვენი კი არა ვიცი.

მ ო უ რ ა ვ ი: მაშ, რატომ შვრებიან ამ გვარებზედ ჩხუბს?

ი ო ა ნ ე: თავ-თავისას რომ დასჯერდნენ, შფოთი აღარ მოვა მაშინ.

ზ უ რ ა ბ ა: ბატონო მოურაო, კარგი სამართალით სჯის იოანე: რადგან ორტყუჭია, ერთი ამას და მეორე თქვენ, მშვიდობა გექნებათ და თანახმაც შეიქნება ამაზედ.

ი ო ა ნ ე: „უი შე უკეთურო! არ დასცხრები ბოროტ უბნობისაგან?“ და მაშინ ყოველთა მუნ მდგომარეთა იცინეს. მოიღეს სადილი, შემდგომად დასრულებისა, აჩუქა ღვინო მოურავმან, გამოესალმა იოანე და წარვიდა ნინოწმინდისაკენ.

მწუხრის ჟამს მივიდნენ ნინოწმინდას. ნინოწმინდელი მიხაილ მუნ იყო, მივიდნენ გალავნის კართან და დასხდნენ. მეკარეს ჰკითხეს: „ნინოწმინდელი აქ ბძანდება?“ მეკარემ: „აქა!“ მაშინ იოანემ უთხრა ზურაბას: „იახელ ყოვლადსამღვდელოს და ჩვენთვის სადგომი სთხოვე“. ზურაბა იახლა ნინოწმინდელს, ეამბორა და იოანე დიაკვნის მისვლა და სახლის თხოვნა მოახსენა. მიხაილმან უბოძა სახლი და ვახშმად თვისთან დაიბარა. იოანე დაბინავდა, ტანთ გამოიცვალა, მივიდა ეკკლესიაში, ლოცვა მოისმინა და მერეთ იახლა ყოვლადსამღვდელოს, მუნებურმან დეკანოზმან წარადგინა.

რა იოანე დიაკვანმან იხილა ნინოწმინდელი, მეტანია მოუყარა, მივიდა და მოახსენა: „გვაკურთხენ ყოვლადსამღვდელო თბილელ ნინოწმინდელო!“ მან ხელი უბოძა და მოიკითხა.

იოანეს მისი მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა, იოანემ ყოველივე მოახსენა, და მერე უბძანა იოანეს დაჯდომა. იოანე დაჯდა და დაიწყეს უბნობა, არსენის თბილელზედაც შემოხდა სიტყვა, რომელ ბძანა ნინოწმინდელმან: „ოსეშვილი დიაღ მეცნიერი კაცია, და არსენი თბილელი ყურს არას უგდებს და მწუხარებაშიაცა ჰყავს. ჩვ დროს დია პატივი ჰქონდა და სალთხუცესადაც იყო ეკკლესიისა“. იოანემ მოახსენა: „ჩემგან კი რა ეკადრება თბილელს, მაგრამ არც ყოფაქცევა აქვს და არცა პოლიტიკა იცის“.

მ ი ხ ა ი ლ: გისწავლია ითიკა თუ არა?

ი ო ა ნ ე: მადლითა თქვენითა.

მ ი ხ ა ი ლ: მაშ მცირე ვიუბნოთ მისთვის.

ი ო ა ნ ე: კარგი იქნება!

მ ი ხ ა ი ლ: რა მნიშვნელობა აქვს ითიკას და ან ითიკა რად უწოდეს?

ი ო ა ნ ე: ითიკა არს ხელოვნება ზნეთსწავლულებისა, წინადვე მოსაწერელი კანონთა, თუ ვითარ ჯერარს უბნობა და ცხოვრებასა შინა თვისსა წესიერად და სწავლულებით განმართვად ვნებათათა თვისთა. ხოლო უკანასკნელ განხილვად ერთ ზნეთსწავლულება კეთილ-მოქმედებისა საშვალობისათა და ყოვლითა კეთილმოქმედებითა კაცობრიობისათა. ხოლო სახელი ესე ითიკა არისტოტელმან უწოდა თვისგან შეთხზულსა ზნეთსწავლულებისა წიგნსა.

მ ი ხ ა ი ლ: რაჲ არს საყოფაქციო ფილოსოფია, ანუ საითიკო ფილოსოფია, ანუ რაოდენსა კერძოსა იპყრობს თვის შორის?

ი ო ა ნ ე: არს ზნეთსწავლულება და ცნობა საზოგადოდ, რომელიცა ცნობა არს ნებისა ჩვენისა. ფილოსოფია ესე საითიკო იპყრობს თვის შორის ოთხთა კერძოთა.

მ ი ხ ა ი ლ: რომელთა?

ი ო ა ნ ე: პირველი იპყრობს თვის შორის პრაკტიკასა ფილოსოფიასა საზოგადოდ, რომელისა ცნობა არს ნებისა ჩვენისა წადილისა, რომელიცა ჩვენდა წარმოდგომილსა აღირჩევს ნება-წადილთა კეთილსა და სათნოსა; დაღათუ არა იყოსმცა სათნო, იქნების მრავალჯერ, ვითარმედ ვიცით, ბოროტ არს და ვყოფთ მას; გარნა დაღათუ ვიცით სიბოროტებისა რომლისამე წარმოდგომილისა, მაგრამ ვყობთ მას და ოდეს არა მეცნაე ვართ სიბოროტისა მის და ვიქმთ, მაშინ მცნობელობა შეგვაცდენს ჩვენ. ხოლო განისაზღვრებს ესე ესგვარ: პრაკტიკა ფილოსოფია არს ცნობა წადიერებითისა ძალისა აღრჩევასა შინა კეთილისასა, და გარე მიქცევასა შინა ბოროტისასა, რომელიცა კეთილის აღმარჩეველისაგან განაგებს სიბრძნეცა.

მეორე: ბუნებითი სამართალი, რომელიცა შეგვასწავებს სჯულთა განწესებულთა ბუნებისაგან; გულისხმისყოფათა წადილისათვის და გარემიქცევასა ნივთთასა, რომელნიცა სავნებელ გვექნებიან, ხოლო საზღვრენ ესრეთ: ბუნებითი სამართალი არს ცნობა საქმეთა კეთილთა ანუ ბოროტთა.

მესამე: ითიკა, რომელ არს საყოფაქცეო, გვაჩვენებს, თუ ვითარ ჯერარს დამორჩილებად სჯულთადმი ბუნებით, და ანუ ვითარ შემძლებელ არს გულის-ხმისყოფა და ჩვევა საქმეთა პატიოსანთა, რომელსა განსაზღვრებენ ესრეთ: ითიკა არს ცნობა მმართველი საქმეთა, თუ ვითარ სათანადო არს მართებად საქმენი თავისუფალნი ბუნებითსა შინა მდგომარეობისასა. კვალად ითიკა არს ცნობა, რაოდენიცა არს კაცის ნება თვისსა ზედა, არავის ხელეწიფების ქვეშე შევრდომა.

მეოთხე: პოლეტიკა ესე განმარტებს კანონთა გონიერებისათა და არათუ ზაკვითსა და სხვათა მაცთურყოფისა ცნობა არს; ხოლო განსაზღვრებენ ესრეთ: პოლეტიკა არს ცნობა მმართველი საქმეთა მეგობრობასა შინა მოქალაქობითსა ანუ საზოგადოებითსა შეხდომილებათამებრ დროთასა, გარნა საითიკო უკვე პოლეტიკაჲ ყოველთვის დაფუძნებულ არს ჭეშმარიტებასა ზედა.

ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ი: ფილოსოფოსური ჭეშმარიტებაჲ რაოდენ გვარობს?

ი ო ა ნ ე: სამ გვარობს, ესე იგი: ლოღიკებრ, მეტაფიზიკებრ და ითიკებრ.

ლოღიკებრი არს უკვე, რაჲცა არს სიტყვა ანუ საქმეჲ, თანახმაჲ გონებისა, მაგალ. კაცმან ამან მიიღო და შეშჟამა ერთგზის ხარკამბეჩი ერთი; ესე სრულიად არა თანხმობს გონებასა მით, რამეთუ

აძა კაცისა სტომაქი არა ეგოდენ არს, რათამცა შთაეტიოს ერთი მთელი კამბეჩი. და თუ სადამე ვსთქვათ, რომელ იმა კაცმან ერთგზის შეჭამა ერთი ტრედი, ესე შესაძლებელ არს მით, რამეთუ სტომაქსა იმას კაცისასა შთაეტევის ერთი უკვე, და ესე თანხმა არს გონებისა.

მეტაფიზიკებრი ჭეშმარიტება არს, რაჲცაღა არს ნივთი, იყოსმცა ნანდვილ იგი ნივთი; მაგალ. უკეთუ ვიტყვი ოქროსა და თვისებასა მისსა, რომელ ოქროჲ ესე ანუ ნივთი ესე არს მძიმე, ყვითელი, ლბილი, გადნობის შემდეგ უფრო კარგის ფერის მიმღები, კვერსა შინა კარგად გამზიდველი, მაშინ უეჭველად ოქრო არს ესე, ესე არს ჭეშმარიტება მეტაფიზიკებრი.

ხოლო ითიკებრი ჭეშმარიტება არს ესე, ვინმცა ვისთანმე საქმით ანუ სიტყვით უბნობდეს, უბნობაჲ მისი და საქმენი იგი იყო ჭეშმარიტისა გულითა, და პირითა საუბარ, და ესე არს ითიკებრი ჭეშმარიტება; და უკეთუ უბნობს იგი მხოლოდ პირითა და არა ჭეშმარიტითა გულითა, მაშინ ესე არა მიეწერების ითიკებრსა ჭეშმარიტებასა.

და მერეთ უბძანა ნინოწმინდელმან იოანეს: მე დავბერდი, ბევრი რამ მინდა მელაპარაკნა, მაგრამ სისუსტის ძალით ვერ ვლაპარაკობ, და ახლა დაუტეოთ უბნობა.—იოანეც დაჩუმდა.

და მოიღეს ვახშამი, იოანეს კარგად დახვდა; და რა დასრულდა, იოანე გამოეთხოვა, იქნება მე ადრიან წარვიდე ქალაქისაკენ და თქვენ ვერღა გიახლო;—მან დალოცა, ესრეთ გაიყარნენ.

დღე მცდამეერე

რა გათენდა, იოანე და ზურაბა ამხედრდენ და განემართნენ ქალაქისაკენ, ზურაბამ უთხრა: „მოდი ყარაბულაღზე მცირე რამ ვისაუზმოთ და მოურავის რძალი ეკატერინაც ვნახოთ, ყაფლანის-შვილის ქალი, იქნება იქიც ვიშოოთ ღვინო“. იოანეს მოეწონა ეს რჩევა და გაემართნენ ყარაბულაღისაკენ. მცირე ხანს უკან მივიდნენ მუნ. რა სცნო მოურავის რძალმან მისვლა იოანესი, მყისვე დაიბარა. იოანე მივიდა, ეკატერინა წინ მოეგება. იოანემ მშვიდობით მოიკითხა და მანცა აგრეთვე, და ყოველივე იოანეს მოგზაურობის ანბავი გამოჰკითხა; და რა სცნო, რომ ღვინის საშოვრად დადიოდა კახეთში, აღუთქვა ამანაც ღვინოჲ საჩუქრად. იოანემ მადლობა მოახსენა, და მერეთ მისცა სადგური და უთხრა: „სადილათ მოველი სოლალაშვილს ლეონტის და თქვენც ნახეთ, კარგი მეცნიერი და მგალობელია ქართულს გვარზედ“. იოანემ მადლობა ჰკადრა და იამა: „არ მინახავს ლეონტი, აქებენ“.

და წარვიდა სადგომისათვის.

რა სადილობის დრო მოაწივა, ლეონტიც ხაშმიდამ ამა სოფელში მოვიდა. სასტუმროს სახლში გარდახდა, სადილიც მზა იყო, ეკატირინემ იოანეც დაიბარა, ლეონტის აცნობა იოანე, ერთმანერთს ამბორება უყვეს და მოიკითხეს ურთიერთი და დასხდენ. ლეონტიმ ჰკითხა იოანეს: „ქვაბთახევის მონასტერში რომლის გვარით სცხოვრებთ ბერები, ვითარცა მთაწმინდასა შინა, ანუ სინას მთას, ანუ ათონის მთაში არიან მონასტრები, იმა კანონითა იქცევით თუ სკიტელთ კანონით?“

ი ო ა ნ ე: ჯერ ვერც ერთით, რადგან ახალ მოშენენი ვართ, და თქვენ რომლის კანონით იქცევით?

ლ ე ო ნ ტ ი: უფრო სკიტელთ მონოზონთ გვარზედ.
ი ო ა ნ ე: ვითარ?

[იწყება საუბარი სამონასტრო წესების შესახებ].

იოანემ მადლობა მოახსენა და მერე დასრულდა უბნობა. მოიღეს სადილი და კარგად შეექცენ. მაშინ იოანემ აიღო თასი და დალოცა ეკატირინე და უთხრა: „ჭეშმარიტად ღირსი ბძანდები ~~ქებისა,~~ თქვენ დაფარეთ შიშლობა მონათესავეთა თქვენთა და თქვენ ხართ მაგალითი მამულის ერდგულებისა და არა მბაძველი ბიძაშვილებთა შენთა, და მე ამისთვის ვიტყვი: დღეგრძელდი, და ღმერთმა სრულ ჰყოს მდგმოორობა შენი და აღგავსოს ყოვლისა კეთილისაგან. თავი დაუკრა, დალია ღვინო. მერე აიღეს სუფრა, იოანე გამოეთხოვა მადლობელი და წარმოვიდენ მარტყოფისაკენ. ზურაბაბ ურჩია.. „ამაღამ ნორიოს დავსდგეთ და ხვალე ადრიან ქალაქს წავიდეთ“. და წარემართნენ ნორიოსკენ.

საღამოს ჟამს მიიწივნენ ნორიოს და სახლს ეძებდენ სადგურად. ამ ჟამში ზურაბამ იცნა მასხარა ოთარიკა და დაუძახა: „ოთარიკავ, გამარჯვება შენი!“ რა ოთარიკამ მოიხედა, იცნა ზურაბა, მოვიდა, მოიკითხა და მგზავრობის მიზეზიც ჰკითხა. ყოველივე აცნობა. და მერე იოანეც გააცნო. მაშინ ოთარიკამ მიიპატიჟა ესენი სახლსა შინა თვისსა. გარდახდენ ცხენიდამ, ცხენნი გომურსა შინა დაუბა და ესენი თვისსა საკუთარსა სახლსა შინა შეიყვანა. ოთარამ აცნობა თავისი სახლობა. იოანემ მოიკითხნა. მერე ოთარამ უთხრა: „დედაკაცო, ფეხთ დაბანე იოანეს, რადგან რიგი არის სტუმართა“. დედაკაცმან გახადა ფეხთ, მოიღო ვარცლი, შთაასხა თბილი წყალი და დაუწყო ფეხთ ბანა. რა ფეხებსა ზედა დაუწყო ხელის სმა და კანჭებსაც შეაცილა, იოანეს აუჩუჩუნდა დაფარული ასო და სთქო: „უი შე უკეთურო! რა დროსია?“ და რაოდენს ეცადა დაცხრომას, უფრორე აღტკინდა და სთქო: „ჰოი, რა ყოფილა დედათა ბუნება და ანუ რა ხასიათი ჰქონიათ? ჰოი, ვითარცა ანდამატი მიმზიდველ არს რკინისა, ესენიცა ისე ყოფილან მიმზიდველნი. უი, დასცხერ და დაყუდენ, შე უკეთურო!“ მაშინ ოთარიკამ შეამცნია, რომელ დაფარული ასოჲ უჩუჩუნებდა იოანეს, უთხრა საჩქაროდ დედაკაცს: „დედაკაცო, არიქა, უშველე, გველი შესძრომია პერანგის ამხანაგში მამა სტუმარსა და ხელით შეიპყარ, არა ავნოს რა!“ მაშინ დედაკაცმან, ვერარას მცნობელმან, მსწრაფლიად ხელი წაავლო და სთქვა: „უი, რამ სიდიდე გველი ყოფილა, მიშველე!“ და გამოსწია. მაშინ

იოანემ დაუძახა: „დედაკაცო, არ მომგლიჯო ეგ უკეთური, გველი არ არის!“ რა ესე სცნო დედაკაცმან, წარმოხლტა, კარში გავარდა. ოთარამ და ზურაბამ იწყეს სიცილი, ხოლო იოანე იქმნა მწუხარე. მაშინ ზურაბამ უთხრა იოანეს: „ბატონო, ამ ოთარიკას ბევრი ხუმრობა უქნია, ნუ შეწუხდებით.“ რა ვახშმის დრო მოვიდა, ოთარიკამ დია კარგი ვახშამი მოართო, კარგათ უმასპინძლა და სახვალიოდ იოანეცა და ოთარიკაც ქალაქისაკენ განეშზადნენ.

დღე ოცდამეცამე

რა გათენდა, აღსდგნენ, აღკაზმეს ცხენები, ამხედრდენ და წარ-
ვიდენ ქალაქისაკენ. იოანემ უთხრა ოთარს: „მიანბე, შენ ვითარ
შიაწიე მაგა მასხარაობით მეფეთთან?“ ოთარამ უთხრა: „მეფის ერე-
კლეს დროსა ყიზილბაშიდამ ერთი კარგი გვარის-კაცი მოვიდა,
ბატონმა დია პატივი სცა და ერთს ლამეს ბატონმან დაპატიჟა
ვახშმად; ის ყიზილბაში დია ბრიყვი იყო, ბატონს დია ეჯავ-
რებოდა იმისი ყალიონის სუნი, რომელ მალმალ სწევდა, და
მყრალის თამბაქოს სუნი დადგა იმ სახლში. მირზებმან და
სხვათა სპარსულად ბევრჯელ უთხრეს და დაუშალეს, რომ ნუ
სწევ ყალიონს მაგრე ხშირადო, მაგრამ არ დაიშალა. მერეთ
ბძანა ბატონმან: „ვინც იმას მომარჩენს, კარგს წყალობას უზამო“.
მაშინ ამირეჯიბმან მოახსენა: „მე მყავს ერთი მასხარა მსახური და,
თუ ინებებთ, ის შეიძლებს ამის აქედამ გაყვანას“. ბატონს დია
იამა. გამოვიდა ამირეჯიბი და მითხრა: „ოთარავ, ახლაა შენი
პურის შოვნის დროჲ, ეცადე ეს თათარი როგორმე გააჯავრო,
რომ აქედამ გავიდეს“. მაშინვე უთხარ: ერთის ჯამით ნაკვერცხალი
მომიტანინე და ერთი გრძელი ჯოხი და საკმეველი. ესენი მაშინვე
მოშიტანეს. ჯამი ცეცხლით თავს დავიდგი, ხელსახოცი შემოვახ-
ვიე, ყალიონის თავივით გავაკეთე და ჯოხი ლაჯებში გავიყარე,
და ჩავყარე საკმეველი და დავსდეგ გზად. ოდეს დაიძახა იმა
თათარმან: „ჰოი, გადა, ყალიონ გეთურ!“ („ბიჭო, ყალიონი მო-
მიტანეო“). მაშინ საჩქაროდ მიველ, ზურგი შევაქციე, ის ჯოხი
პირში მივეც უკან ლაჯებში გაყოფილი, და უთხარ: „ბუირ, აღა“
(„მირთვი, ბატონო“). რა ესე იმ თათარმა ნახა, გაჯავრდა,
წამოხტა, და გინებით კარში გამოვარდა. ბატონს დია იამა

და ერთობით დაიწყეს სიცილი. მერეთ მიბძანა: რაც იცოდე მასხარაობაო, ყველა გვაჩვენეო. მე მოვყევ და, როგორც გამიგონია, ისე ვიმასხარავე და საკვირლად მოვალხინე. ბატონმან ერთი ხელი ხალათი მიბოძა, და მას აქეთ, აგერ ოცდახუთი წელიწადია, სულ ამ მასხარაობაში ვარ; ამა ხელობით ერთი ლუკმა პური ვიშოვნე". იოანემ: „უნდა ღმერთს მადლობდე, რომ ეგ ნიჭი მოუცია შენთვის, რომ მაგით სარჩო გიშოვნია". ოთარამ: „დია ყოველთვის მადლობას ვაძლევ ღმერთსა".

ი ო ა ნ ე: შენის ხუმრობით ხომ არავინ შეგიწუხებია, ან ბატონთან ხუმრობით ხომ არავინ დაგიბეზღებია?

ო თ ა რ ა: ბატონის მხრიდამ თუ უსამართლო მინახავს რამე, ანუ მოხელეებისაგან და ან იასაულებისაგან, ხუმრობაში ბევრი წარმომიდგენია და მიშველია შეწუხებულთათვის. აგრეთვე, თუ თავად[ის] მხრიდამ მინახამს რამე ან ურიგო ყოფაქცევა, ან კრივი, ან სხვა უსამართლოება რამ, ისინიც გამიტარებია ხუმრობაში; და სხვები მრავალი ხუმრობა მიქმნია მოსაწონი და სასაცილო. მელიქ ავეტიქამ თავის ძმისწულს ქორწილი უყო და დიდი პურობა გარდუხადა; მეფე, მეფის ძენი, კათოლიკოზი და სხვანი დიდი კაცნი იქ იყვნენ შეყრილნი ღამე, ვახშმად დიდს დარბაზში ისხდენ. შუა ლხინის დროს ქართველთ მგალობლები წარმოაყენეს და იგალობეს, როგორც მეჯლიშის რიგია. რა ამათ დაასრულეს, მერეთ მცირე ხანს უკან სომხის ტერტერეები წარმოაყენეს და დაიწყეს გალობა ასე მაღლა, რომ თითქმის ყოველნი მუნ მსხდომარენი მათმან ყვირილმან მოაწყინა. რა ესე ვნახე, გაველ გარეთ და ეზოში ერთი ვირი ება, ავხსენ ის ვირი და, ამ დარბაზში რომ შემოვიყვანე და ეს ყვირილი მიესმა და მრავალი ანთებული სანთელი იხილა, შეშინდა ის ვირი და ასეთის ხმით მოჰყვა ღრიალსა, რომ ამ ტერტერეების ხმა სულ დაფარა. რა ესე იხილეს, ეს ტერტერეები კარში გამოვიდნენ; შექმნა ხალხმან სიცილი, და ბატონებმა. და ის ღამე ასეთის ლხინით გავატარეთ, რომ მნახავთათვის უკეთესი არღარა იქნებოდა, მეც ვიშოვე მაშინ კარგი ხალათი.

დადიანთან ვიყავ ოდიშში და ერთმან თავადმან დაპატიჟა დადიანი, წაბძანდა და მეც მიახლო, რომ ყოველთ უყვარდი მასხარაობისთვის. და დადიანმან მიბძანა: „თუ გამამხიარულებ დღეს და ასეთს ხუმრობას იქმ რასმე, საცინელი იყოს, კარგს ცხენს გიბოძებო". მე დიდად მიამა, მაგრამ ვფიქრობდი: რა უნდა ვიხუმრო, რაც ვიცოდი, ყოველი ვიმოქმედე და სხვა რა მოვიგონო. ამ ფიქრში რომ ვიყავ, სადილიც მოითხოვეს, მიველ, დავსხედით. ერთი გვერდო-

ბიანი კარგი გორა იყო იქ; და რა სუფრა გაიშალა, ვნახე, ღომის ხაბაზი მოდის და ერთი დიდი ქვაბი ღომი მოაქვს, და პატარა ხის ნიჩაბი ხელში უპირავს. შევხედე, რომ ეს მეღომე უნიფხო იყო, რადგან ოდიშში ჩვეულებად აქვთ, პერანგი აცვიათ გძლად. და მოვიდა, ამოიღებს ამ ნიჩბით და აქეთ-იქით ურიგებს; რა ჩემთან მოვიდა და დამიდო ღომი მოხარშული ცხელ-ცხელი, გაბრუნდა და დაიკაკვა ღომის ამოსაღებლად; აღვიღე ამჟამად ეს ცხელი ღომი და ამოუსვი უკან კაკლებსა და საჯდომზედა. ეს კაცი ასე გამწოვდა, რომ ჯერ ერთი მაღლა შეხტა, ნიჩაბი იქ ვიღასაც თავში ჰკოა, ეს ქვაბი იმ თავდაღმართზედ დაუგორდა, და თითონაც დაფრინდა ამ თავდაღმართზედ წყლისათვის, და დაიძახა: „ასემც შენი სახლკარი დაგეწვის, რაგვარადაც მე დამწვი“. მაშინ წასქდათ სიცილი ლადიანს და სხვათა და თქვეს: „ამისთანა ხუმრობა არ ქნილაო“. ნახევარი ხალხი ულაბოდ დარჩა. და ასე ვილხინეთ იმ დღესაც. ერთხელ კიდე ერთი იმერელი ვაკე იმერეთიდამ მოვიდა, და ეს ჩემი ცოლი წყალზედ უნახავს, ყმაწვილი ქალი იყო და დია მოსწონებია. მოვიდა ჩემთან, კალოზედ ვიყავ, და მითხრა: „ბატონო! ერთი ნამუსი მინდა გითხრა, თუ აღმისრულებ, ბარე კარგა გემსახურებიო“. უთხარ:—მითხარი! მან იმერელმან მაჩვენა ეს ჩემი მეულლე და მითხრა: „ეს თუ გაუთხოვარი არის, აქ დავსახლდები და ამ ქალს ვითხოვ, თუ მომცემენ მისი დედმამა“. მე უთხარ: ეგ ჩვენი ბეზობლიანთ ქალია, ჯერ გაუთხოვარია. და, თუ შენახვა შეგიძლიან, მე გაგირიგებ-მეთქი. დაეგზო ეს კაცი, და მადლობა მითხრა, და მითხრა: „შინაც ბევრი მაქვს და აქაცა მაქვს თან ასი ყურუში“. მე ეთქვი: ფული მეკერება და ეს არის ჩემი საქმე, უთხარ: წავალ და ელაპარაკები შენს საქმეზედ იმ ქალის დედ-მამას. დიაღ გულით მემეხვეწა, და წაველ. ეს იმერელი სხვაგან ერთს გლეხისას დავაყენე. წაველ ტყუილად და მცირე ხანს უკან მოველ და უთხარ: დიდათ ალამათ იმ ქალის დედ-მამას, და კიდეც ნება მოგცესთ. და ესეც შემოგითვალეს, თუ ქორწილი გინდა, ერთი ხელი ტანისამოსი უშოვე ამ ქალს, და ჯვარს დაგწერთო. რა ესე გაიგონა ამ იმერელმან, მაშინვე შეჯდა ცხენს, წავიდა გორსა და ერთი ხელი კარგი ტანისამოსი ეყიდნა. თითონაც ჩოხა გამოეცვალა და მესამე დღეს მოვიდა ჩემთან. გამოვართვი ყოველიფერი, და სახარჯოდცა ოციოდ ყურუში, და უთხარ: ხვალ საღამოს უთუოდ ჯვარს დაგწერთ, ვინემ ეს ტანისამოსიც მოესწრობა. ავდექ მე და უთხარ: მე ატოცს მინდა გადავიდე, იქიდამაც სტუმრები მოვიყვანო და ჩემი ძმა მიუჩინე იმ ქალს, ეს გაჩვენებს და რიგსაც მოგცემს. მე რა წაველ, გადაველ

ბრეხას, წვერი მოვიპარსე, ბატონის ნაბოძები ხალათი ჩავიცვი, მაუდის ქუდი დავიხურე, ცხენს კაჯარი გარდაუშალე; ორიოდ კაციც თან წამოვიყვანე და დავარიგე, რომ იმერელია იქ, და რა მე ჩემს სახლთან ჩამოვხდე, ცხენი გამომართვით, და იმერელმან, რომ გკითხოთ, ასე უთხარით: ეს ბატონის მსახურია და აქ თავის ცოლთან მოვიდა ქალაქიდამო. რა ჩემს სახლთან მოვედ, ვნახე ის იმერელი გარეთ ეზოში ზის და ჩემს ძმას ელაპარაკება. გარდავხედ ცხენიდამ, ამ კაცებმან ცხენი ჩამომართვეს, იმერელს სალამი მივეც და უთხარ: აქ რასა იქთ — მეთქი? მან მათხრა: „ჩემი საქმე რაქვს". ჩემს ძმასაც ვანიშნე, სხვაგან წავიდა და მე შინ შევედ, დედაკაცი წინ მომეგება, თოფი ჩამომართო და აგრევე ჩემი წვრილი შვილები. რა ეს იმ იმერელმან იხილა, უთხრა ჩემთან წოყოლილ კაცებს: „ბატონო, ეგ ქართველი აზნაური ვინ არის, რომ ჩემს დანიშნულთან ასე კადნიერად შეევიდაო". მათ უთხრეს: „რას ანბობ, იმერელო, ეს მეფის მსახურია და ამ თავის ცოლთან მოვიდა ქალაქიდამ, და ეს ყმაწვილებიც იმის შვილია".

ი მ ე რ ე ლ ი: მართალს უბნობთ თუ მაბრიყვებთ?

მ ა თ კ ა ც თ: არა, ჭეშმარიტად, რომ მაგ კაცის ცოლია.

ი მ ე რ ე ლ ი: ვაი ჩემ თავს, აკი დამაფსო ვინცაღა ცრუ ქართველი იყო. და შესჩივლა, როგორც საქმეს გაევლო.

მათ უთხრეს: ის კაცი ერთი ცრუ სომეხი არის, ბევრი შენისთანა მოუტყუებია, რატომ მიეცი მაგდენი თეთრი და საქონელი და არავის ჰკითხე? ახლავ წადი და გაუდეგ უკან, ეგება მოახელო სადმე.

იმერელმან თავში ხელის ცემა შექმნა და ტირილი; აქეთამად გამოველ და უთხარ: ძმაო, რა გატირებს? მან იმერელმან მცირე შეომინივლა, ვითარცა სხვათა; მეც უთხარ: ის ასეთი ცრუ კაცია, რომ ბევრი მაგგვარი საქმე უქნია, და ახლავ გაუდეგ, ეგება გორს მოახელო. ავიღე და ხუთი აბაზიც ვაჩუქე: ეს დახარჯე, გორში მუქთად პურს არავინ გაპმევს. თუ ის სომეხი ვერ მოახელო, ვაპარი სომეხი სომ ბევრი დადის ქუთაისს, იმათ წაართვი, რაც დაგაარჯვია. იმერელმან დამლოცა, ხელზედ კოცნა მოინდომა და მითხრა: „რა კარგი ქრისტიანე კაცი ყოფილხარ". ორიოდე პურიც ვაჩუქე და მადლობელი გავისტუმრე.

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! სწორედ ხელოვნებით ქურდობა გიქმნიაო და ზაკვით შენდობა აგიღიაო, მაგრამ უნდა უკანვე გეჩუქებინაო რაც გამოართვიო.

ო თ ა რ ა: შე დალოცვილო, ამ სოფელში სულ ამგვარი მოტყუება არის და ასე რჩებიანო.

ი ო ა ნ ე: არა, ოთარავ, სიმართლით მოგებული უმჯობესია და უფროც გამოადგება კაცს.—იმჟამად გავიდნენ, გაიპარა მინდორში, ნახეს—უკანიდამ სამი ცხენოსანი კაცი ცხენებს მოაჭენებენ ხიზიყელნი, და სამი კაცის თავებიც ცხენზედ უკიდიათ. შედგნენ ესენი და ჰკითხეს: „რა ამბავია ძმანო?“ მათ უთხრეს: „ბატონთან მახარობლად მივდივართ, ბატონის-შვილმან იოანემ დაამარცხა ომარხან, და ათასი კაცი მეტი მოუკალით, ცოცხალს გარდა, ახლა ეს არის ნიახურიდამ მოვდივართ“. რა ესე გაიგონა, იოანემ დიდი მადლობა შესწირა ღმერთს და თქვა: „ბედნიერად ვიქადაგე“. და ესეც გაეშურა, რომ დროზედ მივიდე ქალაქს, მეფეს იმ ძლევისათვის შესხმა მოვახსენოო. და გასწიეს მათ კაცთა, ოთარაც იმათ გაყვა, და ზურაბა და იოანე წარვიდენ მოჩქარეებით ქალაქისაკენ. რა ქალაქს შინა მივიდნენ, იყო ხალხის დიდი სიხარული, ზარბაზნის სროლა და დიდი შეყრილობა მას გამარჯვებისა ხმასა ზედა. იოანეც მივიდა სახლსა ქვაბთახევის წინამძღვრისასა, და დაბინავდა; საღამოხანს კაცმან დაიძახა, რომელ ხვალე სამადლობელი პარაკლისი იქმნების სიონში, იქ შემოკრბით, და მერე იქიდამ მეფეს უნდა იახლოთ და მიულოცოთო. იოანე მაშინვე განემზადა სახვალიოდ, და იმ ღამეს დასწერა მეფესთან მისართმევი შესხმისა წიგნი.

დღე ოცდამეოთხე

ხვალისა-დღე წირვის დროს მივიდა სიონში; გარდიხადეს მუნ დღესასწაულობა, და მერეთ წარმოვიდნენ მეფესთან. ჯერ სამღვდელოთ მიულოცეს, და მერე დიდებულთა, თავადთა და აზნაურთა. და მერე მოქალაქეთა; ხოლო შემდგომად ამისა წარდგა იოანე, თავი დაუკრა მეფესა. რა ბატონმან იოანე იხილა, იცნო, ვინადგან ბატონს თელავის სკოლაში მიებარებინა ალექსის-შვილის დავით რეკტორისათვის, უბრძანა: „ჩემო ფილოსოფოსო, რაჲ გნებავს?" იოანემ თავი მძიმედ დაუკრა, წინ წარდგა და მოახსენა: „ამ ბედნიერების ხვედრისათვის თქვენს უმაღლესობას მსურს შესხმა მოვახსენო, თუ ღირს-მყოფს თქმად უმაღლესობაჲ თქვენი". — მეფემან: „მმადლობელი ვიქმნები!" მაშინ იოანე წარდგა და იწყო თქმად შემდგომისა ამის ხატითა ესრეთ:

უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფევ და მეფევ ქართლისა-კახეთისავ, მქონებელო ერევნისა— განჯისა, და მპყრობელო ყაზახ—ბორჩალოს ფამბაკ—შამშადილისავ და სხვათა და სხვათა...

საკმეველნი წმინდათა ტაძართა შინა ღვთისათა, თქვენ მიერ შეწირულნი და დაკმეულნი, სულად სურნელად აღიწევნეს ღვთისადმი და ნაცვლად მისა გარდმოივლინეს თქვენდა მადლი მძლეველობისანი, რომლითაცა ყოვლადუმაღლესმან ძალმან დაგვირგვინებულყო მხედარი და საჭურველი შენნი. ამაყმან ავარიის ხანმან მოიდრიკა წინაშე შენსა ძლეული თავი თვისი და სირცხვილეული ივლტვის პირისაგან შენისა. ბრძოლისა ღრუბლითა დაფარულთა ადგილთა ზედა აღმობრწყინდა ნათელი კურთხეულისა მშვიდობისა; სატახტომან ქალაქმან ამან განიძარცვა ხატი თვისი, დაფარული მხცოვანებითა და შეიმოსა სახეჲ სიჭაბუკისა; და ესრეთ მხიარულებით

მცხოვრებნი ამას შინა მოისწრაფიან აღტყინებულნი სულითა და აღტაცებულნი სიხარულითა მოლოცვად უმაღლესობისა თქვენისადმი. და გიგალობენ ქებასა გალობისასა და გიძღვნიან დიდებასა წინაპართა შენთასა და შეგამგზავსებენ დიდსა პაპასა შენსა დავითს წინასწარმეტყველსა სიყვარულსა შინა ღვთისასა და სიმხნითაცა, რომელმან დასცა ძალი საღმრთოთა ტყორცითა შურდულისათა გოლიათი და მით განარინა ერი ისრაელთა ხელთაგან მისთა; ეგრეთვე თქვენცა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა შეთხზე შურდული და დაიშურდულენ სასოება შენი ღვთისა მიერ, სტყორცენ ზვავსა მას სისხლმწყურიელსა გოლიათს და შემუსრე უსჯულო თავი მისი და განმარინენ ჩვენ უცხო თესლთაგან. ამისთვის ჩვენ ნეტარად ვრაცხთ საუკუნესა ამას და გეკრეტთ შენ ტკბილსა მამასა და ვსტკბებით ამით; გარნა ჩვენ უღონო ვართ ღირსად ქებისა შენისა. და ითხოვს საჭიროებაჲ შემთხვევისა ამისთვის ძველთა ფილოსოფოსთა სადიდებელად თქვენდა: პლატონს, ღომერს, სოლონს, ვირღილიას, ციცერონსა, კურციოს, ოვდის, ბარდონს და ცხრათა მუზთა. შეკრებულთა პარნასის მთასა ზედა, რათამცა თვითეულნი მათგანნი ნაყოფით ბუნებითთა ნიჭთა უმაღლესობისა შენისათა მიაწერდენ ქებასა და მადლობასა და ესრეთ დაატკბობდენ სასმენელთა ჩვენთა.

არამედ ჩვენცა ერთბამად შეძლებისამებრ ჩვენისა ვმოხარულობთ და ნათლითა დღესასწაულობისათა ვდღესასწაულობთ ტაძარსა და პალატსა ამას შინა და ვიტყვით: მოვედით თაყვანისცემად უფლისა ზეციურისა სამღვდელოჲსა მთავრისად და ღვთივ დაგვირგვინებულისა მეფისად, უკეთილმსახურესისა უფროს წარმართთა მეფეთა ქვეყანისათა.

უფალმან დაიცვას მეფობაჲ შენი ჯვარითა ჭეშმარიტებისათა და სკიპტრითა კეთილმოქმედებისათა, და მით უძღოდე ერსა შენსა. ვითარცა მოსე ისრაილთა, და ვითარცა ისო ნავეს-ძე, იქმენ ამაღლებულ სკიპტრითა. ვითარცა ალექსანდრე ბერძენთა შორის და ჯვარითა, ვითარცა დიდი კოსტანტინე მორწმუნეთა მეფეთა შორის: ეშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის, და ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; თავ-დადებულ, ვითარცა დიმიტრი ქართველთა შორის: მართალ, ვითარცა ღმერთი ღმერთთა შორის და საყვარელ, ვითარცა ქრისტე მართლმადიდებელთა შორის. გაკურთხოს შენ უფალმან და დაგიცვას შენ საყდარსა ზედა მეფობისა შენისასა ნათესავიდგან ნათესავადმდე: და იყავნ შენზედა საღმრთო მადლი, სულისა წმინდისაგან დამტკიცებული და დაუბრკოლებელ სულიერსა შინა დიდებასა შენისა მსახურებისასა, და აყვავდეს დღეთა შინა

შენთა საქართველოჲ მშვიდობითა და დიდებითა, და გეწოდებოდეს მეფე მშვიდობისა და განსვენებისა და მყუდროებისა, ვითარცა მამასა შენსა სოლომონს. უფალმან მარჯვენითა შენითა კეთილად განაგოსმცა ყოველნი საქმენი ხელთა შენთანი. უფალმან გამოგირჩიოს შენ ერად გულისამებრ თვისისა და განიხილოსმცა შინაგანნი სულისა შენისა კეთილობანი. და იყო შენ დღეგრძელ ქვეყანასა ზედა. და იყოს შენდა სიხარული დათხეული და ქვეშევრდომთა შენთა ზედა ზეციურისა კურთხევითა და შეწყნარებითა. და მხიარულებაჲ ჩვენი სრულ იქმნეს შენ შორის, და მხიარულებაჲ ესე ჩვენი ნურცა ვისგანმე იყოსმცა აღსახლოცველ, ხოლო ჩვენ დასამტკიცებლად ამისა დაუფენთ ერთგულსა გულსა ჩვენსა სალმრთოსა ტერფსა შენსა სარწმუნოებითა. მორჩილებითა და სიყვარულისა გულითა აღსრულებითა, ჩვენ უკვე ერთბამად შტოებითა და ბაიათა განვემზადებით აღსრულებად მეფობითისა ნებისა შენისა, და უკანასკნელ, ვითარცა მსახურნი საკურთხეველისა და მონანი სარწმუნონი. ვდღესასწაულობთ და ვღაღადებთ „ოსანნასა" ამას ყოვლისა მპყრობელისადმი, მხურვალითა ლოცვითა მორტყმულნი.

განაგრძოს ნებამან მაღლისამან დიდებასა შინა შეუძვრელსა მეფობაჲ შენი და შთამომავლობათა შენთა განუწყვეტელად და საუკუნოდ, და იდიდებოდეს სახელი შენი ქვეყანასა ზედა და დაგიმორჩილნეს ქვეშე ფერხთა შენთა ყოველნი მტერნი შენნი და სახლისა შენისანი, ამინ!

შემდგომად დასრულებისა ამის შესხმისა მივიდა იოანე, ბატონს ხელს აკოცა. ბატონმა მადლობა უბრძანა და რაოდენიმე ოქრო უბოძა და უბძანა: „დღეს სადილს კარგად შეექეც და საღამოს აქ მოდი, მინდა ზოგი რამ გკითხო, რომ ღამე ისე გავატარო". იოანე მდაბლად მადლობელი და მხიარული წამოვიდა სახლსა შინა. კარგად ისადილა და შესო ღვინო სადღეგრძელო მეფისა.

შემდგომად, მწუხრისა ჟამსა მოემზადა იოანე და ფიქრობდა, თუ რასა ჰკითხავს ბატონი: და მერე დანიშნულს დროს იახლა ბატონს: იოანეს მისვლა მოახსენეს, ინება ბატონმან, და ქრისტესია მღვდელი კეჟერაშვილიც იქ ახლდა. შემდგომად ვახშმისა ბატონმან უბრძანა ქრისტესიას: „რადგან შენ გივლია ბაბილოვნსა, ეგვიპტეს, როდოს, იერუსალიმს, ეფესოს და სხვათა ადგილთა შინა მუნ მხრისათა, ანუ ვითარ გენახოს და ან როგორ გსმენოდეს, ჰკითხე იოანე დიაკვანს შვიდნი სოფელსა შინა ღირსნი სახსოვარნი".

ბატონი შიგნით საწოლში შებრძანდა მოსასვენებლად, და ესენი გარეთ სახლში დასხდენ და იწყეს უბნობად, ხოლო მეფე შიგნიდამ ისმენდა ამათსა უბნობასა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რასა გულისხმა-ჰყოფთ შვიდთა მათ სოფლისა ღირსთა სახსოვრებთათვის?

ი ო ა ნ ე: სახელითა ამით იწოდებიან ესეგვარნი უკვე შენებულებანი ანუ სახსოვარნი ძეგლნი, რომელნიცა ყოველთა საუკუნეთა შინა იყვნენ კაცთათვის საკვირველი სახილველი სიდიდისა და დიდ შვენიერებისა გამო თვისისა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: აღმირიცხეთ მე თვითეულად სახელდობ შვიდნი ღირსნი სახსოვარნი ძველისა საუკუნოჲსა სოფლისანი.

ი ო ა ნ ე: სახელდობა შვიდნი ესე ღირსი ხსოვნისანი არიან შემდგომნი ესე:

პირველი, მავზოლეი.

მეორე, ტაძარი იერუსალიმისა.

მესამე, ტაძარი დიანასი ეფესოსა შინა.

მეოთხე, ზღუდენი ბაბილოვნისანი.

მეხუთე, ძეგლი ანუ კერპი იუპიტერისა ოლიმპიისათა.

მეექვსე, კოლოსი როდოსისა.

მეშვიდე, პირამიდნი ანუ ძეგლი ეგვიპტისანი.

ხოლო რომელნიმე ნაცვლად იერუსალიმის ტაძრისა რაცხვენ კრიტისა ლაბირინტსა რიცხვთა შორის შვიდთა ღირსთა სახსოვართა სოფლისათა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რასა გულისხმა-ჰყოფ თქვენ სახელსა ქვეშე მავზოლეისასა და ანუ რაჲსა გამო ირიცხების იგი საკვირველ-სახილველად სოფელსა შინა?

ი ო ა ნ ე: მავზოლეი იყო მეფეჲ კარიისა, იგი ნარ-ნარად უყვარდა მეუღლესა თვისსა არტემიზიას, რომელმანცა შემდგომად სიკვდილისა მისისა აღუშენა მას დიდშვენიერი საფლავი სატახტოსა ქალაქსა შინა მის ადგილისასა ალიკარონას შორის მენეის სასახლისა და ტაძრისაცა მახლობელ ვენერისათა. და მაშინ ძეგლი ესე წოდებულ იყო მავზოლეად, რომელ არს საფლავი მავზოლეისა; და ამის გამო დღესაცა ყოველი სხვათა მდიდარი საფლავი იწოდებიან მავზოლეიად.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვითარი სიდიდე აქვნდა ანუ სივრცეი მავზოლეიას ამას?

ი ო ა ნ ე: სამხრეთიდამ ჩრდილოეთის კერძოდ განვრცელდებოდა იგი სამეოცდასამ ფუტზედ; გვერდები მისი იყო რაოდენიმე იწრო, ხოლო სიმრგვლე აქვნდა ოთხასათერთმეტი ფუტი, სიმაღლე ოცდახუთი მწყრთა და ოცდათექვსმეტი სვეტებიც გარეშემო ერტყნენ მას.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ იყვნენ ხუროთმოძღვარნი ანუ რაოდენნი,

რომელთაც აღაშენეს ძეგლი, ანუ მონომენტი ისე მდიდარი?

ი ო ა ნ ე: ოთხნი ჩინებულნი ხუროთმოძღვარნი ესე, სახელდობ: სკოპასი, რომელიც განყოფდა აღმოსავლეთის კერძოსა მისსა, ტიმოთე—სამხრეთისასა, ლეოხარ—დასავლეთისასა, ხოლო ბარიაკსის—ჩრდილოეთის კერძოსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: დედოფალმან არტემიზიამ იხილა დასრულება მუშაკობისა ამის?

ი ო ა ნ ე: ვერა, იგი გარდაიცვალა მწუხარებითა შემდგომად სიკვდილისა ქმრისა თვისისათა. ხოლო შემდგომად სამას-ორმეოცდაათერთმეტსა წელსა შინა, უწინარეს ქრისტეს შობადმდე, შთამომავლობათა მისთა დაუდგინეს სახედ და მაგალითად სიყვარულისა გამო მეუღლეობისა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: არა დაყენბულიყოა მუშაობაჲ მისი შემდგომად სიკვდილისა მის დედოფლისა?

ი ო ა ნ ე: არა, შემთხვეულებასა ამას შინა პიტეკს შეერთდა ოთხთა ხუროთმოძღვართადმი მათ და აღაშენაცა მავზოლეის ზედა მაღალი ესე უკვე პირამიდი და მას ზედა დასდგა მარმარილოსაგან ქმნილი უკვე ეტლი, შებმული ოთხითა ცხენითა; და მიზეზითა მით საფლავი ესე ირიცხებოდა სოფლის საკვირველებად და ღირსსახსოვრად. ხოლო ოდეს იხილა საფლავი ესე ფილოსოფოსმან ანაკსაღორმან, კალოზომეანისელმან, სთქვა ესრეთ: აჰა მრავალნი უკვე თეთრნი ვარდაქცეულან ქვებად.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ აღაშენა ტაძარი იერუსალიმისა?

ი ო ა ნ ე: სოლომონ, ძემან დავითისმან, მეფემან ურიასტანისამან.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რომელსა ადგილსა ზედა იყო იგი აღშენებულ?

ი ო ა ნ ე: მთასა ზედა მორიისსა, თვით ადგილსა მას ზედა, სადაცა მამამან მისმან დავით მეფემან იხილა ანგელოსი, აღმასრულებელი მართლ-მსაჯულებისა ღვთისა, ხელთა შინა მპყრობელი განშიშვლებულისა მახვილისა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენსა წელსა აღშენდა ტაძარი იგი?

ი ო ა ნ ე: შვიდსა უკვე წელსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: როდის იყო შემთხვევა ესე?

ი ო ა ნ ე: სოლომონ იწყო შენობა ტაძრისა ამის ორიათას-ცხრაასოთამეოცდა-ცხრასა წელსა შინა შექმნიდამ სოფლისა, ხოლო შობიდგან ქრისტესისა წინად ათასთუთხმეტსა წელსა, მეოთხესა წელსა შინა მეფობისა თვისისასა იწყო შენობად.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენ ნაწილად შემდგარი იყო ტაძარი ესე?

ი ო ა ნ ე: ოთხ ნაწილად, გარნა ყოველივე იყო შეცულ ერთითა უკვე ზღუდითა; პირველი შენობაჲ საგრილობელი ანუ სადგური

ერთა ანუ წარმართთა, მეორე—საგრილობელი იყო იუდიანთა, მესამე—საგრილობელი იყო მღვდელთათვის, რომელსა ეწოდა წმინდა, ხოლო მეოთხე—საგრილობელი იყო წმინდა წმინდათა, ესე იგი, საღვრთო ანუ უწმინდესი ადგილი.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: მითხარ თვითეულთა სადგურთათვის, თუ რაოდენნი იყვნენ ზომით.

[ამას მიჰყვება აღწერილობა ტაძრისა ბიბლიიდან].

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რომელსა ქალაქსა შინა იყო აღშენებული ტაძარი დიანასი?

ი ო ა ნ ე: ეფესოს, აზიის ქალაქსა შინა, რომელიცა იყო კარიასა შინა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ აღაშენა იგი?

ი ო ა ნ ე: რომელნიმე მომზრახეობენ, რომელ იგი დაწყებულ იყო ამაზონთაგან. ხუროთმოძღვრებითა და ზედამდგომობითა კტეზიფონისათა და წასაგებელითა სრულიად აზიელთაგან. ხოლო შენობამან უკვე ამა ტაძრისაგან განვლო ოთხასი უკვე წელიწადი, სიგრძე ტაძრისა ამისა იყო ოთხასოცდა ხუთი ფუტი; სიგანით ორასოცი ფუტი; მას ედგნენ ასოცდაშვიდი სვეტნი, შაბაქად მოჭრილნი, რომელნიც იყვნენ სიმაღლით სამოცნი ფუტნი თვითეული მათგანი, რომელნიცა გაკეთებულ იყვნენ რომლისამე ხელმწიფისაგან წარსაგებელითა თვისითა: სახელი ხელმწიფისა მის არ არის ნამდვილ მოხსენებული. შენობა მისი იყო ნაძვის ხისაგან, ბჭენი მისნი კიპაროზისაგან ანუ სარო-საგან: ხოლო ეგო ტაძარი ესე მრთლად უფროს ოთხასისა წლისა, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის დრომდე; რომელნიმე სარწმუნო მეისტორიენი სწერენ: ეროსტატეს ვისმე სახელით წოდებულს, რომელმანცა წარუკიდა ცეცხლი ტაძარსა ამას და გარდაიქმნა ნაცრად, რათა მოხსენებითა ამითა დაშთეს სახელი მისი და შთამამვლობათა მისთა. ამასაც მოუთხრობენ ისტორიკოსნი, რომელ მას დღესა შინა დაიწო ტაძარი იგი, რომელსა დღესა შინა იშვა ალექსანდრე მაკედონელი. გარნა კვალად განაახლეს შემდგომ ტაძარი იგი ვიდრე შვიდგზის.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: მითხარ, ვინ განაშენა ბაბილოვნისა ქალაქი ანუ ვინ აღაშენნა ზღუდენი მის ქალაქისანი?

ი ო ა ნ ე: ნაბუქოდონოსორ, მეფემან ბაბილოვნისამან.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაჲსა გამო იყო ესრეთ დიდებულ ქალაქი ესე ბაბილოვანისა?

ი ო ა ნ ე: პირველათ ზღუდეთა გამო ამ ქალაქისათა, მეორედ—ტაძრისა გამო, ბელსოვად წოდებულისა; მესამე—სამეფო სასახლისა და

ზედან დაშენებულისა ბაღებითა; მეოთხეთ—მოკირწყლულის ქუჩათა ფილაქნებითა და მდინარისა სანაპიროებითა; მეხუთედ—ტბებითა და დიდთა არხებთა შემოტანილობითა ქალაქსა შინა; მეექვსედ—დიდშენებულებითა, რომელთაცა კედლებთა სიგრძე იყო გალავნისა ოთხმეოცდაშვიდი ფუტი. სიმაღლე სამოცდაათუთხმეტი ფუტი; მერვე—სიგრგვლე მისი შენებულებისა იყო ოთხასოთხმოცი სტადიონი, რომელიცა შეადგენს ოცსა უკვე მილსა*.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვითარ იყო დანაკეთებულ ქალაქი იგი?

ი ო ა ნ ე: ოთხკუთხედ, რომელსაცა თვითეული უკვე გვერდი განვრცელდებოდა ასოც სტადიონად, რომელიცა იქმს თვითეული გვერდი სიგრძივ და სიგანით ხუთ-ხუთასსა მილსა; ხოლო თვითეულისა გვერდსა ამა გალავნისასა აქვნდათ ბჭენი ოცდახუთ-ხუთნი, რომელიც ოთხისავე გვერდისა შეადგენს კარსა ანუ ბჭესა ასსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: სადა იყო აღშენებული ტაძარი იუპიტერისა?

ი ო ა ნ ე: მახლობელ ოლიმპიის ქალაქისა სამთავროსა შინა.

ტაძარსა ამას შინა შეკრებულ იყო ურიცხვი უკვე სიმდიდრე მიზეზისა გამო მოგვთასა ანუ ქურუმთასა, რომელნიცა საღმრთოდ წინასწარმეტყველებდენ, ანუ წინადვე მოუთხრობდენ: და აგრეთვე მუნ ერნი მროკველობდენ აღსრულებითა ოლიმპიის თამაშობისათა, რომელნიცა აღსრულებდენ დღესასწაულსა ამას მახლობელ ამა ტაძრისა პატივისათვის ოლიმპიის იუპიტერისათა. ამა ტაძარსა შინა ღირსსახსოვარი და საკვირველი იყო კერპი იუპიტერისა, გამოქანდაკებული ხელოვანის ფიდიისაგანა; და კერპსა ამას რაცხდენ რიცხვთა შორის შვიდთა სოფლისა საკვირველთა და ღირს-სახსოვართასა. მწერალი უკვე ესევითართა შეხდომილებითა, რომელსა ეწოდა ყავზანი, აღწერს ამისთვის შემდგომსა ამას: იგი მოუთხრობს, რომელ იუპიტერ ზის სავარძელსა ზედა, ქმნილსა წმიდისა ოქროსაგან და სპილოს ძვლისგან შემდგარსა, რომლისა სახეჲ იუპიტერისა მისგანვე გაკეთებულ თავსა ზედა მისსა, ადგას გვირგვინი ზეთის-ხის ფოთოლთა და სტოებთაგან ქმნილი; მარჯვენეს ხელსა შინა უპყრიეს მას კაცი სპილოსა ძვლისაგან ქმნილი, რომელსა ადგას თავსა ზედა ოქროჲსა გვირგვინი და მარცხენასა ხელთა უპყრიეს სკიპიტრაჲ ქმნილი ყოველთა გვართა მეტალთაგან, და წვერსა მას ზედა სკიპიტრისასა არს არწივი მჯდომარე ფერხთა ზედა, რომელიცა აცვია ხამლნი, არიან წმინდისა ოქროსაგან ქმნილნი და მანტიაცა ეგრეთვე ოქროჲსაგან ქმნილი ასხია მას. მანტიასა მას ზედა არიან სხვადასხვა გვარნი მხეცნი და ყვავილნი გამოხატულნი.

---

* ერთი მილი შვ-დი ვერსია (ავტორი)

ტახტი მისი არს შემკული სპილოს ძვალით, და აბანოზის ხით, ოქროთა და მრავლითა სხვათა და სხვათა შაბაქად მოპრილის ნაკვეთებით.—ოთხთა ფერხთადმი ამის ტაძრისათა ქმნილ იყვნენ ოთხნი უკვე სახელნი მძლეველობისანი. ეგრეთვე კერპისა მის ორთავე ფერხთა ქვეშე ორნი ძლევანი პირის-პირ იმა ტახტის ფერხებისა. ორთა წინა ფერხთა თანა მის ტახტისათა იყვნენ ცალკერძოდ გამოქანდაკებულნი სფინიკსნი, მიმტაცებელნი მცირეთა ყრმებთა ფიველთა, ანუ თიველთა. ხოლო მეორით კერძო იყვნენ შვილნი ნიობისნი, მოწყლულნი ისრითა აპოლონისა და დიანასითა; შორის ფერხთა ამას ტახტისათა გამოხატულ იყვნენ თეზეი და სხვანი გმირებნი, განმტარებელნი დროჲსანი ღერკულისა ბრძოლსა შინა პირის-პირ ამაზონელთასა და სხვათაცა მრავალთა მორკინალთა და მებრძოლთადმი.

ადგილი ესე შემკული იყო ქარტინებითა (ანუ სხვადასხვა სახეებითა მხატრობისათა ანუ სურათებითა), წარმომადგინებელი უჩინებულესთა ღვაწლთა ღერკულესისათა, მოხსენებულთა ისტორიებთა შინა, ზემოკერძო ტახტისა მას ფიდიასი, რომელიცა წარმოადგენდა ერთკერძოდ გრაციაებთა, მეორისა კერძოდ მთათა; ამად რომელ იგინი და მეორენიცა ირიცხებოდენ ასულებად იუპიტერისად, განზრახვისამებრ ბოლექსეთასა საფეხურთა ზედა მის ტახტისათა იდგნენ ოქროსა ლომები, სადაცა გამოხატულ იყო ბრძოლაჲ ამაზონელთა თეზიისა თანა; საფუძველსა მისსა ზედა წარმოდგენილ იყვნენ სხვადასხვა უკვე გვარნი სახენი ოქროჲსა ნაკვეთნი, ესე იგი: მზე აღმომავალი, ეტლსა ზედან თვისსა; იუპიტერი და ყრმები გრაციაებნი, ესე იგი: მერკური, ვესტა და ვენერა, მიმღებელნი კუპიდონისა; გარდა ამას გამოხატულებასა კიდე იპოვებოდიან მუნ კვალად შემდგომნიცა ესე: აპოლონ, დიანა, მინერვა, ღერკულეს, ამფრიტრიატრ, ნეპტუნ და მთოვარე, რომელიცა წარმოდგენილ იყო, ვითარცა მიმავალი უნეჲთა ანუ ცხენითა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაჲ იყო კოლოსი, რომელსაც სოფელსა შინა რაცხდენ შვიდს ღირს-სახსოვრებაშია?

ი ო ა ნ ე: კოლოსი იყო მსგავსი კაცის დადგმული და აღმართული კუნძულსა შინა როდოსისას, ჩამოსხმული თითბერისაგან კერპი აპოლონთა; რომელნიმე იტყვიან სპილენძსა ესრეთ წმინდასა, რომელ შეესწორებოდაო მდაბალს ოქროს.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენი აქვნდა სიმაღლე?

ი ო ა ნ ე: სიმაღლე მისი იყო ესეოდენი, რომელ ძველადგან ამტკიცებენ, ვითამც დიდროანი ხომალდნი ლაჯთა ქვეშე გაუვლიდენ აღმართულნი თვისითა აფრებით და დირაგებითა; დამტკიცებულ ჰყო-

ფენ, რომელ სიმაღლე მისი იყო სამეოცდაათი მწყრთა, ანუ ასხუთი თუტი. კერპი ესე, ანუ ძეგლი აღმართულ იყო როდოსის კუნძულსა შინა, რომელ არს ხომალდთა გასავალი, იწრო ადგილი, ანუ უვშარანი, რომელსა თათარნი უწოდებენ ბოღაზს, პატივისათვის მზისა, და მიზეზითა ამით, რომელ ხომალდი ღამე არა სძგერებოდა კლდოანთა ადგილთა და არ შემუსვრილიყო ვიწროთა იმა ადგილთა შინა. ეპას კერპსა ყელსა ზედა აქვნდა დაკიდებული ჯაჭვი კიბის სახედ ქმნილი, ზედან აღვიდოდიან და დაჰკიდებდიან მაშხალებთა, რომელ განენათლებინა ადგილი იგი და თავისუფლად განევლო ხომალდს მის ქვეშე. იგი იყო ორის ფეხით გალაჯული, რომელსაც ერთი ფეხი გამოლმა ედგა კლდესა ზედა და მეორე გაღმით და ქვეშე გაუდიოდა ზღვა იგი; ესრეთ განვლიდიან ქვეშე მისსა, და ამისთვის იყო ესეც შერაცხილ საკვირველად და ღირს-საღსოვრად სოფელსა შინა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ ჩამოასხა ესე კოლოსი?

ი ო ა ნ ე: კარლოსმან, ნინდსკსა შინა შობილმან, მოწაფემან ჩინებულისა მოძღვრისა ანუ ხელოვანთმთავრის ზიზიპისამან, რომელმანც გაკეთებასა მას ზედა იმუშაკა ათორმეტი წელიწადი.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: დიდხანს იდგა იგი?

ი ო ა ნ ე: ორმეოცდაათექვსმეტი წელიწადი, მერეთ შეიმუსრა იგი მიზეზისა გამო დიდის ძვრისა, რომელმანც ამიზეზა დიდი მოოხრება აღმოსავლეთსა ზედა და უფრო საკუთრად კირიასა შინა, კუნძულსა როდოსისასას; ხოლო ძვრა ესე იქმნა ორასოცდაოთხის წლისა წინად შობამდე ქრისტესისა, რომლისა გამო სჩანს კოლოსის დაწყობა უწინარეს ორასოთხმეოცდაათორმეტს წელიწადს შინა შობამდის ქრისტესსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ამა კერპისა ნამტვრევნი იპოვესღ სადმე?

ი ო ა ნ ე: შემდგომად რვაასოთხმოცდაათექვსმეტის წლისა ჰპოვეს ამა კერპისა ნამტვრევნი თითბრისანი.

შვიდიათასორას ცენტარნი, რომელიც შეადგენს თითო ნაჭერი ას ფუნტსა*, რომელიც შემძლებელ არს მოცემად ჰაზრის საკვირველისათვის სიდიდითა ამის გამოქანდაკებულის კერპისათა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ აღმართნა ეგვიპტეს შინა ესე მდიდარნი ღირს-სახსოვარნი ძეგლნი ძველთა დროთანი?

ი ო ა ნ ე: მეფეთა ეგვიპტისათა ფარაონთა, რომელიც იყვნენ

---

* ესე ფუნტები შეარდგენენ რიცხვით სულ ერთობლივ ნაჭერსა, თვრამეტათასსა ფუთსა, ქართულსა ლიტრასა ოთხმოცდაათიათასსა (ავტორი).

აღმართულ დედა-ქალაქის კაირიდამ ვიდრე ერთსა მილსა ზედა. ანუ შვიდის ვერსით განშორებულ.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: საიდამ უფრო იხილვებიან იგინი?

ი ო ა ნ ე: არს ქალაქი მცირე, დეზიციად წოდებული, ოდესაც გახვალ გარეშე ქალაქიდამ, მყისვე დაინახავ იმა პირამიდთა, და რომელიც შორავს მათგან ორას მილს ზედა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენნი არიან მუნ ძეგლნი?

ი ო ა ნ ე: სამნი უკვე დიდნი პირამიდნი, ერთი მეორისაგან მოშორვებით, ვიდრე ორას-ორას ბიჯითა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: შესაძლებელ არს კაცთაგან შესვლად ამა პირამიდებთა შინა?

ი ო ა ნ ე: შესაძლებელ არს შესვლად, მხოლოდ ერთსა ოდენ უდიდესსა შინა, რომელიც სდგას ჩრდილოეთის კერძოდ.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენი სიდიდე აქვს მას?

ი ო ა ნ ე: სიმაღლესა მისსა სდებენ ვიდრე ექვსას ფუტად, და აგრეთვე ამისავე შესაფერს სიმგრგვლესა ოთხკუთხეზედ დანაკეთებულსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვინ აღაშენა იგი, ანუ რომელს დროს იყო აღშენებული?

ი ო ა ნ ე: რომელნიმე მომთხრობელობენ მისთვის, რომელ იგი აღშენებულ არს შემდგომ სამიათასის წლისა დასაბამიდგან სოფლისა, ეგვიპტის მეფისა მიერ კომფიისათა; ხოლო სხვანი რომელნიმე ჰგონებენ, რომელ იგი აღშენებულ არს ხემნისის მიერ ანუ ხეპსოსაგან.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: უწყებულ არს, თუ საიდგან მოიღეს ესეოდენნი დიდ-დიდნი ქვებნი და სხვანი მრავალნი?

ი ო ა ნ ე: იტყვიან, რომელ იგინი მოღებულ არიან ადგილით ფიბაიდისაგან, ანუ ზემორე ეგვიპტისაგან.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაოდენსა დროსა აღაშენეს იგი, ანუ რაოდენნი მუშაკნი მუშაობდნენ მას?

ი ო ა ნ ე: ოცდასამს წელიწადს აღაშენეს იგი, ვითარცა უბნობენ: მუშაკნი, რომელნიც მუშაობდნენ მას ზედა, იყვნენ რიცხვით სამასსამოციათასნი.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვითარ დიდი იყო ხარჯი მას ზედა?

ი ო ა ნ ე: პლინიოს მოუთხრობს ამისთვის, რომელ დახარჯულა მხოლოდ ხახვსა და ბოლოკსა ზედა ათასექვსასი ტალანტი ვერცხლი და ოქრო, რომელიც შეადგენს ჩვენს თეთრსა ხუთ აბაზიანსა ანუ ხუთსა აბაზსა ვიდრე ჯამით ოთხ მილიონსა. და მიზეზი ხახვის და ბოლოკის ხარჯი ეს იყო, რომელ ეგვიპტელნი უფრორე იხმევდნენ საზრდოდ ბოსტნეულთ მდელოთა, ვიდრე სხვათა საზრდელთა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვითარ შეეიდოდიან შინაგან ძეგლისა ამის?

ი ო ა ნ ე: კარი ამა ჩინებულის პირამიდისა, რომელსაც შინა შესაძლებელ არს შესვლად, ორასოთხ კუთხედი, სიმაღლით არის რაოდენისამე ზომითა უფროს სამისა ფუტისა; ხოლო მოუთხრობენ მისთვის, რომელ იგი პირველ დახშულ იყო დიდითარე განწყობილის ლოდითა ესრეთ, რომელ თუ არ მცოდნენი, ვერა გააგნებდიან კარსა მას, ოდეს დახშვიდიან მას გამოწყობილის მის ლოდითა.

ნაკვეთი პირამიდისა ამის იყო კუთხედი და თვით საფუძველისაგან ძირს მიწის მოშორვებული, და ზემდგომარე მექონ არს იგი იმგვრლივ სისქისა ორი ათასრვაასისა ფუტისა ანუ ოთხასისა-სამეოცდაექვსისა ტოაზისა სრულიად, და ნაკვეთებულობაჲ მისი. სიმაღლე და სიმრგვლე შეადგენს ოთხასიათასსა კუბიკრსა ტოაზსა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: ვითარი სიმაღლე აქნვდათ ქვებთა მათ, რომელთა შინაცა აღშენებულ არიან ესე პირამიდებნი?

ი ო ა ნ ე: იგინი არიან სიმაღლით სამ-სამი ფუტნი და სიგრძლივ ანუ განზედ ხუთიდამ ექვსამდინ ფუტი; ესე პირამიდი არს ხარისხებად დაყოფილი ამა სახედ, რომელ ძირდგან დაწყობილი ქვაჲ რიგზედ მეტობს მეორეს ხარისხის რიგსა, მეორისა და მესამის. მესამისა და მეოთხეს, ესრეთ უშორეს, ვიდრე დასრულდებოდეს წვერამდის, რომელსა ზედა დაიდების ერთი ქვა: დაწყობილობაჲ ამა პირამიდისა შესახედავად არს კიბის სახედ, და გრეხილებით არისხსა შინა ქვებნი გამოწეულნი, გარნა აღსვლა მას ზედან ხშეუძლებელ არს, მხოლოდ ოდენ შეიძლება მსუბუქი კაცისაგან აბობღებით ასვლაჲ ვიდრე წვერამდე ამა პირამიდისა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: სხვანი ორნი იგი პირამიდნიც არიან ამ სახედ თუ სხვებრ ქმნილნი?

ი ო ა ნ ე: არა, იგინი არც ესოდენი არიან სიმაღლით და არც სიზრქით და არც შესახედავით, მხოლოდ ესენი არიან უმფრორე ოთხისავე გვერდით სამკუთხედად მოყვანილნი და წვრილ-წვრილნი შესახედავით.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: რაჲსა სახმარისად ქმნეს ესე პირამიდნი?

ი ო ა ნ ე: მოუთხრობენ მაგისთვის, რომელ იგინი მსახურებდენ ძეგლად საფლავთათვის მეფეთა ეგვიპტისათა, ამად რომელ გვამნი ეგვიპტის მეფისანი მუნ იყვნენ დასაფლავებულნი, ვითარცა აკლდამათა შინა.

ქ რ ი ს ტ ე ს ი ა: თუმც ლავირინდი არ არის ლიბს-სახსოვრის რიცხვებში, მაგრამ ბერძენთა მეცნიერთაგან ესეც მერვედ არის შერაცხილი, და მითხარ, თუ რაჲ იყო ლავირინდი?

ი ო ა ნ ე: ლავირინდი, ანუ ბავირინდი არს ბერძული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ძნელსა გამოსასვლელსა ადგილსა ანუ დაბნეულსა ადგილსა, მრავალთა გზებთაგან ქმნილსა და მიმოხრილსა ბილკონებითა (?) და დაკლაკნულსა, ესრეთ რომელ შემსვლელნი მას შინა ძნელადღა შეიძლებენ პოვნასა გზისა გამოსასვლელად. ისტორია და პეტოლოღია წარმოგვიდგენს ჩვენ ოთხთა ჩინებულთა ლაბირინტთა: პირველსა კრიტიისასა, ქმნილსა დედალოსის მიერ, სადაც იყო პყრობილად მინოტავრი და საიდგანაც ღმერთი თეზეი ვერაოდეს შემძლებელ იქმნა მუნიდგან გამოსვლასა, თვინიერ არიადნინიისა ძაფის ანუ ბაწრის კიდე, რომელიც გაბმულ იყო კარიდამ მის ადგილისა და ხელით მიყოლებით შევიდოდის და გამოვიდოდის იმა ადგილით. ლაბირინტი ესე იყო უდიდეს უფროს ყოველთა ქალაქთა ზედა, შენებულებანი იყო მას შინა უმრავლესნი და სასახლენი მრავალნი, რომელ ერთისა სახლიდამ დაივლიდა მრავალთა სხვათადასხვათა სახლებთა და შენებულებათა. გარნა ყოველნი გზანი იყვნენ ქუჩისა თუ სხვათა მიმოხრით ქმნილნი, რომელ ერთიდამ მეორეს ადგილსა ვერღარა მიაგნებდენ; ამა ადგილთა შინა იყო დიდროანი ველნი და ტყენი, მშვენიერნი ბაღები, აგრეთვე მცირე მდინარენიც და ტბებიც და, რაჲცა ვსთქვათ, ერთისა კარგის ქალაქისა მდებარეობა. ესე უკეთ იყო დადებულ და უფრო მშვენიერ. მხოლოდ გზების კიდე, რომელ მას შინა სწორესა უკვე გზასა ვერა ჰპოებდიან, და ამისთვის იყო მუნიდამ გამოსელა, რომელ ესე გზანი ერთმანეთს შორის მიმოხრილნი სხვათადასხვათა გზებთა შინა განრთვიდენ კაცს და დაიბნეოდენ ამა ძებნასა შინა. უმეტესი აღწერა მისთვის იხილე ძველსა ისტორიასა შინა საზოგადოდ ქვეყნისასა.

მეორე ლაბირინტი იყო მეროკსკისისა, ქმნილი პსამმინტისისა მიერ, მეფის ეგვიპტელთასა, რომელიც იყო შედგმული სხვათადასხვათა შენებულებათაგან ვიდრე სამიათასამდე; ამა ლაბირინტსა შინა იდგნენ კვალად რაოდენნიმე ტაძარი პატივისათვის ყოველთა ღმერთთა წარმართთასა. პლინიოს მოუთხრობს, რომელ იგი არსებობდა კვალად მისსავე დროსა შინა და რომელ მას დროსა შინა განევლო სამიათასექვსას წელსა აღშენებიდგან მის ლაბირინტისა. მესამე ლაბირინტი ზემონიისა, რომელიც უწყებულ არს დიდ-შვენიერებაჲ მისი, და რომელსა შინა იდგნენ მრავალნი დიდ-შვენიერნი და დიდროანნი სვეტებნი სხვათადასხვათა გვართა ქვებთაგან. ხოლო მეოთხე ლაბირინტი ნეტერუსისა, ქმნილი მეფისა ყროსუნიის მიერ, საფლავად თავისა თვისისა და შთამომავლობათა თვისთა. ესეცა იყო ფრიად მშვენიერ და დიდ. გარდა ამისა მეანატომიენი, და ანატომიასა შინა

სდებენ ლაბირინტად ხვრელსა და შინაგანსა ადგილს ცარიელსა ყურისასა სხვადასხვა გვარად მიმოხვეულსა გზასას ასმენლისასა, და უმტკიცესსა კერძოსა საფეთქლებისა ძვლებთა შინა მდებარეთა. ხოლო გვარით მუნ აღჰყვანებისათა სდებენ ლაბირინტად შეცდომილებასა საქმეთა შინა ანუ მოგზაურობათა შინა, და სიძნელეთა შინა შთაცვივნასა და დატევებასა და საქმის წარუმართველობასა, რომლისაგანც ძნელად შესაძლებელ იყოს კაცის განთავისუფლებად თავისა თვისისა. აგრეთვე აკეთებენ ევროპიელნი ბალებთა ლაბირინტის სახედ მიმოხრილს გზებითა და დანერგულის განუვალის ბუჩქებითა და წვრილის დაკლაკნულის ბილიკებითა.

და ესრეთ დასრულდა უბნობა, და დიდად მოეწონა ბატონსა. ქრისტესიამაც აქო იოანე და მოახსენა: როგორც საბერძნეთში გამიგონია, ყოველივე ისე მოგახსენათ ამ იოანემაო. მაშინ ზურაბამ კარებიდამ მოახსენა ბატონს: ამ დიაკვანს ჩემი წისქვილი კი დარჩა განუმარტებლად და იმისი რატომ არღარა მოგახსენათ რა?—ბატონმან ბევრი იცინა და შეიტყო მიზეზი მისიც და უბრძანა: დავით მემკვიდრეს უბძანებ, გიხსნას სატანისაგანაო!

და მერე წამოვიდა იოანე მხიარული შინა, ხოლო მეორე დღე გათენდა კვირა და წარვიდა იოანე წირვაზედ სიონსა შინა, გარნა ეგეოდენი ხალხი მისული იყო, რომელ იოანემ ვერღა შეიძლო შესვლად და დადგა კარიპჭესა შინა. იხილა მუნ იოანემ ერთს კუთხესა შინა ოთხნი კაცნი უყურებენ ქაღალდსა და ერთმანერთს ელაპარაკებიან. იოანე მივიდა უკანით მათსა და შთახედა, რომელ სათამაშოს ქაღალდებს სჩხრეკდენ და თამაშობდენ. იოანემ დაბლად სთქო: „დიდი ვნება არ არის, რომ წირვის მოსმენაც ვერ მოუთმენიათ და აქ ყომარბაზობენ, შინ კი არ ეყოფათ ოცდაოთხი საათი საყომარბაზოზედ?“ რა ესე გაიგონა დიმიტრი თუმანისშვილმან, უკუმოიხედა და იცნა იოანე, აგრეთვე იოანემან იცნა იგი, და უთხრა იოანეს: „ჩვენ ყომარზედ არ ვთამაშობთ, ამა ჩემთა ამხანაგთა წიგნი არ იციან დაამას ზედა ლოცვას ვასწავლიო“.

ი ო ა ნ ე: ვინ არიან ეგენი, რომ წიგნი არ იციანო?

დ ი მ ი ტ რ ი: ჯღერიაშვილიო, მკერვალიო სულეიმან და ფეიქარა დავითა.

ი ო ა ნ ე: განმიმარტეთ მე, თუ ვითარ ასწავებთ მათ ქაღალდით ლოცვასა.

დ ი მ ი ტ რ ი: წირვას უკან ჩემთან მობრძანდით და მე მოგახსენებ, როგორადაც ვასწავლი ლოცვას.

რა წირვა დასრულდა, წარვიდენ დიმიტრის სადგომს, დასხდენ და მოიღო დიმიტრიმ სათამაშო ქაღალდი, უთხრა იოანეს; „აჰა ესე ვაჰწავლი ამათ ლოკვას“!

აიღო კიკო ქაღალდის და უთხრა იოანეს: ამა ერთიანი ხალის გაშინჯვით წარმოვიდგენთ ერთსა ღმერთსა შემოქმედსა ცისა, ქვეყანისასა და დამბადებელს ჩვენსა, და შეევედრებით მას და ვთხოვთ ცოდვათა მოტევებასა და წყალობასა.

ორს ხალიანს ქაღალდს რომ აღვიღებთ, წარმოვიდგენთ იესო ქრისტესა, ორითა უკვე ბუნებითა და შეევედრებით მას, ვინაიდგან ჩვენთვის გარდამოხდა ზეცითა და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა და ჯვარს ეცვა, დაეფლა და აღსდგა, და გვიხსნა სიკვდილისაგან; მას ეევედრებით, რათა ამასცა სოფელსა და მერმესაცა შეგვიწყალოს ჩვენ.

სამს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ წმინდა სამებას სამგვამოვნებით და ერთ არსების განუყოფელსა მამასა და ძესა და წმინდასა სულსა და შეევედრებით მას.

ოთხს ხალიანს რომ ავიღებთ, შეევედრებით ოთხთა მახარებელნია, რომელთა აღწერეს სახარება, და ვთხოვთ, რათა მეოხ იქმნენ წინაშე ღვთისა. აგრეთვე ოთხთა მთავარმოწამეთა: გიორგის, დიმიტრის, ესტატის და მერკვირის. ამათაც ეევედრებით, რათა მეოხ გვექმნენ წინაშე ღვთისა.

ხუთს ხალიანს რომ ავიღებთ, ხუთთა ანგელოზთა წარმოვიდგენთ. ესე იგი: მიხაილს, გაბრიელს, რაფიელს, ურიელს და ყოველს, და ეევედრებით მფარველად ჩვენდა და ხსნად განსაცდელთაგან და საფრთხეთა ეშმაკისათა.

ექვს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ ექვსსა დღესა ვნების კვირისასა და შეევედრებით უფალს ჩვენსა იესო ქრისტეს.

შვიდს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა. ესე იგი: ამპარტავნებას, ანგარებას, მრისხანებას, მცონარებას. თუ ამას შინა რაიმე ცოდვა შეგვმთხვევია, ეევედრებით მისთვის ღმერთსა, რათა მოგვიტეოს შეცოდებანი ჩვენნი.

მერვეს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ იესოს ქრისტეს, მერვე დღესა რომ მოვიდა მოწაფეთა თვისთანა და შევიდა კართა ხშულთა შინა და ჰრქვა: „მშვიდობა!“ რომ ჩვენ ყოველთვის უხილავად გვრწამდეს და თაყვანის-ვცემდეთ, რომე არა მოვაკლდეთ ნეტარებას, რომელიც ბრძანებს: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავთ და ვრწმენ.“

მეცხრეს ხალიანს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ ქრისტეს მიერ ბრძანებულსა ცხრას ნეტარებასა და ჩვენც შეუდგებით ცნებასა მისსა.

ათიანს ხალს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ მოსეს მიერ ათის მცნების მოცემასა, რომელიც მოსცა ღმერთმან ფიცარსა ზედა დაწერილი და ვმეცადინეობთ დაცვას მისსა.

სალდათის სურათს რომ ვიხილავთ, შევავედრებთ ღმერთსა მხედრობასა ჩვენსა და კეთილის მყოფელთა ჩვენთა, ოდესმე კაცთათაცა წარმოვიდგენთ და ვთხოვთ ღმერთსა ხსნასა მათგან ჩვენსას.

ბიბსა ანუ ქალიანს სურათს რომ ვნახავთ, შევავედრებთ ღმერთსა დედოფალთა ჩვენთა, ვინაიდგან საზოგადო დედა არიან ჩვენნი, და ვსწყევთ მაცდურთა და ავთა დედაკაცთა.

მეფის სახეს რომ ვიხილავთ, შევავედრებთ ღმერთსა მეფესა ჩვენსა, ვინაიდგან საზოგადო მამა არს ჩვენი და იღწვის ჩვენთვის, სხვათა მაწუხებელთა ჩვენთა მეფეთა და ხელმწიფეთა სარკინოზთა და უღვთოთა ვსწყევთ და ვარისხებთ ღმერთსა მას ზედა.

დ ი მ ი ტ რ ი: კვალად ვხმარობთ კალენდრად. ანუ წლის სათვალავად ამა ქაღალდს ესრეთ: ეს ქაღალდი არის რიცხვით ორმოცდა თორმეტი. რომ წელიწადიც შედგება ორმოცდა ტორმეტის კვირით. ეს თორმეტი სურათი ირიცხება თითო-თითოდ თვეებად, რომ შეადგენს ათორმეტს თვეს. უკეთუ განვამრავლებთ ამა ქაღალდის ხალებთა, მაშინ ვცნობთ წელიწადისა დღის რიცხვთა ესრეთ: ხელმწიფე, რომ განვამრავლოთ ოთხით, რომ ხელმწიფე თითონ ნიშნავს ცამეტსა რიცხვსა, შეადგენს ორმოცდათორმეტს. ბიბი, ოთხით გამრავლებული, თითო თორმეტად შეადგენს ორმოცდარვას; სალდათი ოთხი, თითო თერთმეტ რიცხვად ჩაგდებული და ოთხით გამრავლებული შეადგენს ორმოცდაოთხსა. ოთხი ათიანი. ოთხით გამრავლებული, იქმს ორმოცს; ოთხი ცხრიანი, ოთხით გამრავლებული, იქმს ოცდათექვსმეტს, ოთხი რვიანი, ოთხით გამრავლებული იქმს ოცდათორმეტს; ოთხი შვიდიანი. ოთხით გამრავლებული იქმს ოცდა რვას; ოთხი ექვსიანი ოთხგზის იქმს ოცდაოთხს; ოთხი ხუთიანი ოთხგზის იქმს ოცს; ოთხი ოთხიანი ოთხგზის იქმს ათექვსმეტს; ოთხი სამიანი ოთხგზის იქმს ათორმეტს; ოთხი ორიანი იქმს რვას; ოთხი კიკო იქმს რიცხვით ოთხს. და ესე ყველა ერთად შეკრებილი რიცხვი იქმს სამასსამეოცდაოთხს დღესა. და ოდეს დღევანდლის დღიდამ, რომე დღე კვირა და შუადღეა, ამ შუადღიდამ მომავალს წელსა ორშაბათის დღის შუადღისას იქნების წელიწადი სახელი სამასსამეოცდა ხუთი დღე.

იოანემ დიაღ მოიწონა და უთხრა: თუ როგორც ილაპარაკე, იმ გულით მოიქცევით, სწორედ ლოცვად შეგერაცხებათ; და თუ თავის სამართლებლად ანბობთ, და მაშინ რაღა მოგახსენო!

ჰკითხა ი ო ა ნ ე მ: რამოდენი გვარი იცით თამაშობისა და აღუ რაოდენი არის თამაშობის გვარი?

დ ი მ ი ტ რ ი: აზიური თამაშობის გვარი და ჩვენც რომ ვთამაშობთ ქაღალდს, თუ სხვას რასმე სათამაშოს, არიან შემდგომნი ესე: ქაღალდში: 1) ფასი, 2) ნახჩი, 3) ბითური, 4) აღება, 5) განყოფა, 6) ტალახი. ხოლო კამათლით სათამაშოთა: 1) პატარა ნარდი, 2) დიდი ნარდი, 3) უკვდავი ნარდი ანუ შარსი, 4) კამანო, აგრეთვე დიდი განჯაფა და თულფის თამაშობა. ხოლო კვალად სათამაშო კარგი და გამოსაცდელი არის ჭადრაკი, ამასთან დამა. მდაბალთა ხალხთ უფრო სათამაშო არის შარუქარი, უჩიგანა, ზუნთუ, კენტი, თოხან, ალჩუ, ორმოობა, სალაობა, აროლი ანუ ფულის ყრა, ნესვის ტკბილობაზედ დანაძლევება და გაქრა, კვერცხის ცემა ერთი მეორისგან და მოგება. აგრეთვე ყმაწვილნი ოთახოს და სხვათა თამაშობითა ითამაშებენ. ესენი სულ აზიურია, ხოლო ევროპიულნი არიან შემდგომნი ესე: 1) ბოსტონ, 2) ბანკი, 3) ფიქეთი, 4) დურაკი, 5) სვოი კოზირი, 6) გორვა, 7) ხლუსტი, 8) ციკვი. 9) ტრილოსტი, 10) სემლისტოკ, 11) ჩუხონი, 12) კოროლი, 13) ვისტი, 14) რუჩნოი ბანკი, 15) ოტკუპი, 16) ღაბლაცვეი, 17) ზამუშ. 18) მაკაო, 19) ლოტო, 20) ბეზდენღ, 21) ვმოსკოვსკუიუ, 22) პონისკამ, 23) ვფოფან, 24) ლომბერი, 25) ბილიერი, 26) ქაღალდის ფურცლებზედ ნუმრებით დასხმით თამაშობა, 27) ქვა გაქრასაეით ხით თამაშობა, ესენი სულ ვიცი და გამოცდილი ვარ.

ი ო ა ნ ე: მართლა კარგა დაღალულხარ ყომარბაზობაშია!

დიმიტრიმ გაიცინა და უთხრა: „თუ გნებავს, ყოველს გვარს გაჩვენებ, როგორ უნდა თამაშობა“. იოანეს იამა და მოიღეს ქაღალდი. გაუქრეს; იოანეს რა აჩვენეს, უთხრეს; „ფული ამოიღე, რომ ისე ანგარიში გაჩვენოთ“. იოანემ ერთი ბაჯაღლუს ოქრო ამოიღო უბიდამ და დადო მუნ. მათ ფასის გვარი აჩვენეს და სხვათა ყოველთასათამაშოთა და შარადისათა; გაუადვილეს იოანეს თითო ბისტობით უკანასკნელ აღურიცხეს, იოანეს წაეგო ბაჯაღლუ; მაშინ ჯღერიაშვილმან აიღო ოქრო იგი და წავიდა. იოანე იქმნა მწუხარე; მცირესა ხანის შემდგომად მოვიდა ჯღერიაშვილი, მოიტანა ერთი დიდის ტიკჭორით ღვინო, ხორცი, პური, თევზი, და ესევითარნი და სთქო: „ღმერთმან ააშენოს იოანე, დღეს კარგად გვიმასპინძლია“.

ი ო ა ნ ე: ვუი ჩემ თავს! მე არა ვარ მასპინძელი და არც მიყვარს ამ გვარი მასპინძლობა!

ჯ ღ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი: ჩვენ ასე დავიხვედრიებთ, ვისაც ქაღალდის თამაშობას ვასწავლით.—გაუშალა სუფრა, დასხდნენ და იწყეს ლხინი;

იოანეც იძულებით გაამხიარულეს, და უკანასკნელ დასრულდა სადილი. დიმიტრიმ რომ შეატყო დიაკვანს მწუხარება ოქროსთვის, მოიტანა და ერთი საბერო შალის საჩოხე აჩუქა, რომ ეს ჩოხად შეაკერვინე, მონასტერში კარგა გამოგადგება სამუშაოდო. სულეიმან მკერვალმან უთხრა: მე შეგიკერავ უხელფასოდო, დავით ფეიქარმან: მე საპერანგე ხამს მოგიქსოვო; ჯღერიაშვილმან: მე კი იქ მოგიტან, სადაც დგეხარო.

იოანემ იანგარიშა და სთქო: „კარგია, ერთ ბაჯაღლუთ ძლივ მოშივიდოდა!“ მადლობა უთხრა და წამოვიდა შინა.

ამჟამად გამარჯვებულნი მხედარნი და ბატონის-შვილიც მოვიდნენ ქალაქს; ბატონს მიულოცეს და მერე მოქალაქეთა ყოველთა იმ ღამეს გაუკეთეს ჩირაღდანი და ვახშამიც პატივისთვის ჯარისა. რა შუადღიდამ მეცხრე საათი შეიქმნა, აანთეს მაშინ სანთელნი ყოველმან, ფანოსნი, ვითარცა რიგი ჩირაღდნისა, და ყოველი ხალხი წარვიდა შესაქცევად და სანახავად.

იოანეც წარმოვიდა, იხილა გზასა ზედა მიმავალი ჩირაღდნის სახილველად ოდიშელი ბერი მწირი ვინმე, ახალი მოსრული; უთხრა: „ვინ ბრძანდებით და ან სად მიხვალთ?“ მან უთხრა: „ოდიშის მთით მონასტრით, სათხოვნელათ წამოსული ბერი ვარ, მწირი, რომელსაცა მეწოდების ფუჟურო“.

ი ო ა ნ ე: „რა ბერის სახელია?“ ბერმან: „ეს დამარქვეს, თორემ სერაფიმ მერქვა“. იოანემ: „ისევ ეგ უწოდე შენს თავს სახელად! მერე უთხრა მან ბერმან: „თქვენ რაღა გეწოდებათ?“ დიაკვანმან: „იოანე!“ მერე ჰრქვა ბერმან: „შვილო, იოანე, მე ამ ქალაქის საქმის არა ვიცი რა და, თუ ინებებთ, მე თან გიახლებით, ერთად ვიაროთ და გამაშინჯეთ რაღაც ჩირაღდანია“. იოანეს იამა დიაღ და წარვიდნენ ერთად. მივიდნენ, პირველად დაიწყეს მეიდნიდამ წასვლა, შევიდნენ ხარასხანის ბაზარში, იხილეს მუნ ოქროსმჭედლები, მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, ეგრეთვე ოქროის დაწყობილი და სხვა სამკაული. სთქვა ბერმან: „აბ ცოლშვილ მკვდართ, ამდენი ოქრო და ვერცხლი ჰქონებიათო!“ დია გაუკვირდა. მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი სავსე ქოშით და მაშიით; თქვა ამ ბერმან: „ბატონო, ამდენი ქოში რად უნდათ? ჰგავს, უქოშო ხალხს მოელიან საიდამე!“ რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად; რა იხილა ბერმან, სთქვა: „ბატონო, ბარე ყოველს კაცს გვაქვს თითო ბაჩის იარაღი და ამდენი რათ უნდათ? ჰგავს, უბელო ცხენიანს ხალხს მოელიან საიდმე!“ მერე იხილეს ყაზაზები და თქვა ამ ბერმან: „ბატონო, ამდენი

ძაფი და ზონარი რათ უნდათ, რა უნდა შეკერონ ამდენი?“ რა გაიარა, იხილა ყაჯარდუზები და განკვირდა ყაჯრებზედ, თქვა: „ნეტამც ერთს მაჩუქებდენო!“ მერე მივიდა მექუდეებში, იხილა გაღმა-გამოღმა მრავალი ქუდი შეკერილი, დაკიდებული, მიიხედ-მოიხედა ამ ბერმან და თქვა: „ბატონო! ბარე ყოველს კაცს თითო ქუდი ხურავს, ამდენი ქუდი რაღად უნდა, მგონია თავშიშველა კაცებს მოელიან საიდმე!“ მერე მივიდა ბაზაზებთან, იხილა მრავალი ფარჩები სხვადასხვა გვარი და თქვა: „ნეტამც ესენი ფილონებად მომცაო!“ ზურაბამ უთხრა: „სად მეერეოდი ამდენს ფილონსაო?“ ბერი: „ასე უზურგულებდი, როგორც რომ ყურძნის გოდორსაო!“ რა გაიარეს, იხილა მრავალი მაუდი და სხვა ფარჩები და თქვა: „ბარე აუკლიათ ქვეყანა, ამდენი სკალატი და ჩითი, ან ლეინი სად უშოვიათ?“ მივიდნენ, იხილეს მკერველები, განუკვირდა ბერს: „ჰგავს რომ შიშველთ კაცთ მოელიან საიდმე და ამდონი ტანისამოსი მისთვის შეუკერავთო!“ უკანასკნელ მივიდნენ ბაყლებთან, მეთევზებთან; იხილა ბაყლები; ნახა, რომე, გარეშემო სულ სხვადასხვა ხილი უწყვიათ: თევზი, ხიზილალა, წელა, ბრინჯი, ერბო და სხვა წვრიმალი; უყურა ამ ბერმან, ეგონა ხილს მითავაზებენო და, რომ ხმა არავინ გასცა, თქვა: „ბატონო ეს რა ცუდი მასპინძელნი ყოფილან, არცა არა თითონ სჭამენ, არც სხვას აჭმევენო, ნეტამც ეს თებზი, ხიზილალა და წელა მომცა ჩვენის მონასტრისთვის, რომ ჩვენი ბერები გავაძღო ამითაო“. იოანემ იცინა ბევრი და მერე იხილეს ყასბები და მრავალი ხორცი დაკიდებული ჩანგლებზედ და თქო ამ ბერმან: „ბატონო, რა დაუშავებიათ ამათ, რომ რკინის ჩანგლებზედ დაუკიდიათ ეს კაცის ხორცებიო?“ ზურაბამ უთხრა: „არა, ბატონო, ეს გასასყიდელი ხორცია ცხვრისა და ძროხისა“. ბერმან თქვა: „ღმერთმან მაშოროს, რომ მე ჩანგალზედ დაკიდებული ხორცი ვჭამო, ბარე ასე გამიგონია, რომ თათრის ქვეყანაში ჩანგალზედ ჩამოჰკიდებენ კაცსაო!“ გამოიარა, იხილა მეჩონგურები და საკრავის მკეთებლები, დუქნები ნახა სავსე ჩონგურით და დაირითა, თქვა: „ბარე ეს ქალაქი ზედმოსაკრავე ყოფილა, თორე ჩვენში ან ორს აქვს და ან სამს, რა არის ამდენი საკრავიო?“ იქიდგან მოვიდნენ ალაფეფშია, სადაც პურს ჰყიდდენ და აცხობდენ: „ბარემ ამდენი პური რად უნდათ? ჰგავს მშიერს ხალხს მოელიან საითმე!“ მერე მოვიდა მეჭურჭლებთან, იხილა ესეოდენი ჭურჭელი, თქვა: „ბატონო, ამდენი ჯამი, თეფში, რად უნდათ, ყოველ კაცს აქვს თავის სახში ჭურჭელი, ჰგავს, რომ უჭურჭლო ხალხს მოელიან საითმე!“ იხილა მერე ნალბანდები, განკვირდა და თქო: „ბარე ამდენი ლურსმანი და ნალი სად მოუჭრიათ? ჰგავს რომ ბევრ ცხენს ელიან საიდმე ფეხში-

შველაებს!“ მოვიდა მერე, იხილა სირაჯხანა დიდროანის რუმბებით და ტიკებით, ღვინოები და არაყი, იკითხა: „ამდენი კოლოტი რათ უნდათო?“ უთხრეს: „ესე სულ ღვინოებით არის სავსე, თქვა: „ბარე ყოველ კაც აქვს მარანი, ჰგავს რომ ღვინო ვისაც არ მოზდის, მისთვის მოუგროებიათ ესე ღვინოები!“ მოვიდა მექვაბეებში, იხილა მრავალი ქვაბი და სპილენძის ჭურჭელი, და თქვა: „ბარე ყოველს კაცს თითო და ოროლი ქვაბი აქვს და, ჰგავს, უქვაბო ხალხს მოელიან საითმე!“ დაბრუნდენ მუნით, იხილეს ბარდანეებით ბამბები, თქვა: „ყოველს კაცს თითო ზუბუნი აქვს და ბამბა უძევ, აგრეთვე საბნები, რათ უნდათ ამდენი ბამბა? ჰგავს, რომ უზუბუნოს და უსაბნო ხალხს მოელიან საითმე“. მივიდა მერე ჩილინდრებში, იხილა კლიტეები და გასაღებნი მრავალი და თქვა: „ბარე ამდენი კლიტე რათ უნდათ, სად იშოვნიან ამდენ ზანდუკს, რომ დაჰკეტონ? აგრეთვე სხვა საწვრიმალო, გაუკვირდა. მერე მოვიდა ხარაზებთან, ნახა მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხთსაცმელი და თქვა: „ბარე ყოველ კაცს აქვს წაღები, ჰგავს რომ უწაღო კაცებს მოელიან სითმე!“ მერე მოვიდა, იხილა ქურქჩები, ბეწვეული და თქო: „ამ ცოლშვილ-დახოცილთ, რამდენი მელი, მგელი, დათვი, კვერნა, ტურა უნადირნიათ; ბარე ამათთანა მონადირე ოდიშშიაც არვინ მინახავს!“ მაშინ ზურაბამ: „თქვენ ნუ მომიკვდები, ეს შარიმან და მელქუა ქურჩი მოფრინვალე ფრინველსაც არ დააცილებენ თოფს!“ ბერმან: „ნეტამც ოდიშში იყვნენ ესენი, რომ ტურა ბევრი იცის და სულ გავაწყვეტინებდით!“ იცინეს და გაიარეს. მოვიდნენ, ნახეს ლილახანა, დიდროანის ქვევრებით სავსე, თქვა ამ ბერმან: „ბატონო, აი კარგი მარანი ღვინისა ეს არის!“ ზურაბამ: „ისემც კარგა ხარო:“ ბერმან: „რა ვარ?“ ზურაბამ: „ეს სულ ლილა-არის!“ განკვირდა ბერი და უთხრა: „ბარე ჩვენში წამლათაც ძლივ ვიშოვით, ეს როგორ იქნებაო?“ მერეთ აჩვენეს, და განუკვირდა და თქვა: „ბარე მთლად შეღებავს ამ ქალაქსაო!“ წავიდნენ მუნიდგან, მივიდნენ ისევ მოედანზედ, იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები, და ხლმის მკეთებელნი, განკვირდა ბერი ესე და თქვა: „ყოველს კაცს უკრავს თითო ჩახმახი თოფზედ და ყოველს არტყია ლეკური და აქვთ თოფები, ჰგავს, რომ მოელიან საითმე უთოფოს და უხლმოს კაცებს!“ მოვიდნენ მერე შუაბაზარში მეწვრიმალებთან, იხილა ამ ბერმან საწვრიმალო, დია განკვირა იმ განწყობილობას და თქვა: „ამ ცოლშვილ-მკვდართ სად მოუგროებიათ ამდენი დანა, მაკრატელი, ნემსი, სარკე, ჭიქები, ამდენი სურნელი და სხვა ნამგლები და ესდენი შაქარი?“ იოანემ უთხრა: „ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე სავსებით უნდა იყოს, რომ ერთი ქალაქის დიდება არის, და მეორე

ქვეყანა გამდიდრდება ვაჭრობით. ვისაც არა ექნება სახლში და ფული ექნება, იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობს". ბერმა: „ნეტამც ამ რიგს ჩვენს ქვეყანაშიაც მისცემდეს ვინმე!" მერე დაპატიჟა ვახშმად იოანემ და წარვიდენ იოანეს სადგომს, მოიღეს ვახშამი, და რა მცირედ შეეჭცნენ, იმუსაიბეს.

ბ ე რ ი: ბატონო იოანე, მიბძანეთ, ეს ჩირაღოვანი ვისგან არი შემოღებული?

ი ო ა ნ ე: ესე ჩირაღოვანი, თათრულად ჩირაღდანი, ესე იგი მთებარე, ხოლო ბერძნებ ზისორენ, ლათინურად ლუმენაცია, რომელიც ნიშნავს ნათელ-ბრწყინვალეს. ქართველნი ძველად ეძახდენ ლამპარმნათთა, ახლა ჩირაღდანს ხმარობენ.

ესე რომის კეისარმან განაწესა მიზეზითა მით, ოდეს ყოველს სოფელს იპყრობდა, სეკდენბრისთვის პირველს დღეს უწოდა ინდიკტიონი, რომელ არს ახალი წელიწადი, განყო თუთხმეტს წლად, და ეს ათუთხმეტი წელი სამად გაყო, თვითეულს ხუთსა წელსა შინა ყოვლისა ქვეყნიდამ და ნათესავიდამ აღიღებდის ხარკს. პირველსა ხუთთა წელთ ლისოსენ უწოდა (რომელ არს ბრწყინვალე), რამეთუ მას ჟამსა შინა, ოდეს პირველს ხუთეულს წელს ხარკსა მისცემდენ, მაშინ ლამპრებით განიხარიან, და ამას ყოველნი მუნ მცხოვრებნი ქალაქის ერნი ჰყოფდიან, და ესე რაზედ იყო ხარკი: პირველს უკვე რიცხვის ხუთს წლისას, სპილენძ და რვლიანს უძღვნიდეს, მეორეს ხუთეულს წელსა—ვერცხლს, ხოლო მესამესა შინა ხუთეულს—ოქროს. მისთვის ათუთხმეტს წელსა ინდიკტიონად იპყრობდეს, და კვალად პირველიდგანვე იწყიან, ათუთხმეტად აღასრულიან. ხოლო რიცხვი ესე წელთანი, ვიდრე დღედმდე იესო ქრისტეს, საცნაურ იყო წელსა შინა პირველს დღესა სეკდემბერის თვისას. მეფე ჩვენი შევიდა ტაძარსა ჰურიათს და იკითხვიდა წიგნს ისაია წინასწარმეტყველისას, სადა იგი წერილ არს ესრეთ, ვითარმედ „წელიწადი უფლისა შეწყნარებული" და სხვანი. მისთვის დღესასწაულობს ეკკლესია პირველსა მას დღესა ინდიკტიონისას, რამეთუ მას დღესა შინა შევიდა ქრისტე ეკკლესიასა და გამოუჩნდა მუნ მყოფთ, მასვე დღესა შინა ეკკლესია ქრისტესი მადლობასა შესწირავს ღვთისა ნაყოფთა მიერ მას წლის მიღებულისთვის. და მოძავალთა წელთათვის ევედრების, რათა ქვეყანამან გამოსცეს ნაყოფი თვისი.

ხოლო უკანასკნელ განაწესეს ჩირაღოვანი სხვადასხვა შემთხვევისთვის, ესე იგი: გამარჯვებისთვის მტერთ ზედა, მეფეთ კურთხევის და ტახტის აღსვლისთვის. ეგრეთვე მეფეთა და ხელმწიფეთა ქორწინებისთვის და შვილის მიცემისთვის ანუ დაბადების, დიდის ხელ-

მწიფეების ერთმანერთში მშვიდობისა, შერიგებისთვის ჟამსა აშლილობისას; ეგრეთვე ერთმანერთთან წვევისა, რომ ერთი ხელმწიფე მეორე ხელმწიფეს ეწვიოს. ესევითართა დღესასწაულთა შინა, შობას, ახალ-წელიწადს, აღდგომას აღანთებენ სამთელთა ყოველნი ქრისტიანენი თვისთა ეზოებთა და ქუჩებთა ზედაც; ესე ჩირაღოვანნი ვის როგორ ძალუძსთ, იმ სახედ წარმოადგენენ ბეწკირლის[?] ბროლისა კანდლებით დამოკიდებით ქონითა, ანუ ზეთით აღნთებულთ, რომელნიმე ვარსკვლავების სხივის სახედ, რომელნიმე გზის სახედ, რომელნიმე სამკუთხეებად და რომელნიმე მთოვარის სახედ, ერთის სახლის თავიდამ ბოლოს დასასრულადმდე; აგრეთვე დახატვენ ტილოთ და წმინდათა მამებთა ზედა ფერადად, რაც საქმეს უწარმოვნია, იმ შემთხვეულებისას, ანუ შემსგავსებით მეტოლოღიურის, და დასდგმნენ ქუჩათა შინა და უკან აღუნთებენ ფანოსთა, იგი წარმოდგენილი ყოველთათვის იქმნების სახილველ, ხოლო ესგუარნი ჩირაღდანნი ხშირად უფრორე იციან ევროპიელთა.

ხოლო აზიელნი ესგვარ, ვითარცა ვიხილეთ, განაბრწყინვალებენ ყოველნი ხელოსანნი თვისთასა დუქნებთა და თავისა სავაჭროს, მუნიდამ სდებენ და დაიწყებენ, გაიკეთებენ ვახშამს, აღანთებენ მრავალთა სანთელთა და საკრავითა და სიმღერითა და ლხინითა ისე განატარებენ იმ ღამეს.

აგრეთვე ესეც ჩაიგდების ჩირაღდანთა რიცხვთა შორის, რომელ, ოდეს ხელმწიფე ანუ მეფე მივალს ერთს ქალაქიდამ მეორეში, ანუ სატახტოს ქალაქს საკურთხეველად, რომელსაც ქუჩაზედ განივლის იგი, მუნ მოსახლენი და მესადგურენი გაღმით და გამოღმით გააღებენ ფანჯარათა და ძვირფასს ფარჩებთ გარდმოჰკიდებენ ყოველს ფანჯარაში, მუნიდგან ხალხნი სალამს მიართმევენ. ესე უფრორე იციან ევროპიელთ, ვიდრე აზიელთ: და აზიელნი, ოდეს ხელმწიფე შევა ერთს ქალაქიდამ მეორეში, მაშინ მუნებურნი ვაჭარნი ფარჩას გაუშლიან შესავალს ქალაქის ბჭეშია და ზედან გარდაუვლის ხელმწიფე თუ ხანი, ამას უწოდებენ ფიანდაზს, და მას ფარჩასა შათირნი წაიღებენ თავისთვის.

შემდგომად მისა მოიღეს ფლავი, მიართვეს იოანეს და ამ ბერსაც. რა იოანემ ხელი მიჰყო და დაუწყო ჭამა, ამ ბერმან: „ბატონო, რასა იქმთ მაგას? ჭინჭველის კვერცხს ვითარ სჭამთ, დათვი ხომ არა ხართ? ეს რა ვნახე! რა სცოდნიათ ქართველთ?“

ი ო ა ნ ე : არა, მამაო, ეს ბრინჯი არის, ფლავს ვეძახით, დია კაი საჭმელია!

ბ ე რ ი : მართალს უბნობთ? ნუ თუ ბრინჯია ასე გაკეთებული?

ი ო ა ნ ე: „მერწმუნეთ“. უთხრა: „მცირე ნახეთ გემოთ!“

ბ ე რ ი: ბატონო, არ გამხეთქოს ამ ჭინჭვლის კვერცხმან!

ი ო ა ნ ე: „მერწმუნე, არ მოგატყუებ!“ მაშინ ბერმან აიღო სამიოდ მარცვალი და ცერცვივით შეიყარა პირში და უთხრა: „ბატონო, მართლა გავღეჭო?“

ზ ურ ა ბ ა: არ იქნა, ბერი გატყუებს, არ გაგხეთქოს!

ბ ე რ ი: „ვაი ჩემს თავს!“ გამოფურთხა. ბევრს ეცადნენ და ვერღა აჭამეს; უთხრა ზან ბერმან: „ბარე დათვებივით დაჩვეული ყოფილხართ ჭინჭვლის კვერცხის ჭამას და თქვენ მისთვის სჭამთ, თორემ ქრისტიანე კაცისაგან ვითარ იჭმება ეგე?“ ესრეთ სიცილით დაასრულეს ვახშამი; იმ ღამეს იქ დააძინა ის ბერი იოანემ. ხვალისადღე დილით წავიდა იოანე აბანოში და ეს ბერიც წაიყვანა.

რა აბანოსა შინა მივიდნენ, განიხადეს ტანთ და ამ ბერსაც გახადეს, და შევიდნენ შიგნით აუზებთან; რა ამ ბერმან იხილა აუზნი, სავსენი ცხელის წყლით, და ოხშივარნი აღმავალნი, სთქვა: „ჩვენში თუმც იციან მცირე ქვაბებით მდულარე, რომ შეწამებულს კაცს ხელს ჩააყოფინებენ იდაყვამდინ და იქიდამ ჯვარს ამოაღებინებენ ჩადებულს მას შინა რკინისას და, თუ არ დაეწო მკლავი, მართალი იქნება და, თუ დაეწო, მტყუანი, აქ ბარე საკვირველად დიდი ქვაბები სცოდნიათ, ამაში მგონია კაციც მოიხარშოს.

ი ო ა ნ ე მ უთხრა: მაგ ერთს აუზში თქვენ ჩადით და მაგაში იბანეთ!

ბ ე რ ი: ბატონო! რავარ ჩავიდე ამ მდულარეში, რის დანაშაულისათვის? „აშოროს“, გეტყვი, რომ არა მომეპაროს რა!

ი ო ა ნ ე: არა, მამაო, ისე მოგახსენებ, ჩაბრძანდით მაგ აუზში!

ბ ე რ ი: შენ ნუ მომიკვდე, რომ არ ჩავიდე და „აშორამცა“ არის ღმერთი, რომ სიავკაცე არა მიქნია რა და რისთვის მაგდებთ ამ აუზში? თუ არ დაიშლით, ბარე ჩვენებური ქვაბის ოდენ ქვაბი მოატანინეთ და იმაში ჩადევით ეს ჩემი სპილენძის ჯვარი და ეს მდულარე წყალი იმაში ჩაასხით და ამოვიღებ ჩემის გულის სიმართლით და მაშინ სცნობთ ჩემს ეშმარიტებას.

იმა ლაპარაკსა შინა რომ იყვნენ, მოეპარა ზურგიდან ზურაბა, ჰკრა ხელი ამ ბერს და ამა აუზსა შინა შთააგდო. ერთი დაიყურყუმალავა ამ ბერმა და მერე ფეხზე დადგა და უთხრა: „ასემც შენი ცოლშვილი დაიწოს, რავარც მე გამფუფქეო“, და ამოვიდა აუზიდამ, ნახა, რომ არა ვნებოდა რა; რა კარგა თავისი სიმრთელე გამოსცნო, სთქვა მერეთ: „აკი მოგახსენე, ბატონო, რომ მართალი კაცი ვარ, და ნახეთ, თუ რავარ მთლად ამოველ, ახლა მაინც დაიჯერეთ!“ რა იოანემ

იხილა მისი იმგვარი სიმარტივე, უთხრა: „დაბძანდი ამ ტახტზედ, ტანი დაგბანონ“, მისცა საპონი. მოვიდა დალაქი მეაბანოვე. იოანემ უთხრა: „ქისა წაუსვი მაგ საბრალო ბერს და კარგათ აბანეთ!“ მაშინ მიჰყო დალაქმა ხელი და, რა ქისის სმა დაუწყო ამ ბერს, სთქვა ამა ბერმან: „ბატონო იოანე! ეს ცოლშვილ-მკვდარი დალაქი რას მიქამანჩებს ამდენს, ბარე, შენ ნუ მომიკვდები ტყავი გუდასავით გამაძროს!“ იცინა იოანემ და უთხრა: „აჰა, მიყურე, მეც მაგგვარ მაბანებენ“. და უკანასკნელ იოანეც რომ ჩავიდა აუზში და მთლად ამოვიდა, ამ ბერმა უთხრა: „ბატონო, თქვენც მართალი კაცი ყოფილხართო, რომ მაგ მდუღარემ არ დაგწოთო!“ იოანემ უთხრა: „არა, ძმაო, ეს წყალი არ დასწომს კაცს, ეს საბანებელი წყალია!“

ბ ე რ ი: ბატონო, ამ სიდიდე ქვაბებს სიდგან უკიდია ცეცხლი, და ან რავარ ათბობენ ამდენს წყალს, ვინ მისცათ ამდენი შეშა?

ი ო ა ნ ე მ უთხრა: ესენი არ არის ქვაბები, ეს ქვით და კირით აშენებული აუზებია, ეს წყალიც თვითონ ბუნებით თბილი წყალია!

ბ ე რ ი: მართლა უბნობთ, ბატონო? რავარ თბება თავის თავად ეს წყალი? იქნება ჯოჯოხეთში ეშმაკები ათბობდნენ ამ წყალს და იქიდამ მომდინარეობდეს?

ზ უ რ ა ბ ა: ეშმაკები კი არ ათბობენ მაგ წყალს, ეგ წყალი ეშმაკების შარდია!

რა ესე მოისმინა ბერმან, სთქვა: „კი, შენ ნუ მომიკვდები, სუნიც სწორედ ფსელს უგავს“. და ადგა და თქვა: „წავალ, ჯვარს გავავლებ მტკვრის წყალში და ხელახლა მოვინათლებიო“. და წასვლა დააპირა.

ი ო ა ნ ე მ უთხრა: უი ჩემ თავს! რასა იქ, ბერო, გატყუებს ეგ კაცი, სად იქნება ან ჯოჯოხეთის წყალი, და ან ეშმაკების შარდი? მე გეტყვი, როგორც არს, შინ რომ მივალთ!

და მერე რის ყოფით დაბანეს ტანთ და გამოვიდნენ, შთაიცვეს ტანსა და წარვიდნენ სადგურს თვისსა. რა შინ მივიდნენ, ბ ე რ ი: ბატონო, მიბრძანეთ, თუ რაგვარ არს იმ წყლის საქმე და ან ვისგან თბება, და აქამდინ რით ვერ გაცივდა?

ი ო ა ნ ე: წყალნი მრავალ რიგათ გაიყოფებიან, რომელსაც რაცხვენ ექვს გვარად: 1) არის წყლად ჩაგდებული, რომელიც ჩვენს ატმოსფერის ფოსფორთაგან გადმომდინარდებიან, ანუ ჩვენს ჰაერისაგან, ესე იგი: წვიმა, თოვლი, სეტყვა, 2) არის წყალი წყარონი, 3) მდინარენი, 4) რჟანი, 5) ბალყუმი ანუ ჭაობიანნი, 6) ზღვისა. და ამათ გაყოფით სცნობ შემდგომად, ვინაიდგან მე არა მაქვს ამჟა-

ად მოცალება ყოველთა თქმად თვითეულად. ხოლო თბილის წყლისთვის იმცენ ესრეთ, რომელ — ოდესაც წყალი მომდინარეობს მიწასა ანუ კლდეთა შორის და რომელსა შინა არს რკინის მადნის სახედ და მასთან შერეული გოგირდი, ესეგვარსა ადგილს შინა მომდინარე წყალი იქმნების თბილი ანუ ძრიელ ცხელი; და კვალად მიზეზითა მით, რომელიც ხვრელთა შინა გამოსადენთა წყალთა შემჭიდროებით გამოვალს წყალი, მაშინ ესე თავისთავად შეიქმნების ცხელი.

ესრეთ დასრულდა უბნობა. ბერი მმადლობელი იოანესი, წარვიდა თვისთა ამხანაგებთანა, ხოლო იოანე სახვალიოდ განემზადა სომხითისკენ.

ხოლო ხვალისადღე აღკაზმეს ცხენები და წარვიდნენ ზურაბა და იოანე სომხითში; რა გასცილდნენ სეიდაბადის ბაღებს, იხილეს მუნ მიმავალი ერთი ცხენოსანი კაცი და რა მიუახლოვდენ, იოანემ და ამა კაცმან ერთმანერთს ცქერა დაუწყეს და კარგახან შინჯეს ერთმანერთი. მაშინ იოანემ უთხრა: „მამაო, მეცნობით, ამ სამის წელიწადის წინ გიხილეთ თელავს და ვეღარ მოვიგონე სახელი და გვარი თქვენი!“ მან კაცმან უთხრა: „ბერო, მე შანშიაშვილი ვარ გვარით, მამა ჩემი ბატონის მოლარე არის, გოგია, მე იმისი შვილი ვარ. იარალი, და თქვენ ვინა ბძანდებით?“ ბერმან: „მე ხელაშვილი ვარ, იოანე ბერი, თელავს დავით რეკტორს ვებარე“. იარალი: „დიაღ“, გარდაეხვია და აკოცა, მოიკითხა და მერე ჰკითხა: „საით აპირებთ მგზავრობას?“ იოანემ: „სომხითს და მის გარშემო ადგილთა შინა“.

ი ა რ ა ლ ი: მართლა კარგს დროს აპირებ სიარულს, ბატონის-შვილი დავით ამ ორს-სამს დღეში ბორჩალოს მიბძანდება და ალექსანდრე ბატონისშვილი შულავერს, ფარნაოზ ბატონის-შვილი დემურჩასალაში. უთუოდ კარგად იშოვნი, მეც ბოლნისს მივდივარ და, თუ მე გამომყვებით, სადილად მარაბდას მივიდეთ; ზაალ მდივანბეგი, საამის-შვილი, იქ არის და ვახშმად ჩემსას მოდი და მერე იქიდამ შულავერს მიდი.

იოანეს დიაღ იამა, მადლობა უთხრა და წარვიდნენ ერთად.

სადილის დროს მივიდნენ მარაბდას; იარალი ჩამოხტა ცხენიდამ, მივიდა ზაალ მდივანბეგთან. დია იამა ზაალს, მოიკითხა, ანბავი ჰკითხა; იარალიმ მადლობა მოახსენა და სხვაც რაც იცოდა, ამბავი უთხრა. მერე მოახსენა: „აქ ქვაბთახევიდამ ბერი გახლავთ, სომხითს და თათრებში წამოსული სათხოვნელად“. ზაალმა მაშინვე მიაყვანინა იოანე. რა იოანემ ზაალ იხილა, მოახსენა: „მშვიდობა თქვენდა, მდივანბეგ ყორაიასაულბაშო!“

ზ ა ა ლ: სულისაცა შენისა თანა, უკურთხო დიაკვანო!

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს, რად მკიცხავთ?

ზ ა ა ლ: ჩოხანაკურთხი ხარ თუ არა?

ი ო ა ნ ე: დიაღ.

ზ ა ა ლ: მაშ, ახლა ნაკურთხს დაგიძახებ!

ი ო ა ნ ე: მსაჯული ბძანდებით და, როგორც გინდათ, ისე ინებეთ!

ზ ა ა ლ: სჯულს გარეთ ვერას ვიქთ, თორემ ეს წისქვილი მე უფრო მეკუთნის ამ ჩემის სახლის კაცებისგან და ჯერ არც კი მაძლევენ დავფქვა რამე ჩემთვის.

და წარვიდა წისქვილისაკენ, იოანეც თან წაიყვანა. შევიდნენ ამა წისქვილში, ნახეს ათთორმეტი ტომარა ხორბალი სულ სხვისა და სხვისა, და ყოველი კაცი ცდილობს უწინ დააყარონ ხვიმირს, და ამაში აბნევენ და ჩხუბობენ: „არა მე უწინ დავფქვავ და არა მე“, ამაში ებნეოდათ ბევრიცა.

ი ო ა ნ ე მ უთხრა: ბატონო ბარათაანო, რიგ-რიგით დაფქვით, არც შფოთი გექნებათ და არც პური დაგებნევათ.

კ ი კ ო ლ ა თ ა ყ ა შ ვ ი ლ ი: ბატონო ბერო, გვშიან, დროზედ მინდა დამეფქვას პური!

ი ო ა ნ ე: ამ ჩხუბში უფრო ხანი გამოდის და როგორ მალე დაფქვავ?

კ ი კ ო ლ ა: შენმა მზემ, თავრიზში უფრო ჩქარა ვფქვავდი!

ი ო ა ნ ე: თუ იქაც ასე ფქვავდი, მაგდენი ფქვილი არა გექნებოდა რა!

კ ი კ ო ლ ა: ბრინჯი ბევრი მქონდა.

ი ო ა ნ ე: ბრინჯი უერბოოთ არ ვარგა. კოვზით სჭამდი, თუ ხელით, თუ პირით?

კ ი კ ო ლ ა: „აი ასე ვჭამდი“—ერთი თიხა ფქვილი აიღო და პირში ჩაიყარა; ეს ფქვილი მიეკრა ხახაში, დაიწყო ფურთხვა და სულ ტანისამოსზედ გადაედინა.

ზ ო ო ბ ა: „ახლა ხარ სწორედ მეწისქვილე“; და იცინეს ყოველთა, და მერე იოანემ მოახსენა მდივანბეგს: „ბატონო, ან ასე ინებეთ ყოველმან კაცმან, თითო-ოროლა ლიტრა დააყარეთ ამ წისქვილსა ხორბალი და, როცა დაიფქვას, როგორც გაგხვდეთ ფქვილი, ისე გაიყავით, რადგან გაკლიათ ფქვილი“.

ზ ა ა ლ: ვაჟო, უცხო სამართალი გაგვიჭერ!

და ამით მორიგდენ. მაშინ ზაალმან მოაღებინა სადილი და დასხდნენ იმ წისქვილის მუნ პირზედ ჭანდრის ქვეშ და, რა კარგად შეექცნენ, ზაალმა უთხრა იოანეს: „მე რუსეთში ნამყოფი ვარ და იქ

ხმარობდენ ხშირად ლექსსა ამას მსაჯულთ ხელქვეშეთნი „იურის პუდენცია“, და ვერ მივხვდი, თუ რა მნიშვნელობა აქვს“.

ი ო ა ნ ე: ეგე ლექსი ნიშნავს, სჯულებთ გამოცდილებასა.

ზ ა ა ლ ს იამა და უთხრა: რაჲ არს სჯულის გამოცდილება?

ი ო ა ნ ე: სჯულის გამოცდილება არს სწავლა სჯულთათვის, ჩვეულებათა და საზოგადოთ დაწესებათა მათ, რომელნიც ხმარობენ მიზდა, რათამცა ყოველთა უკვე წევრთა საზოგადოებასა შინა მისცენ მსჯავრი და სამართალი.

ზ ა ა ლ: რაოდენ გვარად სდებენ სწავლასა ამას?

ი ო ა ნ ე: სამგვარად უფრორე, ესე იგი, სამართალსა ზედა ვნების, სამართალსა საეროსა და სამართალსა სამოქალაქოჲ სასა.

სამართალი ბუნებითი არს იგი, რაჲსაცა შეამცნებს ანუ შთააგონებს კაცს ბუნებაჲ და მრთელი უკვე სამსჯელოჲ; ესე ვითარნი არიან სხვათაც შორის შემდგომნი უკვე სამართალნი: არა ქმნად მისა სხვათადმი, რასაც არა ვისურვით თავისთვის ჩვენისა; ეგრეთვე მოგერებად პირისპირ ჩვენსა მტერნი ანუ ესეგვარნი უკვე კაცნი, რომელნიც გვეუსამართლოებიან, და არა მართლიად გვდევნიან ჩვენ; ესსახედვე მშობელნიც მექონ არიან სამართლის მიცემულისა მათდა ბუნებისაგან შვილთა ზედან თვისთა და სხვანი.

სამართალი სახალხო ანუ საერო მდგომარეობს რომელთამე დაწესებათა და ჩვეულებათა შინა, შემზგავსებულთა სამართლისადმი ბუნებითისა და მიღებულთა ყოველთა სწავლულთა ერთაგან; ხოლო ესე გვარნი უკვე დაწესებანი აღკრძალვენ და დააყენებენ ურთიერთისადმი ერთაგან ზედადასხმასა, უსამართლოებას და მძლავრობას, აგრეთვე განაფრთხილებს შეურაცხყოფას და შეწუხებასა სტუმართა და უცხო კაცთ; აგრეთვე დაცულ ჰყოფს საქმეთა შინა მყოფთა და სხვათაც, რათა არა ერთის ხელმწიფის ანუ მეფის, გინა სხვისა საზოგადოებისა წარმოვლენისა დესპანისა ანუ ელჩისა არავინ ექმნეს განმარისხებელ და შემაწუხებელ.

სამართალი სამოქალაქოჲ დაფუძნდების სჯულთა მათ ზედა, რომელთაც აღირჩევს თვითვეული უკვე საზოგადოებაჲ, რათა იქმნენ მათ მიერ წარმოებულნი.

ზ ა ა ლ: საჭირო არს, რათა უწყოდენ კაცთა სჯულნი მამულის თვისისანი?

ი ო ა ნ ე: იგი ფრიად საჭირო არს ყოველთა კაცთათვის, რათამცა უწყოდენ მით, რამეთუ ჩვენ ყოველნივე ვართ და ვიქმნებით მცხოვრებელ სჯულთა ქვეშე. უმეტეს უფრორე საჭირო არს უწყებად სჯული ესე მათთვის, რომელნიც მეცადინეობენ დაპყრობად

ვითარისამე, გინდ იყოს ადგილსა სახელმწიფოსა შინა, ამად რომელ დამწყებნი თვით მდაბლისა ხარისხისა ანუ თანამდებობისაგან, ვიდრე აღსვლადმდე უმაღლესის ხარისხისადმდე, მიწევნილი მას შინა ვერაოდეს შემძლებელ იქმნების ტვირთვად პატიჟთა და სარგებლობათა, უკეთუ არა მეცნავ იყოს სჯულისა გამოცდილებისა და სწავლათა მისთა.

ზ ა ა ლ: ჩვენს ქვეყანაში რაოდენ გვარს სამართალს ხმარობდენ ძველად?

ი ო ა ნ ე: ძველადგან რომ გავშინჯოთ, არსადა ჩანს წერილი, რომ ჰქონოდეთ სრული სამართლის წიგნი, გარნა რომელიმე ჩანს ვითარცა სწერია „ქართლის ცხოვრებაში", ფიცი სადაო საქმეზედ, შეწამებისთვის, ცხენებით გასვლა და ერთმანერთის ბრძოლა; ვინც ჩამოვარდებოდის, ის გამტყუნდებოდის. აგრეთვე სიკვდილიც, აგრეთვე დაბრმავებაც; აგრეთვე შეწამებულის შანთის გაგდება; მდულარეში ხელის ჩაყოფა და რკინის ამოღება; სისხლიც, ვინ ვის მოჰკლავდეს და სხვანი.

ხოლო ოდეს მიიღეს ბერძენთ სარწმუნოება ქართველთ, მაშინ უფრო ბაძვიდენ ბერძენთ ყოფა-ქცევას, გარდმოიღეს მოსეს სამართალი, ბერძენთ კეისრების სამართალი, სომეხთ მეფეთ სამართალი, აგრეთვე აღბუღა ჯაყელის ათაბეგის ახალციხელისა. აგრეთვე კათალიკოზის, და მერე კიდე გააკეთა და უფრო შეამსუბუქა ვახტანგ მეფემან, რომელიც ახლა უფრორე იმას ხმარობენ. ესენიც თქვენც გეცოდინებათ, მე არღა გავაგრძობ. მთის კაცთა* იციან ბჭეები, ისინი ვითარ გასჭრიან სამართალს, ორივე კერძო დასჯერდება და მათ ჩვეულებაც სხვა არს.

ზ ა ა ლ: კარგა თქვი და მითხარ: მდივანბეგი ანუ მსაჯული ვითარი გვამი უნდა იყოს?

ი ო ა ნ ე: უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერთგული. მეორე—დიდის კაცის შვილი, რომ არვისი ეშინოდეს, მესამე—სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ქნას რა. მეოთხე—მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს. მეხუთე—პირუთნებელი, მეექვსე—ჭკვიანი, მეშვიდე—არა ქრთამის მოყვარე, მერვე—საზოგადო გულისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და იმის მაარეს არ დაიჭიროს სამართალი, მეცხრე—ღვთის მოყვარე.

ზ ა ა ლ: ბერო, სულ სანთლით** რომ იარო, მაგისთანა კაცს ვერ იშოვნი ჩვენში!

ზ უ რ ა ბ ა: ბატონო მდივანბეგო, როგორც ასე შემკობილს კაცს ვერ ვიშოვით, კიდეც იმისთვის გვაქვს სწორე სამართალი!

---

* წინა გამოცემებში „ღვთის კაცთა".
** წინა გამოცემებში „სამართლით".

ზ ა ა ლ: ასე თქმულა: „ქართლში სამართალი არც ქნილა და არც იქნებაო“.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! მაშ ტყუილად გრქმევიათ მდივანბეგობა!

ზ ა ა ლ: ვაჟო, სარჩოს გულისთვის დამარქვეს მდივანბეგობა, თორემ, რაც შენ მოთვალე, არც გამიგონია, არც წამიკითხავს.

ი ო ა ნ ე: მაშ, მოგაგონდებათ. ისე გასჭრით სამართალს.

ზ ა ა ლ: ჩვენ სულ ეგრე ვსამართლობთ, ახლა რაც გინდა ქმენ.

და მერე დასრულდა სადილი, იოანე გამოესალმა და იარალიც, გაემართნენ ბოლნისისკენ.

რა ბოლნისს მივიდნენ, იქ იარალიმ იოანე მიიყვანა და იქაურის გზირის სახლში ჩამოახდინა, თითონ წავიდა სანახავად თავისი ბაღის და ძროხების და გუთნეულის და ვახშამი მოამზადებინა. იოანეც დაბინავდა; რა ვახშმის დრო შეიქმნა, იარალი მოვიდა, ვახშამი მოაღებინა და დაიწყეს ვახშამი, სხვადასხვა ჭაშნიკები აჩენა. იოანეს დია მოეწონა და თქვა: კარგი ღვინო სცოდნია ამ ქვეყანას!

ი ა რ ა ლ ი: ძველად ამდენი ღვინო ყოფილა აქ, რომ თითქმის სომხითში აქიდამ ყიდულობდენ; ასე გასინჯეთ, რომ შვიდასი საპალნე ღვინო ჩვენს ზვარს თურმე გამოუვიდოდა და ახლა ათი საპალნეც არ მომდის მტრის გამო. იმ ლაპარაკში რომ იყვნენ, მთის ყარაული მოვიდა იარალისთან და უთხრა: „ბედენს მოვიდა ლეკის ჯარი ახალციხიდამ, ბინდი იყო, კარგა ვერ გავშინჯე, მაგრამ დიდ ჯარს ჰგავს, და გავფთხილდეთ, აქ არ მოგვიხდეს. სხვაგანაც გავგზავნე ჩემი ამხანაგები და შევატყობინე!“ იარალიმ დაუმადლა იმა კაცს, დასო ისიც ვახშმად და სოფელი გააფთხილა. მაშინ გზირმან თქვა: „ნიკოლაოზ ყაფლანის-შვილი სარდალი ემ ვაზელოში დგას და ვისი გვეშინიან?“

ი ო ა ნ ე მ უთხრა: გზირო, ჯარი ჰყავს თუ არა ნიკოლაოზს?

გ ზ ი რ ი: თავისი ამალა ჰყავსო.

ი ო ა ნ ე: მაშ, შვილო, მაგას ნუ მიენდობი, ამაღამ ფთხილად ვიყვნეთ!

რა ვახშმისაგან მოიცალეს, ყველანი თავ-თავის ბინაზედ წავიდნენ. იარალი და იოანე იმავე სახლში დარჩნენ და მერე დაიძინეს. რა შუალამე გარდავიდა, ამა სოფელში ერთი კიჟინა და ხრიალის ხმა მოესმათ, და მერე შეიქმნა ყვირილი: „არიქა, ლეკი მოვიდა“. ამასობაში წამოხტა იოანე, აღიღო თოფი ზურაბისი და იარალი და კარებს მოუჯდა, იარალის უთხრა: „შენ ბანს უყურე, მაგ ბოგას მოეფარე და თოფი მარჯვედ იქონიე“. იმ გზირსაც უთხრა იარალიმ: „თოფი აიღეო!“ იმ გზირმან თავის ცოლს დაუძახა: „დედაკაცო, თოფი მომი-

ტანეო!“ დედაკაცმან: „სად დააყუდე შენი თოფიო!“ გზირმან: „ქათმებს უძევს თაროდ, ჩამოიღეო!“ იოანე გაუჯავრდა: „ჩუმად იყავ, რას ანბობ? ლეკებმან არ გაიგონონო!“ ამ ჟამად მოუხდენ კარებს, იოანემ ესროლა თოფი და გააბრუნა; სამჯერ იერიში მოიტანეს და სამჯერვე უკან აქცივა, და ამ სახლს ვეღარ მობედეს ლეკთა. სხვა ირაჟრაჟა და გავიდნენ სოფლიდამ. იოანეს ენება კარი გაეღო; გზირი ეხვეწება: „ნუ გააღებ, სახლში არ შემოგვიცვივდენო“!

ი ო ა ნ ე: „რას ამბობ, ლეკები არღა არიან ამ სოფელში“. და მერე გააღო, გავიდა თოფით იოანე, ნახა—სოფლიდამ ჯარი გასულა და ნელ-ნელა მიდიან. ამჟამად ნიკოლაოზ ყაფლანის-შვილი მოაჭენებს ცხენს, და რამდენიმე კაცი მოსდევს თან და იძახიან მდევარს: „პეპან, საფაკოფ, არუთინ, გასპარ, გამოდით!“ მდევარის სარდალი რომ მოვიდა, მაშინ იოანემ უთხრა: „ჰეი, სარდალო ნიკოლაოზ, უბძანეთ, ნუ ეძახიან ამ სომხის სახელებს, თუ გაიგონეს ლეკებმან, უთუოდ გამობრუნდებიან და, რაც გარდარჩათ, იმასაც წაიყვანენ. ასე დააძახეთ: „ბაიდრელნო, ბორჩალოელნო, დემურჩასანელნო, გამოდით“, რომ შეშინდნენ მდევრისაგან, თორემ პოლოსასაგან და ნიკოლოსისგან ვინ შეშინდება? „ვაჟო, ეს ვიღაც არის, სწორეს ანბობს“,— და ჩაბოხდა ნიკოლაოზ ცხენიდამ. იოანეც მივიდა ახლო ნიკოლაოზთან. „ვაჟო, შენ ბერსა გევხარ და აქ რასა იქ?“ ამჟამად იარალი მოვიდა და უთხრა ნიკოლაოზს: „ღმერთმან დაუმადლოს, ამ ბერმან მოარჩინა ეს სოფელიც და მეც, თორემ, თუ არ დაგვსწრებოდა, სულ დავიღუპებოდით“.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: მართლა შენ კი გეტყობა შეშინება!

ი ა რ ა ლ ი: ბატონო, აღაჰამათხანის დროს გამოვცადე ტყვეობას თუ რა აქვს!

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ვინ არის ეგ ბერი?

ი ა რ ა ლ ი: ქიზიყელი ხელაშვილი, და ახლა კავთისხევს მცხოვრები!

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: მაშ, ეჰვი აღარ უნდა, კარგი ვაჟ-კაცი უნდა იყოს! და მერე მოიკითხა იოანე და მადლი უთხრა. წირვის დრომდინ ძლივ მოუგროვდა ასი კაცი ამ ნიკოლაოზს და შესხდნენ ცხენს და ამ ლეკებს გაუდგნენ. იოანეც თან გაჰყვათ, რა საბოსკეროს სოფელს მივიდნენ, გარდახდა ნიკოლაოზ ცხენიდამ და თქვა: „აბა, უნდა ჩვენი ჯარი დავთვალოთ, და მერე შევებათ ლეკებს“.

ზ ურ ა ბ ა: ბატონო სარდალო, მართალია, რიცხვს ვერ აუხვალ ამ შენის სასარდლოს ჯარისას! რა დათვლა უნდა, ასი კაცი ძლივ არის და ან ამით როგორ იქნება რამდენიმე ათასის ლეკისა [შებმა]?

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: არა, შენ გიჟო ლამბარაშვილო, შენ უნდა მასწავლიდე სარდლობას?

ზ ურ ა ბ ა: მე მაგას არ მოგახსენებ, მაგრამ მეც ბევრჯელ გხლეჩივარ ამილახვართან მდევარში.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: მაშ, დაგეჯერება, რადგან გორელი ხარ!

და არღა შეებნენ მტერს; მერე მივიდნენ, ერთი კარგი წყარო იყო, შუნ დასხდნენ. ნიკოლაოზმან სადილი მოაღებინა და, რა კარგა შეექცნენ,

ი ო ა ნ ე მ თქვა: ესე ადგილი დიაღ კარგი სოფელი იქმნებოდა, ოდესაც შენად იყო.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ოღონდაც, მეტის გამო საბოსკურო ეწოდება და ამაზედ მეჩხუბება ჩემი სახლის კაცი ზაალ ყაფლანის-შვილი, მაგრამ მე არ ვანებებ.

ი ო ა ნ ე: მაგ სახელის წოდებისთვის ქება არ მიეწერება ნასოფლარს და არც უნდა ჩხუბობდეთ ბოსკურობისთვის.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ვგონებ, შენიც რომ იყოს, არავის დაანებებ ამ სოფელს.

ი ო ა ნ ე: ჩემი რომ იყოს, სახელს გამოუცვლიდი, ანუ გავუცლიდი ვისმე, და რატომ თქვენ არ გაუცვლიდით, უფრო პატიოსნური სახელიანი სოფელი გამოართოთ ის უმჯობესი იქნება.

ზ ურ ა ბ ა: ბერო! ზაალ აძლევს სამაგიოროდ ამ ნიკოლაოზს სიქიშხანს სოფელს და არა ჰჯერდება.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ მ ა ნ გაიცინა, უთხრა: ბერო, თათრული ენა არ გცოდნია, თორემ უფრო ცუდი სახელი ეწოდება იმ სოფელსა; და განუმარტა კიდეც.

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! როგორიც ყოფა-ქცევა ჰქონიათ, იმგვარი შემსგავსებული სახელებიც უწოდებიათ სოფლებისთვის. შეგიძლიანთ, რომ გამოუცვალოთ სახელი?

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: შენ რომ ეკურთხები, აქაურს არქიმანდრიტობას გავირიგებ, და მერე შენ გადანათლე ეს სოფლები და სახელიც შენ უწოდე.

ი ო ა ნ ე: არა, ბატონო, სანაძლეოა, თბილელი მე არ მომცემს ამის არქიმანდრიტობას.

ზ ურ ა ბ ა; მართლა საფერი სამწყსო ყოლიაო; და მრავალი იცინეს. და მერე უთხრა ნიკოლაოზმან: „მიბძანე, იოანე! გამიგონია, მეცნიერი კაცი ხართ და სარდლობა რა არს და ან რა უნდა იცოდეს სარდალმან და ან როგორ უნდა იყოს სარდალი?"

ი ო ა ნ ე: სარდალი ხომ სპარსული ლექსია (ჯარის თავი) ანუ მეთავე, ქართველნი სპასალარს ეძახდნენ, აგრეთვე მხედართ-მთავარს. ხოლო სარდალნი რომელნიმე არიან უფრო ჯარის უფროსად,

რომელნიმე დიდის ჯარისა; ესევითარი ნებავს მებატონესა, იმაზედ არს დამოკიდებული. თუ ვიტყვით, რომ სარდალს რა უნდა სჭირდეს, სარდალი უნდა იყოს სწავლული წერილში, უნდა იცოდეს ისტორიები და ქვეყნის ღეოღრაფია, და მის ქვეყნის მზერაობის მოძრაობის საქმენი და ძალნი. აგრეთვე უნდა იცოდეს მათემათიკა, რომელიც ამა მათემათიკის ნაწილები არიან: არიხმეტიკა, ღეომეტრია, შტერეოიმეტრია, ტრიღენომეტრია, ღეომეტრია ანუ ზესთა ღეომეტრია, ალღებრა, პლანომეტრია, ზონიმეტრია, ფორტუფიკაცია, არტელერია, და ჩაკტა (?). თუ ზედმიწევნით ვერ იცის, მაინც უნდა იცოდეს ამდენი, რომ შეატყოს პლანსა, ადგილის მდებარეობას, რომ არ შესცდეს დაბანაკების დროს თუ შებმის დროს. ამასთან უნდა იყოს ჭკვიანი, ომში უნდა იყოს უფრო ცივის სისხლისა, ესე იგი არა ფიცხელი და გამშინჯველი, მამაცი, არა მცონარე; ამასთან უნდა უყვარდეს თავის სამხედრო კაცი და თითონაც შეაყვაროს თვისსა ხელქვეშეთთა თავი. უნდა იცოდეს თუ ან რა სურსათი მოუნდება, ანუ ტანთა და ფერხთა ჯარსა, ანუ ტყვია, ანუ წამალი, ანუ ცხენი, ანუ იარაღი და სხვა საჭიროება. უნდა აქვნდეს ზომა, თუ რაოდენის კაცით შემძლებელია წინაგანწყობად თვისთა მტერთა, ან გამაგრებად ციხისა, ანუ შემოდგომად და აღებად ციხექალაქთა, და სხვა, რაც საჭიროება არს ჯარის, ცხენთა, ხორაგის, ნალის, იარაღის და სხვათა. ასე უნდა იყოს სწავლულ, რომ თითქმის უსაშუალოდ იცოდეს ყოველივე, რომ მისთა ხელქვეშეთ არ შეეძლოთ მოპარვა რისამე და შეცთუნება მისი საქმისა და ანგარიშისა შინა. აგრეთვე უნდა თვის დროს იცოდეს ყარაულთ გამოცვლა, დაყენება გეზმან-ქეშიკებისა, რიგზედ დაყენება, რომ ბტერნი უცებად ვერ დაესხას და ადრიან შეუტყოს და განემზადოს; აგრეთვე იცოდეს დროზედ ჯარის თამაშობა, ვარჯიში, თოფთა სროლა ნიშნისა. რომ ავარჯიშებდეს ჯარს, ცხენოსანსაც და ქვეითასაც; აგრეთვე იცოდეს დასტების რიგზედ დაყენება, მოკინკლავები, მიმშველებელნი, შემტეველნი, დროზედ სად ეპირება ზარბაზნების მიშველება, იერიშის მიტანა, ვიწროს გზაზედ ვითარ გაიყვანოს ჯარი, ანუ ხიდზედ; ანუ თუ შეატყოს, რომ იძლევა და დამარცხდება, ვითარ გამოაბრუნოს ჯარი რიგიან და მშვიდობიანად, რომ ბევრი კაცი არ დახოცონ. თუ დაამარცხოს ვინმე, უნდა მიცეს გზაი გასაქცევი მტერს, რომ გაჭირვებული კაცი მერე თვით გამოიმეტებს თავსა და იქნება დიდი ზარალი მისცეს ჯარსა, და ამისთვის თქმულა: „თუ მტერი გამექცევაო, ოქროს ხიდს გაუდებო“, და ესე ვითარნი. ეს კმარა, თუ ასწავლის ვინმე, სარდლისათვის.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: მითხარ, მამაშვილობას, რა არის მათემატიკა.

[ამას მიჰყვება ტრაქტატი მათემათიკისათვის].

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ვაჟო, დიდი საქმე წოდებია სარდალს, რაც შენ ილაპარაკე, აზიაში არც კი გაუგონიათ, მაგრამ სარდლობენ კი.

ი ო ა ნ ე: ზოგთ უცოდინართ ნიშადაც მიეცემათ სარდლობის მადლი და ბედნიერნიც იქნების ომში, მაგრამ სწავლაც რომ ჰქონდესთ ის უმჯობესი იქნება; აჰა, მე თვით მსმენია ღვთისადმი განსვენებულის ძმის თქვენისა დავით სარდლისაგან მრავალი სახელოვანი საქმე, რომ თვით კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ ასეთი ქება მიაწერა ასპინძის ომში გარჯისთვის რომ, ვინც მიულოცეს ძლევა მეფესა, მეფემ უბძანის: მე ნუ მომილოცავთ, ამ ჩემ სიძეს მიულოცეთო! აგრეთვე დიდის ერევნის ომში, თუ სასახელოვანად მოიქცა, ან კიდევ სხვა ადგილთა შინა, ყოველთვის ქებას მიაწერდის, და ან ვითა ერთგული იყო თვისის მეფისა და ქვეყნისა. ნეტავი მესამედი მის შვილს, იოანეს, გამოჰყოლოდა! აჰა, ნიჟი, და თუ სცოდნოდა, რაც მე მოგახსენე, ეგონებ, ევროპიაში სარდლად ვერვინ ემჯობინებოდა.

ნ ი კ ო ლ ა ო ზ: ღმერთმან იცის, მართალს ამბობ! მაშინ

ზ ო ურ ა ბ ა: „ბატონო სარდალო, თქვენ ხომ გასწავლათ ამ ბერმან, და ამას იქით ლეკებს ნულარას წაახდენინებთ. ეს ლეკები ხომ ამ ლაპარაკში ახალციხეს ავიდნენ, ჩვენც მოურჩით ამის რჩევით და ერთი ძროხა ერგება საოსტატოში მონასტრისთვის“. მაშინ ბევრი იცინეს; იოანეს ძროხა უბოძა ნიკოლაოზმან, როდისაც მობვალ კოდაზედაო. და მერე დაიშალა ეს ჯარი, იოანე გამოეთხოვა, წავიდა შულავრისკენ იარალითურთ და ნიკოლოზ—კოდისკენ.

მისრული იოანე შულავერს, გარდახდება ერთის გლეხისკაცის სახლთან, და იარალის ეტყვის სახლის პატრონი: „ბატონისშვილი ალექსანდრე ამ დილას მობძანდა რომლისამე საქმისთვის“. იარალიმ ესე ყოველივე უანბო იოანეს, და ჰრქვა დიაკვანმან: „წარვედ ბატონის-შვილთან, ჩემ მაგიერ ლოცვა-კურთხევა მოახსენე და სადგომიც სთხოვე. „იარალი, მისრული ბატონის-შვილთან, ხელს აკოცებს; ბატონის-შვილმან მოიკითხა და გამოჰკითხა ანბავი, იარალიმ ყოველივე მოახსენა და იოანეს მაგიერ სახლი სთხოვა; ბატონისშვილმან უბოძა სახლი და უბძანა: „ახლა მცირე საქმე მაქვს და ვახშმის დროს ჩემთან მოიყვანე იოანე“. იარალი მოვიდა, წაიყვანა დანიშნულს სახლში იოანე და დაბინავდნენ. რა ვახშმის დრო მოვიდა, იოანემ ტანთ გამოიცვალა, ახალი ანაფორა ჩაიცვა და წარვიდნენ ბატონისშვილისკენ. რა სახლის კართან მივიდნენ, იხილა იოანემ გარეთ ტახტზე

მსხდომარენი ექვსნი კაცნი, მეფობის საქმეზე ლაპარაკობდნენ: „რადგან მეფე ავად არს, იმისი მემკვიდრე ვინ უნდა იჯდესო?“ მერე აქეთი მხარე ანბობს: „არა, ან ამისი უფროსი ძმა, ან ეს ალექსანდრეო!“ და დიდს დავაში არიან. იოანე დგას ისე და უყურებს, და თქვა: „ესენი ვინ არიან? სამეფო სახლს ორბელიანნი, ენდრონიკიანნი, ამილახვრიანნი, ჩოლაყაანნი, ციციანნი, ერისთავიანნი უნდა არიგებდენო. მითხარით, ესენი იმათი შვილები არიან თუ ვინ არიან?

მაშინ იარალმა უთხრა: ეს სამნი დავითის ვეზირნი არიან: ხელოქა, ნონია და „სლუშაი“ ბაღდასარ; ალექსანდრესი: თავბერა, ბააკა და პეპანა.

დ ი ა კ ვ ა ნ ი: უი ჩემ თავს! არ გაუგონიათა ეს ლექსი: „თუ ღმერთი კაცს არა სწამს, ამაოდ რასმე იპირვის“, „უწყალოდ, უღვინოდ, უპუროდ ჟამი არაოდეს იწირვის, არცა ჭინჭრაქას ჭანგითა არწივი არ დაიპირვის“ და მითხარ მიკინტრიჩით მეფობა ვით დაიპირვის?

რომელთამე გაიგონეს ეს თქმა დიაკვნისგან. მოახსენა ბატონის-შვილს, დაფიქრდა და ბძანა შეყვანება იოანესი. რა დიაკვანი მივიდა, მოახსენა: „დღეგრძელდი მეფის ძეო და მომჭირნეო მამულისთვის.“ ბატონის-შვილმა მოიკითხა, მგზავრობის მიზეზი ჰკითხა. იოანემ ყოველი აცნობა, უბძანა დაჯდომა და ამასთან ესეცა: „ვგონებ ჩვენი ვეზირები არ მოგწონდესთ?“

ი ო ა ნ ე: მათ მიერ დაწყებილნი საქმეები ოდეს გვაჩვენებენ კარგს წარმოებას, მაშინ ვერვინ დაიწუნებს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: ჩვენი მამა-პაპათა ვეზირები არღა გვკადრულობენ და მაშ რა ვყოთ?

ი ო ა ნ ე: ოდეს რიგიანი რაისამიმართობა გექმნებათ ურთიერთისადმი ძმებთა, მაშინ ვერც იგინი გეურჩებინ!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: ვითარი რაისამიმართობა?

ი ო ა ნ ე: უმცროს-უფროსობისა, მეორე—მორჩილებისა, მესამე—დამორჩილება სჯულთა, მეოთხე—სიმდაბლე და სიყვარული.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მართლად, მაგრამ გარემოებამ ესრეთ აწარმოვა!

ი ო ა ნ ე: მაინც უნდა აღუდგეს კაცი წინა ნებასა და წადილსა თვისსა და ამასთან ჰკითხოს ერთგულთა და გამოცდილთა კაცთა!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: რა გვარნი და ვითარნი კაცნი უმჯობეს არიან სწავლათა და რჩევათა შინა?

უნდა იყვნენ სწავლულნი და მეტადრე გამოცდილნი ზნეთსწავლულებათა და პოლიტიკათა შინა საითიკოსთა, ერთგულნი მამულისანი, პირუთნებელნი და მეცნავი სხვათა სახელმწიფოთა შჯულთა და ყოფაქცევათა, და მქონებელნი ყმისა და მამულისა; აგრეთვე კარგი

გვარის კაცნი, ესსახედგან განსწავლულნი და მტკიცენი სარწმუნოებასა და ფიცსა ზედა ერთგულებისა მეფისა და მამულისასა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მეფე ვითარი უნდა იყოს?

ი ო ა ნ ე: მეფე უნდა იყოს თვისისა სარწმუნოებასა ზედა მტკიცე, მღვიძარე სულითა, მცნობი თავისა თვისისა, მომგონი ხშირად, რომელ მოკვდავ არს, მოსურნე კეთილისა, მმადლობელ ღვთისა და ყოვლის გულით მყვარებელ, სამღვდელოთა პატივისმცემელ და ეკლესიათა შემწე და განმანათლებელ, სიმდიდრისადმი და ვერცხლის-მოყვარებისადმი არა შემსჭვალვულ, არამედ კეთილის მოქმედებისადმი; მდაბალი, უბიწო სულით, ფრთხილ სიტყვათა და საქმეთა შინა, მოწყალე, არა მეშურნე, არა ძვირის მომხსენე, მტკიცე, კეთილმსახურებისა დამცველ, მოძულე მლიქვნელთა კაცთა, ერთსულ და მტკიცე, არა მიმხვეჭელ ერთაგან, არამედ მიმნიჭებელ, განმრჩევ კეთილთა და ბოროტთა კაცთა; დამჯილდოვებელ ღირსთა და ულირსთა დამსჯელ; არა ამპარტავან, არცა ზვავ, არცა მცონარე, გვირგვინი კეთილ-მსახურებისა, მზრუნველ ქვეშევრდომთა თვისთა მდიდართა და დავრდომილთათვის თანასწორ, მეცნიერ და ფილოსოფოს, განმმართველ ვნებათა; მოწყალება უფრორე აქვნდეს, ვიდრე შიშვნეულება; დიდებულება და ხელმწიფება აქვნდეს მიხედვისამებრ მტერზედ და მონათა ზედა; თანასწორ მეურნე ყოველთა ზედა თვისთა ქვეშევრდომთა, სიყვარული უფრორე სასარგებლოთა თანაგამზრახთა, მოჩივართა დროზედ და ადრიან პასუხის მიმცემ და არა დაგვიანებით შემაწუხებელ. საქმისა დროზედ აღმასრულებელ, რომელ ღღევანდელი საქმე არა უტეოს ხვალისათვის. მოწყალე თვისთა სახლისა მსახურთადმი, მსაჯულ მსგავსად ღვთისა და პირუთნებელ. ყოვლისა საქმისა ქმნასა შინა აქვნდეს განმარტება და ვედრება ღვთისა, არავისამე უგულებელს ყოფა, დაცვა სჯულისა, მლტოლველ ბოროტისა მომზრახთაგან, ხარისხსა შინა აღყვანება სიფრთხილით ვისაჰე, ქცევა ზომიერად წყალობასა შინა და ტანჯვასა, ყოლა ჭეშმარიტთა მეგობართა, უცვალებლობა კეთილთა საქმეთა. გაერდგულება, რაოდენ ძალედვას, ყმათა თვისთა. განმართვა თავისა თვისისა შეცთომილებასა შინა, მსგავსება ღვთისა მოწყალებასა შინა, კეთილ-მოქმედებისა მესურნე, მიმდობელ ჭეშმარიტთა და სარწმუნოთა კაცთა საქმეთა შინა, მექონ ჭეშმარიტებისა და მოწყალებისა; მართალ-მსაჯულებასა შინა თანასწორ, ვითარცა მეგობართათავის, ეგრეთვე მწირთათვის; აღმრჩეველ და დამადგინებელ სარწმუნოთა და მეცნიერთა მსაჯულთა და ესსახედ სხვათა ყოველთა მოხელეთა. შიშსა შიში, პატივსა პატივი და სიყვარულსა სიყვარული აქვნდეს. სამხედროთა

და სამოქალაქოთა საქმეთა შინა გამოცდილ" და მცოდნე, საღვთოთა და სამოქალაქოთა სჯულთა მეცნავ, სიტყვასა და საქმესა შინა გამსჯელ და შეურყეველ; მიმღებ უფროორე მთხოველთა, ვიდრე ძღვნის მიმრთმეთა. ძლიერ კეთილ-მოქმედებითა, დიდებულ საქმითა, გონიერებით ქმნა ბრძანებისა, მახვილგონიერ მსჯავრთა შინა, მცნობელ ჩვეულებათა თანა მცხოვრებთასა, აქვნდეს გულადღება სარგებლოვანთა სიტყვათა. ღვთის მვედრებელ, ლოცვის მოყვარე და მავედრებელ ღეთისადმი სამფლობელოთა თვისთა. მეფობა აქვნდეს რიგიან, თანანადებთა ღვთისათა აღმასრულებელ, ღვთისადმი თხოვნა გულსმოდგინედ შეწევნისათვის თვისისა, კეთილ-მოქმედებისა ქმნა უხვებით. მიმტევებელი შემცოდეთა და შემწყალებელ, ცხადთა და დაფარულთა ცოდვათა განკრძალულ, კრძალულ ბრალთაგან და მქნელ კეთილისა, სიმდიდრის მეძიებელ ცათა შინა, მფლობელ თავისა თვისისა და მცხოვრებ სიწმინდით. მყუდრო და მშვიდ და ალერსიან შეყრათა შინა ქვეშევრდომთა ანუ უცხოთადმი; მანე, მამაც და პურად უხვ ყოველთა ზედა, თავდადებით მოსურნე მსახურებისათვის მამულისა, შემწყალებელ ქვრივთა და ობოლთა გამომზრდელ, სნეულთა მომვლელ, გლახაკთა ხელისამპყრობელ. და მხედრობისა მოწყალე და განმამხნობელ. თვისთა საკუთართა ნაქონებთა საჭიროებასა შინა ერთსა არა დამზოგველ, შემცოდეთა ვისთამე მხოლოდ მის გვამისა განმკითხველ და არა შემაწუხებელ სახლეულებათა მისთა, უკეთუ იგინიცა არა იყვნენ თანა-ზიარ. სიმდიდრესა ანუ ქონებათა სხვათასა არა მეშურნე და არცა სახისა მიცემა, რომელ სურის მას იგი. ყოველთვის გულს-მოდგინე, თუ რაჲ შესძინოს მამულსა თვისსა სამართლიანი სარგებლობაჲ. ყოველთვის მშვიდობის მოყვარე მეზობელთადმი თვისთა, რათა არა მტერ თვისა და მამულისა ყოს იგინი. ჯეროვანთა დროთა შინა საზოგადოდ მიმწოდებელ ტაბლათა ზედა მოხელეთა და ვაჭართა, აგრეთვე საკუთრად სამღვდელოთაცა. არა მემთვრალე სანიადაგოდ, სადილ-ვახშმად დიდებულნი გვამნი რიგრიგად იახლებოდნენ რაოდენიცა ენებოს. თვისთა ერდგულთა ყმათა ჟამსა ქორწინებისასა შეეწეოდეს, და მკვდარსაც იგლოვდეს და წასახურავს უბოძებდეს. მხიარულებასა შინა მათთანა იხარებდეს და ჭირთა შინა მათთანა მჭმუნვარებდეს. არცა ხშირად განმართველ ნადირობასა შინა, საიდუმლოდ მოარულ და მჩხრეკელ ერთა და ხელოსანთა, თუ ვითარ ზომიერად იქცევიან იგინი, და ესრეთ ხადდეს თვისთა ქვეშევრდომთა, ვითარცა საკუთართა შვილთა. ტყვის პატრონთა ყოვლის ღონით შეეწეოდეს, და უსამართლოდ ნურვის—ნურცა თვისთა საკუთართა ყმათა და ნურცა თავად-აზნაურთა ყმათა—ნუ შეაწუხებს და ნურც მათ მებატონეთა უდიერად შეაწუხებინებს

ვისთა ყმათა. აგრეთვე ნუ მისცემს დედოფალთა, მეფის ძეთ-დიდთა საქმეთა შინა გარეგის ნებასა და ბრძანებლობასა, რაჲსად-მიცა იგინიცა არ არიან დანიშნულ მსგავსად მოხელეთა. ხოლო უკანასკნელ აღვირ ასხას ყოველთა მგმობელთა ღვთისათა და ურჩთა სარწმუნოებისა და კანონთა სჯულთასა და ცუდთა მოლაპარაკეთა და მაბეზღებელთა გვამებთა. და ესრეთ ვინმცა იქმნების, ესრეთ იგი არს ჭეშმარიტი მეფე.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: ჭეშმარიტად ვეზირობის ღირსი ხარ და გრაცხ-მამულის ერთგულად.

იოანემ მადლობა მოახსენა, და ბრძანა ბატონისშვილმან ვახშმის მოღება. მოვიდნენ ვინც მუნ იყვნენ ღირსნი სხდომისანი. მოიღეს ვახშამი, და ბრძანა ალავერდა მოსაკრავისა მოყვანება. მოვიდა იგი-ცა და მოჰყვა საკრავთა კვრასა და ტკბილად სიმღერასა, რომელ-დია ათნო იოანეს და მოეწონა დიდად. რა მცირე ხანი გამოხდა, უბრძანა ბატონისშვილმან ალავერდას: „ამა დიაკვანსა იოანეს დია-მოსწონხარ, და ჰკითხე: იცის ამან გვარნი საკრავთანი და ანუ ვის-გან არის საკრავი მოგონებული?“ მაშინ ალავერდამ დადო ჩონგური-და უთხრა იოანეს.

ა ლ ა ვ ე რ დ ა: რაი არს საკრავი?

ი ო ა ნ ე: საკრავი არს ხელოვნება და სწავლა სწარმოებელად სა-ამოთა ხმებთა, და შეწყობა ბამთა და ზილთა, და შედგინება ტკბი-ლისა თანხმობისა ხმათა საშუალობითა რომელისამე გინდ იყოს საკ-რავისათა და შეწევნითა ხმისათა, რომელიცა უფრორე საამო არს — ვოკალნაური საკრავი (ესე იგი, ყოველთა საკრავთა ერთხმობით-დაკვრა), ანუ სიმღერა არს თვით უსაამურესი სხვათა ყოველთაგან.

ა ლ ა ვ ე რ დ ა: ვითართა მოქმედებათა იჩვენების საკრავი?

ი ო ა ნ ე: იგი განსვენებულ ჰყოფს სულსა და შესძინებსცა მას-ახალთა ძალთა შრომათადმი, ეგრეთვე დააწყნარებს იგი აღელვებათა-და განუსვენებლობათა სულთასა; ხოლო საკუთრად არგებს და გან-ჰსდევნის მელანხოლიასა, სევდასა და კაეშანსა.

[აქ დედანს აკლია]

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: სხვათა და სხვათა თემთა შინა, ვგონებ, სხვა-დასხვა გვარად თამაშობდენ!

ი ო ა ნ ე: უეჭველად, აზიასა შინა სრულიად სხვებ: რომელნიმე-ყუშტარის თამაშობას ეძახიან და რომელნიმე თითებით ტკაცუნით-თამაშობას ეძახიან, რომელ არს (ფრანგი). ხოლო ქართველნი მიამ-სგავსებენ უფრორე ლეკთა თამაშობასა, და კიდეც თამაშობენ მათ—

თაებრ ფერხისა გვარზედ მოძრაობითა და ხელგაშლით ხმარებითა სხვადასხვა სახედ. ქალნი საკუთრად თვისით თამაშობითა და უფ-რორე მიემსგავსება აზიურთ ქალებთ თამაშობასა ხელ მაღლა აღე-ბით და ტრიალით და განვლა-გამოვლით, რომელ ქორწილსა და მშობიარეს შეყრილობის დროს უფრორე ითამაშებენ ქალნი, ვინც ღამესათევლად მივლენან; გლეხი ფერხულსა და ბუქნათა უფრორე თამაშობენ. იმერნი ხელუკან გაშლით, წელში მოხრით და ფეხებ მაღლა ქნევით თამაშობენ, და რომელნიმე ამ დროებში ლეკურადაც. ჩერქეზნი და ოსნი უფრორე ხშირად ბუქნასა და ჩქარა განვლით ფეხის ხმარებით გულხელდაკრეფილნი ითამაშებენ და ცეკვასაც ხში-რადრე იქმონენ. ხოლო ევროპიელნი სულ საზოგადოდ კანონზედ და მრავალ რიგად თამაშობენ, მამრნი და მდედრნი ერთმანერთის ხელ-მოქდობით იტანცავებენ დია მრავალ გვარად. რუსთა აქვსთ თავე-თი საკუთარი თამაშობა, უფრო მსგავსი მთის კაცთა, ხოლო ციგან-კური კარგი მოძრაობაა სხეულისა და მარჯვე თამაშობა. ბერძენნი უფრორე სხვებრ თამაშობენ, რომელსა ისპანდელს ეძახიან, გარნა არლა აქვთ ძველებური ათინურნი როკვანი. აწ ევროპიასა შინა მას თამაშობენ. ხოლო სომეხნი უმფრო ჩვენ მსგავსად თამაშობენ: აგრეთვე დროსა მეფის ძეთ ქორწინებისასა, და ანუ დიდისა მხია-რულებისა საქმისასა რისთვისმე, სომეხნი შეიყრებოდენ, ასნაფისა ხალხნი, და ხეებს გაიკრავდენ ტანზედ და ჩითებს გადააფარებდენ, ცხენივით თავსა და კისერს ხისაგან გააკეთებდენ და შემოახვევდენ რასმე და ჰკიდებდენ წვრილს ზანზალაკთ, და ესრეთ ითამაშებდენ მრავალნი, და უცხოდ ხმარობდენ ფერხთა და მსგავსად ცხენზედ მჯდომთაებრ იხილვებოდენ; და ესე ძველად იყო ისევ კერპების დროს სომეხთა შინა დაშთომილი. აგრეთვე გააკეთებდენ აქლემის მსგავსად ფარდაგებს და ორნი კაცნი შეუდგებოდენ ქვემო, მსგავსად აქლემისა იხილვებოდა, და ესენიცა ზურნა-დაფსა ზედა უცხოდ ითა-მაშებდენ და გაქცევაში ემსგავსებოდენ აქლემსა. ამასაც ესეგვარს შეხდომილებაში და ყველიერის კვირაში ითამაშებდენ, და ესენიცა არიან რიცხვთა შინა როკვისათა.

მაშინ ზურაბამ მოახსენა: „შენი პირიმე, ამ ჩემს შეგირდს საოს-ტატო ერგება ამდენის სწავლისათვის!“

მრავალი იცინეს. უბოძა ყოველთა საბოძარი, და მადლობა უთხ-რა იოანეს და სხვა დროსთვისაც გამოართვა პირობა, რომ ხლე-ბოდა ტფილისს. იოანე მადლობელი გამოესალმა და წარმოვიდა თვისსა სახლსა შინა; იმ ღამეს მუნ განისვენა იოანემან და ხვალისა დღე განემზადა შულავრისაკენ.

იარალიც გამოესალმა იოანეს და ბოლნისს წავიდა, იოანე ბორ-ჩალოსაკენ განემზადა. ამხედრდენ ცხენთა და განემართნენ ბორჩალოს. და რა მივიდნენ მახლობელად მდინარის დებედისა, რომელიცა მიმ-დინარეობდა საშუალ ბორჩალოჲსა და იხილა მუნებური მდებარეობა და ციხე, დიდად მოეწონა იოანეს, და უთხრა ზურაბას: „ციხესთან მივიდეთ, ბატონისშვილი დავითც იქნება იქ ბრძანდებოდეს, და, თუ იქ არ იქნება, ციხე ვნახოთ და მერე წავიდეთ, სადაც იყოს". მი-ვიდნენ ესენი, ციხე გაშინჯეს და იკითხეს ბატონისშვილის მუნ ყოფა; და თქვეს: „თაქალოს ბრძანდებაო" — და მერე იკითხეს: „აქ ვინმე არის ან სომეხი ან ქართველი?" და უთხრეს: „მანდ წინ პატარა სო-ფელში, რომ ყურჩების სოფელია, მანდ არის ბაზიერთხუცესი". იოანემ სთქვა: „მაშ, სადილათ იმასთან მივიდეთ". ზურაბამ მოუწონა და წარვიდნენ. მივიდნენ მუნ, გარდახდენ, და ზურაბამ ჰკითხა ერთს თათარს: „ბაზიერთხუცესი აქა დგასო?" თათარმან სახლი აჩვენა. მივიდნენ მუნ და ცხენები მისცეს თათრებს, და შევიდნენ შინა. რა იოანემ შეხედა, იცნო ჩესტია, რომე ენახა მრავალჯერ ფხოვლესა შინა და ბატონის კარზედა. და უთხრა დიაკვანმან: „ჩესტიავ, მშვიდობა თქვენდა!" ჩესტიამ: „გაგიმარჯოს, ბერო", და მიიწვია. უთხრა იოანემ: „ბატონო, ბაზიერთხუცესი სად ბრძანდება?" ჩეს-ტიამ: „აქ გახლავარო".

იოანემ მიიხედ-მოიხედა, ორი ქორი ნახა ბოლოდამტვრეულები და სამიოდე მეძებარი, და ორი ბერი კაცნი მუნ მსხდომარენი, და უთხრა: „ეს არის თქვენი საბაზიერო"?

ჩ ე ს ტ ი ა: დიაღ.

ი ო ა ნ ე: როგორიც ბაზიერთხუცესი ყოფილხართ, განწყობილება(ც) გქონია; აკი ბაირახტარი იყავ შენ, განჯაზედ რომ წაბრძანდა ბატონი ჯარით?

ჩ ე ს ტ ი ა: მართალია, მაგრამ სამსახურით აღველ ამა ხარისხ შინა.

ი ო ა ნ ე: ესე სახელო ყოველს ქვეყანას ჩინებული სახელოა, და რიგიან უნდა იყო განწყობილი. ამ ორის კუდა-ქორით რა უნდა ინადირო და ან მეფე-დიდებულნი ვით შეაქციო?

ჩ ე ს ტ ი ა: სახელი კი დამარქვეს და განწყობილება კი არა მაქვს რა

ი ო ა ნ ე: ულუფა რა გაქვს?

ჩ ე ს ტ ი ა: ხორცი, პური, ბრინჯი სამყოფად, და ორი თუნგი ღვინოცა.

იოანემ იცოდა, რომ ჩესტია სწყალობდა ღვინოსა, და უთხრა: „ბარე მეღვინეთხუცობა გეშოვა, ისი სჯობდაო!"

ჩ ე ს ტ ი ა: ოღონდაც ის მერჩივნა, მაგრამ გვიან მირჩია. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: მაინც არ მოგცემდენ!

ჩ ე ს ტ ი ა: რატომ?

ზ უ რ ა ბ ა: ამისთვის, რომ იფიქრებდენ, მჯდომი არ შექმნილიყავ ბევრის სმისაგან.

ჩ ე ს ტ ი ა: შვილო, მე თითქმის ყოველ დღივ მთვრალი ვარ და რით ვერ შევიქენ მჯდომი?

და მერე მოაღებინა სადილი და ნანადირევნი ფრინველნი, და უცხო სუფრა დაუგო იოანეს და მიართო სჩვადასხვა ღვინო ბორჩალოური.

რა კარგად შეექცნენ. ჩესტიამ ჰკითხა იოანეს: ბაზიერთხუცობა რა არის ან ვითარი უნდა იყოსო?

ი ო ა ნ ე: ბაზიერთხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველი სანადირო ადგილნი, მინდვრისა თუ ტყისა თუ ჭალისა და ფრინველნი მის ხელქვეშედ უნდა იყოს, რომ უიმისოდ ვერავინ ინადირებდეს. მეტადრე ყარაიაზედ და იორშია; რომ ამისთანა ადგილს, თუ არ მეფე, სხვა ვერვინ ინადირებდა. ხოლო მთებში ამის დაკითხვით ინადირებდენ, აგრეთვე შემოლობილნი ადგილნი და ნადირნი დამწყვდეულნი მას ეკითხებოდა. აგრეთვე ჯელგის კაცნიცა ამას ეკითხებოდა, ბაზიერნი. რომელსაც სოფლებს ედგა, ის გამოეკანდა: სანადირო ფრინველნი, სანადირო ძაღლნი სულ მას ეკითხებოდა და მეძაღლეები და ბაზიერებიც მას ებარნენ.

ჩ ე ს ტ ი ა: სანადირო ფრინველი რაოდენი გვარი არს?

ი ო ა ნ ე: არიან შემდგომნი ესე: მიმინო, ქორი, შავარდენი, ვავაზი, ბარი, არწივი, სონღული, თონღრული, ალალი, მარჯანი, შავთვალი, სირკაჭკაჭი და ჯინხვა.

ჩ ე ს ტ ი ა: რაჲსა შინა სახმარ არიან ესე მონადირნე ფრინველნი?

ი ო ა ნ ე: მიმინო მწყერისა, ღალღისა და ლაპებისათვის არის სახმარი მის დროსა, ხოლო ზამთრით ჩიტსაც მოუტევს; და არს მრავალგვარი მიმინო: მწყაზარი. ჩალის წითელი, შავი მიმინო და ისე საზოგადო მიმინო. და ამათში უმჯობესია ნწყაზარი და შავი მიმინო სიმალით.

ქორით ინადირებენ ხოხობს, კაკაბს, დურეჯს, გნოლს, იხვს და ოდესმე სავათს და კურდღელსაცა. ხოლო ქორის გვარნი არიან: თუღუნი მწყაზარი, ჩალის წითელი, შავბარდული, ჩვეულებითი წითელი ქორი; გარნა ფრენით თუღუნი და მწყაზარი უკეთესია. ჩალის წითელიც ამას მისდევს, ხოლო შავბარდული უფრო ბევრს ფრენას შესძლებს, და წითელი ქორი უფრო ძლიერი შემბედავი და დაუღალავია, ვითარცა გლეხი მუშაობასა შინა; გარნა უნდა გაუშინჯო ენა, თუ შავი აქვს, უკეთესი აღარ უნდა, და თუ თეთრი ენა აქვს. ტყუვილად ნუ დაშვრები წითელს ქორზედ.

შავარდენი წეროსა, ბატსა და ესე ვითართა დიდთა ფრინველთათვის არის მოსატევად, გარნა ერთხელ უნდა მოუტიო. აგრეთვე ბავლის მოსატევად საამო არის, ოდესმე არწივსაც შეიპყრობს.

გავაზი დიდროანის ფრინველებისთვისცა და ჯერნისათვისცა გამართული კარგია, გარნა ორი ერთად უნდა მოუტიო გავაზი: რომელიც რიგ-რიგ დაუწყებენ ცემასა და ისე შთამოაგდებენ წეროსა, ხოლო ჯერანსა თვალებში დაუწყებენ კლანჭით ცემასა და დააბრკოლებენ მისსა სირბილსა, და მაშინ მოტეული მწევარი ადვილად შეიპყრობს მას ჯერანსა. ესსახედვე ბარიც გაიმართება, უფრო კურდღლისა და კაკბებისათვის და სხვათა ფრინველთათვის და ჟამსა ყვავის მოტევისასა კარგს თამაშას აჩვენებს.

არწივი გაიმართება და საკუთრად შეიპყრობს ჯერანსა, მგელსა და ირემთაცა დააყენებს, და ძაღლების შეწევნით შეიპყრობს კურდღელთა და ესე ვითართა ხოლმე ადვილად.

სონღული ასე მალია, რომ ორგზის უწინ დაჰკრავს შავარდენზედ, ვიდრე შავარდენი, და თითქმის ათსა და თორმეტს წეროს ერთს მიტევით ჩამოჰყრის, ეგრეთვე ბატთა, სავათთა და ყუისა.

თონღრული არის მიმინოს ოდენი. გარნა ყოველთა ზედა უძლიერესი, რომელ ყოველნი მის მიერ იშიშვიან ფრინველნი; და ესოდენ ინადირებს, რაოდენსაცა მოახელებს ფრინველს, ეგეოდენსავე ჩამოჰყრის და თითქმის დილიდამ საღამომდის არ დასცხრება ფრენისაგან. და ამისთვის ოდეს მოუტევენ ამ ფრინველსა, წინა ერთისა თვით შეატყობინებენ ყოველსა ადგილსა ხელმწიფენი თვისნი, და

ალალიც გაიმართება, გარნა ოდეს წავლენ სამწყერაოთ, მაშინ ვაუშვებენ, სადაც ნადირობენ. და იგი თან დაუწყებს დევნასა. და ოდეს წამოაფრენენ მწყერსა. იგი ზეიდამ დაუქნევს, ან შეპყრობს და ანუ მუნვე შთამოაგდებს.

მარჯანი უფრო კარგი შესაქცევია, ოდესაც ტოროლას მოუტეობენ, ამისთვის რომელ ტოროლა დიაღ მაღლად წავა და ესეც თანა ჰყვება და დიდხანს თამაშით და შეტევით დაღალავს და უკანასკნელ შეიპყრობს; გარდა ამისა სხვა ვერვინ დაიჭერს ტორუას, აგრეთვე ორნი გამართულნი კაკაბთაც შეიპყრობენ და მწყერთა და ჩიტებთა.

შავთვალიც წვრილის ფრინველთათვის სანადიროდ კარგია და ჩქარი მფრინავიც. სირკაჭკაჭი წვრილის ჩიტებისათვის და ჭიჭვავის, და ოდესმე შაშვსაც შეიპყრობს.

ჯინხვა ანუ ხაჟო, ესეც სირკაჭკაჭის გვარია, გარნა მომცრო იმასზედ, ამას გამართვენ უფრო ყმაწვილებისათვის და მოუტეევენ პეპელთა და შეიპყრობს მათ და ამით შეექცევიან.

ხოლო კირკიტა თუმცა გაიმართება, მაგრამ ვერაფერს ფრინველს ვერას დაიჭერს, თვინიერ ჯოჯო-ბაყაყისასა.

ჩ ე ს ტ ი ა: ამა ფრინველთა სნეულება დაემართებაო თუ არა?

ი ო ა ნ ე: ხორცთა შინა მყოფი უსნეულოდ არა რაჲმე იქნება, და უნდა იცოდე ამა ფრინველთა სნეულება, რადგან ბაზიერთხუცესი ხართ; გარნა გეტყვი მეც რაოდენი მახსოვს: ამა მონადირეთა ფრინველთა სნეულება ეს არის და მეტადრე უფრო ქორისა: ხაფაყანი, შავლი, კვანჯალი, კორი, ბია, ტილი, ღრღილი, დახლილობა, ტკიპი, თვალის სნეულებად წოდებული. შემოწყრომა ნადირობასა შინა და არა ყურება ფრინველისა, გაციება და ესე ვითარნი იხილე საკუთარსა ამათ კარაბადინსა შინა. მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: დიაკვანო, ქორიტყანია ციციშვილს, შენ სჯობნებიხარ ბაზიერობაშიო.

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! რას ანბობ, ვინ არის ის საბრალო?

ჩ ე ს ტ ი ა: ბიძა პავლე ციციშვილისა.

ი ო ა ნ ე: ახ, რა სულ იმის წილ გვარში ყოფილა ამგვარი სახელები, იმას ძროხის ჭირს და მიწის მგელს ეძახიან.

ჩ ე ს ტ ი ა: ეგ კიდევ უკეთესი.

და მერე უთხრა ჩესტიამ: ვითარცა გაქებდენ, ცოდნაც ეჭონიაო, შენთან მაინც ვიყო, რომ იმა ფრინველთა თვისება მესწავლაო.

ი ო ა ნ ე: რადგან ბაზიერთ-ხუცობას ჩემობ, მე რაც მოგახსენე, ის ვაწყობილობაც უნდა გქონდეს და ის ფრინველებიც გყვანდეს, და ის

ადგილები სანადირო და მონადირეებიც შენ გებაროს და სანადირო ძაღლებიც თქვენ გყვანდეთ.

ჩ ე ს ტ ი ა: სანადირო ძაღლი რამდენი გვარია?

ი ო ა ნ ე: მწევარი, მეძებარი, ნაგაზი, ეზერი და ქოფაკი.

მწევარი კურდღლისა, მშვლისა და ჯერნისათვის კარგია. მეძებრები უნდა გარჩევით ჰყვანდეს: კურდღლისა ცალკე და ნადირისა და ტყის მრეკელნი ანუ კალზედ მომყეფარნი. ხოლო ფრინველის ნადირობისათვის სხვანი, ხოხობისა თუ კაკაბისათვის და სხვათა. ნაგაზნი და ეზერნი ირმისა და გარეულის ღორისათვის, რომ კარგად დაიჭერენ და დააყენებენ. ხოლო ქოფაკნი მგლებისა, დათვისა და ტურებისათვის.

და ესრეთ დასრულდა ამათი უბნობა, იოანე გამოეცალმა, ჩესტიამ რაოდენიმე ჩარექი ყვითუქი აჩუქა იოანეს ბალიშისათვის. მაშინ

ზ ო რ ა ბ ა: „ბატონო ბაზიერთხუცესო, ამას რაღა ბუნბულის მომატება ეჭირვებოდა?“ იცინეს ბევრი და ზურაბასაც აჩუქა ერთი ხურჯინი, მისცა კაცი და ბატონისშვილს დავითთან გაისტუმრა ესენი მადრიელი.

საღამო ხანს მივიდნენ თაქალოს, ბატონისშვილს მოხსენდა იოანე ბერის მისვლა, სახლი უბოძა და მიიწვია ვახშმად. რა ვახშმის დრო მოვიდა, წარვიდა იოანე და მისრულმან მოახსენა: „დღეგრძელდი მემკვიდრეო!“ ბატონისშვილმანც მოიკითხა, მგზავრობის ამბავიც გამოჰკითხა და ყოველივე ცნო; იოანეს აღუთქვა შეწევნა, უბოძანა დაჯდომა და მერე ჰკითხა: „შეისრულე სწავლა რეკტორთან?“

ი ო ა ნ ე: ბედნიერებითა თქვენითა!

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: გავიგონე მრავალგან შენი უბნობა და სწავლაები, მეტაფიზიკაზედ იუბენ სადმე?

ი ო ა ნ ე: თქვენს ძმასთან, მაგრამ არ დამცალდა სრულებით უბნობა ჯარიანობისა გამო.

ბატონისშვილმან დავითმან: მაშა, მე ვკითხავ სოფლისათვის: რაა არს კოსმოლრაფია?

[მერმე დედანში მიდის ვრცელი ტრაქტატი კოსმოლრაფიისათვის]

ხვალისა დღე აღდგა იოანე, ახლა ბატონისშვილსა და დაეთხოვა დემურჩასალისაკენ. ბატონისშვილმან უბრძანა: „არ გაგიშვებ ჯერხანად, ამისთვის რომელ ჯერ წადი ახტალას, იქ ბერძნებში იშოვი სპილენძს და სხვა შესაწევარსაც და მერე წადი დემურჩასანში; მე შემიწევია ორი ძროხა და ერთი სახედარი აკიდებული ერბოთი და ყველით. და ერთი საფენიც.

ი ო ა ნ ე: უფალმან გაკურთხოთ! — მადლობა მოახსენა. და კაცეც უბოძა და უბრძანა: „დროზედ წადი, რომ ახტალის ეპისკოპოსს მიუსწრო, რომ უმფრო კარგად გამოგისტუმრებს". იოანე გამოეცალმა და გამოვიდა სახლიდამ. მაშინ ცოფურაშვილი მღვდელი დავითის ყულუხჩებს ელაპარაკებოდა და ჩიოდა ესსახედ, რომ მე თორმეტი წელიწადია ვემსახურები და ერთ საბოძვრად არ უბოძებია ჩემთვის ესეოდენი, რაჲცა ამ ახალ ფილასოფოსს მისცა. იოანემ თუმცა გაიგონა, მაგრამ არა უთხრა რა, და კიდე ჩიოდა. — მაშინ

ზ ო ო ბ ა: მღვდელო! არ იცი თუ შენი ვითარი დიდი ცოდვა არს? და რადა გშურს, ესეც სამღვდელოთ წესთაგანია და ძმა არს შენი და თუნდა სამღვდელოც არ იყოს, ესეც კახეთიდამ არის, შენ მარტყოფელი ხარ და ესეც ქიზიყელია.

მ ღ ვ დ ე ლ ი: ის სახედარი მე მინდოდა, რომ ვენახში ნეხვი მეზიდვინებინა და მომეხმარებინა.

ზ ო ო ბ ა: ვაჲ, რა უსამართლო კაცი ყოფილხარ, შენ ცოლი გყავს, და ამ საბრალომ ძლივ ერთი ჭაკი სახედარი იშოვა და ამასაც შენ ეცილები.

მაშინ მუნ მსხდომარეთა, დიდთა თუ მცირეთა, ერთობლივ სიცილი იწყეს და ესრეთ განეშორნეს ურთიერთარს.

ესენი ამხედრდენ და განემართნენ ახტალისაკენ. ნელ-ნელა სიარულით და დასვენებით მივიდნენ საღამოს ხანს ახტალას, გარდახდენ და იოანემ გაუგზავნა ახტალის ეპისკოპოსს კაცი და სთხოვა სადგომი. მან მაშინვე უბოძა სადგომი და ვახშმად თვისთან მიიწვია. იოანემ მცირეს ხანს განისვენა და მერე თავის დანიშნულს დროს წარვიდა არქიერთან. რა არქიერს იახლო, მივიდა იოანე, მდაბლად ეანბორა. მანცა მოიკითხა, დაჯდომა უბრძანა და მგზავრობისა მიზეზი გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე მოახსენა და ილაპარაკეს სხვადასხვა უბნობა, და მერმეთ შემოხდა ლაპარაკი მადანთა ანუ მეტალთა ზედა. და სთქვა იოანემ: „ამ მთასა და ხეობასა მეტალთ დედა უნდა ეწოდოს, რომ ყოვლითურთ შემკობილ არსო!"

ა რ ქ ი ე რ ი: მართლად რომ მაგ სახელის ღირსია, და გაქვს რამე ცნობა მადნებთა და მეტალთათვის?

ი ო ა ნ ე: მცირედ რამ.

ა რ ქ ი ე რ ი: მაშა, ვინემ ვახშამი მომზადდებოდეს, ვსთქვათ რამე მეტალთა ზედა.

ი ო ა ნ ე: იყავნ ნება თქვენი!

(ამას მისდევს ვრცელი ტრაქტატი მეტალთათვის ანუ მადანთა).

მეორე დღეს არქიერმან დაიბარა იოანე, უბოძა საჩუქარი და მასთან წიგნიცა მისხანას ემინჩიბაშთან, რომ ბერძნებში შესწეოდა საჩუქრისათვის. და ესრეთ მადლობელი გაისტუმრა იოანე მისხანისაკენ. რა მივიდა მუნ, ემინჩიბაშმან კარგად მიიღო, სახლი მისცა სადგომი, კარგად განუსვენა და მერე აჩვენა სპილენძისა და ვერცხლის გამოდნობა იოანეს; და მოეწორა ესე ხელოვნება. და მერეთ ასადილეს და აჩუქეს რაოდენიმე ბათმანი სპილენძი. იოანე მადლობელი წარვიდა სანაინისკენ.

რა სანაინს მივიდა იოანე, იკითხა მუნ მყოფობა არღუთაშვილისა. უთხრეს სოლომონისა მუნ ყოფა. იოანემ გაგზავნა ზურაბა და სადგური სთხოვა. მისრულმან ზურაბამ მოიკითხა და სახლი სთხოვა. მან მაშინვე მისცა სახლი და ვახშმად თვისთან მიიპატიჟა იოანე. ესენი მივიდნენ დანიშნულსა სახლსა შინა და განისვენეს მუნ. და მერე, ვახშმის დროს, წარვიდა იოანე სოლომონთან. და რა მივიდა იოანე, ჰრქვა: „მშვიდობა თქვენდა, მხარგრძელო!“ მანცა მადლი უთხრა, მოიკითხა, მგზავრობის მიზეზები გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე უანბო, და მერე მოიღეს ვახშამი. რა კარგად მიიღეს ღვინო, სოლომონმა აიღო თასი, აამსო, მისცა იოანეს და თითონაც სხვა თასი აიღო, აამსო ღვინით და უთხრა იოანეს: ეს ღვინო საზოგადოების სადღეგრძელოდ უნდა შევსვათო.

ი ო ა ნ ე: ჯერ ასეა რიგი, ვინც მეპატრონე გვყავს, მისი უნდა დავლიოთ სადღეგრძელო და მერე საზოგადოებისა.

ს ო ლ ო მ ო ნ: ახლა ჩვენა ვართ მეპატრონენი ჩვენის თავისა.

ი ო ა ნ ე: ყოველნი ვპატრონობთ თავთა თვისთა, ესე ბუნებითია.

ს ო ლ ო მ ო ნ: არა, საზოგადოებასაც ჩვენ უნდა უპატრონოთ.

ი ო ა ნ ე: ვინა გყავთ ამხანაგნი და თანაშემწენი?

ს ო ლ ო მ ო ნ: სარდალი, მელიქი, ამილახვარი, ერისთავი, თარხანი, ეშკაალაში და სახლთხუცესი და მე მხარგრძელი, ხოლო სამღვდელოთში — ვართაპეტი და თბილელი და არქიმანდრიტი.

ი ო ა ნ ე: ზურნა-ნაღარას მეტი არღარა გკლებიათ რა.

ს ო ლ ო მ ო ნ: გვკიცხავ მაგ სიტყვით?

ი ო ა ნ ე: დიაღ!

ს ო ლ ო მ ო ნ: ვითარ ჰსჯი შენ?

ი ო ა ნ ე: ოდესაც მეპატრონე აღარ იქნება, არცარა თქვენ იქნებით.

ს ო ლ ო მ ო ნ: მრავალგან არის რესპუბლიკა?

ი ო ა ნ ე: არა თქვენის ჭკუისანი!

ს ო ლ ო მ ო ნ: ჩვენ უჭკუონი ვართ?

ი ო ა ნ ე: თვალის დანახვით არა.

ს ო ლ ო მ ო ნ: მაშ, თვალში გექონია ჭკუა?

ი ო ა ნ ე: შენ აღიარე; საითაც წითელ კაბას დაინახავთ, იქით მირბიხართ.

ს ო ლ ო მ ო ნ: არ იცი, ასეთნი გვამნი არიან, რომ სიბრძნით სრულნი.

ი ო ა ნ ე: რომელნი?

ს ო ლ ო მ ო ნ: იოანე, კოსტანტინე, გიორგი, დარჩია, ალექსანდრე. შანშე, სოლომონ, არსენი, ოანეზ, ელევთერ და მე.

ი ო ა ნ ე: სახელები კარგა ჩამოთვალე და გთხოვ მიბრძანოთ, სალაყბოზედ და ბერუა ნალბანდის დუქანშიდ ისწავეთ ეს სიბრძნე თუ რომელს სკოლაში განისწავლენით?

ს ო ლ ო მ ო ნ: ჩვენში ჩინებულნი გვამნი ესენი არიან და მეფის ნათესავნი და მოყვრები და მოახლენი, და როგორ არა ეცოდინებათ რა?

ი ო ა ნ ე: მალე მოხველ ჩემს სიტყვასთან. მეფის ქალისშვილობით, სიძეობით, ნათესავობით და მოხელობით ხომ არ იქნება სწავლა! უნდა რომ სწავლულთაგან განისწავლნენ და მაშინ იცნობენ თავს თვისსა და ქვეყანასა, და მაშინ შეიძლებენ ქვეყნის გამართვასა და სამსახურსა. აჰა, მე გეტყვი მაგალითსა: თქვენ მინბაში ბრძანდებით ამა მადნებისა და ზედამდეგი, იცით ამ მადანთ ხელოვნება. ანუ გამოდნობა ვერცხლისა, ან ვერცხლიდამ ოქროს გამოღება ანუ სხვათა მეტალთა მოპოება?

ს ო ლ ო მ ო ნ: მადანჩი ხომ არა ვარ, რომ ვიცოდე?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს, და ცარიელი სახელი გწოდებია! მაშ, რას გაიგებ, რომ ან ვერცხლი მოიპარონ ან ოქრო მაგ მოხელეთა?

ს ო ლ ო მ ო ნ: რასაც მომცემენ, მე მივიბარებ და დავსწერ.

ი ო ა ნ ე: მაშა, ქვეყნის მართებლობასაც ამ სახედ დაიწყებთ და ააშენებთ ქვეყანას მაგ ჭკუით.

ს ო ლ ო მ ო ნ: რასაც ჩემნი ამხანაგნი იქმონენ, მეც იმასა ვიქმ, და მეტი ჭკუა რათ მინდა?

ი ო ა ნ ე: ბიძა თქვენს, მაიარბაშს, ნადირშას ვექილს, თუ ენახეთ, თქვენს რჩევას არ გარდვიდოდა.

ს ო ლ ო მ ო ნ: ის ჭკვიანი იყო.

ი ო ა ნ ე: მართლად სპარსეთს, თურქისტანს, ინდოეთს და სხვათა ადგილთ ის მართევდა, და ჭკვიანი ყოფილა თუ არა? და ამას გარდა, არა გვანებიხარ ერთგულობაში იმას, თუ ვითარ უყვარდა საქართველოს მეფენი, და ან რა შეწევნა აჩვენა მეფე თეიმურაზს და მეფე ირაკლის. და იმის ჯილდოდ მიიღე არღუთაშვილმან მხარგრძელობა.

ს ო ლ ო მ ო ნ: მე ადრევ მხარგრძელი ვიყავ და, აჰა, სასაფლავოც იმათი მაქვს ეს სანაინი.

ი ო ა ნ ე: ნუ გამიწყრებით, თქვენ განჯელი ბრძანდებით, რანიდამ მოსრულნი ანუ ყარაბაღიდამ, განჯის არღუთა სომხის შვილნი, რომელიც იყო ბუ'ში ზაქარია მხარგრძელისა, მოსრულნი მის ხანას დროსა როსტომ მეფისასა. ხოლო მაიარბაშმან რა გაურიგა ნადირშასთან მეფეს თეიმურაზს და ირაკლის ქართლი და კახეთი, და აბდულაბეგ გადააყენა, მერეთ მეფემან გიბოძათ აზნაურობისა ხარისხი და სასაფლავო და სოფელი ესე. გარნა ძველად ეს ადგილი იყო სომხეთ მეფეთა და სასაფლავოცა, და მერმეთ თამარ მეფის მიერ მიეცათ ესე სასაფლავოდ მხარგრძელთა, სარდალთა მის მეფისათა; და უკანასკნელ ბიძამან შენმან, იოსებ ვართაპეტმან, სთხოვა მეფესა ირაკლის გვარის მათის დამტკიცება. და გიბოძათ და მან ეგრეთვე დაგიმტკიცებინათ ამ მეფის ნაბოძების წიგნის ძალით თავადობა მხარგრძელობისა რუსეთის იმპერატორს პავლე პეტროვიჩს, და სოფელიცა გიშოვათ მუნ.

ს ო ლ ო მ ო ნ: ბიძა-ჩემს მაგრე სწყალობდა მეფე ერეკლე?

ი ო ა ნ ე: არა თუ მარტო იოსეფ ვართაპეტს, არამედ მოსე, ბიძაშენს, და ბეჟანს, მამაშენს, ერთგულობის და სამსახურისა გამო ყოველთვის ადგილი ჰქონდათ მეფესთან, და შენც მეფე გიორგი ვით გწყალობს, ეს ხომ ყოველთა იციან! და, აჰა, შენი სახლის კაცნი სისეა და სხვანი ვითარ განყოფილ არიან ხარისხით და პატივით თქვენგან, მაგრამ სჩანს ესე, რომელ უპურმარილო ყოფილხარ, ვითარცა თქმულა: ქართველი ჩაყვითლებული ანუ ჩაფითრებული შესახედავით, თათარი, თეთრ-ყირმიზი და სომეხი შავი სახითა დალნდობარი იქმნების, და შენი სახე საქმესავე თანა აჩენს.

ს ო ლ ო მ ო ნ: რა დაუნდობელობა არის, თუ ვაჟისშვილებს ერგება მეფობა, ქალიშვილებსაც ერგებათ, ევროპიაში ასეა განწესება.

ი ო ა ნ ე: ეგე მაშინ იქნება, ოდესაც ასწყდეს ერთ გვარში მთლად ვაჟისშვილები. და ახლა შენის მეცადინეობით და მოყვრობით ვერც ერთს ქალიშვილს მოუპოვებ ამ ადგილს. ვერც იოანეს მეფობას, ვერც კონსტანტინეს დავითითურთ, ვერც შამშეს ერისთობას, რომ თვით შამშე ბრმა ერისთვისაგან გამორიცხულია იმის წიღლობა (იხილე წყალობის წიგნში მეფის თეიმურაზისაგან ნაბოძებში); ვერც გიორგის ამილახვრობას, ვერც ალექსანდრეს ეშკააღაშობას, არც თამაზ, არც ჭავჭავაძე უთავაზებს; ვერც დარჩიას მოურაობას ქაღაქისას, ვერც სოლომონს კლდეკარის ერისთობას, და ვერც თქვენ იქმთ მხარგრძელისამებრ სარდლობას, ვერც თბილელი კათალიკოზობას, ვერც ოანეზა ორქივატრობას და ვერც ელევთერ ალავერდობას. და ამისთვის გირჩევ, ამაოდ ნუ აშრობ თავსა თქვენსა.

ს ო ლ ო მ ო ნ: შეუძლებელი არ არის ეგ საქმე, შენ დია ამძიმებ!

ი ო ა ნ ე: ასე შეუძლებელია, როგორათაც რომ სწერენ ფილოსოფოსნი ოთხსა რასმე იმსახედ.

ს ო ლ ო მ ო ნ: რასა სწერენ, მითხარ, შეუძლებელსა?

ი ო ა ნ ე: ამას, უკეთუ ვინმე შობითგან ოც წლამდის სახით არის დუხჭირი ანუ უშვერი, ოცდაათ წლამდის უღონო, ორმოცდაათ წლამდის უგუნური, სამეოცდაათ წლამდინ უღმრთო, ამათი წესსა შინა მოყვანება შეუძლებელ არს. აგრეთვე ოთხნი ნივთნი, ანუ ჩვეულებანი, მოკლებულ ჰყოფენ კაცსა განმსჯელობისა და პატიოსნებისაგან, ესე იგი: მეძავობა, ვეცხლის-მოყვარეობა, რისხვა ყოკელთვის და მარადღე სიმთვრალე.

ოთხნი ნივთნი მოიყვანენ კაცსა უწესოებასა და უღთოებას შინა, ესე იგი: უწესო განცხრომა და განმბნეველობა, გარყვნილება და მსუნაგობა, მცონარება ანუ ზარმაცობა, შური ანუ მტერობა. სამი ნივთნი ღვთისა და კაცთათვის არა არს სათნო: გლახაკისა ამპარტავნობა, მდიდრის სიწუწკე და ცხუობა, ხოლო მოხუცებულის მეძაობა. სამი ნივთი ცუდად იქმნების ხმარებულ მაშინ, უკეთუ შეხვდეს ესევითარად: ჩიტი ხელსა შინა ყმაწვილისასა, ყმაწვილი მუსაიბად მოხუცებულისა სულმოკლესადმი და მეგობრობა უგუნურისადმი.

ს ო ლ ო მ ო ნ: მეგობარი, მაშა, ვითარი უნდა ჰყვანდეს კაცსა?

ი ო ა ნ ე: მეგობრობას უნდა ყოველთვის ერიდებოდე ტირანისასა, ამისთვის რომელ ტირანი დახსნის კეთილობასა, სძულობს მდიდარსა, აღამაღლებს ბოროტსა, და დასთრგუნავს კეთილ-მოქმედებასა. ხოლო სათანადო არს შენდა ძიებად ესგვარსა მეგობარსა, რომელიცა იყოს ხარწმუნო, მტკიცე სულითა, მყუდრო უხვ და მოწყალე,

მდიდარ, დიდ შემძლე საქმეთა შინა, კეთილად ზრდილ და პატიოსნის მეუღლისა მყოლე. და ესეცა უწყოდე, რომელ რაოდენთაძე ნივთთა დაფარვად შეუძლებელ არს: სიყვარულისა, სიძულვილისა, ცოდვისა და ორგულობისა, ხველისა და აღტყინება ცეცხლისა, მწუხარებისა და. სიხარულისა, სიმშილისა და წყურვილისა, სიცხისა და სიცივისა, და სხვანი. და ამას გამცნებ, ნუ სცვლი საზღვართა მამისა შენისათა, სცხოვრებდე დანაშთთა დღეთა შინა კეთილად.

სოლომონმა მადლი უთხრა ესეგვარის უბნობისათვის და ჰრქვა: კაცის სიცოცხლეს უფრო რომელის ცხოველისას შეამსგავსებენ ხანეერძლობით?

ი ო ა ნ ე: ამსახედ სწერენ მაგისთვის და შეამსგავსებენ ესრეთ, რომელ სამს წელს მერცხლის სიცოცხლის ოდენს იცოცხლებს ძაღლი. სამს ძაღლის ოდენს ცხენი. სამის ცხენის სიცოცხლის ოდენს კაცი. და სამის კაცის საუკუნოს იცოცხლებს ირემი. და სამის ირმის ოდენს ყორანი, და სამის ყორნის ოდენს არწივი თუ ორბი, და სამის ორბის ოდენს გველი.

და ესრეთ სიბრძნის-მეძიებელსა არა თანა აძს ნამეტნავად სმა და ჭამა, ნამეტნავად ძილი, ნამეტნავად ლაპარაკი და არცა ნამეტნავად გართვა მხიარულებასა და შექცევასა შინა, არამედ თანააძს ცნობად და მსახურებად ერთისა ღვთისა, ერთგულებად მეფისა და მამულისა თვისისა, აღკრძალვად ენის თვისისა, დამცირებად შრისხანებისა თვისისა, მოძიებად სწავლისა და ხელოვნებისა, მტკიცე გებად სარწმუნოებისა ზედა თვისსა, ცნობად კეთილისა, შემსუბუქებად ბოროტ შემთხვეულებასა მოყვსისა თვისისა. დაცემულთა აღმართებად, შეწევნად გლახაკთა, ნუგეშინისცემად ჭირვეულთა, შეწყნარებად უცხოთა. სნეულთა ხელის აღპყრობად, და უკანასკნელ. მოლოდებად საუკუნოსა ცხოვრებისა და ჯილდოჲსა.

და ესრეთ დასრულდა ვახშამი.

იოანე აღსდგა, გამოეთხოვა სოლომონს. სოლომონმა აჩუქა სახარჯოდ ფული და გამოესალმა, რომელ ხვალე ადრიან უნდა წავიდე მისხანას. და ესრეთ განიყარნენ იგინი.

იოანემ განისვენა ღამესა მას. მეორესა დღესა იხილა მუნებურნი შენებულებანი და სიმაგრენი, დიდად მოიწონა და სთქვა: „მიკვირს მეფეთაგან, რატომ აქ ქალაქებსავით არ გაუკეთებიათ სიმაგრეები და ხალხი არ დაუსახლებიათ? ეს ხომ ბუნებისაგან არის თვით ქმნილი და მხედრობათაგან შეუალი; მაგრამ ჰგავს თანაშემწენი ვერ ჰყოლია ესე ვითართა გულსმოდგინენი, არამედ მეძიებელნი საკუთრად თავთა თვისთა სარგებლობისა.“ და წარმოვიდა ახპატისაკენ, იგიცა იხილა, და მუნებური ეკკლესია და შენებულება დია მოიწონა.

და მაშინ ბერმან ვინმე სომეხთაგანმან შეიწვია სენაკად თვისად იოანე და ესეცა გაყვა. რა სენაკსა შინა თვისსა მიიყვანა ვართაპეტმან მან იოანე, მოიკითხა და მგზავრობის მიზეზიცა გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე უამბო და მერე დასხდენ, მცირე იმუსაიფეს და ვართაპეტმან მოართვა საუზმე იოანეს, და იწყეს ჭამა, და ამასთან კარგი ღვინოცა მოართო იოანეს და თითონაც კარგად შეექცა. მაშინ ვართაპეტმან ამან ჩამოიღო ჩონგური და დაუწყო კვრა და მერე მოუვა სიმღერასა ამას:

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ?
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ;
საითაც გაიქეც, იქით წაიქეც,
ბოლოს დროსა ბედოვლათიც შეიქენ.
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული;
ეს რა მომივიდა ახირებული?
რაც მომიხდა, განუსჯელობით არი!
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

მეფეთაგან მეჯლიშს მიწოდებული,
თავადებთან პატივცემით შვებული,
ალისფერის კაბით განშვენებული,
ახლა ამა ძაძით გაშავებული.
ესე ხვედრი ჩემი მოძღვრისაგან არი.
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა?
ქორი ვიყავ, ძერობა რათ მინდოდა?
ერი ვიყავ, მღვდელობა რათ მინდოდა?
მოდი მითხარ, ბერობა რათ მინდოდა?
ვგონებ ჩემის უბედურის დღისაგან არი.
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

იოანე დიაკონი განცვიფრებით უყურებდა და სთქო: „ვაჲ, საწყალი, ვითარ გლოვს ერის-კაცობის გაშვებას?“ და უკანასკნელ უთხრა: „მამაო, მონაზონი ხართ, მარცხნივ არ წახვიდე!“

ვ ა რ თ ა პ ე ტ ი: შენის ხნისა რომ ვიყავ, მარცხნითაც ჩავიგორებდი ხოლმე და მარჯვნითაც.

ი ო ა ნ ე: ეი ჩემს თავს! მაგისთვის გლოვთ!

ვ ა რ თ ა პ ე ტ ი: ამისთვისცა ვჰგლოვ, და შენთვსაც, რომ ყმაწვილი კაცი შემდგარხარ ბერათ.

ი ო ა ნ ე: ყმაწვილობით სჯობს, რომ კეთილს შეეჩვიოს კაცი; შენც რომ ყმაწვილი შემდგარიყავ ბერად, ახლა ამ მწუხარებაში არ იქნებოდით.

ვ ა რ თ ა პ ე ტ ი: მე თუ ჩემი მოძღვარი დამხსნოდა, ის ერობა მერჩივნა ამ ბერობას!

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ვ ა რ თ ა პ ე ტ ი: მე გახლავარ, საბრალო საათლამა, თუ გაგიგონიათ

ი ო ა ნ ე: დიაღ, მსმენია თქვენი ქება საზანდრობასა და შექცევასა შინა და მიბრძანეთ ვინა იყავ?

ს ა ა თ ლ ა მ ა: მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზედ გავაკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული, და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში, და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა, და ხალათაც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს. მე ყოველგან ადგილი მქონდა არა თუ მხოლოდ სიმღერით, ხუმრობითაც და სოფლიურს საქმეშიაც, რომ მრავალ მი, განვერთვი. მერე ეს ბერობა აღვირჩიე, და ვარ აქა—და ამ ჩემს ბერობაშიაც ნათქვამი ლექსით სიმღერა თქვენც მოგახსენეთ.

ი ო ა ნ ე: რადგან სოფელი დაუტოვეთ, საკრავსა და სიმღერაზედაც ხელი უნდა აიღო.

ს ა ა თ ლ ა მ ა: ჩემმა წინამძღვარმანც მიბძანა და ნე პირობა ასე მივეც, რომ ვინემ ეს სიმები ამ ჩონგურს ასხია და არ დაუწყდება, ხელს არ აღვიღებ, ამისთვის რომ ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმები უბეში დამრჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხს სიმებზედ უკრავ ხმებს.

ი ო ა ნ ე: და რადგან აღთქმა დაგიცს, შეგენდობათ.

და ამა ხუმრობით დაასრულეს საუზმე.

ს ა ა თ ლ ა მ ა: მე მაინც ვცხონდები, ამისთვის ამ ჩვენს ეკკლესიას ორმოცი სამწირველო აქვს და ვინც ჩვენგანი გარდაიცვლება ვინმე, ორმეოც დღეს უწირვენ ყოველგან, ათს წირვასა იქმს ორმეოც დღეს. და ასეა თქმული, ვინც ორმოც დღეს ათს უწირვინებს თვისსა მიცვალებულსა, უთუოდ ცხონდება, თუ უკანასკნელ ჟამშიაც არს, აღსარება უთქვამს და ზიარებულა.

იოანეს დია გაუკვირდა იმ საყდრის იმდენი სამწირველო, ხელმეორედ კიდევ გაშინჯა და სთქვა: „მართლად ძველნი ხუროთმოძღვარნი საქებელნი ყოფილან, რომ ესეოდენი კარგი ხელოვნება და ნაკეთე-

ბი და კიბეები ერთიანი ქვისა და თალნი თახჩად ჩაწყობილნი იატაკითურთ ყოფილან. მე ესგვარი შენებულება არა სად მიხილავს". და უკანასკნელ გამოესალმა საათლამას და წარვიდა ისევ ბორჩალოსაკენ.

სამხრობის დროს მივიდნენ სადახლე სოფელსა შინა, ნახეს მუნ რაოდენიმე მსახურ-აზნაურნი, ჯარისკაცნი. და იკითხა იოანემ ვინაობა მათი, და უთხრეს: „გიორგი ციციშვილი სარდალი აქ ბრძანდება, ფანბაკს აპირებს მისვლას ამ ჯარით". იოანე მაშინვე გარდახდა ცხენიდამ და ზურაბა აახლო სარდალს, და ლოცვა-კურთხევით მოიკითხა. მან მაშინვე სახლი მიაცემინა და ვახშმად თვისთან დაიბარა. იოანემ საგზაო ტანისამოსი გაიხადა და მცირე განისვენა. რა ვახშმის დრო მოვიდა, განემზადა იოანე და წარვიდა სარდალთან. მისრული იოანე სარდალს თავს დაუკრავს და ეტყვის: „მშვიდობა, მშვიდობა შენდა სარდალ-მოურავ, მეფის სიმამრო!"

ს ა რ დ ა ლ ი: სულისაცა შენისათანა, დოსითეოსის გამზრდელო!

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს! ეგ ჩემი ტიტლა არ არის.

ს ა რ დ ა ლ ი: და არც ბატონის სიმამრობა არს სახელო.

ი ო ა ნ ე: ეგ ასეთი სახელო არის, რომ მაგან მაშოვნინა სხვა სახელონი.

ს ა რ დ ა ლ ი: ჩვენს გვარში ყოველთვის ყოფილა სარდლობაც და მოურაობაც!

ი ო ა ნ ე: მაინც თქვენ უფრო კეთილდღეობა ბატონის სიმამრობამ მოგიგოთ.

ს ა რ დ ა ლ ი: მე ვნანობ ღმერთსა. და მითხარ რადგან მეცნიერს გეძახიან. რა არს კეთილდღეობა და ბოროტშემთხვევა?

ი ო ა ნ ე: გარემოებანი შემადგენელნი კეთილდღეობისა კაცობრიობისა ბუნებისანი არიან: სიმრთელე. აღზრდილობა, უშიშროება. სიმდიდრე და გრძლად ცხოვრება. ხოლო ბოროტ-შემთხვეულებანი, ანუ უბედურებანი არიან უკვე: სნულება. უზრდელობა ანუ უცოდინრობა, მონება. სიგლახაკე და მოკლედ ცხოვრება.

ს ა რ დ ა ლ ი: ამა რიცხვთა შორის ვიცი აზიური ზრდილობა, სიმდიდრეცა მაქვს ჩემ შესაფერად და სიცოცხლეც გრძელი, სამოცდა ათუთხმეტისა მეტი ვარ წლითა და არცა ვარ სნეულ.

ი ო ა ნ ე: მართლად კეთილდღეობა მოგეწერებათ თუ ბოლოს თავიც იცხონეთ.

ს ა რ დ ა ლ ი: ვინც ბერი მინახავს, ყოველს ეს შენი სიტყვა უთქვამს, ვითომც მივცე რამე და მაცხოვნონ.

ი ო ა ნ ე: მე მაგისთვის არ მოგახსენებ, მაგრამ ბედნიერება ასეთი რამ არის, რომ მალე შეიძულებს თვისსა მეგობარს, და ამისთვის არ ღირდა მიენდოს კაცი ბედნიერებასა.

ს ა რ დ ა ლ ი: ბედნიერებასა შინა ვითარ ჯერარს ქცევად და ეგრეთვე სიმდიდრეთა შინა?

ი ო ა ნ ე: რადგან კაცნი ქვემდებარე ვართ ბედნიერებისა და უბედურობისა, სიმდიდრესა და სიგლახაკისა, ამისთვის თანაგვაძს ჟამსა ბედნიერებისასა აღვლაგმოთ ბედნიერება ჩვენი და უკეთესად ვაქცევდეთ.

ბედნიერებასა სახვენ ფრინველის სახედ, რომელსა აუხიან ფრთენი და ხელნი. და ოდეს დაემეგობრების ვისმე, თუმცა ხელს თვისსა მისცემს დაპყრობად მეგობრობასა შინა, გარნა ფრთასა დაპყრობად არარად უტევებს. და ამისთვის სწერენ ფილოსოფოსნი: კაცო, ბედნიერობასა შინა მყოფო, დაიმჭირე მტკიცედ ბედნიერებაჲ ეგე შენი ამად რომელ მხტოლვარე ვიდრემე არს და მძლავრ, დაპყრობად არა გერჩის.

ს ი მ დ ი დ რ ი ს ა თ ვ ი ს

ხოლო სიმდიდრეთა შინა ესთა სათანადო არს ქცევად, ვინაჲდგან ღმერთმან ნიჭებულ გყო გონიერებითა და უხვითა თვისისა მოწყალებისათა გიბოძა სიმდიდრე, იგი სჴვრეტს თუ ვითარითა სახითა იხმეარ მას, ესე იგი, უჭეშმარიტესითა კმაყოფილებითა და საშვალობითა მისითა შეუძლებ ქმნად კეთილისა მოყვასთა თვისთა, და შეეწევი გლახაკთა და მყოფთა განსაცდელსა შინა და არა დაითმენ ძლიერისაგან შეწუხებასა უსამართლოდ უღონოთასა. და მეძიებელ იქმნები გულსმოდგინედ. ღირსთა შეწყალებისათა სცნობ და ნაკლულევანებასა მათსა შეეწევი; და ამას მხოლოდ იქმ მოწყალებით და არა ხალხთაგან ქებისთვის. მაშინ იქმნები ნანდვილ მდიდარი. და ამასთანავე უკეთუ ჰყოფ მრავალთა სამუშაოთა საქმეთა და მით განამდიდრებ ქვეყანასა, მისცემ გულსმოდგინებასა ქვეყნის-მოქმედთა და შემოიყვან სრულებასა შინა მეცნიერებითა, ხედვითა და საქმითა, მაშინ იწოდები ნანდვილ მდიდარიცა და სარწმუნო მოხელე და მოურნე ქვეყანისა.

ხოლო პირისპირ ამისა უბედურ არს იგი, ვინმცა განმამრავლებელი საუნჯისა თვისისა. არა იქმნების სვინიდისიან და უგულებელს-ჰყოფს ყოველთა გამორჩომისათვის თვისისა, არცა შეიწყალებს საწყალთა და არ მიხედავს ოფლთა პირთა ზედა მუშაკთასა მომდინარესა, არცა განიკითხავს შეწუხებულთა და საწყალთა და არცა გრძნობს დაგლახაკებათა მათთა, არცა მიზეზს სცემს მცირესა შეწუხებასა და ურვასა მათთვის; და დასტკბების ცრემლითა ობოლთათა,

ვითარცა რძითა და ტირილთა ზედა ქვრივთასა, ვითარცა სმენითა საამოსა საკრავისათა. ესე ვითარი არს ჭეშმარიტად უბედურ და კაცობრიობითაც დაგლახაკებულ.

ს ა რ დ ა ლ ი: „ესე შემსგავსება ჩემზედა თქვით?“ — და იწყინა კიდეც.

ი ო ა ნ ე: არა, მერწმუნეთ, გარნა ვინმცა შეაკრავს გულსა სიმდიდრისადმი, და განფიცხებულ იქმნების სიყვარულითა მისითა, ესე-ვითარი უკვე კაცი არაოდეს იქმნების სხვისა მწუხარებისა და განსაცდელისა მგრძნობელ და გამაუბედურებელ მრავალთა. გარნა ესე-ვითარსა უკვე კაცსა უსამართლოებაჲ თვისი ყოველგან წყეულად არონინებს, და ნიადაგ იქმნების შიშსა შინა, ხოლო ცხოვრება ექმნების ღელვაგვემულ სულითა. და სიფიცხე და ანგარიშება მისი აძლევენ ჯილდოდ კმად ვნებათა და მოძულებათა მათგან, რომელნიცა გაუბედურა მან და აგრეთვე სხვათაგან.

გ ლ ა ხ ა კ ი ს ა თ ვ ი ს

ესეგვარსა სიმდიდრესა ზედან უმჯობეს არს სიგლახაკე, მით რამეთუ გლახაკნი იხარებენ მით, რაჲცალა აქვნ მას და დასტკბებიან მოსვენებითა სულისა თვისისათა, და არცა უსხენან მას მრავალნი პურისმტენი და არცა სხვათა მიტაცებულთაგან მასპინძლობენ მათ. იგინი არა შფოთვენ მრავალთა სახლეულთათვის და არცა ვის თხოვნითა უცხოთა ანუ თვისთა შეწუხებულ ჰყოფენ.

მოკლებულნი ტკბილთა საჭმელებთაგან, მოკლებულცა არიან სნეულებათაგან.

პური და სხვანი საგლეხო ჭამადნი, უმეტეს საამოდ განაძღობს მათ და წყალი და ღვინო უფროს შეერგებისთ მათ, ვიდრეცა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათები.

მუშაკობითა თვისითა უმეტეს განიწმენდენ სისხლთა თვისთა და უფრორე მრთელ არიან, ვიდრეცა მდიდარნი განსვენებით მცხოვრებნი და ფუფუნებასა შინა მყოფნი.

მინდორთა, ტყეთა და მთათა შინა და ხმელთა ადგილთა ანუ თვისთა ღარიბთა სახლთა შინა წოლაჲ და ძილი. უმეტეს გემრიელად განატარებენ ღამესა ძილითა, ვიდრეცა მდიდარნი დოშაქებთა და ლეიბებთა ზედა წოლითა. და ესრეთ, ნუ მიენდობის მდიდარი სიმდიდრესა თვისსა და ნურცა გლახაკი დასუსტდების უპოვარებითა თვისითა, ამისთვის ვინაჲდგან წინათვე მხილველმან განუყო თვითეულთა სიმდიდრე და ნეტარება. ხოლო საკუთრად მდიდარი იგი არს

რომელსა შემოსავალი უფროს აქვს ვიდრე განსავალისა, ხოლო ღარიბი იგი არს, რომელსა ხარჯი უფროს აქვს, ვიდრე შემოსავალისა.

და მოციქულიც გვასწავებს: „სიმდიდრე თუ გარდაგერეოდეს. ნუ შეიპყრობ გულსა შენსა".

ს ა რ დ ა ლ ი: ასეთი არავინ ვნახე, რომ სიმდიდრისადმი არა ჰქონდეს გული შემსჭვალულ და შენც ამისთვის არ დარბიხარ? ქართლი შემოირბინე და კახეთი.

ი ო ა ნ ე: მართალია, მე მონასტრის სამსახურის გულისთვის დავდივარ, და ვინც არას მომცემს მოწყალებას, მე ძალად ვერავის რას წავართმევ.

ს ა რ დ ა ლ ი: მაშა, მე კი ვართმევ?

ი ო ა ნ ე: ხალხნი ასე ჩივიან.

ს ა რ დ ა ლ ი: შენ დიაღ თავს გახველ, ბატონის კარგი ყმანი არ ღარავინ გაუშვი გაულანძღავნი და ახლა ხელი მეც მომყავ, მე ეიმალისავით, ხომ იცი, არ დაგითმობ!

ი ო ა ნ ე: ვინ განვლანძღე და ანუ თქვენ რა მოგახსენე წინააღმდეგი?

ს ა რ დ ა ლ ი: ალექსანდრე მაყაშვილი და ელეფთერ.

ი ო ა ნ ე: თქვენ იმათ ამხანაგი ბრძანდებით?

ს ა რ დ ა ლ ი: დიაღ!

ი ო ა ნ ე: ახლა კი მჯერა, რომ თქვენც მომხვეჭი იქნებით.

ს ა რ დ ა ლ ი: არ იცი შენ, სამეფო საქმეებს სულ ჩვენ ვმართავთ და რიგსაც ჩვენ ვაძლევთ?

ი ო ა ნ ე: თუ სწორედ საქმის დაჭერა გინდოდა, მეფე ირაკლის ვინც დარჩა, ისინი სულ უნდა ყოფილიყვნენ საქმეში, მარტო თქვენ არ უნდა მიგელოთ.

ს ა რ დ ა ლ ი: იმათ რა კარგა დააწყვეს საქმე? ტფილისი ააღებინეს მტერსა!

ი ო ა ნ ე: იმათი რა ბრალია, ჯარით არავინ გამოხვედით და ყოველთა უსუსტეთ.

ს ა რ დ ა ლ ი: მე ჩემზე დიდი კაცი არავინ მინდა. და ვინც არ მემსახურება, არც საქმეში გავრევ.

ი ო ა ნ ე: თქვენი ამხანაგნი რას გემსახურებიან და ან რა გააკეთეს ღირსი ხსოვნისა?

ს ა რ დ ა ლ ი: თუ ისინი შემწედ არა მყვანდნენ, დიდი არეულობები იქმნებოდა სამეფო სახლში და სხვაგანაც.

ი ო ა ნ ე: არეულობა მეტი რაღა უნდა, შინაგან ბრძოლანი და გარეგან ხდომანი თქვენთან წარმოებენ; და ახლა ბრმა ხანის საომრა-

დაცა მიხვალთ, რომ ბრმისაგან დამარცხდე, ესეც ჩვენის ქვეყნისათვის სირცხვილია.

მაშინ სარდალი განრისხდა და უბრძანა თვისთა მსახურთა დიაკვნის პაღურით გაგდება და იმ სოფლიდამაც განდევნა. დიაკვანი გამოაგდეს კისრის-კვრით და ცხენებიც მოგვარეს მათ. და ესრეთ განდევნეს სოფლიდამ.

იოანე შეწუხებული ფიქრობდა, თუ საით წავიდეს, ვინაიდგან გზა არ იცოდა იმ სოფლებისა, და ღამეცა იყო. ამა ფიქრითა აქა-იქ მიმოეხეტებოდა; რა ესე იხილა ზურაბამ, უთხრა: „ბერო, რომ არავინ ერჩის შენს სწავლასა და ყოველგან შეურაცხგყვეს, რატომ არ დასდგები შენს ქერქშია? აბა, რა შეიმატე შენის მოძღვრებითა? ვახშამი დაჰკარგე, ძილი და საჩუქარი, და ახლა არც კი ვიცით, საით მივალთ, ვაი თუ მგლებმანც შეგვჭამონ.“

ი ო ა ნ ე: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი“. მე გასარისხებელი არა მითქვამს რა, რაც მკითხა, სწორე უთხარ. მაგრამ რაც მსმენია მისთვის და არ ვიჯერებდი, ახლა თვით ჩემზედაც გამოვიცადე. დაეხსენ იუნჯებს და არა უწყის, ვის შეუკრიბოს, უკანასკნელ მაღაქელაშვილს დარჩება.

ზ უ რ ა ბ ა: მაგ წინასწარმეტყველობით შენ ბევრი გერგება.

ი ო ა ნ ე: ხომ გაგიგონია, „ზეთი ცოდვილისა ნუ განაპოხებს თავსა ჩემსა“. ამა უბნობასა შინა ნახეს, ერთი ცხენოსანი კაცი მოეწიათ ამათ, და იცნა იოანე, უთხრა: „სად მიხვალთ ამ დროს?“ იოანემ: „არც ჩვენ ვიცით“. იმ კაცმან უთხრა: „მე გამომყევით, ყულარში მივალ ასლან ყაფლანიშვილთან, იმისი მსახური ვარ, სარდალმან ვამავზავნა საქმეზედ“. იოანეს დიაღ იამა და წარვიდენ; ვათენების დროს მივიდნენ მუნ. ასლანმან რა იოანეს მისვლა სცნო, დიდად იამა და მაშინვე ბინა მისცა და სადილად თვისთან დაიბარა. იოანემ განისვენა კარგად და სადილის დროს მივიდა ასლანთან, ლოცვა-კურთხევით მოიხსენა. ასლანმაც მადლობა უთხრა, მიიწვია და დასო თავისთან, მგზავრობის მიზეზი გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე უანბო. ასლანმან უთხრა: „მამაჩემი გაქებდა სიბრძნეშიაც და სიმხნეშიაც და მე დიდად მიამა, რომ აქ მოხველ.“ მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: თუ თქვენც თქვენს სიმამრსავით დახვდით, ამასაც უნდა იამოს აქ მოსვლა.

ასლანმან მაშინვე გრძნო და უთხრა: ის მაგრე რიგად არას სწყალობს სამღვდელოთა და არც ამას უნდა ეწყინოს.

ი ო ა ნ ე: თუ იმისგან სიმწარე რაჲმე მივიღეთ, თქვენგან დავსტკბებით.

და ამ ჟამში სხვადასხვა ენის წიგნები მოუვიდა ასლანს: თათრული, სპარსული, არაბული, ჯიღათაისა, და ყოველივე დაუბრკოლებლივ აღმოიკითხა. რა ესე იხილა იოანემ, სთქვა: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ჩვენს თავადიშვილებში ვნახე სამისა და ოთხის ენის წიგნების მცოდნე და მეცნიერი“.

ა ს ლ ა ნ: გმადლობ ქებისათვის, მაგრამ მე მაგისთანა მცოდნარი არა ვარ რა.

ი ო ა ნ ე: მე ჯერ თქვენს მეტი არავინ მინახავს ენების მცოდნე!

ა ს ლ ა ნ: მაშ რადგან მოგწონვარ, მინდა გკითხო ენების ცოდნისათვის.

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ.

ე ნ ე ბ თ ა თ ვ ი ს

ა ს ლ ა ნ: რაჲსა გამო საზოგადოთ სახეცვალებულ ვყვენით უპნობანი ჩვენნი ესეოდენ მრავალთა სხვათა და სხვათა გვართა ენებთა გამო, ვინაჲდგან კაცნი ყოველნივე ურთიერთისა მსგავსნი ვართ?

ი ო ა ნ ე: საღმრთო წერილისაგან უწყებულ არს ჩვენდა, რომელ დროსა ბაბილოვანის გოდლის შენობისასა, ღმერთმან შეურევნა ენანი კაცთა, და მუნიდგან იშვა უდიდესი სიმრავლე სხვათა და სხვათა ენებთა.

ა ს ლ ა ნ: ძველთა დროთა შინა ვითარნი უკვე ენანი უფრორე განკაზმულ არიან სხვათა ენებთა ზედა და განვრცელებულ ხმარებულებისამებრ თვისისა?

ი ო ა ნ ე: შესაძლებელ არს აღრიცხვად უფროს უძლიერეს ოთხისა ენისა, ესე იგი, ებრაულისა, არაბულისა, ბერძულისა და რომაულისა ანუ ლათინთა და შემდეგნი ამათნი. კვალადვე უძველესნი და ვრცელნი არიან: ფრანციცული, იტალიანური, ნემეცური, იშპანიური, სპარსული, ჯიღათაის ენა და რუსული-სლავენური, აგრეთვე ამათ მოსდევს სომხური და ქართულიცა.

ა ს ლ ა ნ: ამა ენათა შორის რომელნი ენანი იხმარებიან საღმრთოთა და სამოქალაქოთა საქმეთა შინა და სწავლათათვის უფრორე?

ი ო ა ნ ე: ელინური ანუ ბერძული და ლათინური უფრორე ბიუცილებლად არიან საჭირონი კაცთათვის მოსწავლეთა სწავლისათა. ეგრეთვე მათთვისაც, რომელნიცა სამღვდელოდ აღიზრდებიან და ესსახედვე მოძღვართადმიცა სკოლისათა.

ფრანციცული და თათრული ენაჲ ფრიად საჭირო არს მოგზაურთა კაცებთა, ელჩებთა და ვაჭრებთათვის, მით რამეთუ ამა ორისა მცოდ-

ნენი შემძლებელ არიან ყოველსა ქვეყანასა ზედა სვლად: ამისთვის რომელ მთლად აზიასა შინა ყოველგან მოიპოების მცოდნეჲ თათრულისა ენისა, ხოლო ევროპიასა შინა ყოველსა ადგილსა იპოებიან მცოდნენი ფრანციცულისა ენისანი. და სხვათა და სხვათა წერილთა ამა ენებთაგან შეიძინებსცა მრავალსა გვარსა სწავლასა და ხელოვნებასა. ანგლიური ენა და ნემეცური უფრორე საჭირო არს მათთვის, რომელნიცა ნჱსურნე არიან სწავლად და წარკითხვად ძველთა ქმნილებათა და ხელოვნებათა, აგრეთვე საფილოსოფოსოთა სწავლათა, ისტორიათა, მათემათიკათა, პოეზიათა, ზღვაში მცურვალობათა და საზოგადოდ ყოველთადმი სწავლათა და ხელოვნებათათვის.

ა ს ლ ა ნ: ვითართა წელთა, ანუ ასაკთა შინა შესაძლებელ არს უფრორე კარგად სწავლად უცხოთა მხრისა ენათა?

ი ო ა ნ ე: ოდესაც ყმანი ისწავებენ თვისსა ბუნებითისა ენასა, მაშინ ამა კარგთა და ნარნართა წელთა შინა ორღანონი ხმისა ძათისანი იქმნებიან ლბილ და მიმომზევნი, და ამის გამო ყრმანი უმჯობეს შეეჩვევიან და ადვილადრე გამოიღებენ პირისაგან სხვათა ენათა გვართა უბნობისამებრ.

ა ს ლ ა ნ: რომელი ენა უფრო უძლიერეს და უპირველეს ყოველთა ზედა არს?

ი ო ა ნ ე: ებრაული, რომელსა ზედა უბნობდიან იუდიანნი და რომელსა ზედაცა დაიწერნენ საღმრთო წერილნი ძველისა აღთქმისანი.

ა ს ლ ა ნ: ახალი უკვე აღთქმაჲ, რომელსა ენასა ზედა იყო აღწერილ?

ი ო ა ნ ე: ელინურსა ანუ ბერძნულსა ზედა. და ამის გამო ამა ორთა ენათაცა სათანადო არს სწავლად მათდა, რომელთაცა ნებავსთ სრულიად შემემცნება და მიწთომა საღმრთოთა წერილებთა.

[მერე მოყვანილია ცნობა საღმრთო წერილის გადმოთარგმნის შესახებ.]

ა ს ლ ა ნ: რომელი ენა უფროს უძნელეს არს სწავლად სხვათა ენაოა ზედა?

ი ო ვ ა ნ ე: ჩინეთისა. იგინი ხმარობენ მხოლოდ სამასოცდათუთხმეტსა ლექსსა, იგი ყოველნი არიან ერთ სიტყოობითნი ანუ თვითო სიტყვანი, გარნა თვითეული ლექსი მათგანი იპრყობს ხუთხუთთა სხვადასხვა გვართა ხმათა, ანუ მნიშვნელობათა, რომლისა გამო თვითეული უკვე ლექსი ძხიშვხელობს ხუთთა სხვადასხვა საგანთა. და ესახედ შეადგენს ესე ათას-ექვსას-სამეოცდა-ათუთხმეტსა ლექსსა თუ სიტყვასა. ხოლო ჩინელნი გამოხატულ ჰყოფენ ლექსებითა ამით სხვადასხვა-გვარ მნიშვნელობითა უბნობათა ანუ წერათა შინა, რომელნიცა არიან ესე გვარად შენიშნულნი ლექსნი იგი, ანუ ანბანნი, რომელ რიცხვით შედგინებულ ჰყოფს უფროს ოთხმოცი-ათასისა ლექსსა. და

ამა მიზეზისა გამო ენისა მათისა სწავლაჲ უძნელეს არს სხვათა ყოველთა ენებთა სწავლათა ზედა.

ასლან: ვითარ შესაძლებელ არს ენათა ანუ უბნობისა გამოხატვად განსახილველად?

იოანე: საშუალობითა ანბანთა ანუ ასოთათა.

ასლან: რაოდენნი არიან ესე ვითარნი ნიშანნი ანუ ასონი?

იოანე: ქართულისა ენისა ირიცხებიან ასონი ვიდრე ორმოცადმდე; არაბთა — ოცდაცხრა, სომეხთა ესდენი, რუსთა ოცდათუთხმეტი, ლათინთა და სხვათა ევროპიელთა ოცდაოთხი. ბერძენთა. ინდოელთა, ებრაელთა, სპარსთა და თათართა — ოცდაცამეტი. ხოლო ჩინელთა არა აქვთ რიცხვი, ვინაიდგან ყოველი წერაჲ მათ თითო სიტყვაჲ აქვთ თითო ასოთი.

ასლან: ვინ მოიპოვა პირველად ასოჲ?

იოანე: მოპოებასა მათსა მიაწერენ თვით ღმერთსა, რომელმანცა მისცა მოსეს ათი ბცნებაჲ დაწერილი ორთა ფიცართა ზედა. ხოლო შემდგომად კადმამ, ძემან აღენორისა მეფისა ფინიკიისამან, მოტანა ასონი ფინიკიიდგან საბერძნეთსა შინა, მახლობელ ათას-ხუთას-ათ-ცხრამეტსა წელსა შინა უწინარეს შობისა ქრისტესისა. ხოლო ამა ასოთა მოტანის მიზეზისათვის დაუწერა ლექსი ესე პატივისათვის კადმოსს უფალმან ბრებეფმან:

ჩვენა ვართ აწ ვალდებელნი მოგიძღვანთ ხელოვნებითა
ენისა განხატებისთვის და კარგად საუბრობითა;
ერცლად განმხილველნი გონებით შეკრულვართ ნარნარობათა
და ღირს-საქებრად ვით გამკოთ სხეულთა მოძრაობითა?

ესსახედვე ებრაელნიცა განცვიფრებულნი იყვნენ ამა საკვირველითა ხელოვნებითა, რომელ კადმომან მოიპოვა ასოთა ნაკვეთთა ხელოვნება სტამბის სახედ, და ამისთვის ებრაელთა უწოდეს მას დიკდუკად, რომელიცა ითარგმანების მახვილგონიერ მომპოვნებელად.

ასლან: ვგონებ ოდესაც პირველად ვინმე ისწავლიდა წიგნისა წაკითხვისასა, ვინემ შეეჩვეოდა ხალხი, დიდად გასაკვირველი იქმნებოდა უსწავლელთათვის.

იოანე: ამა შემთხვევისათვის მოუთხრობენ მეისტორიენი, რომელ ამერიკელნი ჰგონებდენ პირველ, რომელ ვითამც ქაღალდი თავით თვისით მეტყველებდეს, ოდესცა იხილენ ვინემ წიგნის მკითხველნი.

ესრეთვე მოუთხრობენ, რომელ რომელსამე ინდოელსა ტყვესა არწმუნა მებატონემან მისმან წარსაღებად სხვისა ერთისა მეგობრისა

ოკისისადმი ერთი კალათა უკვე ლეღვი და ამასთანაცა მისწერა წიგნი, და ორივე ერთად გაუგზავნა მას ინდოელსა. და მოეწონა ლეღვი იგი და გზასა ზედა შეჭამა რაოდენიმე, ხოლო დანარჩომი წერილითურთ მიუტანა კაცსა მას, ვისდამიცა იყო იგი წარგზავნილ. ოდეს წარიკითხა კაცმან მან წერილი იგი, ვერა ჰპოვა რიცხვი სრულიად ლეღვისა მის. რომელიცა იყო აღწერილ წერილსა მას შინა, და რქვა ტყვესა მას: „რასათვის სრულებით არ მომიტანე ლეღვი იგი? ჰგავს შეგიჭმია გზასა ზედა!“ ხოლო იგი ფუცევდა, გარნა ოდეს წარუკითხა მან ხმამაღლად წერილი იგი და რიცხვიცა ლეღვისა, მაშინ ინდოელი იგი შეწუხდა და იწყო კვალად რწმუნებად და დაუწყო წიგნსა მას გინება სახითა ამით, რომელ: „ეგე არს დიდად ცრუა მოწამე და არცა სიტყვაჲ მაგისი დასარწმუნებელ არს“.

კვალად სხვასა დროსა შინა შეხვდა ესე გვარივე გაგზავნა სხვასა თანა ლეღვისა წიგნითურთ და აგრეთვე სხვათაცა ხილებთა, რომელსა შინა ეწერა რიცხვი ყოველთა ხილებთა. ამა ინდოელმა კვალად განიზრახა რაოდენთამე ხილთა შეჭმაჲ, გარნა პირველად იხმარა ღონეჲ ესე, რომელ წიგნი იგი დასდო ერთსა ლოდსა ქვეშე და ესრეთ მიიღო რაოდენიმე ხილი ლეღვითურთ და სთქვა: „ვერღა დამინახა მე მჭამელი ხილისა წიგნმან ამან“. აღიღო მერე წიგნიცა იგი და მივიდა გაგზავნილსა მისდამი კაცისა და მიართო წიგნი იგი ხილებითურთ. და ოდეს აღმოიკითხა კაცმან მან წერილი იგი, კვალად უგნური იგი ტყვე მხილებელ იქმნა, რომელმანცა აღიარა გარდახდომილებაჲ თვისი და განკვირვებმანცა მოიცო იგი, რომელ ჰგონებდა მკითხაობისა ძალსა მქონებელსა წერილსა მას.

ა ს ლ ა ნ: რაოდენნი არიან სახმარნი ღონისძიებანი გამოწერისა ანუ გამოხატვისათვის ასოთა?

ი ო ა ნ ე: სამნი, ესე იგი: პირველი ღონისძიება კალამი, ლერწმისა თუ ფრთისა, რომელ ყოველთა მწერალთა ძალუცსთ თავით თვისით გამოჭრად და შემზადებად კალამთა. მეორე—შთამოსხმულითა ასოებითა, რომელ არს სტანბა, ხოლო მესამე — მოჭრითა ანუ გამოჭანდაკებითა.

ა ს ლ ა ნ: აზიურნი ანუ ევროპიის ენები, რომელნი რომელსა საქმესა შინა არიან ქებულნი?

ი ო ნ ე: აზიური ენები ესრეთ არიან შენიშნულ: არაბული სიბრძნესა და ცოდნასა შინა; სპარსული მუსაიფობასა და ალერს-სიტყვაობასა შინა და ლექსებშიაც ქებულია და ტკბილი სასმენლად; თათრული ბრძოლასა ანუ ომსა შინა; ქართული მეჯლიშსა, ლხინსა, ხუმრობასა და ზმასა შინა; ხოლო სომხური ჩარჩობასა და სანახევესა

ზედა. ევროპიულნი ენები: ელინური და ლათინური სიბრძნესა და სწავლასა შინა, ფრანციცული მუსაიფობასა და ალერსსა შინა, ნემეცური ბრძოლასა შინა, იტალიანური სიმღერასა და ლხინსა შინა, ღიმპანიური სიბრიყვესა შინა, ხოლო რუსული სირაჯხანასა და ხარჩევნებსა შინა.

და ესრეთ დასრულდა უბნობა: ასლანმა ქება მიაწერა დიაკვანს, სადილი თვისთან აჭამა და უკანასკნელ აჩუქა იოანეს რაოდენიმე კოდი ბრინჯი და ამასთან ერბო ყველითურთ, და მადლობელი იოანე გამოესალმა და წარვიდენ ბაიდრისაკენ.

ᲓᲦᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ

მისრული ბაიდარსა შინა იოანე, იხილავს რაოდენთამე თავადთა და აზნაურთა და კითხვასა ჰყოფს, თუ რად არიან მუნ? იგინი ეტყვიან, რომელ ბატონისშვილი იულონ ბრძანდება აქა. იოანეს დიდად იამა და ერთს მსახურთაგანსა ჰკითხა: „მღვდელი ახლავს ვინმე ბატონისშვილსა“? მან უთხრა: „კალოუბნელი მღვდელი იოანე“. მაშინ აჩვენა კაცმან მან სადგომი მღვდლისა მის. იოანე მივიდა მისთან; მღვდელმან მან ბყისვე იცნო იოანე, წინ მოეგება, მოიკითხა სიყვარულით და უანბორეს ერთმანეთს და მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა მღვდელმან მან და იოანეს კარგად განუსვენა. ხოლო ვახშმობის დროს ამ მღვდელმან დიაკვანიც თან წაიყვანა და იახლო ბატონისშვილს. მღვდელი წინ წარდგა, ბატონისშვილს აცნობა იოანე. ბატონისშვილს დიდად იამა და უბრძანა იოანეს დაჯდომა და ჰკითხა მისი ვინაობაჲ, და მერე უბრძანა: ორნი ფილოსოფოსნი შეიყარენით ლა უნდა თქვენ ერთმანეთი გამოსცადოთო.

ᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მაშინ მღვდელმან ჰკითხა იოანეს: იცია წერა?

ᲘᲝᲐᲜᲔ: ეგ რა საკითხველია?

ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ: რატომ არა! ღრამმატიკა არს მწერლობა?

ᲘᲝᲐᲜᲔ: დიდხანია ვისწავლე მე მაგის განმარტება.

ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ: თუ იცი, რაჲცა კალმისა ძალით გამოიხატების ასონი, რაჲ ეწოდება მას?

ᲘᲝᲐᲜᲔ: წერილი.

მ ღ ვ დ ე ლ ი: რომელი გვარი მწერლობისა უფროორე განსხვაებული არს წმინდასა წერასა შინა?

ი ო ა ნ ე: ანგლიური და ღოლანდიური.

მ ღ ვ დ ე ლ ი: ვითარითა განსხვაებულისა მოქმედებითა იქცევიან წერათა შინა სხვათა და სხვათა ქვეყანისა მწერალნი?

ი ო ა ნ ე: ურიანი, არაბნი, სპარსნი და სხვანი აზიელნი სწერენ მარჯვენეს მხრიდგან მარცხენისადმი (ანუ უკუღმა). ჩინელნი სწერენ ზევიდგან ქვევით, ტრიქონ-ტრიქონად დაყოფით.

[აქ დედანს ორი ფურცელი აკლია]

....თუ რომელსა საშვალობითა შემძლებელ არიან ქმნადობა ხელოვნებასა?

ი ო ა ნ ე: ესე ხელოვნებაჲ არის სამგვარი, ესე იგი: აქაქები, ანუ ბეჭდებისა და ღერბისა მომთხრელნი, მეორე — ოქრომჭედელნი, რომელნიცა გამოიყვანენ მეტალთა ზედა სახეთა, სხვადასხვა გვართა და შთამოსხმენ ვითა თოქმაჩნი სხვათა და სხვათა გამოქანდაკებულთა სახეებთა. ხოლო მესამე არიან ქვის მჭრელნი და ხის მთლელნიცა. რომელნიცა გამოიყვანენ სხვასა და სხვასა სახეთა ნაკვეთთსა და დასწერენცა მას ზედა წერილთა. ხოლო ხმარობენ ესეგვართა ხელოვნებათა შინა იარაღთა. ფოლადისა რკინისაგან ქმნილთა სხვადასხვაგვართა მწვეტიანთა კალმებთა და აგრეთვე სათლელთა იარაღებთა და ჩამოსასხმელთა ყალიბებთა, დანებთა სხვადასხვაგვართა და მაგართა თეზაფებთაცა, რომლისა დაწერისა ძლით ამოსჭამს მეტალთა. და ესრეთვე აქვს სხვადასხვა გვარნი ჩარხები ამა ხელოვნებისათვის საძუშაოხი. ხოლო ხელოვნებისა ამის მასალად იხმარებენ: ოქროსა ვერცხლსა, სპილენძსა, თითბერსა, კალასა, ტყვიასა, რკინასა, ხეთა, ქვადა სხვადასხვა გვართა, გაჯთა, ცარცთა, და ძვალთა სპილოსა და თეეზის კბილთასა და პირუტყვთა რქებსა, ბალას ძვალთა, და ესე ხელოვნება არს მრავალგვარი.

შემდგომად ამა უბნობისა მოვიდნენ თავადნიცა და ამათ შორის ომან მდივანი ხერხეულიძე; მოიღეს ვახშამი და იწყეს ჭამად. გარნა ბატონისშვილი იყო ფიქრისგან მოცული და თითქმის ვახშამიც უნდომრად მიიღო.

რა ვახშამი დასრულდა, ხალხნი წავიდენ თვისთვისად, ხოლო იოანე და ომან მდივანი დაშთენ მუნ ბატონისშვილის ბრძანებით. მაშინ

ი ო ა ნ ე მ მოახსენა: ხელმწიფეო ჩემო. დიდის ფიქრისაგან იყავით მოცულნი და რაჲ გაქვსთ საფიქრებელი?

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მდივანი გეტყვის მიზეზსა!

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ მდივანო!

მ დ ი ვ ა ნ ი: უთანხმოებისათვის ძმათა შორის.

ი ო ა ნ ე: ვინ არს მიზეზი?

მ დ ი ვ ა ნ ი: შენისთანა ბერები!

ი ო ა ნ ე: არა ჩემისთანა, მე ერთი უკანასკნელთაგანი ვარ, გარნა არც უნაწილო ბრძანდებით მოხელეები.

მ დ ი ვ ა ნ ი: როგორ?

ი ო ა ნ ე: ესრეთ, რომელ ვინც ვისთან მყოფობთ და გწკალობენ მეფეთ ძენი, თქვენ ყოველნი მეცადინეობთ იმის მეფობასა სარგებლობისათვის თქვენისა და უკანასკნელს არა სჭვრეტთ.

მ დ ი ვ ა ნ ი: ვითა ამტკიცებთ?

ი ო ა ნ ე: თვით საქმით, ვითარცა ჩანს!

მ დ ი ვ ა ნ ი: ჩვენს მეტი მრჩეველნი სხვა არავინ გგონია?

ი ო ა ნ ე: დიაღ, სხვანიცა!

მ დ ი ვ ა ნ ი: მითხარ ვინ?

ი ო ა ნ ე: თვით მეფის რძლებიცა და მოყვრებიცა მეფეთანი.

მ დ ი ვ ა ნ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ესრეთ, რომელ დედათა ბუნება არის უძლურ და ადვილი დამჯერებელი, და დიდების მოყვარეობაცა აქვთ და, ოდეს ძლიქვნილნი კაცნი იპოვიან ყურთა მათთა, მაშინ ადვილად დაჯერებულ ჰყოფენ, რომელ იგიცა ღირს არს დედოფლობისა და მეუღლეცა მისი მეფობისა და ამის გამო წარმოებს უთანხმოება იგი.

მ დ ი ვ ა ნ ი: მაშ, შენი სიტყვით ცოლები უნდა გაუშონ?

ი ო ა ნ ე: არა. მე მაგას არ მოგახსენებ, მაგრამ არ უნდა მისცეს კაცმან ყური ესეგვართა უბნობათა ზედა დედაკაცთასა, ამისთვის გლეხთა შორისაცა საყვარელთა ძმებთა გამყრელნი ერთი მეორესაგან დედაკაცნი არიან.

მ ე უ ღ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

მ დ ი ვ ა ნ ი: მაშა, მეუღლე ვითარი უნდა ესვას ქმარს?

ი ო ა ნ ე: უნდა პირველად შემრთველმან ცოლისამან გამოარჩიოს და გამოიკითხოს პატიოსნებაჲ და აღზრდილობაჲ, სიმშვიდე და გულმართლობაჲ მისი, და ოდეს სცნას ყოველივე ნამდვილად, მაშინ მიიყვანოს იგი შემწედ თვისად, და ვინაიდგან გამორჩევასა ზედა მისსა არს დამოკიდებულ მომავალი ბედნიერებაჲ მისი და არა კმარა მხოლოდ მშვენიერებისა გამო მიყვანებად ცოლისა თვისისა და შერთვად ძით, რამეთუ, უკეთუ იგი არა იქმნების კარგისა ნიჭიერებითა

ნიჭებულ, რაჲ სარგებელ ექმნების მხოლოდ მშვენიერებაჲ მისი მეუღლესა მისსა, ვინაიდგან დღე ყოველ იგი უწესობითა თავისითა აწუხებდეს ქმარსა თვისსა, მაგალითი: უკეთუ დედაკაცი, მოსწრაფე თვალის მოტაცებისა შენისა, კარგავს დროსა მრავალსა მორთვასა შინა თვისსა, გაძულებს ძმათა და სხვათა კეთილის მყოფელთა შენთა, უკეთუ მცონარებს მსახურებისათვის ღვთისა სიკეკლუცისა გამო თვისისა და ჰყვარობს ქებასა თავისა თვისისასა სხვათაგან, იცინის უზომოდ და უბნობს მაღლიად, განვალს სახლით თვისით და არა ნიადაგ მყოფობს მას შინა, არცა იღვწის სახლის მეურნეობისათვის და, უკეთუ თვალნიცა მისნი ხედვენ კაცთა კადნიერებით და ურცხვად, ესე ვითართა შეხდომათა შინა ამხილე ქრისტიანულებრ რაოდენმე და, უკეთუ არა ისმინოს მან, ნუ მისცემ გულსა შენსა, უკუნაქცევე სახედველი შენი, გინდ იგი იყოს შვენებით მსგავსი ზეციურისა პლანეტთა და ნუ უტევებ, რათა სული შენი იყოს მსხვერპლად მისა. არამედ ოდეს ჰპოვო შენ გული ფრიად სატრფიალო შეუღლებული, მყუდროსა ქცევისა, მაზლებთა მყვარებელისა და განმაერთებელისა, ქცევითა კეთილთა და კმაგონიერებითა და სახითაცა არა დუხჭირი, მაშინ მიიყვანე ესგვარი სახლად შენდა, რათა იყოს ღირს მეუღლეობისა შენისა, შემწედ და მოსწრაფედ ერთგულობისათვის შენისა. შეიყვარე იგი ვითა კურთხევა ზეციური და ღირს ყავ, იგი სიყვარულსა კეთილთა ქცევითა გულისათა. იგი არს ნანდვილ უფალი სახლისა თვისისა და მისთვის პატივს ცემდე მას, რათა მსახურნიცა შენნი დაიცვიდენ მისდამი მორჩილებასა. ნუ წინააღუდგები ნებასა შენსა მისსა უმიზეზოდ, ვინაიდგან იგი მოზიარე არს შენთანა მწუხარებისა და შექცევისა შენისა. შეცოდებაჲ მისი განმარტე მყუდროებით და ნუ ითხოვ მისგან, ვითომც რომ თანამდებ იყოს იგი პატივისცემად შენისა უთავაზობისათვის.

არწმუნე მას ყოველი საიდუმლო გულისა შენისა, ვინაიდგან ერთგულობითა თვისითა რჩევათა მისთა არა მოსტყვიდები შენ. იყავ სარწმუნო საწოლისა ქორწინებისასა, რამეთუ იგი არს დედა შვილთა შენთა.

ოდეს იყოს იგი უძლურ, ანუ ვნებელ სნეულებითა, მაშინ მხურვალებითა შენითა დაატკბე ჭირი მისი, და უმეტეს მწუხარიანობა სახითა შენითა და სიყვარულიანითა შეუმსუბუქე ტკივილი მისი და გამოიმეტე ათიცა გამოცდილი მკურნალი. გაშინჯე უსუსურებაცა ბუნებისა მისისა და ნუ იქმნები მისდამი უზომოდ ფიცხელი, მოიგონე შენ არა სრულება საქმეთაცა შენთა. და სხვებ ყოვლისა სიყვარულისა გვარითა იქცეოდე მისდამი. ხოლო სხვებრ ნუ უტევებ ქვეყანისა მართებლობისა და სასამართლოჲსა საქმეებთა შინა შეს-

ვლად, არამედ იზრუნოს მან მხოლოდ საკუთარისა სახლისათვის თვისისა, ქვრივთა და ობლებთათვის.

მ დ ი ვ ა ნ ი: ჩვენში ამგვარად არავინ ეძიებს ცოლსა და არც ამასა ზედა ირთვენ.

ი ო ა ნ ე: ვიცი, ზოგნი ხოჭიჭში დანიშვნენ და ზოგნი უნახავად და გაუშინჯავად ითხოვენ და ამაში ბევრი ნაკლულოვანებაც მოდის.

მ დ ი ვ ა ნ ი: მაშა, დედაკაცთაც უნდა იცოდნენ ცოდნაჲ?

ი ო ა ნ ე: ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი სწავლა, მეცნიერება, ისტორია, ღეოლრაფია, ზნეთ-სწავლება, არიხმეტიკა, ხელთსაქმობა და იკონომია, რომ ვისიც ოჯახში მივიდეს, სრულებაში მოიყვანოს იგი და მეტადრე სამეფოს სახლისათვის გამზადებულნი უფრო უნდა იყვნენ სწავლითა სრულნი.

მ დ ი ვ ა ნ ი: მომწონს ეგ შენი უბნობა, ძმებმან ურთიერთისადმი ვითარ უნდა მოიგონ სიყვარული, — ესეცა განმიმარტე.

ძმათა სიყვარულისათვის

ი ო ა ნ ე: რადგან ერთისა მამისა შვილნი არიან ძმანი და ზრუნვითაცა მისითა აღზრდილნი მწოველნი რძისა ერთისა დედისანი და შეკრულნი ერთისა მუცელსა შინა დებითა ძმობისა კავშირობისათა, ერთად აღზრდილნი სიჩჩოებითგან, ერთად მოთამაშენი ჟამისა ყმაწვილობისასა, ერთად მსმელ-მჭამელნი და ერთად შეჩვეულნიცა მეგობრობითა და ძმობისა სიყვარულითა. იფიქრეთ, დახსნაჲ ამა კავშირობისა ვითარ ძნელ-სადმე უნდა იყოს! გარნა ყოველთვის კაცი ბოროტისადმი უფრორე ადვილ მიდრეკადი არს, ვიდრეღა კეთილისადმი და ამასთანა შურიცა, რომელიცა თანადვე დაჰყვება კაცსა ეს არიან ესე ვითართა კეთილობათა დამხსნელნი და მეტადრე მაშინ, ოდესცა მეგობარსა იშოვის მცბიერსა და ბოროტსა და მეუღლესა მრისხანეს და ამპარტავანსა და ვნებათაგან იქმნების დამონებულ. ხოლო არა შვენისთ ძმათა ესეგვართადმი დაჯერება და აღტყინება ძმათა ზედან თვისთა, არამედ დამარხვა მშვიდობისა ყოვლითა კეთილ-ზოქმედებითა სახლსა შინა მამისა თვისისასა და ოდესცა განიყვნენმცა თვისთვისად წილხდომილნი მამულნი და ქონებანი მამეულთა და დედეულთა თვისთანი, მაშინცა უნდა მოიხსენებდენ ნათესაობასა შემაერთებელსა თვისსა და ბუნებითსა სისხლსა, რომელიცა განღვიძებულ ჰყოფს მათ და აძლევს ვალსა ურთიერთსა სიყვარულისასა.

და ესრეთ სათანადო არს ურთიერთისადმი სიყვარული, რომელ არა უყურებენ ერთმეორეს ვითარცა უცხოსა ვისმე. ეგრეთვე შეეწეოდ-

ნენ ურთიერთსა ძმანი განსაცდელსა შინა მყოფსა და დებთაცა თვისთა, შფოთსა და მწუხარებასა შინა მყოფთა, ულხინებდენ და ყოვლისა ღონისა ძიებით ნუგეშინისცემდენ; და ოდეს იქმნების ესგვარი სიყვარული, მაშინ სახლი მამისა მისისა მოვალს სრულებასა შინა და ბედნიერად განატარებენ დანაშთთა დღეთა თვისთა და განაგრძობენ წარმატებასა, ვიდრე შვილითი შვილადმდე და ნათესავით ნათესავადმდე. აგრეთვე ძმათა სიყვარულის და სიძულვილისათვის იხილეთ იოანეს „კათოლიკესა“ შინა და მუნ სცნობთ.

ესრეთვე სათანადო არს უმცროსისაგან უფროსის ძმის მორჩილებაჲ, ესრეთ, ვითარცა თვისისა მშობელისა მამისა, და უფროსისაგანაცა ესრეთ სიყვარული და შეტკბობა უმცროსისა, ვითარცა საკუთრისა შვილისა თვისისი, და არა გამწარება ურთიერთისა უჯეროსა საქმესა ზედან.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მათნე უბნობითა შენითა, გარნა დამაბრკოლებელნი მრავალნი არიან არაკეთილობისა და უფრორე სახლისა შვილნი ჩვენნი.

ი ო ა ნ ე: თქვენ გონიერნი, მშვიდი და ქრისტიანე კაცად ხართ ცნობილი ერთა შინა, და როდის უნდა დაბრკოლდეთ ესეგვართა კაცთაგან და არც უსმინოთ სახლისა თქვენისა შვილებთა, რომელნიცა იყვნენ კეთილისა საქმისა დამაბრკოლებელნი და მამულისა წინაალმდეგნი, ავი სჯული დასდო ამისთვის განსვენებულმან მეფემან ირაკლი.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: ვეც მაგას ვჩივი, რომ ჩემის მოადგილობისაგან ვირიცხები.

ი ო ა ნ ე: ვითარ?

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: ჩემმა ძმისწულმან მიმიღო.

ი ო ა ნ ე: ის უფროსის ძმის შვილია და მემკვიდრეობა მას ეკუთვნის.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: ვიცი, მაგრამ უმიზეზოდ არც განსვენებულმან მეფემან მამაჩემმან ირაკლი და არც ძმამან ჩემმან გიორგი დამნიშნეს მე მოადგილედ თვისად.

ი ო ა ნ ე: თუ ასე იყო, უფრო უნდა დაახლოებოდი ძმასა თქვენსა და შეგეყვარებინათ უფრო თავი თქვენი სხვათა ზედა..

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მეც ვწუხვარ მაგისთვის, მაგრამ ჩემ კერძოდ ჩემმან შემდგომმან ძმამ ვახტანგ და მის კერძოდ დავითმა დამაბრკოლეს. ერთი დიდების მეძიებლობის გამო და დედაბერებთა ზღაპრობისა სახედ მაგალითისა მოუბნობითა მაიძულებდა განშორებასა მეფისასა, ვითამც კეთილის მყოფელი ჩემი; ხოლო მეორე დაუდგრობელობისა და ცუნდრუკობისა გამო მაძლევდა მიზეზსა და-

ძორებასა მეფისასა, და ამით შორისცა იყვნენ ესგვარნი კაცნი, რომელნიცა აბრკოლებდენ ორსავე კერძოდ მშვიდობასა.

ი ო ა ნ ე: მაინც თქვენ კეთილს აზრს ნუ მოიშლით და რითაც იყოს, მოიგეთ თქვენი ძმა.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მე ისე გეტყვი ჩვენის ოჯახის უბედურებასა. რომე არცა რა უმცროს ძმებსა და ძმისწულებსა და შვილთა ჩვენთა ესმის ჩვენ მიერ მიცემული მცნება და ყოველნი თავის წვებად იწევენ. ესსახედ სხვათა თავადთა შვილებიცა.

ი ო ა ნ ე: ეს საქმე ორის მიზეზით არის. პირველი, რომ, როგორც რიგია, ისე ვერა იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიცა, ხოლო მეორე — რადგან აზიელთ ჩვეულება შემოსულა ამ ქვეყანაში, ისე ვიქცევით ჩვენ და ამისთვის, ვითარცა მათ შორის არს ძმათა შორის ანბოხება და ურჩება, ეგრეთვე აქა მიუღიესთ.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მართალია, მაგრამ თვითონ ბუნებაც უნდა აწვევდეს კაცსა კეთილობისადმი და არა იყოს მიდრეკილ შფოთისა და ანბოხებისადმი, რომლისა გამო ყოველთვის ესეგვარ შეხდომაში დაცემულან ოჯახები და მეტადრე ჩვენიცა.

ი ო ა ნ ე: უფრო ვის დროსა?

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი: მე ძველს არ მოვიხსენებ, ისტორია შენც იცი, და ამას გეტყვი, რომ გენიშნოს: მეფე ვახტანგის ოჯახი დააქცია ძემან მისმან ბაქარ. მეფე ირაკლისა — ვახტანგმან, ხოლო მეფე გიორგისას დააქცევს დავით, და ესე ჩემი წინასწარ თხრობილი გახსოვდეს.

ხოლო იოანე ამა უბნობასა ზედა მწუხარე იქმნა და ფიქრმან მოიცო მიზეზითა მით, რომ იხილა ბატონისშვილი მწუხრისა საუბრითა მოუბარი. მაშინ

ზ ურ ა ბ ა: ბატონო ჩემო, რადგან ამისთანა ჭკვიანი კაცი და მრჩეველი იშოვეთ, ნურღა ზრუნავთ, ყოველსავე რიგიან გაარიგებს.

მაშინ მრავალი იცინეს და ესრეთ დასრულდა ეს უბნობა. იოანეც აღდგა, გამოეთხოვა ბატონისშვილს ხვალისათვის დემურჩასანში წასასვლელად. ბატონისშვილმან საჩუქრით კმაყოფილ ჰყო და წარმოვიდა დიაკვანი ბინასა თვისსა ზედა და განისვენა ის ღამე.

ᲓᲦᲔ ᲛᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ

ხოლო ხვალისა დღე დილას ადრე აღკაზმეს ცხენები, ამხედრდენ და გაემართნენ დემურჩასანისაკენ. რა დიაკვანი მივიდა, მუნ იცნა ერთი ქართველი მსახური და უთხრა:

ი ო ა ნ ე: აქა რასა იქმ, ძმაო?

მ ა ნ უთხრა: ფარნაოზ ბატონისშვილი აქ ბრძანდებაო.

იოანეს დია იამა და უთხრა მას კაცსა: ვინ ახლავს აქ თავადი ანუ სამღვდელო?

მ ა ნ უთხრა: ერისთავის-ძე და ეშკააღაში თამაზ, აგრეთვე იასტოს.

იოანეს დიაღ იამა და უთხრა: იასტოსთან მიმიყვანეო. მან სახლი აჩვენა, იოანე გარდახდა და, რა შინ შევიდა, იასტოს ეამბორა. იასტოსმან კარგად შეიტკბო, მოიკითხა სიარულის მიზეზი, ყოველივე გამოსცნო და უთხრა: მეც შეგეწევი აქ ბატონისშვილთან. მცირეს ხანს შემდგომ იასტოც წავიდა ბატონისშვილთან, იოანეც თან წაიყვანა. ბატონისშვილმან კარგად მიიღო იოანე, დასხდენ. იოანეს თავისი მოგზაურობის მიზეზი გამოჰკითხეს და ან სად ევლო, ან რა შემოხვეოდა. სულ ყოველივე სცნეს. რა იოანეს შეურაცხყოფა ზოგისა ერთისაგან სცნო იასტოსმან, სთქვა: ახლანდელის ჟამისაგან არა რაჲ საკვირველია, მეც ზიარება მაქვს შენთანა, იოანე. ესეგვართა დევნათა და შეურაცხებათა შინა.

ი ო ა ნ ე: მიხარის მაგისთვის, ვინაიდგან ვმონაწილეობთ ნეტარებითა, ვითარცა ბძანებს უფალი: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ი ა ს ტ ო ს: მართალ და ჭეშმარიტ არს სიტყვა ეგე.

და მერე ჰკითხა: შეისრულე სწავლა?

ი ო ა ნ ე: ჰე მადლითა თქვენითა!

ი ა ს ტ ო ს: ფილოსოფია ზოგი რამ ჩემგან მოისმინეთ, ხოლო მეტაფიზიკა და ღვთისმეტყველება გასწავლათ რეკტორმა თუ არა?

ი ო ა ნ ე: დამასწავლა!

ი ა ს ტ ო ს: მაშა გკითხავ ღვთისმეტყველებისათვის!

[ამას მისდევს ტრაქტატი ღვთისმეტყველებისათვის].

ზ უ რ ა ბ ა: ბატონო იასტოს! ქართლმან, კახეთმან და სომხითმან ვერ მოღალეს ეგ ბერი ლაქლაქისაგან და შენ როგორ უნდა დაღალო, ეს სამი თვეა თითქმის ამ ყოფაშია! კაია, ხელი აიღე, მშიერი დავიხოცენით. — მაშინ ყოველთა იწყეს სიცილი, მოიღეს სადილი და დასხდენ და შეექმნათ მხიარულება. რა სადილი დასრულდა, თამაზ ორბელიანი, ეშკააღაში, გამოეთხოვა ბატონისშვილს, თავის სოფელში ვაშლოვანს წასასვლელად და იოანე ბერსაც სთხოვა თავისთან წაყოლა. ბატონისშვილმან იოანეს აჩუქა და უბრძანა: „მე მინდოდა შენთან უბნობა რაისამე, გარნა, ვინაიდგან ეშკააღაშმან ინება შენი თანხლება, სხვა დროსაც შევიყრებით სადმე და მაშინ ვიუბნოთ.“ იოანე მადლობელი გამოეთხოვა და განემართნენ ვაშლოვნისაკენ.

რა იაღლუჯას გადმოვიდნენ, დია დიდმა ქარმან იწყო ქროლა და დიდად შეაწუხა ესენი; მოვიდნენ და ერთსა ხევსა შინა შთამოხდენ ცხენთაგან და მცირედ შეისვენეს.

მაშინ თამაზმან ჰკითხა იოანეს: უნდა მაცნობოთ თუ ეს ქარი რაისა მიზეზით ქრის?

ზ უ რ ა ბ ა: მართლად უბნობთ მაგას, უნდა ამ ბერმან კარგად იცოდეს, რადგან დიაღ მსუბუქად გახლავს.

თ ა მ ა ზ: რაში ეტყობა მსუბუქობა? ვინც რას ჰკითხავს ყოველ'საევე კანონიერად ეუბნება.

ზ უ რ ა ბ ა: მე ამისთვის მოგახსენე, რადგან ესეცა ასე ხშირად დაქრის.

თ ა მ ა ზ: ბუმბული ხომ არ ასხია?

ზ უ რ ა ბ ა: რა მოგახსენო, ძალიან კი ფრინავს!

თ ა მ ა ზ: მაშა, ბუმბულს რაღა ქარი უნდა?

ზ უ რ ა ბ ა: ეგ თქვენ უკეთ იცით.

თ ა მ ა ზ: მაშა, მეც მწამობს რასმე?

ზ უ რ ა ბ ა: თქვენსა და ამ ბერის მგზავრობაში კი დაიწყო ქარძან ქროლა, და არ ვიცი რა მიზეზია.

თ ა მ ა ზ: მაშა, ჰგავს ქარიანი ვყოფილვართ!

ზ უ რ ა ბ ა: ზურაბ ყაფლანისშვილი ასე მოგახსენებსთ.

თ ა მ ა ზ: მე თუ მსუბუქი ვარ, ის კი გიჟია!

და მრავალი იცინეს. და მერე კვალად ჰკითხა თამაზმან იოანეს ქარისა ქროლისა მიზეზი.

ამას მისდევს ტრაქტატი ქარისათვის!

და მერე განემართნენ ვაშლოვანისკენ. რა მიიწივნენ მუნ, თამაზმან უბოძა სახლი სადგურად იოანეს, და ჰრქვა: მცირედ განისვენეთ და ვახშმად მოდით ჩემთან!

იოანე მივიდა თვისსა სადგომსა და დასადგურდა, და მერეთ ვახშმის დროს მივიდნენ თამაზთან. თამაზმან წარიყვანა სახლსა თვისსა; იხილა იოანემ სულ მთლად ყაფლანიანთა სახლეულობანი და სხვანიცა მოყვრებნი მისნი, რომელნიც მოსრულ იყვნენ ძეობისათვის ღამის სათევლად, რომელ იმ კვირაში დასაწოლი ყვანდა უკვე ცოლი თამაზს. ეშკაალაშმან იოანე წარადგინა ქალებთან და გააცნო ყოველნი და უთხრა: ესე დიდ მეცნიერია და რასაც ჰკითხავთ, ყოველსავე შეგამცნებსთო! მათ დიდათ იამათ, მოიკითხეს და მიიწვიეს, თვისთან დასვეს და მოგზაურობის ვითარებაცა გამოჰკითხეს. იოანემ ყოველივე აცნობა. რა მცირე ხანმა განვლო, იოანემ იხილა, რომელ რაოდენნიმე ბოშები მკითხავები და გვერდწითლისა დედა შემოვიდნენ; ქალებმან კარგად მიიღეს, დასხეს და უთხრეს; აჰა ეს ბერიც მეცნიერია და თქვენც უნდა აჩვენოთ თქვენი უკვე ხელოვნება, თუ ეს ახლად დასაბადებელი ქალი იქნება თუ ვაჟი, და ან ვითარის ბედისა იქმნების. — მაშინ ზოგთა ქერის ყრა დაუწყეს და ზოგთა ლობიოს გაშლა და ზოგთა ხელისგულის სინჯვა და ესევითარნი ზოგთა რა სთქვეს და ზოგთა რა, რომელიც არცა ერთის სიტყვა მიუდგა ერთმანერთს; მაშინ გვერდისწითლის ცოლმან მოიღო ჯამით წყალი და შინჯვა დაუწყო და სხვათა ზედა ამან უკეთა სთქვა. რა ესე იხილა იოანემ, თქვა: ამ დედაკაცს ასტროლოგია სცოდნია ანუ საწუთროს ჯამში ჩახედვა, და სად უსწავლია!—გაუკვირდა, ქარელში ვინ ასწავლიდაო, და თქვა: ბებერო, მე ხომ გიცნობ შენ და კიდე კუდიანობისაგან ხელი არ აგიღიაო? მაშინ

ბ ე ბ ე რ ი: ჩემი სარჩო ეს არის, რას გაგიჟებულხარო?

ი ო ა ნ ე: მისნობით რჩომა სჯულის წინააღმდეგია.

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი ს დ ე დ ა: შენ რაღად თხოულობ და ტყვილად ხალხს ატყუებ და ართმევ, რომ საყდარს ვაკეთებო, ეგ კი არ არის ცოდვა?

ი ო ა ნ ე: უი ჩემს თავს! ეკკლესიისათვის ღვწა რა ცოდვა არის? მაგრამ ეგ კი ცოდვა არის, რომ ქერსა ჰყრი და ატყუებ ხალხს მაგით, ქერის მარცვლებმა და ლობიომ რა უნდა გაცნობოს?

გვერდწითელის ცოლი: მაშ, შენ იწინასწარმეტყველე და გვითხარ წინასწარ.

იოანე: მე წინასწარმეტყველების მადლში არა ვარ მიწევნილი, მაგრამ მაგ მკითხაობის გვარი უკეთ ვიცი, და არც ცოდვაა, ვინც ისე შენიშნავს.

მაშინ ყოველთა ქალებმან ერთბამად სთხოვეს იოანეს, რომ გვითხარ, როგორც იცი. ხოლო იძულებული დიაკვანი მოჰყვა შემდგომითა სიტყვითა ესრეთ:

მისნობისათვის

ძველთა უკვე დროთა შინა იყვნენ სამნი უკვე ფილოსოფოსნი ბებრები და განმმარტებელნი არაჩვეულებითა შემთხვევათა, რომელნიცა შეემთხვევან ბუნებითად კაცთა ცხოვრებათა შინა თვისთა; ხოლო ბებრებთა სახელად ეწოდათ ესე: კოზმანა, პოლიკარპა და ტერენტა. ესენი უკვე სწერენ ათორმეტთა თთვეთა შინა, თუ რომელნი დღენი არიან უბედურნი ანუ კუმეტიანნი და სხვათაცა მრავალთა უკვე სწავლათა კაცთა ბედნიერებისა და უბედურებისათვის.

პირველად ვიტყვი დღეთა, რომელნიმე დღენი არიან უბედურნი რომლისამე ქალაქთა და დაბნებთათვის; ხოლო მე აქა მარტოდ ნოვიხსენებ იერუსალიმისათვის, რომელ აგვისტოს თვისა ოცდაათი უკვე რიცხვი დღისა იყო უბედურ იერუსალიმისათვის, ამას დღისა შინა იქმნა აღებულ ნაბუქოდონოსორის მიერ უწინარეს შობისა ქრისტესისა, ვითარცა მოგვითხრობს ისტორია მისი. ეგრეთვე ამავე რიცხვსა შინა შემდგომად შობისა ქრისტესისა დაპყრობილ იქმნა და გაოხრებულ ტიტეს და ვესპასიანეს მიერ, რომელიც იხილე ვრცლად იერუსალიმის აღების წიგნსა შინა. ხოლო აწ ვიტყვი: ოცდაათორმეტნი უკვე დღენი არიან მთლად ერთსა წელიწადსა შინა შენიშნულნი, რომელთაცა შინა აქვსთ მრავალთა განსწავლულთა კაცთა გამოცდილება, რომელ მას დღეებსა შინა არა რომლისამე საჭიროებისათვის საქმისა ჯერ არს წინასწარ მიღებად და არცაღა თუ აღსრულებად. ხოლო რიცხვნი დღეთანი არიან შემდეგნი ესე:

იანვარსა აქვს შვიდი დღე: 1, 2, 4, 6, 11, 12, 20 ანუ ა. ბ. დ. ვ. ია. იბ. კ.

ფებერვალსა სამი დღე: 11, 17, 18, ია, იზ, იჱ.

მარტსა ოთხი დღე: 1, 4, 14, 24, ა, დ, იდ, კდ.

აპრილსა სამი დღე: 1, 17, 18, ა, იზ, იჱ.

მაისსა ორი დღე: 6, 7, ვ, ზ.

ივნისსა ერთი დღე: 17, იზ.

ივლისსა ორი დღე: 17, 21, იზ, კა.
აგვისტოს ორი დღე: 20, 21, კ, კა.
სეკდენბერს ორი დღე: 10, 18, ი, იჩ.
ოკდონბერს ერთი დღე: 6, ვ.
ნოემბერს ორი დღე: 6, 8, ვ, ჩ.
დეკენბერს სამი დღე 6, 11, 18, ვ, ია, იჩ.

ამა მოხსენებულთა რომელთამე თვისა დღისა რიცხვთა შინა კაცი დაბადებული იქმნების ღარიბი, საწყალი კაცი და დღე-ჟოკლე. ვინმცა ერთსა შინა ამათ დღეთაგანსა ავად შეიქმნების, ანუ სნეულობას მიიღებს რასმე, ანუ გარდაისახლების ერთის სახლიდამ მეორის სახლისადმი, ანუ განწესდების სამსახურსა შინა, ანუ საბრძოლველად წარემართვის სადმე, და ანუ სხვასა რასამე იწყებს საქმესა, ამა რიცხვებსა ვერა რომელსამე შინა ჰპოებს იგი თავისთვის ბედნიერებასა და წარმატებასა საქმისასა.

ორსული დედაკაცის შეტყობა ასე უნდა, ვაჟი ეყოლება თუ ქალი: უნდა მისმან ქმარმან ერთი ბღუჯი მარილი გამოჰკრას ხელსახოცსა შინა და ღამე მალვით დაუდოს ორსულსა მას. ასე რომ ვერა სცნას; და ოდეს გამოიღვიძებს ქალი იგი, პირველად ვისი სახელს იტყვის, ქალისას თუ კაცისას, ის ეყოლება. თუ კაცისა სთქო, ვაჟი ეყოლება, და თუ ქალის სახელი სთქვა, ქალი ეყოლება.

კვალად, უკეთუ ორსული დედაკაცი გრძნობს, რომელ მარჯვენისა გვერდის მხარეს უფრო მდებარეობს ჩასახული იგი, და ამასთან უფრო გულიანად სჭამს ნანადირევის ხორცსა და სხვათა ნოტიოთა საჭმელთა და აგრეთვე სიამოვნით მიუგდებს ყურსა სამხედრო საქმის უბნობასა ზედა, და აგრეთვე მჯდომელი განიწვდის ხშირად მარჯვენესა უკვე ფეხსა თვისსა, ვიდრე მარცხენესა, უეჭველად ორსულია იგი ვაჟსა ზედა.

და ოდეს გრძნობს იგი, უფრორე ჩასახულსა მას მდებარედ მარცხენის გვერდის კერძოდ, იგი უფრორე ყურს უგდებს ქალების ამბავსა და იამება საკრავთ კვრა და თამაშობა ქალებთა და ხშირად გაიშლის მჯდომარე მარცხენესა ფერხსა, მაშინ ნიშანი არს ესე, რომელ უთუოდ არს იგი ორსული ქალსა ზედა.

უკეთუ ჰკითხო მოულოდნელად ორსულსა დედაკაცსა, რომელ ვაჟზედ ხარ ორსული თუ ქალზედ, და მაშინ შერცხვეს და გაწითლდეს იგი სახეზედ, მაშინ ნიშანია ესე უთუოდ, რომელ იგი არს ქალსა ზედა ორსული. დედაკაცი ორსული ვაჟსა ზედა პირველ სამთვემდინ ვერა რასა გრძნობს სიმძიმესა და შემდგომ ამისა ექვსსა თვესა შინა იქმნების უფრო დამძიმებულ და უღონო; ხოლო ქალსა ზედა ორსული პირველ სამ-თვესა უფრორე არის დამძიმებულ და უღონო და

მერე შემდგომად სამისა თვისა ექვსსა თვესა შინა უფრორე არის მხნედ და მსუბუქად. უკეთუ დაუძახო ორსულსა დედაკაცსა მოსვლა შენთანა და მან წარმოდგას უწინ მარჯვენე ფეხი თვისი და მარჯვენივ გარდმოიხედოს, ესე ნიშანი არის ვაჟზედ ორსულობისა, ხოლო უკეთუ გარდმოსდგას უწინ მარცხენე ფერხი თვისი და გარდმოიხედოს მარცხნივ, ესე ნიშანი არს ქალზედ ორსულობისა.

უკეთუ განუხილო ორსულსა ქალსა, რომელ მარჯვენესა ძუძუსა თავი უფრო შავად აქვს მარცხენისაგან, ესე ნიშანია ვაჟზედ ორსულობისა; ხოლო უკეთუ მარცხენე ძუძუს თავი უფრო გაშავებული აქვს მარჯვენისა ძუძუსაგან, ესე ქალზედ ორსულობისა ნიშანი არს, და ესე იკმარეთ.

ქ ა ლ ე ბ ი: გვითხარ — დაცდისა ავად თუ კარგად ნიშნები უფრორა არის, და ეგრეთვე მომასწავებელნი ნიშანნი ავის დროსა და ავის ტაროსისანი და სხვანი ესე ვითარნი.

ი ო ა ნ ე: ლაკლაკი, რომელსა ეწოდების ეროდიოს, ოდეს იხილოთ ფრინველი ესე, მდგომარე ორსა ფერხსა ზედა, მქნეველი ორთაევ ფრთეთა და დამმალველი ნისკარტისა ღლიასა შინა თვისსა, მოასწავებს ძლიერსა ავდარსა და ქარიშხალსა, მით რამეთუ ესე ფრინველი სხვასა დროსა შინა დგას ცალსა ფერხსა ზედა, ვითარცა წეროდ. უკეთუ ფრინველი ესე უწინარეს დროისა წარვალსა ერთის ადგილიდამ სხვისა ადგილისადმი, მაშინ მოასწავებს ვითარსამე უბედურებასა მის ადგილისასა.

უკეთუ იგი გარდაიტანს ბუდესა თვისსა ერთისა ვისამე სახლიდამ მეორისა ანუ სხვისა სახლის პატრონისადმი, მაშინ თანა-აძს პირველისა სახლის პატრონსა, რომელ არღარა უნდა ელოდეს კეთილსა რასამე თვის ზედა, და თანამდებ არს განმზადებად ყოვლისადმი უბედურებისა და მოლოდებად სიკვდილისაცა მალიად, და დატევებად ნაქონებისა თვისისა მის სახლის პატრონისადმი. სადაც ამა ფრინველმან გარდიტანა ბუდეი თვისი.

ფრინველი ესე პირველად ვისაც სახლისა ბუხრისა ყელსა ზედა გააკეთებს ბუდესა, თანამდებ არს სახლის პატრონი იგი მოლოდებად ბედნიერებისა, სიმდიდრისა და დღეგრძელობისა.

ვინცა ვინ მამაკაცი დილით უწინარეს ჩაიცვამს წუღასა, ანუ წინდასა და ქოშსა მარცხენესა ფერხსა ზედა არა განგებ, მაშინ ნიშანია კარგისა რისამე მოლოდებისა.

უკეთუ დედაკაცი განმზადებული სავაჭროდ წასასვლელად ბაზარსა შინა, უწინარეს ჩაიცვამს ფეხსაცმელსა მარცხენესა ფერხსა ზედა, მაშინ სავაჭროსა მას იყიდის ძვირად და საჭმელსაცა შეაგბობს უგემურად მას დღესა შინა. ქორწინების დროს უკეთუ ყრმა და ქალი

ორივენი შეიყრებიან ქალწულნი, მაშინ პირველი დაბადებული შვილი მათი იქმნების გონება ბრგეილი და ცინგლიანი.

უეცრად აღელვება წყალთა და ქვეყანასა ზედა გარდასქდომა მისი წინასწარ მოასწავებს ამბოხებასა უცხოთა ერთაგან, მრავალთა გვემათა და უთანხმოებათა ურთიერთისა შორის.

ჯარის სახედ ხილვა ჰაერსა ზედა წინადვე მოასწავებს შეკრებასა მის ქვეყანასა ზედა ჯარისასა და მრავალთა სისხლის მღვრეულობასა, ეგრეთვე მრავალთა ქალაქთა და დაბებთა აოხრებასა.

უკეთუ კაცი იხილავს უწინარეს მგელსა, ვიდრე დაინახამდეს მგელი კაცსა მას, მაშინ კაცსა მას არა თანა-აძს შეშინებად, რომელ ვერა რას ავნებს მგელი იგი; ხოლო უკეთუ უწინარეს დაინახოს მგელმან კაცი იგი, ვიდრე დაინახვიდეს კაცი იგი, მაშინ თანა-აძს კაცსა მას გაფრთხილება, რათა არა რაიმე ავნოს მგელმან მან.

უკეთუ კაცი დაინახავს უწინარეს მგელსა, და მგელი კი ვერ დაინახავს, და ესრეთ განშორდებიან ერთმანერთსა, მაშინ კაცსა ძას წაერთმევა ხმა უბნობაში და ხრინწიანივით დაიწყებს ლაპარაკსა.

მგელნი უკეთუ სუნსულობენ მახლობლად ქალაქთა და ანუ დაბნებთა საზრდოსათვის და ეძებენ საუმელთა, ნიშანია მას წელსა შინა შიმშილობისა და საზრდოს ძვირობისა.

ყმუილი მგელთა ხშირადრე მახლობელ სოფლებთა და სხვათა შენებულებათა შორის, მოასწავებს სრვასა, ომიანობასა და მოსავლისა მოუსვლელობასა. ყმუილი ტურებთა მახლობლად სოფლებთა თუ ქალაქთა და მრავლად ღმუილი მათი მოასწავებს მის ქვეყნის მოხელეთა და მებატონეთაგან უსამართლოებასა და შეწუხებასა ხალხისასა და ავაზაკობასა მათგან.

თუ შობითგან ყმაწვილი ხუჭუჭიანის თმისა მქონებელი გამოვიდა, იგი იქმნება დიდობაში ცრუ და კაცის დაუნდობარი; და თუ დედმამას ნებავს რომ ხუჭუჭიანი თმისა ყვანდეთ შვილი, ოდეს დაიბადოს ყმაწვილი, მაშინვე თავი მობანონ ღვინითა, ხუჭუჭიანი თმა ექმნება.

ჭივჭავნი, თვისსა დროსა ზედა ადრე მკეთებელნი ბუდისანი და ცქვიტად მიმომფრინველნი, მოასწავებს კარგსა ამინდსა, გინა ტაროსსა.

ყვავი უკეთუ შეჯდეს სართულსა ზედა მის სახლისასა, სადაცა წევს ვინმე ავადმყოფი, და იწყოს ჩხავილი, მოასწავებს მის სნეულის სიკვდილსა.

უკეთუ ჩვეულებითისა გარდა ვუნდად შეგრეფებისა ყვავთა და ჭილ-ყვავთაგან იქმნების სხვაგვარ ყრილობა და ტრიალი ქალაქთა და დაბნებთა ზედა და ურიგოდ ჩხავილი, მოუთხრობენ მის ადგილისა აღოხრებასა; და ესსახედვე, უკეთუ იხილვებიან ბანაკთა შინა მხედ-

რობათასა, მოასწავებს მათ მხედრობისა დამარცხებასა და ზიანისა დიდისა მიცემასა.

უკეთუ ქარი იწყებს უდროოდ დიდსა და საშინელსა ქროლასა, მოასწავებს ომიანობასა და უსიამოვნოსა საქმისა შემთხვევასა რასამე.

ქარნი, ძლიერად მქროლელნი ჩრდილოეთის მხრიდგან, მას დროსა შინა ოდესცა მიუახლოვდების მზე ლრიანკელისა ბურჯსა და ოდესაც იყოფის ესე ქროლაჲ ქარისა ათცამეტის ოკდომბრიდამ ვიდრე ათერთმეტს ნოემბრამდინ, ესე მოასწავებს, რომელ მომავალსა წელსა შინა იქმნების ნაყოფთა მოსავალნი დია მცირენი და იგიცა ცუდნი.

ჭილ-ყვავნი, მსხდომარენი ვისამე სახლსა ზედა, უკეთუ სადილს უწინ ჩხავიან, მოასწავებს კარგსა ანბავსა, და უკეთუ შემდგომად სადილისა იწყებენ ჩხავილთა, ნიშანია ცუდისა რისამე ანბისა, ანუ საქმისა.

უკეთუ ვისმე მარცხენე თვალი დაუწყებს ქავილსა ანუ თამაშობასა, მაშინ მოასწავებს მხიარულებასა; და უკეთუ მარჯვენე თვალი დაუწყებს ქავილსა ანუ თამაშობასა, მოასწავებს ტირილსა.

ვისაც უდროოდ აქავდეს თავი, მას თანა-აძს, რათა იმ დღეს ჰოერიდოს ჩხუბსა ანუ ბაასობასა, თორე ანუ გაილახების. ანუ თავს გაუტეხენ.

უკეთუ ხმაურობა ეყურება ჰაერიდგან ვისმე და სახელისა თვისისა ძახილი ხშირადრე, მოასწავებს ადრე სიკვდილსა მისსა და ვერცა განერება მისგან. ესსახედვე თუ უდაბურთა ანუ სხვათა ადგილთაგანაც ეყურება ხმიანობა, ესეცა მომასწავებელია სიკვდილისა მისისა. უკეთუ კუბო მალ-მალ მოეჩვენებოდეს კაცსა ვისმე, წინასწარ ნიშნავს სიკვდილსა მისსა.

უკეთუ მოხარშო ცერცვი და დუღდეს და გადმოსდგა, შემდგომად მოხარშვისა დაიწყოს ხელმეორედ მიწაზედ დუღილი, მაშინ ესე ნამდვილ ნიშანი არს, რომელ მას სახლსა შინა არცა კუდიანი, არცა მისანი და არცა მკითხავი ანუ მოგვი იპოვებიან ვინმე.

ქუხილი ზამთრით წინადვე მოუთხრობს სასტიკსა ქარსა და ზღვისა აღელვებასა და ფურთვნასა; ხოლო უკეთუ მას დროსა შინა მოგზაურთაგანსა ზღვასა შინა აღელვებულისა ზღვისა მის შხაპი შეესხა ვისმე სახესა ზედა, მაშინ აუცილებელად კაცი იგი თანამდებ არს მოლოდებად სიკვდილისა.

ოდესაც ბატნი დაიწყებენ ერთობლივ ტანის ბანასა და წყალსა შინა ყიყინსა, მოასწავებს დიდისა წვიმისა მოსვლასა.

კარი ვისიმე სახლისა თავისთავად გაეღებოდეს და მიიგულებდეს და ამასთანაც ჭრიჭინებდეს გაღებ-გამოღებაში, წინასწარ მოუთხრობს მისა სახლისა პატრონისა სიკვდილსა.

ვისაც ქისაში არა უძევს ფული ანუ თეთრი და ცარიელსა მას ქისასა აღმოიღებს ჟამსა განახლებისა მთოვარისასა და დაანახვებს მთვარესა, მაშინ კაცი იგი იყოს უიმედო, რომელ მას თვესა შინა ვერღა იქმნების ერთისა მანყულისაცა მშოველი.

უკეთუ მოსიარულემან კაცმან დილით ადრიან იპოვოს სადმე თეთრი ანუ ფული, მაშინ თანა-აძს კაცსა მას, რათა არა აღიღოს ფული იგი ხელით, არამედ აღიღოს ნაფოტითა, ანუ ჩხირებითა, ანუ სხვითა რაითამე. და უკეთუცა ცარიელითა ხელითა აღიღებს იგი, მაშინ კაცი იგი მას ფულსაცა დახარჯავს ურიგოდ და მას დღესა შინაცა ვერარას ისარგებლებს და ვერც არას კეთილსა რასმე შეეყრების. ვინცა თვისსა ვენახსა ანუ ბაღთა ხეებისა ხილებთასა განსხლავს და განსწმედს ცუდსა სტოებსა ყველიერისა ხუთშაბათსა დღესა შინა, მას წელიწადსა შინა, ვაზნიცა და ხეხილნიცა ჭიათა ჭამისაგან იქმნებიან თავისუფალნი.

ოდესაც წვიმდეს და გუბეებთა ზედა ასდებოდეს ბუშტ-ბუშტად წვეთნი (ანუ ობობა), მოასწავებს იმ კვირას მთლად გარდუღებელობასა წვიმისასა.

მაჯლაჯუნა უკეთუ მკვიდრობდეს რომელსამე სახლსა შინა, იგი სხვისა რაისაგანმე ესრეთ არა იშიშვის, რაგვარადცა ქვაბით ადუღებულის წყლისაგან. ოდესაცა გარდმოსდგამ ცეცხლიდამ ანუ ზედადგრიდამ და დასდგამ მუნ, სადაცა უფრო ეჭვობ მისსა ყოფასა.

ოდესაც საჯინიბოსა შინა დაიმკვიდრებს მაჯლაჯუნა, ანუ ალი, იგი შეიყვარებს რომელსამე ცხენსა, ხოლო რომელსამე მოიძულებს და მას დაუწყებს საქმლის პარვასა და სხვებსაცა წუხილსა; ხოლო საყვარელსა თვისსა ცხენსა მიუტანს საქმელსა მას, რომლისა ჟამო ცხენი იგი გასუქდება და გალამაზდება, ხოლო შეძულებული ცხენი იგი გახდება ესრეთ, ვითარცა ჭლერქიანი და უკანასკნელ კიდეც მოკვდება.

განსადევნელად მაჯლაჯუნისა ანუ ალისა საჯინიბოთაგან არის დიდი და საუცხოვო წამალი: ოდესაც დასწვამ და დააკმევ საჯინიბოსა შინა ბალახსა ნარცეცხლასა, ანუ გოქშოს ბალახსა, რომელ იგი დიდად სძულობს ბალახსა მას და სრულიად წარვალს ადგილიდგან მუნით.

ოდესაც მუხისა ხე გამოსცემს ნაყოფსა მრავალსა და დაისხამს ჯშირად მრავალსა კრკოსა ჩვეულებისაგან უფრო, მაშინ მოასწავებს მას

წელსა შინა დიდსა და ფიცხელსა ზამთარსა და აგრეთვე მრავალ'ა თოვლის მოსვლასა.

მუხის კრკონი უკეთუ იქმნებიან ექვსსა სეკდენბერშია, — მიხაილ მთავარანგელოსის დღესასწაულში, — გავსილნი და შემოსულნი, მოასწავებს მომავლისა წლისათვის კარგსა და უხვსა მოსავალ'ა და ჩინებულსა ნაყოფიერობასა. უკეთუ იგი კრკონი იქმნებიან შემოუსვლელნი და დამპალნი, მაშინ მნიშვნელობენ მომავალსა წელსა ნოტიოსა, წვიმიანსა და ცუდსა ზაფხულსა. უკეთუ კრკონი იქმნებიან ხმელნი და გამჭკნარნი, მოუთხრობენ გვალვასა და არცა მოსავლიანსა ზაფხულსა და მას წელიწადს უფრორე ნაკლულევანებასა მოსავ-ლ ისასა. ხოლო უკეთუ მატლნი იხილვებოდენ კრკოთა შინა, გვემუქრებიან მოსავლისა მოუსვლელობასა მას წელსა შინა და დიდსა ს.იძვირესა. და თუ სადამე ბაბაჭუანი მუხისა ხეებთა ზედა დაუწყებენ აბლაბუდისა გაბმასა და მკვიდრობასა მუნ, მოასწავებენ მომავლისა წელისათვის მსრვლელისა სენისა გამრავლებასა და სხვათაცა სნეულებათა და უბედურებათა შემთხვეულებათა.

მზისა დაბნელება მოასწავებს მას წელს მოსავლის მოუსვლელობასა და სნეულებათა.

მზე, ბრწყინვალედ აღმომავალი დილით და ცხელად, მოასწავებს მას დღესა ბრწყინვალებასა; უკეთუ იგი შთაფითრებულად აღმოხდების, ნიშნავს იგი წვიმიანსა დღესა ანუ სეტყვისა მოსვლასა. უკეთუ სხვანიცა მნათობნი მრავლად ერთად შეყრილსავით იხილვებიან, მაშინ მოასწავებენ იგინი მეზობლებთა შორის და ურთიერთსა დიდსა კავშირობასა და შეერთებასა; და უკეთუ არევით იხილვებიან ურთიერთისა შორის მნათობნი ესე, მაშინ მოასწავებს ურთიერთისა შორის ამბოხებასა და მეზობლებთა შორიცა უთანხმოებასა და ომიანობასა.

მთოვარის დაბნელება მოასწავებს სნეულებათა, ომიანობათა, სიძვირეთა და სხვათაცა უბედურებათა.

მთოვარე, გარემოს მექონი კალოს სახედ ნათლ'ა და მალ-მალ გამომჩენელი და კვალად გამქრობელი სხივთა მათ, მოასწავებს კარგსა და ბრწყინვალესა ჰაერსა ანუ ბრწყინვალესა დღესა მომავალსა. უკეთუ მთოვარესა მას აქვს ორი ანუ სამი უკვე კრკალი, ანუ ერთი შემოვლებული, მოასწავებს მეორეს დღესა ნისლიანსა და ღრუბლიანსა და ცივიანსა ჰაერსა. უკეთუ კრკალი მთოვარისა გამოჩნდების წითლად, ნიშანი არის ქარის ადგომისა. ხოლო უკეთუ მთოვარისა კრკალი ანუ ფარგალი იქმნების ნაწყვეტ-ნაწყვეტსავით, მაშინ ნიშანია, რომელ მომავალი ზამთარი იქმნების ცივი და მრავალთოვლიანი.

ელვა ზამთარს შინა მოასწავებს სასტიკსა ქარსა და სიცივესა; და აგრეთვე ჟამსა მოწმენდილისა დღისასა. ელვა სახლსა ანუ ხესა ვისაცა ზედა მოულოდნელად ეკვეთება, მოასწავებს პატრონისა მის დაკლებასა რაისამე და ვნებათა მოტყვებასა და აგრეთვე ქარის აქროლებასა.

ოდესაც კომეტნი გამოჩნდებიან, მოასწავებენ მიწის ძვრასა სასტიკთა, ომიანობათა ძლიერთა, ფრიად გვალვათა, სიძვირეთა, სიყმილთა, სრვათა, ხელმწიფეთა და ჩინებულთა გვამებთა სიკვდილსა და გარდაგდებასა თვისისა სამკვიდროთაგან.

კურდღელი რომ შეხვდეს ვისმე მგზავრსა, ან წინ გარდაურბიხოს გზასა ზედა, მოასწავებს გაფრთხილებასა და მორიდებასა ცუდისა საქმისასა; აგრეთვე თუ საომრად მიდის სადმე, უბედურად გამობრუნებასა თვისსა, და ანუ სანადიროდ მიმავალ არს, თითქმის ვერა რას მონადირეობასა. ხოლო ესგვარსა შემთხვევასა შინა სათანადო არს, რათა მგზავრი იგი ადგილსა მას ზედა სამგზის შემოტრიალდეს უსვენებლივ, სადაცა პირველი იხილა კურდღელი იგი, და ესრეთ განეროს მის მომასწავებელთა საქმეთაგან.

ვარსკვლავი გადმოვარდნილსავით რომ იხილო ძირსა, მოასწავებს ქარისა აქროლასა და ეგრეთვე ჩინებულისა გვამისა ვისიმე სიკვდილსა.

ოდესაც დედაკაცმან კრუხი დასოს და გამოჩეკოს წიწილნი, მას დედაკაცსა მართებს ყოველ ღამე, ვინემ კარგად გაიზრდებოდენ ქათმებად, რათა დაძინების დროს ვარსკვლავთა შეხედევდეს და მოუყრიდეს მეტანიას; მაშინ წიწილებსა მას ვეღარც ფრინველი და ვერცა მტაცებელი მხეცი რამე შეუძლებსლა მოტაცებად. და ესრეთ ყოველნი მთლად დაუშთებიან.

უკეთუ უდროოს დროს მოულოდნელად მოხდეს დედამიწისა ძვრაჲ, მოასწავებს ომიანობასა, სიძვირესა ხორაგისასა და აოხრებასა მის ადგილთა და ქალაქთასა.

უკეთუ ვინმე ან თითით ან ჩხირით ანუ სხვითა რაითამე სწერს ნაცარსა ზედა და ქექს ღველფსა და თამაშობს ცეცხლითა და დაარბენინებს, მას კაცსა უთუოდ შარდი წასვლია ანუ ღამე ჩაიფსამს იგი.

დასაჩუქრება რკინეულითა და რკინეულის საწვრიმალოთა, ესე იგი ნემსითა და სხვითა მისთანანითა არ. არის კარგი. ამისთვის რომელ უკანასკნელ შეუდგებათ ჩხუბი და სანდურავი, ანუ სხვასა ვისამე წაეკიდებიან; და თუ ნებავს, რომელიმე ნივთი, მოიყიდოს არა ვერც ხლითა, არამედ სხვითა ფულითა ანუ ნივთითა.

იარაღი ანუ სხვა რომელიმე სახმარი ნივთი ოდეს ნებავს პატრონსა და ვერ იპოვნის მალე, ანუ მიემალება სადმე, ნიშანია— მას დღე-

სა ვერცა სხვაგან წასვლა და ვერცა თავისი საქმე მოუა რიგიანად და შესამატიანად.

ქვებმან რომ ზეციდამ ცვივნა დაიწყოს, ნიშანია, რომ თითქმის მუნებურნი ხალხნი შეიქმნებიან კეთილისათვის გულქვანი და მოასწავებს კვალად ფიცხელსა და ძნელსა დროსა, სიყმილსა, სრვასა ომიანობასა, ცეცხლით წვასა და სხვათა უბედურებათაცა.

ვისიც სახე სახლში დაკიდებული ჩამოვარდება ძირს კედლიდამ. მოასწავებს მის სახის პატრონის სიკვდილსა ანუ ვინც არის დახატული, ანუ სახლისა პატრონისა სიკვდილსა.

ვინცა ხარშავს უკვე ქაშსა და გარდმოედინება თავს დუღილშია, ნიშანია მის სახლიდამ მოაკლდება ვინმე დაკარგვით ანუ სიკვდილით. უკეთუ ზარი თავით თვით ირეკებოდეს, მოასწავებს მის ეკკლესიისა მღვდლისა სიკვდილსა.

უკეთუ ძერანი მრავალნი შეკრბებიან და მხედრობათა ბანაკსა ზედან დაიწყებენ ტრიალსა, მოასწავებს მას მხედრობისა დიდსა დამარცხებასა და მეტადრე უფრო მაშინ, ოდეს ბაბაყული ანუ თეთრი ძერა (რომ თათარნი უძახიან ბაიყუშს) ის დაიწყებს ტრიალსა ამა ბანაკსა ზედა.

ვინმცა გამოხრულს ცხვრისა ანუ სხვისა საჴმლის ცხოველის ძვლებსა ჩაჰყრის ცეცხლში და იტყვის ესრეთ „პატივისათვის წმინდისა ლავრენტისა“, მას კაცს თავის სიცოცხლეში კბილები არღა ატკივდება.

ოდესაც სახლისა პატრონისა ვისამე კატა პირს დაიწყებს ბანას, მაშინ ჯერ არს სახლის პატრონისთვის მოლოდებად სტუმართა; და თუ კატა იმალვის და ძვრება ბუხარში, ანუ ფეჩშია, ნიშანია დიდის ყინვისა; და თუ დახტის და გიჟიანსავით ერთის სახლის კუთხიდამ მეორეს კუთხემდი ილტვის, მაშინ იგი მოასწავებს ომიანობასა და ჩხუბსა.

უკეთუ კატა მჯდომარე მიწასა ზედა იწყებს კუდ ქვეშ ლოკვასა და დაუწყებს თავსა მალვასა ლაჯებს შუა, მოასწავებს დიდსა წვიმასა.

უცხო კატა რომ მოიყვანო შინა და არღა იქვნეულობდე მისისა გაპარვისათვის, უნდა ყურები დაუჭირო და სამგზის სახლის გარემო შემოათრიო, და მერე კუდი დაუჭირო და ან ბუხართან ანუ თორნესთან, გინა ფეჩთან შემოათრიო და მერეთ ძროხისა ერბო მოსცხოო ~~ოთხსაუ~~ ფერხთა ზედა. სამ დღეს წასცხებდეთ, ის კატა თავის დღეში არღა წავა იმა სახლიდამ.

სისხლის წვიმა და მდინარე რომ სისხლის ფრად გეჩვენოს, მოასწავებს დიდსა ომიანობასა და მრავალთა სისხლისა ღვრათა. უწინარეს

ომისა, ჯვარი რომ გამოჩნდეს ცასა ზედა, მოასწავებს ძლევასა თათართა ზედა ქრისტიანეთაგან.

უკეთუ ჯვარისებრად სხვათა ნივთებთა ზედა იხილვებოდეს და წვრილნი ყმაწვილები თამაშობასა შინა ნაფოტთაგან ჯვარებს აკეთებდენ და თამაშობდენ, იმით, ესე მოასწავებს სრვასა, სიძვირესა და დიდსა წყლულებასა.

მერცხალი ვისაც სახლსა შინა იწყებს კეთებასა ბუდისასა, მოასწავებს მის სახლის პატრონისა დაგლახაკებასა.

კაჭკაჭი ვისაც სახლსა ზედან გააკეთებს ბუდესა, ნიშანია ბედნიერებისა და გამდიდრებისა მის სახლის პატრონისა.

ყვავნი რომ ერთობლივ ბანაობდენ, მოასწავებს წვიმასა.

ვინმცა ართავს ჯარაზედ სელისა ქსელსა და იგი გაუშვებს შაბათს საღამოს აუხსნელს, იმა ჯარადგან იგი ძაფი დამპალი გამოუდგება, აგრეთვე სხვისა ძაფებიცა.

ოთხი დღის ციცების გასაშვებლად უცხო წამალია, ვინმცა იპოვის ოთხყურა ბალახსა და ოთხ დღეს დილით უზმო დალევს იმა ბალახსა გამოწურვილსა ღვინით ანუ სხვით რითამე, უთუოდ მორჩება მის ცხროსაგან.

ოდესაც ცხენი უმიზეზოდ იწყებს ხიხვინსა, მის ცხენისა პატრონსა უთუოდ თანა-აძს, რათა საამოდ ისმინოს იგი ხიხვინი, ამისთვის რომელ დია კარგსა და სასიამოენოსა ანბავსა მოგვითხრობს იგი.

ცხენები ბანაკსა შინა ოდეს არიან მხიარულ, ხიხვინებენ და ფერხთა აბაკუნებენ და სცემენ მიწასა, მოასწავებს მის მხედრობისაგან ძლევაშემოსვასა და დამარცხებასა მტრისასა. ხოლო უკეთუ მოწყენით არიან ცხენები და დაღრომით თავდაკიდებულნი, ნიშანია მის მხედრობისა დამარცხებისა მტრისაგან.

და თუ ვისამე უცებად მოუკვდა ცხენი ბანაკსა შინა, პატრონიცა მისი მოელოდეს სიკვდილსა ანუ მტრისაგან ანუ ავადმყოფობისაგან.

მინდორი, მოფენილი წვიმის ბუშტებით, მოუთხრობს ხანგრძლივ წვიმასა.

უკეთუ ორსულის დედაკაცის მუცლიდამ ან ტირილის ხმა, ან კივილი ისმის ყრმისაგან, მოუთხრობს თვისისა დედისა სიკვდილსა; და ანუ სადაცა ცხოვრობს იგი, ქალაქსა თუ დაბათა შინა, მოასწავებს დიდსა უბედურებასა მის ადგილისასა.

უკეთუ მოშარდოს ვინმე ორის სახლის საშუალ, მას თანა-აძს, რაცა არა მალე მობრუნდეს და მოიხედოს მზისაკენ, თორემ უთუოდ თვალნი გაუწითლდებიან, ანუ ჯიჯლიბო გამოებმის თვალთა ზედა.

საჭმლის დროს რომ ჯამში ანუ თეფშში ჩაუვარდეს ბუზი და ანუ სასმელშია, მოასწავებს საჩუქრის შოვასა რისამე.

თაგვები რომ მრავალნი გროვდებოდენ ერთსა ადგილასა, მოასწავებს ომიანობასა და გულფიცხელისა მთავრისა დადგინებასა.

თაგვებმან თუ სოროებს კეთება დაუწყეს ზეით კედელ შუა, ნიშანია მას წელსა დიდის თოვლის მოსვლისა და სიცივისა.

ვინმცა მთოვარისაკენ ზურგშექცეული ზის და იწყებს თამაშობასა ქაღალდისა, ნარდისა, ჰადრაკისა და სხვათა ყომართასა თეთრსა ზედა ანუ უთეთროდ, იგი უთუოდ წარაგებს მას დღესა შინა თეთრსა.

მგლისაგან დაგლეჯილი ძროხა რომ დაკლას ვინმე და იმა ძროხის ხორცი სჭამოს, ვინემ ის დამგლეჯელი მგელი არ მოკვდება, არც მას ძროხის [ხორცის] მჭმელსა კაცსა აქვს შიში სიკვდილისა. და მერე იმ მგლის მოკდომის შემდგომად ის კაციც მოკვდება.

თუ ყამსა ქორწინებისასა ჯვარის დაწერის დროს (როდესაც ქალყმასა ჯვარსა დასწერენ და ერთად დააყენებენ), მაშინ კაცმან თუ უწინ დაადგა ქალსა ფეხი ფეხზედ და თქვა: „ჩემისა ნებისამცა ხარ"-ო, დიაღ მორჩილი და კარგი ცოლი გამოუდგება; და თუ ქალმან დაასწრო და უწინ დაადგა ფეხი თვისსა ქმარსა და თქვა: „ჩემისამც ნებისა ხარ"ო, მაშინ ქმარი ესეთი მონა იქმნება, რომ ის ქალი რასაც უბრძანებს, გადუალი თითქმის არღა შეეძლება. ესსახედვე თუ ასე შეიყარნენ ცოლქმარნი ჯვარისა დაწერის დროს, რომ პირველად არ ელაპარაკნოთ ერთმანერთისათვის და შემდგომად ჯვარის წერისა რომელიც უწინ გასცემს ხმას ერთი მეორესა, იგი იქმნების მას ზედა მმუფლებელი ვიდრე სიკვდილამდის.

უკეთუ სასძლო თხელისა ჭურჭელზედ რაისამე ზედა დასხმულსა ხაჭოსა დაუწყებს ჭამასა, იგი მოელოდეს ქმრისა შერთვასა ანჩჩლისა და მრისხანებისა თვისებისა ქონესა.

ვისაც ცხვირი შუა ადგილს დაუწყებს ქავილსა, იგი გაიგონებს სიკვდილსა ვისამე. უკეთუ ნესტოები ცხვირისა ექავება, მაშინ ანუ მშობიარობისა ვისთვისმე და ანუ ნათლიობაში დაპატიჟებენ ხოლო ოდესაც ცხვირის წვერი დაუწყებს ქავილს, მაშინ ბევრს ღვინის შესმას მოასწავებს და გრძლად ლხინში ყოფნასა.

უკეთუ ღრუბელი აღმოსავლეთის მხრიდამ იხილვებოდეს წითლად, ვიდრე მზის აღმოსვლამდის, მოასწავებს ქარსა. ხოლო უკეთუ იხილვებოდეს შავად და შიგ წითლად არეული, ნიშანი არის წვიმისა; და ოდეს დასავლეთის მხარეს უწინარეს დასვლისა მზისა იხილვებოდეს ღრუბელი წითლად, მოუთხრობს მეორესა დღისათვის დიაღ ბრწყინვალესა უკვე დღესა და კარგსა ტაროსსა.

ყოველი კაცი თანამდებ არს სადილობისა და ვახშმობის დროს ლოცვად და ვინმც არ აღასრულებს, მასთან უხილავად ეშმაკი მკვიდრობს და მასთანვე სერობს და ლაპარაკობს.

ერმის შემოყრა გზასა ზედა და ნახვა მისი, შრეთხრობს მის კაცისათვის ბედნიერებასა.

არწივი, სახლსა ზედა მფრინავი და ანუ დამჯდომი, მოასწავებს. მის სახლის პატრონისათვის ბედნიერებასა; და უკეთუ დაჯდება ვისამე თავსა ზედა, მძინარეს გინა მღვიძარეს, ანუ დაუჩრდილებს ვისამე მასლობელ თავისა, რა გვარადაც იტყვიან მამადასათვის, უთუოდ იგი კაცი მიემთხვევა დიდსა ხარისხსა ანუ მეფობისასა და ანუ დიდებულ გვამად შეიქმნება იგი.

უკეთუ თეთრმა ბებერამ იბუდოს ვისამე საწოლსა ზედა, კრაოტსა ანუ ქვეშაგებზედა, მოასწავებს მისა პატრონისა ბედნიერებასა. ხოლო თუ სადმე შავმან ბებერამ იბუდა ესახედ, მოუთხრობს მისთვის უბედურებასა. და უკეთუ ტანისამოსსა ზედან თვისსა იხილოს ვინმე ბებერა, მოასწავებს კეთილსა მისთვის.

სმენა რომელისამე ადგილიდამ ტირილისა და გოდებისა, მოასწავებს მეგობრისა მისისა ვისამე სიკვდილსა ანუ სხვისა ვისამე კაცისასა.

უკეთუ ნალი ცხენისა ანუ სხვისა ვისამე იპოოს ვინმე დილით უზმომან, მრთელი გინდ გატეხილი, ნიშანია მის მაპოვნელისათვის მას დღესა კარგისა რისამე შემთხვეულებისა ანუ დასაჩუქრებისა ვისგანმე.

მკვდრის წაღება ანუ დამარხვა რომ მოელანდოს ვისმე თვალში, მოასწავებს სრვასა და ჟამსა.

უკეთუ კაცსა თავისი თავი სხვის სახედ ეჩვენების, მოასწავებს მის თავისა სიკვდილსა; აგრეთვე უკეთუ მოჩვენებაში უწოდს ვისმე თვისთანა ანუ იბარებს, და უკეთუ მოჩვენებასა შინა ბანაობს იგი მდინარესა შინა, უნდა ელოდეს იგი მოშთობასა მდინარესა შინავე.

უკეთუ მიწა თავის თავად იქცეოდეს, ძვრებოდეს და ჩამოდიოდეს, მოასწავებს მის ქვეყანისა მცხოვრებთა ანბოხებასა და აოხრებასა.

ნართი ანუ ქსელი, არც ჯარაზედ და არც ისე გაბმული არ უნდა გაუშო ტარსა ზედა ანუ ბუდოსა ზედა კვირა დღეს, თორე ძაფიცა და მისგან მოქსოვილიცა ხამი თუ სხვა რაიმე შეიქმნების დამპალი.

დედაკაცი რომ ართევდეს ნართსა და ამზადებდეს, უკეთუ მას ჟამსა შინა მიმავალმან კაცმან იხილა ვინმე, უნდა უკანვე დაბრუნდეს ანუ სხვის გზით წარვიდეს და გზა გარდაუქციოს. უკეთუ ესრეთ არა იქმს, შეიმთხვევს რასმე დიდსა უბედურებასა.

ფრინველნი უცხონი, უცხოს ქვეყნიდამ მოსულნი ერთსა რომელსამე ქვეყანასა შინა, მოუთხრობს მის ქვეყნისა უცხოთა ხალხთაგან დაპყრობასა და ანუ უცხოთა ხალხთა მოსვლასა. და უკეთუ ჰაერთა ზედა ჩხუბობენ ფრინველნი, ნიშანია ომიანობისა და დიდის ჩხუბისა.

ფუტკართა რომ გაიკეთონ სკა ანუ ბუდე, სხვასა უადგილოსა ადგილსა, მოასწავებს წყინებასა და ნაკლულევანებასა მის ადგილთა შინა მცხოვრებთასა.

ფუტკარნი სხვათა ადგილთა და სკათა დამტევებელნი, სხვისა ვისდამეცა მივლენ და მათსა სკაებსა შინა დაემკვიდრებიან, არა რაიმა კეთილისა ნიშანი იქმნების მისდა, ვისდაცა იგინი მივლენან. ხოლო განსარინებელად ამისა უნდა უზღვიოს მან კაცმან უწინდელსა ფუტკრისა პატრონსა ჯეროვანი ფასი.

უკეთუ ქათამი მამალი უწინარეს იყივლებს შუაღამისა. იგი სჭვრეტს ეშმაკსა და ნებავს ხმითა თვისითა განდევნაჲ მისი; ესრეთვე ნიშანია ყივილი მისი მას დროს, რომელ დედალსა მისსა ტოლსა ქათამსა დაუკვლენ ანუ განაშორვებენ.

მამალი რომ რიგიანად ვერლა პეპლვიდეს დედლებსა, ამის წამლად უნდა საჭმელში აურიო ველურის ყრდელის ბალახის ძირი და რამდენჯერმე აჭამო, და მერე ბიბილოზე წასცხო ძროხისა ერბო, მაშინ იგი იქმნების ხშირად მპეპლავი.

უკეთუ ვისმე ნებავს, რომ წავიდეს სადმე სტუმრად, და ეშინის მუნ დათრობისა; ესე უცხო ღონისძიება არს, დილა უზმას ერთი მჟავე ვაშლი შეჭამოს და ზედ ~~ერთი თასი ანუ სტაქანი ცივი~~ წყალი შესვას; ოდესაც ამ ღონისძიებას იხმარებს, მას დღეს იმ კაცსა სულარ ეშინის მას მეჯლისსა შინა, რომე დაათვროს ვინმე ვინდ რაოდენი ღვინო მიიღოს.

კიბოები ოდესცა ხმელზედ გამოვლენ წყალთაგან და სიარულს იწყებენ მშრალსა ზედა, მოასწავებს წყალთა და ზღვათა აღელვებასა და ცუდსა უკვე ტაროსსა.

ცვრისა ანუ ნამისა, გინა თრთვლისა უდროოდ გაგდება ანუ მოსვლა და უკეთუ იხილო იგი, რომელ გემოთიცა ტკბილ არს, მოასწავებს მრავალთა პირუტყვთა დაცემულებასა და დახოცასა.

ოდესაც ვისმე მარცხენე ხელის გული დაუწყებს ქავილსა, მოასწავებს თეთრისა დახარჯვასა; და უკეთუ მარჯვენე ხელის გული დაუწყებს ქავილსა, ნიშანია, რომ უთუოდ იშოვის იგი თეთრსა ფულსა ანუ ოქროებსა.

უკეთუ უცხო გვარის თევზნი ანუ სხვა ქვეყნის თევზნი უცნობნი შევლენან სხვათა მდინარეთა შინა და იხილვებიან შეკრებით ჭარავანად მოსრულნი, და გროვდებიან ერთსა ადგილსა, მოასწავებს დიდსა ჩინებულისა გვამისა სიკვდილსა.

უკეთუ თევზნი ბლომად ხვდებიან ბადეთა და კონთა თარფთა და ხშირად იჭირებიან, მოასწავებს მოსავლისა მოსავალსა. და უკეთუ

ეკლესნი მცურვალობენ ხშირად ზემო პირსა ზედა წყლისასა, ნიშანია მრავალთა პირუტყვთა დაკლებისა.

ორსულმან დედაკაცმან არ უნდა ჭამოს თევზისა თავი, ამისათვის რომელ არმც გამოყვეს ყმაწვილსა პირი გრძელი და წვრილი და მაღალი.

ორსული დედაკაცი თუ სჭამს ტყირპსა ძროხისა ანუ ცხვრისასა მოხარშულს გინა შემწვარს, სადაც იმ ნაჭმის ხელით თითს დაიდებს სახეზე თუ სხვათა ასოთა ზედა, დაბადებულსა მას ყრმასა გამოყვება ნიშანი რაიმე მსგავსი ფერითა ტყირპისათა მას ადგილსა ზედა, სადაცა დაიდო თითი ორსულმან მან.

უკეთუ მოინდომებს გულითა საჭმელად ორსული დედაკაცი რასამე და ვერა იშოვნის. მაშინ ნიშანი რაიმე გამოყვების სახესა ანუ ტანსა ზედა ნაშობსა მისსა.

გულით რასაცა მოინდომებს ორსული საჭმელად და მიიღებს, გინა ზხამიანიცა იყოს საჭმელი იგი, მაშინცა ვერა აწყენს. და უკეთუ იძულებით აჭმევს ვინმე რასამე, მაშინ იგი მაწყინარ მისა იქმნების.

ჯარისკაცებთან ყმაწვილებისაგან თამაშობა ძოუთხრობს ომიანობასა.

მკალთა გამრავლება მოასწავებს ომიანობასა, შესაყარსა სნეულებასა და ცხელებისა სენსა.

ნათელის ხილვა მოულოდნელად ვისგანმე სახლსა შინა თვისსა მოასწავებს მისთვის ბედნიერებასა და მწუხარებისა შეცვალებასა მხიარულებად.

ვახშმის ჭამის შემდგომად სუფრა არ უნდა შეახვიონ დაბერტყილი. არც ნამცეცნი პურისა თუ სხვისა რისამენი, უნდა იმ ღამეს იმა სუფრაში გაუშვან და შეკეცონ და ისე დასდონ, თორემ უკეთუ თაგვნი შესჭამენ იმ ღამეს იმისაგან განაბერტყს ნამცეცთა, მამინ კბილები გაუშავდებათ, ვისაც უჭამიათ იმ ღამეს ვახშამი და კბილებიც წაუხდებათ ჭიისაგან. არცა სუფრით და არც სუფრის ხელსახოცით უნდა განიწმინდოს ვინმე ხელი, რათამცა არა წარუხდეს თითის ნუნები და არცა აეცრცნას.

ტაფა ცარიელი არ უნდა დასდგა ცეცხლზედა, ამისთვის რომე იგი უწინარეს დროსა დაიწვის, გაიბრძარების და დაიხვრიტების და წახდების.

მიმავალსა გზასა ზედა კაცსა ვისმე სხვისა ძაღლმან წინა გადურბინა მოულოდნელად, მას კაცს თანა-აძს უკანვე გაბრუნება, ამისთვის რომელ მას დღესა შინა ყოველი საქმეი მისი იქმნების მოუსწრაფებელ და წარუმართებელი.

ძაღლი თუ ლაქუცს დაგვიწყებს გზასა ზედა მიმავალსა, მოუთ-ხრობს ჩვენთვის საჩუქარსა და შოვნასა რისამე. და თუ იგი დაგვი-წყებს ყეფას, მას დღესა შინა ვიმუსაიბებთ მეგობრებთა თანა ჩვენთა...

ძაღლისა უდროოდ ყმუილი მოასწავებს სიკვდილსა ვისამე და ჯ[ვ]რიანობასაცა.

ძაღლების ურიგოდ ყეფა რომ მოგვესმას, უნდა ყურებში ჩავირ-ჭოთ თითნი და არა ვისმინოთ, ამისათვის რომელ მოგვითხრობენ-ცუდსა და უსიამოვნოსა ანბავსა. ხოლო განსარინებელად ამისა უნდა-ვეცადნეთ მას ჟამსვე ვისმინოთ ცხენის ხიხვინი კმაყოფილებით, რომელ ვისმინოთ კარგი ანბავი.

ვისაცა ნებავს რომ თავისი სანადირო ძაღლები თუ სხვა ცოფიანმან ძაღლმან ვერ დაგლიჯოს, მაშინ ძაღლებსა მას უნდა აჭამოს რკინისა ჭურჭელზედ დასხმული საჭმელი და ისე მოალოკინონ. მას-ღღესა ვერლარას ავნებს ბას ცოფიანი ძაღლი და ვერცა უკბენს.

ვისაც ნებავს გოშიის ლეკვი დიდი აღარ გაიზაოდოს, დილით რომ-ადგეს მისი პატრონი და უზმამ ხელი დაიბანოს, იმ ნაბანში დაალ-ბოს პური, და ცხრას დღეს აჭამოს ესსახედ დამბალი პური იგი და-ის ლეკვი რაოდენიც არის მაშინ, იმავე ტანისა ოდენი დაშთესა თვისსა სიცოცხლეში.

ძაღლნი სადაც ერთს ადგილს აჩემებით იწყებენ ყეფასა და ღაუ-ილსა და სთხრიან მიწათა, ნიშნავს დახოცასა მათსა მასვე ადგილსა ზედა.

უკეთუ ძაღლნი პირაღმა აშვერით იწყებენ ყმუილსა, მოასწავებს-მას ადგილსა შინა ცეცხლის გაჩენასა და დაწვასა სოფლისა ანუ ქალაქისასა.

ბუი, მძახებელი ანუ მყვირალი, წინასწარ მოუთხრობს სიკვდილსა-და უბედურებასა ვისამე.

მარილი უნდომრად და მოულოდნელად და არცა განგებ რომ-მოუყაროს ვინმე ვისმე საჭმელზედ, მოასწავებს ჩხუბსა და გალან-ძღვასა. გასარინებლად ამისა უნდა მან კაცმან უთხრას ვისმე, რომ-შეაგინოს რამე და ანუ შუბლზედან აკვრევინოს წკიპარტი.

უკეთუ ვისამე სახლში წევს სნეული და კაჭკაჭი შეჯდება ბანსა-ზედან მისსა და იწყებს ჭყივილსა, მოასწავებს სნეულისა მის გამრ-თელებასა.

უკეთუ თვისისა სახლიდამ გამოვა კაცი ვინმე წასასველელად საქმე-სა რაისამე ზედა და ფერხი დაუბარბაცდება, ნიშანი არის მის საქ-მის შეუსრულებლობისა. და თუ გარედამ შინ მიმავალობას წარუ-

ბორძიკდება ფერხი, მაშინ თვისსა სახლეულობასა ნახავს წაჩხუ-ბებულსა.

ბგერა, უცნაურად სმენილი სახლსა შინა და ვერცა ცნობა, თუ ვისგან არს ხმა იგი, ნიშნავს სახლსა მას შინა მცხოვრებისა ვისაძე სიკვდილსა, ანუ მახლობლის მეზობლისა, ანუ ნათესავისა თვისი-სასა.

ბგერა ანუ ზარის ხმასავით ეკკლესიასა შინა სმენილი, მოასწავებს სიკვდილსა მის ეკკლესიის მღვდლისასა. ხოლო ბგერა, სასამართ-ლოსა შინა სმენილი, მოასწავებს სიკვდილსა მსაჯულისა ანუ მდი-ვანბეგისასა.

[დედანს აკლია 5 ფურცელი]

. . . . . მისგან, შევიდა ქალაქსა შინა და მივიდა თვისსა სად-გურსა და განისვენა მუნ.

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი

ხოლო მეორესა დღესა წარვიდა თბილელს არსენისთან და წარუღო წიგნები, რომელისამე საქმისათვის მოწერილი სომხითიდგან, ვინაიდგან იგი მართევდა თანამდებობასა მანგლელისასა. მისრული მუნ დიაკვანი ცხადუყოფს რომელსამე მუნ მდგომარეთაგანსა ხლებასა თვისსა მიტროპოლი[ტი]სადმი. მცნობი არსენი თბილელი მიუწოდებს მას. იოანე მივალს, მდაბლა ეამბორების და მიართმევს წერილთა. თბილელი შეიტკბობს მას კეთილად და, ოდეს წარიკითხავს წიგნებსა, უბრძანებს დიაკვანს: „კეთილის ანბით მოხველ ჩვენდა და აქა უნდა ისადილოო“. იოანემაც მადლობა მოახსენა, და მერე თბილელი გაბძანდა საქათმოსა შინა და იოანეცა თანა იახლა. იხილა თბილელმან, რომე ათსა მისსა ყველრულსა აკლია ერთი ყველული. და უბრძანა მექათმეს: „სადა არს ერთი იგი, რომელიცა აკლს ამათ?“ ხოლო მან მოახსენა მას: „სალთხუცესმან წამგვარა თვისსა ათის თავ'მია“. განრისხდა მაშინ თბილელი, დაუწყო ლანძღვა სალთხუცესს და წყევა და განახშირებდა რისხვასა, მაშინ

ი ო ა ნ ე: ყოვლად-სამღვდელოო! ერთის ქათმისათვის მცირე შერისხვაც კმარა, არა თუ წყევლა და შეჩვენებაო, ამაში კანონი გაქვთ.

თ ბ ი ლ ე ლ ი: რათ იკადნიერა და წარიყვანა ჩემი საყვარელი ყველული? კიდეც გავლახავ ამისთვის, შენთვის მინდა დამეკვლევინებინა.

ი ო ა ნ ე: ნუ განრისხდებით, მე ყველსაც დავსჯერდები, ოღონდ იმას მიუტევეთ.

თ ბ ი ლ ე ლ ი: გიჟი ყოფილხარ, ბერო! ღმერთმან ადამ ერთის ლეღვის მარცვლის შეჭმისათვის სამოთხიდამ განსდევნა და რამდენი წელიწადი იტანჯა ისიცა და მისნი შთამომავალნიცა? და ჩემმა სალთხუცესმა ჩემი მსუქანი ყველული შემიჭამა, ეს როგორ უნდა დაუთმო? აჰა, სამართალი შენ საჯე!

ი ო ა ნ ე: რადგან თქვენს უნებურად უქმნია, დანაშაული აქვს, და ეყოფა ეგე შერისხვაცა. — და მცირედ დაამშვიდა თბილელი.

და მერე ბრძანა თბილელმან და მოიღეს სადილი; რა მცირედ შეექცნენ, თბილელმან ბრძანა: „მაინც ეს სიონელნი კრებულნი თვისის მღვდელმთავრის ურჩნი და უსიამოვნონი არიან, რაგინდ პატივში ყვანდესთ“.

ი ო ა ნ ე: ამგვარის ურჩების მაგალითნი თქვენ ხართ, ამაზე ნუ გამიწყრებით.

თ ბ ი ლ ე ლ ი: ვითარ?

ი ო ა ნ ე: თქვენც არა ბრძანდებით მორჩილი კათოლიკოზ-პატრიარხისა, არცა ეგზარხისა.

თ ბ ი ლ ე ლ ი: რად უნდა ვიყო მორჩილი? ისინიც მღვდელმთავარნი არიან და მეცა!

ი ო ა ნ ე: მართალია მღვდელმოქმედებაში ერთი ხართ, მაგრამ ხარისხით კი განყოფილნი. იხილეთ, სხვა ქვეყნებშიაც თუ ვითარ ხარისხად არიან განყოფილნი სამღვდელონიც და სამეფო მოხელეებიცა; ეგრეთვე ჯერეთ ტფილისი არ იყო აღშენებული, რომ კათოლიკოზი იჯდა მცხეთას.

თ ბ ი ლ ე ლ ი: მაშ მითხარ — კათოლიკოზობა რასა ნიშნავს?

ი ო ა ნ ე: კათოლიკოზი ბერძულებ ნიშნავს საყოველთაოსა ანუ საზოგადოსა ზედმდეგსა, და კვალად ხმარობენ სიტყვასა შინა ქრისტიანულისა სარწმუნოებისათვის ესრეთ: „ერთი წმინდა კათოლიკე“, რომლისაგან წარმოებს ლექსი ესე „კათოლიკოზი“. აგრეთვე მსახურებს ლექსი ესე ტიტლად კოროლსა ანუ მეფესა ღიშპანიისასა, რომელსაცა მიეცა ტიტლა იგი ათას სუთასსა წელსა შინა პაპისა ალექსანდრე მეექვსის მიერ, და ესე იხილე ვრცლად ისტორიასა შინა მისსა. და ამისთვის არს თქვენზედ უფროსი. რადგან საყოველთაო და საზოგადო მღვდელმთავარია კათოლიკოზი, ხოლო თქვენ ხართ მარტო კერძოობითი, რომ თბილისის მიტროპოლიტი ხართ და არა სხვათა ადგილთა.

თ ბ ი ლ ე ლ ი: მაშ მითხარ, რა არს პატრიარხობა?

ი ო ა ნ ე: პატრიარხი არს ებრაული ლექსი, ნიშნავს მამამთავარსა: ეგრეთვე ებრაელნი უფროსსა თვისსა მოხელესა უწოდებენ მოთავე-მამად ანუ მთავრად.

ესსახედვე დავით მეფესა წინასწარმეტყველსა უწოდებდენ პატრიარსს ებრაელნი, ვინაიდგან იყო იგი ჩინებული უკვე მეფე და შემდგომი ერისა თვისისა იუდიანთა, ვითარცა წერილ არს: „კაცნო, ძმანო, ჯერარს თქვენდა განცხადებულად თქმად მამადმთავრისა დავითისთვის, რამეთუ აღესრულა და დაეფლა, და საფლავი

მისი არს ჩვენ შორის ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე". ესრეთვე ძველად უკვე უწოდდენ აბრაჰამს პატრიარხად ანუ რჩეულად, ვითარცა წერილ არს: „იხილეთლა რაბამ იყო ესე, რომელსა იგი ათეულიცა მისცა აბრაჰამ რჩეულთა მათგან მამათმთავარმან". ესსახედვე მელქისედეკ მეფეც შეირაცხებოდა მამამთავრად, და კვალად აბრაამისა ძე ისაკ, და ისაკის-ძე იაკობ, ვითარ წერილ არს: „და გამოსცა მას სჯული წინადაცვეთისა და მან შვა ისაკ და წინადასცვეთა მას მერვესა დღესა. და ისაკმან იაკობს და იაკობმან ათორმეტთა მათ მამათმთავართა". ესე იხილე სრულიად „საქმე მოციქულთა" შინა შვიდ თავში. და უკანასკვნელ თუ ვითარ დაიდგინენ ნაცვლად მათსა ჟამსა ქრისტიანობისასა ოთხნი უკვე პატრიარხნი, იხილე ვრცლად ბერძენთა ისტორიათა შინა და აგრეთვე ჩვენის ქართლის პატრიარხისათვის იხილეთ „ქართლის ცხოვრებასა" შინა. და ძოკლედ მოგახსენებ, ოთხნი უკვე პატრიარხნი ირიცხებიან ოთხ სვეტად ქრისტიანობისა და ეკკლესიათა, ვითარცა ოთხნი კიდენი ქვეყანისა სიმტკიცედ. და ესე ჩვენი უკვე პატრიარხი არს ჩვენისა უძლურისა ქვეყანისა სიმტკიცე.

თ ბ ი ლ ე ლ ი: ეგზარხოსი რაღას ნიშნავს?

ი ო ა ნ ე: ეგზარხი (ანუ ეკსარხ) არის ბერძული ლექსი, ნიშნავს მონაცვლესა და ადგილისა დამპყრობსა პატრიარხისასა, ვითარცა რუსეთსა შინა ნაცვლად პატრიარხისა სინოდი, მმართველი სასულიეროთა საქმეებთა. ესსახედვე შეინიშვნის ეკსარხი რჩეულადცა. ეგრეთვე შემთხვეულებისა გამო ძველად დასვემდენ ანუ აღიყვანდენ ეფისკოპოსსა ხარისხსა შინა ეკსარხოსობისასა ნაცვლად პატრიარხისა და დაადგენდენ მთავრად სხვათა მიტროპოლიტთა ზედა და ეპისკოპოსთა. ეგრეთვე მსოფლიო კაცსაც დაადგენდენ ეკსარხის სახელით მსოფლიოთა საქმეთათვის და სხვანი.

თ ბ ი ლ ე ლ ი: რა ვყოთ მაგისთვის, კათოლიკოზსაც თეთრი ბარტყულა ხურავს და მეცა, მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: ყოვლად-სამღვდელო, როდესაც შავი ბარტყულა გეხურათ ორთავე, თუ მაშინ იყო უფროსი, ახლა თეთრი ბარტყულით როგორ წაერთმევა უფროსობა? მაშინ . . .

ი ო ა ნ ე ო ს ე შ ვ ი ლ ი: აჰა, გიჟნიც ამას ამტკიცებენ!

თბილელი განწყრა, ოსეშვილს უბრძანა: შენ ყველრულის შეჭმაც შეგრჩა და ახლა ამ გიჟის სიტყვასა ამტკიცებ.

ორივე კარში გამოყარა და გაჯავრებული თბილელი ადგა და თვისსა საწოლსა შინა შევიდა. დიაკვანიც გამოვიდა და მოეწია ოსეშვილს. ოსეშვილმან თავისთან მიიწვია ყავაზედ და შევიდნენ მისსა სახლსა შინა. მიიღეს ყავა და მერე იმუსაიფეს.

შემდგომად დიაკვანმა აქო იოანე ოსეშვილისაგან ქმნილი ეპიტაფია კათოლიკოს ანტონის პირველზედ თქმული, რომელსა შინა გამოეყვანა იანბიკოდ ათორმეტნი ზოდიაქნი, მზისა ეტლნი; და მაშინ ოსეშვილმან ჰკითხა იოანეს: უწყია ზოდიაქთა თვისებანი, ეკეთუ არა, და ანუ ვინმცა ეტლთა მათ ზედა იშობებიან თუ ვითარისა თვისებისა იქმნებიან?

ი ო ა ნ ე: უწყი, რაოდენ ჩემგან შესაძლებელ არს.

[ამას მოჰყვება ტრაქტატი ათორმეტთა ზოდიაქთა შესახებ].

დიაკვანი აღდგა და გამოეთხოვა ოსეშვილს; ოსეშვილმანც აჰუქა ერთი სამეცნიეროთა წიგნთაგანი და იოანე მმადლობელი წარვიდა თვისსა სადგომსა.

ᲓᲦᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ

ᲮᲝᲚᲝ ᲮᲕᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲦᲔ. ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲟᲐᲛᲡ. ᲐᲦᲓᲒᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲕᲘᲓᲐ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲖᲗᲐᲜ; ᲒᲐᲠᲜᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲛᲔ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠᲐ ᲐᲮᲘᲚᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐ; ᲛᲣᲜ ᲛᲥᲝᲤᲗᲐ ᲑᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲦᲐᲛᲓᲐ, ᲐᲦᲓᲒᲐ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ. ᲐᲛ ᲟᲐᲛᲐᲓ ᲓᲘᲐᲦ ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲐᲜ ᲐᲕᲓᲐᲠᲛᲐᲜ ᲘᲬᲧᲝ ᲬᲕᲘᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲐᲜᲩᲘᲡᲮᲐᲢᲡᲐ ᲙᲐᲠᲖᲔᲓᲐ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲰᲐᲠᲝᲜ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ; ᲘᲪᲜᲐ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ: „ᲘᲝᲐᲜᲔ! ᲐᲛ ᲬᲕᲘᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ? ᲬᲐᲛᲝᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ, ᲕᲘᲪᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲒᲔᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲘᲬᲣᲬᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲐ ᲬᲐᲒᲘᲮᲓᲔᲑᲐ“. ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲛᲐᲜ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲕᲘᲓᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲠᲐ ᲰᲐᲠᲝᲜᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲚᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲰᲐᲠᲝᲜᲛᲐᲜ ᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲣᲚᲝᲑᲐᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ; ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲛᲐᲜ ᲛᲓᲐᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲡᲮᲓᲔᲜ. ᲰᲐᲠᲝᲜᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲖᲒᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ; ᲘᲝᲐᲜᲔᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲪᲮᲐᲓ ᲣᲧᲝ, ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔᲛ

ᲰᲐᲠᲝᲜᲘ: ᲣᲤᲐᲚᲝ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲝ, ᲕᲘᲕᲐᲮᲨᲛᲝᲗ ᲐᲮᲚᲐ; ᲠᲐᲪ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲛᲝᲕᲪᲔᲡ. ᲘᲛᲘᲗ ᲕᲘᲡᲔᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲐᲛᲐᲪ ᲐᲥ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔ! — ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲛᲐᲜ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ. ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ᲰᲐᲠᲝᲜᲛᲐ ᲕᲔᲠᲦᲐᲠᲐ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲠᲐ ᲛᲦᲐᲨᲔ ᲗᲔᲕᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ. ᲑᲝᲓᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲐᲠᲗᲝ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲜᲘᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲔᲥᲪᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲘᲮᲛᲘᲔ. ᲠᲐ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲡᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲡ ᲪᲐᲚ-ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲓᲐᲣᲒᲔᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲪᲐᲚ-ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲰᲐᲠᲝᲜᲡᲐ; ᲠᲐ ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲥᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲝᲡᲬᲧᲣᲠᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲦᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲘᲪᲐ ᲔᲪᲐᲓᲐ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐᲡᲐ, ᲕᲔᲠᲦᲐ ᲒᲐᲡᲫᲚᲝ, ᲕᲔᲠᲪ ᲰᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ, ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲣᲠᲥᲕᲔᲚᲡᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲐᲛᲐ ᲑᲜᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲐᲠᲐᲥᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲪᲐᲪᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲔᲞᲝᲕᲜᲐ. ᲐᲛᲐ ᲫᲔᲑᲜᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲣᲘᲪᲠᲐᲓ ᲬᲐᲐᲬᲧᲓᲐ ᲰᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲐᲒᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲐᲠᲔᲡᲐ ᲰᲐᲠᲝ-

ნის მეუღლე იწვა, იქ ხალიჩას ფეხი წამოჰკრა, დიაკვანი წაიქცა და ჰარონის ცოლსა ზედან წააწვა; მაშინ ამა ქალმან შეჰყვირა: მიშველი, მღვდელო, ვინ წამომაწვაო! მსწრაფლ ჰარონ წამოხტა, დიაკვანს ხელი სტაცა და ასწივა, ააყენა და დაიძახა: გოგო, სამთელი მოიტანეო! რა სამთელი შემოიტანეს, იცნო დიაკვანი და უთხრა: არა გრცხვენიან, რომ შეგიწყნარეთ, პატივი გეცით და შენ შესაგინებლად მოგვინდომეო?!

დ ი ა კ ვ ა ნ ი: რას ბრძანებთ, წყალს ვეძებდი და უცნაურად აქ წავიქეცი, გამიშვით!.. და გაიწია დიაკვანმან. ჰარონმაც მეორე ხელი სტაცა ახალუხშია და ახალუხის უბე მოხვდა ხელში, ემძიმა და სთქვა: ჰო, ვახშმის ფული ვიშოვე... და გასწია ახალუხს და გააძრო. დიაკვანი მაღლის ხმით ეხვეწებოდა: მომეც ჩემი ახალუხი, ჭეშმარიტად მართალი ვარ, შეცოდება არა მაქვს რაო! გარნა ჰარონიც ჯავრობდა და არ აძლევდა. რა ამათი ყვირილი მეორეს სადგომს რეკტორს დავითს მიესმა, მსწრაფლ შემოვიდა და იხილა, რომ დიაკვანი პერანგა თავშიშველი სდგას და ეხვეწება ჰარონს. მაშინ

დ ა ვ ი თ: რა ამბავია, მღვდელო?

ჰ ა რ ო ნ: ჩემო ბიძავ, აჰა ამ შენმან გაზრდილმან დიაკვანმან შენი სძალისა ვითარი შეურაცხყოფა მოინდომა, იხილეთ!

დ ა ვ ი თ: სტყუი, ეგ მაგისთანა კაცი არ არის, ეგ ჩემი გაზრდილია და პატიოსანი კაცია!

ჰ ა რ ო ნ: კიდეც იმიტომ იკადნიერა ესგვარი საქმე, რადგან შენი გაზრდილია, კახპობისა და ბოზობის მეტს რას ასწავლიდი და ან რას ისწავლიდა!

რეკტორი განრისხდა და უთხრა: ნახე, ამ უკეთურს რას ამბობს? მე ავს ვასწავლიდი, რით ამტკიცებ, სთქვი! და ჯოხი მიუტანა პირშია.

ჰ ა რ ო ნ: ასე ვამტკიცებ, მასწავლელთა ბოროტთა სწავლანიცა ბოროტ არიან.

რეკტორი განწყრა და უთხრა: არ იცი. შე გასაკრეჭო, რომელ ნაყოფთაგან ბოროტთა შობილნიცა ბოროტ არიან?

და მერმე შეაგინეს ერთმანერთს. მაშინ გასწყრა რეკტორი და გარდაჰკრა ჯოხი ჰარონსა, ჰარონ ეძგერა და სტაცა ხელი წვერშია. მიფრინდნენ ერთმანერთსა და დაუწყეს წვერისა და თმის გლეჯა. მაშინ იოანემ თავის ახალუხს და ტანისაცმელს დაავლო ხელი და კარში ვამოვარდა, მაგრამ კარსა თავი ჰკრა და ერთი დიდი კოპივით დააჯდა. ამა ყოფაში შევიდა დეკანოზი სოლომონ, ორთავე ამხილა და გააშველა. ხოლო დიაკვანი თავდაჟეჟილი მოვიდა შინა და კიდეც გათენდა.

ᲠᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲛ ᲘᲮᲘᲚᲐ, ᲣᲗᲮᲠᲐ: ᲑᲔᲠᲝ. ᲠᲐ ᲓᲐᲒᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲐ, ᲡᲐᲓ ᲘᲧᲐᲕ ᲬᲣᲮᲔᲚᲡᲐᲝ? ᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ: ᲓᲐᲛᲔᲮᲡᲔᲜ, ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲛᲘᲨᲝᲕᲜᲔ ᲠᲐᲛᲔ, ᲔᲡ ᲓᲐᲯᲔᲓᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡᲝ.

ᲖᲣᲠᲐᲑᲐ: ᲐᲓᲔ, ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲔᲥᲘᲛ ᲧᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ, ᲐᲮᲚᲝ ᲡᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲖᲔᲓᲐᲝ! ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘᲪ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ, ᲒᲖᲐᲖᲔ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲔᲥᲘᲛᲗᲐᲜ.

ᲘᲝᲐᲜᲔᲛ ᲘᲪᲜᲝ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ, ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ: ᲩᲕᲔᲜᲝ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲝ, ᲠᲐ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲡ? ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲛᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲯᲔᲯᲘᲚᲘ.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ: ᲔᲒ ᲥᲐᲠᲡᲣᲠᲐᲕᲐᲜᲓᲘᲐ, ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲐᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲛᲔ ᲤᲔᲮᲖᲔᲓ ᲬᲐᲛᲐᲚᲡ ᲓᲐᲒᲐᲙᲠᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲔᲒ ᲥᲕᲔᲘᲗ ᲩᲐᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲨᲘᲐᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ

ᲖᲣᲠᲐᲑᲐ: ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲥᲘᲛᲑᲐᲜᲝ, ᲐᲛ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲡ ᲙᲔᲢᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲯᲔᲯᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲕᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔᲓ ᲬᲐᲛᲐᲚᲡ ᲐᲓᲔᲑᲗᲝᲗ?!

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲔᲥᲘᲛᲘ: ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲜᲑᲝᲑ?

ᲖᲣᲠᲐᲑᲐ: ᲐᲰᲐ, ᲘᲮᲘᲚᲔᲗ! ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ [ᲔᲥᲘᲛᲛᲐ] ᲣᲗᲮᲠᲐ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲡ: ᲓᲐᲯᲓᲔ, ᲬᲐᲛᲐᲚᲡ ᲠᲐᲡᲛᲔ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑ, ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲐᲜᲡ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ ᲠᲐᲛᲔᲝ.

ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ: ᲠᲐᲖᲔ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ ᲣᲑᲜᲝᲑᲐ? ᲓᲐ ᲗᲣ ᲘᲜᲔᲑᲔᲑ ᲐᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲖᲔᲓ ᲕᲘᲣᲑᲜᲝᲗ.

ᲘᲝᲐᲜᲔ: ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲘᲪᲘ ᲠᲐᲛᲔ?

ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ: ᲪᲝᲢ-ᲪᲝᲢᲐ!

ᲘᲝᲐᲜᲔ: ᲐᲰᲐ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠ ᲠᲐᲛᲔ, ᲠᲐᲪ ᲘᲪᲝᲓᲔ!

ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ: ᲠᲐᲓᲐ ᲐᲠᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲐ?

ᲐᲥᲘᲛᲘ: ᲡᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲕᲘᲜᲪ ᲘᲪᲘᲡ, ᲐᲥᲘᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲘᲝᲐᲜᲔ: ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲐᲓ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ.

ა ქ ი მ ი: სნეულება უნდა შეიტყოს და წამლების გაკეთება იცოდეს, ეს არის მკურნალის ხელოვნება.

ი ო ა ნ ე: მე მაგას არ გკითხავ, მე საზღვარს გკითხავ აქიმობისას და ან რაც სწავლაები ექირვება იმ ექიმს იმასა.

ა ქ ი მ ი: მითხარ, თუ რასა მკითხავ და ან რა არს ის სწავლეები?

ი ო ა ნ ე: პირველი ანატომიის ანუ აგებულების ცოდნა, მეორე ფიზიოლოლია, მესამე—პოტოლოლია, მეოთხე—თერაპია, მეხუთე—მატერი-მედიკა, მეექვსე—ფარმაკოფია, მეშვიდე—ხირურლია, მერვე—ქიმია გინა ხიმია, მეცხრე—აკუშერის ხელოვნება. მეათე—აპტეაკია. მეათერთმეტე—ბოდანიკა. მეათორმეტე — ნატურალი ისტორია, მეათცამეტე — ფიზიკა, მეათოთხმეტე — მინეროლოლია.

ი ო ა ნ ე ა ქ ი მ ი: რას ანბობ მაგას, ეს სულ ბერძული და ლათინური სიტყვებია, წავალ პატრსა ვკითხავ და, რასაც მეტყვის, მოვალ და შენ გეტყვი. ჯერ ეგ მე ამის მეტად არ გამიგონია და არც მსმენია.

ი ო ა ნ ე: ეი ჩემს თავს, ნუ წახვალთ ახლა პატრთან და ვერც მალე ისწავლით, სხვა დროს ისწავლეთ.

ა ქ ი მ ი: მაშ, შენ მიამბე, ეგ რაც მოთვალე თუ რა არს, და ან რასა ნიშნვენ, ან მკურნალობა რა არის?

ი ო ა ნ ე: მკურნალობა. გინა ექიმობა, არს სწავლა განმრთელი განხილვითა კაცთა სხეულთასა და გამოწვლილვით ცნობა სნეულობათა და გამოკითხვა სნეულისა: და ყოვლისა მის ცნობაჲ, რაიცალა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა, და რაჲცა შესაძლებელ არს ხმევად ლონიერებისა, მოქცევად მისა პირველსავე სიმრთელესა შინა. ოდესცა ვისმე შეხვდების ვითარიმე სნეულება და დაკარგულ ჰყოფს სიმრთელესა თვისსა.

[ამას მოჰყვება თვითეული სამედიცინო დარგის განხილვა].

ამჟამად შემოვიდა იოსებ იაკოლიჩი, პრუსიელი და გამოცდილი სწავლასა შინა. და უთავაზა იოანე ექიმმან და ჰკითხა იოანე ბერის ვინაობა. იოანე ექიმმაც ცხად უყო და აცნობა იოსებს და ამასთანაც, რომ ეს მეცნიერი კაცია და მასწავლიდა ფიზიკას, და კაის დროს მოხველ. რომ თქვენ უკეთ გამოჰკითხავთ მიზეზთა ფიზიკურთა. იოსებ იაკოლიჩს დიდად იამა და უთხრა იოანეს: გნებავთ მცირე რაჲ გკითხოთ რაიმე?

ი ო ა ნ ე: მიბრძანეთ!

ი ო ს ე ბ: რადგან ფიზიკაზე უბნობთ. მიბრძანეთ, რაოდენ ხარისხად განიყოფიან საზოგადოდ სხეულნი?

ი ო ა ნ ე: ოთხ უკვე ხარისხად, ე. ი. ელემენტად ანუ ნივთებად, მადანებად. მცენარებად და ცხოველებად. და ესე შეადგენს საგანსა ფიზიკისასა. ესე სახედვე გვასწავებს იგი ცნობასა მიზეზისა ყოველთა ფენომენტთა (გამოჩინებათა) ბუნებისათა, ვითარცა ქვეყანასა ზედა, ევრეოცა ცათა შინა.

[განმარტება ოთხთა ელემენტთა].

ი ო ა ნ ე ა ქ ი მ ი: ნეტავი შენ მაინც გბარებოდი, და ეგ რაც მიანბე, ყველა გესწავლებინა, მაშინ უფრო კარგი ექიმი ვიქნებოდი! მაშინ

ზ უ რ ა ბ ა: მამაშენმან და პაპაშენმან რომ ესენი არ იცოდა, რა უჭირდათ. წითელი მიწა, ჭინჭრის თესლი და ბალბის ფოთოლის ხმარება ხომ იცი. და რათ გინდა, საექიმო კი აიღე, ვინც გინდა მორჩეს და ვინც გინდა მოკვდეს, ვინ გიკითხავს?

ა ქ ი მ ი: ფა. რას ანბობ, მართალი თქვი ეგე!—ამჟამად დარეკეს წირვისა ხარებაში. იოანე აღდგა და გამოეთხოვა აქიმსა, მან მისცა მალამო და წამოვიდა იოანე ხარების ეკკლესიაში. საღმრთო წირვა მოისმინა მუნ და. ოდეს დასრულდა. იცნა პეტრე ლარაძემან დიაკვანი, მოიკითხა სიყვარულით და შეიწვია სახლად თვისა; იოანეც მმადლობელი წარვიდა მისთანა. რა მცირე იმუსაიბეს, პეტრე ლარაძემ უთხრა დიაკვანს: აქ ჩემთან ისადილეთ, და ვინემ სადილის დრო მოიწეოდეს, გაჩხრიკე ჩემ მიერ ქმნილნი შაირნი და ლექსები, ვითარ მოგეწონებათ. — მოართო იოანეს და იწყო კითხვა, და დიდად მოეწონა და უთხრა: ეს ასე გვარზედ შეგიწყვიათ, რომე უდრის რუსთაველისაგან ქმნილსა წიგნსა „ვეფხვის-ტყაოსნად" წოდებულსა.

პ ე ტ რ ე: წარგიკითხავთ იგი?

ი ო ა ნ ე: დიაღ. წამიკითხავს იგიცა და ქილილა მანანაც.

პ ე ტ რ ე: მაშა. გვარებიც გეცოდინებათ ქართულის ლექსებისა

ი ო ა ნ ე: ვიცი. რაოდენ შეიძლება!

პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის

პ ე ტ რ ე: რაა არს პოეზია ანუ მოლექსეობა?

ი ო ა ნ ე: პოეზია ანუ მოლექსეობა არს სწავლა. გინა ხელოვნება გამოღებად ენითა ლექსთა და გამოხატვად წერითა ყოვლისა საგნისა მის ნივთისა, ჭეშმარიტისა ანუ მოგონებულისა, ცხოველად და წესიერად შეწყობით, რათამცა აღძრის, გული და სული მსმენელთანი ჟამსა წარკითხვისა ანუ უბნობისასა.

პ ე ტ რ ე: რასა შინა მდგომარეობს მეხანიზმა ანუ ხელოვნება ლექსთა მოთხრობისა?

ი ო ა ნ ე: იგი მდგომარეობს ხმევათა შინა შეწყობათა და თანხმობათა, ვითარცა წარსაკითხველად, ეგრეთვე საგალობლად და სამღერლადაცა თანხმობდეს შეთხზულნი იგი ლექსნი, და ესე სათანადო არს დამარხვად ყოველთა მოლექსეთაგან.

პ ე ტ რ ე: რაოდენნი არიან გვარნი პოეზიისანი ანუ მოლექსეობისანი?

ი ო ა ნ ე: არიან მრავალნი უკვე გვარნი, რომელთაცა თავის თვისსა ადგილსა აღმოვაჩენ ყოველთა სახელდობრ; ხოლო უპირველესნი გვარნი მოლექსეობისანი არიან შვიდნი:

1) ლირიკებრი მოლექსეობაჲ ანუ წინწილთა საკრავთა ზედა მოლექსეობაჲ, რომელიცა იწოდების ოდად ანუ გალობად, იამბიკოდ და პოემად, ანუ მოლექსეთ მიერ მოთხრობილად, ანუ თხზულებად.

2) დრამატიკებრი ანუ მგალობლობითი მოლექსეობა თვის ეყვის ტრაღედიათა ანუ საგლოველთა ჰმათა, ანუ შაირთა, კომედიათა ანუ აზრთა წარმოდგინებათა და სხვათაცა თიატრულთა თხზულებათა.

3) ეპიჩეური ანუ მომღერლობითი მოლექსეობა არს მომთხრობელი დიდთა და ღირსთა სახსოვართა შემთხვეულებათათვის, გმირებთა და ძველთა ღმერთებთათვის.

4) დიდაქტიური ანუ სწავლითი მოლექსეობა, მიეწერების სწავლითთა თხუზულებათა დაწერილთა ლექსებთა მიერ.

5) ზნეობითი პოეზია, ანუ მოლექსეობა, წინა დაგვიდებს ჩვენ ზნეთსწავლულებითთა კანონთა და საყოფოქცევათა შემემცნებასა და სიევასა მათსა.

6) ხოლო უკვე საღმრთო პოეზია ანუ მოლექსეობა განერთვის საკნებითა სარწმუნოებისადმი და ჭეშმარიტისა ცნობისათვის ღვთისა და ყოველთა შემძლებელობათა მისთა.

7) გვარი შერევნილთა და სახუმრებლებთა ლექსებთა წარმოგვიდგენს ჩვენ საგანსა საცინელსა სახელსა შინა შენიშვნისასა, ვისზედაც აღშენებულ იქმნების იგი ლექსი.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს ლექსი?

ი ო ა ნ ე: ლექსი არს სიტყვა უწყებულთა განზომილებათა. ანუ მუხლთაებრ განწყობილი.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს მუხლი?

ი ო ა ნ ე: მუხლი არს ორთა ანუ სამთა მარცვალთაგან შედგინება სიტყვებთა თუ ლექსთა.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს მარცვალი?

ი ო ა ნ ე: მარცვლად იწოდების იგი, სადაცა უკვე არს ხმოვანი ასო და ანუ რაოდენ გვარ არს მუხლნი.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს იამბა?

ი ო ა ნ ე: იამბა არს იგი, რომელსაცა ლექსსა თუ შაირსა აქვს პირველი მარცვალი შემოკლებული, ხოლო მეორესა გრძელი, ესე იგი: უფალი, ხოლო მეორე ბრწყინვალე.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს ხორეჲ?

ი ო ა ნ ე: ხორეჲ არს რომელსაცა ლექსსა თუ შაირსა აქვს პირველი მარცვალი გრძელი, ხოლო მეორე შემოკლებული, ვითარ მთოვარე, ხოლო მეორე მზეჲ.

პ ე ტ რ ე: სხვაჲ რაჲ სახმარ არს ლექსთა თხზულებისათვის?

ი ო ა ნ ე: უნდა იცოდეს ღრამმატიკა, რიტორება, ლოღიკა, წერილი სხვადასხვა და ისტორიები და ლექსიკონიც კარგად, მეტოლოღია და საღმთო წერილნი და მერე ლექსთა გვარები; და მაშინ შეიძლებს ამით წესიერად და კარგად შეთხზვასა ლექსთა და შაირთასა.

პ ე ტ რ ე: რაოდენნი გვარნი არიან ლექსნი ანუ შაირნი, გინა სტიხნი ქართულთა ენისანი?

ი ო ა ნ ე: არიან ოცდაორნი უკვე გვარნი თვისთვის საკუთარის სახელით წოდებულნი.

პ ე ტ რ ე: მითხარ, რომელნი არიან?

ი ო ა ნ ე: 1) შაირი, 2) ლექსი. 3) ჩახრიხაული, 4) ფისტიკაური, 5) რვული, 6) შეწყობილი, 7) წყობილი, 8) მრჩობლედი, 9) მოკლე წყობილი. 10) შერეული, 11) მრჩობლედი შაირი, 12) მოკლე შეწყობილი, 13) ჩახრიხაული შერეული, 14) ჩახრიხაული მრჩობლედი, 15) ტაეპი ჩახრიხაულის გვარისა, 16) მრჩობლედი ფისტიკაური, 17) ძაგნაკორული 18) ძაგნაკორული ჩახრიხაულად, 19) ტაეპი, 20) მაჯამა, 21) იამბიკო, 22) ლეკუცია ანუ ბეჭდების გვარის ლექსი, ხოლო 23) ოცდამესამედ ითქმის მესტვირეთაცა ლექსნი, გარნა იგინიცა არიან მოკლე წყობილთა გვარნი შაირნი. თუ ლექსნი, რომელთა ეწოდება მესტვირული, და ეგრეთვე მძეობისა და გლეხთა სიმღერის ლექსები, 24) ანბანთქება.

პ ე ტ რ ე: ვითარი გვარი აქვს შაირსა?

ი ო ა ნ ე: შაირი უკვე შედგების ოცდაოთხისა უხმოსა ასოთი, ხოლო თექვსმეტისა ასოთა ხმოვანითა, და ერთი ტრიქონი განყოფით ერთის მძიმეთი ესრეთ:

> ოვითო სიტყვაზედ და მზერით | უცხო წალკოტნი ათობენ,
> ღამე ანთრაკებრ საჩინოდ | ბრწყინვენ და ეგრე ნათობენ,
> ამის იგავნი სიცოცხლის | წყალთაებრ მორწყვად მნათობენ,
> და სიტყვა-ჭკეულნი ჰაბუკებრ | ლალსა და ბროლში სათობენ.

ეგრეთვე ბევრჯერ იქნება ერთი-ორი ანუ სამი და ოთხიც უხმო ასო მოაკლდეს შაირსა, მაგრამ ხმოვანი ისევ სრულებით უნდა იყოს, ვითარცა უთქვამს რუსთაველს შაირი:

იყო არაბეთს როსტევან. | მეფე ღვთისაგან სვიანი,
ბალალი. უხვი, მდაბალი, | ლაშქარ-მრავალი. ყმიანი.
მოსამართლე და მოწყალე, | მორჯმული, განგებიანი,
და თვით მეომარი უებრო. | კელავ მოუბარი წყლიანი.

ხოლო ესე უწყოდეთ, რომე ყოველთვის შაირი ოთხი ტრიქონი უნდა იყოს და ოთხისა ბოლოცა თანასწორ ასოების დაბოლოებით, ვითარცა ზემორე ჩანს.

პ ე ტ რ ე: მითხარ, ლექსი ვითარ-ლა შედგება?

ი ო ა ნ ე: ლექსი ყოველთვის შედგება ოცდაორის უხმოს ასოთი და თექვსმეტის ანუ ჩვიდმეტის ხმოვანითაც. და ოდესმე უფრო მეტის ასოს უხმოთითაც. გარნა გვარი ამისი არს ორი ტრიქონი ბოლოებით თანასწორი, და ერთ მძიმედ განყოფილი ტაეპში, ესრეთ:

გვიჯობს სიკვდილი ქებული, | თავის გაწირვა ნებითა,
სოცოცხლე მოყივნებულსა, | აუგიანსა ენებითა.

ესსაბედვე ესეცა ლექსი ესთა იმცენ:

ერთი ხმალი განმკვეთელი, | ორმოცს მოჰკლავს, ანუ ასსა.
ერთი რჩევა სულ დათრგუნავს. | სიმრავლესა ლაშქრის დასსა.

ხოლო შესაძლებელი არს ოთხ ტრიქონადცა გაკეთდეს ლექსი, მაგრამ კვარი ამისი უფრო ამ სახედ. ორტრიქოანი არს.

პ ე ტ რ ე: ჩახრიხაული ვითლა შედგება? *

ი ო ა ნ ე: ჩახრიხაული უკვე შედგება უხმოს ასოთი ვიდრე ოცდათუთხმეტამდის, ხოლო ხმოვანით ოცით ანუ ოცდაერთით. გარნა ამისი გვარი ესე არს, რომელ პირველის სიტყვის შემდეგი რომ იქმნება მეორე, და მესამე სიტყვის შემდეგი რომ იქმნება მეოთხე, ერთმანერთს უნდა გვანდენ დაბოლოებით, და უკანასკნელნი დაბოლოებანიცა უნდა მსგავსობდენ ერთი ერთს. და ესე შედგება ოთხის ტრიქონითაც და ორი ტრიქონითაც, ხოლო მძიმე ანუ წერტილი იხმარება თითო ტრიქონში ოროლი. იხელე ესრეთ:

პოყვარე პირად, | მოქმედი ძვირად. | საქმითა მტერი ხამს
განშორებად.

---

* ჩახრიხასძე იყო თამარ მეფის დროს, ფილოსოფოსი და დიდი რიტორი; დიდ-სახელოვანის საქმისათვის ეს მიართმევდა შესხმას. (ა ვ ტ ო რ ი)

ვიაი თეთრი კბილი, | ღიმს ბაგე რბილი, | შავს გულსა ჰფარავ
საჩინოდ ხლებად.
ნედლს შეშას ცეცხლი, | ზედისზედ ცხელი, | ბრძოლა არ ძალეს
ნთებად და ვსებად;
და წყნარ-წყნარად იწყებს, | ფარვით დაიწყებს, | ბოლოს ეცდება
სრულად აღგზნებად.

ხოლო ორტრიქოვანიცა ესრეთ არს:

თუ შემოქმედსა, | ყოველთა მხედსა, | უსამართლონი თუ ოდენ
სდევდა,
ლურჯსა კარავსა, | ხმელთა მფარავსა, | უთოკოდ გარე არ
მოგზღუდევდა.

პ ე ტ რ ე : რაჲ გვარი აქვს ფისტიკაურსა?

ი ო ა ნ ე : ფისტიკაურის გვარი არის, რომელსა შინა თვითეულსა უკვე ტრიქონსა ჰქონან ოცი-ოცი უკვე ხმოვანი ასო, და ოცდაცხრა-ცხრა უხმონი ასო. ხოლო განიყოფება უკვე თითო ტრიქონი ერთ ერთ მძიმითა და ბოლო დასრულდება თანასწორ ასოებითა, ვითარცა ზე-მოხსენებულნი სტიხებნი ესრეთ:

საწუთროს ნადიმს ლხინად მჯდომელსა | მოწყენა ჰქონდა
აურაცხელი,
სოფლის ჭიქასა შესარგო ღვინო | არ დგას, იტყვიან ბრძენი
და ხელი.
ვერვინ იხილა მბრუნავსა ქვეშე, | კაცი შვებითა წამსა ერთხელი,
და რომ სისხლის ცრემლი, ყაყაჩოს ფერი | არა სდიოდა მწარე და ცხელი.

ვარნა ფისტიკაური ლექსნი უფრორე მრავალ არიან თქმულნი ორტრიქონითა, ვინადგან გვარი ამისი უფრო ითხოვს ესრეთ:

ხარბად მხედველი თვალი შეიკრებს. | ეჭროვებს, მარა ვერ მოიხმარებს,
ბოლოს მოკვდება, სავა მიიუალებს, | იცხოვრებს მდიდრად, მით
განიხარებს.

ხოლო რუსთაველს უთქვამს ფისტიკაური ამგვარად:

შეკრა წითელი ასიათასი | პირად მზემან და ტანად სარომან,
სამასი თავი სტავრა, ატლასი, უხვმან, ნიადაგ მიუმცდარომან,
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი, | ფერად არ მათმან საურარომან.
და კაცი გაგზავნა ეზირისასა | ესე ყველაი მისთვის არო მან.

პ ე ტ რ ე: მითხარ, რვეულის გვარიცა.

ი ო ა ნ ე : რვეული შედგება ოცდაექვსიდამ ოცდაცხრას უხმოს ასოთი თითოსა ტრიქონსა შინა ღა ოცითა ხმოვანითა ასოთი. გარნა გვარი ამისა არს, რომელ ერთი ტრიქონი განიყოს ორ მუხლად ოროლის

წერტილებით, და თითო მუხლი იპყრობდეს თვის შორის ათსა ხმოვანსა ასოთაგან შემდგარსა სიტყვებსა; ხოლო ამისი გვარი არს ოთხივე ტრიქონით შემზადებული, ვითარცა თითო მუხლი დაბოლოვდება მარცვლებზედ, ეგრეთ უკანასკნელი უნდა დაბოლოვდეს, და ოთხნივ ტრიქონნი მსგავს იყვნენ პირველ მუხლშიაც და მეორეშიაც ბოლოებით მსგავსნი, ვითარცა ქვემორე ჩანს ეგრეთ; ეგრეთვე იქნება რვატრიქოვანი:

მეფე მაღალი, კეთილ-სვიანი, | მსჯავრის მოყვარე, სანართლიანი,
ცნობა კეთილი. მეტად ჭკვიანი, | სიბრძნე უფსკრული, ყოვლად
გზიანი,
დალიქთ მჯდომელი, განგებიანი, | გვირგვინოსანი, შუქნათლიანი,
და ხმელთა მპყრობელი, საქმე გვიანი, | კიდის კიდემდე სახელიანი.

ხოლო ამგვარი რვული ორტრიქონიანი ითქმის უგვარო რვულად ესრეთ:

კოზაკმა უთხრა დედასა, | სიტყვასა გეტყვი ყბედასა,
დია დაშრომა მედვასა, | მოცდა ჰყავ მაგა ქედასა.

პ ე ტ რ ე: მითხარ, შეწყობილის გვარიცა!

ი ო ა ნ ე: შეწყობილის გვარი არს, რომელიც შედგება უხმოთა ასოთაგან ჩვიდმეტიდამ ვიდრე ოცდაოთხამდის, ხოლო ხმოვანით თექვსმეტით, და ესე არის თითო ტრიქონი თითოს მძიმით განყოფილი და დაბოლოებით ერთგვარი. შედგება წყობილი ორის მუხლითგან, ანუ ტრიქონიდამ ოთხამდის, ექვსამდის და რვამდისაც ტრიქონით და ესრეთ უშორეს; ხოლო შეწყობილი დაიწერება ესრეთ ექვს ტრიქონიანი:

ღვთის მინდობა სჯობს ყოველსა, | ვაჭრობა-მუშაკობასა,
რა უკეთია, რაც მოგეც, | მის სილამაზე მკობასა,
გული მას მტკიცედ მიანდევ, | ნუ მისდევ ეშმაკობასა,
შენი მდღეანარი მოგეცეს, | ვით ხელი აშიკობასა,
თუცა მოითმენ, მოგივა, | დაეხსენ ძრაკობასა,
და შენმან ტრფობამან გამოელოს, | კლდოვანი ვით ვაკობასა.

ხოლო მეორე მოკლე-შეწყობილი არს რვისა ხმოვანით ასოთი ერთი ტრიქონი და ორ-ტრიქონიანი ესრეთ მოკლედ შეწყობით.

ქარი თუ ღრუბელს ატარებს,
კლდე ქარსა ვერ მიმხატვარებს.

პ ე ტ რ ე: რად არს წყობილი და ვითარის გვარისა?

ი ო ა ნ ე : წყობილი არს, რომელიც შედგება ოითო ტრიქონი ათ-ათის ხმოვანის ასოთი და თოთხმეტის უხმოს ასოთი, და განიყოფება ოროლ სიტყვად თითოს მძიმითა ესრეთ:

დიდსა, მაღალსა, | ნათელსა მზესა,
მცირე ღრუბელი | შეუცვლის ზნესა.

ხოლო მეორე გვარი არს უფრო უმოკლესი და თითო მუხლიანი ესრეთ:

უწყალოთ აქვსყე ზიანი,
მართალთა საქმე გზიანი;
ბედი გვინათლებს მზიანი,
გლეხნიც მდიდრობენ ბზიანი.

ესსახედვეც შეითხზვის წყობილი, ვითარცა შეწყობილის გვარი, ექვს მუხლოვნად ანუ ტრიქონად და უმეტესცა, უფრორე გრძელითა ლექსებთა, გარნა გვარნი ესენი არიან ვითარცა აღვწერეთ, აგრეთვე ოთხტრიქოვანდცა ესრეთ:

მოღვაწე, წესთა | გარდამავალსა,
გაუცხადდება | ზაკვით მავალსა,
ქვეყანა მან სცვას, | მალვით ხრამს ძვალსა,
მისსა ბოროტსა, | უმალავს თვალსა.

პ ე ტ რ ე: ვითარი გვარი აქვს მრჩობლედსა?

ი ო ა ნ ე : მრჩობლედი უკვე შედგება ოცისა უხმოს ასოთი, ხოლო ხმოვანითა თექვსმეტით, ოროლ ტრიქონად, თითოს მძიმით განყოფილ და დაბოლოებით ერთსახე მარცვლებით ესრეთ:

ბუნებაე ცოტას დასჯერდი, | ითმინე მოუთმენარე,
რომ ნდომისაგან პატიჟი | მოგხვდების მოსაწყინარე,
ალცსა ხარპობა შეარცხვენს, | უკუაწბილებს სახითა,
თუ სიბრძნე გინდა, სისარბე | ყოლე ნუ გინდა ნახითა.

ეგრეთვე ითქმის ოთხტრიქოვანადცა ესრეთ:

ნუ ალაღდები ხვაობით, | გულითა მაღალ მჩენითა,
გონებას შურსა ნუ შერთავ, | წუთსაცა ზედ დაჩენითა,
თუ უნაგირი რისხვისა, | ცხენსა შეიდგა წყრომითა,
სისწრაფით მაჰენებელსა | დაგიდგეს მალ დავარდნითა.

ხოლო მრჩობლედი შაირული არს ორტრიქონიანი, შემდგარი ჩვიდმეტისა ხმოვანითა ასოთი ესრეთ:

რა სიყვარული დააგდოს |პირობის განაკიდარმა,
გულსა ვით უძღვნას სიბრძნენი, | სულისა განაზიდარმა?

პ ე ტ რ ე: მითხარ მოკლე-წყობილი!

ი ო ა ნ ე: იხილე ზემორე წყობილში.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს შერეული, ანუ გვარი მისი?

ი ო ა ნ ე: შერეული უკვე შედგების თექვსმეტის ხმოვანით და ოცდაერთის უხმოთი, ერთის მძიმით განიყოფების ტრიქონი, ხოლო ორის ტრიქონის ბოლოები არიან თანასწორენი დაბოლოებით, და მესამე სხვა დაბოლოებით, ხოლო მეოთხე პირველისავე მსგავსი. და ამისთვის ეწოდა შერეული, ვითარცა აქა ჩანს ესრეთ; და თუ ექვს ტაეპოვანია, ამ სახედ იქმნება, ვითარცა აქა ჩანს:

თუცა შენ გინდეს გაშვება, | მე ხელით მოგეკიდები,
შენგან თუ პირი გამიტყდეს, | მე ყოლე არ გეფლიდები,
რა კიდეგანმყო, განმაძო, | არ მიმიკარო არესა,
გინა გაწირვა გენებოს, | არად არ წაგიკიდები:
შენი გაყრილი საწყალი, | ვის ენახავ სამუდარესა,
მე შენვე გაგისაკუთრდე. | შენთავე ფერხთ-ქვე ვიდები.

პ ე ტ რ ე: მითხარ მრჩობლედი შაირი.

ი ო ა ნ ე: მე ზემორე მოგახსენე.

პ ე ტ რ ე: მოკლედ შეწყობილიც მაჩვენეთ.

ი ო ა ნ ე: ზემორე იხილეთ.

პ ე ტ რ ე: ვითარი გვარი აქვს ჩახრიხაულს შერეულს?

ი ო ა ნ ე: ჩახრიხაული შერეული შედგება ოცის ხმოვანის ასოთი და ოცდაცხრის უხმოთი, და ორნი წინამდებარენი ტრიქონნი არიან დაბოლოებით ერთნი და წინასიტყვანი ოროლჯერ დადებულნი. ხოლო მესამე შეცვლილი, მეოთხე კიდე პირველისამებრ, და ესრეთ უშორეს. ხოლო რომელნიმე იქმნებიან ამა წესსა შინა ნაკლებნი, ხმოვანის ასოთიცა და უხმოთიცა, გარნა განწყობილი გვარითვე ჩახრიხაულისამებრ, ესრეთ ვითარცა არს:

მოველის ენად, მო ველის ენად, | თუცა შევიქმნა სისხლთა
შჯდომელად,
ვით არავისო, ვითარ ავისო, | მოყვარე დავსთმენ გასაწყრომელად.
საფერი მეცა, საფერი მეცა, | თავს ქვა დამეცა დია მაგარი,
რადგან ასეა, რად განასეა, | თვითვე შევიქენ ჭირთა მზომელად.
სად არ ისულო, სად არი, სულო, | ცოდვის სანანლად თუცა მაგარი,
რა მან მანანა, რამან მანანა, | არ შეიძლება ვიყო მდომელად.

პ ე ტ რ ე: ვითარი გვარი აქვს ჩახრიხაულს-მრჩობლედს?

ი ო ა ნ ე: ჩახრიხაული მრჩობლედი შედგება ოცისა ხმოვანისა ასოთი და ოცდაცამეტისა უხმოთი, და ოდესმე უხმოთი ასოთი უჯრო ნაკლებცა ვიდრე ოცდაშვიდამდე. გარნა ხმოვანი კი არ უნდა მო-

აკლდეს და ამის გვარიც არის შერეულადაც და ისე შეურევლადაც. რაოდენ ტრიქოვნად ნებავს, შეიძლება თქმა და აქა იხილე ესრეთ ხოლო განიყოფება ესე ორის მძიმით განყოფილი თითო ტრიქონნი და პირველის სიტყვის მსგავსი ბოლოთი მეორე.

სწავლის წამალი, | ცოდნის კალამი, | სწორე გზის გამო მკურნალსა სთხოვე.
ადამიანნი, | უცოდინარნი, | ყოვლად საძაგლად გარდაითხოვე.
ფერი პირისა, | თვალსაქვირისა, | მოელვარებდეს, დია შეეწოდეს.
სარკისა პირსა, | გახოცა ძვირსა, | ფარილ ცხებულსა ვით ინახოდეს.
ზაკვით მლოცავი, | თვალთ სალოცავი, | ჩვილებრ იმღერის ხუხულოვანსა.
კაცი ის კაცობს, | ვინ არა მარცხობს, | სწორედ ღვთის მონა მორჩეს კლდოვანსა.

კვალად თუ ვისმე ნებავს, შეიძლება ოთხ ტრიქონადცა ქმნას ბოლოებით თანასწორი და უმეტესიცა.

პ ე ტ რ ე: ტაეპი ჩახრიხაულისა ვითარ არს?

ი ო ა ნ ე: ტაეპი ჩახრიხაულისა ისევ იმის გვარია, გარნა შედგება ოცის ხმოვანის ასოთი და ოცდაოთხის უხმოთი ამგვარად:

თურე შენისა შინაურისა, | მტერი ყოფილხარ ბოსაწყინარი.

ხოლო რომელიმე მოვა ოცდაცხრის უხმოთი ასოთი, გარნა ხმოვანი ასო უნდა იყოს ისევ ოცი, ესრეთ:

ვსჭვრიტო და ვნახო, | ცნობა შევახო, | მის დაფარულით რა გამოვსახო.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს მრჩობლედი-ფისტიკაური და ვითარის გვარისა?

ი ო ა ნ ე: მრჩობლედი ფისტიკაური შესდგება ოცდაცხრის უხმოს ასოთი და ოცისა ხმიანითა, და შესახედავითა გავს მრჩობლედსაც და ფისტიკაურსაც, ესრეთ, ვითარცა აქა ჩანს:

პატიოსანი თვალი | ვისაც აქვს, | კვლავ ლითონისა თხრასა ცდილობენ,
მეტი სწადნოით | და მეტს შვრებიან, | მეტსაც ნაღველსა გაიწილობენ.

ოდესმე იქმნება ოცდათორმეტი ანუ ცამეტით უხმო ასოცა მოიხმაროს, ოდესმე მეტიცა და ნაკლებიცა, გარნა ხმოვანი უნდა იყოს ოცი ესრეთ:

ღვინო და რძენი ვისაც წინა უდგსთ, | სისხლსა რათღა სმენ; მეშმაგებიან.

რად აგროვებენ გაუძღომელად, | ჭირსა თავს სცემენ, მაგრა ღგებიან.

შეიძლება ოთხმუხლოვანადაც გააკეთო, ან ოთხ ტრიქონად.

პ ე ტ რ ე: ვითარი გვარი აქვს ძაგნაკორულსა?

ი ო ა ნ ე: ძაგნაკორული შედგება ოცდაორიდამ, ვიდრე ოცდაცხრის უხმოს ასოთი, ხოლო ხმოვანით ოცდაერთითა ყოველთვის. ერთი წინადადებული ლექსი უნდა ორჯელ დადო, თითოს მძიმეთი, ესე იქმნება ოთხტაეპოვანი დაბოლოებით სწორე. ხოლო შემდგომად ერთის ძაგნაკოურისა მეორე მუხლიც რომ გინდოდეს, ყოველთვის პირველის მეოთხე ტრიქონი უნდა ახნარო, სამის ტრიქონის შემდგომად მეოთხედ, გარნა ბოლო ისე უნდა დადო, ვითარცა სხვათა ლექსთა შოვიდეს სამისა ბოლოები, და ესრეთ დაწერეთ:

ჰე, მოყვარეო, | ჰე, მოყვარეო. | ზილფით ნარეო, ნარდიო გველო,
გულ-ბროლ სადაფო, | გულბროლ სა დაფო, ნატიფო, სწრაფო,
ლერწამო წელო,
გველ ჰინდოსათო. | გველ ჰინდოსათო, | ღაწვი მანათო, ეთერთა
ველო,
და მალრიბის მზეო. | მალრიბის მზეო. | კაეშნის მსეო, ლომისა მწველო.

პ ე ტ რ ე: ჩახრიხაული ძაგნაკორულად ვითარ შეითხზვის?

ი ო ა ნ ე: ჩახრიხაული ძაგნაკორული გვარი მსგავსებს ჩახრიხაულსა, გარნა ესე შედგება ოცდაორის ხმოვანითა ასოთი და ოცდათვრამეტისა უხმოსა ასოთი; და უგრძელესი არს სხვათა ლექსებთა ზედა. და განიყოფების ორითა და ოდესმე სამითა მძიმითა, გარნა მეოთხე ტაეპი სამთა ზემოხსენებულთა ტრიქონებზედა იქმნების უმოკლესი და ყოველთვის სხვათაცა მეოთხედ ტაეპად ეხმარების. ესრეთ ეხილე:

კაცს ვისმე ბრჭობას, შაჯავრისა ბრჭობას, | აძლევდენ, იყო
ცრემლისა მღვრელად,
სხვამ უთხრა: სტირ რად, | რადამც ხარ მჩივრად, | მოლხენა
გმართებს, ეს თქმულა ძველად.
მან თქვა: ვაიმე, | მაქვსლა რაიმე, | სიმართლის თქმანი მიჩნს
საზღვეველად...
და ზარი დამეცა, | ზარი დამეცა, | ჰე, გონებისა გასაკრთომელად.
მოჩივართ ორთა, | მჭყვირალთა ლორთა, | შორის ვით გავბრჭო .
ჭკვისა მზომელად.
იგ ორნი მტერნი, | ვით მზე და მტვერნი, | ვით გავარჩიო ზედ
მიმხდომელად?
რა ქმნას მსაჯულმან, | ლონე კლარჯულმან, | ირთ ახირება,
სიტკბო მწყრომელად.
და ზარი დამეცა, | ზარი დამეცა, | ჰე, გონებისა გასაკრთომელად.

და ესრეთ უშორეს ასე შეემცენ ძაგნაკოურსა.

იაკობ შეშოქვედელისაგან თქმული ძაგნაკორულად ლექსი არს ესეგვარად:

აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
და ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს მაჯამა, ანუ ვითარი გვარი აქვს?

ი ო ა ნ ე: მაჯამა უფროორე არის სპარსთა შაირის გვარი და ძუნით მოულიათ. გარნა ვინადგან უხმარებიათ იგიცა, აქა ჩვენცა მოვიხსენოთ.

ხოლო ესე შედგება ოცდაშვიდისა უხმო ასოთი და ხმოვანითა თექვსმეტითა, ტრიქონი ორად განყოფილი ორწერტილოვანად ესრეთ: ხოლო მაჯამათ გვარი არის ოთხისავე ტრიქონის ბოლო ერთი სიტყვა, გარნა მნიშვნელობაჲ სხვაჲდასხვაჲგვარ ასახსნელი.

დიდი მეფე თეიმურაზის თქმული:

მზე ცუდ ნაშვრალობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა.
სხვამ შენგან კიდე, სამყარო, ვინ გაისახლა, ისარა?
მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო, ისარა,
და ბუნით მკრა გულსა ტყვექმნილსა, გლახ, შავმან მშვილდმან ისარა.

ეგრეთვე შაირის გვარადაც იქმნება მაჯამა, ოთხისავე ბოლოთი ერთი სიტყვა, ხოლო მნიშვნელობითა სხვადასხვა, ვითარცა უთქვამს რუსთაველს ესრეთ:

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბალაბში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მჭვრეტთა, თავი ხელი ა სად აგეს,
და ცეცხლთა მანდით მოდებულთა, გული ჩემი ბ ა ხ ა დაგეს!

რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს.
მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ მჭვრეტსა ავაგლახიოს.
და ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახიოს, ეყოს, ახიოს*.

პ ე ტ რ ე: რაჲ არს იამბიკო და ვითარის გვარისა?

---

* აქა ლექსები რომელიმე ვახტანგ მეფისა არს და უფროსი ერთი საბა ორბელიანისა „ქილილა და მანანადამ“ გადმოღებული. ა ვ ტ ო რ ი.

ი ო ა ნ ე: იამბიკო არს გვარი ბერძულის ლექსისა, რომელიც უფ-
როორე იხმარება საღმრთოთა წერილთა შინა, აგრეთვე ვალობათა
შინა, შესხმისათვის და საფლავსა ზედა დასაწერელად და ესე ვი-
თართა. ხოლო ესე შედგება თორმეტისა ხმოვანითა ასოთი, ხოლო
უხმოსა თორმეტიდამ თუთხმეტამდის და ოცამდისაც მოითხოვს სიტყ-
ვის გვარისამებრ. ესე შეუგება ხუთ ტრიქონად და რომელისამე ბო-
ლო, ვისაც ნებავს, შაირსავით მოიყვანს მსგავსსა, ვისაც ნებავს შე-
რეულად და გაუწყობრად ბოლოს სიტყვებსა, გარნა უნდა იცოდეს
ძილის-პირი „ლოცვამან ანნა“ და სამსახეობა გალობით. ამ იამბი-
კოს დამთხზველმან რომ რამ ხმაზედ აღაშენოს და მაშინ სწორედ მოუვ-
ა იამბიკო. ესსახედვე იამბიკონი არიან მრავალგვარად ქმნილნი, ჯი-
�ur-წერილობით, რომელიც გამოვა სახელი თავდაღმა წაკითხვით
წინა ასოთა, ხოლო შემდგომთა მეორეთა და მესამეთა და მეოთხეთაცა,
მუხლებთა შინა ასვლით და შთამოსვლით, წარიკითხება კიდურ-
მდგმოების გვარით. და ამაში ასოები ასომთავრული უნდა ახმარო,
ანუ წითლულნი, ხოლო სხვა სიტყვები საზოგადო ხელით დაწერო
და ამა ყოველთა აქა გაჩვენებ. ხოლო შაირულნი დაბოლოებულნი
იამბიკონი და მაჯამურაკა და შერეულიცა არიან ესე შემდგომნი.

ანტონ პირველის კათალიკოზისა

შ ა ი რ ი ს გ ვ ა რ ს ა ვ ი თ დ ა ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი

ზენა საყდარისა, წინაშე მდგომარესა,
მრავალ თვალებთა თან გალობ-მხმობარესა,
ესე მღვდელ-საღმრთოდ, მსხვერპლთა მქებარესა,
განხრი ეშმაკთა, მმწყვლელ, ლახვართ მმსობარესა,
მეც ოხა შენი ტრფიალითა მმკობარესა.

იოანე ფილოსოფოსის თქმული

ე ს ე ც ბ ო ლ ო ე ბ ი თ თ ა ნ ა ს წ ო რ ი

ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი,
დედა-ქალწული, მშვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი,
ბენგან იშვების მეუფე გვირგვინოსანი,
და მას მონებენ მეფენი მრავალ-ყმოსანი.

მისივე კათალიკოზისაგან

მაჯამასგვარი ბოლოებით

აღმოსავალსა სამთენოსა სამოთხე,
ყვავილ-მრავალნი, ბევრნი, არა სამ ოთხე,
ღვთივ-სწავლითისა, გვიქმენ ისე, სამოთხე.
არა ერთკუთხედ, უფროს ღამებრ სამოთხე;
სულთ მაგრილობელ. რტო-ფურცლოვან სამოთ ხე.

ნიკოლოოზ ტფილელისა

აქა ზმად არის სახელები ესი
ვამოყვანილი და შაირად დაბოლოებული

უფსკრულ განუცდელ, დღეს ქართლისა მეჩიშე.
დიდი მთიები, ეპისკოპოსი ისე.
უხვად მწყურნებ-ჰყოფს, მუხრანს გვალულს სხუმისე.
ჭანსა კვერთხით ითრევს მოდღენდეღად რუისე.
მტვერს წილკანს დაჰყრის, აღისასლებს ზეცისე.

მისივე. ნიკოლოოზ ორბელიანის თქმული, ტფილელისა

შერეულ გვარით ბოლოებით სხვადასხვა

ეთერ-ოვნისა სპერასა განსმენილი,
მზის ქვეშე მნათი, მეორე მზე ქართველთა,
ყოვლთ მაარსისა დედისა თვისებათა,
ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი.
მწველთა სიავთა გვირგვინად საჯო იპავლებს.

მისივე ნათქომი

შაირის გვარის ბოლოებით და
უკანასკნელი შერეული

ზედ სადგარს ცხელთა იფარღულ-მანიაკებს,
შიშვლივ შამფურთა მხურვალეთა იკოწლებს,
ბარებს ამბორჩად, ცხელთა ჯაკვთა ისარტყლებს,
მუსმართ ილებებს, გორვებით ისაბანებს.
დიდი ქეთევან, მტვერს ჰყრის, ეტრფის სიმესა.

ხოლო კიდურწერილი არს პირველი ესეგვარი, რომელსაცა სახელი ნებავს, და სხამს თავდალმა რიგზედა ასოებით და მერე შეუდგინებს

თხზვასა იანბიკოსასა ქებისა და შესხმისათვის, ესრეთ, ვითარცა ქვემორე ჩანს.

გ ა ი ო ს [1]

ა

გონებას მკვრეტსა უვსოსა მას ნათელსა,
არსსა ვით მხედსა, გარნა ნივთთა მხილველსა,
იხილავს ბრძენსა, სტიხთა ტკბილ- სასმენელსა,
ორფეოს მთქმელსა. შემდგოთ არსთ უგრძნობელსა.
სულისა ზეზესა, გიძნობ მოწაფე მთქმელსა.

ბ[2]

ევსტატის თავი,
ვინადგან აქა
სიმტკიცე სიბრძნე,
ტრფიალებითნი,
ალთა გულისთა,

თავს ადამანტის წარხდა.
იპოვების საკვირველ
სხვანი მიდმოებანი,
თვით ზესთ გონების მმტეიფრი.
ხავსე მმცხადე ნიადაგ.

გ[3]

სისხლი მარტვილთა
უცხო რა იქმნეს,
ქვეყანა განწმდა,
იდიდნეს ზეცას,
აღსცილდეს ცათა.

ეზიარა სისხლს საღრმთოს,
ხორცთაგან მტკიცენი ღვთივ.
იქმნა ჰაერი წმინდა,
გვირგვინთ მიმღებელნი აქ
ხრწნადნი სცვალნეს უკვდავებ.

დ[4]

განსწმდი აქა რა,
ალნი რა გულსა
ქმნილ ღვთისა მიერ.
ელვა მსოფლიო,
ბრძენ განსაკვირველ.

მამაო, სხვა მოსეი
აღატყინე ზესთ-საღმრთო,
მოძრაობითა წმინდა,
ამაოვი ჯანსთხიენ
ოქროვან იოანე.

---

[1] კიდურწერილი ერთებრი გაიოზ არქიერის თქმული წინასიტყვაობასა შინა „წყობილ-სიტყვისასა“.

ა ე ტ ო რ ი.

[2] ორპირად კიდურწერილი არის ესრეთ ორისავ თავით დაყოლიებით.

ა ვ ტ ო რ ი

[3] თავით და ბოლოთი კიდურმდგმოება არს ესგვარად.

[4] სამიანი კიდურწერილის გვარი.

ე *

ეა ჯვარითგან
დენა სუნნელის,
ყამს მსგავსებელ ღვთივ.
არა დღე ყოფა.
რაჟდენისა აქ.

ეს ქროლად საღმრთო,
ბაარულით სისხლით საქებ.
განგებით განსატვიფრი.
აერის ვსება ბნელით,
ლალისა მკვირვალისა.

ხუთიანი კიდურწერილის გვარი არის თითო სიტყვაზედ თითო ტრიქონში ოთხი ასომთავრულით გამოყვანილი სახელი, თუ სხვა რამე ესრეთ:

პეტრე ლარაძის მიერ თქმული

მაბა ედემით ფარავად თქვენდ ყოს სულით,
ძე ევმანუილ იესო ანღელ-სრულით.
ნათლისმცემელი ეს დასთ ღირსთ ელვებულით,
გცვიდენ რტო ძითურთ. ელიკრიტ ლამპრებულით,
დიდ იყო ნეტარ ამა ინახებულით.

ხოლო ექვს კიდურწერილობითისა გვარი მოვალს თითო სიტყვა თავითა და ბოლოთი ასომთავრულით, და გამოვა მას შინა თითო ტრიქონი ამ სახედ და, რაიცა ნებავს. გამოიყვანს კიდურწერილობით თითო სიტყვაზედ დაბლა დაყოლებითა, ესრეთ:

გაიოზ არქიერისა თაყაშვილისა მიერ წინასიტყვაობაში ქმნილი

ალმცისკრებელი ოროობს. ან ისილე მკვრეტ,
ნათლობს ბრწყინვალედ, არა ნაპრალობს და მეწყ,
ტალანტ ხაცნო მყოფ აწვე ეფლისა მიმართუ,
ოქრო-ნეკტარი მრწყველი ესე სახედვო,
ნათლისა ხარისხ ოქროს ქვა ან იკვირეობს.

ესე სხვადვე იამბიკო გაკეთდება შვიდის კიდურწერილით, თითო ტრიქონსა შინა თითოსა ასომთავრულით თავნი და ბოლონი თითო ლექსისანი ესსახედ. ვითარცა აქა არს.

ანტონ კათალიკოზისა

მფნობსან რა იმსთო აკათგან ცებად ალქატ.
არ შენდა ლალმან ვინ ზე აღხდი ენატო,

* ოთხიანი კიდურწერილი, რომელიც თითო მუხლის თავი და ბოლო იქნება ასომთავრულით და ბოლოდამ აყოლით და თავიდამ ჩამოკოლებით წაიკითხება. აგრეთვე თავიდამ და ბოლოდამ დაყოლებითაც იქნება.

მ_მათა აწ სამ ილარიონ დიდ ვინ შენ
ადგილით მაუგან რტოო, შენ ვარნა აქათ წარჰხედი,
ორ ირის ერში ნიადაკ ძლევას იმოს.

ხოლო გვარები ესე არის ამისი. თუმცა სხვადასხვა არს, შიგადაშიგ ერთმანერთს გატანგამოტანითაც იქმნება გაკეთება იანბიკოთა ესე სახედ:

შენნი მამაო, მიირთუ სტოხნი საგალობ,
იაკინთ მჭვირვო, მარგარიტ ლალ-აღმოსხმელო,
ოდენ გარნ ალქატ, არ შესაბაში შენდა,
სურვილითსაგან გიქმენ ძღვენ აროსტიხორ,
უფროს მნათობის ჩვენდა დღის მაათობისა.

ხოლო ანბანთ გვარიცა გაკეთდება ესრეთ იანბიკო, ვისაცა ნებავს:

ანტონი კათოლიკოზის თქმული

ანბო ბრძენი გნომ, დიდ, ესთ, ვინ, ზე ᲘᲔ. თვით,
ირის, კეთილ ლალ, მკვირვალ, ნარდ, ოლვის,
პაიზონებ. ფირ, რაზარინებ, სუმბულ, ტევანთ,
უფროს, ფშვი, ქარებრ, ღრუბელთ ყრი, შლი,
ჩირთთა, ციერ ძლიერთ, წრთვით ჭირთა ხშირთა.
ჯსნი. ჯვარით ჰავთ ᲭᲘ წმიდათ.

და ესე იკმაეთ იამბიკოს შესამცნებელად.

ᲞᲔᲢᲠᲔ: ვითარი გვარი აქვს ტაეპსა?

ᲘᲝᲐᲜᲔ: ტაეპი შედგება თექვსმეტის ხმოვანის ასოთი და ოცდაორის უხმო ასოთი, ერთის მძიმით ერთი ტრიქონი და ბოლო ლექსსავით დაბოლოებული, ესრეთ:

ყოველი ყური ვერ შესძლებს | ხვაშიადისა სმენასა.

კვალად ესრეთვე:

ვინ საქნელი უთათბიროდ! მოინებოს, არ იქმნების.

ხოლო სხვაგაცა:

ვის შემწედ ჰყვანან მეფენი. | რად უნდა მეხვაიშნენი?

ᲞᲔᲢᲠᲔ: ვითარნი გვარნი ჰქონან ლეკუციათა ანუ ბეჭდისა გვართა ლექსებთა?

ᲘᲝᲐᲜᲔ: ბეჭდის გვარნი რომელნიმე არიან მარტო ხელჩართულნი, სახელნი ვენძილად წოდებულნი, რომელიმე არიან ზმით სახელნი გამოყვანილნი და რომელნიმე მსგავსად ტაეპისა დაწყობილისა, იხილე ესრეთ:

ხელჩართული ესე ყოველთა უწყიან.

ზმით გამოყვანილი არის ესრეთ:

მე ფერხ-განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე.[1]
დედათა მარილი ვარ[2].
მცირე სოფლის დანგი ვიყავ[3]

ხოლო ლექსსავით თქმულნი არიან რომელნიმე ოცის ხმოვანით შემდგარნი, თითო ბეჭედი ორ ტაეპოვანი და რომელნიმე ნაკლებით, ვითარცა აქა ჩანს:

დარეჯან დედოფლისა

ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა,
მანვე წიალმყო დედოფლობისა.[4]

მეფე გიორგისა

სიმდაბლით ჩვენთვის გარდამოსრულსა
იესოს გლონებ ღმერთ-კაცად სრულსა.[5]

ქეთევან ბატონის რძლისა

ვინც დავითს ეყრნო, ეთვისა,
მან სძლად მყო მაღლის მეფისა.[6]

ლეონ ბატონიშვილისა

ტომთა მეფესა ძესა
ლეონ სახელად მძესა.[7]

კვალად არის თითო სიტყვიანი ლექსი, ოთხი ბოლოებით თანასწორი, ესსახედ დაკვეცილი (მეფის სოლომონის პირველისა):

უძლთა მეტრფე,
ლომებრ მყეფე.
მტერთ სისხლთ მჩქეფე
იმერთ მეფე.[8]

---

[1] ამაში არის „მეფე ერეკლე" ზმით გამოყვანილი.
[2] ამაში არის „თანარ" გამოყვანილი. თამარ დედოფლის ბეჭედზე სწერია.
[3] ამაში „გივია" გამოყვანილი.
[4] და მერე შუაზე თუ ბოლოს სახელს დასწერენ.
[5] ათათ ხმოვანით.
[6] რვა-რვა ხმოვანი, ბლახა ნათიშვილისაგან თქმული (ქეთევან მეფის სძლისა ენდრონიკაშვილის ასულს).
[7] შვიდ-შვიდ ხმოვანი.
[8] ხუთ-ხუთ ხმოვანი და ნაკლებიცა.

ეგრეთვე გვარიცა და სახელიცა იქმნების გამოყვანილი ზმით ბეჭედსა შინა, ვითარცა აქა არ..

სადგური ელიასი მიყვარს, მისი ხმა მიამებისა.[1]

ეგრეთვე ითქმის შერეულის გვარადცა ესრეთ (ჭყოინდელისა):

ძაძამან ძველად,
სჯულთ საფუძველად,
ჭყოინდს მასაყდრა,
ათორთ მბაძველად.[1]

დავით აღმაშენებელის ბეჭედი დია კარგია:

ჯვარითა მტერთა მძლეველი,
დავით ვბეჭდავ უძლეველი.[2]

ამილახვარის ბეჭედი საზოგადოდ, ვინც ამილახვარი იქნება:

მეფისა მტერსა ლახვარი,
ვამტკიცებ ამილახვარი.[3]

იოანე ოსეშვილისა, სიონის დეკანოზ-სალთხუცისა, გვარი და სახელი, ზმათ გამოყვანილი ესრეთ:

• კრონოსეს ძენწად ან დიო ან ერმისაგან ნაცხადიო.

აგრეთვე ამის ძმის იესეს ოსეშვილისა მდივანბეგისა:

მსაჯულმან სწორი ესე ჰყოს ეს ძეს.

ზ ურ ა ბ ა: ბატონო პეტრე, თუ მიბრძანებთ, ბერს ერთს ბეჭედს მეც დაუწერ, როგორც შვენის.

პ ე ტ რ ე: დიაღ კარგი იქნება! მაშინ

ზ ურ ა ბ ა: დიაკვანო, —

გიჯობს ძაღლისა მწერობა,
ვიდრე მაგ სახით ბერობა.

ი ო ა ნ ე: უი, ჩემს თავს! აქაც არ მოგვეშო ესე უკეთური! და მრავალი იცინეს და მოიღეს სადილი.

— რა კარგა შექეიფიანდნენ და გარდულიეს ღვინო ერთმანერთს და შესვეს სადღეგრძელო ერთმანერთისა, მაშინ

პ ე ტ რ ე: ანბანთქების გვარი რატომ აღარა მითხარ?

---

[1] მამია გურიელი.
[2] ექვს-ექვს ხმოვანით.
[3] ცხრა-ცხრა ხმოვანი.
[4] რვა-რვა ხმოვანი.

ი ო ა ნ ე: ანბანთქება თითქმის ვისაც ნებავს ყოველგვარ შაირსა, ლექსსა და სხვათა გვარებთა ზედა მოვალს. ხოლო ანბანთქება მრავალგვარად არს, რომელიმე თითო ასოთი დაჯდება სიტყვა და ოთხ ტრიქონში სრული ანბანი გამოვა, ხოლო რომელშიმე თითო ასო ყოველს სიტყვას თავს დაუჯდება და ამითი გამოვა რაოდენიმე მუხლი, და რომელიმე თითოდ დაუსხდებიან თავსა და თითო ლექსი შედგება დაბოლოებით ერთი. და ესრეთ არს სხვაღასხვა გვარი, ვითარცა ესე ოთხ ტრიქონიანი სრული ანბანი:

ვახტანგ ორბელიანისაგან ჩახრუხაულად ანბანთქება

ალალებს ბაგებს, გულ-დასადაგებს, ელვარობს, ვფუცავ ზე
ცთერულად
თვალთ ინდი კაზმავს, ლაშ მინა ნაზავს, ოდეს პირით ყეერს რიტო-
რებულად.
სუმბულთ ტევანსა უზამს ფშვევასა, ქონან ლაწვ-ყელნი შემკულ ჩე-
ნულად,
და ცრობენ ძოწს წყალნი, ჰვირობენ ხალნი, პძობს ჯავრით ჰაი ფრ-
ცნებულად.

მეორე გვარი არს, რომელსაც წინ დაუსხდება ანბანი ესრეთ თითო სიტყვათა.

მისვე ვახტანგისა

აჰა, ამბად აღვამაღლოთ აწ ალვისა აღნაგობა,
ბეწვ-ბნელობა, ბროლ-ბადრობა, ბაგებისა ბადახშობა.
გულთ გარეძო, გიშრის გრუზვამ განგაცადოს განშვენობა.
და დიდებით დავლა დაძვრამა დაგიმტკიცოს დღეთ დროობა.
ეს სუფთობდის, ედემობდის, ერხეოდა, ელატობდა,
ვაშად ვნახე, ვარდს ვამსგავსე, ვისთან ვისი ვალალობდა,
ზე ზილფებით, ზანანებით, ზამბახებით, ზარიფობდა,
და ცეკალ-მუხას ცედრებოდა, ცეთერივით ცელვარობდა.
თმა თბზულობით, თეთრ-თითობით, თინათინი თამაშობდა,
იასამანს იზილფებდა, ირხეოდა იგ ირმობდა.
კინამოსა კავ-კაწაწით, კეთილ-კაზმით კამკამობდა.
და ლალის ლამპრებრ ლაპლაპითა, ლოყისაგან ლომი ლმობდა.
მუდამ მიკვირს, მზემან მისმან, მე მეტკბობის მანანობით,
ნამიანსა ნარგიზებსა, ნაძვზედ ნახავ ნარნარობით.
ომაინობს ოდეს ორბებრ ოილევებს ორორობით,
და პაწაწაა პერანგითა, პირად პირობს პრწყინვალებით.
ჟღეროვანობს ჟივჟავაი, ჟამნობასა ჟამით ჟამობს,
რიდით რიდობს რიგიანად, რონინითა რხევით რორობს.
სირი სუფთა სირინოზი, სტვენს სიწლოთი სათი სარობს.
და ტრფიალითა ტანჯავს ტრედი, ტურფა ტატნად ტანსა ტარობს,

უმანაკოსა უზადობით უცხოდ უქებ ულუმბობას,
ფაქიზობით ფინიკობას, ფრთხილ ფრინველებრ ფარვით ფლობას.
ქაღალდზედან ქარაგმებით ქოხებთაგან ქარი ქრობას.
და ღიღინს ღუღუნს ღაბღაბითა, ღაწვებითა ღაქღაქობას.

ყირმიზულად ყაყაჩაობს, ყარყუმაობს ყელად ყურად,
შვენიერი შვენებანი შეცასცელიან შირინს შურად.
ჩინთა ჩემთა ჩაბნელება, ჩასტკბობია ჩამიჩურად,
და ცნობიერობს ცხოვრებასა, ციმციმითა ცვარობს ცვრულად.

ძნიადობით ძნელოვანობს, ძიებითა ძუძუ ძალად,
წარბის წარბით წამწამისა, წამწამითა წმინდა წყალად.
ჭიქებ-ჭრელობს ჭეჭელია, ჭაბუკთაგან ჭენობს ჭალად.
და ხატაველნი ხატვენ ხატად, ხალისობით ხატ ხალულად.

კმობს კორხითა კელმწიფურად, კელმარჯობით კელოვანობს,
ჯარში ჯიღობს ჯერანაი, ჯავარითა ჯეროვანობს.
ჰაეროვნებს უცხოდ ვახტანგ, ვფუცავ მზესა, მსგავსავანობს,
და ჭი გული სრად მიუძღვენ, სამარადად მისთვის ვანობს.

ბოლო არის ანბანთქება მაჯამის გვარითაც ესრეთ:

თქმული მეფის ვახტანგისაგან

ასრე არის აგებული, ძგებელსა აქებდესა,
ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთვისვე აქებდესა,
ამზრზეხულსა აღმშფოთველსა, ანატრებდეს, აქებდესა,
არმურისკენ ამწველს ალძასს აფთსა აქა აქებდესა.
ბრწყინვალედ ბარუქ ბრძანდება, ბადისთვის ბრძნულის ბაგითა,
ბრმათ ბრწყიწვალება ბევრობდეს, ბეთლემურისა ბაგითა,
ბიწოვნებასა ბანევდეს, ბერთ ბიკთა ბრძნულად ბაგითა,
და ბორგნეულნი ბილწნი ბალნნი, ბორგავდენ ბუგა-ბაგითა.

და ასე იმცენ, მთელი ანბანის ასო სულ ასეა ა-ჭ-ბდის გამოყვანილი და სრულებით ვისაც გნებავს წარკითხვა, მის ვახტანგ მეფის ნათქმარსა ლექსებსა შინა იხილეთ. ესეცა ღირსი ქებისა არს ანბანთქება, რომ ყოველს სიტყვას, ვითარცა თავს უზის ერთი ასო, ეგრეთვე ისივ ასო ბოლოს უზის, ვითარცა აქა ჩანს მთელი ანბანი.

მისივე ნათქვამი

არა ბრძანებ, გიორგ, დედად ესევ ვიყავ, ზეზ ცეთერად.
თმით იკარი კუკ, ლალ-მომცემ ნებვენ ოსო პროკოპ ყვერად.
როგორ საამს ტახტ უკეთუ ფეფ ქუქ, ღორღ ყუყ შიშ ჩამ ჩქერად,
და ციც ძეძ წეწ ქმუქ ხეხ კოკ, ჯონჯ ჰაირის ფიერად.

ესრეთვე არის ანბანთქება მარტო თავ-პირველ ასოდ დასხმული კიდურწერილის სახედ, თავიდამ ვიდრე ბოლომდის ჩამწკრიებულნი, მხოლოდ სრული ანბანი, ვიდრე ჯ-ემდე, ესრეთ:

არ მჭონებელსა ნივთისას მეტი რამე აქვს სენია,
ბავთობს და ჩივის მარადის, ვისგან რაღა სახსენია,
გაგლახებული რონინებს, გამწარებია დღენია,
დაძაწის და მიმოთხოვრეობს, არც ახსოვს დედის ხსენია.

და ესრეთ შეემცენ სხვათაცა, ვიდრე ა-ნიდამ ჯ-ემდის.

არის ანბანთ-ქება შესაქცევარი და სახუმარიცა, ვითარცა უთქვამს ბესარიონ გაბაშვილს, მოძღვრის ძეს, მზე-ჭაბუკ მდივან-ბეგს ორბელიანზედ, რომელიც იყო მეცნიერი კაცი, მოხუმარი, გარნა ცუდ თვალადი და ავტანადი და კიდეც წუნობდა მისგან თქმულთა ლექსებთა, ესრეთ:

ათინას აღზრდილს აქებდეთ, ალკად ავნორჩად ასულსა,
ბნელთ ბაიათა ბრყვილობას, ბრანგუ-ბაბაქვად ბასრულსა,
გონჯნი გუგანი გაშვენის გახრილად გვერდზე გასულსა,
დახე, დაღრეჯით დამჩაჩულს, დედლურის დრუნგით დასმულსა.
ეშმაკსა ელელიცება, ეს ედარება ეროდეს,
ვასილისკურად ვაგლახი, ვერას ვამსგავსო ვეროდეს,
ზარიფსა ზანანობასა, ზურგი ზევიდგან ზვეროდეს,
და ცერანიელთაც ცეკვირვის, ცესე ცესრეთ გაგს ცეროდეს.[1]
თბილისად თემობს თხუნელა, თათები თლილებ თოხია,
იკუნტვის, იუცხოვების, იტანჯვის იგორგოხია,
კუჭნი კერპულად კლაკნილნი, კიდია კუზი კოხია,
და ლურჯის ლაშებით ლაქლაქებს, ლოქია, ლოყი ლოხია.
მე მიკვირს მისმან მამაშან, მანკით მსგავსი ჰყო მელასა,
ნასკვა ნაბღუნძად ნაგრეხი, ნახავსო ნუ ნათელასა,
ოსმალებრ ოხრავს ოდიდგან ოსურად ოროველასა,
და პირველ პრაწითა, პირეღო, პაპუნას პირქუშ პრტყელასა.
უამებ ყიოდეს, ყღიობდეს, ყიყინით ყინიანობდეს,
რებითა რებდეს, რიობდეს, რას როკებს, რაკრაკიობდეს,
სვე სიმრუდითა სიოდეს, სიბოროტითა სტკიოდეს.
და ტრაკსა ტანჯვითა ტიროდეს, ტრაკუცუნს ტატიაობდეს.
უკულმართობს, უგლიმაობს, უკანიდგან უცხოდ უში,
ფინთი ფსვენი ფოლორციისა, ფანფალაკებს ფიცხად ფუში,
ქედ ქიცვიან ქამულსა ქიმისაკენ ქონან ქუში,
და ღადუაობს, ღაბუაობს, ღადარია ღამის ღრუში.
ყელ-ყვიციანმან ყარამან, ყაფლანიანთა ყარა მან,
შებღუნძვით შეშფოთებულმან, შირვანიელთა შარამან.
ჩაგრეხილმან, ჩაბანდულმან, ჩიჩვირ-ჩიჩახვი ჩარა მან,
და ცუნცულამან, ცაცუამან, ცუგრუმელა, ცანცარამან.

---

[1] ჰეროდია არს ლაკლაკი ფრინველი შავიცა და თეთრიცა (ავტორი).

ძუნძულაობს, ძაღლუაობს, ძუნბეხაობს, ძღარბუაობს,
წერწეტაობს, წაწუაობს, წაბღუნძვილი წარბუაობს.
ჰეპელაობს, ჰაკუაობს, ჰირ-ჰეუნვითა ჰარბუაობს,
და ხან ხმითაცა ხაზუაობს, ხან ხელურად ხარბუაობს.
კრინკიანობს, კხინწიანობს, კელსა კმარობს კდლურის კაფით,
ჯინობს, ჯირკობს, ჯორჯი ჯღუნა, ჯალაბს ჯიქობს ჯორის ჯაფით.
ჰაი რა საძაგელია, თემი დასდევს უკან დაფით,
და ჭი საკიცხველი კაცთაგან, სადევნელი მუდამ ლაფით.

ესე გვარადცა არის ანბანთქება ქმნილი, ვითარცა ჰკითხვენ ერთი შეორეს: ანზედ ვისი ყმა ხარ, ან რა გქვიან, ან საიდამ მოხვალ, ან სად მიხვალ, ან შვილდი რისა გაქვს, ანუ ისარი, ან რასა მოჰკლავ, ან რაში მიარტყამ ისარს. ვირთარცა აქა ჩანს:

ათინას ბრძნულად გაზდილი ანგლიად ვლიდი არესა,
ადამ ვიახელ აბრაამს, ამოდ და ლმობიარესა.
არყისა მშვილდი კელთა მაქვს, აკაკის, ისრით დარესა,
და ასკატსა აფსკას დავასვი. მომფრინავს მყისად ჰაერსა.
ბაბილოვნით მოარულმან, ბერლინს განვლე გზასა ველად,
ბაგრატ ვეყმე ბარამ ლომსა, მას ჭაბუკსა ქებულს ძველად,
ბორბნის მშვილდი ბრწამლის ისრით მოვიმარჯვე მსწრაფლად კელად
და ბაბრსა ბაღვი დავალეწე, სიკვდილს მივეც განწოლველად.

და ესრეთ სხვანი ასონი სრულიად უნდა დაწეროს მნებებელმან ლექსით ამ გვარად ა-ნიდამ ჭ-ემდის.

პ ე ტ რ ე: ძეობის ლექსთა გვარი ვითარიღა არს?

ი ო ა ნ ე: ძეობის ლექსები თუ შაირი შედგება თოთხმეტის ხმოვანის ასოთი და ოცდაერთის უხმოთი ტრიქონი. და ვისაც ნებავს, იტყვის ოთხ-ტრიქონიანხ. ხუთსა, ექვსსა და უფრორე მეტსაც; დაბოლოებით შაირსავით იქნება და ყოველის ლექსის ბოლოს „მზევ შინ შემოდიო"; და თუ ნებავთ, მარტო პირველსა და ბოლოს ლექსზედ იტყვიან „მზევ შინ შემოდიო" ესსახედ:

მზეჭაბუკ მდივანბეგის ნათქვამი ქეთევან ბატონისშვილის, მეფის ირაკლის ასულის, ძეობაში, მუხრან ბატონის მეუღლისათვის:

აღმკულ სრასა, უცხოდ მზასა, მზევ შინ შემოდიო!
ვხედავ ლომსა, მზის ნაშობსა, მზევ შინ შემოდიო!
ვეფხვ ნაკვეთით, უზომოსა, მზევ შინ შემოდიო!
მკვირცხლსა ყრმასა, თვალად კმასა, მზევ შინ შემოდიო!
ედემურს მტილს, მონაყვანსა, მზევ შინ შემოდიო!
სტვენს ბულბული ამოდ ხმასა, მზევ შინ შემოდიო!
უხმეთ ჭარსა, დასაწყნარსა, მზევ შინ შემოდიო!
სადავითოდ მონატანსა, მზევ შინ შემოდიო!

ვარდი შლილობს, ფერებს სცვლილობს, მზეე შინ შემოდიო!
სუნნი ფშვიან, ხმიან ზდიან...
ნაზნი სვიან, ზიან, ზმიან...
ერთად ჰკრთიან, ძმიან-დიან...
კენარ-ციალ, იტანციან...
ზრო ალვისა, ტანი სძრიან. მზეე შინ შემოდიო!
აწ ვიხაროთ პირველ ნათქვ'ხე, მზეე შინ შემოდიო!
ვინ მწოლარობს, ფარღულ ტახტზე...
სხივებრ აკრთობს, სტვიფრაკ'ს წამზე...
ბით მზიდველობს ნათელს მზეზე....
დარაზმულან მნათნი ცაზე....
ციმციმობენ მზეობაზე, მზეე შინ შემოდიო!
ძეობას ვიყავ მზისასა, მზეე შინ შემოდიო!
ვაეის მამა შინ დაესწრა, მზეე შინ შემოდიო!

და ესრეთ შეუდგებიან სხვანიცა ლექსნი და ასე შეემცენ ძეობის სიმღერის შაირსა.

პ ე ტ რ ე: ნანინა რაღა გვარია?

ი ო ა ნ ე: ნანინა არს ყრმათა დასაძინებელი სიმღერა,. გვარი მოკლე ლეკუციის სახით, რვათა ხმოვანთა მიერ შემდგარი, და ცხრისა უხმო ასოთი, ესრეთ, ვითარცა აქა ჩანს, ხოლო ყოველთვის „ბატონი" მოვა.

ნანინა ნანა ბატონსა, ეძინება ბატონსა!

ეგრეთვე არის ესგვარადცა თქმული:

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
ის ვარდი რით სჯობია, იავ ნანინაო,
რით უფრო მშვენიერია, იავ ნანინაო!
სილამაზით ყაყაჩოს სჯობს, იავ ნანინაო,
ყანა დაუშვენებია, იავ ნანინაო!

და ესრეთ უშორეს, ესეც გვარი არს სიმღერის ძეობისა.

პ ე ტ რ ე: მესტვირულნი ლექსნი ვითარნილა არიან?

ი ო ა ნ ე: რომელნიმე არიან მოკლე სიტყვებით შემდგარნი მესტვირულნი სიმღერანი, ზოგნი მოკლე-წყობილად და ზოგნი გრძელნი ლექსივით თუ შაირივით, გარნა უკანონოდ ნათქვამნი, ვითარცა აქა ჩანს.

კიჟიაშვილის ნათქვამი:

ესე იყო პირველი მესტვირე და ნაქები ქართლში, ამან შეას ქები მესტვირული შაირნი მეფე ირაკლის ესრეთ:

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქმნა ღვთისა,
აღმოსავლეთს მზე დაბნელდა, დასავლეთი იგრგვინვისა,
მოეკიდა ხრმალი ხრმალსა, იქმნა ომი პირველ ეამსა,

ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, მგზავრი შეწყდა ყოვლის მბრძანისა,
ერეკლესეანა ბატონსა ძვირად გაზრდის დედა შვილსა.
პირველ არის ღვთის მლოცველი. მერე მშველელია ტყვისა!

და სხვანი.

ხოლო სხვები მოკლედ თქმულნი არიან ესგვარ:

ეო, მეო. აქეთ მომხედეო!
რას მოგითხრობ სიყვარულსა, ყური მიგდეო,
არვინ არის უფროს ღვთისა, მოდი, ადიდეო,
ღვთისა სიტყვა კაცთა ზედა, სიტყვის მომსმენეო!
გზას, რომელსა მიხვიდოდე, წინ დაიხედეო,
ფათერაკსა და საფრხესა არსად ჩავარდეო,
ასეთს ნურას მოივაპრებ. ბოლოს დაზიანდეო!

ფერხისული გვარი ლექსები არის ამას ზედ:

ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობელმან ქვეყნის შენება ივნება,
ცასა უბოძა ღრუბელი, წვიმისა ჩამოდინება,
დედამიწასა ბალახი. ქვეყიდამ ამოდინება,
არალალო, ვალი ვალალო!*

მოკლედ ფერხისისა არის ესრეთ, ლექსები:

ავთანდილ გადინადირა ქეჯი მაღალი ტყიანი,
არხალალო, ვალი, ვალალო!... და სხვანი.

მკაში ლექსები არის ესგვარი სიმღერით:

იერუსალიმს მიმავალი ეუბნება ბერი ბერსა:
ჩემი სულის ცხონებამა, არას ეყვის გერი გერსა.
ქალო ადი მაგა ხესა, ჩამოყარე ბრიწული,
ერთი მეცა ჩამომიგდე, შენგან უფრო მოწეული.
„ეჰ ოჰ" ჩასართავად.

ზ ე რ ა ბ ა: ბერო, ნეტამცა არ იყო მცირედ ჭკუანაკლებიო. შენს ძალუას გადავკიდე ხურჯინივით კაკლებიო.

ეჰ, ოჰ!

პ ე ტ რ ე: სპარსისა და თურქის ხმაზედ ვითარიღა არიან შაირნი ანუ ლექსნი და ან ვის დროს შემოღებულნი, მათ დროს სიმღერა, იმათ ხმაზედან ქართულისა ენითა?

ი ო ა ნ ე: სპარსთა ხმათ სიმღერა ისევ მათისავე ენითა და საკრავითაც არ იქნებოდა, რომ ძველადაც არა სცოდნოდათ ქართველითა,

---

* ესე ყოვლის მუხლზე უნდა სთქვა. (ა ვ ტ ო რ ი).

მაგრამ არსად აცხადებს წერილი. ხოლო ოდეს როსტომ მეფემ მიიღო ქართლი, ამან დასდო სრულიად სპარსთ კანონნი და წესნი, ეგლეთვე სახლების მოფენა, ძირ-ჯდომა, მოხელეების სახელის შეცვლა, სპარსთა ენითა წოდება სახელოთა და ამასთანა საკრავნიცა და სიმღერაცა მან შემოიღო და გაამრავლა საქართველოსა შინა; ამისა შემდგომ ვახტანგ მეფემან, მერე მეფე თეიმურაზმან, შემდგომად ბეორემან მეფე ირაკლიმ, ვინაადგან იყო ესეცა სპარსეთსა და ინდოეთსა შინა, გაზრდილი ნადირ შაისაგან, თვითცა კარგად სწავლული თათრულისა და სპარსთა ენისა და საკრავთა და მეღამეთა ანუ ხმეთა. ამის დროს კიდე უფრო გახშირდა სპარსთა ხმებისა საკრავნი და სიმღერანი და ამის მიბაძვით ეცადნენ რაოდენნიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმასა ზედა სპარსთსა და დაუკრევდიან ჩონგურსა და სხვათა საკრავთა ზედა. და დაემღერებოდიან და აწცა არს ხშირად ესე ჩვენშია. ხოლო პირველ შემომღებელნი ამა ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთ მოსაკრავენი ს ა ა თ ლ ა მ ა დ წოდებული და სხვანი; მერეთ ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, პირველი მესტიხე და უცხო მთხზველი, ესეცა დაშვრა და გააკეთა სხვათა და სხვათა ხმებთა ზედან სიმღერისა ლექსები. ამასთან თეით მეფეს ძეთაცა და თავად-აზნაურთა და სხვათა მწერალთაცა. ხოლო ბესარიონისაგან თქმული ხმა, რომელ არს მუხანბაზად წოდებული სპარსის ენითა, არის ესე შემდგომი:

სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები:
ვარდმან შემრისხა თავ-მომწონები,
ისარი მტყორცა დასამონები.
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები,
მითხრა — იფიქრე გულს ნაჭონები.
მისთვის იქმნები დასაყოვნები,
ვერ მივხვდი მახვილგანაწონები.
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

იასა ვჰკითხე — მუნ იდგა ნაზი,
ვარდსა რა უქმენ, კართა სარაზი?
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი,
მანცა განმაგდო: „გარეგან გაზი,
შენგან გვაჩნია, გულებთა ხაზი,
სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი.
შენს გულსა ჰკითხე. მიაპყარ გაზი,
შენის გონებით იქმნები რაზი.
ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები!"
ვერ მივხვდი მახვილგანაწონები.
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები!

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,
ვეუბნებოდი: შენ წარმიმართე,
იწროს გზის პოვნად — გზები გაქვს ფართე,
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე;
ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე,
შავგულსა ლხინი, შენ მოუსართე,
შემომითვალოს: რა უკუღმართე?
რად მომიგონა მოუგონები?

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა,
მითხრა: ყარიბო, — მონაზებითა,
ვარდი მით არის გულდაკლებითა
რომ შენი იყო თაყდადებითა.
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
თავი მოგწონდა, გყვანდა ნებითა,
რად გიკვირს გაწყრეს ცეცხლ-მოდებითა?
ნაცვალი მოგხვდა, დანახსოვნები.

დავბრუნდი ყოველგნით შეუბრალები,
ბაღის კარს დავჯექ შენაძალები,
ცრემლით ამევსნეს, მწირნი თვალები,
ეიყავ ბედისა დანაბრალები,
ვინცა მნახეიდნენ დამამშვრალები,
შეიქმნებოდენ ჭირნაკრძალები,
მეც მომხვედა სოფლის მკვლელი ბრჭალები,
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები.
ვერ მივხვდი მახვილს განაწონები.
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

პ ე ტ რ ე: მუსტაზადი ვითარცა არის თქმული?

ი ო ა ნ ე: მუსტაზადი არის ხმა საამო და ამისი შაირნი ისევ შაირის გვარად არიან, ვითარცა აქა ქვემორე ჩანს, ბოლო ლექსებით დაბოლოებულნი ესრეთ: ისევ ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს მიერ თქმული, ოდეს განიდევნა ქართლიდამ და წარვიდა იმერეთს, მუნ დასწერა სამწუხაროდ:

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი, ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი, ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით,
უცხონი თემით, სოფლის ცემით, გავიგარეენით,
უკნობნი ვარდნი ამა დარდით დაეიბძარენით,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

როს გვაგონებდით, შეეღონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა, კიდეგანთა, ესდენ ხანთა, გლოვისა ხმანო,
ატადის კალო, სავალალო, სადა ხართ, თქმანო?
დაგებერნა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით!
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

დაბერდა ყური, სევდის შური რა პოვა სოფლით,
დაბინდნა თვალნი, შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით,
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი, შორნი სამყოფლით,
ხელმწიფე, გული ცეცხლ-დაგული, შორით გამყოფლით,
პირმსაცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით.
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

დღე ვსატრი მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს,
ღამე მთოვარე, ქველ-მოარე, ხასიათ გვარებს,
ცისკარ-მთიები, სხვა ციები, პირველ გვახარებს,
და მერე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჰფარებს,
ამ დღე-ღამითა და ჟამითა დავიმწარენით.
არა ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

სიზმარს ვემონით, ძილ-შეკონვით, ნუთუმცა გნახეთ,
სახე უსახო, საახვახო, ეს განვიზრახეთ,
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვეღარ დავსახეთ,
ყარიბთა ბანი, გზის საბანი ეკლით შევსჭმახეთ.
მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

პ ე ტ რ ე: თეჯნიშის გვარი ვითა არს?

ი ო ა ნ ე: თეჯნიშიც არის ერთი გვარი თათრული სიმღერისა, შერეულის ლექსით დაბოლოებული, ოთხტრიქოვანი და სამი მუხლის ბოლონი თანასწორნი და უკანასკნელი პირველის მსგავსი, ესრეთ:

მისივე ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა გ ა ნ თქმული

სბა სირინოს, ღაწვ-ღულამბარ-წინამოს,
დამბროლო ნიარ, არვედ ეარე,
მზე აპოლოს დისკო უძღვენ წინამოს.
შვიდთა მთენთა ერთი ხლებად ეარე.

თეთრთა ზღვათა შავნი ნავნი მინავნი,
ესრეთ ვჰგონებ, მარ განავნა მანავნი,
არ იკადრა ლიმენს ტევრი მან ავნი.
ძვირად სადმე საფარდულად ეარე!

ვინ სულთ ბაზრად შეაშენენ შენები,
მენ სადაღნი შავად საგნად შენები,
მეტყვი: მოი გულო, შავ-გლახ შენ ები,
შავნი ჰინდნი მას დარაჯად ეარე:

ვსთქვი: რა ვნახე უცხოდ სახედ და რანი,
მიესხივნეს გულ-სათენი დარანი,
ლალს მოეცვა ბარაინის დარანი,
სადაფს ვარქვი: „შენ ტიალად ეარე!"

ვარდსა ბაღი გაეწითლა არვებით.
თუ შეეეხით, ვეპვ, უეკლოდ არ ვებით,
მისსა ბესიკს რაც რამ სჭირდეს არვებით,
ხამს ეკალი ზედა გულზედ ეარე!

პ ე ტ რ ე: თახმისის გვარი ვითარიღა არს?

ი ო ა ნ ე: თახმისიც არს ერთი გვარი თათრული სიმღერისა, უფრო მოგრძო, შაირივით დაბოლოებული, და რომელიმე მაჯამათაც ითქმის და ტკბილი ხმა არს, სამღერად თქმული ესრეთ:

ლეონ ბატონისშვილისაგან თქმული

როს განვიცადე ბედკრულმან გული საკვდავად დარია,
ცნობა მიმსადა მთიებმან, სურვილმან მისმან დარია,
ვერ ესწორვიან ციურნი, კრონოსი, დია, დარია,
მკრთოლვარებს სხივი ბაგიდგან, ვითა მრისხანე დარია.

მჭვრეტელთა შუქთა მფენელად შვიდთავე ცთომილთ დარია.
შენ, მუშთარსა, გეაჯები, გულმტკივნეული, მტირალი,
მოყვარემ მომწყლა საკვდავად, მტყორცა ჰინდელთა სამალი,
ველარ მოვითმენ, მიმჭირდა, აწ არღა არის სამალი,
მას მოუკლავარ, ირწმუნე, ვისა აქვს ბაგე მჭვირვალი,
ბროლი და ლალი შეთხზულან, ქვე დარიდებით დარია.

ისმინეთ ჩემი ჩივილნი და ბწუხარება ვითარი,
წარმსვლია სრულად ცნობანი და დამცემია მე ზარი,
გულსა შემდგმია საჭრელად მახვილი გიშრისა სარი,
გაფიცხებულ არს გონება, ურწყულში მიმომაარი,
სულდგმულსა არა მიტევებს იგი ჯალათთა დარია!

უზენაარო მარიხო, რად მრისხავ ესრეთ დაგულსა?
გაფუცებ მზესა მას შენსა, ნუ დაბიტევებ მე წყალულსა,
უმკურნალოდღა რაღა ვჰყო, ვერ დაგიშურებ აწ გულსა,
ვაი თუ არა მელხინოს, რაყიფეფთაგან გაბმულსა,
თავსა მოვიკლავ უკილოდ, ის ჟამი მათთვის დარია!

ჰე, საყვარელო, ალმინე. შენი სახმილი მგზენია,
ღაწვნი ბროლთაგან ვარდს ჩაგრავს, მკვრეტელთა ამაზრზენია,
როს შენ გამოჩნდი ქვეყანაჲ, გაცუდდეს მზისა სხივნია,
ნუ ხარ უწყალოდ, იკმავე ესოდენ სინაზენია,
განაგდე იგი კუშტობა აწ, ვზეო, ჩემკენ დარია.

ა ე ტ რ ე: სანსან სანისის ხმახედ ვითარიღა ლექსი მოვა?

ი ო ა ნ ე: ამა ხმაზე მოვა ისევ შაირის გვარი ლექსი, რომელიც არის მუსტაზადზედ ნათქვამი, ხოლო აქ შესამეცნებელად ვსთქვათ საცინელი შაირი, ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა გ ა ნ თქმული მზეკაბუკ მდივანბეგზედ, რადგან ავთვალად ტანადი იყო, ისე შეამსგავსა; რომელსა ზედა მრავალი იცინეს მეფეთაცა და დიდებულთაც.

ესრეთ თქმული:

დამპალო ლეშო, თვალ-ხერეშო, გულ-ღადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეკმრუდეო, კერპთ სადარაო,
არ უზიანო, კუზიანო, მაწუნწარო,,
ხილვად საშიშო, გულმავიშო, გარ საგარაო!
მე შენი ქება მომენება, არ დავფარავო.

ბეკ-მკერდი კუზი და კურტუმი გაქვს უკეღმართი,
გვერდი, კისერი, პირისფერი გონჯად დანართი,
უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი,
სჯობს დაიკარგო, იმალოდე, მოგესხას ღართი.
ეს მიკვირს, სახლში რად გიშვებენ, მეტიჩარაო?

სამართალია — არ ღირს იყო ვაგ სახელისა,
რადგან გიწერთნია სიცრუვე და ქცევა მელისა,
შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა,
შენმა გახეთქამ, ეშყი ჩოჰკლავსო შენის წელისა,
რა იქნება, რომ შენის პირით მზე უდარაო!

ვინც დაგინახავს, ესრე იტყვის: ჰი ჰაბუაო!
ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: დიდი ცრუაო!
ღამით ეშმაკსა შეგადრიან, დღისით ბუაო;
რა კარგი რამ დაბადებულხარ, მაგ პირფუაო,
მაგ შენმა სახემ სიცოცხლე ხომ დაგამწარაო,
მე შენი ქება მომენება, არ დავფარავო!

ა ე ტ რ ე: სხვა ხმებზედაც არის ქართულად ლექსები თქმული?

ი ო ა ნ ე: მრავალი მუღამების გვარზედ, ესე იგი, ფასძუხალიფისა, ნავრუზისა, რასტისა და სხვათა თასლიფებზედ თქმული საამო ხმები და ლექსები; აგრეთვე გარაილზედა სხვათა და სხვათაგან

თქმულნი, რომელიცა იხილეთ უვრცელესად სიმღერის ლექსთა სიებთა შინა შეკრებულთა.

პეტრე: მიამა ყოველივე გვარი შაირებისა, იამბიკოებისა და სხვათა, დია კარგად აღმოაჩინეთ, და ამ სიმღერის ლექსებისაც უცხოდ. და სად ისწავლეთ ეს სიმღერის ლექსები? მაშინ

ზურაბა: უფალო პეტრე, კოჭლ პაპასთან და მეჭიანურე ოსეფასთან გაზრდილი, რად გიკვირთ, რომ ამგვარს ლექსებში დახელოვნებულიყოს?—მაშინ ყოველთა იცინეს და სუფრა ესრეთ დასრულდა, დიაკვანი მადლობელი წამოვიდა თავის სადგომისაკენ. ამ ჟამად იოანე ექიმი და პატრი სასეიროდ მოვიდოდენ; იოანე ექიმმა აცნობა დიაკვანი პატრს და ცხად უყო მისი მეცნიერება. პატრმან სთხოვა ხვალისათვის თვისთან მისვლა, დიაკვანმაც აღუთქვა და ესრეთ გაიყარნენ.

ᲛᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ

ხოლო ხვალისა დღე იოანე წირვის დროს წარვიდა ფრანგების საყდრისაკენ. რა მუნ მივიდა, იხილა, რომელ წირვაზედ იდგნენ და პატრი ქადაგებდა. იოანეს დია მოეწონა და სთქვა: აჰა მეცნიერება ასე კარგი, რომელ რომაული პატრი, ჯერ სამი წელი არ არის გასული რომ აქ მოსულა და ქართული ენა ვით უსწავლია ასე კარგად, რომ კიდეც ქადაგებს? ასე უნდა იყვნენ სამღვდელონი აღზრდილნი და სწავლულნი და ასე უნდა აქვნდესთ გულსმოდგინება თვისისა სამწყსოსათვის.

რა წირვა დასრულდა, პატრი ანდრიამ აღიყვანა იოანე თვისსა სადგომსა, მოიკითხა მშვიდობით, მისი ვითარობაც გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე ცხად უყო, პატრმაც მოუწონა: კეთილი საქმე არს, რადგან მონასტრისათვის იღვწვიო.—და მერე ჰკითხა ზოგი რამ საფილოსოფოსთაგან და ზოგი რამ საეკკლესიო. იოანემ დიაღ კარგა ჰიუგო და მერე უთხრა: რადგან ისტორია მეორე თვალია სიბრძნისა, იგიც გისწავია თუ არა?

ი ო ა ნ ე: ჰე, მისწავლია!

პ ა ტ რ ი: რადგან ისტორიის მცოდნემ ღეოღრაფიაც უნდა იცოდეს, იცია იგიცა?

ი ო ა ნ ე: ვიცი, რაოდენ ჩვენსა ქვეყანასა შეფერობს

[ამას მიჰყვება ფრიად ვრცელი გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა მსოფლიოსი].

შეცდომათა გასწორება*)

გვ.	სტრ. ზევიდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
IX	24	ორ	ოთხ
13	16	დასამ ოქალაქო	და სამოქალაქო
20	7	ღა	და
32	11	ღა	და
50	20	აღასრულდეს	აღასრულებდეს
74	14	მაშან	მაშინ
81	5	ჯიმშერისშვილთან	ჯიმშერისშვილმან
98	21	დაგგიჭერს	დაგიჭერს
113	6	ღმერთდაცა	ღმერთადცა
117	9	შეასმისა	შეასმინა
141	23	ნაკადი	ნაკად
143	21	ოცდასამდე	ოცდასამამდე
144	14	ძალსა	ძალლსა
146	2	წინიდ	წინად
151	2-3	დაგიკვლევედით	დაგიკლევედით
202	10	ვნების	ბუნების
208	2	მათემათიკისათვის	მათემატიკისათვის
210	4	თვისისა	თვისსა
217	5	შეპყრობს	შეიპყრობს
221	20	სწარმოებელ-დ	საწარმოებელად
223	23	სომხეთ	სომეთ
224	30	ცხუობა	ცრუობა
225	22-23	სარწმუნოებისა	სარწმუნოებასა
227	2	შენთვსაც	შენთვისაც
228	17	მაშოვნინა	გაშოვნინა**)

---

* სასვენი ნიშნები მბეჭდველობაში მიღებული არაა.

** აქვე ვასწორებთ დედნის ზოგიერთ შეცდომას (რაც გამოცემაში უცვლელად დავტოვეთ):

144	32	თერთმეტიდამ	თვრამეტიდამ
146	3-4	ათასექვსას	ათასხუთას
146	22	ათერთმეტი	ათოთხმეტი
181	26	მორისსა	მორიასა

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერ.
წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა	I — XII
[დ ღ ე პ ი რ ვ ე ლ ი]. შეამხანაგება იოანესი ზურაბა ლამბარა-შვილთან. სკრას მისვლა გლახა ნაზირთან	1 — 4
დ ღ ე მ ე ო რ ე: გამგზავრება ხვედურეთისაკენ და შეხვედრა ციციშვილთან. ბაასი მღვდელთან. ქარელში მდივანბეგთან	5 — 10
დ ღ ე მ ე ს ა მ ე: ჰალას აბაშიძეებთან. ბაასი ტყვეთა შესახებ. კაცისათვის. ბაასი მამუკა ხიდერბეგიშვილთან. გამოლაპარაკება მწყემსებთან. სურამში ქაიხოსრო მურვანიშვილთან. იოახე და ტერტერა .	11 — 23
დ ღ ე მ ე ო თ ხ ე: ძაღინში ელიაზარ ფალავანდიშვილთან. სხვადასხვა სარწმუნოებათა შესახებ	24 — 30
დ ღ ე მ ე ხ უ თ ე: საღოლაშენს მინბაშ ამირეჯიბთან. შვილის აღზრდის შესახებ. შემოკლებითი ხნეობის სწავლა. ნაყროვნებისათვის. ამირეჯიბობა. რუისის მიტროპოლიტთან. რუისის სამიტროპოლიტო ტაძრის შემოსავალთათვის	31 — 39
დ ღ ე მ ე ე ქ ვ ს ე: ქ-ლაქ გორში ამილახვართან. სწავლისა და ხელოვნებისათვის.	40 — 43
დ ღ ე მ ე შ ვ ი დ ე: ქ. ქრცხინვალს მაჩაბელთან, რომლის ვაჟს გლეხის ქალის შერთვა განუზრახავს. იოანეს შვილთან წერილს მიაწერინებს ამის გამო	44 — 45
დ ღ ე მ ე რ ვ ე: მეჯვრისხევში ქვრივ დედაკაცთან. უსიამოვნება ერისთვიანებთან. ჰალაში ერასტი ამილახვართან. გიორგი — ბოდა. სამთავნელისათვის. მღვიმისათვის, იორამ ხედგინიძე — ამილახვრისათვის. ბატონ-ყმათა ურთიერთობა. მონათათვის. ჯულისათვის	46 — 52
დ ღ ე მ ე ცხ რ ე: მუხრანში გიორგი ერისთვისშვილთან. ერმია მუხრანბატონიშვილი. სამხედრო საქმიანობა. პოლკისათვის. მცხეთას ძუნძგლთან. სვეტისცხოვლისათვის. მცხეთის ბაეისათვის. „დამცხეთურეება“	53 — 63
დ ღ ე მ ე ა თ ე: ძარტყოფს მოურავთან. სადილი რუსთველთან. ხაშმში წინამძღვართან. „პირჯვარის ქვევრი“	64 — 67
დ ღ ე მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე: თელავში დავით რეკტორთან. კატის ცემა. ანტიპატიისათვის. ფილოსოფიისათვის. ლოღიკისათვის. ღრამმატიკისათვის. წიგნისათვის. თვის განყოფილებისა წიგნისა	68 — 77
დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი [მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე]: ახმეტას ქაიხოსრო ჩოლოყაშვილთან. წყლის მომატებისა ანუ დაკლებისათვის	78 — 80
დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი [მ ე ა თ ს ა მ ე ტ ე]: მატანში ჯიმშერიშვილთან. სეტყვისათვის. ლალისყურისაკენ. შეხვედრა ორ ფშაველთან. ლაშარისჯვარის შესახებ. ალვანში თუშებთან. ქეთევან დედოფლის შესახებ. ლალისყურში მოურავთან. უკანასკნელის შვილი ფლორე. მოურავის სახლები. ხუროთმოძღვრობის ანუ არჩიტეკტურობისათვის	81 — 88
დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი [მ ე ა თ ო თ ხ მ ე ტ ე]: ენისელში. ბაასი მამასახლისთან ზაქარია ლალისხანიშვილ მღვდელთან	89 — 90
დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი [მ ე ა თ ხ უ თ მ ე ტ ე]: საბუეს ნოდარისშვილთან. შილდაში ნეკრესელთან. კატიღორიისათვის. — „კიკო“ ანუ „ცხრაწვენა“	91 — 93

დღე შემდგომი [მეათექვსმეტე]: ყვარელში ელევთერთან. კნეინას თავშიშველობა და მარაოს ქნევა ეკლესიაში. მიწისძვრისათვის. ციხესთან გალავნის შესახებ. დავით ჯიმშერიშვილთან. მეტოლოგიისათვის (მითოლოგია). ველისციხეს გარსევან ჭავჭავაძესთან. ამის „პასლენიკობა“. რუსეთთან დადებული „ტრაქტატი“. ვეზირისძე თავადი ბაბაში. გარსევანის, გიორგი ავალიშვილის და ელიზარ ფალავანდიშვილის „პოსლენიკობის“ ისტორია.. ბატონიშვილების შესახებ. იოანე გურჯაანში ზაქარია მოურავთან. ტროადის ამბავი . . . . . 94 — 135

დღე მეჩვიდმეტე: გზა ქიზიყისაკენ. გირკოკს ერასტიანთან. ნინია ერასტიშვილმა წიგნი მიიღო მეუღლისაგან, იოანეს პასუხს აწერინებს. ანჯიქო ბებურისშვილთან . . . . . 135 — 139

დღე მეთვრამეტე: ბატონიშვილ ბაგრატთან. კვირა. დღე, საათი. წელიწადის დრონი. დღისა და ღამის თანასწორობა. არდადეგი ან კანიკული. უგრძესი და უმოკლესი დღე-ღამე. კალენდრისა და წელთაღრიცხვის შესახებ. ქართული ქრონიკონი. მთვარისათვის . . . . 140 — 149

დღე მეცხრამეტე: ანჯიქო და ნაქურდალი ცხვრები. ქურდობისათვის. გამოზავრება ქიზიყისაკენ. მისვლა ვაქირში. იოანე ეწვევა თავისიანებს, ხელაანთ. გამგზავრება სიღნაღს იოანე ბატონიშვილთან. ქადაგებისათვის . . . . . 150 — 155

დღე მეოცე: წმიდანინოში წირვაზე. ქადაგება იოანესი. მეტაფიზიკა. ტფილისისაკენ. მანავში. ნინია მოურავთან. მიხეილ ნინოწმინდელთან. ითიკისათვის. „ფილოსოფიური ეშმარიტების“—სახენი . . . 156 — 168

დღე ოცდამეორე: (sic): ყარაბულაღში მოურავის რძალ ეკატერინესთან. ნორიოში ოთარიკა მასხარასთან. იოანე და ოთარიკას ცოლი . . . . . 169 — 171

დღე ოცდამესამე: მგზავრობა ქალაქისაკენ. ოთარიკა თავის თავვადასავალს უამბობს იოანეს. ოთარიკა სადღიანოში. ოთარიკა და იმერელი . . . . . 172 — 176

დღე ოცდამეოთხე: ტფილისში. სიონში დღესასწაულობა. იოანე სასახლეში. სიტყვა ირაკლისადმი. საღამოს კვლავ სასახლეში. შეხვედრა ქრისტესია კეკერაშვილთან. „შვიდნი სოფელსა შინა ღირსნი სახსოვარნი“. ბაასი დიმიტრი თუმანიშვილთან ყომარბაზობისა და ქალალდზე თამაშობის შესახებ. გამარჯვებული მხედრობის დაბრუნება და ამის გამოზეიმი ქალაქში. შეხვედრა ოდიშელ ბერ ფუტუროსთან, რომელსაც ყველაფერი აკვირვებს ტფილისში. ჩირაღოვანი. ტფილისის აბანოების თბილი წყლის შესახებ. გამგზავრება სომხეთს. მარაბდას ხაალ მდივანბეგთან. სწავლა სჯულთათვის. მისვლა ბოლნისს იარალთან. ლეკების თავდასხმა და იოანეს მოკმრობა. სოფელი საბოზკურო. სარდლობისათვის. შულავერს ბატონიშვილ ალექსანდრესთან. მეფისათვის. საკრავთათვის. თამაშობათათვის . . . . . 177 — 213

დღე შემდგომი: ბორჩალოსაკენ. ბაზიერი უხუცესი ჩესტია. სანადირო ფრინველთათკის. თაქალოს ბატონიშვილ დავითთან. კოსმოღრაფიისათვის . . . . . 214 — 219

დღე შემდგომი: ახტალას არქიერთან. ბაასი მეტალთათვის . 220

დღე შემდგომი: მისხანა ემინჩიბაშთან სპილენძისა და ვეცხლის გამოდნობას ეცნობა იოანე. სანაინში სოლომონ არღუთაშვილთან. პატრო-

ნი. რესპუბლიკა. არღუთაშვილების გვარისათვის. ოთხი შეუძლებელი საქმე. მეგობრისათვის. სიცოცხლის ხანგრძლივობა. ახპატში შეხვედრა საიათ-ნავასთან. სადახლოში სარდალ ციციშვილთან. კეთილდღეობისა და ბოროტშემთხვევისათვის. სიმდიდრისათვის. გლახაკისათვის. ენებისათვის. ანბანთ ასოთათვის . . . . . 221 — 237

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: ბაიდარს იულონ ბატონიშვილთან. წერისათვის. მეუღლეობისათვის. ძაათა სუყვარულისათვის . . . . . 238 — 244

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: დემურჩ.სანისაკენ. ფარნაოზ ბატონიშვილთან. ღვთის მეტყველებისათვის. ქარისათვის. კაშლოვანს თამაზის ოჯახში. მისნობისათვის . . . . . 245 — 263

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: არსენ ტფილელთან. ქათოლიკოზობა, ექსარ-ხოსობა, პატრიარხობა. ბაასი იოანე ოაემშვილთან . . . . . 264 — 267

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: იოანე ჰარონ ალექსიშვილის სახლში. ღამის გათევა აქ . . . . . 268 — 269

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: ექიმ ყარაშვილთან. მკურნალობა — ექიმობისათვის. ბაასი პრუსიელ იოსებ იაკოვლიჩთან ფიზიკისათვის. შეხვედრა პეტრე ლარაძესთან. პოეზიისა ან მელექსეობისათვის . . . . . 270 — 301

დ ღ ე შ ე მ დ გ ო მ ი: იოანე ფრანგების ეკლესიაში. შეხვედრა პარტრი ანდრიასთან. ბაასი ისტორიასა და გეოგრაფიაზე 302

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება. 303